

იოსებ ბეჭირიშვილი

წილსკვლები  
აჭარის  
წარსულში



ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“  
ბათუმი – 2003

იოსებ ბეჭირიშვილმა ისტორიულ მასალებთან ერთად ეთნოგრაფიულ-ყოფითი ხასიათის ნარკვევებით, უცხოელთა ცნობებით, კრიტიკულ-ბიბლიოგრაფიული გამოკვლევებით გაარკვია და გადაწვიტა არაერთი პრობლემატური და მიუიწებელი საკითხი.

ნაშრომი განკუთვნილია მკითხველთა ფართო წრისათვის.

**რედაქტორი – ოსიპო გვარიშვილი**



## აპტორისაბან

კაცობრიობა არასოდეს ივიწყებდა წარსულს. აღორძინების ეპოქის მსაგვრები, ფილოსოფოსები, მწერლები და სხვა ღარგის სპეციალისტები თავიანთი იდეალებს ანტიკურ ხანაში ეძებდნენ. XVII-XVIII საუკუნეების ინგლისელი მეამბოხეებიც დიდ ინგერესს იჩენდნენ ლეგენდებისა და ძველი მსოფლიოს ისტორიისადმი.

კაცობრიობამ განუთიარების ნამდვილად მაღალ დონეს მიაღწია. ბუნებრივია და გასაგები აღაშიანის სწრაფა უიბიკის, ქიმიის, ეკონომიკისა და სხვა თანამედროვე ღარგებისადმი, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ წარსულის ათვისების გარეშე შეუძლებელია აწმყოს აშენება, მომავალზე ოცნება. ასე რომ, ისტორია მართლაც დიდი მეცნიერებაა, იგი აღგენს ფაქტებს, მოვლენებს, რაც მკვლევართა ხანგრძლივ და გულმოდგინე შრომას მოითხოვს.

აკადემიკოსი ალექსანდრე კაქლანი თვლის, რომ ვისაც სურს იყოს წიგნიერი, ნამდვილად განათლებული პიროვნება, ვინც ცხოვრებაში სიმართლეს ეძებს და ყველასათვის სიკეთე სურს, ვალდებულია შეისწავლოს წარსულის მეცნიერება – ისტორია. სწორედ ისტორიის შეცნობისა და მისი გარკვევის სურვილმა ჩამოიყვანა 1831 წელს საქართველოში გამოჩენილი შეიეცარიელი მეცნიერი დიუბუა დე მონაქრე და აქმევიანა: „Грски болес или менсес заимс-твовали некотерые черты свой образованности от тех, кого они называли варварами:.. Хочу своими глазами увидеть тот сильный народ, который с начала истории вошел в прямые отношения со всеми остальными нациями и, не покидая данную PROVIDENIEM землю, воспринял и провел у себя все новос из Азии и Европы...

Эту нацию, как обвиняющуюся вокруг старого ветвистого ствола виноградную лозу, часто трепетала, потрясала, была буря, но вырвать из земли не смогла“.

სწორედ ამის დადასტურებაა ჩვენი ნაშრომი და იმის ცხადყოფაც, რომ მიუხედავად ჩვენს კუთხეზე დაწერილი წიგნების სიმრავლისა, კვლავ ბევრი ვექონია საკვლევ-საოქმელი, კვლავ ბევრი რამ არის უცნობი და მივიწყე-ბული, რომელთა მოძიებაში, შესწავლაში და მკითხველისა-დმი მიწოდებაში ვიხელმძღვანელებ ილიასეული მრწამსით: „ერის დაცემა იწყება იქიდან, სადაც თავდება წარსულის სსოენა“.

და კიდევ ამ წიგნის ავტორის მოკრძალებული სგრი-ქონები:

Нет, я петь и в слезах не устану,  
Улыбнусь и в ненастную ночь,  
Без надежды надеяться стану,  
Жить хочу! Прочь печальное, прочь!

Когда умру, на свете запылают  
Слова, согретые моим огнем,  
И пламень, в них сокрытый засияет,  
Горст он будет ночью и днем!

მაღლობა აჭარის ხელისუფლებას იმ ნაშრომების გამო-ქვეყნებაში დახმარებისათვის, რომლებიც ასე სჭირდება ჩვენი კუთხის, ჩვენი ერის წინსვლას.

თავი I

ახვრია  
ხაყყყა

## აჭარის აბაშიკეთა პირველი სიბელი 500 წლისაა

ლენინგრადის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის პოლიტიკური ფაკულტეტის სარედაქციო განყოფილებაზე სწავლისას საშუალება მომეცა გაცნობოდი სახელგანთქმულ კულტურულ-საგანმანათლებლო კერებს, შევხვედროდი იქ სასწავლებლად ასპირანტურაში მყოფ ჩვენს თანამემამულეებს. მათთან ერთად ის სამეცნიერო დაწესებულებებიც მოვინახულე, სადაც იშვიათი ქართული ხელნაწერები ინახება. 1961 წელს გავიგეთ იმ საბუთების არსებობის შესახებ, რომლებიც მაჭახლის ხეობას ეხებოდა. დაინტერესებულ პირთ ზოგი რამ მეც ვუთხარი, ჩამოვეუთვალე სოფლები, მატერიალური კულტურის ძეგლები. ვთქვი ადგილმდებარეობასა და მოსახლეობაზეც.

მაშინ გავიგე, რომ მაჭახლის ხეობასთან დაკავშირებულ საბუთებს იკვლევდნენ და გამოსაქვეყნებლად ამზადებდნენ მეცნიერები, მათ შორის საურმაგ კაკაბაძეც. მეც მოლოდინში ვიყავი, თვალყურს ვადევნებდი, არაფერი გამომრჩენოდა. ასე ვნახეთ ტბეთის, ანუ მაჭახლის სულთა მატთან და მაჭახლის წყალობის წიგნი, ანუ სიგელი, რომლის გამართული ტექსტი ასეთია:

„ქ. მე, ბატონმა მაჰმად-ბეგ და ბატონმა და ბატონისშვილმა, ბატონმა მარიამ და ბატონმა ფარათ-ბეგ გიბომეთ და დაგიწერეთ ესე წიგნი წყალობისა შენ, ფარიმუხსიშვილისა ბეროასა და პაპულასა და თქვენსა ძმასა ირისასი.

ორი გლეხი მისი მამულითა, მისი ნაქონი მამული სახასოთი, მათით დედულითა და მამულითა. მისის წყალითა და წისქვილითა, მისის შესავლითა და გამოსავლითა, მისის სამართლიანით ყოვლითურთ.

ირისასი ქანიდარას ძმა გიორგაი ცოლითა და შვილითა შინეთ მოსამსახურეთ მოგვიცემია. რამე არა ეთხოვებოდეს რა მაჭიხელისი.

ერთი კარგი გლეხი გქონდეს მკვიდრათა და გაუშლელადა. არასოდეს მოგეშალოს ჩვენს ერთგულათ სამსახურშია“. სიგელს ხელს აწერენ „მაჰმად, მარიამ, გიორგი“. იგი დაწერილია მხედრულით, გატანილია სამხრეთ-დასავლეთ საქართველოდან და პირველად ქვეყნდება ორივე ენაზე. კომენტატორი საურმაგ კაკაბაძე დასძენს, რომ პალეოგრაფიული და სხვა მონაცემებით, ძეგლი XV საუკუნის მეორე ნახევარს, კერძოდ, 1470-1480 წლებს განეკუთვნება. თვით კრებულსაც სათაურად აწერია „ლოკუმენტი

IX-XV ვეკოვ“. ბგერა ი-ს ხშირი გამოყენების მიხედვითაც, ამ მხარეშია შედგენილი და, ეტყობა, თვით მემედ ბეგის მიერო. „თურქების მიერ ამ მხარის დაპყრობისთანავე (1474), მემედ ბეგმა, პირველმა ქართველებს შორის, მიიღო მუსლიმანობა და ამის გამო თურქეთის მთავრობამ მამულები მას სანჯაყის სახით დაუმტკიცა“, – ნათქვამია იქვე.

1994 წლის 15 თებერვალს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნდა ჩვენი წერილი „რას მოგვითხრობს სანჯაყ-ბეგ აბაშიძეთა საგვარეულო ბეჭედი“, აქ ვწერთ: „ზაქარია ჭიჭინაძის „ქართველების გამაჰმადიანებაში“ ვკითხულობთ, რომ ახლანდელი ქედის რაიონის სოფელ აგარის მკვიდრ უზეირ-ალა დევაძეს მისთვის უცნობებია: აჭარაში გამოლაშქრების მიზნით, ოსმალები სარფს გაღმა, მაკრიალში დაბანაკდნენ. აჭარის ერისთავებმა მოითათბირეს და მშვიდობიანი გარიგება ამჯობინეს. ხარკი შეეპირდეთ, კეთილმეზობლობაზე დაეფიცოთ, წავლენ და შემდეგ ისე მოვიქცეთ, როგორც გვენებოსო, – უთქვამს ბათუმში იმერეთიდან გადმოსულ კახაბერ ერისთავს“.

იქვე დავსძენდით, რომ ჩვენი აზრით, ეს უნდა მომხდარიყო XV საუკუნის 70-იან წლებში. ამის მტკიცების საფუძველს გვაძლევს იტალიელი მოგზაურების იოსაფა ბარბაროსა და ამბროჯიო კონტარინის მიერ 1472-1474 წლებში აჭარაში ყოფნისას გაკეთებული ჩანაწერები: ეს მხარე ათაბაგების საბრძანებელია, ოსმალების საზღვარზეა და ხარკს უხდის მათო. ამას დაეუმატოთ ის, რომ მკვლევარების – ლეონიდე ვილკენსკის, ილია კალფოლლუსა და სხვათა ცნობით, „1483 წელს კახაბერს ტერიტორია ჭოროხსა და ბათუმს შორის დამოუკიდებლად გამოუცხადებია“, რასაც 1946 წელს დაწერილი იუსუფ აბაშიძის მოგონებაც ცხადყოფს. ამრიგად, მაჰმად სანჯაყ-ბეგი იგივე კახაბერ აბაშიძეა, რომელსაც ეს სახელი თვით ოსმალთა ჯარის სარდალმა თავისი სახელის პატივსაცემად შეარქვა და მემედს ნიშნავს. ამიტომაა, რომ აბაშიძეებში მემედი, მარიამი და გიორგი თაობიდან თაობებს გადაეცემა, ანუ მემედება. მაგალითად, 1520-1553 წელს მოღვაწე მემედ აბაშიძეს გიორგი ერქვა. დასტურდება ისიც, რომ ოსმალები პირველ ხანებში ოჯახის უფროსის გამაჰმადიანებისას, მეუღლისა და შვილების მიერ სჯულის შეცვლას არ მოითხოვდნენ. ჩვენი მხარის, კერძოდ, მაჭახლის ხეობის მცხოვრებლები შეძლებულად ცხოვრობდნენ, რომ სიგელში მოხსენიებული საკუთარი სახელები – მარიამი, გიორგი, პაპუნა, ბეროა, ირისასი – უცვლელად, თუ ვარიანტების სახით ფიგურირებენ ხსენებულ სულთა მატიანეში, რომლის ძირითად ნაწილს XI-XIII საუკუნეებს მიაკუთვნებენ.

აბაშიძეთა ამ პირველი სიგელის მნიშვნელობა იმითაცაა საყურადღებო, რომ გვიდასტურებს ხეობის თავდაპირველ, უფრო ძველ სახელწოდებას და ეტიმოლოგიის ახსნაშიც გვეხმარება.

ხეობის დღემდე ცნობილ უძველეს სახელად მიჭიხიანს მიიჩნევენ. ამას განაპირობებდა ის, რომ საბუთი, რომელშიც იგი მოხსენიებულია, კერძოდ, „სამცხე-საათაბაგოს მღვდელთმთავართა სამრევლოს აღწერა“, XVI საუკუნეს განეკუთვნება. ამდენად, ეს სახელწოდება ამ საუკუნეს არ სცილდებოდა. აბაშიძეთა წყალობის წიგნი კი, რომელშიც ფიგურირებს „მაჭიხელისი“, როგორც ითქვა, XV საუკუნის 70-80-იან წლებს განეკუთვნება. ასე რომ, მეტი თუ არა, ერთი-ორი საუკუნით მაინც ძველია.

მეორე უმნიშვნელოვანესი ღირებულება აბაშიძეთა წყალობის წიგნისა ისაა, რომ მაჭიხელის მოხსენიებით მტკიცდება აზრი ხეობის სახელწოდების მიმდინარეობისა სიტყვებიდან – მაჭი და ხელი, რაც წარმოებულია ხეობის გეოგრაფიული მდებარეობითა და რელიეფის თავისებურებით – იგი თითებგაშლილ ხელს, მკლავს მოგვაგონებს.

აბაშიძეთა პირველსიგელი გარკვეულ წვლილს შეიტანს ჩვენი მხარის შუა საუკუნეების ისტორიული საკითხების კვლევაში (წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ 2002 წლის 23 მაისს).

## აჭარაში გამაჰალი აბრეშუმის გზები

ამ მაგისტრალმა ევროპისა და აზიის ქვეყნების გაცხოველებული ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც, რომ მთელი მსოფლიო ჩაერთო მის ამოქმედებაში. ამ უმოკლესი გზით, საქართველოს გავლით, წყნარი ოკეანის, იაპონიისა და ჩინეთის სანაპიროდან ატლანტიკის ოკეანის, პორტუგალიის პორტებამდე მოხდება სხვადასხვა ტვირთის არნახული გაცვლა-გადაზიდვა.

ამ უდიდესი სავაჭრო-სამრეწველო და ტურისტული დანიშნულების მაგისტრალის ამოქმედება დააჩქარა აზერბაიჯანისა და ყაზახეთის ნავთობის ახალი უმდიდრესი საბადოების აღმოჩენა-დამუშავებამ. ეს ყველაფერი ახლა მსოფლიო პოლიტიკის ცენტრშია. იმართება მაღალი დონის შეხვედრები, სემინარები, თათბირები, მიმდინარეობს გამოკვლევები, ბევრი იწერება გაზეთებში, ტელევიზიის ეკრანსაც არ სცილდება ეს თემა, გამოიცემა წიგნები და ილუსტრირებული ალბომები.

აბრეშუმის დიდი გზა უძველესი დროიდან არსებობს. საქართველოს მონაკვეთი სახმელეთო-სამდინარო და საზღვაო სისტემად ჩამოყალიბდა. უნდა ითქვას, რომ ამ გზით, ხალხთა მიგრაციაც ხდებოდა. ეს შეეხებოდა როგორც აღმოსავლეთ-დასავლეთის, ისე ჩრდილოეთ-სამხრეთის მიმარ-

თულებას. ყველა შემთხვევაში გზა საქართველოზე გაივლიდა. ამის შესახებ მე-19 საუკუნეში საგანგებოდ შენიშნავდნენ პეტრე უსლარი, დიმიტრი ბაქრაძე და სხვები.

1672 წელს ჟან შარდენის აჭარისა და თბილისის გავლით აღმოსავლეთში მოგზაურობასთან დაკავშირებით მზია მაგალობლიშვილი წერს: „გეგმაც და მარშრუტიც კარგად ჰქონია მოფიქრებული და შედგენილი... მას, როგორც ჩვენი ისტორიის კარგ მცოდნეს, უჭკველად ეცოდინებოდა, რომ ამიერკავკასიაზე გადიოდა მთელი მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სავაჭრო გზა, რომელიც ოდითგანვე აკავშირებდა დასავლეთისა და აღმოსავლეთის ქვეყნებს. გვიან შუასაუკუნეებში ევროპა ცდილობდა ამ ტრასის გამოცოცხლებას (ჟ. შარდენი, მოგზაურობა, გვ. 12). ამას პროფ. ა. პოლიევკტოვიც ადასტურებს – იგი მიიჩნევს, რომ კავკასიაზე ევროპელებმა ე.წ. „აღმოსავლეთის საკითხის“ გამოც გაამახვილეს ყურადღება და როგორც პოლიტიკურ, ისე ეკონომიკურ ობიექტად აქციეს, რამაც გააძლიერა ევროპელთა მოგზაურობა აზიაში საქართველოს გავლით.

ამ გზამაც გააღვივა ბერძენთა ინტერესი საქართველოსადმი, რომლებიც ოქროს საწმისის ხელში ჩაგდების სურვილმა მოიყვანა აქ, ძვ.წ. VIII-VII საუკუნეებში. ამ ამბის აღმწერი აპოლონიოს როდოსელი ძვ. წ. III საუკუნეში იმასაც წერდა, რომ „ამათ (კოლხებს) შენახული აქვთ თავიანთ მამათაგან ნაწერი კირბები, რომლებზეც ირგვლივ მოგზაურებისათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი. ამასთან დაკავშირებით, გერმანელმა მეცნიერმა კარლ რიტერმა თავის „ქვეყანათმცოდნეობის ისტორიამში“ ხაზგასმით აღნიშნა: კარტოგრაფიული ხელოვნების გამოგონების პატივი და დიდება სრულიადაც არ ეკუთვნის მცირე აზიის ბერძნებს. იგი ბევრად უფრო ადრე ხმარებაში ყოფილა კოლხეთის მოგზაურ ვაჭართა შორის“ (აბ. როდოსელი, არგონავტიკა, თბ., 1970, გვ. 269; ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევები, თბ., 1890, გვ. 124), აკად. გიორგი მელიქიშვილის მიხედვით, კირბები კოლხეთის სამეფოს კუთვნილებაა (კ ისტორიი დრეკენი გრუზიი, თბ., 1959, გვ. 215).

აჭარაში გამაველ აბრეშუმის გზებზე სომეხმა მეცნიერებმა ადრევე გაამახვილეს ყურადღება, რაც იმანაც განაპირობა, რომ ეს გზები მათ სამშობლოსთანაც იყო დაკავშირებული. აკად. იაკობ მანანდიანი იმოწმებდა ინგლისელ მეცნიერ მაგაფის, რომელიც იუწყებოდა, რომ შორეული აღმოსავლეთიდან მომავალი ჩრდილოეთის საქარაენე გზა აღწევდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებს ბათუმთან და ტრაპიზონთან ახლოს. უფრო ქვემოთ კი გაივლიდა სირია-ეგვიპტეს, ამიტომ იყო, რომ გააძლიერეს თავიანთი გავლენა ჩრდილოეთის, ანუ შავი ზღვის აუზის ქვეყ-

ნებზე და აქ ინტერესი გაიჩინეს ბერძნებმა, შემდეგ რომაელებმა, სპარსელებმა და სხვებმა. მანანდიანი იმასაც დასძენს, რომ აბრეშუმის გზაში ჩართვა, ამ გზის გამოყენება ხელს აძლევდა კოლონისტ ბერძნებს. მათი მიმოსვლა იწვევდა შავიზღვისპირა ქალაქების განვითარებას, ქონების დაგროვებას, ვაჭრობას. მისივე ცნობით, ბათუმისაკენ მიმავალი აბრეშუმის გზა გამოიყენა გახმაურებული პონტოს სამეფოს გამგებელმა, განთქმულმა მითრიდატე პონტოელმა – მომხდური რომაელების წინააღმდეგ ახალი ომის დასაწყებად, არტანუჯიდან ჭოროხს გამოჰყვა და ბათუმიდან სებასტოპოლში გადავიდაო (ი. მანანდიან, ო ტორგოვლე ი გოროდახ არმენი ე სვიაზი ს მიროვოი ტორგოვლეი დრეენიხ ერემიონ, ერ., 1954, გვ. 55-56; ვესტნიკ დრეენი ისტორიი, მ., 1940, №3-4, გვ. 100).

ბათუმიდან აბრეშუმის გზის მთავარი ძარღვი ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში (სტამბოლი) გადიოდა. კ. მარქსისა და ფრ. ენგელსის თქმით, ეს ქალაქი იყო ოქროს ხიდი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, მათი ექსპანსია დასავლეთ საქართველოში, კერძოდ, აჭარაში ამითაც იყო განპირობებული. მათივე ცნობებით, გაჰქონდათ ინდოეთის ბრინჯი, ქსოვილი, პილპილი, ქათამი, ტკბილეული, ძვირფასი ქვები, მარგალიტი, მოსაწვევი საშუალებანი, სპილოს ძვლები, საღებავები, ჩინეთიდან – აბრეშუმის პარკი, მისგან დამზადებული ქსოვილები და სხვა საქონელი. შეჰქონდათ ტყვია, სპილენძი, ეგვიპტური და სირიული ქსოვილი, ალექსანდრიული მინის ჭურჭელი და ა.შ.

ავეტის ერიცოვმა თავის გამოკვლევას „ჭოროხსა და არაქსზე მიმოსვლის გზათა სისტემა“ უწოდა. აქ გარკვევით არის ნათქვამი, რომ საქარაენე გზები ჭოროხს მიუყვებოდა, აქედან სამხრეთისკენაც ეშვებოდა. ჭოროხის საქარაენე გზა მიატოვეს ქრისტეს დაბადების შემდეგ, ე.ი. ახალი ერის, ანუ პირველი ათასწლეულის დასაწყისში (სბ. სვედენიი ო კავკაზე, 1, გვ. 37. თბ., 1871).

იმჟამინდელ აჭარის დაწინაურებაზე წერდნენ აგრეთვე VII საუკუნის ისტორიკოსი ანანია შირაკაცი, პროფ. ნიკოლოზ აღონცი და სხვები.

სწორედ შირაკაცია პირველი უცხოელი ავტორი, რომელიც აჭარას, მის ცალკეულ ტოპონიმებს მოიხსენიებს. ამდროისთვის აჭარაში გამავალი აბრეშუმის გზები კვლავ აღდგა. მაშინ აფსარ-აფსაროსი-გონიო, პეტრე-ქაჯეთის ციხე-ციხისძირი ამ გზაზე მდებარე მძლავრ ქალაქებს წარმოადგენდა. აქ იყო განლაგებული რომაელი ანუ სპარსელი ჯარისკაცების შენაერთები, ციხისძირში მიმდინარეობდა სისხლისმღვრელი ბრძოლები. რომაულ „ტაბულა პეკტინგერიანაზე“, ანუ რუკაზე, რომელიც კ. მილერის გამოკვლევით, შედგენილია IV საუკუნის ავტორის – კასტორიუსის მიერ,



მაგრამ ასე იმიტომ კჳევია, რომ პევეტინგერიანმა აღწერა, შეტანილია ციხისძირზე გამავალი გზა. იგი ჭოროხთან ორად იყოფოდა. ერთი მიჳევე-ბოდა ამ მდინარეს, ხოლო მეორე ზღვისპირეთით ტრაპიზონისაკენ ეშვე-ბოდა (ს. ჯანაშია, შრომები, I, გვ. 38).

პროფ. ნოდარ ლომოურის მიხედვით, აქ გამავალ გზას ძე. წ. I ათა-სწლეულის დამლევს საეაჭროდ უკვე იყენებდნენ. ახალი წელთაღრიცხვის I საუკუნეშიც ციხისძირის გავლით სოხუმისაკენ მიემართებოდა დიდი საე-აჭრო გზა, რომელიც მოდიოდა მცირე აზიიდან და ინდოეთიდან და რომის იმპერიის პროვინციებში გადადიოდა.

აბრეშუმზე მოთხოვნილების ზრდამ ბიზანტია-რომის იმპერიაშიც გამო-იწვია ამ დარგის განვითარება. პროკოფი კესარიელის წიგნის „გუთების ომების შესახებ“, ზონარას „ანალებისა“ და თეოფანე ბიზანტიელის ამონ-აწერების მიხედვით, მეაბრეშუმეობას საფუძველი დაედო იმპერატორ იუს-ტინეს ბრძანებით, ანუ VI საუკუნის 50-იან წლებში. აბრეშუმი ბიზანტიაში ჩუმად სპარსს შემოუტანია (ეოსტოჩნი ტურკესტან ი სრედნაია აზია, მ., 1984, გვ. 119). სხვათა შორის, აბრეშუმი მაშინ აჭარაშიც გავრცელებულა.

ქარავენებს აბრეშუმი, ფაიფური, სხვა ნაწარმი, ცნობები იქაურთა ყოფასა და კულტურაზე მოჳქონდათ ჩინეთის ოლქ სინიძიანიდან, შემდეგ ინდოეთიდან შუა აზიის, აზერბაიჯანისა და ირან-სომხეთის გამოვლით, საქართველოდან კი რამდენიმე მარშრუტით ევროპისაკენ მიემართებოდა. მოგვიანებით მეაბრეშუმეობა ირანში, შუა აზიაში და აზერბაიჯანშიც დამკვიდრდა, რამაც უფრო საიმედო გახადა აბრეშუმის მაგისტრალი.

აზერბაიჯანიდან აბრეშუმით, ბამბითა და სხვა საქონლით დატვირ-თული ქარავენები მცხეთაში იყრიდნენ თავს და აქ ქვეყნის შუაგულით დასავლეთისაკენ მიემართებოდნენ, მცირე შტო ბორჯომ-აჭარისწყლის ხეობით უშუალოდ ბათუმისაკენ მოდიოდა, ინდოეთ-ირან-სომხეთის მარშ-რუტი ჯაეახეთ-მესხეთისა და შავშეთის გამოვლით ასევე შემოდიოდა აჭარის ზღვისპირეთში.

პირველი საუკუნის განთქმული გეოგრაფის, დედით ჭან-ქართველის სტრაბონის ცნობით, მაშინ დიოსკურიაში (სოხუმში) 70 ენაზე ვაჭრობდნენ. აქ ისე, როგორც ბიზანტიაში, აბრეშუმი ჩვენი მხრიდან შეჳქონდათ. ი. მან-ანდიანი 1940 წელს დასძენდა: „პირველი საუკუნიდან მოყოლებული, ოლთის-არდაგანიდან მდინარე აფსარ-ჭოროხზე გამოივლიდა აბრეშუმის საქარავენე გზა, ანუ ართვინ-ბათუმის გზა დიოსკურია-სებასტოპოლისამდე აღწევდა“. ეს მარშრუტი მოდიოდა ინდოეთ-სპარსეთიდან, გამოივლიდა სომხეთს და კოლა-ოლთის-ართვინით მიუყვებოდა ჭოროხს, ბორჩხიდან ეშ-ვებოდა მარადიდში, საიდანაც ერგე-ჯოჭო-ახალშენის ყრუ ხევით, ახლა


რომ ხეყრუ ეწოდება, ბათუმში შემოდრიოდა, აქ უერთდებოდა ცენტრალურ მარშრუტს, რომელიც ფოთი-სოხუმის გავლით ჩრდილო კავკასიაში, ანუ კიმერია-სკვითეთ-ადიღე-ჩერქეზეთში გადადიოდა.

ჩვენი დაკვირვებით, მასალათა ანალიზის საფუძველზე ნათელი ხდება, რომ ახალშენიდან ახლანდელი ორთაბათუმის გადავლითაც ჩაქეში ჩადიოდნენ, რაც უფრო მოკლე და საიმედო გზა იყო. ამას აბრეშუმის გზის მეორე მარშრუტიც გვაფიქრებინებს, რომელიც ასევე აჭარას მოიცავდა. პროფესორ ს. ერემიანთან ვკითხულობთ: აბრეშუმის მეორე გზა სომხეთიდან გოდერძის უღელტეხილზე გადაივლიდა და მდინარე აჭარისწყალს ჩაქვის მთის მწვერვალამდე დაყვებოდა, აქედან ჩაქვისწყალს დაბლობში ერთვოდა ის გზა, რომელიც ტრაპიზონიდან მოდიოდა ზღვის სანაპიროზე სებასტოპოლის-დიოსკურიამდე და შემდეგ ჩრდილოეთ კავკასიაში გადადიოდა. აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი ხაზს უსვამდა არსიანზე გამავალი მნიშვნელოვანი კომუნიკაციების არსებობას და „არსიანის კარებს“ უწოდებდა.

ამდენად, ესაა აჭარაში გამავალი აბრეშუმის გზის მეორე მარშრუტი, რომელიც ახლანდელი ქედის რაიონის სოფელ ახო-წონიარისამდე აღწევდა. აქედან კი მართლაც უმოკლესი გზით, ჩაქვისთავის აყოლებით ზღვისპირა მთავარ გზას უერთდებოდა. ეტყობა, მახუნცეთ-ზუნდაგის ტრასასაც იყენებდნენ, საიდანაც მთა მტირალას გავლით, ასევე ჩაქეში ჩადიოდნენ. ზუნდაგაში დასტურდება კულტურული ცხოვრების ძველი ნიშნები – ეკლესიის, სასტუმროს, ბიბლიოთეკის ნაშთები, არქეოლოგიური მონაპოვრები, განსწავლულ ადამიანთა კვალი, რასაც წარმოშობით იქაური კინოდოკუმენტალისტი სერვეთ ვერძაძე იკვლევს.

აჭარიდან აბრეშუმის გზის შტო სამხრეთისაკენაც მიემართებოდა და ჭან-ხალიბთა მთავარ ქალაქ ტრაპიზონს აღწევდა. ჩვენს მხარეში შემორჩენილი თადიანი ხიდები, რითაც იგი მთელ კავკასიასა და სხვაგანაც გამორჩეულია, ასევე ცხადყოფს საერთაშორისო საქარავენე გზების არსებობას უძველესი დროიდან.

აი, ამიტომაც აჭარაში უფრო მეტი თაღოვანი ხიდი, ვიდრე მთელ საქართველოში ერთად აღებული, ამიტომაც აქ მრავლად მოპოვებული ბრინჯაოს ცული და ლითონის სადნობი ღუმელების ნაშთები, ბაბილონ-შუმერების, ასირიელების, ხეთების, ურარტუელებისა და სხვათა კვალი ტოპონიმია-გვარსახელებსა და ეთნოგრაფიაში. ერთი უცხოელის ცნობით, სხალთის ტაძარში წირვა-ლოცვა 14 ენაზე სრულდებოდა. უცხოელი ვაჭრებისათვის აქ ქარვასლაც აეგოთ. ყველგან იყო წყარო, გზების მაჩვენებელი ნიშნები, მოკირწყლული გზები, გზა-კიბე ხელოვნური ღრანტებითა და ფილებით, ქვის წყალსადინარები, გადებული გზების ქვეშ, რაც შენი-



ორთაბათუმის თალოვანი ხიდი

შნეს დ. ბაქრაძემ, ნ. მარმა, თ. სახოკიამ, ვ. ვრადიმ, ნ. კვეზერელი-კობაძემ, შ. ვარშანიძემ და სხვებმა. დღემდე უხვად შემორჩენილია ზღვისპირა წყაროები, აქაა გზის გასარკვევი სვეტები, რაზეც იუწყებოდნენ დ. ბაქრაძე, თ. სახოკია და სხვები.

აღმშენებლობა აჭარაში ფართოდ გაუშლიათ მეფე გორგასლის შვილებს, VIII-IX საუკუნეებიდან კი იგი მასობრივი გამზდარა, რასაც პაულე ინგოროყვა საგანგებოდ შენიშნაედა. სხვაგვარად არც აბუსერისძეთა სახელოვანი წარმომადგენლები იქნებოდნენ, მათ შორის აჭარის ერისთავთერისთავი, მწერალი, ფილოსოფოსი და ასტრონომი აბუსერისძე ტბელი, რომლის ნაწარმოებში სამშენებლო ტერმინების უხვად მოხსენებას აკად. ივ. ჯავახიშვილი იმის დადასტურებად მიიჩნეედა, თუ როგორ იყო განვითარებული სამშენებლო საქმე არათუ აჭარაში, არამედ მთელ საქართველოში.

აბრეშუმის გზამ აჭარაში გენუელებიც მოიყვანა. არაბებმა 18-წლიანი ომის შედეგად, 755 წელს ხელთ იგდეს საქართველო და ბიზანტიის ორიენტაციის ფეოდალებიც ჩამოიცილეს. ამან, რასაკვირველია, შეასუსტა და

გარკვეულ პერიოდში კიდევ შეწყვიტა ალებ-მიცემობა აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის საქართველო-ამიერკავკასიის მეშვეობით. IX საუკუნის შუა ხანებში ერთგვარად გამოცოცხლდა რიგი საეაჭრო გზები, – წერს აშოტ აბრამიანი. 1881 წელს ყარსის ოლქის სოფ. ველის ძველ ეკლესიაში დიმიტრი ბაქრაძეს ამოუკითხავს 954-968 წლების ქართული წარწერა „პატრი პოლიკარპე მონთოელი“. აქედან გამომდინარე, – დასძენდა მეცნიერი, – ბევრი ასკენის, რომ ისინი ბათუმიდან მდ. ჭოროხის გავლით მიემართებოდნენ, ამ გზას იქ მოპოვებული მადნის გასატანადაც იყენებდნენო. სწორედ მაშინ უნდა იყოს აგებული ქვითკირის ხიდი აჭარისწყალ-ჭოროხის შესართავში, რომლის აქითა ბურჯი დღემდე შემონახულია. იგი პირველად ევგენი ვეიდენბაუმმა აღწერა, შემდეგ სხვებმა. მთავარმა მაგისტრალმა ჩრდილოეთით გადმონაცვლა და სომხეთიც მოიცვა. აქედან ერთი შტო ყარსის გავლით მიემართებოდა ტრაპიზონში, რომელიც კონსტანტინოპოლისაკენ და ყირიმისაკენ იყოფოდა, დვინიდან კი საქარავნე გზა თბილისისაკენ იღებდა კურსს. აბრეშუმის გზები გადიოდა აზერბაიჯანზეც. აქედანაც მოემართებოდა თბილისისაკენ, რომელიც ასევე გადმოდიოდა გოდერძის უღელტეხილს და აჭარისწყლის ხეობა – ერგე-ახალშენის გავლით, სოხუმ-ჩრდილო კავკასია-ყირიმისაკენ იღებდა გეზს, ხოლო მეორე – გონიოთი ტრაპიზონისაკენ ეშვებოდა. ჩვენს მხარეს მოიცავდა სომხეთიდან არტანუჯისაკენ მიმავალი მარშრუტიც, რომელიც ბათუმამდე იტოტებოდა. ერთნი ხიხაძირ-სხალთის ხეობას მოჰყვებოდნენ, სხვები – მარეთისას და ჭოროხისას. აღმოსავლეთის მდიდარი ქვეყნებისაკენ ლტოლვის ინტერესი ახლა იტალიელებსაც გაუღვივდათ. XII საუკუნიდან ხმელთაშუა ზღვა იქცა მთავარ საეაჭრო გზად ევროპიდან აღმოსავლეთის სახელმწიფოებისაკენ. იგი სწორედ გენუელებმა და ვენეციელებმა იგდეს ხელთ და ერთპიროვნულად განაგებდნენ, ვიდრე არ გაიხსნა ინდოეთის საეაჭრო გზა აფრიკის შემოვლით და არენაზე არ გამოჩნდნენ თურქები. ალებ-მიცემობა დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის გაძლიერდა მონღოლების ხელშეწყობით. ამან შავ ზღვაზე, ანუ ამიერკავკასიაში გამავალი საქარავნე გზები გამოაცოცხლა. აქედან გამომდინარე, საეაჭრო ქალაქები – გენუა და ვენეცია შეეცადნენ გაღწევას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროებისაკენ, ანუ დასავლეთ საქართველოში თავიანთი გავლენის დასამყარებლად. 1142 წელს ბიზანტიის იმპერიასთან ხელშეკრულების გაფორმებასაც შეეცადნენ, მაგრამ იმპერატორმა იოანე კომნენოსმა უარი უთხრა. საწაღელს 1155 წელს მიაღწიეს, მაგრამ მხოლოდ 10 წლის შემდეგ დართეს ნება ევაჭრათ კონსტანტინოპოლის გარეუბნებში. 1260 წელს გენუამ ბიზანტიას ხელი მოუმართა ლათინურ იმპერიასთან ბრძოლაში, რისთვისაც ტერიტორიაც

გამოუყვეს და ყველა ნავსადგურში ვაჭრობის ნებაც დართეს. 1266 წელს კაფაში (ყირიმში) დააარსეს კოლონია, ხოლო 1357-1365 წლებში ხელთ იგდეს ბალაკლავა და სოგდიანა, რითაც საფუძვლიანად მოიმაგრეს ფეხი და ამით შავ ზღვაზეც გაბატონდნენ. თუმცა არაერთი შეტაკება მოუხდათ ადგილობრივ ხანებთან და ერთმანეთშიც. ამის შემდეგ საქართველოს სანაპიროსაც მოედნენ. აქ გენუელთა მნიშვნელოვან სავაჭრო ცენტრს სოხუმი წარმოადგენდა. მათ 1354 წელს ამ ქალაქში საკონსულოც გახსნეს. საქონელი გაჰქონდათ სამსონში, ტრაპიზონში, ეეროპაში, საქართველოსა და ჩრდილო კავკასიაშიც. ეს იყო დამარილებული და მშრალი თევზი, ხიზილალა, ზაფრანა, ფუტკრის ცვილი, ხორბალი, ღვინო, ხილი, ბამბის ქაღალდი, ტყავი, ხე-ტყე, სპილენძი, ვერცხლის მადნეული და სხვა, რაც ძირითადად სხვადასხვა ქვეყნებიდან მოჰქონდათ. მნიშვნელოვანი ყოფილა ვაჭრობა მონებით, რომლებიც მეტწილად ჩერქეზეთიდან და სამეგრელოდან მოჰყავდათ, - ნათქვამია ვენეციელი ელჩის ლორენცო ბერნანდოს 1592 წლის ანგარიშში, ხოლო მეორე ელჩს ვინჩენცო დილექსანდროს 1572 წელს სულთნის სასახლეში მრავლად უნახავს ჩერქეზი და ქართველი ქალები. მათივე მონაცემებით, მონათვაჭრობას შავი ზღვის აუზში საერთაშორისო მნიშვნელობა ჰქონია. განსაკუთრებით ძვირად ფასობდნენ ჩერქეზთა ტანწერწეტა ასულები.

კათოლიკე გენუელები ყირიმის თათრებსა და თურქებსაც უკრძალავდნენ მონების გადაყვანასა და იარაღის გადაზიდვას თურქეთში. 1938 წელს მოსკოვში გამოშავალ კრებულ „ისტორიჩესკიე ზაპისკის“ №3-ში გამოქვეყნებულ ნარკვევში ე. ზევაიანი და ნ.პანჩენკო არაფერს ამბობენ გენუელთა კოლონიის არსებობაზე გონიოში. ცნობილია, რომ აქ დააარსეს ბაზა, მაგრამ მოგვიანებით. ამან ზოგიერთს აფიქრებინა, ამ ადგილს ასე ამიტომაც ეწოდაო. გონიოს კი მოიხსენიებს XIII საუკუნის არაბი მოგზაური ჰაჯი კალფა. გონიო ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან, რაც კუთხეს ნიშნავს (იხ. ჩენი, აკად. თ. უსპენსკი გონიოს შესახებ).

1453 წლის 4 ნოემბერს თურქულმა ტომებმა ბიზანტიის მშვენიერი დედაქალაქი კონსტანტინოპოლიც აიღეს და ამით გენუელები შავი ზღვის აუზიდან გააძევეს. მართალია, გენუელები ექსპლოატატორები იყვნენ, მაგრამ ერთგვარი სარგებლობა კავკასიელებისთვისაც მოჰქონდათ, მით უმეტეს, რომ თურქებმა შავი ზღვა ჩაკეტვით მკედარი გახადეს და დაპყრობითი ომები გააჩადეს. დიდებული აბრეშუმის გზები, ანუ მსოფლიო აღებ-მიცემობა კავკასიის საშუალებით აღმოსავლეთ-დასავლეთს შორის და პირიქით, სწორედ ამ დროიდან მოიშალა, დავიწყებას მიეცა. თუმცა ინგლისელ კონსულ ჯიფორდ პალგრევის ცნობით, XIX საუკუნის შუა ხანებში

ნახიჭევანელ და თავრიზელ ვაჭრებს აბრეშუმი გოდერძისა და ხიხაძირის გზებით ბათუმში მაინც შემოაქონდათ. იგი იმასაც დასძენდა, რომ აბრეშუმის პარკს ადგილზეც ამზადებდნენ.

გენუა – ვენეციელების, ანუ რომაელების საქმიანობა აჭარაში გააშუქეს აგრეთვე ლუკა ისარლიშვილმა, ევგენი ვეიდენბაუმმა, თამაზ ბერაძემ და სხვებმა. ბერაძის მიხედვით, ვენეციელები კონსტანტინოპოლში 1082 წელს დამკვიდრებულან, მაგრამ სამსონში 1212 წელს მოსულან. გენუელები კონსტანტინოპოლს 1169 წელს მოადგნენ, მერე კაფას, ფეოდოსიას, საქართველოში კი 1280 წლიდან გამოჩენილან. აქ მათი მთავარი სავაჭრო ქალაქნავსადგურები ყოფილა ბათუმი, ფოთი და ცხუმი. აბრეშუმს ძირითადად ჩინეთიდან, მცირე აზიიდან, ამიერკავკასიიდან და ირანიდან ეზიდებოდნენ. 1264-1293 წლების მათ საბუთებში 30-ჯერაა ნახსენები აბრეშუმი.

1411 წელს ბათუმის მახლობლად ადგილობრივმა ფეოდალმა კონფისკაცია უყო აბრეშუმის დიდ პარტიას, რომელიც სომეხ ვაჭარს გილანიდან ტრაპიზონში მიჰქონდა. შემახელი ვაჭრები აბრეშუმით ჩვენს ქალაქში 1444 წელსაც ჩანან. სწორედ მათ გასაძარცვავად მოვიდნენ აქ ბურგუნდიელი მეზღვაურ-მეკობრეები ჟორჟუა ლეტუაზის მეთაურობით (კრ. „მაცნე“, 1983, №2, გვ. 28, 38).

ვენეციელ-გენუელთა ნაკვალევია ს. აჭარისწყალში, მდინარეების – აჭარისწყალ-ჭოროხის შესაყართან. სწორედ აქ გადიოდა გზა, რომელიც მიემგზავრებოდა ართვინ-არტანუჯ-ერზრუმისკენ და სომხეთ-ირან-ინდოეთისაკენ. ამრიგად, საჭირო იყო დიდი ხიდის აგება, რომლის ბურჯი მარჯვენა მხარეზე, ბათუმ-ახალციხის გზის ძირში, ახლაც არის, თუმცა ვინ მოთვლის, რამდენი წყალდიდობა გადაიტანა. ეს ბურჯი 1873 წელს პირველად აღწერა ისტორიკოსმა ლ. ისარლიშვილმა. ხიდი გენუელების აშენებულად მიიჩნია, თუმცა არც ის გამოირიცხა, რომ ევროპელები მადანს ამ გზით X საუკუნეშიც ეზიდებოდნენ და შესაძლოა მაშინ ააგესო (ი. ბეჭირიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბ., 1982). ს.აჭარისწყალს გაღმა, ბორჩხის რაიონში სპილენძის საბადოს ახლაც ამუშავებენ. შესაძლებელია, სპილენძი აქედან ევროპელებს X საუკუნეშიც გაჰქონდათ, მე-19 საუკუნის დამლევსა და XX-ის დასაწყისში, ხომ ცნობილი ფაქტია, რომ აქვე, სოფ. ერგეში გადასამუშავებელი ქარხანაც ჰქონიათ.

1878 წელს აჭარისწყლის ამ ხიდის ნანგრევები მოინახულა კავკასიოლოგმა ე. ვეიდენბაუმმა. მან მოსახლეობაში დაადგინა, რომ ქვითკირის ხიდი იმხანად არნახულმა წყალდიდობამ დაანგრია (ი. ბეჭირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალთ, ბ., 1975, გვ. 37). ნიკოლოზ დერჟავინმა სწორად შენიშნა, რომ ეს ხიდი ყველაზე გრძელი იყო აჭარაში (ვსეობში ადრეს –

ეუვეგონიკ ბატუმა, 1902, გვ. 2). იგი გამოირჩეოდა სიმალლითა და გამძლეობით. აქითა ბურჯი კიდეც შემოინახა, იქითა კი მინდორსა და ფერდობზე იყო, რომელსაც აქეთ-იქიდან წყალდიდობისას ორივე მდინარე აზიანებდა. ეს მონაკვეთი ზოგჯერ ჩამონატანით იესებოდა, სხვა დროს კი ადიდებული აჭარისწყალი ისევ აშიშვლებდა. ამის მომსწრე მეც გახლავართ, აქ დავიბადე და გაეიზარდე. გენუელები დასავლეთ საქართველოში, ცხადია, იმან მოიყვანა, რომ XIII საუკუნის დასაწყისში ჩვენმა ქვეყანამ თავისი ძლიერების ზენიტს მიაღწია. დაისადგურა მშვიდობამ, დაწესდა კონტროლი ღვინ-არზრუმისა და სხვა საქარაენე მაგისტრალეებზე, რასაც ბიზანტია უკვე ვერ ახერხებდა. ბლომად იყო ნიგეზისა და წაბლის ტყეები, თაფლი, თავს იწონებდა ბინადარი მეცხოველეობა-მეფურინველეობა, მეთევზეობა, ნადირობა, შენდებოდა ეკლესია-ტაძრები, გზები, ხიდები, ქარვასლები. ჟამთააღმწერის მიხედვით, ათაბაგმა ბექა ჯაყელმა სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ძველ საზღვრებში აღადგინა ტაშისკარიდან კარნუ-ქალაქამდე, რომელშიც შედიოდა თვით სამცხე-საათაბაგო, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი, ტაო, არტანუჯი, კოლა, არტაანი და ჯაყახეთი (ჟამთააღმწერელი, გვ. 273), მეფე ბაგრატის (1360-1379) დროსაც აჭარა გონიოთი, შავშეთ-კლარჯეთი და მთელი მესხეთი საქართველოს კუთვნილება იყო. ათაბაგებმა, რასაკვირველია, გააკეთეს ის, რაც ჯერ კიდეც ძვ. წ. III საუკუნეში საქართველოს მეფე ფარნავაზმა აღასრულა – მტრებს ხელიდან გამოაცალა აჭარა ზღვისპირით. ამან აღაფრთოვანა და ძალა მისცა საქართველოს მეფე ვახტანგ გორგასალს, რომელმაც V საუკუნეში აჭარა კვლავ დედანამშობლოს დაუბრუნა. როგორც ვრწმუნდებით, ეს ტრადიცია ბექა ჯაყელმაც გააგრძელა. დავით კაციტაძისა არ იყოს, კვლავ ძალაში იყო გზებისა და ხიდების კეთილმოწყობა, მშენებლობა, აღებ-მიცემობა და მისვლა-მოსვლა შუამდინარეთსა და სხვა ქვეყნებში, მაგრამ მცირე აზიაში, ანუ ბიზანტიაში თურქების გაბატონებას შავი ზღვის ხელში ჩაგდება მოჰყვა და აბრეშუმის გზაც დაიხურა. ამიტომ იყო, რომ 1459 წელს ყვარყვარე ათაბაგმა ბურგუნდიელებსა და სხვებს თურქების წინააღმდეგ კოალიციის შექმნა შესთავაზა, მაგრამ ამაოდ. ევროპამ არც სულხან-საბა ორბელიანის მისიას დაუჭირა მხარი 1716 წელს, რის გამოც თურქებმა ის გონიოში აწვალეს, რომ არა თურქი ჩელები, უარესსაც დამართებდნენ. სხვათა შორის, ჩელები მაშინ აბრეშუმის შესასყიდად შემახაში მიემართებოდა.

ამის შემდეგ ბევრმა ქართველიმა გადაიარა ჩვენს თავზე. რა არ გადავიტანეთ და გამოვცადეთ, სანუკვარ დამოუკიდებლობასაც მივადწიეთ. ახალი მოთხოვნები, პრობლემები დააყენა ცხოვრებამ. დღეს თანა-

მეგობრობა-თანამშრომლობის გარეშე ვერ იარსებებ. საქართველო აბრეშუმის გზის აუიოქმედებლად შეძლებულად ვერ იცხოვრებს. გეოგრაფიული მდებარეობა, სტაბილურობა, ჭარბი მუშახელის არსებობა და სხვა გარემოებანი აჭარას ამ საქმეში ძლიერ დასაყრდენად ხდის. სწორედ ამან და ამასთან ერთად ბატონ ასლან აბაშიძის ინიციატივამ და ძალისხმევამ განაპირობა, რომ ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკა ერთსულლოვნად მიიღეს ევროპის რეგიონთა ასამბლეაში. ასე თანდათან ესხმება ფრთა სახელოვან წინაპართა ოცნება-მისწრაფებებს.

გვჯერა, აღიკვეთება ბარიერები ქვეყნებსა და ხალხებს შორის, ჩვენს ქალაქშიც გაიხსნება სხვადასხვა სახელმწიფოთა ცნობილი კომპანიების ოფისები, წარმომადგენლობები, საკონსულოები, აღდგება საზღვაო მარშრუტი ბათუმი-სტამბოლი-საბერძნეთი-მარსელი, რომლითაც XV საუკუნიდან მოყოლებული, უსარგებლიათ აჭარის სტუმრებს: იოან შილტბერგს, ა. კონტარინის, ა. ლამბერტის, ლუი გრანჟეს, ჟან შარდენს, მირზა ფატალი ახუნდოვს, პეტრე ჩაიკოვსკის, კნუტ ჰამსუნგს, ივან ბუნინს, სხვებს – ვაჭრებს, დიპლომატებს.

ევროპელები დაინტერესებულნი არიან აბრეშუმისა და დიდი ნავთის გზით, ალბათ, ინვენსტიციებითაც წამოგვეშველებიან ერთობლივ საწარმოთა ასამოქმედებლად მედიცინის, ტრანსპორტის, განათლებისა და კულტურის შემდგომ განვითარებაში, რაც ფართო გასაქანს შეუქმნის საერთაშორისო ტურიზმს. ბოლოს და ბოლოს, გადაწყდება თავისუფალი ეკონომიკური ზონის გახსნის პრობლემაც.

დიახ, აბრეშუმ-ნავთობის მსოფლიო გზა აამოქმედებს ქვეყნებს ჩინეთიდან ესპანეთამდე. ამ უდიდეს სატრანზიტო-სატრანსპორტო მაგისტრალში ჩაერთვება უზარმაზარი პოტენციალი, თვით ბათუმ-ფოთის შეღწეში ნავთობის ამოღების ჩათვლით. ამის გარანტი ისიცაა, რომ თბილისში მოხდა ცნობილი ამერიკული კომპანია „არკოს“ პრეზენტაცია, მისი ხელმძღვანელები მიიღო ქვეყნის პრეზიდენტმა. გათვალისწინებულია დაიწყოს მოსამზადებელი სამუშაოები.

აჭარაში გამავალ აბრეშუმის გზებზე პირველი წერილი 1997 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „აღორძინებაში“ გამოვაქვეყნეთ, უფრო ვრცელი – 1998 წლის 7 თებერვალს გაზეთ „აჭარაში“. ახლანდელი ბევრად შევსებულია. ასე რომ, ეს არის დამაჯერებელი პასუხი იმ ავტორების მიმართ, რომლებიც ამ თემაზე წერისას საერთოდ არ ახსენებენ აჭარას.



## ახალი ცნობები აფსარ-გონიოსა და ამ წმინდა მათეს მოღვაწეობის შესახებ

ცნობილმა ბიზანტიოლოგმა, აკადემიკოსმა თედორე უსპენსკიმ ჯერ კიდევ 1917 წელს გაამახვილა ყურადღება ამ რაიონისა და საერთოდ, აჭარის ზღვისპირის დიდ სტრატეგიულ-საფორტიფიკაციო მნიშვნელობაზე. ასევე პირველმა განსაზღვრა გონიოს ციხესიმაგრისა და ნაქალაქარის აგების დრო, ერთადერთმა მოიხსენია ის საუკუნე, როდესაც აფსარი უკვე გონიოდაა ფიქსირებული, მიგვანიშნა სახელწოდების წარმომავლობაზე, ამასთან შემოგვინახა სათვალთვალო-დაცვითი დანიშნულების თექვსმეტივე, ახლა არარსებული კოშკის განლაგების სქემა, ისიც, რომ აფსაროსი და აკამფსისი სხვადასხვა მდინარეები კი არა, არამედ ჭოროხის ორი შტო, ორი დინება იყო.

და მაინც, მისი ნაშრომი „კრეპოსტ ნა უსტიე ჩოროხა“, რომელიც 1917 წელს სანკტ-პეტერბურგში რუსეთის აკადემიის უწყებების კრებულში გამოაქვეყნა, ქართულ ენაზე დღემდე გამოცემული არაა, იგი ჩვენი ისტორიოგრაფიისათვის ფაქტიურად უცნობია, თუმცა მის გარეშე შეუძლებელია საუბარი აფსაროს-გონიოზე.

„ტრაპიზონის ქრონიკების“ წერისას თედორე უსპენსკი ნათლად დარწმუნდა, რომ ბიზანტია-ტრაპიზონის იმპერიებს მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო, ეკონომიკურ-კულტურული, საერთოდ მეზობლური ურთიერთობა აკავშირებდათ საქართველოსთან, განსაკუთრებით მის დასავლეთ ნაწილთან, კოლხეთთან, რომლის აქტიურ რეგიონს ბიზანტია-ტრაპიზონის იმპერიების მოსაზღვრე აჭარა წარმოადგენდა. სწორედ ამ ისტორიული ურთიერთობების ამოსაცნობად და გასაშიფრავად მეცნიერი 1916 წლის სექტემბერში ტრაპიზონიდან გონიოს ეწვია. — ციხის კედლები სოლიდურია, ქვედა წყების ლოდები თლილია. ოთხივე კედელს აქვს ალაყაფის კარები, რომლებსაც ორმხრივი კოშკები იცავენ. კედლებზე დაშენებულია აგრეთვე ორ-ორი განსაკუთრებული კოშკი, ხოლო კედლების კვეთაში არსებულ კოშკებს შიგნითა მხრიდან ქვის კიბეები აქვთ, — დასძინდა ის. ამრიგად, სულ ყოფილა 16 კოშკი, რაც მიგვანიშნებს, რომ თავდასხმა-შემოსევები არც ისე იშვიათი უნდა ყოფილიყო.

უსპენსკის მოსაზრებით, ციხესიმაგრე ხელოვნური გასასვლელით უკანა მხრიდან შეერთებული უნდა ყოფილიყო მთასთან. ამით აღკვეთილი იყო ალყაში მოქცევის საშიშროება, ამასთან, მთისძირში გამოთხრილ მაღარო-გვირაბში პროვიზიას და სხვა რამეს შეინახავდნენ.

როდის აიგო აფსაროს-გონიოს ნაქალაქარი? კითხულობდა თედორე უსპენსკი. უნდა ითქვას, რომ მან ამ საკითხებთან დაკავშირებით დამაჯერებელი არგუმენტები შემოგვთავაზა. პირველ რიგში, აჭარის ამ უბანზე არსებული პირველი ცნობების მიმოხილვის შემდეგ ასკენიდა, რომ ეს ცნობები უნდა მომდინარეობდნენ და დაკავშირებული უნდა იყოს მითრიდატესა და მის ახლობლებთან და შეესაბამებოდნენ მითრიდატეს ომების ხანას, ე.ი. ძველი და ახალი წელთაღრიცხვის მიჯნას, კერძოდ, 69-65 წლებს.

დარწმუნდნენ თუ არა შავი ზღვის ამ სანაპიროსა და მხარის სტრატეგიულ მნიშვნელობაში რომაელები, იმთავითვე შეეცადნენ აქაურობის თავიანთი ექსპანსიური ინტერესებისათვის გამოყენებას, რაც მათ საშუალებას აძლევდა არა მარტო ესარგებლა ჩვენი მიწის პოლიტიკური და ეკონომიკური სიკეთით, არამედ აქედან თავისი გავლენის სფერო მეზობელ ოლქებზეც გაეგრძელებინათ და საიმედოდაც მოეკიდათ ფეხი.

რომაელთა დაპყრობით ომებს, მათ აშკარა ექსპანსიას მედგრად აღუდგნენ წინ კაბადოკიის, ანუ მოგვიანო პონტოს სახელმწიფოს დამოუკიდებელი მეფეები, რომლებმაც ასევე იწყეს თავიანთი ძალაუფლებისა და საზღვრების გადაწევა-გაფართოება მეზობელი ხალხების, მათ შორის, მცირე აზიისა (შემდეგ ბიზანტია, თურქეთი) და სხვა ოლქების ხარჯზე. ისინი კი უკვე რომაელების გავლენის სფეროში იმყოფებოდნენ. განსაკუთრებით დიდი ხმაური მოჰყვა პონტოს მბრძანებელ მითრიდატე VI ევპატორის სამხედრო-საზღვაო პოლიტიკას. მითრიდატემ თავის ძალაუფლებას დაუმორჩილა პონტო-შავი ზღვის არა მარტო ჩრდილო სანაპიროს ქალაქები – ხერსონესი და ფეოდოსია, არამედ დაიპყრო აგრეთვე მცირე არმენია, კოლხეთი და უფრო ძლიერი ხელმწიფე გახდა. იგი ამასაც არ დასჯერდა, თავისი ფლოტი ეგეოსის ზღვაზეც გააბატონა და საბერძნეთის დედაქალაქი ათენიც აიღო შტურმით, – ნათქვამია კრებულში.

ამან, ცხადია, თავზარი დასცა რომაელებსა და ბერძნებს, შეშფოთებულმა რომაელებმა ჯარი გაამაგრეს, სათავეში ჯერ ლუკულა ჩაუყენეს სარდლად, შემდეგ ცნობილი პომპეუსი, იწყეს ადგილობრივ დიდებულთა მიმზრობა-გადაბირება, მითრიდატესაგან მათი ჩამოცილება, რისთვისაც არ ზოგავდნენ ფულს. ასეთები დამოუკიდებელ მეფეთა რანგშიც აჰყავდათ, უთმობდნენ მეზობელთა ტერიტორიებს, რამაც შეასუსტა მითრიდატეს ფლანგები და პოზიციები. განხეთქილებამაც მალე იჩინა თავი. ძველი წელთაღრიცხვის 65 წელს პომპეუსმა ასეთ ვითარებაში საქართველოს დალაშქრაც მოახერხა, დაიმორჩილა მითრიდატეს მოკავშირე კავკასიელი ტომები და კოლხეთში შემოაღწია, სადაც რომაელთა ფლოტი შეამოწმა და თავდაცვით-გასამაგრებელი ნაგებობების მშენებლობას შეუდგა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, მეცნიერი ასკვნიდა: ამ პერიოდს უნდა განეკუთვნებოდეს ჭოროხის შესართავში ციხესიმაგრის აგება. ტაციტუსის ცნობების, აგრეთვე წარწერების ანალიზი საფუძველს გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ რომმა მთელი ეს მხარე სწორედ მაშინ დაიმორჩილა მიმდებარე ოლქებით. ამის დასტურად უსპენსკი მიიჩნევს იმასაც, რომ ტრაპიზონში აღმოჩენილ უძველეს ძეგლებში მხოლოდ იმდროინდელი იმპერატორი ადრიანეა მოხსენიებული.

მაგრამ ციხესიმაგრის აშენებას მეცნიერი რომაელებს არ მიაწერდა. პირიქით, გარკვევით შენიშნავდა, რომ აფსაროსში ძლიერი, გამაგრებული სამხედრო-თავდაცვითი ბანაკის არსებობა გვიდასტურებს ადგილობრივ გამგებელთა ზრუნვას – დაეცვათ თავიანთი ქვეყანა მტრების შემოსევებისაგან ზღვიდან. ამრიგად, შესაძლებელია აფსაროსის ციხესიმაგრე – ნაქალაქარი ჩვენი წინაპრების აგებული იყოს. მეცნიერი საჭიროდ არ მიიჩნევდა პაექრობას აკადემიკოს მარი ბროსესთან, რომელიც სიმაგრის აგებას თურქებს მიაწერდა. შეცდომაში კი იგი ვახუშტი ბატონიშვილმა და „ქართლის ცხოვრებამ“ შეიყვანეს. ასე მოუვიდათ ნიკო დადიანს, ჟან მურიეს, იაკობ ჰამერს, ნიკოლოზ ღერჟავინს, ნინო შარაშიძესა და სხვებს. უსპენსკიმ ისიც შენიშნა, რომ თურქებმა გონიოს კედლებს ზევიდან მხოლოდ პატარა ქვები დააშენეს.

უსპენსკი დეტალურად აანალიზებს იმდროინდელ ავტორთა ცნობებს აფსარ-გონიოსა და ბათუმის შესახებ. შავი ზღვის უძველეს რუკებზე ახლანდელი ბათუმის ადგილას დასახლება არაა ფიქსირებული, ჭოროხის შესართავში კი აფსაროსია, პლინიუსი „ნატურალურ ისტორიასა“ და არიანე „პერიპლუსში“ (მოგზაურობა) მიუთითებენ ციხესიმაგრე აფსაროსს, მდინარეებს – აფსარსა და აკამფსისს.

„ნატურალურ ისტორიაში“ აღწერილია ტრაპიზონ-აფსარის შუა სანაპირო. კენიოზებისა და ჭანების (იგივე სან-ცანების) ხსენებისას, საუბარია მდინარე აფსარზე, რომლის შესართავშია ციხესიმაგრე ამავე სახელწოდებით. მთებს იქითაა ივერია – საქართველო, ზღვის სანაპიროზე ბინადრობენ სხვა ტომებიც, აქაა აკამფსისი და ბათი-ბათეა, ე.ი. მდინარეები ჭოროხი და ბათეა, რომელსაც ყოროლისწყალთანაც აიგივებენ.

არიანეს გარკვევით უწერია, რომ აფსარის შემდეგ გაიარეს აკამფსისი, რომელიც აფსარს 15 სტადიითაა (174,5 მეტრი) დაცილებული, ხოლო მდინარე ბათი აკამფსისიდან 75 სტადიაზეა. როგორც შევნიშნეთ, უსპენსკიმ პირველმა დაადგინა, რომ აფსარი და აკამფსისი არის არა სხვადასხვა მდინარეები, არამედ ჭოროხის ორი განშტოება, ტოტი. მართლაც პირველი განშტოება თვით ციხესიმაგრესთან ჩაედინებოდა, ახლანდელ

საავტომობილო გზას მიჰყვებოდა. ცნობილი თურქი მოგზაური ევლია ჩელები 1647 წელს მოწმე გახდა იმისა, თუ როგორ მოადგნენ ციხეს რუსი კაზაკები თავიანთი მძლავრი „ნავ-ჩაიკებით“ და შტურმით აიღეს.

მეორე ტოტი – აკამფსისი კი ბათეა-ბათუმის, ანუ კახაბრის დაბლობზე მიედინებოდა და, სხვათა შორის, ქალაქს ტბორავდა. 70-იან წლებში, ნაპირსამაგრი ჯებირის აშენების შემდეგ, ამ დინებაამაც შეწყვიტა არსებობა, რაც ბევრს ახსოვს. ასე რომ, არაზუსტნი არიან ის ავტორები, რომლებიც აფსარს ჭოროხის ქვემო დინების სახელწოდებად მიიჩნევენ, ხოლო ზედა წელს – აკამფსისად, ან ეგონათ, რომ ასე აჭარისწყალს ერქვა.

უსპენსკიმ არიანეს მიერ დამოწმებული ბათი – ბათეა სამართლიანად ჩვენი ქალაქის სახელწოდებასთან – ბათუმთან გააიგივა, რაშიც პლინიუს უფროსი და პლინიუს უმცროსიც დაიმოწმა. პლინიუს სეკუნდი, ამ სანაპიროს გუბერნატორი, იმპერატორ ტრაიანეს სისტემატურად აწვდიდა ახალ-ახალ საინტერესო ცნობებს, ხოლო არიანემ თავად მოიარა ჩვენი ზღვისპირი და ის თქვა, რაც თვალთ ნახა. ეს კი უტყუარს ხდის მათ მიერ მოწოდებულ ცნობებს.

თედორე უსპენსკი იშველიებს VI საუკუნის ისტორიკოსის პროკოფი კესარიელის ცნობებს, რომლის მიხედვით, იმპერატორ ტრაიანეს დროს რომაელთა რაზმები ჭანეთში ჩააყენეს. ეს რაზმები აფსარსა და ბიჭვინტ-აშიც იდგნენო. მრავალრიცხოვნებით გამოირჩეოდა აფსარი. კესარიელის წიგნში საუბარია აგრეთვე აფსაროსის ადგილმდებარეობაზე, რომ ესაა ვიწრო გასასვლელი, ჩაკეტილი მთებით, რაც სავსებით შეესაბამება სინამდვილეს.

აფსარი ქალაქის მნიშვნელობით მოხსენიებულია აგრეთვე ბიზანტიის VII საუკუნის „პასქალურ ქრონიკაში“. მასში ნათქვამია, რომ ჭანების ტომები სახლობენ ზღვისპირეთში აფსარამდე, ამასთან ხაზგასმულია, რომ აფსარი სასაზღვრო ციხესიმაგრეა. ამ გარემოებისათვის ყურადღება მიუქცევია X საუკუნის ბიზანტიის იმპერატორს, ენციკლოპედისტ კონსტანტინე პორფიროგენეტს (მეფობდა 913-959 წლებში). ამ რაიონის სამხედრო დანიშნულება და პოლიტიკური მნიშვნელობა იკვეთება იმაში, რომ აქაურობა მაშინაც სასაზღვრო ოლქი იყო საქართველოსა და ბიზანტიას შორის. აქედან გამომდინარე, შესაძლებელია აიხსნას ახალი ტერმინის წარმოშობა XII საუკუნეში და ეს არის გონია. ძველი სახელწოდება „აფსარ-აფსაროსი“ ამის შემდეგ რომაულ-ბერძნულ თუ სხვა წყაროებში აღარ გვხვდება. ჩვენს ხელთარსებული მასალების მიხედვით, გონია პირველად მოიხსენიება არაბი მწერლის ჰაჯი კალფას მოგზაურობაში, როგორც სასაზღვრო ოლქი, ციხესიმაგრე და პატარა ქალაქი. სხვათა შორის, გონია მოხსენიებულია „აპოკალიფსშიც“.

ამრიგად, გონია შეერქვა ადგილმდებარეობის გამო, როგორც სასაზღვრო კუთხეს, განაპირას, კუთხურა ზოლს. თვით სიტყვაც ბერძნულად ამას ნიშნავს. ამით უსპენსკიმ იმთავითვე უარყო იმათი მცდელობა, ვინც ამბობდა, რომ გონია მომდინარეობს გენუელებისაგან. ეს უკანასკნელნი აქ დროებით, გვიან გაბატონდნენ. ამით ერთგვარად საფუძველი გამოეცალა იმ აზრსაც, თითქოს XVI საუკუნის თურქეთის სულთან სულეიმანის მიერ აქ ტყავიდან ფულის მოჭრასთან იყოს დაკავშირებული, სახელწოდება გონიას წარმოშობა, რაც თურქულად ტყავს ნიშნავს.

აკადემიკოსმა უსპენსკიმ ასევე მიმოიხილა აფსაროს-გონიოს შემდგომი პერიოდები. რომაელთა წასვლის შემდეგ აქაურობა ბიზანტიელებმა იგდეს ხელთ. 504 წელს ჭანების გაბედულმა თავდასხმებმა იმპერატორი ზენონი აიძულა იარაღით დაეცვა ტრაპიზონი. აქაურობა მნიშვნელოვანი მოვლენების ასპარეზად შემდეგაც ქცეულა. 1373 წელს გონიოში ერთმანეთს შეხვედრიან საქართველოსა და ტრაპიზონის მეფეები – ბაგრათი და მანუელ დიდი კომნენი, რომლებმაც „გაიარეს ბათი“ – ბათუმი და მის გარეუბანში დაბანაკდნენ. 1377 წლის აგვისტოში კი გონიოში მომხდარა საქართველოს მეფის დავითის ქალიშვილისა და ბიზანტიის იმპერატორის მემკვიდრე ალექსის შეუღლების ცერემონიალი.

უსპენსკიმ ასევე პირველმა დააყენა საკითხი აფსარ-გონიოში არქეოლოგიური გათხრების შესახებ, რაც წარმატებით ხორციელდება.

აფსარ-გონიოთი დაინტერესებულთ ვთავაზობთ ჩვენს ნარკვევებს, რომლებიც გამოქვეყნებულა 1969 წლის 16 და 18 აგვისტოს გაზეთებში „მორიაკ გრუზი“ და „საბჭოთა აჭარა“, 2000 წლის 2-9 ივლისს „აჭარა P.S.“-ში, 2000 წლის 18 აგვისტოს, „აღორძინებაში“, აგრეთვე წერილს – „რას მოგვითხრობს სახელწოდება გონიო“ (გამოქვეყნდა 2003 წლის 20 თებერვალს გაზეთ „აჭარაში“).

1990 წელს გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში“, ვწერდით: „ცნობების მიხედვით, წმინდა მათე კოლხიდაში, კერძოდ, აჭარაში ქადაგებდა ქრისტიანობას. ეს კარგად ჩანს ღვთისმეტყველების ეპისკოპოსისა და ნიკიტა პაფლაგონიელის (IX ს.) ჩანაწერებიდან. ისინი იუწყებიან, რომ მათე მოციქულთა გუნდს შეუერთდა, იუდას ნაცვლად ქრისტიანობა იქადაგა, გარდაიცვალა და დაიმარხა პირველს ეთიოპიაში, ხოლო ძველნი ეთიოპიას უწოდებდნენ კოლხიდასაც. ეს უფრო ნათელი ხდება სოფრონისა და ილუმენის (X ს.) სიტყვებიდან. მათ ნაწერებში კვითხულობთ, რომ წმინდა მათე ქადაგებდა და დაიმარხა (63. წ. – ი.ბ.) სწორედ იმ ეთიოპიაში, სადაც არის აბსარი-გონიო. ეს ორი მდინარე ანუ ადგილი მარტო კოლხიდაშია, – წერდა ამ ცნობების მიმომხილველი ისტ-

ორიკოსი ალ. ჭყონია 1890 წელს. მართლაც, ადრე გონიოს ლეგენდარულ ციხესა და ამ მიდამოს, ზოგჯერ მდ. ჭოროხსაც აფსარი ერქვა, რაც საყოველთაოდ ცნობილია. ამდენად, იმის გამო, რომ ანდრია წმინდამ ქვემო აჭარაში ვერ იქადაგა, აქაურობას მათე ეწვია და ასე მოაქციეს მთელი ჩვენი მხარე ქრისტიანობაზე (ი. ბეჭირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, გვ. 15-16)“.

1991 წელს თბილისში შევსებული სახით გამოცემულ ჩვენს ამ წიგნში ისიც დავსძინეთ, რომ ეპიფანე პაფლაგონიელის მიხედვით, ანდრია წმინდას მესამე მოგზაურობისას ჩვენს მხარეში თან ახლდა მატათია (მათადე-მათე) მოწაფეებითურთ (გვ. 19-20).

მაშინ მოკლედ ისიც ვთქვით, რომ რუსეთის არქიმანდრიტმა მაკარიმ (1792-1847) თავის ნაშრომში „ისტორია ხრისტიანსტვა ვ როსიი“, უფრო ვრცლად მიმოიხილა ეს საკითხები და მიუთითა, რომ განმანათლებელი მათე ქრისტიანობას ქადაგებდა კავკასიის იმ რაიონში, სადაც არის აფსარი და აქვეა დამარხული (ი. ბეჭირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, ბ., 1990, გვ. 16).

ახლა ხან მოვიძიე არქიმანდრიტ მაკარის ხსენებული წიგნის 1868 წლის სანკტ-პეტერბურგის მეორე გამოცემა და როგორც საყურადღებო და საჭირო, საზოგადოებისათვის მისი გაცნობა გადავწყვიტე. მღვდელთმსახურებამდე მის ავტორს მიხეილ გლუხარევს დაუმათავრებია სასულიერო აკადემია და საეკლესიო ისტორიის პროფესორი, არქიმანდრიტი გამხდარა. რუსულ ენაზე თარგმნიდა ქრისტიანულ მოძღვრებებს, ლოცვებს, შეაგროვა უამრავი ლინგვისტური მასალა და წერდა საინტერესო სტატიებს, წიგნებს. 1974 წელს მოსკოვში გამოცემულ რუსეთში მოღვაწე თურქოლოგების ბიოგრაფიულ ლექსიკონში მაკარი მოხსენიებულია იმ მართლმადიდებელ მისიონერებს შორის, რომლებმაც მნიშვნელოვანი კვალი დატოვეს თურქულენოვანი ხალხების ეთნოგრაფიისა და ფოლკლორის შესწავლის საქმეში.

მაკარი წერდა, რომ ანდრია წმინდას მოიხსენიებს ეპისკოპოსი იპოლიტე პორტუენელი (222 წ.), აგრეთვე ცნობილი ორიგენი (200-258 წ.) და წყაროებიც მოჰყავს. იმასაც განმარტავდა, რომ ანდრიას შესახებ მათ შეეძლოთ გაეგოთ მეორე პირებიდან, ე.ი. თანამედროვეებიდან.

მათემ ანდრიასთან ერთად ჩვენს მხარეში იმოღვაწა, ამიტომაც მაკარის მიერ მის შესახებ მოყვანილი სხვა ცნობები თავისთავად ინტერესს იწვევს, ჩვენს ნათქვამს ამაგრებს. კერძოდ, ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ ანდრიაზე მოგვითხრობენ სხვა ავტორებიც. ერთ-ერთია წმინდა დოროთე-ტირის ეპისკოპოსი (307-322 წ.), რომელიც იუწყებოდა: ანდრია ქადაგებდა რიგ ქვეყნებში, მათ შორის ზღვისპირა პონტოში, ანუ ტრაპიზონ-აჭარას შუა ზღვისპირეთში (ამიტომაც, რომ თხილნარ-გონიოსა და

მიმდებარე მთებს დღესაც პონტოს უწოდებენ). „ანდრია ღმერთის მოძღვრებას ქადაგებდა აგრეთვე იქ, სადაც არის ციხესიმაგრე აფსარი და მდ. ფაზისი“. იმოწმებს კი „ბიზანტიის ისტორიას“ 1648, 1720, 1729 წლებში შვეიცარიაში, ვენეციასა და საფრანგეთში გამოცემულ წიგნებს.

მოკყავს შემდგომი მემატიანეების ცნობებიც: ეპისკოპოს სოფრონის (გარდ. 390 წ.), რომელიც ასევე დასძენდა: ანდრია მოღვაწეობდა იქ, სადაც არის ციხესიმაგრე აფსარი და მდ. ფაზისი, რასაც ჭოროხსაც უწოდებდნენ და მეცნიერებისათვის ახალი არაა. ასე რომ, „ივერიაში (საქართველოში) ანდრია ქრისტიანობას ქადაგებდა კარგა ხანს და ბევრი განანათლა“.

წმინდა მათეც ასევე კოლხეთში მოღვაწეობდა, ამას ადასტურებდა დოროთე – ტირის ეპისკოპოსი და ნიკიტა პაფლაგონიელი (გარ. დაახ. 873 წ.). ისინი ასკენიდნენ, რომ „მათე ათთორმეტთაგანი იუდას ნაცულად ქადაგებდა“, გარდაიცვალა და დამარხულია პირველ ეთიოპიაში, მასში კი ძველი ავტორები კოლხიდას აიგივებენ. ეს გარკვეულად ჩანს სოფრონის (გარდ. დაახ. 390 წ.). და ილუმენის (X ს.) ცნობიდან, რომ „მათე ქადაგებდა და დამარხულია სწორედ იმ ეთიოპიაში, სადაც არის მდ. აფსარი“. ამ რაიონშია აგრეთვე მდ. პისოსი (გისი), რომელსაც მკვლევარები სუსარმიაში, ანუ ახლანდელი რიზეს იქითა სურმენეში აიგივებენ. აკი ანდრია, მათე და სხვებიც დიდაჭარის ქვეყანაში სწორედ ტრაპიზონ-სურმენეს გამოვლით მოდიოდნენ, რაც დაფიქსირებულია წყაროებში.

ზოგიერთმა, სამწუხაროდ, არ იცის აფსარ-გონიოს იგივეობის შესახებ. გაზეთ „აღფარიაში“ ჩვენი განმარტება არ ისმინეს და 1999 წლის 19 მაისს, რუბრიკით „ეს საინტერესოა“, ჩვენი წერილი „ახალი წმინდა მათეს გონიოში დაკრძალვის შესახებ“, ასეთი სათაურით გამოაქვეყნა „სვიატოი მატკეი ვ კოლხიდე“. დასანანია ისიც, რომ იქ, სადაც საუბარი იყო აფსარზე, ტექსტს მოაცილეს ჩვენს მიერ ფრჩხილებში ჩასმული „გონიო“. აგრეთვე განმარტება, რომ აფსარ-გონიოს იდენტურობა ჯერ კიდევ 1831 წელს დაადასტურა ფრანგმა მეცნიერმა დიუბუა დე მონპერემ.

აფსარი რომ გონიოა, ეს ახლა ბავშვებმაც იციან. იწერება და აცხადებენ: მონინახულეს აფსარ-გონიოს ციხესიმაგრე, აფსარ-გონიოს განძი და სხვა. სხვებმაც რომ ეს შეცდომა არ დაუშვან, უნდა მოვიშველიოთ სარწმუნო ცნობები. ბიზანტიოლოგმა აკადემიკოსმა თეოდორე უსპენსკიმ, სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნებულ გამოკვლევაში „კრეპოსტ ნა უსტიე ჩოროხა“, დაასკვნა: ეს ციხე აგებულია I-II საუკუნეებში, ადრე აფსარი ერქვა, ახლა კი გონიო. ამ სახელით პირველად მოიხსენიებს XII საუკუნის არაბი მოგზაური ჰაჯი კალფა. ადგილსაც ასე ეწოდებოდაო (ი. ბექი-

რიშვილი, „აჭარა მეგობრების თვალთ“, ბ., 1975, გვ. 58-59; იზ. იმპ. ან როსიი, 2, გვ. 162, 176, 1917).

მაკარი გლუხარევის წიგნის 1905 წლის ერთ კომენტარში ნათქვამია: პირველი ცნობები წმინდანების – ანდრიას, მათესა და სხვათა შესახებ საქართველოში VII-VIII საუკუნეებში გაჩნდა, მაგრამ ამის თაობაზე XI საუკუნეში გაიგესო (სომოპკ, გვ. 132, თბ. ,1905).

როგორც ვნახეთ, ერთნი მიუთითებენ მატათია – მათადე, სხვები მათეს, ხოლო რუსულად მოხსენიებულია მატვეი, რაც ქართული მათეს შესატყვისია, ე.ი. დაკანონებულ-მიღებულია და ამრიგად, ასეც უნდა ვწეროთ.

პროფესორ ვ. ვასილევსკის 1909 წელს გამოუქვეყნებია სტატია „როჟდენიე აპოსტოლა ანდრეა ვ სტრანე მირმილონ“, რომელშიც აფსაროსში მის დამარხვაზე საუბარი, ამის შესახებ პაველე ინგოროყვაც წერდა (გამოქვეყნდა გაზეთში „აჭარა P.S“, 2000 წლის 2-9 ივლისი).

## 306 იყო იოანე ლაზი?

XIII საუკუნის დასაწყისის მწერლის, ფილოსოფოსის, აჭარის ერისთავთერისთავის – აბუსერისძე ტბელისა და XIX საუკუნის შუახნის ცნობილი თეოლოგის თეოდორე აჭარელის წმინდანებად აღიარებამ ჩვენს მიერ 1998 წლის 25 ივლისს გაზეთ „აჭარაში“ გამოქვეყნებულ წერილთან დაგვაბრუნა, რომელსაც ახალი მასალებით შევსებულს ისევ ვთავაზობთ მკითხველს. იოანე ლაზი, ერისკაცობაში – მითრიდატე, ცხოვრობდა და მოღვაწეობდა V საუკუნეში, გარდაიცვალა 464 წლის 4 ოქტომბერს და განისვენებს იერუსალიმის ქართველთა, ანუ ლაზთა მონასტერში.

გამოჩენილ ფილოსოფოსზე – პეტრე იბერიელზე, ანუ ქართველზე თხრობისას, მკვლევარი ვასილ ჩაჩანიძე წერს: „პეტრეს მასწავლებლად მოუწვიეს მითრიდატე – მეტად განსწავლული პიროვნება ლაზების ქვეყნიდან, სადაც იმ დროისათვის ცნობილი კოლხეთის აკადემია ჰყვოდა... პეტრეს მცხეთაში მიჩენილი ჰყავდა ლაზეთიდან გამოწვეული აღმზრდელ-მასწავლებელი – მითრიდატე ევრუქი ანუ ლაზი, რომელიც კოლხეთის აკადემიის სწავლული იყო. ეს სკოლა იმდენად მნიშვნელოვან კულტურულ ცენტრს წარმოადგენდა IV-V საუკუნეებში, რომ აქ ცოდნის მისაღებად მოდიოდნენ თვით გამოჩენილი ბიზანტიელი მოღვაწეები“ (ვ. ჩაჩანიძე, პეტრე იბერიელი და ქართული მონასტრის არქეოლოგიური გათხრები იერუსალიმში, 1974, გვ. 19).



მითრიდატე ლაზი პეტრეს, ანუ მურვანს ჯერ ბიზანტიის დედაქალაქ კონსტანტინოპოლში გააყოლია. შემდეგ სირია-პალესტინასა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში. აქ უკვე მოაზროვნე თანამშრომლები იყვნენ, ბერად აღიკვეცნენ, სახელები შეიცვალეს და მღვდლებიც გახდნენ. ერთხანს ისრაელის ახლანდელი ლაზის მახლობლად, მაიუმში დამკვიდრდნენ, შემდეგ სირიაში დაუარსებიათ ქართველთა კოლონია, ბოლოს კი იერუსალიმში აუგიათ მონასტერი, რომელსაც დღესაც იბერთა მონასტერი ჰქვია. მათი მეგობრის, ზაქარია ქართველის ცნობით, „ალაშენეს სახლი სასტუმროდ... და განუსვენებდეს მომავალთა მძათა ქართველთა და ბერძენთა“. სწორედ აქ განისვენებენ იოანე ლაზი და პეტრე იბერიელიც, რომელიც 491 წელს გარდაიცვალა. პეტრე თავის მასწავლებელსა და კოლეგას „მანათობელს“ უწოდებდა.

ისიც ცნობილია, რომ იოანე ერთხანს პეტრა-ციხისძირის ეპისკოპოსი ყოფილა. ამის თაობაზე ისტორიკოსი გრიგოლ ვეშაპელი წერდა: „კონსტანტინოპოლის მსოფლიო კრებაში მონაწილეობდა და მიღებულ დოკუმენტებს ხელი მოაწერეს ლაზების ეპისკოპოსებმა თედორემ და იოანემ პეტრადან“ (გ. ვეშაპელი, ტურეცკაია გრუზია, მ., 1916, გვ. 8; მ. ბერძენიშვილი, ფაზისის ისტორიისათვის, თბ., 1969, გვ. 178).

ისტორიკოსების პლატონ იოსელიანის, ალექსანდრე ჭყონიასა და სხვათა ცნობით, 325 წელს გამართულმა ნიკეის მსოფლიო საეკლესიო კრებამ საქართველოს ეკლესია ანტიოქიის საპატრიარქოს დაუქვემდებარა (ალ. ჭყონია, ისტორიული ნარკვევი, 1890, გვ. 256; პ. იოსელიანი, კრატკაია ისტორია გრუზინსკოი ცერკვი, გვ. 311).

ახლად აღმოცენებული ქართველთა ეკლესია მიაწერეს ანტიოქიის საპატრიარქოს და იმ დროიდან საქართველო ექვემდებარებოდა საბერძნეთის სარწმუნოებრივსა და კულტურულ-პოლიტიკურ გავლენას, – წერდა პროფესორი ალექსანდრე ცაგარელი (ალ. ჭყონია, გვ. 321-324).

475-480 წლებში საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობა აღიარეს, ავტოკეფალია მიაკუთვნეს და კათალიკოსიც დაუნიშნეს. VII საუკუნეში არაბებმა ანტიოქია ბიზანტიელებს წაართვეს, მაგრამ ქართველები იქ მაინც ყოველთვის იყვნენ. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსი პროკოფი კესარიელი იუწყებოდა, რომ იერუსალიმში მდინარე იორდანისსაყენ მიმავალ გზაზე არსებობდა „ლაზთა მონასტერი“ (ვ. სიჭინავა, მასალები მევენახეობისა და მელვინეობის ისტორიისათვის საქართველოში, 1960, გვ. 103). იერუსალიმში ლაზთა ანუ ქართველთა მონასტერი მართლაც იყო და კესარიელის ცნობა რეალურია, რაც ცხადყო იტალიელმა არქეოლოგმა ვირჯილიო კორბომ. მან 1952 წელს იორდანის უდაბნოში მიაკვლია ქარ-

თულ ტაძარს, რომელსაც „ლაზთა მონასტრის“ სახელითაც მოიხსენიებენ (ვ. ჩაჩანიძე, იქვე, გვ. 5, 21). აქვე ნათქვამია, რომ ესაა V საუკუნის ქართველი ფილოსოფოსის პეტრე იბერიელის მონასტერი, სადაც, როგორც ვთქვით, იოანე ლაზიც მოღვაწეობდა.

შემონახულია ცნობა, რომ ანტიოქიასთან ახლოს ე. წ. შავ ანუ საკვირველ მთაზე, ქართველმა მოღვაწემ სიმონ მესევეტემ (521-596 წწ.) დააარსა ქართველთა მონასტერი, რომელიც შემდგომ გაუფართოებიათ. მოგვიანებით ჩვენს წინაპრებს ახლო აღმოსავლეთში სავანე-მონასტრებიც შეუქმნიათ და ასევე ნაყოფიერადაც მოღვაწეობდნენ. სიჭინავას აზრით, უცხოეთში არსებულ ქართულ მონასტრებს შორის პოპულარობით გამოირჩეოდა პეტრე იბერიის მიერ იერუსალიმში V საუკუნეში დაარსებული მონასტერი, სადაც ჩქეფდა დიდი შემოქმედებითი მუშაობა (ვ. სიჭინავა, გვ. 103).

ცნობილია, რომ იერუსალიმსა და ანტიოქია-ალეპოში არსებული რელიგიური დაწესებულებებისათვის თავიანთი სოფლები ქართველებსაც შეუწირავთ. აჭარადან ასეთი იყო ჩეხედანა, ცხრაფონა, ჩაქვისთავი და სხვა სოფელი. ეს კი განაპირობებდა იმას, რომ იქაური წარმომადგენლები, მათ შორის ეპისკოპოსები, ჩვენთანაც ჩამოდიოდნენ.

ახლო აღმოსავლეთის რელიგიურ, მათ შორის ქართველთა, ანუ ლაზთა ცენტრებიდან კავშირი ჰქონდათ ზოფის ლაზ-ჭანთა, ხინოწმინდისა და აჭარის სხვა საეპისკოპოსოებს, რაც ოსმალეთის ბატონობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა. უკვე 1614 წელს ლაზეთის ეპისკოპოსს გურიის სოფელ ბაილეთისათვის შეუფარებია თავი (ი. ბექირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალთ, 1975, გვ. 6; ი. ბექირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, თბ., 1991, გვ. 60). 1753 წლის აგვისტოში იმერეთის კათალიკოსი ბესარიონი რუსეთის სინოდს მოახსენებდა, რომ ლაზ-ჭანების ზოფის „ესე ფილიმონ ეპისკოპოზი ჩემს მიერ ხელდასმულ იქნა ეპისკოპოზად... მონასტერსა ზოფისასა... აწ დამეთხოვა ამა მიზეზით, რომელ ოსმალნი ბილწლნი ჩამოვიდნენ ქვეყანასა ჩვენსა და მოაოხრეს და უშჯულოთაგან შეშინდა და დაგვეთხოვა და აღარც ჩვენ დაუშალეთ (თ. ჟორდანიას, ქრონიკები, 3, გვ. 225).

1780 წელს იგივე ბედი ეწია ხინოწმინდის ეპისკოპოსს იოანე მოწყობილს. ექსორეაქმნილი იოანე იმერეთში გადაიხვეწა (ი. ბექირიშვილი, ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, 1995, გვ. 199-201). ცნობილი ფაქტია, რომ იმერეთს რელიგიურად ექვემდებარებოდა დანდალოს ქვემო მთელი აჭარა.

ასე რომ, ჩვენი ისტორიისათვის უმნიშვნელო არ უნდა იყოს კოლხეთის იმ აკადემიის, მისი წარმომადგენლის მითრიდატე – იოანე ლაზისა და პეტრე იბერიელის, მათ მიერ იერუსალიმში შექმნილი რელიგიური ცენტ-

რის საქმიანობა და როლი, შემდგომი კავშირები. დასაბამიდან აჭარაში ქრისტიანობის მძლავრად ფეხმოკიდებაში უთუოდ მათი წვლილიცაა.

არის ვარაუდი, რომ იოანე წარმოშობით, ახლანდელ შუახევის რაიონის სოფელ ფურტიოდან იყო, ჩვენ ეს დამსახურებულმა პედაგოგმა ვაჟა მაკარაძემ გვაცნობა, ცხადია, იგი ხალხურ გადმოცემებს ეყრდნობა. – ჩვენი ძველი წინაპარი გამოჩენილი კაცი იყო, ლაზსაც უწოდებდნენო, – უთქვამთ მისთვის. ამის თაობაზე თბილისელმა მკვლევარმა ნოდარ ხვედელიძემ ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ 1999 წლის მე-9 ნომერში აი, რა დაწერა: „დღემდე ცნობილი არ ყოფილა ის ამბავი, რომ V საუკუნის უდიდესი მოაზროვნე, კოლხეთის აკადემიის უკანასკნელი პატრიარქი იოანე ლაზი (ფსევდონიმები და ეპითეტები: ჯალა, მითრიდატე, ქუჯი ეგრისელი, კუბიკულარი, იერეთოსი, სერაფიმი), სწორედ სოფ. ფურტიოში დაიბადა 482 წელს, თანამედროვე კალენდრით 12 მაისს, განათლება კი გონიოში მიუღია, ბიზანტიის მწიგნობარ კეისრებთან დაახლოებული სწავლული – პოლიტიკოსი, აჭარელი დიდებული სინამდვილეში იბერიის სამეფო კარზე ქუჯი ეგრისელის ფსევდონიმით წარსდგა. „ფარნავაზის ცხოვრების“ ავტორებმა კი ახალი წელთაღრიცხვის V საუკუნის აჭარელი მოღვაწე ქუჯი ეგრისელი ძველი წელთაღრიცხვის III საუკუნის ეგრისელად აქციეს. „და მერვე ქუჯი იყო ერისთავი ეგრისისი“, ე.ი. ახალი წელთაღრიცხვით V საუკუნის აჭარელ მოძღვარს მემატინამ ისტორიულ ეგრისში გადაუძახა! ქუჯის (იოანე ლაზისათვის) ეგრისი წარმოადგენდა კრებით სახელს დასავლეთ საქართველოს ყველა კუთხისას, რადგან გონიოში განათლებას იღებდნენ საქართველოს ყველა კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდები“ (გვ. 141-142).

როგორც ვრწმუნდებით, ავტორი აცხადებს, რომ იოანე ლაზი ფურტიოდან იყო, ამასთან იგი აჭარის ერისთავადაც წარმოგვიდგინა და მისი დაბადების დღეც დაადგინა, თუმცა არცერთ ისტორიულ საბუთს, თუნდაც დამადასტურებელ არგუმენტებს, არ მოიშველიებს, მაგრამ ამით სრულებითაც არ ვცდილობთ ყოველივეს უარყოფას. იოანე მართლაც დიდი პიროვნება იყო, რომელმაც ბოლოს რელიგიურ-მეცნიერული მოღვაწეობა ამჯობინა. ლაზად კი იმიტომ იწოდა, რომ იმხანად აჭარასა და უფრო მის სამხრეთით ჭანეთში რიონის აუზიდან შემოჭრილმა ლაზებმა იმძლავრეს და ბიზანტიელ-რომაელებმა ამის გამო, დასავლეთ საქართველოს კოლხიდა-კოლხეთის ნაცვლად ლაზიკა – ლაზეთი უწოდეს. აქედან გამომდინარე, აქ მცხოვრებსაც ეს ახალი სახელი შეერქვა. თუმცა ამავე პერიოდის სომეხი ისტორიკოსები ჩვენს მხარეს აჭარის, ხოლო მის ზღვისპირს ეგრევიკად, ანუ მცირე ეგრისად მოიხსენიებენ.

## როდის შემოესივნენ თურქები პირველად საქართველოს?

„წელი 756. ამ წელს თურქები ისევ შემოიჭრნენ კასპიის კარებსა და ივერიაში“. ესაა ნაწყვეტი VIII-IX საუკუნეების ცნობილი ბიზანტიელი მემატიანეს თეოფანეს წიგნიდან.

ბიზანტიას ეკავა დღევანდელი თურქეთის ტერიტორია. მისი ეს სახელწოდება მომდინარეობს ამ ქვეყნის ლეგენდარული დამაარსებლის ბიზანტიის სახელიდან. თქმულების თანახმად, იგი ახალი ქალაქის ასაგებად ძველი წელთაღრიცხვის 638 წელს ბოსფორს მოადგა და ოქროს ყურედ წოდებული ადგილი ისურვა ქალაქის ასაშენებლად. მშენიერმა გეოგრაფიულმა მდებარეობამ და ზღვამ, იმთავითვე განაპირობა ახალი კოლონიისა და მისი დედაქალაქის სწრაფი ეკონომიკური და კულტურული წინსვლა. მძლავრმა იმპერიამ 1453 წლამდე იარსება. ამ წელს კი თურქულმა ტომებმა იერიშით აიღეს მისი დედაქალაქი კონსტანტინოპოლი და ისტამბულად – სტამბოლად აქციეს. ბიზანტია მეზობლობდა საქართველოსთან, კერძოდ, აჭარა-მესხეთთან. საზღვარი დროდადრო იცვლებოდა, იგი, ძირითადად, ახლანდელ ხოფა-რიზესთან გადიოდა. ტრაპიზონამდე და უფრო იქითაც ჭანები და სხვა ქართველი ტომები ცხოვრობდნენ. მათ ქვეყანას ჭანეთი ერქვა, რაც ადრინდელ თურქულ წყაროებში „ჭანიკის ოლქის“ სახელწოდებით მოიხსენიება, მაგრამ IV-V საუკუნეებში კოლხეთის ცენტრალური ანუ რიონისპირეთიდან წამოსულმა ლაზთა ტომმა იქაც გააღწია, დაწინაურდა და ამიტომაც ჭანეთს გაუჩნდა პარალელური სახელწოდება ლაზეთი – ლაზისტანი.

ბიზანტია-საქართველოს ურთიერთობას არც კეთილმეზობლობა აკლდა და არც ომები და დაპირისპირება. ამ ურთიერთობებმა ფართო ასახვა კპოვა ჟამთააღმწერების, მათ შორის თეოფანეს წიგნებში, რომლის ცნობები დღემდე უცნობი იყო ქართული ისტორიოგრაფიისათვის.

ქრონისტი, ანუ მემატიანე თეოფანე 760-818 წლებში ცხოვრობდა. იგი დაიბადა ხატების თაყვანისცემის უარმყოფელთა ოჯახში, რის გამოც იძულებული გახდა ფაქტიურად მონასტრისათვის შეეფარებინა თავი და წიგნების გადაწერას შესდგომოდა. ამით უამრავ საინტერესო, იშვიათ ისტორიულ მასალას მოუყარა თავი და საკუთარიც დაწერა. მათ შორის ცნობილი „ქრონოლოგია“, ანუ მატიანე. მასში აღწერილია ბიზანტიის ისტორია იმპერატორ დიოკლეტიანეტიდან მიხეილამდე, ანუ 277-805 წლების ამბები. ზოგიერთი ნაშრომი ვერ დაამთავრა, რადგან ხატების

თავჯანისცემის უარყოფელთა მხარდაჭერისათვის საპყრობილეში ჩასვეს, სადაც გარდაიცვალა.

„ქრონოლოგია“ აგებულია უძველეს ჟამთააღმწერთა ხელნაწერებზე, და-  
ლაგებულია ქრონოლოგიური წესისა და წლების მიხედვით. იგი ქმნის მო-  
კლენათა სინქრონულ სურათს. – წერს მოსკოველი მკვლევარი ტ. მილერი.

აღსანიშნავია, რომ იგი უკვე IX საუკუნეში რომში თარგმნეს. მის  
ნაწერებს იშველიებს XII-XIII საუკუნეების ცნობილი ისტორიკოსი ბონარა,  
მატიანე „სინოპსის ხატი“ და სხვები. ასე რომ, „ქრონოლოგია“ ფასდაუ-  
დებელი წიგნია ბიზანტიისა და მეზობელი ქვეყნების, მათ შორის ამიერკავკ-  
ასიის ისტორიის შესასწავლად. სწორედ თეოფანეს ეს ნაშრომი გვაუწყებს,  
რომ თურქები ბიზანტია-მცირე აზიაში გამოჩენამდე თითქმის სამი საუკუნით  
ადრე შემოსევიან საქართველოს, ე.ი. უფრო ადრე, ვიდრე ჩვენ ეს ვიცოდით.

თეოფანე მოიხსენიებს „პიციუნტს“, ახლანდელ ბიჭვინთა-პიცუნდას,  
აფხაზეთის ცნობილ ზღვისპირა კურორტს. თურმე კაპადოკიელთა (მდებარეობდა ტრაპიზონის სამხრეთ-დასავლეთით, მას მოსხ-მესხთა პირველ  
სამშობლოდ მიიჩნევენ) უმცროსი თანამედროვე ანტიოქიის მოძღვარი კონ-  
სტანტინოპოლის ეპისკოპოსი და მწერალი იოანე ოქროპირი 407 წელს,  
როგორც პატიმარი, სომხეთში გადაასახლეს, შემდეგ იქიდან „პიციუნტის“  
ციხეში გაგზავნეს, მაგრამ გზაში გარდაიცვალა. ამრიგად, ბიზანტიელები  
– ბერძნები მაშინაც ბატონობდნენ საქართველოს შავიზღვისპირეთში.

ეს და სხვა ცნობები ცხადყოფენ, რომ თეოფანე იცნობდა ჩვენს სამ-  
შობლოს, რაც უფრო საიმედოს, დამაჯერებელს ხდის მის ნაშრომს და თუ-  
რქების შემოსევის ამბავს, რომელზეც ქართულად ჯერ არაფერი დაწერილა.

ამ მოკლენა-ფაქტის შესახებ თეოფანე საუბრობს თავისი წიგნის ერთ-  
ერთ თავში „ხატმებრძოლების ეპოქა“. იგი წერს: „წელი 756. ამ წელს  
თურქები ისევ შემოესივნენ კასპიის კარებს (სავარაუდოდ აზერბაიჯანს – ი.  
ბ.) და ივერიას. ისინი შეეტაკნენ არაბებს. ორივე მხრიდან ბევრი დაიღუპა.  
ავდელასმა (აბუ ჯაფარ ალას ალ-მამსურ, არაბეთის ხალიფა 754-755 წლებ-  
ში. აბასიდების დინასტიიდან. – შენ. მთარგმნელ ტ. მილერისა – ი.ბ.) ვერ-  
აგობით წაართვა ძალაუფლება ივიმუსას... მოიწვია ყველა მხედართმთავარი,  
დიდებული და განაცხადა: „რას იტყვიან თქვენს ახალ მეფეზე?“ ყველამ  
ერთხმად უარყო ისა და მარჯვენა ხელი მისცეს ავდელასის შვილ მუხამედს.  
მეტსახელად მადს, ხოლო სახლში წათრეულ ნახევრად მოწამლულ ისას  
დაწყნარების მიზნით, ასი ტალანი ვერცხლი მიართვეს“.

ამრიგად, მაშინ ბიზანტიაში საქართველოს ივერიას უწოდებდნენ. ამას  
ცხადყოფს VI საუკუნის ბიზანტიელი ავტორის არავია სქოლაქტისის  
(დაახ. 550 წ.) ეპიგრამა, რომელშიც ვკითხულობთ: „ნილოსი, პერსიდა,

ივერია. არმენია, კოლხიდა მთებთან კავკასიის ქვეყანაში“. აქედან დასკვნა: დასავლეთ საქართველოს ბერძნები მაშინ უწოდებდნენ კოლხი-კოლხიდას, ხოლო აღმოსავლეთ საქართველოს – ივერ-ივერიას. თუმცა აკად. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, იბერ-იბერია – აღმოსავლეთი საქართველოა.

თურქები ჩინეთის სინ-ძიანის, ალტაის მხრიდან, VI საუკუნეში გადმობარგდნენ ახლანდელ შუა აზიაში. ისინი მალე შემოიჭრნენ სომხეთში, რაზეც წერს VII საუკუნის ცნობილი სომეხი ისტორიკოსი ანანი შირაკაცი. იგი ერთხანს ქ. ტრაპიზონში ცხოვრობდა და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს პროვინციებს შორის აჭარასაც მოიხსენიებს. მისი ცნობები ასევე სანდო და იშვიათია. ანალიზით ნათელი ხდება, რომ თურქები სწორედ მაშინ შემოიჭრნენ პირველად საქართველოს ფარგლებში. ამას ადასტურებს თეოფანეს ცნობებიც, რომ „თურქები ისევ შემოიჭრნენ კასპიის კარებსა და ივერიაში“ (ხაზი – ი.ბ.) – ამასთან იგი მოიხსენიებს მათ ვერაგობას. ცხადია, რომ მაშინ არაბებმა, სპარსელებმა და ამიერკავკასიის ხალხებმა, თურქებს ფეხი არ მოაკიდებინეს ამიერკავკასიაში, რის გამოც ეს უკანასკნელნი გაბრუნდნენ უკან, შუა აზიაში, ხოლო XI საუკუნის დასაწყისიდან კელაე გამოჩნდნენ საქართველოს საზღვრებთან – სწორედ მაშინ დაატყდა ჩვენს ხალხს საშინელი უბედურება – „დიდი თურქობა“.

ზოგიერთი ავტორი არ თვლიდა თურქებს ძველ ხალხად. ეს უარყოფილია მეცნიერების, მათ შორის დ.ერემეევის მიერ, რომლის ნაშრომი – „თურქების ეთნოგენეზი“, მოსკოვში გამოიცა. როგორც ვრწმუნდებით, ამას ადასტურებს ბიზანტიელი ისტორიკოსის თეოფანეს ცნობებიც.

თურქების მეორე შემოსევის შესახებ წერდა, აგრეთვე აღმოსავლეთ-მცოდნე ნიკოლოზ კარეევი. 1908 წელს სანკტ-პეტერბურგში გამოქვეყნებულ მის ნაშრომში „მონარხი დრევენეგო ვოსტოკა ი გრეკო-რიმსკოგო მირა“, – ვკითხულობთ: 764 წელს თურქები კასპიის კარების საშუალებით მეორეჯერ შეიჭრნენ ივერიაში და შეებრძოლნენ არაბებს. კარეევი წყაროს არ მიუთითებს, ჩვენი აზრით, 764 წელი ზუსტი არ უნდა იყოს. ჯერ კიდევ 1877 წელს პროფესორი კ. პატკანოვი დასძენდა – სახელწოდება თურქი სომხეთში ცნობილი იყო VII საუკუნეში. იგი გვხვდება ისტორიკოსების სებოსისა და კაგანკატვაცის შრომებში (არმიანსკაია გეოგრაფია, 1877, გვ. XIV).

თურქებს ორჯერ მოიხსენიებდა რუსთაველი „ვეფხისტყაოსანში“. მათ ადგილმდებარეობასა და მეფესაც აღწერდა. თურქთა ქვეყნის მცხოვრებთ ავთანდილისათვის უთქვამთ „აქამდის ზღვარი თურქთაა“, ხოლო „ნურადინ ფრიდონ მეფეა ამა ქვეყნისა ჩვენისა“-ო.

რუსთაველი ხშირად აფიქსირებდა ხატაეთს. ამასთან დაკავშირებით, ს. ცაიშვილი განმარტავდა, რომ ხატაეთი თურქი ტომებით დასახლებული ქვეყანაა ჩინეთის ჩრდილოეთ ნაწილში. მოხსენიებულია „ხატათ ლაშქარი“, „აბრეშუმის ქსოვილი ხატაეთიდან“ და სხვა. ამ დროისათვის თურქები უკვე ქართველების მეზობლები იყვნენ, გამოქვეყნებულია 1998 წლის 4 აპრილს გაზეთ „აღჟარიაში“, 1994 წლის 12 თებერვალს „აღორძინებაში“).

## აბუსერიისკმები ახალი მასალების შუქზე

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტური ნარკვევი აბუსერიისძე ტბელის შესახებ ახალი მასალების შუქზე ავაგეთ და 1978 წლის 20 იანვარს გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოვაქვეყნეთ. ძიება არ შეგვიწყვეტია, რამაც საშუალება მოგვცა, ნაკლებად ცნობილი საყურადღებო ცნობები შეგვეკრიბა. ისინი ნათელს ჰფენენ გამოჩენილი მწერლის, მეცნიერისა და მოღვაწის გვარის, წინაპრების წარმომავლობას, მაშინდელი აჭარის საზღვრებს, თვით დიდი ტბელის პიროვნებას და მის უკვდავ ნაწარმოებს.

დავიწყოთ გვარის ეტიმოლოგიით. აბუ არაბეთში მამას ნიშნავდა. მაგალითად, აბუალი ქართულად ალის მამაა. შემდეგ აბუ საკუთარ სახელად იქცა. ცნობილია XI-XII საუკუნეების მელიქშაპი აბუ ნასრ ახმადი, აბუ ისხაკ იბრაიმი, აბუბექრი და სხვა.

არაბებსა და მეზობელ ხალხებში ეს აბუ იმდენად პოპულარული იყო, რომ ხშირად გვარებს, წოდებებსაც წინ ერთვოდა, როგორც ელ, აღ და იბნ., რაც მამას, შვილს, წმინდანსა და მეტსახელსაც ნიშნავდა. არაბების ბატონობამ საქართველოში, მათი კულტურისა და ყოფის ზეგავლენამ, აგრეთვე თბილისში დამკვიდრებული არაბი აბოს მიერ ქრისტიანობის მიღებამ და ამის გამო მისმა წამებამ ეს სახელი უფრო პოპულარული გახადა ჩვენში, აბო, ისე, როგორც შუშანიკი, გობრონი, რაჟდენი და სხვა არაქართველები, რომლებმაც თავიანთი რელიგია უარყვეს და საქართველოში ქრისტიანობა იწამეს, წმინდანად აღიარეს და კალენდარშიც შეიტანეს.

ახალმშობელები მასალები უარყოფენ სახელ აბუს არაბულ წარმოშობას. ბაღდადის მუზეუმში ინახება თიხის ფიგურები, რომლებიც აბუს ტაძრის იატაკის ქვეშ აღმოაჩინეს, თურმე აბუ ყოფილა მსოფლიო ცივილიზაციის საყურადღებო ცენტრის – შუამდინარეთის მობინადრე განთქმულ

შუმერთა ნაყოფიერების ღმერთი, რომელსაც მადლიერმა ხალხმა ტაძარიც აუგო. რუსი მეცნიერების აზრით, ეს იყო ძვ. წ. 2700-2500 წლებში.

ახლა ვნახოთ რას ნიშნავს „სარი“, ანუ ჩვენი სახელოვანი წინაპრის გვარის მეორე კომპონენტი. სარი – სარიუნი ამ შემთხვევაში ზედსართავი სახელია, რაც დიდსულოვანს, მამაცს, აღიარებულ-დაფასებულ პიროვნებას, მოღვაწეს, მამასაც გამოხატავს. ესეც არაბეთში წარმოიშვა, ამასთან. ასევე უძველეს ხანაში. ქოროლლის „ოგუზური გმირული ეპოსის“ მიხედვით, ისლამის მამამთავარ მუხამედის თანამებრძოლს სწორედ აბუსარი ერქვა, მიკვლეულია ჩვენს ერაზმდე ეგვიპტეში შექმნილი „იპუსარის თხრობანი“. ასე რომ, ეს სარიც არაბეთიდან შემოვიდა საქართველოში და დიდებულს, სახელმწიფო დონის მოხელეებს, ერისთავებს შეერქვათ, როგორც ზედწოდება, რაც შემდეგ გვარსახელად დაუმკვიდრდათ.

1045 წლიდან უკვე მოიხსენიებიან ტბელის წინაპრები, კერძოდ, ბაბუა ივანე. „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, მოღალატეთა მამამთავარმა „ლიპარიტ ბაღვაშმა ვერაგობით გამოიტყუვნა ანისის (სომხეთის ძველი დედაქალაქი) ციხიდან დედოფლისაგან (საქართველოს) აბუსერი ერისთავი არტანუჯისა და ხიხათა და ციხის ჯუარისა და აწყურის ციხის პატრონი, ივანე ერისთავი, ივანე დადიანი და გურამ გოდერძის ძე, ბეჭის ციხისა პატრონი და შეიპყრა ივანი ანისის კარასა“ (ხაზი – ი.ბ.).

ამრიგად, ერისთავი ივანე აბუსერი-აბუსერისძე მაშინ ფლობდა და განაგებდა არა მარტო აჭარას (ხიხათა-ხიხანი), არამედ შავშეთ-კოლას (არტანუჯი) და აჭარის მიმდებარე სამცხის ნაწილს (ციხისჯვარ-აწყური), რაც მის სიდიადე-მეფისტოლობაზე მეტყველებს. ამიტომაც, რომ მემატიანე ასე მოწიწებით და სრულად მოიხსენიებს მას.

ესოდენი განდიდება აბუსერისძეებს თავისთავად, ერთდროულად არ მოუპოვებიათ. ისინი რამდენიმე საუკუნით ადრე დაწინაურდნენ და სახელმწიფო ასპარეზზეც გამოვიდნენ. ამას გვიდასტურებს ის, რომ X საუკუნის მეორე ნახევარში ცხოვრობდა პატრიკ ტბელი. ნოდარ შოშიაშვილის აზრით, „პატრიკის დამოწმება ტბელებში, შესაძლებელია იმის მანიშნებელი იყოს, რომ ტბელებს ჰქონდათ ბიზანტიური ტიტული პატრიკი – პატრიკოსი“, ანუ ერისთავი, ე.ი. სარდლები უკვე იყვნენ. დიდმოხელის ეს ტიტული ზოგიერთს, მათ შორის აბუსერისძეებს საკუთარ სახელად შერჩათ. სამწუხაროდ, ავებლობამ, ზოგიერთ თანამემამულეთა ავმა ზრახვებმა პატრიოტობით განთქმულ აჭარის ერისთავთ-ერისთავ აბუსერისძეებს მამულები და ძალაუფლებაც დააკარგვინა.

მკვლევარი ვახტანგ კოპალიანი თავის ნაშრომში „საქართველოსა და ბიზანტიის პოლიტიკური ურთიერთობა 970-1070 წლებში“, ხაზს უსვამს



აბუსერისძეთა თავდადებას საქართველოს წინაშე. ამიტომ იყო, რომ მეფე ბაგრატმა რენეგატ ბალეაშს დაუბრუნა მიქელად აყვანილი შვილი, რათა ერთგული აბუსერისძე ტყვეობიდან ეხსნა, მაგრამ მამულის ნაწილი ჩამოართვა. დიდსულოვანმა ივანემ მაინც არ უღალატა მეფეს, იარაღითა და აჭარა-მესხეთის ჯარით მხარში ამოუდგა მას და მაინც, ისევ ღალატის გამო, 1057 წელსაც ლიპარიტს ჩაუყარდა ტყვედ. ბაგრატმა ისევ გამოიხიდა, მაგრამ ამჯერად არტანუჯი წაართვა და ლიპარიტის დამპატიმრებელ კალმახელს მიაართვა. მერე ჩვენი წინაპრებისათვის შავშეთი წაურთმევიათ. მოგვიანებით ჯაყელებმა, დიასამიძეებმა და სხვებმაც არ დააყოვნეს და სახელოვან აბუსერისძე ტბელს მხოლოდ აჭარა შეატყის. ამას მოჰყვა ახალი ინტრიგები, შემოსევები და აბუსერისძეთა დაცემა. თუმცა XIV საუკუნეში საქართველოს ამირსპასალარი, ანუ მხედართმთავარი, აბუსერისძეთა გვარის წარმომადგენელი იყო.

2002 წელს ბათუმში გამოქვეყნებულ „კრებულის“ №3-ში მკვლევარმა შაშიკაძემ მოათავსა წერილი „ორი მნიშვნელოვანი დოკუმენტი XVI საუკუნის აჭარის ისტორიის შესახებ“. წერილში მოხსენიებულ დოკუმენტებს მან თურქეთის არქივში მიაკვლია.

ამ დოკუმენტების მიხედვით 1561 წლის თებერვალში ოსმალებს აჭარა ჩამოურთმევიათ მისი უკანასკნელი კანონიერი ქრისტიანი მმართველის – ბეჟანიძისათვის, რომელიც „მათ წინააღმდეგ აწყობდა არეულობებს და დაუმორჩილებელი იყო“.

მკვლევარმა რამაზ ხალვაშმა ცხადყო, რომ ესაა სახელოვან აბუსერისძეთა ბოლო წარმომადგენელი, რომელიც ჩვენს მხარეს XVI საუკუნის შუახანებამდე მართავდა. ოსმალთა მოძალების ჟამს ბეჟანი უსაფრთხოების თვალსაზრისით, იძულებული იყო 1560 წლისათვის ახლანდელ ქედის რაიონის სოფელ ზენდიდში, ანუ აჭარის შუაგულში ციხესიმაგრე აეგო, ამასთან კონსპირაციის თვალსაზრისით თავისი შთამომავლებისათვის ახალი გვარი საკუთარი სახელის საფუძველზე მიეცა. ამიტომაც, ზოგჯერ ციხეს ბეჟანიძეების სახელწოდებითაც მოიხსენიებენ.

XVI საუკუნის აღაპებში ბეჟანთან ერთად მოხსენიებულია ძმა ტბელი, ბეჟანის მეუღლე – მზექალა.

ამრიგად, ბეჟანმა საფუძველი ჩაუყარა აბუსერისძეთა საგვარეულოს ახალ შტოს – ბეჟანიძეთა გვარს (ასე თვლის რ. ხალვაში, გაზ. „აჭარა“, 2003, 20 ივნისი).

ზოგი რამ ამ ფეოდალური გვარის შთამომავლობაზე: აბუსერისძეები დღესაც სახლობენ აჭარაში, მახინჯაურში, ჩაქვის საკრებულოში „ აბუსე-

რიძეების“ გვართ იწერებიან. შუახვეის რაიონში კი – აბუსელიძეების ფორმით, რაც გასულ საუკუნეში მოსახლეობის აღწერის დროს დამკვეთული შეცდომის შედეგია. გაერთიანება „აჭარავტოგზის“ უფროსის მოადგილე ბეგლარ აბუსერიძე ამტკიცებს, რომ მისი წინაპრები ქვემო აჭარიდან გადასულან გურიაში. ბათუმის რკინიგზის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ზაურ აბუსერიძემ 1990 წლის 31 ივლისს კონკრეტულად გვითხრა: ბაბუაჩემი ამბაკო აბუსერიძე მაჭახლის ხეობიდან იყო. ოსმალოს მოკვლის გამო ჯაპანას შეაფარა თავი, აქედან კი ახლანდელი ჩოხატაურის რაიონის სოფელ ძირგანახლებაში გადმოვიდნენ, 15-მდე ოჯახია.

სასიამოვნოა, რომ დასტურდება გვარ ტბელისძისა და სახელ ტბელის არსებობა. აჭარის მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების ყოფილი მინისტრის, აკაკი აბუსერიძის თქმით, სახელი ტბელი მის წინაპრებში ტრადიციულად მეორდებოდა, ხანდაზმულები ამბობდნენ, რომ ტბელი მათი ქრისტიანობისდროინდელი წინაპარი იყო.

პავლე ინგოროყვას მიხედვით, ტბელი საკუთარი სახელია, ასე ერქვა შოთა რუსთაველის ძმასაც. ცნობილია გვარის სახითაც, მაგალითად, მოღვაწე ანტონ ტბელი, აჭარაში ტბელისძის ფორმითაა დაფიქსირებული: „სულსა ქუანთელთ ლომიასასა, ტბელისძისა ივანესასა და მეუღლისა მისისა საიდანისასა, ბიბილასა და მარიამისასა... სულსა ტბელისძისა თევდორისასა და მისისა მეუღლისა ხუაშაისასა, შეუნდვენ ღმერთმან“, – ნათქვამია მაჭახლის, ანუ ტბეთის სულთა მატთანეში, რომელიც სათავეს XI-XII საუკუნეებში იღებს. როგორც ცნობილია, მაშინ მაჭახლის ხეობაც ტბეთის ეპარქიაში შედიოდა. ალბათ სიმბოლურია ისიც, რომ შუახვეის რაიონში დღესაც ერთ სოფელს ტბეთი ჰქვია.

აკადემიკოსი კორნელი კეკელიძე ფიქრობდა, რომ აბუსერიძე იყო მტბევარი ანუ ხულოს გაღმა შავშეთში არსებული ტბეთის ეპისკოპოსი და ამიტომ დაერქვა ასეო, ეტყობა ტერმინ-მეტსახელი ტბელი და მტბევარი აქედან მომდინარეობს, ტბეთში მოღვაწეებს ნიშნავს და მათ ერქვათ, რასაც სხვაგანაც ინარჩუნებდნენ და საკუთარ სახელადაც ექცათ. ასეთი ფაქტი არაერთია. ისტორიკოს თედო ჟორდანიას ტბელის ნაცვლად, აბუსერიძის პარალელურად, ტბელიძეც უწერია, რადგან სახელსაც ნიშნავდა და გვარსაც.

ჩვენი დაკვირვებით, ამან განაპირობა აბუსერიძისა და ტბელის, როგორც ერთდაიგივე მოდგმის ადამიანთა გვარის პარალელური არსებობა. ტბელიძე აჭარაში არ შემოინახა, ოსმალების ბატონობისას დაკარგეს, ხოლო გურიაში გადასულებმა უფრო ძველი, აღიარებული აბუსერიძეობა ისურვეს და ასეც დაიწერნენ. აქედან გამომდინარე, შეცდომა არ უნდა იყოს დამკვიდრებული

აბუსერისძე ტბელიცა და ახალი ტბელ აბუსერისძის ფორმაც, მთავარია, როგორ ფორმას დავამკვიდრებთ მეცნიერულ ლიტერატურაში.

1541 წელს ახალციხესთან საფარაში სვიმონ კარგარეთელს გადაუწერია „საფილოსოფოსო წიგნი“. მკვლევარ ქრისტინე შარაშიძის ცნობით, განსაკუთრებით საგულისხმოა მასში ქართველი მეცნიერის აბუსერისძე ტბელის (1233) კალენდარული ტრაქტატი და ენათმეცნიერული გამოკვლევა „სიტყუაი ართრონთათვის“. ყველაფერი ეს და სხვა მრავალი საყურადღებო ძეგლი შესწავლას მოითხოვს, – ასკენის მეცნიერი. აქ ახალი ისაა, რომ ჩვენი ღიღებულნი წინაპარი ენათმეცნიერიც ყოფილა და საამისო შრომაც შეუთხზავს (სამხ. საქ. ისტ. მასალები, 1961, გვ. 80).

აბუსერისძის კალენდარული, უფრო სწორად ასტრონომიული ტრაქტატის, იგივე ქორონიკონის შინაარსი, მნიშვნელობა ყველამ როდი იცის. 1949 წელს დოცენტი დავით ცხაკაია თავის ნაშრომში „ქართველთა და ახლო აღმოსავლეთის ხალხთა არითმეტიკა და აღგებრა ასტრონომიული ლიტერატურის ქართულ ძეგლებში“ – წერდა, რომ XIII საუკუნის, ანუ აბუსერისძის ტრაქტატი შეიცავს ქართულ მზიურ კალენდარს, მასში არის მთვარის ციკლის, ე.ი. ზედნადების გამოთვლის წესი. შემდეგ მკვლევარი დასძენდა: „ქართველებს გამოუგონებიათ მთვარის ასაკის მოსაძებნი უფრო ზუსტი და მოხერხებული წესი, სადაც დღეთა რიცხვი პირველი იანვრიდან აღებულ თვემდე შეცვლილია, თვეთა რიცხვსა და მთვარის ასაკს დღემდე მთელ რიცხვებში მეტად ზუსტად გვაძლევს. ამ წესის პირველ ვარიანტებს ვკითხულობთ XIII საუკუნის ტრაქტატში... ამ ვარიანტის საშუალებით შეიძლება აღვადგინოთ მთვარის ასაკის გამოსათვლელი ნამდვილი ქართული წესი, რომლის მიხედვით, ასაკი დღეთა მთელ რიცხვებში განისაზღვრება სავსებით ისეთივე სიზუსტით, როგორითაც განსაზღვრავენ ახლანდელი ასტრონომებიო“.

დ. ცხაკაია არც ამას სჯერდება. იგი წერს: „XIV საუკუნის ქრონოლოგ კირილე ნოვგოროდელს აწერენ საათის ხუთ ნაწილად დაყოფას, მაგრამ როგორც X–XI და XIII საუკუნეების ქართული ტრაქტატებიდან ჩანს, ამ ხერხს მანამდე მიმართავდნენ“.

აკადემიკოს კორნელი კეკელიძის მიხედვით „ქორონიკონს სრული მისითა საუწყებლითა და განგებითა“, ანუ ხსენებულ ტრაქტატს, რაღაც გაუგებრობით ზოგიერთნი (ბროსე, ჟორდანია) ამდენ ხანს იოანე შავთელს მიაწერდნენ. იოანეს ის არ ეკუთვნის, ვინაიდან მისი ავტორი პირდაპირ ამბობს, რომ მან თავის შრომას თავსა და ბოლოში დაურთო იამბიკონი იოანე შავთელისა. ამას გარდა, შიგ თხზულებაში იხსენიებს: „სანთელსა

სულიერისა ფილოსოფოსობისა, წმინდისა შავთელისა, შეწყობითა იამბიკოითა კეთილად და ღმრთივ – შუენიერად წარმომაჩინებელსა“.

ეს არის ვრცელი ტრაქტატი, რომელშიც განმარტებულია ე.წ. ასურული კენიკლოსი. ტრაქტატი მდიდარია სხვადასხვა კალენდარული, არითმეტიკული და განსაკუთრებით ასტრონომიული ტერმინებით. ასე რომ, ბროსეს სრული საბუთი ჰქონდა ეთქვა ამ შრომის გამო: ქართველებმა 1233 წელს (როდესაც დაუწერია ის აბუსერისძე ტბელს) უკვე იცოდნენ ნახევარი იმ ცდომილებისა, რომლებმაც პაპი გრიგოლ XII აიძულა შედგომოდა კალენდრის შესწორებას. საყურადღებო უფრო ისაა, რომ ავტორი ცდილა შეეფარდებინა ერთმანეთისათვის ქართული და ბერძნული წელთაღრიცხვა, პასქალისტური სისტემა და შეძლებისდაგვარად შეეთანხმებინა ისინი. ამ შრომაში წარმოდგენილია 532-წლიანი დიდი ინდიქტიონი, რომელსაც შემდეგი განმარტებანი აქვს დართული: 1. ზედნადებისათვის, 2. უწყებაი დიდისა მცხრალისა თუ რაითა დაიყენების დიდი პასეკი და ცხოველყოფელი აღდგომაი, 3. დიდისა მცხრალისათვის. 4. მარხვის დაყენებისათვის, 5. უწყებაი დღის საძიებელთათვის, თუ რაისა მიზეზისაგან შეიქმნებიან 6. მიზეზისათვის, თუ რად მოიკმარებიან ზედნადენი, 7. უწყებაი დასაბამითგანთა და წელთაითგან მასწავლებელი, 8. ძიებისათვის და შემოწმებისა ბერძენთა და ქართველთა სათუალავისა (კ. კეკელიძე გვ. 330).

კ. კეკელიძემ ასევე საყურადღებოდ მიიჩნია აბუსერისძე ტბელის ესქატოლოგიური რწმენა იმის შესახებ, რომ ქვეყნის გაჩენიდან 7 ათასი წლის განსრულების შემდეგ მეორედ მოსვლა და ქვეყნის აღსასრული უნდა მოხდეს. დიდი მეცნიერი აბუსერისძეს ნიჭიერ, განათლებულ და ნაყოფიერ მწერლად მიიჩნევდა.

აკადემიკოსი პაატა გუგუშვილი წერდა, რომ აბუსერისძის ამ თხზულებას მეფე ვახტანგ VI გასცნობია, ამას მისი მინაწერიც ადასტურებსო. სამწუხაროდ, ასტრონომიული ტრაქტატი, ისე როგორც ზოგიერთი მისი სხვა ნაწარმოები, ქართულად გამოქვეყნებული არაა, თუმცა მარი ბროსემ ფრანგულად პარიზში ჯერ კიდევ 1868 წელს გამოსცა.

პროფესორმა მოსე ჯანაშვილმა 1903 წელს გაკვრით, ხოლო მოგვიანებით, აბუსერისძე ტბელს სამართლიანად მიაკუთვნა „ხვარაზმელთა ისტორია“, რომელშიც აღწერილია მონღოლი სარდლის ჯალალედინის შემოსევა საქართველოში. მ. ჯანაშვილი წერდა: „XIII საუკუნის პერგამენტის კრებული შეიცავს აბუსერისძის ქრონიკებს ოპიზის ახლოს სავანეს და ხინანში მონასტრის მშენებლობის შესახებ, აგრეთვე ხვარაზმელთა მიერ საქართველოს დაპყრობაზე. აბუსერისძე „ხვარაზმელთა ისტორიის“ ავტორი, – ვფიქრობ მესხია“... საამისოდ იმოწმებს ისტორიკოსის სიტყვებს „მოვიდა სამცხეს“, „მოვიდა ბექას წინაშე“, „მოვიდა პირველად კოლას და არტაანს“, მაგრამ „მივიდა ქუთაისს“ „მივიდეს ტფილისს“ და სხვა.

ამ ნაშრომში აღწერილია საქართველოს 1222-1289 წლების ამბები, დაგმობილია მეფე რუსუდანი, რადგან ჩვენი წიგნი „განასხვავებს კეთილს ცუდისაგან, აღწერთ მხოლოდ სიმაართლეს“. თუმცა ავტორმა კარგად იცის – კანონი უკრძალავს წარჩინებულის, მით უფრო, მეფის მხილებას. ამ ნაშრომში მოთხრობილია აგრეთვე, შალვა ახალციხელის დატყვევების ამბავი (მ.ჯანაშვილი, ქართველთა მატიანე, 1903, გვ. 12; 27; სმომპკ, 35, გვ. 124-125, თბ., 1905).

ეს შემოსევა აბუსერიძემ მოკლედ „სასწაული წმინდისა მთავარმოწამისა გიორგისანშიც“ აღწუსხა, რასაც კ. კეკელიძემ ასეთი სათაური გამოუტანა „ხვარაზმელთა შემოსევა საქართველოში და ქვეყნის აოხრება“. ამის თაობაზე მკვლევარმა თედო ჟორდანიამაც თქვა: 1226 წლის 23 მაისს ჯალალედდინმა... აიღო თბილისი. ამაზე აბუსერიძემ იუწყება 1233 წლის ტყავის ხელნაწერში. იგი მოგვითხრობს თვითნახულ ამბავს: „ოდეს მოგებისათვის ცოდვთა ჩუენთაისა, სამცხე და ყოველი ადგილი საქართველოისა ელტვოდა ხიზნობად შიშისათვის ხუარაზმელთაისა (ჯალალედდინი), გამოქცევასა (თბილისიდან) და მოწყუედასა ზედა ლაშქართასთა და მრავალთა მთავართა და კაცის შვილთასა წარტყუენვასა და მოოხრებასა დედაქალაქისა ტფილისისა...“ (თ. ჟორდანი, ქრონიკები, 3, გვ. 591).

შემდეგ ეს შემზარავი ამბავი ცალკე წიგნად დაწერა. ცნობილია, რომ მონღოლები ანუ ხვარაზმელები 1220 და 1236 წლებში გამოჩნდნენ საქართველოში. მემატიანეს მიხედვით, 1231-1232 წლებში ძლიერ დაუმარცხებიათ ქართველები. ჯალალედდინმა მოაოხრა ქვეყანაო, – წერენ მკვლევარები დ. კაციტაძე, შ. ბადრიძე და სხვები. სხვათა შორის, მაშინ სამცხელთა ნაწილმა აჭარას შეაფარა თავი.


ამ ბოლო დრომდე ცოტა რამ ვიცოდით აბუსერიძისა და გელათის ეპისკოპოსის მიმოწერების შესახებ. გიორგი მიქაძის გამოკვლევით, არსენ ბულმაისის ძისადმი მიძღვნილი წერილით დასტურდება ტბელის განსწავლულობა და სიდიადე. არსენის მიერ ხიზანში გამოგზავნილ ბარათში ვკითხულობთ: „მონაი მონათა ღმერთისათაი, მდაბალი არსენი ამარტოლმა მივიღე შენი ბარათი, რომ აღმემალლა ენაი ქებად შენთვის, რომელმან განინათლე საცნაურითა ხედვითა გონებაი მარადის ზემჭუირობი. ესე ვითარცა ქების მეტყველებათათვის მგრძნობი და მთნები, ჰოი, ღმერთის მოყვარეო, მთავარო დიდგურიანო და სახელ მაღალო აბუსერ“ ( გ.მიქაძე, ლიტ. ძიებები, 1964, გვ. 289-270).

შემდეგ ნათქვამია: „ღიღია თქვენდამი ძალა სიყვარულისა, ეს საშუალებას მაძლევს სიტყვა შეგკადრო, მეცნიერო და მწერალო: თქვენი წერილი ძეგლია მეტყველი, გამომაჩინებელი დამწერისა“. ეპისკოპოსი ებოდიშება იმის გამოც, რომ ეს პირველი ნუსხაა მისი და თანაც სწრაფად ნაწერი. აქ კომენტარები ზედმეტია.


არსენზე საუბრისას თედო ჟორდანია დასძენდა: მას, როგორც განათლებულ კაცს, მჭიდრო კავშირი ჰქონია იმ ღროის მეცენატებთან: ვარდენ და აბუსერ აბუსერისძეებთან, რომელნიც იყვნენ შვილნი ერისთავთ-ერისთავის ივანესი. ეს სამი პირი, ეროვნული ინტერესებით გამსჭვალულნი, ალტყინებული პანეგირისტები არიან „ქართველთა სამეფოს“ სიმტიციისა და დამოუკიდებლობისა. მათი ასეთი განწყობილება გამოწვეულია მონღოლთა შემოსევის „ჟამთა სიავით“. არსენს გელათიდან წერილი გამოუგზავნია აბუსერისადმი. ზოგიერთი მისი თხზულება, ანუ საგალობელი დაწერილია აბუსერისა და ვარდენის შეკვეთით, მათ შორის „სვინაქსარი იამბიკური ოთხთა თთუეთანი: ფებერვლის, მარტის, აპრილისა და მაისის“, რომელთა გამოთქმა უთხოვია მისთვის აბუსერისძეს. ჟორდანია ასახელებს აგრეთვე, „უფალო ღალადგვყავო, სტიქანონი, წარმოდგომა. კანონი და აქებლით ხელთუქმნელისა და უხილავისა ხატისა ვარდან აბუსერისძის თხოვნით გამოთქმული“. მესამე ყოფილა „ძლისპირნი ზესთგამოთქიებისა... ხელთუქმნელისა ხატისანი 16 აგვისტოისა – სრული კანონი, დაწერილი არსენის მიერ აბუსერისძის შეწევნით“.

არსენის წერილთან დაკავშირებით, თ. ჟორდანია განმარტავდა, რომ ესაა ეპისტოლე აბუსერისძის 16 აგვისტოს თხოვნაზე, რაც მისი ელინური (ბერძნული) განათლებისა და ენაწყლიანობის მაჩვენებელიაო. არსენი ეუბნება აბუსერისძეს: „შენი წინადადება მე მაცვიფრებს, მე „ხევი ვარ, ურწყულო, უდაბნონისა, შენ კი ჩემში ჰქონე მდინარე და მდიდრობა ნილლისა, (ე.ი. ნილოსივით წყალუხვი),... განა ის, ვინც მოჯდომია ტრაპეზსა და აღსავსეა, გლახაკისა უბეთაგან სასოებს განძღომასა? ანუ ვინ დაუტევნა ოდესცა სამეფონი საწდევნი ტაკუკნი და ფიალანი აღსავსენი და გულთ უთქუმიდა მარტოსა პერელრინთასა შთაწრედადს ვინ თქუას დატევებად წყალთა პონტოისათა (შავი ზღვა – ი.ბ.) მისწრაფებად ფრეათა უქმთა არაბიასთა? მე თუმცა ვიცი ვითარმედ ყოველი წერილი, ძეგლი არს მეტყუელი, გამომაჩინებელი აღმწერელისი, საუკუნოდ რომელისამე საქებელ ყოფად, ხოლო სხვას განქიქებად უმეცრებისა. ვიცი ისიც, რომ იოანე ოქროპირისა არ იყოს, რომელთა არა სულისა, კედელთა მფეშაუბელისა“, მაგრამ ვიძლიე და შენს თხოვნას ვასრულებთ“ (თ. ჟორდანია, ქრონიკები, 2, გვ. 328-309).

აბუსერისძის ნაწარმოებებიდან ჩვენამდე ბევრმა ვერ მოაღწია, ქართულ ხელნაწერთა აღწერილობის პირველი ტომიდან, რომელიც 1973 წელს გამოიცა, ვგებულობთ, რომ გადარჩა აგრეთვე მისი ალაპი, შესანდობარი შვილ ბეჟანისა და მეუღლე მზექალასადმი.



წმინდა გიორგის ხატი. ლეითონმშობლის ხატის ფრაგმენტი, ორივე ბრინჯაო  
(XII ს. შ. ამირანაშვილი). ხულოს რაიონი



ქვაზე ამოკვეთილი კანკელი  
ს. აგარა, ხულოს რაიონი XI-XII სს. (აკად. შ. ამირანაშვილი)

აკად. კ. კეკელიძემ პირველმა ყურადღება მიაქცია იმას, რომ მწერლის ფონდში (ა-85), რომელიც ხელნაწერთა ინსტიტუტშია დაცული, ინახება ე.წ. გალობანი სამთა იოანეთა, რომელიც მწერლის სიტყვებით მის მიერვეა შემატებული (კ. კეკელიძე, გვ. 440-446). 1992 წელს ეს „გალობანი წმიდა იოვანეთა ნათლისმცემლისა, მახარებლისა და ოქროპირისა“, პირველად გამოსცა, გამოიკვლია, ლექსიკონი და კომენტარები დაურთო დიდი მეცნიერის სამკვიდროში აღზრდილმა რამაზ ხალვაშმა.

აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის თქმით, თავის ნაწარმოებებში ტბელი ასტრონომიულ ცოდნასაც ავლენს, ამასთან, თანამედროვე მკვლევარი მათში ძვირფას ცნობებს იპოვის ხელოვნების შესახებ საქართველოში, მრავალ სამშენებლო ხელობისა და იარაღების ტერმინებსა და სხვა. აბუსერისძე ტბელმა ეს და სხვა თხზულებები მაშინ შექმნა, როდესაც ევროპის რიგ სახელმწიფოებს წერა-კითხვის უცოდინარნი მართავდნენ, – წერდა პროფესორი ვლადიმერ ჭანტურია.

ღიას, ამ ბუმბერაზი, მრავალმხრივ ერუდირებული ერისთავთერისთავით, ეპისკოპოსით, მწერლითა და მეცნიერით, მსოფლიოს ნებისმიერი დიდი ერი იამაყებდა.



რუბრიკით „აბუსერისძე ტბელი – 800“ 1998 წლის 31 ივლისსა და 21 აგვისტოს ჩვენი ეს სტატიები გამოქვეყნდა გაზეთ „აღორძინებაში“, ხოლო შემდეგ ერთად ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ მე-9 ნომერში. 1998 წლის 4 სექტემბერს გაზეთ „აღორძინებაში“ დაგებულ მესამე წერილი „აბუსერისძეთა რეზიდენციის ხიხათა-ხიხანის ეტიმოლოგიისათვის“.

დასასრულ, ერთი ადგილი იმ ინტერვიუდან, რომელიც საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორმა, აკადემიკოსმა გიორგი მელიქიშვილმა მოგვცა 1981 წელს:

„– რას გვეტყვი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ისტორიის განყოფილების გახსნისა და ამ ინსტიტუტისათვის აჭარის მკვიდრის აბუსერისძის სახელის მიკუთვნების თაობაზე?

– უკანასკნელ დროს ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი მართლაც მნიშვნელოვნად მომძლავრდა. აქ ახლა ფუნქციონირებს არაერთი სამეცნიერო განყოფილება – ეთნოგრაფიის, არქეოლოგიისა და სხვა. მიმდინარეობს სოციოლოგიური და ეკონომიკის კვლევა. ამიტომაც დღეს აქტუალურია ინსტიტუტში საისტორიო პროფილის განყოფილების შექმნა.

რა თქმა უნდა, ტბელ აბუსერისძე დიდი ფიგურაა შუა საუკუნეების ქართული კულტურის ისტორიაში და მისი სახელის მიკუთვნება თქვენი ინსტიტუტისათვის, ცხადია, მისასალმებელია. ვისაც ეს ეხება, უნდა დააყენოს საკითხი და ჩვენც მხარს დაუჭერთ (გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1981, 13 ივნისი. საზი – ი.ბ.).

მოხარული ვარ, რომ სიმართლემ, ისტორიულმა რეალობამ გაიმარჯვა. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის 2001 წლის 25 ივლისის სხდომის დადგენილებით საქ. მეცნიერებათა აკადემიის ბათუმის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტს აბუსერისძე ტბელის სახელი მიეკუთვნა (გაზ. „აღჟარია“, 2001, 31 ივლისი).

P.S. დიდი ქართველი მწერლის, მეცნიერისა და მოაზროვნის აბუსერისძე ტბელის დაბადების 800 წლისთავის საიუბილეო ღონისძიებების გამართვასთან დაკავშირებით, საქართველოს პრეზიდენტის ელზარდ-ნაძის 2003 წლის 13 ივლისის განკარგულებით შეიქმნა აბუსერისძე ტბელის იუბილეს მომწეობი სახელმწიფო კომისია, რომლის თავმჯდომარეა თვით ე. შევარდნაძის, მოადგილე – აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ლიდერი ასლან აბაშიძე.

საიუბილეო ღონისძიებანი გაიმართება თბილისსა და ბათუმში 2003 წლის ოქტომბრის მეორე დეკადაში.

## მონღოლები აჭარაში

1253 წელს ევროპელმა პლანო კარპინიმ და გილიომ რუბრუკმა საფრანგეთის ხელმწიფეს ლუდოვიკოს მონღოლეთიდან წარუდგინეს ამ და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში მოგზაურობის ანგარიში.

„ციხე და ნავსაყუდელი სინოპი თურქების სულთანს ეკუთვნის, სელჯუკებმა 1214 წელს აიღეს, ხოლო ტრაპიზონი, რომელსაც კონსტანტინოპოლელი (ბიზანტიის დედაქალაქი, ახლა სტამბოლი) იმპერატორების მოყვარე გვიდო განაგებდა, მონღოლებმა 1244 წელს დაიმორჩილეს“, – ნათქვამია ამ დოკუმენტში, რაც ახალი ცნობაა. აქვე ვკითხულობთ, რომ ტრაპიზონის აღმოსავლეთით იბერია-გეორგიის, ანუ საქართველოს ოლქი მდებარეობს. იბერია არ ემორჩილება თათარ-მონღოლებს. მხედველობაში აქვთ შავი ზღვის სანაპირო, კიდევ განმარტავენ: ესაა ვიწრო ზოლი, სადაც ხარკს ახდევინებენო (პუტეშესტვიე ვ ვოსტორნიე სტრანი, პ.კარპინი ი გ.რუბრუკა, მ., 1957, გვ. 88-89). ცნობილი მოგზაურის – მარკო პოლოს ცნობით კი მონღოლთა ბელადმა ხულაგუმ გადაწყვიტა მთელი წინა აზიის დატაცება. დააჩოქა ირანი, 1257 წელს შევიდა ბაღდადში, სადაც 90 ათასი ადამიანი ამოხოცა. მერე ეცა ერაყს, სირიას, ეგვიპტეს, აზერბაიჯანი, საქართველოც ხულაგუს ვასალი იყო (პოსლე მარკო პოლო, მ., 1968, გვ. 27-28, 217, შენიშვნა).

XIV საუკუნის უცნობი ქართველი ჟამთააღმწერის ასწლოვანი მატიანეს“ მიხედვით, მონღოლები „უჩინ-მაჩინის მზის ქვეყნიდან“ (ჩინეთიდან) მოსულან. იკვებებოდნენ ხორციით და რძით, იყვნენ ტანთსრული, რჩეული ცხენოსანნი, მებისრენი... იყვნენ ჩინგიზ ყაენის გაჩენილები“.

ამ ავტორს, მკვლევარ რევაზ კიკნაძის ცნობით, უხვად გამოუყენებია ქართული და უცხოური წყაროები. კეთილსინდისიერად ამუშავებს უამრავ საკითხს, რომელთა ნაწილი ჩვენს მხარესაც ეხება.

ჟამთააღმწერი მონღოლებს თათრების, ხვარაზმელების, უიგურების, ყარაყორუმისა და სხვა სახელითაც მოიხსენიებს. აღზევებულმა მონღოლებმა თათრები ანუ თურქულენოვანი ხალხები, მათ შორის ხორეზმელები (რომელთა სახელწოდებას უზბეკეთის ერთ-ერთი მხარე ახლაც ატარებს), უიგურები (ყაზახეთისა და დასავლეთ ჩინეთის მცხოვრებნი) და სხვები თავიანთ იმპერიაში მოაქციეს და სხვა ქვეყნების დასაპყრობად გაიყოლიეს. ასე იგდეს ხელთ სპარსეთი, რუსეთი, კავკასია, ახლო და შუა აღმოსავლეთი, ბულგარეთ-ბოსნიამდე შეაღწიეს, რასაც აღმოსავლური სიტყვა-ტერმინების დამკვიდრება მოჰყვა. ასე მოხდა საქართველოშიც.

ჟამთააღმწერის მიხედვით, ხვარაზმელები საქართველოს მეფე ლაშა გიორგის გარდაცვალების მესამე წელს მოადგნენ, ანუ 1226 წელს. არა ერთი შეტყვის შემდეგ მარტში თბილისი იგდეს ხელთ, შემდეგ ჯაყახეთს, სამცხეს, შავშეთს, ტაოს, კლარჯეთს შეესივნენ. რბევა-აწიოკება იმდენად აუტანელი იყო, რომ მანდატურთუხუცესი შამშუ იძულებით „შეილტვოდა ქუეყნად აჭარისა“, გაგელი – ქუთაისს, სხვები – ჩრდილო კავკასიაში.

ამ საშინელებას აჭარის ერისთავთერისთავი, მწერალი-ფილოსოფოსი აბუსერიძე ტბელიც გვიდასტურებს. გადარჩენილ მესხთა დიდი ნაწილი აჭარას შეხიზნებია (ლ.მუსხელიშვილი, აბუსერიძე ტბელი, ბოლოკ-ბასილის მშენებლობა შუარტყალში და აბუსერიძეთა საგვარეულო მატთანე, თბ., 1941, გვ. 64-65). ეტყობა, შემდეგ დამპყრობლებმა შავშეთ-იმერხევის გავლით ჭანეთში (ლაზეთი) ჩააღწიეს და 1244 წელს ტრაპიზონიც დაიმორჩილეს.

ამრიგად, მონღოლ-ხვარაზმელებს ჩვენი მხარე უშუალოდ არ დაუპყრიათ. ეს არც კარპინი-რუბრუკის მოგზაურობათა წიგნზე დართულ მონღოლთა იმპერიის 1260 წლის რუკაზეა მინიშნებული, მაგრამ ერთხანს, ეტყობა, აჭარა ხარკს იხდიდა. ამას უნდა ადასტურებდეს ის, რომ მათ მიერ საქართველოს „დოღუზ თუმან გურჯისტანად“, ანუ ცხრა დუმნა-თუმნად დაყოფის შედეგად დასავლეთი საქართველო ბედიელ-დადიანების დუმნაში მოექცა. ცხადია, ეს იყო მექანიკური, ქლალღზე დაფიქსირებული ამბავი, თუმცა ტენდენციურად განწყობილი ზოგი ავტორი აჭარის ზღვისპირეთს ბედიელთა სამფლობელოს ნაწილად, ბათუმს კი მათ დედაქალაქად მიიჩნევდა.

მაგრამ მონღოლებს ფეხი ჩვენს მხარეში მაინც დაუდგამთ. მიზეზი ის იყო, რომ აქედან ქუთაისს გაღწევა სურდათ, აქ ბრძოლები არ გამართულა, თუმცა ბევრი მაინც დაღუპულა. ჟამთააღმწერი მოგვითხრობს: „ჩინგიზის შვილიშვილმა თეგუდარმა საქართველოსაკენ ლაშქრობისას გზად დიდძალი ნადავლი იგდო ხელთ, ჯარიც გააძლიერა და მომხრეებიც გაიჩინა, რათა ყაენი თავად გამხდარიყო, მაგრამ გაუგეს და დაედევნენ, სწორედ ამის გამო აჭარიდან გაღწევა ისურვა. საამისოდ ნიგალისველისაკენ (ართეინის მხარის ქვემო უბანი) გამოიწია. „და მომართა მათა დადოსთა, კარჩხალთა (ჩვენი მაჭახლის მოსაზღვრე) და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთისა და აჭარისა და დადგა თავსა შავშეთისასა ფიჭუთას და ეზრაზა სარგის ჯაყელსა, რათა მისცეს გზა, უკეთუ უნდეს წასვლა ქუთაისის მეთისა და ვითის წინაშე“ (გვ. 146).

„უცებ ამოვარდა ქარი სასტიკი მთისა, მას მოჰყვა სეტყვა და აღდგეს დღევანი ვითარცა შუა ზღუასა და წარმოეცა წყალი მძაფრი და იქმნა მდინარე დიდი, რომელი განსწორდა ვიდრე წუერამდე ძეგლისა, რომელიცა

იხილვების დიდი ნაღვარევი, რომელი შთავალს მართალ ზედა წყალსა შავშურსა. მოეტევა წყალი და წარიხუნა თათარნი (მონღოლები) სრულიად, კაცი და ცხენი, არა დაშთა თვინიერ კიდე ერთისა კაცისა“. ამას დაერთო მონღოლთა ჯარის გამოჩენა არსიანის მხრიდან. „დიდად ძლიერი ომი გადაიხადეს და მოსწყდა ორგნითვე ურცხვ და განგძელდა ომი, იძლია და ილტვოდა დედა-წულისა კერძო, მთასა ღადოსასა ჯნალისთავთა“. აქაც ბრძოლა ორ დღეს გაგრძელდა, რამაც თეგუდარი იძულებული გახადა უღრანი ტყეებით აჭარას მისდგომოდა. ამ დროს ისევ იმძლავრა სტიქიამ. „აღმართ განმავალთ წარუსდგა მთა იგი, ვითარცა ზუავი თოვლისა, კაცსა ვითარ ათასსა, დედა-წულისა მქონებელსა და შთავიდა ხეესა აჭარისასა და დაიპყრა ცხენი და ყოვლად უჩინონყო და ესრეთ საწყალობლად მოისერიდეს და ჯვრეთცა ადგილსა მას სთხრიან მაჭარელნი და ჰპოვებენ, სამკაულთა დედასათა ოქროსა და ვერცხლისა“ (გვ. 148-149). სპარსი ისტორიკოსის რაშიდედინის ცნობების საფუძველზე თვლიან, რომ ეს ამბები 1270 წელს მომხდარა.

ხალხთა აწიოკებისა და ღალატისათვის ღმერთის მიერ სტიქიის შედეგად ასე დასჯილმა თეგუდარმა მაინც გააღწია აჭარას და ქუთაისში მეფე დავითს ეახლა, რომელსაც დიდებულად მიუღია. ისტორიკოსი ნიკო ღადიანიც დასძენდა: „თენგუთარ აოტა ძმამან მისმან აბალა ყაენმან და ლტოლვილმან გარდავლო მთაი აჭარისა, განვლო ჭოროხი და მივიდა სამეფოსა ნარიან დავითისა“.

მამა-შვილმა სარგის და ბექა ჯაყელებმა მაშინ გონივრული პოლიტიკის შედეგად მესხეთ-აჭარა განსაცდელს ააცილეს, უფრო განამტკიცეს საათაბაგო („ქვეყნის მშენებელ“ ბექას სამფლობელოში სამცხესთან ერთად შედიოდა, აგრეთვე: – აჭარა, შავშეთი, ტაო, ნიგალისხევი, არტანუჯი, კოლა და კლარჯეთი), ხოლო ტრაპიზონის გამგებელ კომნენოსთან დამოყვრებით ჭანეთიც დაიბრუნეს.

ამრიგად, იმდროისათვის აჭარას ჯაყელი ათაბაგები განაგებდნენ, ამ მხარეს „ქვეყნის“, ხოლო მკვიდრთ „მაჭარელნის“ ფორმითაც მოიხსენიებდნენ. სტიქიას ადასტურებს აჭარის ერთ-ერთი სოფლის ნაღვარევის სახელწოდება, სოფელი ჯინალი კი მდებარეობს მდ. ყვირილასთან (ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია, გვ. 265, იხ. რუკა), საიდანაც გზა მარეთის ხეობაში გადმოდის და დაბა შუახევთან ცენტრალურს უერთდება. მემამულიანე არ განმარტავს, მონღოლთა ნაშთი ბათუმისაკენ საიდან დაეშვა, შესაძლოა მდ. აჭარისწყალ-ჭოროხზე გაყოლებით. არაა გამორიცხული კარჩხალის მთისძირ-მაჭახლის ხეობით შემოსვლაც. ამ ვარაუდს ადასტურებენ ახალი მასალები, რომელთა თანახმად მონღოლები კარჩხალის მთებს გამოპყლიან და მაჭახლის ხეობიდან ზღვისპირისაკენ დაშვებულან.

## აჭარა და XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიცია

იტალიელი (ვენეციელი) ელჩი-დიპლომატი ამბროჯიო კონტარინი ბათუმში პირველად 1474 წლის ივნისში ჩამოვიდა. იგი აჭარა-ახალციხის გავლით სპარსეთს უნდა გამგზავრებულიყო. „ფაზის ქალაქი მეგრელე-ბისაა, მათ მთავარს ბედიელი ეწოდება, ბედიელის სამთავრო მცირე არის, სამ დღეში საზღვრიდან საზღვრამდე მიხვალ“, – ნათქვამია მის ანგარიშებში. იგი გურიას საერთოდ არ მოიხსენიებს, ხოლო „ვატი ციხე და მცირე ქალაქი, ეკუთვნის... თავადს, რომელსაც სახელად პქვიან გორბოლა... ზღვისპირას მას ეკუთვნის კიდევ ერთი ქალაქი კალთიხეა, სადაც აბრეშუმით, ტილოს ქსოვილით, ცვილითა და სხვა საქონლით ვაჭრობენ“.

ვატი-ბატი ქ. ბათუმის ევროპული ფორმა, სახელწოდებაა. გორბოლა – ახალციხის ათაბაგ ყვარყვარე ჯაყელისა, კალთიხეა კი ქაჯთა ციხე, ანუ ციხისძირია, რაც გარკვეულია ქართველი და უცხოელი მკვლევრების მიერ და განმარტებას არ საჭიროებენ (აღ. ჭყონია, სიმონ ჯანაშია, თეიმურაზ ბერაძე, თედორე ბრუნი, ლაიოშ ტარდი). ვატი, ვარტი აწერია 1318, 1367, 1480 და 1497 წლების პიეტრო ვესკონტის, ფრანცისკო პიცოგანის შავი ზღვა კავკასიის რუკებს, თუმცა გვხვდება ბატას, ბათეას სახითაც. ბიზანტიოლოგი, პროფესორი ნიკოლოზ კარეევი ყვარყვარე ათაბაგის სამფლობელოს აღწერისას ასევე დასძენდა: ზღვისპირას იწყება ბათუს-ბოასთან, აქვეა ზღვისპირა ქალაქი კახეტიუმი (ნ. კარეევი, მონარხი დრენეგო ვოსტოკა ი გრეკო-რიმსკოგო მირა, სპბ., 1908, გვ. 56).

კახეტიუმი, რასაკვირველია, ქაჯთა ციხის დამახინჯებული ფორმაა. აქ საინტერესო ისიცაა, რომ მეორე კომპონენტი მოცემულია ადგილის მაწარმოებელ ბერძნული დაბოლოება-სუფიქსით უმი, – რაც ფიქსირდება აგრეთვე სახელწოდებებში ბათუმი, სოხუმი და სხვა. ასე რომ, ჩვენი ქალაქის სახელი თურქების მიერ არაა წარმოებული (ი. ბექირიშვილი, აჭარის გეოგრაფიულ სახელთა ლექსიკონი, 2001).

ათაბაგი ყვარყვარე (1451-1498) რომ ევროპელებმა გორბოლადა. გრეგუარად და გორგორედ მონათლეს, ახალი არაა. ამასთან, ამ სახელით ახალციხეს, ზოგჯერ მთელ საქართველოს მოიხსენიებდნენ. მათ აიგივებდა, მაგალითად, რომის პაპი კალიკსტო, რაც შენიშნეს უნგრელმა ქართველოლოგმა ტარდიმ, მამისთვალისშილმა და სხვებმა. XV საუკუნის მოგზაური პაოლო ჯოვიოსი, იგივე პაულუს იოვიუსი გორგოლაში ახალციხის

ქვეყანას, საათაბაგოს გულისხმობდა. იტალიაში მოღვაწე მიხეილ თამარაშვილი საქართველოს მეფისადმი პაპი პავლეს 1545 წლის 17 ივლისის წერილში მოხსენიებულ გორგორა ახალციხელთან დაკავშირებით განმარტავდა, რომ ესაა ყვარყვარე, რომელიც ქრისტიანე შარაშიძის ცნობით, XV საუკუნის თურქულ წყაროებშიც ევროპელების გავლენით გრეგუარად იწოდებოდა, ხოლო XVI საუკუნის ისტორიკოსს ფ. გორგიჯანიძეს „ყორ-ყორე“ უწერია, რაც ყვარყვარეს ასევე დამახინჯებული ფორმაა.

რამ განადიდა ასე ყვარყვარე, რატომ გამოიჩინეს ევროპელებმა ესოდენ დიდი ინტერესი მისდამი, რატომ იყო ბათუმში ჩამოსული ყველა მისიონერი თუ დიპლომატი თბილისსა და სპარსეთში გამგზავრებამდე მისი სტუმარი?

ჯერ კიდევ ყვარყვარეს წინაპარს 1440 წელს წამოუწყია მოლაპარაკება ევროპელებთან ანტიოსმალური კოალიციის შექმნის თაობაზე. სწორედ ამ წლის აპრილში, ტრაპიზონის იმპერატორს რომის პაპ პავლესთვის უცნობებია, რომ „ქართველები მზად არიან ოსმალეთის წინააღმდეგ საბრძოლველად“ (ლ. ისარლიშვილის ცნობა, იხ. ი. ბეჭირიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, გვ. 24). ისიც ცნობილია, რომ პადრე ლუდოვიკოს 1459 წელს ევროპაში თან წაუღია თვით ყვარყვარესა და საქართველოს მეფე გიორგის წერილები ბურგუნდიის ჰერცოგისადმი. ყვარყვარე წერდა: „თვით უნდა წარუძღვე ჩემს 20 ათას ცხენოსანს ურწმუნოთა წინააღმდეგ. ამის ადვილად აღსრულებისათვის არა მარტო შეეურიგდი, არამედ პირობაც შეეკარი და კავშირი დავადგინე ყველა ქრისტიან მთავართან, რათა შეერთებული ძალით ეძლიოთ ოსმალეები“ (მ.თამარაშვილი, ისტორია კათალიკოსობისა ქართველთა შორის, 1902, გვ. 51).

ამასთან დაკავშირებით აკადემიკოსი ივანე ჯავახიშვილი დასძინდა: „ყვარყვარე იმდენად დამოუკიდებელი იყო, რომ ევროპაში თავის საკუთარ დესპანს გზავნიდა, მას ჯარიც საკუთარი ჰყავდა, ცნობილი იყო უცხოეთში და ძლიერი მთავრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგი მეფე მას მოკავშირედ იხსენებს“ (ივ. ჯავახიშვილი, ქეი, 4, გვ. 61-62).

ყვარყვარე ათაბაგის დამსახურება იყო ის, რომ როგორც მანტუს კონგრესზე ითქვა, ტრაპიზონის იმპერატორს საერთო მტრის წინააღმდეგ 50000, საქართველოს მეფეს პირადად 40000, ბედიელს – 60000 და აფხაზეთს 30000 მებრძოლი უნდა გამოეყვანა, მაგრამ ევროპელები უინიციატიუობას იჩენდნენ, ათას რამეს იმიზეზებდნენ, დრო კი გადიოდა და ოსმალეები უფრო გაბედულად თვითნებობდნენ. შედეგი კი სავალალო იყო ბალკანეთში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთშიც. ოსმალეების ექსპანსია ფრთებს იხსამდა.

სპარსეთიდან დაბრუნებულ კონტარინს, აგრეთვე ლუდოვიკო ბოლონიელს, ბერნარდინელ მღვდელს, ანტიოქიის პატრიარქსა და სხვებს ფოთში დასახლებულმა გენუელმა მღვდელმა, რომელსაც ცოლად ტყვეობიდან გამოხსნილი ჩერქეზი მარტა ჰყავდა და მექადან მოსულმა ნიკოლო კაპელო მოღონელმა კაფაში (ფეოდოსია) გამგზავრება „ჩერქეზეთის გზით“ არ ურჩიეს, რადგან იქ და ზღვაზეც უკვე ოსმალები ბატონობდნენ. ამიტომაც რუსეთის ელჩთან ერთად 1475 წლის 6 აგვისტოს თბილისში ისევ მშვიდობიანად აჭარის გავლით დაბრუნდა.

ამჯერად კონტარინი წერდა: „გავიარეთ ახალციხის მთავრის ყვარყვარეს საბრძანებელი და ბათუმის მხარე... გავიარეთ ახალციხისა და ბათუმის მთავრის გორგორას საბრძანებელი, რომელიც ოსმალეთის სახელმწიფოს საზღვარზეა და ხარკს იხდის“ (ჟურნ. „მოამბე“, 1894, №11, გვ. 50).

კონტარინის ამ უმნიშვნელოვანესი ცნობებით დასტურდება, რომ ბათუმში, ციხისძირი, ანუ მთელი აჭარა კვლავ სამცხე-საათაბაგოს, მესხეთის ნაწილი იყო, მას ათაბაგი ჯაყელები განაგებდნენ. ამიტომ იყო, რომ საქართველოს მეფე გიორგი ბურგუნდიის ჰერცოგისადმი მიწერილ ბარათში როგორც ამას ბრუნი წერდა, დიდ იმედს სწორედ ბატა-ბათუმზე ამყარებდა, რომელიც მისი „მოკავშირე ათაბაგის რეზიდენციიდან ერთი კვირის სავალზე იყო“ (ფ. ბრუნი, ჩერნომორიე, 2, გვ. 151).

ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი ისიცაა, რომ 1475 წლის ზაფხულში აჭარა ხარკს უხდიდა ოსმალებს. ასეთი ცნობა არც ერთ სხვა ავტორს არ მოეპოვება. ცხადია, ჩვენი მხარე უკვე მომხდურების გავლენა-ბატონობის სფეროში იყო მოქცეული. სხვა ქვეყნების დაპყრობის მიზნით, იქით-აქეთ მოდებული ოსმალები პირველ ხანებში აჭარის დამონების ამ ფორმას დასჯერდნენ, ადმინისტრაციისა და ისლამის (მუსლიმანობის) დანერგვას კი მოგვიანებით ჩაეჭიდნენ (ი. ბეჟირიშვილი, როდის დაიპყრეს ოსმალებმა აჭარა?).

ამრიგად, ევროპელებმა ვერ გამოიჩინეს გონიერება, სიფხიზლე, სერიოზულად არ შეაფასეს ოსმალთა საშიშროება თუნდაც ბალკანეთის ქვეყნებისათვის და საქართველოც გასწირეს. ასეთ პირობებში რასაკვირველია ოსმალებს გზა ხსნილი ჰქონდათ. არც სისხლისმღვრელ ბრძოლებს მოერიდებოდნენ.

თავისდა სამარცხვინოდ, ევროპელებმა, კერძოდ, ბურგუნდიელებმა 1444 წელს ბათუმში მყოფი აბრეშუმით მოვაჭრეებისა და ქალაქის გამარცხვის მიზნით თავდასხმაც მოახდინეს, სისხლიც დაღვარეს. ტრაპიზონელთა შეტყობინებაზე, რომ აქაურები ქრისტიანები არიან, უპასუხიათ: „ეგენი ჩვენს პაპს არ ემორჩილებიანო“ (გამოქვეყნებულია გაზ. „აჭარაში“ 2001 წლის 26 იანვარს).

## კაზაკები ბონიოში და ეპლია ჩაღების სხვა ცნობები

თურქეთში ევლია ჩელების მოგზაურობათა წიგნები კულტურულ-ისტორიული მნიშვნელობის ფუნდამენტურ ნაშრომად ითვლება, ჩელები კი უდიდეს და საინტერესო მოგზაურად, რომელმაც აღწერა ახლო აღმოსავლეთის, აფრიკის, ევროპისა და კავკასიის ქვეყნები.

მოგზაური საქართველოში 1640 და 1647 წლებში იმყოფებოდა. ქართველებზე თხრობას იგი იწყებს ტრაპიზონის აღწერისას. თურქებმა აქაურობა 1461 წელს დაიპყრეს, პირველ გამგებელს შორის იყო სულეიმანი, რომელიც 1520 წელს სულთანი გახდა და კანუნად იწოდა. სხვა ცნობების თანახმად, იგი ჯარით აჭარასაც შემოსევია და მაჭახლელი აჯანყებულებიც დაუმორჩილებია.

1579 წელს ჩილდირის ანუ ახალციხის ვილაიეთი შექმნეს, მას შავშეთი, ლივანა და აჭარის ნაწილი – მაჭახელი დაუქვემდებარეს, ხოლო ქვემო და ზემო აჭარა – ქვემო და ზემო ბათუმის სახელწოდებით, აგრეთვე გონიო - ტრაპიზონისას. სახელწოდება „აჭარას“ ჩელები მოიხსენიებდა იმასთან დაკავშირებით, რომ არტაანში ხილი აქედან შექქონდათ და მთლიანად აჭარა იხდიდა 200000 ახჩა გადასახადს. ამასთან ზოგჯერ ბათუმის სანჯაყის პარალელურად ლივანსაც წერდა, რაც უფრო დიდი ადმინისტრაციული ერთეული იყო. ყურადღებას იქცევს ისიც, რომ გონიოს ცალკე სანჯაყის სახითაც მოიხსენიებდა, მაგრამ სხვა ადგილას დასძენდა, ბათუმის სანჯაყში შედისო, ამ გარემოებას სხვა ავტორებიც ადასტურებენ.

მაჭახელი 20322 ახჩას იხდიდა, შავშეთი – 65000-ს, არტანუჯი – 28000-ს, რომელიც მეტ ტერიტორიას მოიცავდა.

ჩელები არ წერდა, რომ ჭანები და ლაზები ქართველებია, მათი სამშობლო კი – საქართველოს ნაწილი, მაგრამ არც ის აქვს ნათქვამი, რომ თურქები არიან. პირიქით, ხაზს უსვამს – მათი ენა და კილო განსხვავებულია, ისინი ლაზები არიანო. ჭანები სამსონ-სინოპ-გირესუნის რაიონში ცხოვრობდნენ, ამიტომ იყო, რომ მათ სანჯაყს ჭანიქისა ერქვა. ჩელები თვით ტრაპიზონს „ლაზიკის ქალაქად“ მოიხსენიებდა. ავბედითობის გამო ტრაპიზონის აქით, აღმოსავლეთით მცხოვრები ჭანები ნაწილობრივ აქ მოსულ ლაზებში გაითქვიფნენ. ლაზთა უმრავლესობის გამო თურქებმა აქაურობას ლაზისტანი უწოდეს, მაგრამ სამეცნიერო ლიტერატურაში მაინც ჭანეთად მოიხსენიება. ასე რომ, ჩელების ლაზებში ჭანებიც მოია-



ზრებიან. ამ ტომს მოგზაური მოუხეშავს უწოდებს – ყველანი იანიჩარების შვილები და თავადაც ასეთები არიან, ესე იგი მეომრებიო. დაკავშირებული ყოფილან აგრეთვე ზღვასთან, მეთევზეობასთან, მეხილეობა-ვაჭრობასა და ტყვეთა სყიდვა-გადაყვანა-გაყიდვასთან. ჰაეა მშვენიერია აქ, ხალხიც მხიარული, ბედნიერი, სიტკბოებისა და სმა-ჭამის მოყვარულია, უზრუნველი და უდარდელი. გამოირჩევიან მშვენიერებით, მეგობრობით, ერთგულებით, დაჟღაჟა ფერი აქეთ, რადგან მათი ცოლები აბაზები – (აფხაზები), ქართველები და ჩერქეზები არიან, მათი ვაჟები და ქალიშვილები ისეთი ლამაზები, გეგონებათ მთვარის ნახატებიაო.

სურმენში მთელი მოსახლეობა ჩიჩუები ყოფილან, რიზეში – ჩხეტიები. პროფესორ იოსებ ყიფშიძის მიერ იქვე წარმოებული მოკვლევით, ჩიჩუები და ჩხეტიები ჭანები იყვნენ. ტრაპიზონის მხარის ჭან-ლაზთა საქმიანობის შესახებ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

ამ ძველი ქართული სანახებიდან 1640 წლის 19 ივლისს ევლია ჩელები ამაღასთან ერთად ქალაქ გონიოში მოვიდა, რომელიც თავისი სტრატეგიულილობით გამოირჩეოდა. გაეხსნათ საბაჟო, იღვა ჯარიც – სამასი ფაშის მებრძოლი, ხოლო ადგილობრივ ალიბეგს ბრძოლის დროს 800 მებრძოლი უნდა გამოეყვანა სურსათ-სანოვაგით, გარდა ამისა, იყო ციხისთავი და მას 500 მეციხოვნე ებარა. ამასთან ერთი ასეული მაღალი კარის იანიჩარი და 800 მებრძოლი მორიგეობით დღე და ღამე იტაცდა „მტკიცე და ძლიერ“ ციხეს. ეს არცაა გასაკვირი, რადგან აზოვის კაზაკები თავიანთი „ჩაიკებით“ მრავალჯერ დასხმიან, ქონება დაელად წაუღიათ, მოუოხრებიათ და დაუნგრევიათ“.

და მაინც, არ იგრძნობოდა კარჩაკეტილობა. ვაჭრები თავისუფლად მიდი-მოდდიოდნენ, მათ შორის ტრაპიზონიდან, ყირიმიდან, თვით ქართველებიც. შემოქონდათ დენთი, ტყვია, თოფები, ხმლები, ქვაბები, ჯაჭვი, რკინა, საპონი, მარილი და სხვა საქონელი. ამიტომაა, რომ ჩვენი მონაცემებით, აჭარაში თოფის ერთ სახეობას ყირიმულა ერქვა, მათ მკეთებელ დიასამიძეთა ერთ ნაწილს კი მეტსახელად ყირიმოღლებს ანუ ყირიმულას მკეთებლებს ეძახიან. გაქონდათ თაფლი, სანთელი, ხილი, მარცვლეული, ბზა, ხე-ტყე, ნავეები, იარაღი და სხვა. ნავებს გონიოში ჭოროხთან აკეთებდნენ ალვის დიდი ხეებისაგან, რომლებიც იქვე ხარობდა. გვერდებზე ლერწმისა და ჭილის წნულებს აკრავდნენ, რომელშიც წყალი არ გადიოდა. ჩელებს თუ დაუვჯერებთ, ქართველთა ასეთ ნავს ასამდე კაცის გადაყვანა შეეძლო. ამ ნავებს ბერძნული მონოლითის გავლენით, მენექსილას უწოდებდნენ. ყიდდნენ რუსეთშიც: სიცოცხლის მდინარე – ჭოროხი უფონო, დიდი ყოფილა, ხიდს არ აყენებდა. სხვადასხვა ცნობებით გენუელების აშენებულიც წაულ-ეკაეს და XIX საუკუნის დასაწყისის რკინის ხიდიც.

კაზაკები სინოპ-სამოსნსაც დასხმიან „ამ ურჯულოებს გაუძარცვავთ და დაურბევიათ ეს ქალაქები“ თურმე. დაეუმატებთ რომ სინოპზე იერიში ადმირალ ნახიმოვსაც მიუტანია, რაც ერთგვარად აკავებდა სხვა ქვეყნებში ოსმალთა პარპაშს. ჩელები ამაზე ცნობებს არ გვაწვდის. არაფერს ამბობს იმაზეც, რომ მისიანებიც ასევე აოხრებდნენ და ძარცვავდნენ საქართველოს.

ცხადი ხდება, რომ კაზაკები დაესხნენ თურქებს და არა ქართველებს. ეს ასე მოხდა: 1647 წელს ჭოროხზე დაყოლებით მოსულ თურქებს გონიოს ციხეში კაზაკები დაუხვდათ. ჩელები არაფერს ამბობს, როგორ მოხვდნენ ისინი აქ, სად გაქრა თურქთა გარნიზონი. ერთი სიტყვით, ციხე კაზაკებით იყო სავსე, კედელ-ბურჯები ჯვრებით მოერთოთ. 70 ნავი „ჩაიკა“ ციხესთან ჩამდინარე ჭოროხისპირას დაებათ, ნაქეიფარი და უგონოდ მოვრალეები იყვნენ. „სამეგრელოსა და გურჯისტანის ქვეით ჯართან“ ერთად ეკვეთნენ „გმირი მუსლიმანები“ კაზაკებს. მიპარვით აუხსნეს ნავეები და ზღვაში შეაცურეს. მთვრალი კაზაკები ნაწილობრივ აკუწეს, სხვები ჭოროხში გადაცვიდნენ, მაგრამ ციხე მაინც ვერ დაიბრუნეს. გაცოფებული კაზაკები შეტევაზე გადმოვიდნენ. თურქებმა სამეგრელოდან მოსული ნავეების ანძები კიბებად აქციეს, ციხის აღმოსავლეთითა და დასავლეთით სანგრები გათხარეს და „სამეგრელოსა და გურჯისტანის აზნაურებთან ერთად“ ისევ შეუტიეს. კაზაკებმა ბაირალი ააფრიალეს, შეტევაზე გადმოვიდნენ. ახმელ ფაშა 300 მეომრით ეცა მათ. ტყვედ ჩაბარდა 200 კაზაკი, დაიღუპა კი 70 მუსლიმი. ეს ბოლო მონაცემები შემცირებული გვეჩვენება, ხოლო იმაზე, თუ რამდენი ქართველი დაეცა, არაფერს ამბობს ჩელები.

მესამე იერიშის მისატანად ოფიცრები გაგზავნეს და ლაზები 50 ნავით, თოფ-შუბებით, თეთრი ბაირალებითა და ღუდუკებით გონიოს მოადგნენ. მათ სარდალმა რატომღაც ჩერქეზულად მიმართა. თუ ასეა, მაშინ მოსულები ლაზები რატომ უნდა ყოფილიყვნენ. ამჯერად ჩალა-თივით ცეცხლი შეუნთეს და კაზაკები ისევ აკუწეს, ნაწილიც ისევ „ჭოროხში გადაეშვა, გაქრა“.

ამასობაში კაზაკთა დასახმარებლად ქართველთა 40-50 ნავი მოცურდა, ფაშამ მათაც „დიდი ბრძოლა“ გაუმართა. თითქოს აგენიც დახოცეს და ხელთ იგდეს ნადავლი და ტყვეებიც. ზეიმი სამ დღეს გაგრძელდა. გონიო აივსო ერზერუმის, ბასიანის, ლივანის, გიუმუშხანეს, ტრაპიზონის, საფარჯაყელის, იმერეთის, ქართლისა და სხვათა ჯარებით, 15-18 ათას აღწევდა. ნადავლი ტრაპიზონში „გონივრულად გაიყიდა“, ამასთან წაუყვანიათ 151 კაზაკი, 200 მეგრელი და 150 მონა. ციხე და ბაიაზიდის ჯამე აღუდგენიათ, 700 ახალი ჯარისკაცი ჩაუყენებიათ და ბათუმ-ტრაპიზონის ჯარიც დაუტოვებიათ.

საინტერესოა, რომ სხვა თურქულ წყაროებში გონიოს ბრძოლებზე არაფერია ნათქვამი, ქართული წყაროები კი საერთოდ ღუმან. ერთი საგულისხმო ამბავი ისიცაა, რომ „ციხე ჭოროხის ნაპირას დგას“ „ჭოროხი გონიოს ციხესთან ზღვას ერთვის“, „გადარჩენილი კაზაკები ჭოროხში გადაცვივნენ“ და სხვა. მაშინ მდინარე მართლაც ციხეს ჩაუდიოდა, მეორე ტოტი კი ბათუმს, რაც უფრო წყალდიდობის დროს ხდებოდა. ასე იყო ამ საუკუნის 50-იან წლებამდე. ნაპირგასამაგრი ჯებირების აგებით ჭოროხი ნამდვილად მოითოკა (გამოქვეყნდა გაზეთ „აღორძინებაში“ 2000 წლის 18 აგვისტოს).

• • •

ახლა ენახოთ, რას იუწყებოდა ევლია ჩელები ადამიანთა დატყვევების, ყიდვა-გაყიდვის, თურქეთში მოხვედრილ ქართველებსა და ჭან-ლაზთა საჭმელ-სასმელისა და სხვათა შესახებ.

მოგზაური არ უარყოფდა, რომ თავდასხმები, დაპყრობები ხდებოდა გამდიდრებისათვის, ტყვეთა ხელში ჩაგდებისა და გაყიდვისათვის. საერთოდ ადამიანთა გაყიდვა-გატაცება ჩვეულებრივი მოვლენა ყოფილა. იგი XVII საუკუნეში ფართოდ გავრცელდა დასავლეთ საქართველოში. ფეოდალები საკუთარ ყმებსაც ყიდდნენ და ერთმანეთისაგან მოტაცებულებსაც. ამასთან, აფხაზები მეგრელებს იტაცებდნენ, მეგრელები – აფხაზებს და თურქ-ვაჭრებს თავად აწვდიდნენ ხოლმე. ტრაპიზონის ვილაიეთის ლაზ მეზღვაურთა უმრავლესობის მთავარი ხელობა სწორედ სამეგრელოში შესყიდული ტყვეების თურქეთში გადაყვანა და სარფიანად გაყიდვა იყო. ასე ხდებოდნენ ქართველები და სხვა კავკასიელები ტრაპიზონის, სტამბოლის, არაბეთის ბაზრებზე, ასე ხდებოდნენ დიდებულთა მეუღლეები, საყვარლები და მოსამსახურეები. თვით ჩელების ნაჩუქრობითა და ყიდვით 18 ტყვე წაუყვანია. აჭარაში ტყვეთა გაყიდვის ადგილად მოიხსენიებს მხოლოდ გონიოს, სადაც მოჰყავდათ უცხოელ, არაადგილობრივ ვაჭრებს, ნაძირალებს. საგულისხმოა, რომ თვით ადგილობრივი მოსახლეობის, ანუ აჭარლების მიტაცება-გაყიდვა არც სხვების მიერ ხდებოდა და არც ადგილობრივი ალა-ბეგები აკეთებდნენ ამას. კაცის გატაცება აჭარაში სასტიკად აკრძალული იყო, ამას ისიც განაპირობებდა, რომ აქ მონობა არ არსებობდა.

ქართველთა ნაწილი თურქეთში ასეთი გზითაც ხვდებოდა: სამეგრელოს თავადის ნათესავების ტყვეობიდან გამოხსნისათვის თურქებს 100 ტყვე, ათასი სული პირუტყვი და ქსოვილები მიუღიათ. სამეგრელოს საქმეებში ჩაურევლობისათვის კიდევ 250 ტყვე და მონა.

იმერეთიც თავისუფალი, ანუ დამოუკიდებელი სამთავრო იყო, მაგრამ, ჩელების ცნობით, სტამბოლში ყოველწლიურად იშვიათი სილამაზის უამრავ ტყვე ქალ-ვაჟს, შეეარდენებს, ჯორებს აგზავნიდა. ასევე აფხაზებიც – წელიწადში 40-50 ქალიშვილსა და ჭაბუკს, ქონებას, საგანგებო ძღვენს სწირავდნენ ხოლმე თურქეთის სულთნებსა და ფაშებს.

უნდა ითქვას, რომ ქართველების მნიშვნელოვანი ნაწილი ოსმალეთში წარმატებებს აღწევდა, პასუხსაგები პოსტებიც ეკავათ. მეღეჭ ახმედ ფაშა აფხაზი იყო. სტამბოლში დაიბადა, უკვე 16 წლისა სულთნის კარს ემსახურებოდა. განაგებდა ალექსის, დიარბაქირს, ბაღდადს, 1650 წელს დიდვეზირი გახდა. ასევე იმსახურა ბოსნიასა და რუმელიაში. იბრაიმ ფაშას დედაც აფხაზი ჰყოლია, დედით აფხაზი ყოფილა თვით ევლია ჩელებიც.

ქართველები ყოფილან დილავერ, მურთაზ, მეჰმედ, ქენან და სხვა ფაშები, ქენანს ზორბა ტანის გამო მეტსახელად კოჯა შეარქვეს. მას XVII საუკუნის შუა ხანებში ოჩაკოვის გამგებლის პოსტი ეკავა, არზრუმშიც დიდკაცობდა და სილისტრიის ბეგლარბეგობითაც გაითქვა სახელი. ამრიგად, ევროპელთა გამონათქვამი იმის თაობაზე, რომ თურქებმა ქართველებისა და სხვათა სისხლით გაიჯანსაღეს და გაილამაზეს თავიო, სიმართლეა. ამას ჩელებიც არ მალავს. რამდენიმეჯერ ხაზს უსვამს ამ გარემოებას.

ჩვენთვის ასევე საინტერესოა ჭან-ლაზთა საჭმელ-სასმელების გაცნობა. ამ მხრივ უნდა ითქვას, რომ ყოფით, საქმიანობით, ეთნოგრაფიული თვალსაზრისით დასავლეთ საქართველოს, ანუ ძველი კოლხეთის მცხოვრებლები დიდად არ განსხვავდებოდნენ ერთმანეთისაგან.

მთის ყურძნისაგან ლაზ-ჭანები აყენებდნენ სისხლისფერ მშვენიერ სასმელს, რომელიც არ ათრობდა, ფრიად საამო იყო სამჯერ მოღუღებული და შესქელებული, შაქრით, მუსკატითა და მიხაკით შეზავებული. განსაკუთრებით ჰყვარებიან ბალი, მსხალი, მათ შორის გულაბი, სინოპის ვაშლი. ევროპული ჯიშის ყურძენი ანუ იზაბელა, რომელიც აჭარაში ადესას სახელით დამკვიდრდა, რადგან ამ ქალაქიდან შემოიტანეს. მოწონებით სარგებლობდა ლეღვი ბადრიჯანას სახელწოდებით. უხვად იყო ლიმონი, თურინჯი, ბროწეული, ზეთისხილი, რომლის ზეთს კერძების მოსამზადებლად იყენებდნენ. ჩვენებური კაკალიც ბევრი ხარობდა. ხურმას თონეში

ახმობდნენ (მეგრელები დღესაც ასე ამზადებდნენ ხურმის ჩირს) და სხვაგან გააქონდათ.

ისტორიულ ჭანეთ-ლაზეთის მცხოვრებლებს ძალიან ჰყვარებიათ თევზი, კერძოდ, ქორჭილა, კეფალი, სკუმბრია, წითელთავა. მასობრივად ეტანებოდნენ ქაფშიას, რომლის ყიდვა-გაყიდვაში ერთი ჭიდილი და დავიდარაბა პქონიათ. ქაფშიას ხამსას უწოდებდნენ იმის გამო, რომ ჩნდებოდა და იჭერდნენ ხამსა დროს – ზამთრის მეორე ნახევარში, რომელიც 50 დღისაგან შედგებოდა და სამება დღით მთავრდებოდა. ყიდვისას იტყოდნენ „აბა ერთი ხელსახოცი ხამსა მოგვეციო“ და ნაზად მოქარგულ ხელსახოცში ჩადებდნენ, ლექსიც უძღვენეს. აქაურთა აზრით, ქაფშია იმდენად სასარგებლოა, რომ მჭამელს ძალა შვიდ დღეს ემატება, ავადმყოფი იკურნება, სწრაფად მოსანელებელი და ნოყიერია. თუ სადმე სახლში მორიელი ან გველია, ქაფშიის თავებს დაწვევდნენ და კიდევ გააქცევდნენ.

ქაფშიისა და სხვა თევზებისაგან 40-ნაირ კერძს ამზადებდნენ: შემწვარს, წვნიანს, მოხრაკული ხახვით შემზადებულ ღვეხელს. წვევდნენ ლერწამზე წამოგებულებსაც, ჩელები ჭემშარიტ კურთხეულს უწოდებს კერძს, რომელსაც ასე ამზადებდნენ: წვრილად დაჭრილ ოხრახუმს, ნიახურს, ხახვს, პრასას დარიჩინითა და შავი პილპილით კაზმავენდნენ და ქვის კეცფილაქებში ქაფშიის ყოველ ფენას ამ საკმარის აფენდნენ, ზეთუნის ზეთს, აგრეთვე წყალს ასხამდნენ და ცეცხლზე მოხარშულს შეექცეოდნენ.

ეკლია ჩელებიმ აღწერა და უამრავი საინტერესო ცნობა მოგვაწოდა იმ ქალაქების, ციხეებისა და მხარეების შესახებ, რომლებიც თავად მონიახულა. სამწუხაროდ, ბევრი არაფერი უთქვამს აჭარაზე. მნიშვნელოვანია გონიოში, კაზაკებთან მომხდარი ბრძოლების აღწერა, აგრეთვე გაკვრით მოხსენიებული ადმინისტრაციული და სხვა ხასიათის ცნობები. ცნობათა ამგვარი სიმწირის მიზეზი მხოლოდ ისაა, რომ პირველი მოსვლისას გონიოდან ამაღლას სამეგრელოში გააყოლეს, მეორე მოგზაურობისას ისევ გონიოს შერჩა კაზაკებთან ბრძოლის გამო და ჩვენი მხარის დათვალიერებაც ვერ მოაწრო. ალბათ, ამით აიხსნება, რომ მან ვერ მოიხსენია ადგილობრივი გამგებლები, არაფერი თქვა აჭარლების უტეხ ხასიათსა და ვაჟკაცობაზე. უნდა ითქვას ისიც, რომ აჭარლები მედგრად ეწინააღმდეგებოდნენ თავიანთ მხარეში თურქებისა და მათი რელიგიის – ისლამის დამკვიდრებას. ეგებ ამიტომაც სიმპათიების გამოვლენა აჭარლების მიმართ ეკლია ჩელებიმ არ ჩათვალა საჭიროდ, იმას კი არ აუარა გვერდი, რომ აჭარას არ აწუხებდა ისეთი საშინელი სენი, როგორიც იყო ადამიანთა გაყიდვა და გატაცება.

## დარეჯან ქობულეთელი, სოლომონ II და ერეკლე მეფე

სამცხის ათაბაგმა ჯაყელებმა თავიანთი სამფლობელოს ზღვისპირა ნაწილ აჭარაში, კერძოდ, ქობულეთში, თავიანთი ძალაუფლების გასამტკიცებლად ერთგული თავდგირიძე – თავდგირიძეები დააწინაურეს და ერისთავობა უბოძეს.

აი, სწორედ ამ თავდგირიძეთა რძალ-მეუღლე ყოფილა დარეჯან ქობულეთელი, ჩვენი არგუმენტებით, ასევე ერისთავ ბეჟანიძეების ასული, რომლებიც ფლობდნენ ბათუმის ტერიტორიას თამარის დასახლებიდან ციხისძირამდე.

ქვრივ დარეჯანს, უმძიმეს ხანაში, XVIII საუკუნეში მოუხდა ქობულეთის გამგებლობა-მართვა. მხარის ავბედობა გამოწვეული იყო ჯერ ოსმალთა შემოსევებით, შემდეგ – მათი აქ დამკვიდრებით, ამასთან ეს პერიოდი თვით მთელი საქართველოსათვის იყო ძალზე არასახარბიელო, სამეფო-სამთავროებად დაყოფა და მათი ურთიერთკინკლაობა – ჩხუბი ისედაც სულს ხდიდა ქვეყანას.

ამ სახელოვან მოღვაწე ქალ-პატრიოტზე ცოტა რამ ვთქვით გაზეთ „კახაბერსა“ და ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ (1999, 15-31 ივლისი; 2000, №9). დარეჯან ქობულეთელზე ახლაც არ ვიციტ ბევრი რამ, ვეძებთ და ვავსებთ მისი საქვეყნო საქმიანობის ისტორიას. ამ მხრივ მეტად საყურადღებოა პროფესორ ფრიდონ სიხარულიძის მოკვლევა – დარეჯანის მიმოწერა იმერეთის მეფე სოლომონ I-ისადმი, რომელიც 1998 წლის 29 ივლისს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოაქვეყნა.

ცნობილია, რომ თავდგირიძის დაქვრივებული მეუღლე დიდებულად გამასპინძლებია სტამბოლიდან მომავალ საქართველოს მეფე ვახტანგ VI-ის ძმას, კათალიკოზ დომენტის. „მას უჩვენოდ არავინ ენდო: რაც აჯა გვქონდა ქვახჩირამდე (იმერეთის მეფის საზაფხულო რეზიდენცია – ი.ბ.) მივაცილეთო“, – ნათქვამია დარეჯანის წერილში. ფრ. სიხარულიძის გამოთვლით, ეს ამბავი 1738 წელს უნდა მომხდარიყო.

სოლომონ მეფეს იმასაც შეახსენებდა, რომ მისი ყმაწვილობისას, მამამისს – ალექსანდრეს სანახავად ამალით ქვახჩირს ეწვია. მეფე ქუთაისს წასულიყო, რის გამოც დარეჯან თავდგირიძე ამალით დედოფალს მიუღია. ქვახჩირიდან ქუთაისს ჩვენი წერილის მომტანმა „მოახსენა მამათქვენს და ჩვენი თავი აბარა. ისიც დიდ წყალობას დამპირდა“, – მაგრამ

იმხანებში მეფე გარდაიცვალა და ყოველივე დაეწიებას მიეცა, ოსმალების შემოსევებმა კი საგანგაშო ხასიათი მიიღო.

აქედან გამომდინარე, ერისთავ თაედგირიძის შვეიცრობული ქერივი მეფე სოლომონ I-ს დახმარება-შეწევას ემუდარება: „ქრისტიანები ვართ, მე და ჩემს შვილს საქმე გაჭირვებული გვაქვს, ისე შეგვექმნა საქმე, არც ერთი მოახლე, მხლებელი, არაფერი ყოფნა არ შემრჩა... ხელი დაგვადგით, ყური გვათხოვეთ, გებრალეობდეთ, სათათრეთში (ოსმალეთში – ი.ბ.) ვართ... სათათრეთში ჩვენთვისა რომ სჯულს შეინახავთ, შენი წყალობით უნდა დავრჩეთ, რომ სხვა სჯულს არ შევნატროდეთ. ღმერთო, ამისთანა საქმით სასუფეველი მაინც გაქვან,“ ე.ი. ჩვენ იესო ქრისტეც არ გვეყოლება, მომხდურთა მონობაში ვიქნებით, ამრიგად დაგვეხმარეთ, რათა ქრისტიანობა შევინარჩუნოთ.

იმასაც წერდა: „ერთი ქალი და სიძე მყავს კაიკაციშვილი და რასაც სამსახურს უბრძანებ, გემსახურება და გებრალეობდნენ“.

როგორც ჩანს, დარეჯან ქობულეთელი დიდ გაჭირვებაში იმყოფებოდა, ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაგრამ „ცარიელი წიგნის ხლებას ვარჩიეთ თავის გასახსენებლად ჭიქა დოქი, ჭიქა ნალბაქი და კათხა ჭიქა მეახლებია“.

იმასაც ატყობინებდა: ქობულეთს, მონასტერს ჩემს მოძღვართან არქიმანდრიტ იოანესთან გახლავართ საზიარებლად, ჩვენს ამბავს ეს იოანე მოგახსენებთ“ – ვკითხულობთ ბარათში, რომელიც დაწერილია ქალაქლზე გაკრული ხელით და პატარა ზომის ბეჭედი აზის.

განვიხილოთ ეს მრავლისმთქმელი წერილი, გადავხედოთ იმ დროის მოვლენებს, გავიხსენოთ ხსენებულ პიროვნებათა ვინაობა და სხვა.

დარეჯანის წერილის შინაარსი და კილო ნათლად ცხადყოფს, რომ დაწერილია აჭარის დიალექტზე, მისთვის დამახასიათებელი გამოთქმებითა და ფორმებით, რომლებიც დღესაც გამოიყენება ხალხურ მეტყველებაში, ესენია: „მაგათი“, „ხვეწნით“, „თვარა“, „თქვენი ამ ხელით ბედნიერობა“, „წევდეთ“, „ჩვენთვისა“, „გაქვან“, „გამჩენს“, „გამეგება“, „რაც აჯაბა გექონდა“, „მეახლებია“, „გებრალეობდენ“ და სხვა. აგრეთვე ასულის, ქალიშვილის ქალის ფორმით მოხსენიებით. მათი ნაწილი ქობულეთელთა მეტყველებაში არ დასტურდება. დარეჯანი აქითა ნაწილის, კერძოდ, ჩაქვითამარის დასახლების ყოფილი მკვიდრი იყო, აქაური დიალექტის მატარებელი, სახელოვან ბეჟანიძეთა ასული.

1578 წელს ირანის შაჰის მიერ დევნილმა ათაბაგ ჯაყელმა დედა – დედისიმედი და შვილები სწორედ ბეჟანიძეთა საგვარეულო ზენდიდის ციხეში გახიზნა და გონიერი მოქმედებით მტრის შემოსევაც აიცილა თავიდან. ამიტომ იყო, რომ ათაბაგმა ბეჟანიძეებს ჩაქვის ზღვისპირა ნაწილი

უწყალობა, რის გამოც ბეჟანიძეებმა თავისი რეზიდენცია მდინარე ყოროლისწყალთან, სოფ. განთიადში გადმოიტანეს. სამშობლოს ამ ერთგული, მწიგნობარი ერისთავების ოჯახში დაიბადა და აღიზარდა დარეჯანი.

ბარათში მოხსენიებული იმერეთის მეფე ალექსანდრე V, რომელიც 1721 წელს გამეფებულა, ხოლო მისი შვილი სოლომონ პირველი 1769 წელს მეფე უკვე იყო. ასე რომ, ფრიდონ სიხარულიძის მითითებული თარიღი დარეჯანის ქვახჩირს სტუმრობისა, ანუ 1738 წელი, სწორი უნდა იყოს. ისიც ირკვევა, რომ ალექსანდრესათვის 1752 თუ არა, წინა წელს მიუძღრათავს წერილით, რასაც ცხადყოფს დარეჯანისავე ნათქვამი: „მაღე, იმ ხანებში გარდაიცვალაო“. ეს ფაქტები და არგუმენტები გვეხმარება მეფე სოლომონისადმი მიმართვის დათარიღებაშიც – ეს იყო მე-18 საუკუნის 70-იანი წლები.

ამის შემდეგ ხსენებული იოანე უკვე ეპისკოპოსი იყო, ხინოწმინდელად წოდებული. დარეჯანის მიერ აღფრთოვანებული იოანე მისი გარდაცვალების შემდეგაც აგრძელებდა მოღვაწეობას მშობლიური მხარის, მრევლის ოსმალთაგან გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ. 1777 წელს იგი იძულებული გამხდარა იმერეთში გახიზნულიყო, სადაც ასევე არ შეუწყვეტია მიმოწერა. ერთი მათგანი დათარიღებულია 1780 წლით, ადრესატები არიან ქუთაისის კათალიკოსი, მიტროპოლიტი და თვით ქობულეთის ახალი გამგებელი თავდგირიძე, რომელიც ასევე იღვწოდა ხინოს საეპისკოპოსოს აღსადგენად, მაგრამ ეს არ მოხერხდა (იხ. ი. ბექირიშვილი, იოანე მოწიბილი – ხინოწმინდის უკანასკნელი ეპისკოპოსი).

უნდა ითქვას, რომ დარეჯან ბეჟანიძე-თავდგირიძის, ეპისკოპოს იოანე ხინოწმინდელისა და სხვათა თხოვნა-შუამდგომლობამ ოსმალებისაგან განთავისუფლების თაობაზე, გამოძახილი ჰპოვა საქართველოს მეფეებს შორის. 1769 წელს იმერეთის მეფის სოლომონ პირველის მიერ რუსეთში გაგზავნილმა ელჩმა მაქსიმე ქუთათელმა, მიტროპოლიტმა, რუსეთის საგარეო საქმეთა კოლეგიას მოხსენებითი ბარათით აუწყა, რომ ქუთაისიდან ვაჭრები დადიან ნავითა იმ სამ ციხეში – ბათომს, ფოთს და სოხუმს, გასაყიდად დააქვთ წმინდა სანთელი, აბრეშუმი, ბამბა, ბეწვი მელისა, კვერნისა და საჭმლის ხორაგი. იქიდანაც წყალით მოაქვთ სხვადასხვა



ფერის ფარდა, მაუდი, შაქარი, ყავა, სხვაცა (ა. ცაგარელი, გრამოტი ი დრუგიე, ისტ. დოკუმენტი, ტ. 2, წ. 1, გვ. 3, 1902).

ასე წამოიწყო სოლომონ მეფემ რუსეთის დაინტერესება აჭარა-ბათუმით, მთელი ე.წ. სამუსლიმანო საქართველოთი. კიდეც მზად იყო მონაწილეობა მიეღო გამანათვისუფლებელ ბრძოლაში. აქედან გამომდინარე, 1782 წელს რუსეთის გენერალ-ფელდმარშალს გრ. პოტიომკინს „ფოთისა და ბათუმის აღებისას საჭირო დახმარების შესახებ“ მიმართვაში ატყობინებდნენ: „მოგახსენებთ, რომ ფოთი ჩვენის მამულის მიწა არის, აგრეთვე ბათომი. ამ მხარის მოსადგურენი უსჯულო აგარიანნი... ვითარცა მგელნი დაუძინებლად სიმარჯვის ფაშს, ეძიებენ და გვექადნებიან... ჩვენი მამულების განთავისუფლებაში დახმარებას ვითხოვ ფრიად მხურვალე გულით და გვჯერა განდევნით, რათა დაგვრჩეს ეს მხარე უფიქროდ“.

პროფ. იასე ცინცაძის ცნობით, 1785 წლის 8 ივლისს პოტიომკინისათვის უკვე იმერეთის დესპან ზურაბ წერეთელს მიუმართავს თხოვნით „შავი ზღვის კინტრიშის ციხის რუსეთის ხარჯზე აგებისა და ამ ციხის რუსეთისა და იმერეთისათვის მნიშვნელობის შესახებ“, დესპანი ატყობინებდა, რომ კინტრიში, ანუ ქობულეთი იმერეთის მამულია, მშვიდობა რომ იქნება, იქ აშენდება დიდი ქალაქი, რადგან ირგვლივ არის აბრეშუმში, სელი, სახომალდო ტყე, საშენიც. ამისთანა ადგილის სიკეთე და ნაყოფიერება მოიწვევს მრავალსა ხალხსა და უწინდელივით განახლდება იქ ქალაქი. მახსოვს ყრმობიდან შენობებიც იყო და ვაჭრობაც. მიზანი – ოსმალებმა დატოვონ ფოთი, ქობულეთ-ჩაქვი და ბათომი.

პროფ. შოთა ლომსაძის ცნობით, ერეკლე მეფეც „ისევე როგორც იმერეთის სამეფო, იბრძოდა ფოთისა და ბათუმის დაბრუნებისათვის... იმერეთის ელჩი რუსეთთან საიდუმლო ხელშეკრულების დადებით მოითხოვდა და პეტერბურგს არწმუნებდა, რომ მტერს ადვილად დაატოვებინებდა ბათუმსა და ფოთსაც... იმერეთს ჰქონდა აშკარა ტერიტორიული პრეტენზიები, იგი ფოთსა და ბათუმს უტრიალებდა, რისთვისაც საჭირო იყო ახალციხის „დაწყნარებაო“ (შ. ლომსაძე, სამცხე-ჯავახეთი, გვ. 99-100)

ჩვენი მხარის განთავისუფლება, იმერეთთან შეერთების სურვილი ასევე მოსვენებას არ აძლევდა სოლომონ II-ს. 1789 წლის 5 სექტემბერს ახალი დესპანი ბესარიონ გაბაშვილიც პოტიომკინის სახელზე გაგზავნილ წერილში „იმერეთის სამეფოს რუსეთის პროტექტორატში მიღების თაობაზე“, ასევე ყურადღებას ამახვილებდა ჩვენი მხარის განთავისუფლების საკითხზე. „საერთო ძალით ადვილად წაერთმევის ხსენებული ბათომიცა და ფოთიც ოსმალებსო“ (ი. ცინცაძე, 1783 წლის მფარველობითი ტრაქტატი, გვ. 270, 284, 294). ზ. დათუაშვილი და ქ. არაყიშვილიც წერენ, რომ

სოლომონი რუსეთის იმპერატორს ატყობინებდა „ბათუმი ჩვენია“ და მის განთავისუფლებაში დახმარებას სთხოვდა („განთიადი“, 1992, გვ. 5-6).

სოლომონ მეფემ დარეჯანის, იოანეს, ხიმშიაშვილებისა და საერთოდ, აჭარლების სწრაფვაზე ერეკლე მეფესაც მოახსენა, რათა ერთობლივად ემოქმედათ. სწორედ საამისოდ დაიხსლოვეს აჭარის გამგებელი – სელიმ ფაშა ხიმშიაშვილი. ამით მიაღწიეს იმას, რომ 1783 წლის ივლისში რუსეთთან გაფორმებული გეორგიევსკის ტრაქტატის ერთ-ერთ ძირითად საკითხს, პავლე ინგოროყვას თქმით, სამხრეთი საქართველოს ტერიტორიების დაბრუნება წარმოადგენდა. ამ დოკუმენტის საფუძველზე რუსეთმა ივალდებულა, რომ მიიღებდა ყველა ზომას – პოლიტიკურ, დიპლომატიურსა და სამხედროსაც, რათა საქართველოს დაბრუნებოდა ოსმალების მიერ წართმეული ძველი ოლქები. ტრაქტატის სეპარატულ, ანუ ცალმხრივ არტიკულიარში ჩაიწერა: რუსეთის იმპერატორი პირობას დებს ომის შემთხვევისას მიმართოს ყველა მცდელობას, ხოლო მშვიდობის პირობებში ტრაქტატის საფუძველზე მიაღწიოს ქართლისა და კახეთის სამეფოსათვის კუთვნილი მიწებისა და ადგილების დაბრუნებას (პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, 1954, გვ. 293).

ამიტომ იყო, რომ ტრაქტატში ჩაიწერა: „ერეკლე – მეფე ქართლისა და კახეთის, სამცხე-საათაბაგოს მემკვიდრე-მფლობელი“. ემიგრანტი პუბლიცისტი გრიგოლ ვეშაპელი სამართლიანად თვლიდა, რომ რუსეთზე იყო დამოკიდებული არათუ ახალციხისა და აჭარის, არამედ ტაო-კლარჯეთისა და ჭანეთ-ლაზეთის გამოსხნაც.

სოლომონი საკუთარი ჯარით შეეცადა ბათუმის გამოსხნას. 1784 წლის მარტში კიდევ შეაღწია ქალაქში, მაგრამ დადიან-გურიელებმა უღალატეს და უკან დაბრუნებისას ჩაქვში თავს დაესხნენ. იმის გამო, რომ დამოუკიდებლობა არ დაეკარგათ და ტყვე თანამემამულეების გაყიდვაში ხელი არ შეშლოდათ, მათ მეფის გეგმის შესახებ ოსმალებს აცნობეს. ამასთან, ლეკები მიუსიეს. ტრაქტატიდან გამომდინარე, საქართველოს ელჩი სოლომონ თუმანიშვილი 1788 წელს რუსეთს კვლავ სთხოვდა დაედო ხელშეკრულება, რომლის მიხედვით იმერეთი მიიღებდა აჭარას, ხოლო ქართლი საათაბაგოს, რადგან აჭარა იმერეთისათვის „იზდრეველე პრინადლეჟაშიე“ იყო (ა. ცაგარელი, გვ. XV, 66).

1791 წელს რუსეთი მოლაპარაკებებს უნდა შესდგომოდა ოსმალეთთან. ამის გამო 14 დეკემბერს ერეკლე მეფის ელჩი რუსეთის მთავრობას აცნობებდა: „რადგან ტრაქტატსა შინა აღთქმულია, რომ წარმომდინარეობითა დროსათა ჩვენს დაკარგულს სამფლობელოს ჩვენ მივიღებთ რუსეთის საჭურვლის ძალით ან სხვა საქმით როგორმე“, – გთხოვთ ამ შერიგებისას საათაბაგო გამოიხსნათ, ახალციხე და მისი სხვა პროვინციები ქართლსა

და კახეთს დაადოთ, საათაბაგო აჭარა და იქითა მხარე (ჭანეთ-ლაზეთი) – იმერეთს“ (პ. ინგოროყვა, გვ. 293), რაც აღსრულდა რუსეთის დახმარებით.

ასე განხორციელდა დარეჯან ქობულეთელის, სელიმ ხიმშიაშვილის, სოლომონ II-ისა და ერეკლე მეფის, სხვა მამულიშვილთა სურვილ-მისწრაფებანი სამშობლოს თავისუფლებისათვის.

დარეჯან ბეჟანიძე-თავდგირიძისა ღირსია იმისა, რომ მისი სახელი ეწოდოთ ქუჩას, ვუძღვნათ ლექსები, წმინდანად შევრაცხოთ.

## იოანე მოწყობილი – ხინოწმინდის უკანასკნელი ეპისკოპოსი

ჩვენ კი არ უნდა მოვაქციოთ აჭარა, არამედ  
აჭარამ უნდა მოაქციოს სრულიად საქართველო.  
ილია II

ჯერ კიდევ ვახუშტი ბაგრატიონი იუწყებოდა, რომ ხინოს განთქმულ საეპისკოპოსოში იჯდა მწყემსი ხინოსწყლისა ჭოროხამდის და ხინოწმინდელად იწოდებოდა. ასე რომ, აჭარის მთელი ზღვისპირი მის გამგებლობა-სამსახურის სფეროში შედიოდა და იმერეთის საკათალიკოზოს ექვემდებარებოდა.

ჩვენთვის ცნობილი ხინოელი ეპისკოპოსი მაქსიმე XVII საუკუნის მიწურულს განეკუთვნება, ექვთიმე ართუმელაძე – მომდევნო საუკუნის პირველ ნახევარს, ხოლო იოანე მოწყობილი – მეორე ნახევარს. ოსმალების მომძლავრების გამო, 1777 წლისათვის იოანე აჭარას უკვე განშორებულია. ამას ცხადყოფს კინტრიშ-ცხრაფონის ყოფილი მფლობელის, გურიისში გადახვეწილ ბეგ თავდგირიძის სიგელი, რომელიც 1777 წლის 30 დეკემბერს დაუწერია. იოანემ თხოვნით მიმართა ქუთაისის კათალიკოსსა და მიტროპოლიტს, თვით თავდგირიძეს, როგორმე აღედგინათ ხინოს საეპისკოპოსო, რომელიც ოსმალებმა გააუქმეს. ამასთან დაკავშირებით, თავდგირიძე პირობას იძლეოდა: იმ შემთხვევაში, თუ დაიბრუნებდა მამულს, რომელიც ხინოწმინდის ეპარქიას შეადგენდა, აღადგენდა ხინოს ეპისკოპოსის კათედრას (გრუზინსკიე დოკუმენტი ინსტიტუტა ნაროდოვ აზიი, გვ. 296). მაგრამ თავდგირიძეს და მისიანებს არავინ მიეშველა. მოყვარე გურიელ-იმერლებსაც არ ეცალათ და ასე შეატოვეს ოსმალებს

აჭარის ეს ნაწილი – ქობულეთი, რაც იმითაც იყო განპირობებული, რომ ოსმალები აცხადებდნენ: ეს რაიონი ათაბაგებს წვეართვით, საათაბაგოში შემავალი აჭარის კუთვნილებაა, თქვენ რა შუაში ხართო. ამიტომაც იყო, რომ მომხდურებს პრეტენზიებს ქობულეთში ათაბაგების მიერ დამკვიდრებული თავდგირიძეები უცხადებდნენ და არა გურიელები, რუსეთსაც დახმარებას თავდგირიძეები და ხიმშიაშვილები, ამის საფუძველზე კი იმერეთის მეფეები სთხოვდნენ. 1780 წლისათვის მშობლიურ მხარეს მოწყვეტილი იოანე მოწყობილი გურია-იმერეთის საზღვართან არსებულ წმინდა გიორგი გამოჩინებულის მონასტერში ჩანს, აქ აგრძელებს მოღვაწეობას, ქობულეთში ოსმალთა თარეში არც აქ აძლევს მოსვენებას, ყოველმხრივ ცდილობს როგორმე მიეშველოს თავისიანებს, თავის მრევლს, არ დაუშვას წინააპრთა რწმენა-რელიგიის დაკარგვა. ის სიგელი, რომელიც იოანეს ამგვარ მისწრაფება-საქმიანობაზე დალადებს და ახლა გავეცნობით 1873 წელს სწორედ გამოჩინებულში მონასტრის მნათეს უჩვენებია დიმიტრი ბაქრაძისათვის. სამწუხაროდ, სხვები გადაკარგულა. შემდეგ იოანე ჯუმათის ეპისკოპოსად განუწესებიათ (ა. იოსელიანი).

იოანეს სიგელში ვკითხულობთ: „ეჰა შენ, შვიდწილ უძლეველო მხედრო მთავარო და სათნო უფლისაო დიდი ღვაწლით შემოსილო მოწამეო გიორგი.

მე ყოველმან უღირსმან მონამან უფლისამან და ფრიადითა სასოებითა მსასოებელმან და მოსავმან სიწმინდისა შენისამან ხინოწმინდელ ეპისკოპოსმან იოანემ შევსწირე წმინდასა ეკლესიასა შენსა გამოჩინებულს ერთი მოსახლე კაცი მოწყობილი გაბრიელ და მისი შვილი იობა! ესე და ესე ვითარად, რომ პირველ ჩვენსა ყოფილი ხინოწმინდისგან დახსნილი იყო და მეორე, როდესაც ჩვენ ხინოწმინდად დავადგინეთ, ის ხინოწმინდა და მისი შემავალი ერი თათრებმა (ოსმალებმა) მიიძღავრეს და მის ძალით ჩვენს ეკლესიაზე მისვლა ვერ უძლეთ.

და ბატონი მეფის სოლომონის (იმერეთის მეფე სოლომონი) – წყალობით გამოჩინებულს ამ შენს წმინდა ეკლესიაზედ დავიდგინეთ და რაოდენ შესაძლებელი იყო ესცხოვრობდით:

და გაბრიელ მოწყობილი, რადგან უსჯულოს შიშით იქ მდგომი შემძლებელი არ იყო, აქ ჩვენთან იმყოფებოდა და აწ ამ ეკლესიის ადგილმამულზე დამისახლება და ამ ეკლესიისათვის შემეწირავს.

და ბეგარად ეს დაბიჯავს, რომ ყოველ წელიწადს თითო მარჩილის სანთელს და ორი რუბის (მარჩილი ოთხი რუბია, რუბი კი 1 ფარა) საკმელს ამ ეკლესიაზე მდგომი სამღვდელო კაცი ვინც იქნებოდეს, იმას მთავრად და სხვა სამსახურს, რომელიც შემძლებელი იყოს, არ დააკლდებოდეს:

ამას გარდა, კიდევ ისე ჯაფოსძე და მის ძმას მახარობელს ნაქურდალი ჩვენი დაედვით და ბატონმა მეფე სოლომონმა ხელათმქმნელად მიბოძა და ესეც ამ ეკლესიისათვის შემინწირავს და მოჯალაბით დამისახლება...

დაიწერა წელთა ქრისტეს აქეთ ათშვიდას ოთხმოცესა“, ე.ი. 1780 წელს. სიგელს დასმული აქვს ბეჭედი ხინოწმინდელ მღვდელმთავარ იოანესი, აფხაზეთის, იმერეთისა და ჩრდილოეთის კათალიკოსი მაქსიმესი (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 199-200).

იოანე მოწყობილი, როგორც ღვთის ერთგული მსახური და მამულისათვის თავდადებული სამოღვაწეოდ მარტვილის ტაძარში გადაიყვანეს. ამაზე საუბარია ამ ტაძართან დაკავშირებულ 1788 წლის სიგელში, რომელშიც არა გვართ მოიხსენიება, არამედ სადაურობის გამომხატველ ზედწოდების მიხედვით – ხინოელ – ხინველად. სხვათა შორის, აქაურები აჭარაშიც ასე იწოდებოდნენ. შუახევის რაიონის სოფელ ბარათაულში ახლაც არის ადგილი ხინველიშვილების უბნის სახელწოდებით. შემოინახა გვარი ხინველიც. ხინოწმინდელთა გადასვლაზე იმერეთში წერდნენ აგრეთვე პროფესორი სარგის კაკაბაძე და სხვები.

შემოინახა იოანეს პატრიოტულ-რელიგიური მოღვაწეობის კიდევ რამდენიმე საბუთი. ქობულეთის გამგებელი დარეჯან თავდგირიძე (ბეჟანიძე) 1770-იან წლებში იმერეთის მეფე სოლომონს თხოვდა დახმარებას ოსმალოების წინააღმდეგ საბრძოლველად. ამ მიმართვაში ეკითხულობთ, რომ „ქობულეთს მონასტერს ჩემს მოძღვართან არქიმანდრიტ (ეპისკოპოსად შემდეგ აქურთხეს) იოანესთან გახლავართ საზიარებლად. ჩვენს ამბავს ეს იოანე მოგახსენებთ“ (ი. ბეჟირიშვილი, დარეჯან ქობულეთელი, სოლომონ და ერეკლე მეფე).

იოანე მოწყობილის ოჯახურ-ნათესაური წრე ღიდხანს ინარჩუნებდა წინაპართა რწმენისადმი ერთგულებას, კეთილსინდისიერად ემსახურებოდნენ უფალს.

ხელთ გვაქვს ამაღლების ეკლესიის წმინდა გიორგის ხატის წარწერა, რომელიც დიმიტრი ბაქრაძის გაშიფრვით ასე იკითხება: „გიორგი მოწყობილი, ღვდელი დავით ვერულიძე... გავაკეთებე“ (აჭარაში დღესაც ღვდელს, გავაკეთებე ამბობენ).

იძულებით გამუსლიმანებული მოწყობილები ღიდი წინაპრის იოანეს დაფასების ნიშნად, მალულად მაინც ასრულებდნენ ქრისტიანულ რიტუალებს, დადიოდნენ ეკლესიების ნანგრევებთან შესაწირავად, იგონებდნენ წარსულს, ითხოვდნენ შველას, ზოგიერთი მაშინაც კი დაუბრუნდა წინაპართა რწმენა-სჯულს, მაგალითად, კონდიდელი აიშე მოწყობილი, რაც 1847 წელს მომხდარა. ამ პერიოდის ერთ საბუთში ვაჟკაცად მოხსენიე-

ბულია სეფერ მოწყობილი, ეტყობა აიშეს მამა (ი. ბეჭირიშვილი, ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, იხ. მოწყობილი).

ქობულეთის რაიონსა და ბათუმში მცხოვრები მოწყობილები ხინოელ მოწყობილთა შთამომავლები არიან, მათ კეთილშობილებაზე თვით გვაის სიტყვა მოწყობილიდან წარმომავლობა მეტყველებს.

ამრიგად, პატრიოტიზმით გულდათუთქული ეპისკოპოსი იოანე მოწყობილი-ხინველი-ხინოწმინდელის წმინდანად შერაცხვა, იქნება მისი და მისი მრევლის აღიარება, მათი ხსოვნის უკვდავყოფა (გამოქვეყნდა 2003 წლის 21 იანვარს გაზეთ „აჭარაში“).

15 ივნისი (საეკლესიო კალენდრით 2 ივნისი) წმიდა მოწამე აჭარელთა ხსენების დღეა.

## სიმშიაშვილები აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ანუ მარქსი და ენგელსი აბდი-ფაშა სიმშიაშვილის შესახებ

ყირიმსა და კავკასიაში ფეხმოკიდებამ რუსეთს ინტერესი მცირე აზიასა და ახლო აღმოსავლეთშიც გაუჩინა.

რუსეთის სწრაფვას სამხრეთისაკენ განაპირობებდა ერთმორწმუნე ბალკანელი ხალხების, აგრეთვე, ქართველებისა და სომხებისათვის დახმარების გაწევის სურვილი, ოსმალთა და ირანელთა ბატონობის უღლისაგან თავის დაღწევაში. საქართველო-კავკასიის საკითხმა დიდი აქტუალობა განსაკუთრებით 1783 წლის გეორგიევსკის ტრაქტატის წყალობით მოიპოვა. კავკასია ამიერიდან აქტიურ პოლიტიკურ საკითხად იქცა ევროპისა და აზიის სახელმწიფოთა ურთიერთობაში. ანალოგიური იყო ბალკანეთის პრობლემაც, რამაც მოსვენება დაუკარგა ოსმალეთსა და მის ევროპელ მოკავშირეს, რომლებსაც, რუსეთის გაძლიერება ბალკანეთსა და თურქების მიერ მიტაცებულ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში არ სურდათ, მით უმეტეს თურქეთის დანაწილება, სადაც თავიანთი ინტერესები ჰქონდათ.

ასე რომ, ერთ დამპყრობელს მეორე შეეჯახა, კერძოდ რუსეთი, რომელიც ოსმალეთისაგან განსხვავებით, მნიშვნელოვანი პროგრესულობით გამოირჩეოდა, ასე თუ ისე ერთგვარი მფარველის, დამცველის როლს ასრულებდა. ასე დაიწყო 1828-1829, ყირიმის 1853-1856 და 1877 წლების ომი რუსეთსა და თურქეთს შორის, რასაც აჭარის დედამამშობლო საქართველოსთან დაბრუნება მოჰყვა.

ამ მოვლენებს დაძაბული ყურადღებით ადევნებდნენ თვალყურს სახელმწიფოთა მეთაურები, დიპლომატები, სხვა მოღვაწეები, მათ შორის კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი. ისინი დიდი ინტერესითა და მონდომებით სწავლობდნენ რუსეთის პოლიტიკასა და დიპლომატიას, კლასობრივ და ეროვნულ ურთიერთობებს, რისთვისაც საფუძვლიანად ეცნობოდნენ საქართველოსა და კავკასიის გეოგრაფიას, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. საამისო ცნობებს იღებდნენ პერიოდული პრესიდან, აგრეთვე იტალიელი, ფრანგი, გერმანელი, უნგრელი, ინგლისელი და სხვა მისიონერების, დიპლომატების, ვაჭრების, მოგზაურების ქართველოლოგიური შრომებიდან. რომლებიც XV საუკუნიდან მოყოლებული ხშირად ჩამოდიოდნენ საქართველოში, კერძოდ აჭარაში, აღწერდნენ მის მთავარ ქალაქს – ბათუმს, მხარის წარსულს, მოსახლეობის ყოფასა და დამოკიდებულებას მომხდურებისადმი, ყველაფერს, რაც ახალი და საინტერესო იყო ევროპელებისათვის.

მარქსი და ენგელსი გაცნობია მ. ვაგნერის „მოგზაურობას კახეთში“, ი. რაინეგის „კავკასიის საერთო ისტორიულ აღწერის“ ორტომეულს, პეისონელის წიგნს შავ ზღვაზე ვაჭრობის შესახებ საქართველოზე გავლით, აგრეთვე სულხან-საბა ორბელიანისა და ვახუშტი ბაგრატიონის მიერ შედგენილ საქართველო-კავკასიის რუკებს. აი ამიტომაც, რომ საქართველოში არ ყოფის მიუხედავად, ორივემ სწორად განსაზღვრა ბათუმის, მთლიანად ჩვენი მხარის, მიმდებარე რეგიონების სტრატეგიული როლი და მნიშვნელობა ამ ომებში და საერთოდ.

კ. მარქსის მიერ 1853 წლის 31 მაისს გაზეთ „ტიმსში“ გამოქვეყნებულ სტატიამი „თურქეთის საკითხი, რუსეთის გაფართოება“, – ვკითხულობთ: ჯერ კიდევ ადრიანოპოლის (1829) ხელშეკრულების ხელმოწერისას, რუსეთი ყოველმხრივ ცდილობდა ყარსისა და ბათუმის ნავსაყუდეღის – შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში ხომალდების ერთადერთი საიმედო თავშესაფრის ხელში ჩაგდებას. ამით რუსეთი წაართმევდა თურქეთს უკანასკნელ სამხედრო-საზღვაო ბაზას შავ ზღვაზე და გადააქცევდა მას მხოლოდ რუსულ ზღვად... რუსეთს რომ ყარსთან ერთად ხელთ ეგდო ბათუმი, შეძლებდა შეეწყვიტა ვაჭრობა ინგლისსა და სპარსეთს შორის ტრაპიზონის მეშვეობით და შეექმნა თავისათვის საოპერაციო ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის საწინააღმდეგოდ (კ. მარქსი, ფ. ენგელსი, სოჩ. 9, გვ. 117, მ., 1957).

1828-1829 წლების ომში, მართალია, რუსეთმა ყარსი და ბათუმიც ვერ აიღო, მან თუმცა ბათუმი ფაქტიურად მიიღო, მაგრამ ევროპელთა ინტრიგების გამო საზღვარი გაიყვანეს არა მდ. ჭოროხზე, არამედ ჩოლოქზე.

აჭარის მოსაზღვრე ახალციხის პროვინცია კი რუსეთმა მაინც შეიერთა.

ყარსის, ბათუმისა და სხვათა აღება რუსეთმა მიზნად დაისახა 1853-1856 წლების ყირიმის ომშიც, რომელშიც ინგლისი და საფრანგეთიც ჩაებნენ, მაგრამ არა გერმანია. უკვე 1853 წლის 15 ოქტომბერს ბათუმის თურქული კორპუსის ნაწილი თავს დაესხა წმ. ნიკოლოზის საზღვაო-სასაზღვრო საგუშაგოს შეკვეთილში, რათა გზა გაეხსნა თბილისისაკენ. ეს რომ არ მომხდარიყო, აღმირალ ნახიმოვის ესკადრამ 18 ნოემბერს შტურმი მიიტანა სინოპზე, გაანადგურა მტრის 15 ხომალდი და ზღვისპირა სიმაგრეები. ამ ხომალდებს კი ბათუმში იარაღი და პროდუქტები მიჰქონდათ. ამასთან აწყურ-ახალციხესთან იმარჯვა გენერალ ივანე ანდრონიკაშვილის ნაწილმა. თურქები ბათუმიდან თბილისისაკენ გაღწევას 1854 წლის გაზაფხულზეც შეეცადნენ, მაგრამ იმავე ანდრონიკაშვილმა და სხვა სარდლებმა ნიგოეთსა და ჩოლოქთან უკან დაახევინეს. რუსებმა შემდეგ აიღეს ბაიზიდი, ხოლო 1855 წლის 16 ნოემბერს ყველაზე მძლავრი ბასტიონი ყარსიც, რამაც აფხაზეთ-სამეგრელოში შემოჭრილი ომერ-ფაშას კორპუსი უკან გააქცია (კრებ. სტრანიცი ბოევოგო პროშლოგო, მ., 1968, გვ. 265-283-284).

ამასთან დაკავშირებით, კ. მარქსი 1953 წლის 13 დეკემბერის სტატიამში „რუსეთის გამარჯვება. ინგლისისა და საფრანგეთის პოზიცია“, – დასძინდა: რუსები გაბედულად დაესხნენ თავს თურქეთის ფლოტს, რომელსაც ბათუმში საბრძოლო იარაღი და პროდუქტი უნდა წაეღო (დასახ. ნაშრ., გვ. 558), ხოლო ფ. ენგელსთან ერთად მოგვიანებით თქვა, რომ თურქებმა ფრანგები მოიხმეს დასახმარებლად, მაგრამ საველე სიმაგრეების გარდა, არაფერი გაუკეთებიათ. რუსებმა ალყაში მოაქციეს ყარსი (იქვე, ტ. 11, გვ. 523, მ., 1958).

მომდევნო წერილში მარქსი აშუქებს ყარსის დაცემის საკითხს. მის გადასარჩენად თურქებს 53 400 ჯარისკაცი გაუგზავნიათ, მათ შორის 12 ათასი ბათუმის გარნიზონიდან. ის იმოწმებს ლორდ რედკლიფის ცნობას, რომ ბათუმში, სოხუმსა და სხვაგან მაშინ 11 ათას კაცზე მეტის შეკრება ძალიან ძნელი იყო, ამასთან რას უნდა ელოდო „ასეთი უღისციპლინო ბრბოსაგანო“ (იქვე, გვ. 640).

ღიას, ძნელი იყო, რადგან დაპყრობილ-დამონებულ ქართველებს (აჭარლებს, სხვებს), აფხაზებს არ სურდათ ბრძოლა თურქების სასარგებლოდ, ისინი რუსეთისაგან ელოდებოდნენ დახმარება-ხსნას. მარქსი, მართალია ენგელსთან ერთად რუსეთს განიხილავდა როგორც რეაქციის დასაყრდენს, მაგრამ ამავე დროს არ ივიწყებდა, რომ რუსეთი ისე როგორც ყირიმის, ჩერქეზეთისა და საერთოდ, კავკასიის მფარველი იყო და, რომ რუსეთი აღმოსავლეთის, აზიის მიმართ ასრულებდა ობიექტურად პროგრესულ როლს (დასახ. ნაშრ. ტ. 9, გვ. 118; ტ. 27, გვ. 241).



პროფ. ილია კაჭარავა ამ საკითხთან დაკავშირებით იმოწმებს კ. მარქსის სხვა გამონათქვამს, კერძოდ იმას, რომ ის ხალხები, რომლებიც თურქეთის უღელქვეშ გმინავდნენ, რუსეთში ხედავდნენ თავიანთ მხსნელს, განმათავისუფლებელს (იქვე, ტ. 9, გვ. 32) და ასკვნის: ეს ხალხები უნდა მინდობოდნენ შედარებით ნაკლებად უხეშ ძალას. სწორედ ამ დროიდან იბადება ნაკლები ბოროტების იდეა, როგორც თურქული აგრესიით წელში გაწყვეტილი ხალხების პრაქტიკულ-პოლიტიკური ინტერესი“ (ი. კაჭარავა, კ. მარქსი და ფ. ენგელსი საქართველოს შესახებ, თბ., 1969, გვ. 73).

კ. მარქსი გვაწვდის იშვიათ ცნობას აჭარის სახელოვანი შვილის სელიმ ხიმშიაშვილის ვაჟის აბდი-ფაშას სამშობლოსადმი თავდადების შესახებ. 1807 წელს დაბადებული აბდი ხიმშიაშვილი 1853-1854 წლებში ხელმძღვანელობდა თურქთა საომარ ოპერაციებს ყარსისა და ახალციხის მხარეში. მას თვალწინ ედგა 1815 წელი, როდესაც მამამისს, აჭარა-ახალციხის პროვინციების გამგებელს, სამთულიან ფაშა სელიმს, ხიხანის ციხეში არმია მიუსიეს, მოატყუეს – დალატით შეიპყრეს, თავი მოკვეთეს და სტამბოლს წაიღეს. გულმხურვალე მამულიშვილმა მტარეალებს მიახალა: „აჭარა თქვენ მაინც არ დაგრჩებათ, ჩემი შთამომავლები ჩემს ანდერძს განახორციელებენო“. ამას აბა რა დააიწყებდა უფროს ძმა ახმედს. იგი 1828-1829 წლებში მოლაპარაკებას აწარმოებდა აჭარა-ახალციხის რუსეთის იმპერიაში შესასვლელად, მაგრამ ინტრიგების შედეგად მოლაპარაკება ჩაიშალა, თურქებმა ახმედ ხიმშიაშვილი ერზერუმის სერასკირად დანიშნეს, თურქისტანში გაგზავნეს და დალატით მოაკვლევინეს. აქედან გამომდინარე, მისი უმცროსი ძმა აბდი არ ენდობოდა თურქებს, მისი მიზანიც სამშობლოს მათი ბატონობიდან გამოსხნა იყო. სწორედ ამან დაამეგობრა ახმედი რუსეთის მხედართმთავრებს კავკასიაში ივანე პასკევიჩისა და ვასილ ბებუთოვს.

მარქსი სტატიიაში „აღმოსავლეთის ომი“ ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ თურქეთის მხედართმთავარი აზიაში აბდი-ფაშა ან გამყიდველი იყო ანდა უნიჭო. შემდგომში იგი გაიწვიეს და მის მაგივრად გამოგზავნეს ახმედ-ფაშა (იქვე, ტ. 10, გვ. 21), ხოლო 1854 წლის 20 მაისს გამოქვეყნებულ წერილში ამას დაუმატა ის, რომ გაწვევის შემდეგ აბდი ყარსში დააპატიმრეს (იქვე, გვ. 29).

პატრიოტი აბდი-ფაშა, რასაკვირველია, იმის ცდაში იყო, რომ მამის ანდერძი აღესრულებინა – აჭარა დედამშობლოსათვის, საქართველოსათვის შეეერთებინა, პოდა ასეთ ვითარებაში იგი არ დაუშვებდა იმას, რომ თბილისზე გალაშქრება მოეწყო, ამით ხომ მშობლიური აჭარა კვლავ თურქთა სათარეშო იქნებოდა. ამიტომაც იჩენდა „უნიჭობას“, „უმოქმედობას“, შენიღბულად მოქმედებდა, რასაც მისი დაპატიმრება მოჰყვა.

1854 წელს ომში ჩაებნენ თურქეთის მოკავშირე ინგლისი და საფრანგეთი. პალმერსტონი მოითხოვდა სადესანტო ჯარის გადმოსხმას დასავლეთ საქართველოში (ბათუმი, სოხუმი), მაგრამ ფრანგების ჩარევით ყირიმში გადასხეს, რასაც მარქსმა უაღრესად კურიოზული უწოდა, რადგან ასეთ შემთხვევაში თურქები თბილისისაკენ გალაშქრებას შეძლებდნენ, რაც შამილმაც ისურვა.

ინგლის-საფრანგეთის ფლოტმა 1854 წლის იანვარში, ბათუმში 17 ათასი ჯარისკაცი კი ჩამოიყვანა, მაგრამ ესენი თურქები იყვნენ და მაინც, მარქსის თქმით, ამ რაზმს შეეძლო შეებოჭა რუსეთის ისედაც სუსტი ფლოტი, ამასთან გაეადვილებინა შამილის შემოჭრა. მარქსი ხაზს უსვამდა იმ გარემოებასაც, რომ რუსეთს მკვეთრად უნდა დაესვა ბათუმის შეერთების საკითხი, რაც საშუალებას მისცემდა მას ოლთის – ერზრუმის ხაზზე საკომუნიკაციო გზა გადაეჭრა, ჭოროხის ხეობით წამოსული მტრისათვის. ეს გააადვილებდა ტრაპიზონისა და ერზრუმის ხელში ჩაგდებას, მაგრამ ყირიმის ომში რუსეთი დამარცხდა და წადილი ვერ აისრულა.

ფრიდრიხ ენგელსმა ასევე იცოდა საქართველოს ლანდშაფტი, ისტორია, მოსახლეობის მისწრაფებანი. მარქსთან ბათუმს განიხილაედა, როგორც აზიის ომების სტრატეგიულ პუნქტს. უაღრესად საინტერესოა მისი სტატია „წმინდა ომი“, რომელიც 1853 წლის ოქტომბერ-ნოემბერშია დაწერილი. აზიის საომარ მოქმედებათა რაიონში მნიშვნელოვანია ტრაპიზონიდან და ბათუმიდან ერზრუმისაკენ მიმავალი გზები... რუსებს შეეძლოთ გვერდი აევილოთ თურქების პოზიციებისათვის, თუ ბათუმიდან ჭოროხის დაბლობის გავლით ერზრუმისაკენ წავიდოდნენ. ბათუმიდან მიმავალი ეს გზა უერთდებოდა ერზრუმიდან თბილისისაკენ მომავალს; ასე რომ, რუსები ამ მიმართულებით გალაშქრებისას, მიიღებდნენ თურქების კომუნიკაციების გადაჭრის შესაძლებლობას. მაშასადამე, აზიის საომარ მოქმედებათა ავანსცენაზე ორივე მხარისათვის (რუსეთი, თურქეთი) პოზიციის „გასაღებს წარმოადგენდა ბათუმი“. თუ გავითვალისწინებთ ამ გარემოებას, და მასთან ერთად ბათუმის მნიშვნელობას ვაჭრობისათვის, მაშინ არ გაგვიკვირდება, თუ რატომ ცდილობდა რუსეთი მის ხელში ჩაგდებას. ფ. ენგელსის სწორი შეფასებით, ბათუმი მართლაც იყო მთელი აზიური თურქეთის საომარ მოქმედებათა არენის გასაღები, რადგან იგი ბატონობდა ერთადერთ გზაზე, რომელიც ზღვისპირეთიდან ქვეყნის შიგნით აღწევდა, ამასთან ის, ვინც შეებოჭავდა მოწინააღმდეგეს ზღვაზე, იბატონებდა ბათუმზეც. თურქები თუ ვერ შეძლებენ ბათუმ-ერზრუმის გზის ბლოკირებას და ვერ მოახერხებენ რუსების განადგურებას ბათუმის რაიონში, მაშინ უპირატესობას ხელთ იგდებენ რუსები. და ეს მაშინ, როცა აქ თურქებს მართლაც აქვთ უფრო საიმედო შანსები, ვიდრე

ევროპაში. უნდა შეინარჩუნონ ბათუმი, ხოლო ბათუმიდან თუ ერზრუმიდან თბილისისაკენ ლაშქრობის პირობებში, საშუალება ექნებათ დაიხმარონ მეკავშირეები (შამილი და სხვა), მაგრამ თუ რუსები გაიმარჯვებენ, მაშინ თურქები დაკარგავენ არათუ ბათუმს, არამედ ტრაპიზონსა და ერზრუმსაცო. ამიტომ იყო, რომ თურქებმა აქ შეტევითი ომი მაინც გააჩაღეს (იქვე, ტ. 9, გვ. 450-453). ესეც ნათლად მეტყველებს ენგელსის მიერ და იმის სწორ შეფასებაზე, თუ რა სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენს ქალაქს რუსეთისა და თურქეთისათვის.

ენგელსს საეჭვოდ მიაჩნდა ის, რომ თურქეთის მხედართმთავარს აზიაში, აბდი-ფაშას თითქოს 60-80 ან 120 ათასი ჯარისკაცი ებარა, დასახმარებლად ვითომ მოდიოდნენ ბელუნიები და ქურთებიც. ის აქვე დასძენდა – გაჭირვებით თუ მოახერხებს 30-ათასიანი კორპუსის შექმნას, რომლითაც თბილისს ვერ მიაღწევს, ვერც ბათუმ-ერზრუმის გზის ბლოკირებას შეძლებს (იქვე, გვ. 451-452).

სახელოვანი სელიმ ხიმშიაშვილის შეილზე, ერზრუმის მანამდელი სერასკირის ახმედ ხიმშიაშვილის ძმაზე, აბდი-ფაშაზე, ფრიდრიხ ენგელსი მსჯელობს სტატიაშიც, რომელსაც „თურქეთის ომის მსვლელობა“ უწოდა. თურქებმა ბრალდებები წაუყენეს მას, ლალატიც დასწამეს და გაიწვიეს, მაშინ, როცა აბდი-ფაშა იყო ერთადერთი გენერალი აზიაში, რომელსაც „რუსები საშუალებას აძლევდნენ ნაწილობრივ გაემარჯვა ადგილობრივ ბრძოლებში“. აკი თავად გააბნიეს ნაწილები ბათუმსა და ბაიაზიდს შორის, მაშინ როცა საკმარისი იყო ორი კორპუსი, ერთი ბათუმის დასაცავად და მეორე თბილისზე სალაშქროდო (იქვე, გვ. 573). აქვე ნათქვამია, ბათუმში თურქებს ჰყოლიათ 4 ათასი რეგულარული და 20 ათასი დამხმარე ჯარისკაცი არმიის შესაქმნელად (იქვე, გვ. 474). რუსებს რომ აქ გაურთულონ საქმე, საჭიროა გამოიჩინონ მამაცობა, სისწრაფე და ერთიანობა მოქმედებაში.

ენგელსს ამის თქმის საბაბი მართლაც ჰქონდა. თურქებმა შეკვეთილის წმ. ნიკოლოზის რუსთა სასაზღვრო საგუშაგოს კი შეუტოეს, მაგრამ ვერ აიღეს, წააგეს ბრძოლები აწყურ-ახალციხესთან და სხვა.

გავეცნოთ მის სხვა ცნობებსაც, ბათუმთან ანუ ძველებურად ბათისთან ჭოროხი ერთვის ზღვას. ბათუმიდან გზა ყარს-ერზრუმისაკენ მიემართება ამ მდინარეზე აყოლებით ოლთისამდე, ამრიგად, რუმინეთ-ბულგარეთიდან ბათუმში გამოგზავნილ ომერ-ფაშას ორი არჩევანი ჰქონდა: გააყოლოდა ამ გზას და ყარსი ეხსნა რუსთა ალყისაგან, არადა, გაელაშქრა თბილისისაკენ. ასეთი იყო ენგელსის დასკვნა 1853 წლის ოქტომბერ-ნოემბრისათვის (იქვე, ტ. 11, გვ. 598, მ., 1958). მას სხვათა შორის მოჰყავს გაზეთ „ტაიმ-

სის“ ცნობა, რომლის მიხედვით ყარსში განლაგებული თურქეთის ჯარის ინგლისელი სარდალი უილიამსი ომერ-ფაშას ატყობინებდა ბათუმზე, როგორც ამომავალ პუნქტზე ყარსზე სალაშქროდ, მაგრამ ეს ვერ მოახერხეს. მართალია, ენგელსი თავად თელიდა ყარსისაკენ მიმავალ გზას გამარჯვების საწინდრად, მაგრამ ითვალისწინებდა იმასაც, რომ იგი კეთილმოწყობილი არ იყო, ვერ უზრუნველყოფდა დიდი ჯარის გადაყვანას მოკლე დროში, რის დასასაბუთებლად მოიშველიებდა ბოდენშტელსა და კერზონს, რომლებიც იმყოფებოდნენ ამ რაიონში (ფრ. ბოდენშტელისაა კავკასიის ხალხები და მათი გამანათვისუფლებელი ბრძოლა რუსების წინააღმდეგ“. გამოვიდა მაინის ფრანკფურტში 1848 წელს; რ. კერზონის – „სომხეთი, ერთი წელი ერზრუმში ანუ რუსეთის, თურქეთისა და სპარსეთის საზღვარზე“, რომელიც სამჯერ გამოიცა ლონდონში 1854 წელს (იქვე, გვ. 615 და შენ. 301).

ამ ცნობებს ავსებს ამ ბრძოლების მონაწილე გენერლის მ. ბრიმერის მოგონება. თურქები ბათუმიდან უნდა დასხმოდნენ ახალციხეს, მაგრამ ნიგოეთთან და ჩოლოქთან დამარცხებამ მათ ხელი ააღებინა ამ განზრახვაზე. 1855 წლის სექტემბერში ომერ-ფაშა 30 ათასი კაცით გადმოვიდა ბათუმში, მაგრამ ყარსისაკენ ვერ წავიდა, რადგან ცუდი გზის გამო დათქმული დროისათვის იქ ვერ იქნებოდა (კავკაზსკიი სბორნიკ, ტ. 18, გვ. 32, თბ., 1897). რასაკვირველია, ეს გზა მთლად მორგებული არ იყო, მაგრამ ზარბაზნებით შეიარაღებული რუსეთის არმია 1878 წელს ხომ სწორედ ამ გზით შემოვიდა ბათუმში, თანაც შუა ზამთარში.

მარქსი და ენგელსი ამ ომში გადამწყვეტ ფრონტად თელიდნენ არა ყირიმს, არამედ კავკასიას, რადგან საქართველო რუსეთის პოლონეთად მიაჩნდათ კავკასიაში. ამიტომაც რუსეთის დამარცხების შემთხვევაში მოელოდნენ „საყოველთაო აჯანყების დაწყებას მთელს კავკასიაში“, რაშიც ევროპელებიც იყვნენ დაინტერესებულნი, თუმცა ეშინოდათ აჯანყება ევროპასაც არ მოსდებოდა, რის გამოც თავშეკავებამ იჩინა თავი, მაგრამ რუსეთს დამარცხების პირობები ერთობლივად მაინც შეუქმნეს, ამით კი წააგო ქართველმა ხალხმა. რუსეთს, რომ გაემარჯვა, არათუ აჭარის, არამედ მის მოსაზღვრე ქართული ტერიტორიების (ტრაპიზონამდე ერზრუმის მისადგომებამდე) დაბრუნებას შეეცდებოდა. ეს კი 1877-1878 წლების ომმა გახადა შესაძლებელი, თუმცა ნაწილობრივ.

უკვე 1876 წლის 18 დეკემბერს ენგელსი წერდა, რომ მალე დაიწყება ომი. მართლაც ინგლისის, საფრანგეთისა და ავსტრია-უნგრეთის მოქმედებებისა და ბისმარკის დიპლომატიის შედეგად, მომდევნო წელს ომი

დაიწყო. მარქსი 31 მაისს ენგელსს ატყობინებდა, რომ თურქეთის მხარის თქვენეული შეფასება ემთხვევა ჩემსასო. ამ ომშიც ისინი სტრატეგიულ მნიშვნელობას ბათუმს ანიჭებდნენ.

მარქსის მსგავსად, ენგელსი რუსეთში ხედავდა არა მარტო ევროპული რეაქციის მეთაურს, არამედ პროგრესულ ძალასაც. „რუსეთის ბატონობა ასრულებს ცივილიზაციის გავრცობის როლს შავი და კასპიის ზღვების მიმართ“ – წერდა ენგელსი. (იქვე, ტ. 27, გვ. 241) აქედან გამომდინარე, რუსეთი მუსლიმანთაგან საქართველოს გამანთავისუფლებლად მიაჩნდა. რუსეთმა საქართველო უბრალოდ კი არ დაიკავა, არამედ „მუსლიმანებს წაართვა“ (იქვე, ტ. 9, გვ. 408), რაც სამართლიანად ქართულ ემიგრანტულ ისტორიოგრაფიაშიც აისახა. „ყოველი გამარჯვება რუსის იარაღისა ქართველობას სიხარულს ჰყენდა და თითოეული ნაჭერი მიწა, უკან მიღებული, ახლა უკვე გამაჰმადიანებული სამკვიდრებელისა, დაკარგული ძმისა და მამულის დაბრუნებას უდრიდა. ამიტომ დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა რუსეთის გამარჯვებას“ (ვ. ნოზაძე, საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო, თბ., 1989, გვ. 10).

ეცნობი მარქსისა და ენგელსის ცნობებს ბათუმის სტრატეგიულ მნიშვნელობაზე და კიდევ უფრო რწმუნდები, რომ ჩვენი მხარე მართლაც იყო კავკასიის ღერუფინის ანუ გამავალი აზია-ევროპის დიდი სატრანზიტო, სხვაგვარად აბრეშუმის გზის ერთი ცენტრალურ პუნქტთაგანი. ეს მაგისტრალი აღსდგა, რაც ჩვენს ქალაქს არათუ ძველ დიდებას დაუბრუნებს, არამედ კიდევ უფრო გაზრდის მის მნიშვნელობასა და როლს ნავთობის, ბამბის სხვა ნედლეულის, ტვირთის, სამრეწველო საქონლის, სამშენებლო მასალების გატანა-შემოტანაში ჩვენი ნავსადგურითა და რკინიგზით. ბათუმში ასევე იქცევა მსოფლიო ტურიზმის, საკონსულოების, ფესტივალების, კონფერენციების, ოფისების ცენტრად.

ჩვენ ეს ნარკვევი გაზეთ „აღორძინების“ 1998 წლის 20 ნოემბრის ნომერში გამოვაქვეყნეთ სათაურით „ხიმშიაშვილები აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ანუ კ. მარქსი და ფ. ენგელსი აბდი-ფაშა ხიმშიაშვილის შესახებ“ და ასე დავასრულეთ: – „აჭარელ ხიმშიაშვილებს საპატრიო ადგილი უჭირავთ იმ ქართველ ცნობილ დინასტიებს შორის, რომლებიც ერთგულად ემსახურებოდნენ მშობლიურ ქვეყანას და თავი შესწირეს მის თავისუფლება-დამოუკიდებლობას, სიცოცხლეშივე უკვდავების ძეგლი დაიდგეს“ (დაიბეჭდა აგრეთვე ი. ხიმშიაშვილის წიგნში „ხიმშიაშვილები“, ბ., 2003, გვ. 507-509).

## აჭარის პირველი ბეჭდვითი ორგანო

გაზეთ „დროების“ 1880 წლის №20 იუწყებოდა: „ჩვენ შევიტყვეთ, რომ ბათუმის ადმინისტრაციას განზრახვა აქვს გაზეთის გამოცემისა რუსულს ენაზედ და თუ მოხერხდა, ქართულადაც. მიზანი გაზეთის გამოცემისა იქნება საზოგადოების გაცნობა ამ ახლად დაპყრობილ მხარესთან.

მომავლის გაზეთისათვის, როგორც გვითხრეს, ჯერ არც პროგრამა არის დაწერილი და არც რედაქტორი ამოურჩევიათ. იმედია, რომ ვისაც ამ გაზეთის დაარსება სურს, მიიღებენ მხედველობაში იმას, რომ რედაქტორმა იცოდეს იმ ხალხის ენა, რომელზეც იმის გარშემო ლაპარაკობენ და იცნობდეს იმ ქვეყანას, სადაც გაზეთი გამოიცემა“ (ი. ბექირიშვილი, აჭარა ქართველ მწერალთა შთაგონების წყარო).

ჩვენი აზრით, ეს სტრიქონები ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის, ჟურნალისტის, „დროების“ გამომცემელ-რედაქტორის, აჭარის დიდი ქომავის სერგეი მესხის დაწერილი უნდა იყოს. ბათუმში გაზეთის გამოცემის თაობაზე რაიმეს შეტყობა და წერილის დაწერა, მეფის ჩინოვნებისათვის რჩევა-დარიგების მიცემა, რა თქმა უნდა, მხოლოდ ცნობილ პიროვნებას – გაზეთის გამომცემელს შეეძლო. ამას გვაფიქრებინებს ის გარემოებაც, რომ მესხი ჯერ კიდევ რუსეთ-თურქეთის ომის დაწყებამდე, თავის გაზეთში ხშირად აქვეყნებდა პატრიოტულ წერილებს აჭარაზე, საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბევრი მათგანის ავტორი თვითონ იყო, განსაკუთრებით ომის მსვლელობისას გაშუქებული.

მიუხედავად „დროების“ გაბედული რჩევისა, აჭარაში პირველი ბეჭდვითი ორგანოს გამოსვლა შეფერხდა. მაინც როდის გამოვიდა პირველი გაზეთი აჭარაში? ხარიტონ ახვლედიანის „სამხრეთ საქართველოს ბიბლიოგრაფია“ გვამცნობს, რომ 1882 და 1905 წლებში ბათუმში გამოდიოდა ყოველდღიური, ლიტერატურული გაზეთი „ბატუმსკი ლისტოკი“. 1882 წელს სულ დაუბეჭდავთ 20 ნომერი. რედაქტორ-გამომცემლები იყვნენ კ. ვაჩნაძე და სინდეკიო.

ზოგი რამ შეგვმატა წიგნმა „საქართველოს რუსული პერიოდიკის ისტორიის ბიბლიოგრაფია“, რომელიც 1941 წელს გამოიცა რუსულ ენაზე. აქ გარკვევით წერია, რომ „ბატუმსკი ლისტოკის“ რედაქტორი კ. ვაჩნაძე იყო და 20 ნომრის გამოსვლის შემდეგ მისთვის ნება დაურთავთ გაზეთის გამოცემა თბილისში გაეგრძელებინა „ოპორას“ სახელწოდებით.

რამ აიძულა კონსტანტინე ვაჩნაძე თბილისში გადასულიყო, რატომ შეწყდა გაზეთის გამოცემა ბათუმში? ამ კითხვაზე ჯერ კიდევ მაშინ პასუხი გაუცია მწერალ გლებ უსპენსკის. იგი 1883 წლის თებერვალში

გემით ეწვია აჭარას. გაზეთის თაობაზე მის მიერ შემონახული ცნობების უკეთ გაგების მიზნით, მოკლედ გავეცნოთ მწერლის შთაბეჭდილებებს მაშინდელი ბათუმის შესახებ.

უსპენსკი გამობდა ე.წ. პონტო-ფრანკოს, ანუ თავისუფალი ნავსადგურის რეჟიმს, რომელიც ინგლისელებმა 1878 წელს ძალით მოახვიეს თავს ახლად განთავისუფლებულ ბათუმს, რის გამოც იგი 1888 წელს რუსეთმა იძულებით გააუქმა.

პორტო-ფრანკომ ერთგვარი უარყოფითი გავლენა მოახდინა ადგილობრივ ვაჭრობასა და შინამრეწველობაზე. მწერალი სამართლიანად და არაერთხელ შენიშნავდა, რომ ნავსადგურის ამგვარი რეჟიმით ექსპლოატაციამ ძლიერ გააუარესა ადგილობრივი მოსახლეობის ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა, წაართვა არსებობის საშუალებანი, დააჩქარა და უფრო მასობრივი გახადა მოსახლეობის გადასახლება თურქეთში, რომელიც მუჰაჯირობის სახელითაა ცნობილი.

უფლებააყრილი, გალატაკებული მოსახლეობის დამცველი გლებ უსპენსკი მკაცრად გამობდა იმ ჩინოვნიკებს, რომლებიც დაინტერესებულნი იყვნენ აჭარლების უცხოეთში გადაკარგვით. ამაზე „ბატუმსკი ლისტოკსაც“ დაუწერია. ბათუმიდან გამგზავრების წინ, მწერალს მოუძიებია გაზეთის მხოლოდ 15 ნომერი და გემზე აუტანია. აქ მას მიმოუხილავს ისინი და თავის სამოგზაურო ჩანაწერებში „კავკასიის მთები, გუდაური, ნობელი და პალაშკოვსკი, ბათუმი“ შეუტანია. ეს ჩანაწერები 1883 წელს ჟურნალ „ოტენესტვენნიე ზაპისკის“ №6-ში კიდევ დაბეჭდილა.

უსპენსკი საუბარს გაზეთის პირველი ნომრიდან იწყებს. მოწინავე სტატიაში პირველ ბათუმელ ჟურნალისტებს იმედი არ დაუკარგავთ და სკეპტიკოსებისათვის ასეთი პასუხი გაუციათ: რა საჭიროა შულღის ჩამოგდება რუსეთის ფარგლებში ახლად შემოსულ მოსახლეობასა და იმ ხელისუფლებას შორის, რომელიც მოწოდებულია გააუმჯობესოს მისი ცხოვრების პირობებიო. ამრიგად, რედაქციას ამოძრავებს მხოლოდ კეთილგონიერი განზრახვა, რაც ყოველგვარი ქების ღირსიაო.

მესამე ნომერში გამოუქვეყნებიათ ლექსი „ბავშვს“, გსურს თუ არა გახდე გენერალი ან ღარიბი, გულწრფელი ლიბერალი? უმჯობესია გაიზარდო და მართალი მოქალაქე გამოხვიდეო. ასეთია ლექსის შინაარსი.

მომდევნო ნომრებში რედაქციას მართლაც განმკითხავი მასალები გამოუმზეურებია. ამ მხრივ განსაკუთრებით საყურადღებოა №8, რომელშიც მხილებულ-დაგმობილია ბათუმის ნავსადგურის მოხელე არხიპოვი. თურქეთიდან ფელუკებით დაბრუნებულ მოტყუებულ აჭარლებს ეს ვიგინდარა მშობლიურ მიწა-წყალზე არ უშვებდა მხოლოდ იმიტომ, რომ მათ ნაპირზე გადმოსვლის ე.წ. ბაჟის გადასახდელი ფული არ ჰქონდათ. უსპენსკის

სიტყვებით, რომ ეთქვას, უცხოეთიდან სამშობლოში დაბრუნებულ ტან-ჯულ ადამიანებს, დაფლეთილი ტანსაცმლის მეტი არაფერი შერჩენოდათ და აბა რა უნდა მიეცათ არხიპოვისათვის. ისინი თვალცრემლიანები ისეე შორდებოდნენ მიწას, სადაც ოდითგანვე სახლობდნენ.

მხილებულია არხიპოვის სხვა შაებნელი საქმეებიც. იმხანად საფრანგეთის საზღვაო კომპანიის „აპაკს“ გემებს ბათუმში ჩამოუტანიათ კირი და სხვა საშენი მასალა, მაგრამ მათი გადმოტვირთვა გაჭიანურდა, თუმცა წვიმდა და კირი ფუჭდებოდა. ამის მიზეზი იყო ის, რომ არხიპოვისათვის არ მიუციათ ქრთამი.

გაზეთის იმავე ნომერში ასევე სამართლიანად გაკრიტიკებულია ის ფაქტი, რომ ბათუმსა და მის ახლო სოფლებში აჭარლების მიერ მიტოვებულ სახლ-კარს ეუფლებოდნენ არა ისინი, ვინც აჭარისათვის ბრძოლებში სისხლი დაღვარა, არამედ „წერილფეხა საქმოსნები და ლაქიები. სასურველია ვიცოდეთ, სად გამოიჩინეს თავი და რომელ სამშობლოს მოუტანეს სარგებლობა?!“ კითხულობდა გაზეთი.

ბათუმის იმდროინდელ ხელისუფალთა მექრთამეობას, მათ ანტიხალხურ საქმიანობას რედაქციამ გაბედულად ახადა ფარდა მეთე ნომერში. ვილაც ტაიროვისათვის 600 მანეთად მიუყიდათ მიწის ნაკვეთი, რომლის ნამდვილი ფასი 30 ათას მანეთს აღწევდა. „ეს საჩუქარი ხომ არაა?“ – ეკითხებოდა გაზეთი ხელისუფალთ. ამავე ნომერში პირველმა, ბათუმელმა ჟურნალისტებმა გაილაშქრეს იმ საქმოსნების წინააღმდეგ, რომლებიც ავიწროებდნენ ქალაქის გარეუბნებში ჩასახლებულ აფხაზ მუჰაჯირებს.

გაზეთი ეხმაურება საზოგადოებრივი მნიშვნელობის დიდ საკითხს, კერძოდ იმას, რომ ბათუმს, მის ნავსადგურს კარგი პერსპექტივა აქვს, საჭიროა ხელისუფლებამ მოაგროვოს სათანადო სახსრები და ქალაქის კეთილმოწყობა-გაფართოებას მოახმაროს, მაგრამ ქალაქის შემოსავალს ზემოთ ხსენებული არხიპოვი და მისთანები ითვისებდნენ. იგი ისეთი გაქნილი მექრთამე და აღვირახსნილი პიროვნება ყოფილა, რომ პოლიციაც ვერაფერს უბედავდა. უსპენსკი პირადად გაეცნო არხიპოვს და თქვა: „ამისთანა თახსირ კაცს მთელს რუსეთში არ შევხვედრეივარო“.

გასაკვირი არაა, რომ მეფის რუსეთის მოხელეები არ მოითმენდნენ ადგილობრივი გაზეთის ესოდენ გაბედულ გამოსვლებს და მას გაწირავდნენ. ეს „ბატუმსკი ლისტოკის“ რედაქციამ, მისმა გამომცემელმა თავადმა ბ. ვაჩნაძემაც იცოდა და ამიტომ განაცხადეს: – „ჩვენ მცირე დროის მონაკვეთში რამდენჯერმე შევეხეთ სასიცოცხლო საკითხებს, პრესის საშუალებით მოვითხოვეთ განმარტება იმ პირებისაგან, რომელთა ხელშია საკითხების დადებითად მოგვარების საშუალებანი, მაგრამ დუმილით გვპასუხობენ.

ძალაუნებურად იბადება კითხვა: სად უნდა ვეძიოთ ამ დუმილის მიზეზი ჩვენს მიმართ? მტრულ და ათვალისწინებულ დამოკიდებულებაში ხომ არა?



ჩვენ ეთვლით, რომ დუმილით ვერ გავფანტავთ იმ გაუგებრობებს, რომლებიც არსებობენ ჩვენს საზოგადოებაში“ (№14).

ამრიგად, რედაქციის ყველა იმედი კრახით დამთავრდა, – ასკვნიდა მწერალი. შემდეგ სამართლიანად შენიშნავდა, რომ ხელისუფლება გაზეთისაგან მოითხოვდა მკითხველისათვის ეცნობებინათ ევროპის ქვეყნებში მომხდარი მკვლელობათა ამბები, ლონდონში 14-სართულიანი სახლის მშენებლობა და სხვა მისთანანი, ხოლო ნათის მრეწველობის განვითარების საკითხებზე, რაზეც გაზეთისათვის სტატია თვით ნობელს მიუწოდებია, რაფერი ეთქვათ. ამ დარგის განვითარების გარეშე კი წარმოუდგენელი იყო ბათუმის სწრაფი ზრდა, ამიერკავკასიის ეკონომიკის აღმავლობა.

სამხრეთულ ტემპერამენტს ცხოველყოფელი გავლენა მოუხდენია ბათუმის პირველ ჟურნალისტებზე. „ბატუმსკი ლისტოკის“ დახურვის წინ, ამავე გაზეთის საშუალებით უთქვამთ: „აქ თუ არა, იქ, სხვა ადგილას, ჩვენ ვნახავთ საშუალებას სიმართლე ეუთხრათ იმათ, ვისაც მისი ეშინია, როგორც სიკვდილისა და მძინვარე ცეცხლისა“.

აჭარის პირველი ბეჭდვითი ორგანოს პროგრესულმა მიმართულებამ, მაშინდელი საზოგადოების მანკიერი მხარეებისა და დანაშაულთა გაბედულმა მხილებამ განაცვიფრა გლეხ უსპენსკი: „გაზეთის კეთილი მიზნების მიუხედავად, იმ უმსგავსეობათა ხშირი კრიტიკა, რომელიც ბათუმში სუფევდა, აუტანელი აღმოჩნდა მთავრობისათვის და ერთ თვეში ჩაახრჩვეს“ – აღნიშნავდა მწერალი.

აქვე უნდა ითქვას, რომ გაზეთის რედაქტორი კონსტანტინე ვაჩნაძე გაბედული და აჭარის მოსახლეობისადმი კეთილად განწყობილი ადამიანი ყოფილა. სერგეი მესხს მრავალჯერ მიუმართავს თანამემამულეებისათვის წასულიყვნენ აჭარაში სამუშაოდ და ყველა საშუალებით დახმარებოდნენ აჭარლებს. შესაძლებელია ვაჩნაძე ბათუმში მესხის რჩევით ჩამოვიდა.

უსპენსკის ცნობები გვეხმარება ბათუმის პირველი გაზეთის ქრონოლოგიის დადგენაში. №3 გამოსულა 1882 წლის სამ ივნისს, №14 – ერთი თვის შემდეგ. აქედან გამომდინარე ცხადი ხდება, რომ „ბატუმსკი ლისტოკი“ გამოდიოდა 1882 წლის პირველი ივნისიდან ივლისის შუა რიცხვებამდე, იბეჭდებოდა მახარაძის სტამბაში. არაერთი წერილი „დროებას“ გადაუბეჭდავს, ტირაჟი დიდი არ უნდა ყოფილიყო. სხვაგვარად დედაქალაქიდან ჩამოსულ ცნობილ მწერალს მისი შოვნა არ გაუჭირდებოდა.

ბათუმის პირველმა ბეჭდვითმა ორგანომ „ბატუმსკი ლისტოკმა“ გარკვეული ბიძგი მისცა ჩვენს ქალაქში გაზეთებისა და სტამბების დაარსებას, რასაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მასების გათვითცნობიერებასა და რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდაში (გამოვაქვეყნეთ გაზეთებში „ოქტომბრის გზით“ – 1969, 6 მაისი; „საბჭოთა აჭარა“, 1970, 5 მაისი, „ბათუმი“, 2002, 7 მაისი).

## აჭარის პირველი საზღვაო გაზეთი

1921 წელი მეტად მძიმე იყო ახალი რუსეთისათვის. ომმა გააჩანაგა ქვეყანა, ამას დაერთო არნახული გვალვა, რასაც მასობრივი შიმშილობა მოჰყვა, რის გამოც ლტოლვილები ბათუმსაც მოაწყდნენ. ეს იმანაც განაპირობა, რომ საგარეო ვაჭრობის გაფართოების მიზნით, საბჭოთა მთავრობა ერთგვარ დათმობაზე წავიდა და ბათუმი თავისუფალ ნავსადგურად გამოაცხადა.

სწორედ ამის გამო ოდესის გაზეთ „მორიაკის“ მემანქანე ლუსიენმა მეუღლესთან ერთად ბათუმს მოაშურა. მას მოეწონა ჩვენი ქალაქი და თავისი ძველი ნაცნობი, გაზეთ „მორიაკის“ თანამშრომელი კონსტანტინე პაუსტოვსკი აქ მოიპატიჟა. ნავსადგურში ტვირთბრუნვა მატულობს, აპირებენ სანაოსნოს გახსნას, ეგებ საკუთარი გაზეთიც გამოსცენ და შენც აისრულებ წადილსო.

დამოუკიდებელი ჟურნალისტური მოღვაწეობის სურვილით შეპყრობილ პაუსტოვსკის ჭკუაში დაუჯდა ეს რჩევა და უმაღვე ბათუმისაკენ გამოეშურა. „ვიმედოვნებდი, ბათუმში გამოცემდი „მორიაკის“ მსგავს გაზეთს.“ – ამბობდა იგი.

პაუსტოვსკი შემოდგომის წვიმების დროს მოხვდა ბათუმში, იღგა 1921 წლის ოქტომბერი.

პირველ ხანებში ბარცხანის ხიდთან, ლუსიენის ოჯახში ცხოვრობდა. „ემარჩიელობდი, ნეტავ რომელი ქალაქია-მეთქი: ანკონა თუ ჩივიტავეკია, ბორდო თუ როტერდამი“, – წერდა მოგვიანებით ჩვენს ქალაქზე.

გაზეთის გამოცემის დაჩქარების მიზნით, პაუსტოვსკი დაუახლოვდა საქართველოს მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარეს, კეთილ და გამოცდილ მეზღვაურ ესტონელ ვ. ნირკს, მაგრამ საქმე მასთან მხოლოდ საუბრიო შემოიფარგლა.

საბეჭდი ქალაქი ცოტა იყო, ჭირდა სტამბის გამართვა. ამასთან, ბათუმში გამოდიოდა ორი საოლქო გაზეთი, მათ შორის რუსული „ტრუდოვი ბატუმ“. ამის გამო საზღვაო გაზეთის გამოცემა ფერხდებოდა. „როცა გაგრა-ბათუმის სანაპიროს მეზღვაურთა კავშირმა კომისარ ნირკის დაჟინებული მოთხოვნით (ხოლო ნირკს მე ვაძალებდი) ბოლოს და ბოლოს გადაწყვიტა საზღვაო გაზეთის გამოცემა, მე როგორც „მაიაკის“ რედაქტორს, ბინა „ბორდინპაუზში“ მომცეს, ოღონდ გამაფრთხილეს, რედაქციაც მანდვე გექნებაო. ეს სავსებით ხელს მაძლევდა“, – იგონებდა მწერალი. და, აი 1922 წლის 21 აგვისტოს ბათუმში რუსულ ენაზე გამოსვლა იწყო გაზეთმა „მაიაკმა“, რომელიც ოდესის „მორიაკის“ შემდეგ პირველი საზღვაო გაზეთი იყო მთელ ყოფილ საბჭოთა კავშირში. სახელწოდება ინგლისურად და ფრანგულ-

ადაც ეწერა, დევიზი კი ასეთი ჰქონდა: „ყველა ზღვების პროლეტარებო, შეერთდით!“ „მაიაკს“ გამოსცემდა ბათუმ-გაგრის სანაპიროს ზღვაოსანთა კავშირის ცენტრალური გამგეობა, ანუ საქართველოს სახელმწიფო საზღვაო სანაოსნო და პროფესიულ საწარმოო გაზეთად ითვლებოდა.

ახლა დავადგინოთ, თუ სად მდებარეობდა „მაიაკის“ რედაქცია – სტამბა, ანუ ორსართულიანი „ბორდინჰაუზე“ – თავიანთ გემებს ჩამორჩენილ მეზღვაურთა „სასტუმრო“, რომელსაც სხვაგვარად „სანაპირო თავშესაფარსაც“ უწოდებდნენ.

კონსტანტინე პაუსტოვსკის ცნობით, ეს ორსართულიანი შენობა, რომელშიც ნირკიც ცხოვრობდა მეუღლესთან ერთად, ზედ ზღვისპირას მდებარეობდა. ღელვის დროს წყალი ხმაურით ასკდებოდა ფანჯრებს... სახლი იდგა ნავსადგურიდან სულ ოც ნაბიჯზე, ნახევრად დამპალ მორეზზე შედგმული ძველი ნავსადგომის პირდაპირ. აქ ჩერდებოდა თურქეთიდან მოსული ფელუგები, პატარა საბჭოთა გემები... „ჩემი ოთახიდან პირდაპირ ნავმისადგომში შეიძლებოდა გასვლა... აქედან ყველაფერი ჩანდა, რაც ნავსადგურსა და ზღვაზე ხდებოდა“. გაზეთზე მითითებული იყო სასტუმრო „ბორდინჰაუზეს“, ანუ რედაქცია-სტამბის მისამართი: სანაპიროს ქუჩა, №4, იგი განლაგებული უნდა ყოფილიყო შმიდტის, ახლანდელი გოგებაშვილის ქუჩაზე, პროფკავშირთა კურორტების მართვის შენობასთან. ამას ისიც გვაფიქრებინებს, რომ აქაურობას ზღვა ღელვისას დღესაც ასკდება, ხელისგულივით მოჩანს მთელი ნავსადგური.

ამ შენობაში მანქანა „ბოსტონკაზე“, რომელიც ფეხით მოჰყავდათ მოძრაობაში, ბეჭდავდნენ ნ-გ-კვერდიან „მაიაკს“. მცირე მოცულობის გამო მიკროსკოპულს, ალბომის ოდენას ეძახდნენ. კვირაში სამჯერ გამოდიოდა და ოპერატიულად აშუქებდა საზღვაო ამბებს, აქეყენებდა ნარკევეებს, მოთხრობებსა და რუსეთის დეკემბათა სააგენტოს (როსტას) მასალებს, განსაკუთრებით ბევრს წერდნენ მცირე აზიის, თურქი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის განმტკიცების მნიშვნელობაზე, რაზედაც დიდად იყო დამოკიდებული ბათუმის ნავსადგურის ტვირთბრუნვის სწრაფი ზრდა.

გაზეთის რედაქტორი კ. პაუსტოვსკი იყო, ხოლო პასუხისმგებელი რედაქტორი – ვ. ნირკი. ამ საზოგადოებრივ დავალებას იგი მთელი მონღოებით ასრულებდა. მესამე ნომერში ნირკი წერდა, რომ გუშინდელი მექოთნე დღეს შტურმანია, ამიტომაც იმატა ავარიებმა, საჭიროა თვითმარქვია „სპეციალისტების“ გამოვლენაო.

გარდა სარედაქციო მუშაობისა, კ. პაუსტოვსკი ბევრს წერდა ფსევდონიმებითაც. აღსანიშნავია: „შეგნებული მოქალაქე“, „გასასვლელი ოთახი“, „წითელი ინჟინერი“, „დამპალი ნავმისადგომები“, „ვისია ეს განკარგულება?“, „ზღვა და რევოლუცია“ და სხვა.

სხვა თანამშრომლებიდან გამოეყოფოთ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს ბათუმში რუვიმ ფრაერმანს, რომელიც შემდეგ მწერალი გახდა. იგი რედაქციას აწვდიდა წერილებს საერთაშორისო საკითხებზე, ახლენდა აგრეთვე რუსეთის დეპეშათა სააგენტოდან მიღებული მასალების მიმოხილვას. პაუსტოვსკის თხოვნით, ფრაერმანმა ხელი მოკიდა კალამს და მოთხრობების წერა დაიწყო. არ შეიძლება კეთილად არ მოვიხსენიოთ გერმანიაში ტყვედ ნამყოფი ანტონ ულიანსკი, რომელიც ადრე კორექტორი იყო, ბათუმში კი ასევე მწერლობაში შეაღო კარი. „მაიაკის“ მე-7 ნომერში დაიბეჭდა მისი მოთხრობა „კონტრასტები“, ნარკვევში „მაკინტროში“ კი ასახა ინგლისის ხომალდ „კარგოს“ გულქვა კაპიტანი. ულიანსკი საინტერესო ენით წერდა. ექვსი წიგნის გამოცემა მოასწრო. „შორეთიდან მოსულებში“ შეიტანა ნარკვევი „წყალზე“, რომელიც პირველად გაზეთმა „მაიაკმა“ გააცნო მკითხველებს.

გაზეთის რედაქციაში თანამშრომლობდა აგრეთვე, დამწყები მწერალი ისააკ ბაბელი, რომელიც კ. პაუსტოვსკიზე ადრე ჩამოვიდა ბათუმში, მწვანე კონცხზე მეუღლესთან და დასთან ერთად ცხოვრობდა. იგი იყო გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ კორესპონდენტი აჭარაში და 1923 წლის შემოდგომამდე აქ დარჩა. კორექტორის მოვალეობას კი ასრულებდა წარსულში ცნობილი მოჭიდავე დოვგელო. მერვე ნომერშია ლუსიენის მეუღლის – მიხეილ სინიავსკის ინფორმაცია საქართველოს საზღვაო სანაოსნოზე, რომელსაც სულ სამი ოთახი ეკავა და ოთხი კაცი ხელმძღვანელობდა. სანაოსნოს მემკვიდრეობით ხუთამდე გემი მიუღია, რომლებიც საიმედოდ შეაკეთეს და ხალხის სამსახურში ჩააყენეს. შემდეგ ავტორი გამოთქვამს სიხარულს იმის გამო, რომ თურქებმა გაიმარჯვეს ინტერვენტებზე, ეს საშუალებას მოგვცემს საზღვაო მიმოსვლა დავამყაროთ კონსტანტინოპოლთან (სტამბულთან), ე.ი. ევროპაში გავიდეთო. სინიავსკი გამოთქვამდა რწმენას, რომ საქართველოს სანაოსნო შეივსებოდა ახალი გემებით, რომლებიც ოკეანეებს გადასერავენ.

„მაიაკში“ გამოქვეყნებულია აგრეთვე შორეული ცურვის კაპიტნისა და მწერლის – დიმიტრი ლუხმანოვის ჩანახატი „სანაპიროს ზვიგენები“ და ლექსი „ტაიფუნი“.

გავეცნოთ სხვა ნომრებსაც. მოსკოვში ინახება „მაიაკის“ მხოლოდ 19 ნომერი. მეორე ნომერი იუწყება, რომ შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო სანაოსნოს მთავარი სამმართველო, რომელიც განთავსდა სანაპიროს ქუჩაზე. გემები ემსახურებიან ნავსადგურებს ბათუმსა და გაგრას შორის. აქვე ნათქვამია, რომ მალე ბათუმში გაიხსნება მეზღვაურთა სახლი – კლუბი. №19 მოგვითხრობს მეზღვაურებისა და მათი ოჯახის წევრების სამედიცინო მომსახურების საკითხებზე.

ყურადღებას ვამახვილებთ კ. პაუსტოვსკის გამონათქვამზე: „ნავსადგურში მომუშავე, ახლო სოფლებიდან მოსული გლეხების სილატაკესა და უუფლე-

ბობას ბოლო არ მოეღება, თუ არ გაერთიანდნენ და არ შეკავშირდნენ“.

ეს კეთილშობილური საქმე სწორედ „მაიაკში“ გამოქვეყნებული ყოფილი გლეხებისადმი მოწოდებით წამოიწიეს, რასაც საერთო კრება და მუშათა კავშირის შექმნა მოჰყვა. ეს კავშირი მალე საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის მუშათა კავშირად გარდაიქმნა.

შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ნავსადგურში სამუშაოები მკვეთრად მცირდებოდა. ამიტომაც „მაიაკი“ კვირაში ერთხელ გამოდიოდა. ამან კ. პაუსტოვსკის საშუალება მისცა 1923 წლის ბოლო სამ თვეს, პარალელურად საოლქო გაზეთ „ტრუდოვოი ბატუმის“ გამომშვებად ემუშავა, დეკემბერში კი „მაიაკი“ ჩააბარა ბათუმში გაზრდილ ვლადიმერ მროზოვსკის. „ტრუდოვოი ბატუმის“ ერთ-ერთ თანამშრომელს და ფრაერმანთან ერთად თბილისს გასწია.

ამ დროისათვის უკვე შეიძინა დამოუკიდებელი ჟურნალისტური საქმიანობის საკმაო გამოცდილება, ყოველმხრივ მოემზადა, მომწიფდა სამწერლობო მოღვაწეობისათვის, რომლის ასპარეზი აქ, ცხადია, არ ჰქონდა.

ჟურნალისტები ი. აკვილევა და გ. ამბერნაძე სამართლიანად მიუთითებენ, რომ ბათუმში კ. პაუსტოვსკისა და მისი მეგობრებისათვის „ტალანტების აკვანი იყო“. ამას, სხვათა შორის, პაუსტოვსკიც შენიშნავდა: მაშინ ბათუმში პოეზია ყელში მწვდა, მაგრამ შემბოჭა თავის კეთილისმყოფელ ტყვეობაში. უკვე აღარ შემეძლო და აღარც მსურდა ხელიდან დაეხსებლომოდინა და თუნდაც წამით დამევიწყებინა მისი ხმა.

ეს ხმა ყოველ წამსა და ყოველ წუთს მესმოდა, თანაც მკაფიოდ და ნათლად... ლექსები ყოველთვის მიყვარდა, მაგრამ ჩემს ცხოვრებაში ისე ბუნებრივად არასოდეს ამგზავრებიან, როგორც მაშინ, ბათუმში“.

ჩვენს ქალაქში რომ პაუსტოვსკი ჟურნალისტური ცოდნითა და შთაგონებით აღივსო, ყოველივე ეს მისი შემდეგი სიტყვებიდანაც ჩანს: „არ მინდა თქვენთან ერთად ისე მივატოვო ბათუმი, რომ ორიოდ სიტყვა მაინც არ მივუძღვნა იქაური ცხოვრების შინაარსიან ხანას... ვიდრე მივატოვებდეთ ბათუმს, არ შეიძლება ერთხელ კიდევ არ გადავაველო თვალი ამ არაჩვეულებრივ და ულამაზეს ქალაქს, „თუმცა მას სამართლიანად „პისუარ დენუარიც“ უწოდა.“

აჭარის პირველი საზღვაო გაზეთი „მაიაკი“ მოგვიანებით შეცვალა ასევე მცირეფორმატიანმა „კოდნიკმა“, რომელიც 1932-1941 წლებში გამოდიოდა და ბათუმის ნავსადგურის ორგანო იყო. 1968 წლის პირველი ნოემბრიდან კი მოგვევლინა მათი გამგრძელებელი „მორიაკ გრუზი“, რომლის არსებობა საქართველოს საზღვაო სანაოსნოს გახსნამ განაპირობა. 1972 წლიდან ამ გაზეთის რედაქციას საკუთარი სტამბაც ჰქონდა. სამწუხაროდ, სანაოსნოს დაშლის გამო გაზეთი აღარ გამოდის (დაიბეჭდა გაზეთებში „საბჭოთა აჭარა“, 1974, 5 მაისი; „ბათუმი“, 2002, 29 ოქტომბერი).

## კაკრიზები თუ ისტორიული რეალობა?

ჩვენ საკუთარ კარავს ვაგებთ ოკეანესთან. რუსეთი ოკეანეა და  
ჩვენ, მის გვერდით მცხოვრებლებმა, არ შეიძლება იგი უარვყოთ.

ასლან აბაშიძე

ვახეთი „აქარა“, 2001, № ოქტომბერი

„Россия действительно играет прогрессивную роль по отношению к Востоку... Господство России играет цивилизаторскую роль для Черного и Каспийского морей и в Центральной Азии“, – წერდა ფრიდრიხ ენგელსი 1851 წლის 27 მაისს კარლ მარქსს (კ. მარქსი ფ. ენგელსი, სოჩ. ტ. 27, გვ. 241).

კ. მარქსმა ასევე კარგად იცოდა რუსეთში, კავკასიასა და მათ მეზობლად მომხდარი ამბები, რასაც არაერთი სტატია და მიმოხილვა უძღვნა. მათში არც ისე იშვიათად მოხსენიებულია ბათუმი, ჭოროხი, ოლთისი, ახალციხე, ყარსი, ტრაპიზონი, ერზერუმი, თბილისი, სპარსეთი. 1853 წლის 14 ივნისს თავად წერდა: „Человечество помнит, что Россия была покровительницей Грузии“ (იქვე, ტ. 9, გვ. 118), თუმცა არ უარყოფდნენ, რომ რუსეთი რეაქციის დასაყრდენიც იყო, ცარიზმის შეურიგებელ მოწინააღმდეგეებად ითვლებოდნენ და მაინც, როგორც პროფ. ი. კაჭარავა ასკვნის, ენგელსს რუსეთი მუსლიმანებისაგან საქართველოს გამათავისუფლებლად მიაჩნდა, „რომ რუსეთმა საქართველო, სამეგრელო, იმერეთი და გურია“ უბრალოდ კი არ დაიკავა, არამედ „მუსლიმანებს წაართვა“ (გაზ. „კომუნისტი, 1983, 5 მაისი). მისივე აზრით, კავკასიისა და სხვა ხალხები „უნდა მინდობოდნენ შედარებით ნაკლებ უხეშ ძალას. ნაკლები ბოროტების იდეა სწორედ ამ დროიდან იბადება, როგორც თურქული აგრესიით წელში გაწყვეტილი ხალხების პრაქტიკულ-პოლიტიკური ინტერესი“ (ი. კაჭარავა, კარლ მარქსი და ფრიდრიხ ენგელსი საქართველოს შესახებ, 1969, თბ., გვ. 73). ასე რომ, რუსეთი ამ „მფარველობითი პოლიტიკით“ ნამდვილად დაწინაურდა.

მან ჯერ საქართველოზე სპარსთა და სხვა აღმოსავლელთა შემოსევები ალაგმა, შემდეგ მიადგა თურქეთს, 1829 წელს მესხეთ-ჯავახეთი დაუბრუნა საქართველოს, 1878 წელს აჭარა-შავეშეთი და სხვა პროვინციები ყარს-ტრაპიზონამდე. ოსმალები ყირიმიდან და ბალკანეთიდანაც განდევნა. ასე

რომ, ისინი სამუდამოდ მოაცილა კავკასიას, რითაც აღკვეთა ადამიანთა მოტაცება-გაყიდვა, რაც მუსრს ავლებდა ქართველ ხალხს, განსაკუთრებით სამეგრელოს, იმერეთსა და გურიას. ეს შავბნელი ხანა დოკუმენტურად აქვთ აღწერილი არქანჯელო ლამბერტის, ჯუდიჩე მილანელს, ჟან შარდენსა და სხვებს. ჟაკ გამბა 1820 წელს წერდა: სამართლიანობა მოითხოვს ვალიაროთ, რომ მას შემდეგ, რაც რუსეთის მმართველობამ აქ არსებული ბარბაროსული რეჟიმი შეცვალა, ამ ხალხის (იმერლების - ი. ბ.) ყოფაში მნიშვნელოვანი დადებითი ძვრები შეიმჩნევა, ამ აზრის ფაქტებით განსამტკიცებლად შეიძლება ითქვას, რომ 20 წლის განმავლობაში, რაც ამ მხარეს რუსეთის მთავრობა მართავს, მკვლევლობის მხოლოდ ორი თუ სამი შემთხვევაა აღნუსხული. თვით ხალხმაც კიდევ უფრო სასიკეთოდ იცვალა ზნე. დღეს, როცა ბატონები გაცილებით ნაკლებს სჯერდებიან და ხალხიც ხედავს თავისი შრომის ნაყოფს, როცა ისინი აღარ ემორჩილებიან მეფის რეკვიზიციას, უმრავლესობა შრომისმოყვარე გახდა და აღარ იმსახურებს იმ საყვედურთა უდიდეს ნაწილს, რაც მათ მიმართ მოგზაურმა შარდენმა გამოთქვა (ჟ. გამბა, მოგზაურობა ამიერკავკასიაში, თბ., 1987, გვ. 216). აქვე დასძენდა, რომ რუსეთის დახმარებით ვაჭრობას, კულტურას, განათლებას, მრეწველობას ეზიარებიან და პატივისცემასაც დაიმსახურებენო.

ევროპელები ამას არ აკეთებდნენ, პირიქით რუსეთის საზიანო გზას ადგნენ. მათი ხელი ერია იმაშიც, რომ შამილმა ოსმალების წაქეზებით თბილისისა და ერევნის დაპყრობა ისურვა, რაც გრ. ორბელიანმა შეაჩერა.

ფ. ენგელსის მიხედვით, „აზიის საომარ მოქმედებათა ასპარეზის გასაღები ბათუმი იყო“, კ. მარქსის აზრით კი ვის ხელშიც იქნებოდა ბათუმი, შავი ზღვის გამგებელიც გახდებოდა, ამიტომ იყო, რომ რუსეთი აღრიანოპოლის ზავის ხელმოწერისას (1829) ყოველმხრივ ცდილობდა ბათუმის დაუფლებას (იქვე, ტ. 9, გვ. 117, 457).

კ. მარქსი საყურადღებო ცნობას გვაწვდის აბდი ფაშა ხიმშიაშვილზე, რომელიც 1854 წელს ყარსსა და ახალციხეში ოსმალთა სამხედრო ოპერაციებს სდგომია სათავეში. შემდგომში იმის გამო, რომ „მოლაღატე იყო, გაიწვიეს და ყარსში დააპატიმრეს“. აბდის მაგივრად ახმედ-ფაშა დაუნიშნავთ (იქვე, ტ. 10, გვ. 29). აბდი და ახმედი ძმები იყვნენ, სახელოვანი სელიმის შვილები, რომლებიც მამის ანდერძის თანახმად, მშობლიური მხარის დედასამშობლოსთან შეერთებისათვის იღვწოდნენ. ამის გამო ახმედიც საიდუმლო მოლაპარაკებას წარმართავდა რუსეთთან კავკასიის მთავარსარდალ ივანე პასკევიჩის წარმომადგენელ გენერალ ვასილ ბებუთოვთან, მაგრამ უგუნური გერმანელი ოსტენ-საკენის ავანტიურამ, თვითნებურმა თავდასხმამ ხულოზე, სოფლების გადაწვამ, ა. ხიმშიაშვილის ჩაბარების მოთხოვნამ, ყველაფერი ჩა-

შალა, რამაც უადრესად აღაშფოთა მოლაპარაკებების ინიციატორები, კაკა-სიის მეფისნაცვალ და მთავარსარდალი იე. პასკევიჩი, სხვები. დაუპატიჟებელი გერმანელი გენერალი ა. ხიმშიაშვილმა აიძულა წასულიყო აჭარიდან.

მართალია, პროფ. გრიგოლ ჟვანიას არ მოჰყავს კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ეს სამართლიანი გამონათქვამები, მაგრამ თავისი მშვენიერი პუბლიცისტური სტატიით „ისტორიასთან ხუმრობა საშიშია“ ნამდვილად ეხმაურება მათ და კონკრეტულ განმარტება-პასუხებსაც იძლევა.

როგორც ცნობილია, უკანასკნელი ორი-სამი წლის განმავლობაში რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე ხშირად ქვეყნდება მასალები, რომლებშიც რუსეთი წარმოდგენილია როგორც ქვეყანა, რომელსაც ყველა უნდა უფრთხოდეს და გაურბოდეს. ამგვარ დებულებათა ავტორები რუსეთთან, საქართველოს რაიმე კავშირზე ლაპარაკსაც კი ზედმეტად, საშიშ საქმედ მიიჩნევენ.

ასევე საქართველოში განლაგებული ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარის ნაწილებს ხშირად ნათლავენ, როგორც საოკუპაციოს და მოითხოვენ საქართველოს ტერიტორიიდან მათ დაუყოვნებლივ გაყვანას, – წერს გ. ჟვანია (გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1995, 19 თებერვალი).

ქართველი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე გ. ჟვანია იქვე გამოთქვამს რამდენიმე განსხვავებულ მოსაზრებას, რასაკვირველია ყურადსაღებსა და გასათვალისწინებელს. „ვფიქრობ, ნაკლებად საჭიროებს მტკიცებას ის დიდი მნიშვნელობა, რომელიც ჰქონდა ქართველი ერისათვის რუს ხალხთან მეგობრობას. სწორედ რუსეთთან შეერთებამ სამუდამოდ გადაარჩინა საქართველო აღმოსავლეთ დამპყრობთა შემოსევების საფრთხეს და დაიწყო მის ისტორიაში ახალი ხანა, მშვიდობიანი ცხოვრების, წარსულთან შედარებით ინტენსიური ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ხანა.

რუსეთთან შეერთება რომ არა, ძნელი წარმოსადგენია, როგორ წარმართებოდა ქართველი ერის მომავალი, შეინარჩუნებდა თუ არა იგი თავის ადგილს რუკაზე“ (იქვე).

შემდეგ მოჰყავს ილია ჭავჭავაძის ნაანდერძევი, რომლითაც დიდმა მამულიშვილმა რუსეთიდან მაშველი სამხედრო ძალების 1799 წლის მიღებასთან დაკავშირებით მიმართა მშობლიურ ერს: „ამ ღირსახსოვარ დღიდან საქართველომ მშვიდობიანობა მოიპოვა. შიში მტრისა ერთმორწმუნე ერის მფარველობამ გაუფანტა. დამშვიდდა დიდი ხნის დაუმშვიდებელი დაღლილი ქვეყანა, დაწყნარდა აკლებისა და აოხრებისაგან, დაცხრა ომისა და ბრძოლისაგან. დადუმდა ჟღერა ხმლისა და მახვილისა, მტრისა ხელით მოღერებულისა ჩვენზე და ჩვენს ცოლ-შვილებზე, გაქრა ცეცხლი, რომე-



ლიც სწვაედა და ბუგაედა ჩენს საცხოვრებელს, გათავდა რბევა და აკლება, მიეცა წარსულს და მარტო საშინელ და შემადრწუნებელ სახსოვრადლა დაგვრჩა. დაუდგა ახალი ხანა, ხანა მოსვენებულის, უშიშარის ცხოვრებისა სისხლდანთებულ და ქრისტეს ჯერისათვის ჯვარცმულ საქართველოს, რომელიც ღმერთმა სააქაო სამოთხედ გაუჩინა ადამიანს და კინალამ ერთ დიდ სასაფლაოდ არ გადაექცა მის თავდადებულ შვილებს, რომელნიც უძწეოდ, უნუგეშოდ, ყველასგან შორს, მარტოდმარტო იხოცებოდნენ ქრისტეს სარწმუნოების სადიდებლად და თავის ვინაობის გადასარჩენად. დაიდვა საზღვარი მშვიდობისმყოფელ ცხოვრებისა“ (ი.ჭავჭავაძე, თხზ. ტ. 4, გვ. 215-217, თბ., 1955).

მართალია ბატონი გრიგოლი, როდესაც დასძენს „უკეთესად ვერაფერს იტყვი. არ იქნება ურიგო, კარგად ჩაუფიქრდნენ ამ სტრიქონებს ისინი, ვინც აგდებულ დამოკიდებულებას იჩენს ქართველი ერის ისტორიულ ბედში რუსი ერის როლის შეფასებისადმი“.

ასეთი სულისკვეთება ამოძრავებდა თითქმის ყველა დიდ ქართველ მოღვაწეს, რომლებსაც მლიქვნელობას, ე.წ. კომუნისტობას, მით უფრო აგენტობას ვერ დავსწამებთ. ღიახ, ამაგის დანახვა-დაფასება, ის სულისკვეთება ამოძრავებდა



რუსეთის არმიის მხვერაეთა რაზმი, რომელსაც მეთაურობდა მომაველი მწერალი ელადიმერ გილიაროუსკი, ციხისძირის მისადგომები, 1877 წლის შემოდგომა.

ვებდათ, რაც ჩვენი ერის, ქვეყნის გადარჩენას, გამრავლებას, უკეთ ცხოვრებას წაადგებოდა. ასეთი მაგალითები კი არის და არის. 1386 წლის 21 ნოემბერს მონღოლთა სარდალმა თემურ ლენგმა თბილისი აიღო და შეეცადა ტყვე მეფე ბაგრატის თავის მხარეზე გადაბირებას. ასე მიაღებინა მას მაჰმადიანობა, რაშიც სხვებმაც მიჰბაძეს. ამან გაახარა მომხდელი. ამით ისარგებლა ბაგრატმა და თხოვა ჯარი, გამიშვი და საქართველოს მაჰმადიანობაზე მოვაქცევით. საქართველოს რომ მოაღვა, შეიღს გიორგის საიდუმლო წერილი გაუგზავნა და მტრის ამოწყვეტა შესთავაზა. ასეც მოხდა. ის საიდუმლო წერილი კი მეფეს თავისი „ჩინებული და სარწმუნო აზნაურის რუს ეგნატაანთაგანის“ ხელით გამოუგზავნია. ეს რუსი უაღრესად სანდო პიროვნება ყოფილა, თანაც საქართველოს მეფის კარზე სათანადოდ მიღებულიც („საჩინო“). ეს ცნობა იმაზეც მიგვანიშნებს, რომ ძველად რუსები მართო სტუმრად არ მოდიოდნენ ჩვენთან, არამედ კიდევ სახლდებოდნენ და უსაზღვროდ ერთგულნი რჩებოდნენ თავისი მეორე სამშობლოს წინაშე. სწორედ ამით აიხსნება, რომ მეფე ბაგრატთან თემურ ლენგის ტყვეობაში მყოფმა რუსმა ეგნატე იგნატიევმა თავისი ხელით მოუტანა ქართველებს ესოდენ საიდუმლო წერილი (კ. გრიგოლია, რას მოგვითხრობს „ქართლის ცხოვრება“, თბ. 1971, გვ. 482).

რუსეთთან დაკავშირებით ერეკლე მეორის გადაწყვეტილებებზე დღეს ბევრს ლაპარაკობენ. როგორ შეიძლება ერეკლე მეფეს არ დაეუფასოთ ის, რომ დიდ რუსეთთან დაგვაკავშირა? ვითომ უკეთესი სხვა ვინმე იყო, ვინც ითავა ჩვენთვის სისხლის დაღვრა? არავინ, გარდა რუსეთისა, სხვებმა გამოქომაგებაც არ ისურვეს. გავიხსენოთ მეფე გიორგი, მისი თხოვნა და მიმართვები ევროპელებისადმი, ყვარყვარე ათაბაგის წერილები ბურგუნდიის ჰერცოგისადმი, რომელიც 1459 წელს ბათუმიდან გაუგზავნა და აქედან ანუ თავისი სამფლობელოდან ოსმალების წინააღმდეგ გალაშქრება შესთავაზა, 20 ათასი საუკეთესო მესხი და აჭარელი შეარჩია, მაგრამ მასაც არ გამოეხმაურნენ. 1716 წელს გონიოს გამოვლით ევროპიდან ხელცარიელი დაბრუნდა სულხან-საბა ორბელიანიც. ამდენად, მთელმა ევროპამ ვერ გაბედა ჩვენი მტრების თუნდაც გაფრთხილება-შეკავება, ერთმორწმუნე ქართველების დაცვა. პირიქით, დახმარების ნაცვლად, 1444 წელს ბურგუნდიელები ჩვენს სანაპიროს დაესხნენ, რათა აბრეშუმის და სხვა ნადავლი წაეღოთ, ხოლო როცა ტრაპიზონელმა ბერძნებმა უთხრეს ქართველებიც ქრისტიანებიანო, ხელი აიქნიეს, მერე რა, კათოლიკეები ხომ არ არიანო.

ღიახ, არავინ არ იყო ჩვენი მომკითხავ-დამცველი. არსაით გექონდა წასასვლელი გარდა რუსეთისა და მიდიოდნენ იქ დიპლომატები და მეფეები, მიდიოდნენ პეტერბურგსა და მოსკოვს, იქ ქართველთა კოლონიებიც შეიქმნა, სადაც თვალსაჩინო მოღვაწეები აღიზარდნენ. პროფ. სარგის

კაკაბაძისა არ იყოს, ქართველი თავშესაფარს ყოველთვის ჩრდილოელ მეზობელში ეძებდა და პოულობდა.

ეს მშვენივრად ესმოდა ერზერუმის სერასკირსა და გუბერნატორ ახმედ ხიმშიაშვილს, რომელმაც თავის ძეს, აჭარის გამგებელ შერიფს ასეთი ანდერძი დაუტოვა: „გახსოვდეს შეილო, ადრე თუ გვიან ჩვენი მხარე, ისე როგორც ახალციხისა, რუსეთს შეუერთდება. იმეგობრე რუსეთთან, თანამემამულეებთან. ჩვენი ბედნიერება დამოკიდებულია რუსეთზე, იცოდე ჩვენი ბედნიერების გზა იქითკენ მიდის და არა სტამბოლისაკენ“ (გაზ. „კავკაზ“, 1876, №55; ლ. ისარლოვ, პისმა ო გრუზიი, თბ., 1899). ამიტომაც იყო, რომ უარი თქვა არათუ აჭარის, არამედ არტანუჯ-ყარსის მამულებზე და მამასავით რუსეთთან საიდუმლო მოლაპარაკება წამოიწყო, ომშიც დახმარება აღმოუჩინა რუსეთს, რათა მშობლიური მხარე თავისუფალი ენახა. შერიფი რუსთა ხელმწიფემ საზეიმოდ პეტერბურგში მიიღო, გენერალ-მაიორობა უბოძა და წინაპართა რწმენის – ქრისტიანობის მიღებაც მიულოცა. ახლახან ერას (გორკის) ქუჩიდან გამავალ ახალ ზღვისპირა ქუჩას, ამ თავდადებული მამულიშვილის სახელი ეწოდა.

„ღირს მილიონების გადაყრა ბათუმისათვის“, – თქვა რუსეთის მეფე ალექსანდრე III-მ და 1877 წელს რუსეთ-თურქეთის ომიც გაჩაღდა, რასაც ამჯერად აჭარისა და მეზობელი პროვინციების განთავისუფლებაც მოჰყვა. სხვათა შორის ამას 1783 წელს გეორგიევსკში დადებული რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებაც ითვალისწინებდა, მასში ჩაიწერა, რომ რუსეთი იბრძოლებდა მტრების მიერ მიტაცებული საქართველოს ოლქების განთავისუფლებისათვის. მაშინ ნიკო ნიკოლაძემ სამართლიანად გაიზიარა რუსი გენერლის გამონათქვამი, რომ „რუსეთმა შეისმინა თურქეთის მიერ დაჩაგრული ხალხების გოდება და იშიშვლა ხმალი, მათ განთავისუფლებას შესწირა ასეული მილიონი მანეთი და ასეული ათასობით ადამიანის სიცოცხლე“ (ნ. ნიკოლაძე, თხზ. ტ. 6, გვ. 29, თბ., 1970).

ბრძოლები აჭარის ტერიტორიაზე ძირითადად ზღვისპირეთში წარიმართა, მთავარი კი იყო საგანგებოდ გამაგრებული ციხისძირის სიმაგრის აღება. აჭარის გამგებელმა შერიფ ხიმშიაშვილმა რუსებს აცნობა, რომ ეს ციხე ოსმალებმა მნიშვნელოვნად გაამაგრეს, შემოიყვანეს მასველი ძალა, დადგეს 70 ქვემეხი, ხოლო ნაპირებს მიაყენეს ოთხი ჯაგშნოსანი გემი და სხვა. ამიტომაც ურჩევდა ახალციხიდან ხულოს გამოვლით შემოსულიყვნენ და მტერს ზურგში მოქცეოდნენ, მაგრამ დროის სიმციროს გამო შტურმი ამჯობინეს. პირველად 1877 წლის 11-12 ივნისსა და მეორედ 1878 წლის 18 იანვარს შესევიან. პირველს სარდლობდა გრიგოლ ორბელიანის სიძე, გენერალი ივანე ოკლობეჟიო (ბათუმში ახლანდელ მ. კოსტავას ქუჩა

მის სახელს ატარებდა), ხოლო მეორეს გენერალ-ლეიტენანტი დიმიტრი კომაროვი, კოლონებს სათავეში ედგნენ გენერალ-მაიორები შერემეტიევი (დაიღუპა, საიათნოვას ქუჩა მის სახელს ატარებდა), დანიბეგოვ-დანიბეგა-შვილი და შალიკოვ-შალიკაშვილი. პირველი შეტევისას 29 ოფიცერი და 885 ჯარისკაცი დაღუპულა, 1878 წლის 18 იანვარს კი 1500-მდე, მათ შორის 44 ოფიცერი. რუსებს სულ 36 ქვემეხი ჰქონიათ, ხომალდი არც ერთი. ორივე მხრიდან 50 ათასამდე ჯარისკაცი იბრძოდა, ერთი ერთზე მოდიოდაო. დაღუპულთა შორის ქართველებიც იყვნენ, რომლებიც რეგულარულ ჯარშიც ირიცხებოდნენ და მოხალისეთა რაზმებშიც. შტაბის უფროსი ყოფილა გიორგი ყაზბეგი, პოლკისა – თავადი აბაშიძე, მოხალისეთა – იასე გურიელი, ბრძოლების მსვლელობას აშუქებდნენ სპეცკორესპონდენტები გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. დაღუპულები დაუმარხავთ ხუცუბნის ძმათა სასაფლაოზე, რასაც ძველი წარწერებიც ცხადყოფენ.

მართალია, ციხისძირი რუსეთის არმიამ ამჯერადაც ვერ აიღო, მაგრამ იგი მაინც კავკასიის ფრონტის ერთ-ერთი დიდი ოპერაცია იყო, რამაც გზა გაუხსნა რუსებს ბათუმისაკენ.

უნდა ითქვას, რომ რუსეთს მაშინ აჭარის სანაპიროსთან ჰყავდა ერთადერთი სამხედრო ხომალდი „კონსტანტინი“, რომელსაც ახალგაზრდა ოფიცერი, შემდეგში ცნობილი ადმირალი და გამომგონებელი სტეფანე მაკაროვი ედგა სათავეში. ციხისძირთან მტრის ჭარბ ძალებთან მისი შეხმა სახიფათოდ მიიჩნიეს და უარით გაისტუმრეს, დაჭრილების გადაყვანა და ჯარის მომარაგება დააკისრეს, მაგრამ მსოფლიოში ახლად გამოგონებული ტორპედოების მის მიერ ათვისებამ, საამისო კატარღების მოწყობამ, ბათუმთან 1878 წლის 14 იანვარს ღამით განხორციელებულმა პირველმა სატორპედო დარტყმამ, რომლის შედეგად ჩაძირეს ხომალდი „ინჯაბახი“, მტერი დააფრთხო, რის შედეგად, შემდგომ არც ისე ხალისით ეკარებოდნენ ჩვენს სანაპიროს. ეს დღე მსოფლიოში ტორპედოს პირველი გამოყენების თარიღად ითვლება (იხ. ჩვენი, პირველი საბრძოლო გამოცდა, გაზ. „ოქტომბრის გზით“, 1968, 27 ივლისი, 1 აგვისტო; ტორპედოს პირველი გამოყენება, ჟურნ. „ლიტერატურული აჭარა“, 1968, №4; ციხისძირის შტურმი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1970, 25 თებერვალი; რუსი მეზღვაურები აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში; როდის მოხდა ციხისძირის შტურმი? ჩვენი წიგნიდან „ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბ., 1982; გაზ. „სოვეტსკაია ადჟარია“, 1983, 20 ოქტომბერი; 1988, 26 ოქტომბერი და სხვა).

უნდა ითქვას, რომ ინგლისელები და სხვები ამჯერადაც ყოველმხრივ შეეცადნენ, რათა აჭარა რუსეთს არ დარჩენოდა, რის გამოც ე.წ. ბერლინის კონგრესი მოიგონეს, მაგრამ ანდრიანოპოლის 1829 წლის მოლაპარ-

აკებისაგან განსხვავებით, ამჯერად რუსმა დიპლომატებმაც ივარგეს და აჭარა არ დათმეს, ევროპელებმა მხოლოდ ე.წ. თავისუფალი ქალაქის ანუ პორტო-ფრანკოს თავსმოხვევა შეძლეს.

„ვნახე ყველა ეს ადგილი და სიმართლე გითხრათ, განეკვიფრდი თუ შეიძლება ასე ითქვას, რუსი გენერლის სიმამაცით, და კიდევ მეტად რუსი ჯარისკაცის ამტანიანობით და თავგანწირვით. გაოცება მით უფრო უსაზღვრო იქნება, თუ გაეითვალისწინებთ, რომ ყოველივე ეს ხდებოდა ზამთარში, წელამდე თოვლში, როდესაც რაზმს არც საკმარისი საჭმელი გააჩნდა, არც საკმაოდ თბილი ტანსაცმელი, არც საჭირო რაოდენობის კარავები. თანაც მოქონდათ ზარბაზნები ცხენებით“, – წერდა მგზნებარე მამულიშვილი სერგეი მესხი, ბათუმ-მარადიდ-ართვინის გზის გავლის შემდეგ, რომლითაც 1878 წლის ზამთარში რუსეთის მეორე არმია შემოვიდა ციხისძირში მებრძოლ რუსთა პირველ არმიაზე დასახმარებლად.

ამ არმიას სათავეში ედგა გენერალ-ლეიტენანტი კონსტანტინე კომაროვი, იგი ციხისძირის არმიის ახალი სარდლის დიმიტრის ძმა იყო, დედით სომეხი (ი. ბეჟირიშვილი, აჭარა, ქართველ მწერალთა შთაგონების წყარო, ბ., 1998).

ასევე დამაფიქრებელია მწერალ გიორგი წერეთლის სამადლობელო სიტყვები, იმის აღიარება, რაც მხოლოდ გონებით ბრძამს, უკმეხ-უმაღურს არ შეუძლია. „ასწლოვანი ხეები გაუვალ ტვერადაა გადაქცეული. გავლა ჯარისათვის ძნელია... ჩვენი ჯარების (ე. ი. რუსეთის – ი.ბ.) მამაცობა უდავოა. რა დიდი შრომა და სისხლია ჩაღვრილი ამ კამპანიის მოკლე დროში, მით უმეტეს ზამთრისათვის მომზადებული არ იყვნენ. უკვე მუდმივი აუდარია, ყინვა და ქარიშხალიც, მიწურებმა არ ივარგა, წყალი ღებვა, ინგრევა, პროდუქტების ნაკლებობაცაა“ (იქვე). ასე აღწერა ქობულეთის რაიონში მებრძოლ რუსთა მდგომარეობა გ. წერეთელმა. ასე იბრძოდნენ რუსი გლეხების შვილები ჩვენი განთავისუფლებისათვის, ასე ჰპოვებდნენ აქ სიკვდილს. ამიტომ იყო, რომ 1878 წლის ნოემბერში თბილისში გამართულ აჭარისა და სხვა განთავისუფლებული ქართული ოლქების წარმომადგენელთა მიღება-ზეიმზე, რომელიც ჩვენმა გულწრფელმა თანამემამულეებმა გამართეს, იკითხეს: „ვის ჰმართებს კიდევ ქება და პატივი ამ ჩვენი შეერთებისათვის, ბატონებო?“ პასუხი ასეთი იყო: „ქება და პატივი, ღია გვმართებს, რომ ვუძღვნათ ძლიერ რუსეთის ხალხს“. გრიგოლ ორბელიანმა მხურვალე მადლობა გადაუხადა რუსეთს „ესრეთ ჩვენი გაბედნიერებისათვის“, რასაც ვაშას შეძახილები მოჰყვა. დიმიტრი ყიფიანმა კი დასძინა: „ვინ იცის კიდევ რამდენ ხანს ვიქნებოდით ამ მდგომარეობაში, რუსეთისათვის რომ არ მიგვენდო თავი. ახლა აგვისრულდა სამასწლეული ნატვრა“ (ი. ბეჟირიშვილი, აჭარის დეპუტაციის მიღება თბილისში, ჩვენივე წიგნიდან

„ნარკვევები აჭარის წარსულიდან“. ჩვენივე, რუსეთი – აჭარის გამანთავი-სუფლებელი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1983, 29 მარტი და სხვა).

ილია ჭავჭავაძე, სერგეი მესხი, გიორგი წერეთელი, გრიგოლ ორბელი-ანი, დიმიტრი ყიფიანი და სხვა მრავალი, ბოლშევიკები, კომპარტიის ცეკას წევრები არ იყვნენ, რასაკვირველია არც სუკისა და რუსეთის აგენტები, მათ მხოლოდ მშობლიური ქვეყნის, ხალხის ბედი, ხვალინდელი დღის იმედი ამოძრავებდათ. ეს კი რუსეთს გარდა არავინ ითავა, არჩევანი არც ჰქონდა ქართულ ხალხს, ამიტომაც ყველაფრის ძაგება, პროგრესული რუსეთის დამსახურების არ დანახვა, იგნორირება სულმოკლეობა-მკრეხე-ლობაა, მით უმეტეს, რომ რუსეთმა შეძლებისდაგვარად თავისთვის და ჩვენთვისაც აჭარის აღორძინებას მისცა დასაბამი, 1883 წელს შემოიყვანეს რკინიგზა, აიგო ნავსადგური, სახლები, ქარხნები, ბათუმ-ახალციხისა და სხვა გზები, საფრანგეთიდან ჩამოტანილი ეიფელის კონსტრუქციის თალია-ნი რკინის ხიდები ჩაიდგა ჭოროხზე გონიოსთან, სოფელ აჭარისწყალსა და ცხმორისში, კირნათისაკენ მიმავალ გზაზე, იწყეს წიგნების, გაზეთების გამოცემა ჩვენს მხარეზე, ახალი სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშ-ენება, დანერგეს კავშირგაბმულობის სისტემა, ბათუმი ბაქოსა და თბი-ლისის შემდეგ იქცა კავკასიის მსხვილ სამრეწველო ცენტრად. ერთი სიტყვით, სიახლე, წინსვლა თუნდაც შედარებითი, ნათლად ჩანდა ყველა-ფერში. ამიტომაც, რომ აჭარაში დღესაც გაიგონებთ: ნიკოლოზის (იგულ-ისხმება რუსეთის მეფე ნიკოლოზ II – ი.ბ.) ხიდი, ნიკოლოზის გზა, ისე როგორც ამას ამბობენ თამარ მეფეზე. სხვათა შორის, 1914 წელს რუ-სეთმა ბათუმ-ბაღდადისა და ტრაპიზონის რკინიგზების მშენებლობაც წა-მოიწყო, მაგრამ დასრულება არ დასცალდა.

ისიც ხაზგასმით უნდა ითქვას, რომ რუსეთმა აჭარის დაკარგვა არ დაუშვა პირველი იმპერიალისტური ომის წლებში, არც 1921 წელს და არც დიდ სამამულო ომში ფაშისტების შემოსევისას. მერე რა, თუ თავის იმპერიას შეუერთა, თავისთვის ჭირდებოდა, მაინც ხომ საქართველოს, ქართველ ხალხს დარჩა, სხვაგვარად რომ არც იქნებოდა განა არ იცოდნენ? ასე რომ, გვეყოს ღირსება, სულგრძელობა და ვაღიაროთ: რუსეთი თუ არა, ახლა ჩოლოქზე ისე გადმოვიდოდით, როგორც სარფს გადავდივართ და აჭარაში თითო-ოროლა რაიმე ქართულს ისე ვნახავდით, როგორც იქით დარჩენილ თანამემამულეებში. აჭარა თურქეთის ისეთივე ჩამორჩენილი ნაწილი იქნებოდა, როგორც იმერხევ-შაეშეთი და სხვა პროვ-ინციები, რომლებიც რუსეთმა 1878 წელს შეიერთა, მაგრამ გერმანელ-ინგლისელთა და სხვათა მხარდაჭერით, თურქეთმა 1921 წელს წაართვა. სწორედ ევროპელთა ინტრიგები რომ არა, უკვე 1829 წელს საქართველო

ჩაიკრავდა გულში აჭარას. მაშინ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი“ გერმანელი ნესელროდე სულ იმას გააკვიროდა, რომ აქ არაა წიაღისეული, გზები, აჭარა იქნება „ობუზა“ რუსეთისათვისო. ამასთან ანდრიანოპოლის მოლაპარაკებაზე რუსეთის მოთხოვნა იმის თაობაზე, თუ რა ტერიტორიები სურდა კავკასიაში, ნესელროდემ განგებ გაუგზავნა დავიანებით, რათა ხელმოწერის შემდეგ მიეღოთ. ასეც მოხდა, რამაც აღაშფოთა მოლაპარაკებათა ხელმძღვანელი ფელდმარშალი ა. დიბიჩი და კავკასიის მთავარსარდალი ი. პასკევიჩი, ხელმოწერიდან ორი დღის შემდეგ მიღებული რუსეთის მოთხოვნა ბათუმის ოლქის გადმოცემის თაობაზე, ევროპელთა ავანტიურისა და კარნახის გამო, თურქეთმა უარყო.

ისიც უნდა ვთქვათ, რომ ყირიმის ომის დროს ინგლისის პალმერსტონის მთავრობამ დესანტის გადმოსხმა ჩვენს სანაპიროზე იმიტომ კი არ ისურვა, რათა თურქების ხელყოფისაგან დაეცავით, არამედ თურქებისავე დასახმარებლად, ასეც მოხდებოდა თუ არა საფრანგეთი, რის გამოც დესანტი ყირიმს მიაყენეს. 1877-1878 წლებშიც ინგლისელები ვერაგობის გზას დაადგნენ, ჭან-ლაზებსა და აჭარლებს აწერინეს მიმართვები მათი დედოფლისადმი ინგლისის იმპერიაში პროტექტორატად შესვლის თაობაზე, რაშიც მხარდაჭერა მაინცდამაინც ვერ მოიპოვეს. ინგლისელები, გერმანელები, სხვები 1918 წელსაც დაბანაკდნენ საქართველოში, მაგრამ არა ჩვენი უფლების დასაცავად. გერმანელებს ის სურდათ, რომ აქედან გატანილი ბაქოს საწვავით მათ თვითმფრინავეებს ეფრინათ, იგივე ამოძრავებდათ ინგლისელებს: სპარსეთის ნავთობსაც ბათუმიდან გავიტანთ, რაღა აფრიკის შემოვლით ვიაროთო, ამიტომ იყო, რომ 1920 წელს აჭარაში მოკალათებულები, ე.წ. ბათუმ-არდაგან-ყარსის რესპუბლიკის შექმნას შეეცადნენ, მარქსისა და ენგელსისა არ იყოს, აზიის გასაღების ხელში ჩაგდება სურდათ, რათა აქედან გაელწიათ ახლო აღმოსავლეთში, ირანში, ავღანეთსა და ინდოეთში, მაგრამ, როგორც ამერიკელი მეცნიერი ლუი ფიშერი წერდა, მოვიდნენ ბოლშევიკები და ინგლისელები კავკასიას გაეცალნენო. იგივე განაცხადა თვით ინგლისელმა ისტორიკოსმა არტურ მურმა.

სხვაგვარად არც მოიპოქმედებდნენ. განა ასე არ დაიპყრეს აფრიკის, არაბეთის, აზიის და ამერიკის ქვეყნები, განა არ გააჩაღეს ომები აფრიკაში, ინდოეთში, არ გარეკეს ასევე ავსტრალიის აბორიგენები უნაყოფო და ცუდკლიმატიან მთებში, თავად კი მინდორსა და ზღვისპირეთში დასახლდნენ, ფეშენებელურ ცხოვრებას მიეცნენ.

ეგებ ე. წ. ახალი ერი – ამერიკელები არიან რუსებზე უფრო კეთილშობილები? აიყარნენ ევროპიდან, რათა ამერიკაში აბორიგენები გაეუღიჭათ, დარჩენილები რეზერვაციებში შეერეკათ, ხელთ ეგდოთ მათი სახლ-

კარი, მიწები, წიაღისეული და განცხრომით ეცხოვრათ. ამერიკელებს ასევე მითვისებული აქვთ მექსიკელთა მიწები, ვითომ არ ავიწროებენ პანამელებს, კუბელებს, ლათინური ამერიკის სხვა ქვეყნებს? ჩინელებს, იაპონიას? ვითომ მათ არ წამოიწყეს კორეის, ვიეტნამის ომები, ვითომ ამერიკელები არ აფერხებენ ტაივანის დაბრუნებას ჩინეთისათვის, ვითომ მხარი არ დაუჭირეს ინგლისს, არგენტინის კუნძულ ფოლკლენდის უსირცხვილო მითვისებისათვის გაჩაღებულ ომში, ვითომ არა ჰყავს ბლოკადაში კუბა და სხვა სახელმწიფოები და ა.შ. რატომ არ აძლევენ საშუალებას პალესტინელებს თავიანთ მიწაზე საკუთარი სახელმწიფო შექმნან, აკი ისრაელის ხალხს ეს 1948 წელს გაუკეთეს. ვითომ ავღანეთთან, ერაყთან დამოკიდებულებას, საქართველოში ვოიაჟს „ნავთის სუნი არ ასდის?“ და კიდევ რატომ აქვთ ყველგან სახმელეთო, საავიაციო თუ საზღვაო ბაზები, სადაც ითესება გარყვნილება, ლოთობა, ადგილობრივთა შეურაცხყოფა, ხდება ხალხთა დაკაბალება ფულით ანუ ეკონომიკით, ჟურნალისტი ი. ხოხლოვი სამართლიანად წერდა: კონგოს პრეზიდენტ მობუტუს მზარეული და მძღოლებიც თავისი, ადგილობრივი ჰყავს, მაგრამ აბა გაბედოს და ბელგიაში მყოფი კლემანსოს დაუკითხავად რაიმეში ნაბიჯი დამოუკიდებლად გადადგასო. ასეა იუგოსლავიაშიც, რომელიც სწორედ ამერიკელებმა და მათმა ევროპელმა მოკავშირეებმა თარეშისა და ომის სარბიელად აქციეს.

ჩვენ ამერიკელთა ვოიაჟი საქართველოში ვახსენეთ. ფაქტიურად ესაა ე.წ. საერთაშორისო ტერორიზმის საბაბით შენიღბული ჩვენი ქვეყნის ოკუპაცია. ამერიკელებმა კუბაში საბჭოთა რაკეტების განლაგების გამო კინაღამ ახალი ომი ასტეხეს, ზედ რუსეთის საზღვარზე შეიარაღებული თავისი ძალების ჩაყენება და დაზვერვა-ჯაშუშობაც კი დასაშვებად მიაჩნიათ. თურქეთშიც ასე დროებით შევიდნენ, მაგრამ ახლაც იქ არიან, რათა ახლო აღმოსავლეთში თავისი „ინტერესები“ დაიცვან, ხოლო ქვეყნებს, რომლებსაც ამერიკელთა ჩარევა და კარნახი არ სურთ, ცდილობენ ყველაფერში ხელი შეუშალონ, შეაფერხონ, სატელიტებად აქციონ.

ეს მწარე გაკვეთილი ჩვენს თავზე არ უნდა დატრიალდეს. ეს გვაფიქრებს ბევრს. პუბლიცისტმა ლაზარე ზაქარიამძემ თავის ახალ ინტერვიუს ამერიკელების საქართველოში ფეხმოკიდების გამო „საქართველოს ისტორიული ტრაგედია“ უწოდა. კითხვაზე „თქვენ თვლით, რომ ამერიკელთა შემოსვლა ოკუპაციაა?“ – უპასუხა: „– თქვენ, რა, არ თვლით? ყველამ თავის გულში ჩაიხედოს“. ხოლო შეკითხვაზე „– სხვა არჩევანი გვაქვს?“ – დასძინა: „– არჩევანი მართლმადიდებლობაა. მართლმადიდებელი კი რუსეთია“ (გაზ. „აჭარა“, 2002, 16 მარტი).



რუსეთს რომ ვაძაგებთ, ბარემ ისიც ნუ დაგვაიწყდება, რომ პირველი და მეორე მსოფლიო ომები გერმანელებმა წამოიწყეს და რომ არა რუსეთი და საერთო ძალისხმევა, ახლა ჩვენ, ქართველები საკუთარი მიწის ხიზნები ვიქნებოდით. რასაკვირველია, ჩვენ არავისთან არ უნდა ვთქვათ უარი პარტნიორობა-ურთიერთობაზე, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ არა მარტო რუსეთს, არამედ ოკეანისგადაღმელ იანკებსა და სხვებსაც კავკასიის კორიდორი – აბრეშუმის გზა, აზერბაიჯან-ყაზახეთის ნავთობი და რუსეთის ხელახალი დაშლა იზიდავს, ფუტკრებივით იქ მიფრინავენ, როგორც 1998 წლის 7 თებერვალს ბათუმში პრესკონფერენციაზე ამერიკელ დიპლომატს ვუთხარი, თუ არა ყოველივე ეს, ისეთ დამოკიდებულებაში იქნებოდნენ ჩვენთან, როგორც ტიბეტელებთან. ამიტომაც რუსეთის საზიანოდ თავი არავის არ უნდა გამოვაყენებინოთ. გადამთიელ ე.წ. მეგობარს, ნაკლები მნიშვნელობის კარის მეზობელი სჯობია. ასე იყო და იქნება თუ კატაკ-ლიზმები არ გვსურს.

პარალელის გავლება გვსურს იმაშიც, რომ რუსეთს კავკასიის, ვოლგის-პირეთის, შუა აზია-ყაზახეთისა და იქითა ხალხებისათვის რწმენა არ შეუცვლია, არავენ გაუჟღელტია, საბჭოთა რუსეთმა კი ასე თუ ისე, ავტონომიები მისცა, რაც დღესაც არა აქვთ ქურთებს თურქეთში, ბასკებს ესპანეთში, ამერიკის, ავსტრალიის აბორიგენებს, ირლანდიელებსა და სხვებს.

რუსი მესაზღვრეები ქართველებთან ერთად იცავენ საქართველოს საზღვარს აჭარაში. წლების მანძილზე არავის ახსოვს რაიმე კონფლიქტი რუსთა ნაწილებთან, ვთქვათ ქურდობა, გაუპატიურება, ჩხუბი. აბა გამოიკითხეთ და დარწმუნდებით მოსახლეობის რომელიმე ფენა თუ იტყვის თუნდაც ოდნავ ცუდს მათზე. ეს რეალობაა. ჩემს სოფელ აჭარისწყალში იყვნენ მესაზღვრეები, ტანკისტები და არტილერიისტებიც. ყველა სამაგალითონი.

ჩვენ არ უარვყოფთ „შავ ლაქებს“ ამ ურთიერთობებში. ყველაფერი დადებითი არც მეფის რუსეთს ჰქონია და არც კომუნისტურ საბჭოთა რუსეთს. ამას კაპიტალისტური გარემოც განაპირობებდა. მაგრამ რუსეთსა თუ საბჭოთა კავშირში განებივრებული არც თვით „ველიკოდერჟავინი“ რუსი იყო. ცხადია, ესეც აქვს მხედველობაში გ. კოპაძეს, რომელმაც 1998 წლის 11-17 მარტს გაზეთ „მაცნეში“ გამოქვეყნებული სტატიის სათაურად გამოიტანა სიტყვები: „ნუ ვიღებთ სულელურ მაგალითს ჩვენი პარლამენტიდან, ყველაფერს რომ რუსებს აბრალებენ!“ აი ამ დაბრალებამ მიგვიყვანა იმ უფსკრულამდე რუსეთთან ურთიერთობასა და საქართველოს განადგურებაში, რაზეც პარლამენტის წევრი სოსო სიგუა და ყურნალისტი ირმა შერვაშიძე წერენ: „პანკისის ხეობაში თავმოყრილი ჩეჩენი ბოევიკები საქართველოს ისტორიის იმ ავბედით ხანას მაგონებს, ლეკიანობა

რომ ერქვა... არადა, დუმდა ხელისუფლება, უმოქმედობდნენ სამართალ-  
დამცავი ორგანოები, ხმას არ იღებდნენ, ჩქმალადნენ სხვადასხვა დანა-  
შაულს და აი. შედეგიც... სამწუხარო ისაა, რომ სახელმწიფო საზღვრები  
დაუსველია. ჯარი შიმშილობს“ (გაზ. „აჭარა“, 2000, 7 დეკემბერი).

გაზეთის ამავ ნომერშია ი. შერვაშიძის მამხილებელი წერილი „უხელ-  
ფასო ჯარი, მესაზღვრე და ძალოვანები გაგონილა?!“ ამ თემაზე ხომ  
თითქმის ყველა გაზეთი წერს, რაც ბადებს სამართლიან კითხვას: მერედა  
რას ვაშიშვლებდით საზღვრებს? რატომ ვამბობთ უარს კარის მეზობელზე,  
რომელმაც ისტორიის ხანგრძლივ მანძილზე იმეგობრა შენთან, დაგიცვა,  
ახლაც გამოიყენებ, დაგეხმარება. რატომ ვანაცვლებთ მას გადამთიელს,  
საერთოდ რუსეთის ინტერესების საზიანოდ თავზე ვიხვევთ ოკეანეს-  
გალმელებს. არც ჩვენ ვართ მათთან მეგობრობა-ურთიერთობის წინააღმდ-  
ეგნი, მაგრამ ყველაფერი არ უნდა ვაკეთოთ ამერიკელთა სიამოვნებისა და  
რუსეთის ინტერესების საზიანოდ, რომელიც ამასთან ისლამისტებსაც  
აკაეებს. მათი ქმედებანი კი საქართველოს კარგს არაფერს უქადის.

ვერ გამოვიტყვი, როგორ მივაგოთ პატივი იმ ასობით ათას თანამემამულ-  
ეს, რომლებმაც რუსებთან, უკრაინელებთან, ბელორუსებთან და სხვებთან  
ერთად შემუსრეს ფაშიზმი, დიდმა ნაწილმა იქ და სხვაგან კპოვა სამუდამო  
სასუფეველი, როგორ მოვექცეთ შერეულ ოჯახებს, რუსეთში აღზრდილებს,  
მოღვაწე და მომუშავე ქართველებს, როგორ მოვექცენ მათ იქ, როგორ გავი-  
თავისოთ მომავალი ურთიერთობები? ვითომ მომავალში არ დაგეჭირდება ხე-  
ტყე, ლითონი, მუშახელის დასაქმება, ჩვენს პროდუქციას ამერიკელები, სხვე-  
ბი წაიღებენ? ეს და უამრავი სხვა კითხვა თავსატეხი არ უნდა გაგვიხდეს.

საყურადღებოა მე-19 საუკუნეში ლონდონში გამომავალი დემოკრატიისა  
და ფილოსოფოსის ალექსანდრე გერცენის პროგრესული ჟურნალი „კოლო-  
კოლი“. რომელიც საიდუმლოდ ბათუმიდანაც შეჰქონდათ რუსეთის იმპერი-  
აში. 1862 წლის №145 გამოქვეყნებულ ნ. ვორონოვის წერილში, რომელიც  
საქართველოდან გაუგზავნია, სინანულითაა ნათქვამი: „Грузины знают, что  
Россия всегда и изытком уделяла ей свой кусок хлеба и что, если этот  
хлеб почас горек для грузин, то он горек также и для русских; или ина-  
че, что если Грузия управляется дурно, то Россия терпит управление  
еще худшее“ (Журн. „Литературная Грузия“, 1976, №2, ст. 74).

მწამს, რომ მეზობლების გადაკიდებითა და ცხრა მთას იქით ე.წ. მე-  
გობრების გაჩენით, მხოლოდ დროებით დაკმაყოფილებას მიიღებ, თანაც იძუ-  
ლებითს, ჩვენ კი უნდა ვიფიქროთ შევითავილებზე და არც მიჩვეული უნდა  
მოვიკლოთ. – მიჩვეულს ნუ მოაკლებ, დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, – ამბობენ  
ქართველები. მეზობლებთან უნდა იმეგობრო, შორებელთან კი იპარტნიორო.

ამერიკელი ჯარისკაცების საქართველოში მოწვევას მწერალი ოტია იოსელიანი „რას ჰგავს ეს“ უწოდებს და დასძენს: – „ჩვენი არ იყოს, იმათაც არაფრის არ რცხვენიათ“ (გაზ. „აჭარა“, 2002, 22 მარტი).

რუსეთი და მისი ჯარი აჭარას, მთელ საქართველოს პრობლემას არ უქმნის. ესეც რეალობაა.

მეცნიერი, საზოგადო მოღვაწე ვიქტორ ნოზაძე ემიგრაციაში წავიდა და საფრანგეთში გარდაიცვალა, მაგრამ გულწრფელობა და ღირსება იქაც არ დაკარგა. „ყოველი გამარჯვება რუსის იარაღისა ქართველობას სიხარულს ჰყენდა და თითოეული ნაჭერი მიწა, უკან მიღებული, ახლა უკვე გამაჰმადიანებელი სამკვიდრებლისა, დაკარგული ძმისა და მამულის დაბრუნებას უდრიდა. ამიტომ დღესასწაულობდა და ზეიმობდა ქართველობა რუსეთის გამარჯვებებს“, – წერდა ვ. ნოზაძე თავის ნაშრომში „საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო“ (თბ., 1989, გვ. 10).

რუსეთმა, შეიძლება ითქვას, გადამწყვეტი როლი შეასრულა საქართველოს, ქართველი ხალხის ცხოვრებაში, ამის დასტურია, აგრეთვე მწერალ ეგნატე ნინოშვილის ანდერძი-გაფრთხილება.

„ვინც ჩვენს ხალხს რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებას ურჩევს, ამით ჩვენი ქვეყნის დაღუპვა მოუწადინია. ან, რომ თქვას კაცმა, რა გვაქვს ჩვენ რუსეთთან სასაყვედურო?... რა ვიქნებოდით აქამომდე, რუსეთს რომ ჩვენთვის პატრონობა არ გაეწია... დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, ჩვენ ვიქნებოდით მაშინ ბარბაროსი ოსმალეთის ანუ ეგეთივე ბარბაროსი სპარსეთის ყურმოჭრილი ყმა. მხოლოდ რუსეთმა დაიხსნა ჩვენი ქვეყანა ამ უბედურებისაგან...“ (ე. ნინოშვილი, თხზ. სრ. კრ. 1957, გვ. 18-20).

პოეტ შოთა ნიშნიანიძის მიხედვით კი „ხატივით უნდა გწამდეს ხატის რუსეთი“. ასევე მივესალმები სოციალისტთა ლიდერის ვახტანგ რჩეულიშვილის მიერ წამოწყებულ სახალხო მოძრაობას „საქართველო ჩემი სამშობლო, რუსეთი ჩემი მეზობელი“. ჩვენ რუსეთთან მეგობრობით, მათი დახმარებით უნდა წავიდეთ წინ, საიმედოდ გაეიხადოთ, ჩვენც ასეთნი ვიყოთ“.

გავიხსენოთ გაზეთ „აჭარის“ პუბლიკაციებიც. 2002 წლის 18 ივნისს მის ფურცლებზე თავისი აზრი დააფიქსირა ცნობილმა კინორეჟისორმა შადიმან ჭავჭავაძემ: „მოგეწონს თუ არა ეს ქვეყანა, საჭიროა გავითვალისწინოთ, რომ ის უდიდეს ძალას წარმოადგენს მთელს მსოფლიოში. ბევრისათვის ასე სანუკვარი ამერიკაც კი, მას ანგარიშს უწევს და ყოველნაირად ცდილობს გვერდით ჰყავდეს. ასე რომ თვალში ნაცარს ნუ შევიყრით, – ხოლო საქართველოს ყოფილი პარლამენტარი ვახტანგ გოგუაძე 10 ივლისის ნომერში წერდა: „ეთქვი და ვიმეორებ: ისინი, ვინც რუსეთის წინააღმდეგ ბლავეინს, ანტირუსულ პოლიტიკას კი არ ატარებენ, ქართველი ერის მოსპობის პროგრამით მუშაობენ“.

დიახ, ეს ისტორიული რეალობაა, იმის დადასტურებაა, რომ რუსი ხალხი თუ არა, აჭარა ახლა თურქეთის პროვინცია იქნებოდა, თურქეთი იქნებოდა.

რუსი ხალხისადმი ჩემი დამოკიდებულება გამოვხატე 2000 წლის 22 აპრილის შემდეგი შინაარსის დეკლამაში:

Г. Москва  
Президенту России  
Господину Путину

Восхищен вашей личностью и мудростью. Русские наконец выявили своего настоящего предводителя.

Россия освободительница моей Аджарии, моя воспитательница. В 1954 году в Котовской военно-авиационной школе стал механиком реактивных МИГов. В 1957 году в Новосибирском военно-летном училище стал членом КПСС, секретарем комсомольской организации эскадрильи, а в 1960 году в Ленинградском высшем военно-морском училище журналистом.

От всей души желаю России и лично вам, батюно Владимир, Всевышним отведенного места и роли на благо всего мира.

*Иосиф Акифович Бекиришвили,  
Заслуженный журналист,  
публицист, исследователь  
г. Батуми, 22 апреля 2000 г.*

Ответ: 1709 22/4 вручен отдел прохождения документов управления информационного и документального обеспечения администрации президиума РФ уполномоченному на получение телеграммы 22/04 1510-gm Рязанцева.

თსპ II

განთავსება  
და ფილტვნი

## ამინდის მართვის ქართული რიტუალების ატარული პარინანტი

ლაზარობის მსგავსი წვიმის მავდრი დღესასწაულები ქრისტიანობამდე კარგა ხნით ადრე არსებობდა. გვალვისა თუ ავდრის დროს ადამიანი ზეციურ უხილავ ძალებს და ღვთაებებს მიიჩნევდა მხსნელად, მათ ევედრებოდა მაცოცხლებელ წვიმასა თუ გამოდარებას, სეტყვა-კოხის, ქარიშხლის თავიდან აცილებას.

ლაზარობის იდენტური წვიმის მომყვანი მაგიური რიტუალები მსოფლიოს ხალხებს უძველესი დროიდან ჰქონიათ. შუა აზიისა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში წვიმის მოყვანისათვის აწყობდნენ პროცესიას, თან დაჰყავდათ ტიკინაშემოსმული თხა, რომელიც ცხვართან ერთად გაიგივებული იყო წყალთან (ლეგენდის მიხედვით, შუა აზიაში მავზოლეუმის აგებისას იქ, სადაც დაიღვარა შეწირული თხის სისხლი, გაჩნდა წყარო). თხასა და ცხვარს მსხვერპლშემწირავ ცხოველებად მიიჩნევდნენ შუმერებიც – აღმოჩენილია ამ ხალხის ანთროპომორფული ჭურჭელი, რომლებზეც აღბეჭდილია წვიმის მავდრებელი მოტირალი ადამიანის სახე. ბაბილონის მეფეს საახალწლო დღესასწაულზე ცრემლები წასკდა. ასე წვიმის მოსაყვანად მოიქცა. ბენგალელები, მექსიკელები და ინდიელებიც ტირილს თვლიდნენ წვიმის მომტან რიტუალად. სამარყანდში, ფერგანასა და ხოდუენში უზბეკები და ტაჯიკები წვიმის მოსაყვანად ასე ლოცულობდნენ: „ღმერთო, ცხოვრების გადამრჩენო, გამოგვიგზავნე წვიმა“ (ე. ანტონოვა, ოჩერკი კულტური დრეენის ზემლედელცეკ პერედნი ი სრედნი აზიი, მ – 1984, გვ. 105, 128-129, 216; რელიგიოზნიე ვეროვანია, მ., 1931, გვ. 940; ი. ბეჟირიშვილი ქრისტიანობა აჭარაში, თბ., 1991, გვ. 107-108).

ცნობილმა მეცნიერ-ეთნოგრაფმა და ისტორიკოსმა ჯემალ ნოლაიდელმა პირველმა მიაქცია ყურადღება ლაზარობის, 80 ათასი კენჭის შელოცვის, ქაშატობის, ბზობის, მარიაშობის, გიორგობის, ნათლილების, სხვა ქრისტიანული რელიგიური დღესასწაულებისა და ცერემონიების ნაშთებს ჩვენს მხარეში და კიდევ აღწერა ისინი. განსაკუთრებით დაინტერესდა ლაზარობით, რომელიც სათავეს წარმართობიდან იღებს, ანუ ქრისტიანობამდელია და მომდინარეობს დარისა და ავდრის ღვთაება ლაზარედან. თვით სახელი მიღებულია ებრაულ ელიაზარიდან. არის სახარების ლაზარე, მარიაშ-მართას ძმა, რომელიც, თქმულებით, იესო ქრისტემ მკვდრეთით აღადგინა. კათოლიკეთა რწმენით, ლაზარე სნეულთა შემწეც იყო. ამ

სახელიდანაა ნაწარმოები ისრაელის მხარე ლაზარეთის სახელწოდება.

აღსანიშნავია, რომ ლაზარე აჭარლებს ერქვით ათასი და შესაძლებელია უფრო მეტი წლის წინათაც. ამის უტყუარი დამადასტურებელია უნიკალური მაჭახლის სულთა მატთანე, რომელშიც მოხსენიებულია „ლაზარე ნიკოლაფხეშილი“ (ტბეთის სულთა მატთანე, თბ., 1977, გვ. 134). უფრო ხაზგასასმელი ისაა, რომ სხალთის ტადრის ჩრდილოეთის კედლის აღმოსავლეთ მალში, თაღს შუა მოხატული იყო „ლაზარეს აღდგინების“ კომპოზიცია, რომელიც პირველად ცნობილმა არქეოლოგმა პრასკოვია უეაროვამ აღწერა, ხოლო დეტალურად ი. ჭიჭინაძე-გვენცაძემ. „აქ ასომთავრული წარწერებიც იკითხება: „ლა (ზარეს) აღდ (გინება)“. ესაა ხალხმრავალი კომპოზიცია რთული არქიტექტურით მთიანი პეიზაჟის ფონზე. მარცხნიდან შემოდის ქრისტე, რომელსაც მოჰყვება ოთხი მოციქული. ქრისტეს ფეხებთან მოთავსებულია მართას ცისფერსამოსელიანი და მარიამის მოყავისფრო-წითელსამოსელიანი ფიგურები. მარჯვენა კუთხეში ჩანს მსახური სარკოფაგის სახურავით. მის ზემოთ მთების იქედან იცქირებიან იუდეველები: თვით სარკოფაგი ლაზარეს გამოსახულებით არ ირკვევა. ქრისტეს ცისფერი და იასამნისფერი სამოსელი, მოციქულთა სხვადასხვა ფერის სამოსელები ლამაზ ფერადოვან გამას ქმნიან. „ლაზარეს აღდგინების“ კომპოზიციის ამგვარი იკონოგრაფიული სქემა დამახასიათებელია XIV საუკუნის ხელოვნებისათვის. მოციქულთა და იუდეველთა მრავალრიცხოვანი ჯგუფები ამ კომპოზიციაში სწორედ პალეოლოგთა ხელოვნებაში ჩნდება. უპირველეს ყოვლისა, ხაზგასმულია სივრცობრივი მომენტი: მთებს შუა მოჩანან იუდეველები, ხოლო წინა პლანზე ქრისტე, მოციქულები და ლაზარეს დები. ასეთი გაბედული მხატვრული ძიებანი დამახასიათებელია პალეოლოგიური ხელოვნების ძეგლების (ლიხნე, უბისი, ბედია, ზარზმა, საფარის მონასტრის წმ. საბას, წალენჯიხის კახიე-ჯამეს, სოპოჩანის, ჟიჩას, გრაჩანიცასა და სხვა) მოხატულობებისათვის (ი. ჭიჭინაძე-გვენცაძე, სხალთის ეკლესიის მოხატულობა, ჟურნ. „ჭოროხი“, 1986, №6, გვ. 73; ი. ბეჭირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, თბ., 1991, გვ. 108).

1895 წელს თედო სახოკიამ აჭარაში მოგზაურობისას აღწერა წვიმის გამოწვევის რიტუალი: „გვაღვა და გაბმული წვიმა ისე არსად არ არის საშიში, როგორც აქ, მთაში. ორი-სამი გოჯის სიღრმე ნიადაგი, რომელსაც მაშინათვე კლდე მისდევს ხოლმე, თუ გვაღვაა, უცბად შრება, ნახნავი გოროხად იქცევა და სიმიინდი ხმება... ამ დროს, როცა ჯვარი და „საქონლის ხაპერი“ (თავის ჩონჩხის ჩამოკიდება ყანებში და სახლებზე – ი.ბ.), ვერასა ჰშველის აჭარელსა, ზენაარსს შეჰლაღადებს, ცას შეჰყურებს, იქიდან მოელის ხსნას. განრისხებულ ბუნებას, ამ უბედურების მომავ-

ლინებელს მსხვერპლსა სწირავს, რომ ამით გული მოუღბოს, თავი შეაბრალოს და რისხვა მოწყალებად შეაცვლევინოს. აჭარელი დარწმუნებულია, რომ ძღვენი და ქრთამი ყველგან და ყველასთან გადის, რომ ქვეყნად არავენაა ისეთი, სამსახური და მორჩილება არ ეამოს, ამ მსხვერპლის შეწირვასა და ლოცვას ახლა ყურბანი ჰქვია. გვალვის დროს, როცა სოფელი დარწმუნდება, რომ უყურბანოდ ციდან წვიმას ვეღარ ეღირსება, ყადი (მოსამართლე – ი.ბ.) მოთავედ უხდება საქმეს და მთელ სოფელს დიდიან-პატარიანად თავისი ხოჯების საშუალებით იწოდებს „დუაზე“, ე.ი. ვილოცოთ და ვეხვეწოთ წვიმის მოყვანისათვისო, უწვიმობით შეწუხებული რამდენიმე სოფელი ერთად იყრის თავს ამ შემთხვევისათვის და ქართულად ამბობენ: „ღმერთო! წვიმა მოიყვანე შხაპუნა და ძლიერიო“.

ლოცვის სათქმელად მაღალ სერზე ადიან და ერთიდან მეორეზე გადადიან. – აქედან უფრო ახლოსა ვართ ცასთან და უფრო გაავაგონებთ ჩვენს გაჭირვებასო. სამი დღის განმავლობაში დადის ხალხი... სერ-სერ. რომ დაიღლებიან, შეისვენებენ და ისევ შეუდგებიან ლოცვა-ვედრებას, სამ დღეში უკან ჩამოვლენ და საერთოდ გაღებულნი ფულით ნაყიდ ხარს, ძროხასა და ყოჩს ჰკლავენ, ხორცს ფუხარებს (ღარიბებს, გაჭირვებულებს) ურიგებენ, თავიანთ თავსაც არ ივიწყებენ, მართავენ ჭიდაობასა და სიმღერა-თამაშს. ჩამოდიან მდინარესთან, რომელშიც ჩადგმულია მოწნული გოდორი. პროცესის ყველა მონაწილეს წვიტი (პატარა) ქვა მოაქვს, რომელსაც მოლა ლოცავს ღმერთისადმი მოწყალების თხოვნით, რათა გააწვიმოს. ასეთ შემლოცველად ზოგჯერ 20-30 მოლა იყრიდა თავს. ამ შელოცვილ ათასობით კენჭს იმ გოდორ-ძარაში აგდებენ ხოლმე და ელოდებიან წვიმას. დარწმუნებული არიან, რომ ცა ვეღარ გაუძლებს შელოცვილი კენჭების ჯადოს, სიკერპეზედ უნებურად ხელს აიღებს და უეჭველად გაწვიმდებაო. ხშირად ამ ოპერაციის შემდეგ კრიჭაშეკრულია და ღრუბლებით დაიხუნზლება, იელვებს, გაისმის გრგვინვა და მათდა სასიხარულოდ, მართლაც წამოვა გამაცოცხლებელი წვიმა და გვალვისაგან სულამორთმეულ ჭირნახულს უკვდავების წყალივით მოესწრება“ (თ. სახოკია, მოგზაურობანი, თბ., 1950, გვ. 202).

ესაა ძველი ვედრება-რიტუალი, „80 ათასი კენჭის შელოცვა“ რომ ჰქვია და წარმართობაში იღებს სათავეს, წვიმის მოყვანას ან მის შეწყვეტას ეძღვნება. შესაძლებელია, თავდაპირველად ლაზარია-ლაზარობის შემადგენელი ნაწილი იყო, შემდეგ ვარიანტად ჩამოყალიბდა, დამოუკიდებელი გახდა.

ფრეზერი 1931 წელს წერდა, რომ აჭარაში გვალვის დროს თოჯინებს ტანს ბანდნენ და ლაზარიას თიკანს სწირავდნენ, რათა მალე გაეწვიმებინა (ჯ. ფრეზერ, ზოლოტაია ვეტვ, 1, მ. ლ-დი, 1931, გვ. 88), ეს ცნობა ჯ.



ნოლაიდელმა ახალი წყაროებითა და მასალებით დაადასტურა და გაამდიდრა. ინფორმატორ ხასან გორგილაძის მონაცემებზე დაყრდნობით ის წერდა: „აჭარლები უხსოვარი დროიდან ლაზარიას აწყობდნენ, დედოფალს აკეთებდნენ, ცეკვა-თამაშებით დადიოდნენ კარდაკარ და მღეროდნენ.“

ლაზარ მოდგა კარსა,  
აღურდულებს თაყსა,  
ნიტმა შექმინაო,  
ცალი ფხარი მომტეხა,  
ცალი შექმარინაო...  
აღარ გვინდა მისისა თვალი,  
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი.

მაგრამ თუ წვიმა ხშირი იყო, ვნებდა მოსავალს და მომაბეზრებელი ხდებოდა. ევედრებოდნენ:

აღარ გვინდა წვიმა-წყალი  
ღმერთო, მოგვე ბზისა თვალი...

ე. ი. გამოიდარე, რათა მზემ მოგვანათოსო, რომლის შემდეგ სხვები ამინს დაიძახებდნენ“ (ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 1, გვ. 131-132). მასპინძელს გამოჰქონდა კვერცხი, ყველი, გააკეთებდნენ საჭმელს და მიირთმევდნენ.

ი. გაგულაშვილი ხაზს უსვამს, რომ სწორედ ჯ. ნოლაიდელმა, პირველმა, გამოაქვეყნა აჭარული შელოცვების საყურადღებო ნიმუშები, რომლებიც განსაკუთრებული მნიშვნელობით ხასიათდებოდა და ჩამოთვლის მათ: „ნადირის დაკოჭვა“, „ახალი მთარის შელოცვა“, „ცეცხლის შენახვა“, „80 ათასი კენჭის შელოცვა“, „ნისლზე შელოცვა“ და სხვა, რომლებსაც მაგიური პოეზიის საუკეთესო ნიმუშად მიიჩნევს (ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986, გვ. 41).

ხულოს რაიონის ხიხაძირის ხეობაში შემონახულ ნისლის ასაყრელ-გამფანტველ სიმღერაში ნათქვამია: ეიყარე და ცხრა მთას იქით გედეიყარე. მალე წახვალ – შეილი მოგირჩება, დააგვიანებ – მოგიკვდებაო (ი. ბექირიშვილი, ქრისტიანობა აჭარაში, 1991, გვ. 107).

ჯ. ნოლაიდელის მიხედვით, ლაზარობა და ქაშატობა აჭარის მთიანეთში სრულდებოდა. ცალკე გამოყოფს „80 ათასი კენჭის შელოცვას“, რომელიც გვიანამდე შემონახა ჩვენს მხარეში, რასაც თ. სახოკიას მონათხრობიც ადასტურებს. რადგანაც მღვდელი არ იყო, ამ ცერემონიას

ახლა ხოჯა ედგა სათავეში, – წერდა ჯ. ნოლაიდელი. რამდენიმე სოფლიდან მოსულ 100-200 კაცს ორად ჰყოფდნენ. ერთი აგროვებდა იმ რაოდენობის კენჭს, რომელიც ერთ გოდორში უნდა ჩატეულიყო. მათი შელოცვა მხოლოდ უცოდველს შეეძლო, რომელსაც „ცოლის გარდა, არაინ არ უნდა ცოდნოდა“. შეკრებილთა მეორე ჯგუფი კი ლოცულობდა. ამის შემდეგ კენჭებიან გოდორს დაფარვამდე წყალში დებდნენ და იქვე კლავდნენ ხარს, რომლის ხორცს ქვრივ-ობლებს ურიგებდნენ. თუ ამას დიდი წვიმა მოყვებოდა, ნათესების წალეკვის აღსაკვეთად გოდორს წყლიდან ამოიღებდნენ. მსხვერპლად მხოლოდ ხარს წირავდნენ, რომელიც მშრომელ ადამიანს კულტად ჰყავდა წარმოდგენილი და მისი შეწირვა „დიდ რამეს ნიშნავდა“.

ეს შელოცვა არაბულად სრულდებოდა „იქნებ ამ მსხვერპლის შეწირვაც წარმართობიდან მომდინარეობს და აქ წარმართული დროისა და მაჰმადიანური პერიოდის რიტუალთა შერწყმა გექონდეს... ის ამბავი, რომ აჭარაში ამინდის მართვის სამი სხვადასხვა რიტუალი „ლაზარობა“, „ქაშატობა“ და „80 ათასი კენჭის შელოცვა“ გვაქვს, იმაზე უნდა მიუთითებდეს, რომ აქ სამი ეპოქის მონაცემი უნდა იყოს“, – წერდა ჯ. ნოლაიდელი (იქვე, გვ. 133-134). რასაკვირველია, კენჭების შელოცვა ხოჯების მოტანილი არაა, იგი ადგილზე შეითვისეს, გადააკეთეს და არაბულად წარმოთქვეს. ისლამის მსახურთ აბა ვინ მისცემდა უცხო, თანაც ქრისტიანული შელოცვის ქართულად შესრულების უფლებას.

ქრისტიანობის დროს ლაზარობა და ამინდის მართვის სხვა რიტუალი, ბუნებრივია, მღვდლების მონაწილეობით სრულდებოდა. აჭარაში მუსლიმანობის დამკვიდრების შემდეგ ისინი ყადი-ხოჯებმა შეცვალეს: შელოცვა-ვედრება ითავეს, ქართულ ენაზე გამართულ ცერემონიაში მიიღეს მონაწილეობა, რათა გაწვიმებულიყო, მშვიერი არ დარჩენილიყვნენ, ასეთ შემთხვევაში მნიშვნელობა არა აქვს, სად ინახება რიტუალის ფესვები, რა წესითა და რა ენაზე სრულდება ის. მთავარია პირუტყვი, ნარგავ-ნათესი გადარჩეს, მრევლი არ დაიხოცოს, აკი ლაზარობა წარმართულ დროში აღმოცენდა, მაგრამ ამის გამო ქრისტიანობამ როდი თქვა მასზე უარი, პირიქით, შეითვისა და განავითარა, დახვეწა. ახლა ამ შელოცვას, კურთხევას ყადი – ხოჯა ასრულებდა, იწყებდნენ ლოცვა-ვედრება-თხოვნით და კიდევ უძღვებოდნენ მრევლს. ამინდის მართვა საჭირო იყო მათი ბატონობისთვის, მოსახლეობას სჯეროდა შელოცვა-რიტუალებისა, ამიტომაც ხოჯებმაც „მოირგეს“ „ღუას“ კითხვის სახით. ამ „ღუას“ ოჯახებში ე.წ. „მეკლუდის“ კითხვის დროსაც ასრულებდნენ. თურქეთში მცხოვრები ჩვენებურების თქმით, ღუა არაბულ-მუსულმანური ლოცვაა: „საფლავზე ღუას ჩეკითხავ, შენ ამინი (ღმერთის აღსარება-აღსრულება) ქენი; „ღვა (ღუა, დვები) გაუგზავნე იმათ სულებსა“;

„ჩვენებურა (ქართული) დეები (ლოცვები) ბევრი არი – თვალნაცემის, დამტკიცნილისა, სირსვალისა... (შ. ფუტკარაძე, ჩვენებურების ქართული, 1993).

შელოცვა-შეწყალების ეს სახელი, ეტყობა, შუმერულიდან მომდინარეობს, სადაც თაყვანისცემით გარემოსილი ჰყავდათ წყლისა და ნაყოფიერების ნორჩი ღმერთი ღუზუ-თამუზი. მისდამი მიმართვა-ვედრება მოგვიანებით „ღუას“ სახელწოდებით ჩამოყალიბდა. ისლამის მსახურს, რომელიც „ღუას“ კითხულობდა. ხელობა-საქმიანობის გამოსახატავად მეტსახელად ღუაძე ეწოდა, რაც შემდეგ გვარსახელად იქცა. ამრიგად, ღუაძეები „ღუას“ მკითხველის შთამომავლები არიან, იმ ადამიანისა, რომელმაც თანასოფელთა აღიარება, სოფლის სახელით უფლისადმი მიმართვა-ვედრების უფლება მოიპოვა.

ღუაძეების წინაპრები ხულოდან, სოფ. მთისუბნიდან იყვნენ, ამ დასახლებას ახლაც ღუაძეები ჰქვია, თუმცა აქ ამ გვარისა არავინაა, ღუაძეები ძირითადად გონიოსა და ბათუმში ცხოვრობენ, ზოგიერთი გურიაში დასახლებულა და თავაძედ დაწერილა, ზოგიც ღვეიძედ და ტუნაძედ.

მწერალ ჭოლა ლომთათიძეს ეკუთვნის მოთხრობა „მამასახლისი თუაძე“ (ი. ბექირიშვილი, ასი აჭარული გვარსახელი, იხ. ღუაძე).

„ლაზარობის“, „80 ათასი კენჭის შელოცვის“ ძირძველობას, მის მასობრიობას ჩვენს მხარეში ისიც ნათელყოფს, რომ თურქეთში მცხოვრებ აჭარლებს არათუ შემონახული აქვთ მასზე ცნობები, არამედ კიდევ ასრულებდნენ. პროფ. შუშანა ფუტკარაძის ცნობით, ლაზარობას იქ გვაღვის ან წვიმების დროს ასრულებდნენ. ჯვრის მსგავსად შეკრავდნენ ჯოხებს, ჩააცმევდნენ ტანსაცმელს, ბამბით გაუკეთებდნენ თავსა და პირსახეს. ამ „დედოფლით“ ყმაწვილი წაუძღვებოდა ცერემონიის მონაწილეებს, სხვებს მოჰქონდათ ჭურჭელი, რათა კარდაკარ აეკრიფათ საჩუქრები, თან გვაღვისას წარმოთქვამდნენ:

ლაზარია მუადგა კარსა,  
აღარღარებს თავსა...  
ეხეიწება ღმერთსა  
– ღმერთო, მოგვე წვიმა წყალი,  
შიგვინახე ზე და თუარე (მზე და მთვარე)

წვიმისას – ღმერთო მოგვე ზე და თუარე, შიგვინახე წვიმა-წყალი.

სხვები კი სამჯერ იძახდნენ: – აამინ! (ბერძ. – ჭეშმარიტება). გამოდიოდა სახლის პატრონი და კალათში ულაგებდა მოსულთ კარაქს, კვერცხს, ყველს, ტკბილეულსა და თუ წვიმა სურდა, წყალს ასხამდნენ, ხოლო თუ მზე – ნაკვერცხალს მიუყრიდნენ. ვინც ძუნწობდა, მას მოპარავდნენ

ცოცხსა და ამინდის შეცვლამდე წყლიდან არ ამოიღებდნენ, მერე ჩუმად მიუგდებდნენ კართან. მოგროვებული პროდუქტებით ამზადებდნენ საჭმელებს და ცეკვა-თამაშით, სიმღერებით მიირთმევდნენ. რაც მთავარია, ლაზარია გურჯებმა (ქართველებმა) ვიცითო“, – უთქვამთ მეცნიერისათვის (შ. ფუტკარაძე, გვ. 490-491).

საერთოდ, არაბული სამყაროსათვის მიუღებელია ყოველივე არამუსლიმანური, მაგრამ ამ შემთხვევაში აქ წინ არ აღუდგნენ წარმართული ეპოქიდან მომდინარე, „გაქრისტიანებულ“ და შემდგომ ხოჯის მიერ „დუამიცემულ“ რიტუალს.

ამ ეროვნული მნიშვნელობის საკითხს შ. ფუტკარაძე კვლავ უბრუნდება თავისი ნაშრომის სხვა ადგილას და საყურადღებო მომენტებით ამდიდრებს. „ლაზარია გურჯებმა ვიცოდით, თურქმა კუდიანებმა გურჯებიდან დღისწავლეს და „ნაზაროს“ იძახიან. გოგვები გააკეთებდნენ დედოფალს ჯოხზე, „კლავებ, ფეხებ, თავს მივაბამდით. დევწყობდით სოფლის ქენერიდან (ბოლოდან) სიარულსა. მუუმღერებდით ყველა ხანესა (სახლს): ლაზარიამ მიადგა კარსა, აღარღალებს თავსა, აბლამ მიადგა თაროსა, დიემსგაესა თუარესა, ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი, შიგვინახე ზე და თუარე.

ყუელი ვიტყოდით: – აამინ! გადმოგვასხამდნენ წყალსა. ზოგი მოითხოვდა იალს (კარაქს), კუერცხს, ფქვილს. მოყრილი ვიყავით ბაღები (ბავშვები) ბევრი. ყველა მოსახლეს თითოს მუუმღერებდით, მოგვემდნენ ისინი საჭამანდსა. დანარჩენს მოგვკრეფდით სოფელში. მერე კი კარგი ბიცოლა თუ დეიდა უმზადებდა მათ საჭმელს. კუპეწს (გაუმეტარს, ძუნწს) მოპარავდნენ ცოცხსა და ლაზარიას ერთად არუნიებდნენ (დაატარებდნენ – ი.ბ.), ასხამდნენ წყალს, მერე ტოვებდნენ ღელეში, გაწვიმდებოდა და მიუგდებდნენ პატრონსა“ – უთქვამთ ინეგოლეულ ფ. ოზდილ-გოგიტიძესა და პ. ქაია-ფუტკარაძეს (იქვე, გვ. 81).

საინტერესოა ის, რომ ქვების წყალში ჩადება-ჩაკიდება ანუ „80 ათასი კენჭის შელოცვა“, აქედან წაულიათ ჩვენს მუჰაჯირებს. პაპანაქება სიცხეში ან შეუწყვეტელი წვიმების დროს, მდინარეში ამოკრეფილი კენჭებით ჯამეში ილოცებდნენ, ტომარაში ჩაყრიდნენ და ღელეში დებდნენ. ამინდის შეცვლისთანავე ამოიღებდნენ, ისევ შეულოცავდნენ და ისევ ჩადებდნენ, შელოცვის რიტუალს იქაც მხოლოდ ის ასრულებდა, ვისაც მუღლის გარდა, არავისთან ინტიმური კავშირი არ ჰქონია. ინფორმატორს უთქვამს: „ჯამეში ილოცეს და ქუები წყალში ჩააკიდებინეს ჩუენს დედესო“, ანუ ბაბუას (იქვე, გვ. 601-602).

„ლაზარობა“, „80 ათასი კენჭის შელოცვა“ და სხვა, ისე გამჯდარი ყოფილა აჭარლებში, რომ ისლამმაც ვერაფერი ავნო. თურქეთში იძულებით

გადახვეწილებმაც გამოიყენეს და შემოინახეს, რაც აჭარაში ამინდის მართვის რიტუალების ძირკველობაზე, ვარიანტების არსებობასა და აჭარელთა გაუტყნელობაზე, მათ მყარ ეროვნულ მეობას და ქრისტიანობის ღრმა ფესვებზე, უძველესი დროიდან აჭარელთა ერთიანობაზე, მაღალ განვითარებასა და კულტურაზე მიგვანიშნებს.

ი. მეგრული „ამინდის გამოსწორების“ საერთო ქართული რიტუალის დასადგენად ჩოხატაურის რაიონში გასულ საუკუნეში ჩასახლებულ აჭარელებს ეწვია. ზოტში „ლაზარობა“ სიმღერის თანხლებით ახალგაზრდების თამაშად ქვეუღიყო. თამაშობისას შეიძლებოდა წყალის შესხმა ერთმანეთზე. ნურილა ანთაძემ ისევე აღწერა ეს რიტუალი, როგორც ვ. ნოლაიძელს აქვს აღწერილი, თუმცა ამ ვარიანტს მთქმელი უკეთესად მიიჩნევს:

„ლაზარიკო, ღაზო, ახანზარეჟ თაქსო,  
ჩვენ არ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვე მისხა თვალი“.

თუ გვალვა აღარ უნდოდათ, იტყოდნენ:

„ლაზარიკო, ღაზო, ახანზარეჟ მთასო,  
ჩვენ არ გვინდა მისხა თვალი, ღმერთო, მოგვეც წვიმა-წყალი!“

სხვა მთქმელმა იქვე ესეც შეასწორა: „აზანზარეჟ ცასა“, უნდაო. ბავშვებმა კი ჩააწერინეს:

„ლაზარიკო, ღაზო, აბანძაღეჟ მთასო,  
ჩვენ არ გვინდა წვიმა-წყალი,  
ღმერთო, მოგვე სისხა თვალი!“

მათი თქმით, „ლაზო“ – ლაზარეს მოფერებითი „ლაზარიკოს“ მოკვეცილი ფორმაა, ხოლო ზიზა – მზეა. სიახლე ისიცაა, რომ ბოლო ოჯახში საჩუქრებს არ იღებდნენ, რადგან უკვე შეგროვებულიდან კერძებს აქ ამზადებდნენ და შეექცეოდნენ, ამასთან, ცერემონიალის არმონაწილეებსაც უმასპინძლებოდნენ (ვ. ნოლაიძელი, გვ. 234-235). როგორც ი. მეგრულიძე ადასტურებს, ლაზარიას კახეთშიც თოჯინის სახით გამოხატავდნენ, მის შემსრულებლებს ასაჩუქრებდნენ კვერცხითა და ფქვილით, ლაზარიას – თოჯინას მხარტმეოდნენ და გოგონებს კი ასველებდნენ, წუწავდნენ. ამრიგად, აქ გოგონებს აკუთვნებდნენ უპირატესობას. ქართლშიც ასევე „ასრულებდნენ“ ლაზარეს: ერთ-ერთ ქალს უწოდებდნენ ლაზარესა და ჩამოვლის ჟამს წუწავდნენ. შეგროვილ დოვლათს გაყიდნენ ან ბატკანზე გაცვლიდნენ, დაკლავდნ-

ენ და ლაზარიას სახელზე პურობდნენ. ლაზარეს აღმოსავლეთ საქართველოში ბატკანს უკლავდნენ. იმერეთში, გურიაში, აჭარასა და სამეგრელო-აფხაზეთში – თიკანს, ოსეთში – თხას (ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ. 41). ამრიგად, ლაზარობა აღმოსავლეთ საქართველოს რიტუალად ისახება, თუმცა ამგვარ ლექსთა ვარიანტები და ლაზარობისავე გადმონაშთები აჭარა-გურიის ფოლკლორსა და ეთნოგრაფიაშიც აღვრიცხეთო, ამბობს ი. მეგრელიძე და დასძენს: „რაკი ლაზარობის კვალი აჭარაშიც აღმოჩნდა, ცხადია, რომ იგი არაა მხოლოდ ქართლ-კახური, არამედ საერთო ქართული რიტუალი ყოფილა... მოსალოდნელია, რომ ლაზარობის კვალი ჭანურ (ლაზურ) ზნე-ჩვეულებებსა და ფოლკლორშიც აღმოჩნდეს. დაბლობ აჭარაში ანუ ზღვისპირეთში უმთავრესად გამოდარებას შესთხოვდნენ, რადგან აქ ხშირად წვიმს“... (იქვე, გვ. 42).

ლაზარია – ლაზარობა ძველი ეთნოგრაფიული ვედრება-რიტუალური თამაშობაა, რომელსაც ასრულებდნენ ბავშვები და უფროსები დიდი გვალვების დროს, – წერს პროფ. შოთა ნიჟარაძე. – ყავრის ორი ნაჭრისაგან აკეთებენ ჯვრის მაგვარ დედოფალს მოზრდილ ფიგურას, ჩააცმევდნენ კაბას და გამოსახავდნენ წარბებით, შეღებილი ტუჩებით, თვალებითა და სხვა ნაკვთებით. 12-13 წლის ბავშვები კალათებითა და კოლოფებით ჯგუფებად შემოივლიდნენ სოფელს. ყველაზე მაღალი ტანის ბავშვს ხელში ეჭირა დედოფალი, ანუ ლაზარია და ჯგუფს წინ მიუძღოდა. სხვები ლაზარას მისდევდნენ უკან, როგორც ღმერთს. მასზე წინ წასწრება ცოდვად ითვლებოდა. მიაღებოდნენ რომელიმე ოჯახს, სადაც უფროსი ბავშვი მიმართავდა:

„ლაზარ მისდგა კარსა, აღურდულებს თაყსა,  
ნიტმა შემაშინაო,  
აღარ გეინდა ზისა თვალი,  
ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი.  
არის ასეთი ვარიანტიც:  
ლაზარ მისდგა კარსაო, აბრიალებს თვალსაო,  
ცხენი აგორებულა, ხეაყი დახეაყებულა,  
წვიმა გამსადებულა.

აღარ გეინდა გოროხი, ღმერთო, მოგვე ტაღახი.“

ბავშვები ერთად შეჰლაღადებდნენ: – ამინ! – ასე მეორდება სამჯერ, შემდეგ სიცილ-კისკისით შედიოდნენ სახლში. ოჯახის უფროსი იტყოდა, რას კრეფთ ბაღვებო, ვის რა გნებაეთო, რასაც მოჰყვებოდა პასუხები: მე დო, მე ყველი, მე ფქვილიო. პატარა ბიჭსაც ჰკითხავდა რა გინდაო, ისიც ეტყოდა კვერცხიო. შემდეგ ურიგებდა იმ იმედით, რომ წვიმა წამოვიდოდა.

ეზოდან გავლისას აიღებდა წყალსავსე თუნგს და ცდილობდა დაესველებინა პატარები, განსაკუთრებით „ლაზარაი“, თან მიიძახებდა „ღმერთმა გისმინონ, ბაღნებო!, გუნდი კი მღეროდა. ასე მეორედბოდა სხვა ოჯახში, ბოლოს შეარჩევდნენ სახლს, სადაც ყველა იყრიდა თავს, აკეთებდნენ გემრიელ სადილს და ერთად შეექცეოდნენ. ხალხს სჯეროდა, რომ მოვიდოდა წვიმა (შ. ნიჟარაძე, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ლექსიკა, 1971, გვ. 235-236).

გვიანდელ ჩანაწერებსაც გავეცნოთ. „წინათ მთაში, როცა გადაუღებელი წვიმები ან გვალვები დაიწყებოდა, ახალგაზრდები შევეგროვებოდით და სიმღერით ჩამოვუვლიდით ოჯახებს, – იგონებს ხიხაძირელი ასლან აბაშიძე. – ყოველი სახლის წინ ვიტყვოდი „ლაზარეს სიმღერას“:

ლა'სარ მიდგა კერასაო, აღურღუღებს მთასაო,  
შინა, შინა, შინაო, ჩიტმა შემაშინაო,  
ცალი ფხარი მომტეხა, ცალი შემარჩინაო.  
ნენი მიდგა თაროსა, დემსგაეხა თუარეხა.

აღარ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვე მისისა თუადი, ამინ!

მთქმელი შემდეგ დასძენდა: „როცა წვიმას ნატრობდნენ, იტყვოდნენ: „აღარ გვინდა ბზისთვალნი, ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალი“. მზის ნატერის სიმღერის დროს, დიასახლისი (მემთვერი) მუგუზლებს გადმოყრიდა. თუ წვიმა უნდოდათ, წყალს გადმოსახამდა და ცდილობდა ვინმე გაეწუნა. სიმღერის მონაწილეებს უმთავრესად პროდუქტებით გვასაჩუქრებდნენ, რომელსაც ერთ-ერთ ოჯახში მივირთმევდით. აქვე იმართებოდა ცეკვა-თამაში მთელი სოფლის მონაწილეობით. სამწუხაროდ, ეს რიტუალი დაიწყებას მიეცა“ (რ. გორგაძე, დიდი მწერლის სამკვიდროში, 1982, გვ. 11).

ლაზარობაში მონაწილეობდა ცნობილი მეჭიბონე – მომღერალი ქოჩახელა-ედემ სურმანიძე. ამის თაობაზე რ. გორგაძე წერს: ჩვენს მთაში ტრადიციასავით იყო დამკვიდრებული: როცა გადაუღებელი წვიმები ან გვალვები დაიწყებოდა, და ეს არც ისე იშვიათი მოვლენა იყო, დათქმულ დღეს ახალგაზრდობა შეიკრიბებოდა სოფლის თავში ან მის ბოლოში და „ლაზარაის“ თქმით ჩამოივლიდნენ ოჯახებს. ყოველი სახლის წინ, მომღერალთა გუნდი, ქოჩახელას ჭიბონის თანხლებით, ასრულებდა „ლაზარაის“:

ლა'სარ მიდგა კარსაო, აღურღუღებს მთასაო,  
შინა, შინა, შინაო, ჩიტმა შემაშინაო,  
ცალი ფხარი მომტეხა, ცალი შემარჩინაო  
ნენი ფეხზე ადექი, ყველას კარს მიადექი!  
ნენი მიდგა თაროსა, დემსგაეხა მთუარეხა.

აღარ გვინდა წვიმა-წყალი, ღმერთო მოგვე მისისთვალნი!

ამინ! იტყოდა ყველა ერთად.

ამას მთელი გუნდი ასრულებდა, ხოლო როცა ხანგრძლივი გვალები დგებოდა და წვიმას ნატრობდნენ, მაშინ იტყოდნენ: აღარ გვინდა მზისათვალი, ღმერთო, მოგვე წვიმა-წყალიო. მზის ნატურისას „ლაზარას“ პროცესში დიასახლისი (მემთევრი) მუგუზლებს გადმოყრიდა. თუ წვიმა უნდოდათ, წყალს გადმოსახმდნენ და ცდილობდნენ ვინმე გაეწუწათ. მემთევრები ლაზარას მონაწილეებს სურსათით ასაჩუქრებდნენ, რომელსაც რომელიმეს ოჯახში მოამზადებდნენ და მიირთმევდნენ. შემდეგ იმართებოდა სიმღერები და ცეკვები, რომელშიც მთელი მთა მონაწილეობდა. ეს ძირძველი ჩვეულება „ლაზარია“ დიდი ხანია არავის გაუგონია არც მთაში და არც ბარში (რ. გორგაძე, ქონახელა, 1986, გვ. 35-36).

საინტერესოა აჭარის უზენაესი სასამართლოს წევრის, ხულოს რაიონის სოფ. კურცხლებში დაბადებული მურმან ქამადაძის ცნობა: 60-იან წლებში გვალვა რომ იჩენდა თავს, ბებიამისი ხატიჯე ქამადაძე-რიყვაძისა, ბავშვებს ეტყოდა: „აბა, ლაზარია ქენითო“ და ასრულებდნენ ისე, როგორც ეს-ესაა აღვწერეთ. ახალი ისაა, რომ ამ პროცესში იყენებდნენ სპეციალურ ჯოხს, რომელსაც იქით-აქეთ ორი ბიჭუნა კიდებდა ხელს და შეკრებილთ ცერემონიალის შესასრულებლად მიუძღოდნენ. გამოდარებისათვის იგივე ლაზარობას მართავდნენ, მაგრამ ახლა ცოცხს ჯოხის შუაში ამაგრებდნენ. გაწვიმების ან გამოდარების გარდა, წყალის, ანუ სინესტის შენახვასაც შესთხოვდნენ და წყლის მოსხმის გარდა, თურმე ნაცარსაც მიმოაბნევდნენ. პირველს მიმართავდნენ გაწვიმებისათვის, ხოლო თუ დარი სურდათ. ნაცარსაც იშველიებდნენ. ბატონმა მურმანმა „ქაშატობაც“ დაგვიდასტურა.

მკვლევარი მარინე გიორგაძე გვალვასთან დაკავშირებით წერს: აჭარაში ამ დროს გაკეთებულ დედოფალს (ქეფჩა-ხათუნს) ჩამოატარებდნენ „კვამლი-კვამლ“, თან იტყოდნენ: მოსავალი ბევრი გვინდა, ამ დედოფალს წვიმა უნდა, ღმერთო წვიმა მოგვეციო. მკვლევარმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მართალია, ქრისტიანობამ წვიმის გამოწვევის რიტუალები ქრისტიანულ წმინდანთა სახელებს დაუკავშირა, მაგრამ ზოგჯერ იმ შემთხვევაშიც, როცა ლაზარეს ასხენებდნენ, მხედველობაში ჰქონდათ ისევე და ისევე დედოფალი. „ლაზარია ახალგაზრდა, მორთული დედოფალიაო, – გადმოგვცემდნენ მთქმელები აჭარაში“, იმერეთში, ლაზარობისას კაცს ქალად გამოაწყობდნენ თურმე (მ. გიორგაძე, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, თბ., 1993, გვ. 11).

კარდაკარ ჩამოვლა გავრცელებული იყო აგრეთვე გვალების შესრულებული მაგიური რიტუალის – „დედოფლობის“ დროს. „გაზაფხულობით, რომ კარგი მოსავალი მოსულიყო, ქალები შეიკრიბებოდნენ და ფეხშიშველები წავიდოდნენ. ყველა ოჯახში მივიდოდნენ, ხელს ჩააბამდნენ, მღეროდნენ:



პირველად ღმერთი ვახსენით,  
მერე ყველა წმინდაო,  
აგვიცხეთ პურით კალთაო,  
ღვინით კი ხეყნი მარანი.

„დედოფლობა“ ევროპისა და კავკასიის ქვეყნებში არსებულ ე.წ. წვიმის გოგონასთან დაკავშირებული რიტუალების იდენტურია. მ. გიორგაძის მიხედვით, „დედოფლობა“, ანუ ამგვარი თოჯინით სოფლის შემოვლა და სხვა პროცესების შესრულება, ძალიან ჰგავს ლაზარობასა და „გონჯობას“, რომლის დროსაც თეთრი ბამბის კუკს გააკეთებდნენ, კარდაკარ დადიოდნენ წყალს ასხამდნენ და მღეროდნენ:

ლაზარ მოდგა კარსაო,  
აბრიალებს თეაღსაო,  
მიდგა-მოდგა თაროწმისო,  
ხელი ნაყო ქილაწმისო.

აჭარაშიც მაკმადიანობის ჟამს ლაზარობის რიტუალის შესრულებისას, დედოფალს დაატარებდნენ იმ სიმღერით, რომელსაც რ. გორგაძე იმოწმებს. მასვე მოჰყავს თურქულსიტყვებგარეული ვარიანტიც. კერძოდ: „აბლა-ხანუმო (ბიცოლა) ადექი, თაროზუა კარაქი, მიდგა ბიცოლა თაროსა და დიემსგავსა მთვარესა“. ლაზარობის შესრულებისას აჭარელი გოგო-ბიჭები ცოცხს მოკაზმავდნენ დედოფლად, ჯოხზე წამოაცემდნენ, წითელი ნაჭრით მორთავდნენ, ყველა მოსახლის ეზოსთან გაჩერდებოდნენ და მიუღეკებდნენ ხოლმე: „ალათასა, ბალათასა, კვერცხი და კარაქი უნდა კალათასაო“, ანუ ჩამომღეღელები გასამრჯელოდ სანოვაგეს ითხოვდნენ, ე.ი. გაწვიმებისათვის ღირს მოგვართვათო. შემდეგ მოჰყავს ლექსი დედოფლისადმი:

დედოფალო, რა გინდა?  
ღმერთიდან წვიმა მინდა,  
ყვითელი ძრახის კარაქი,  
შაყვი ქათმის კვერცხი.

მოსაველი ბევრ-ბევრი,  
ბედლები პურით სავსე,  
მიდექ-მოდექ თაროსაო,  
დაემსგავსე მოვარესაო.

ლაზარე ერთ-ერთი ყველაზე უფრო მახლობელი და პოპულარული წმინდანია ქართველებისათვის. იგი აისახა საგალობელში „სიყვარულმა მოგვიყვანა“. მესხეთში აპოკრიფული ლეგენდაც იყო, რომელიც ხსნის ლა-

ზარობის წეს-ჩვეულებებს. ლაზარობისას დაქპონდათ აგრეთვე ხატი. მსვლელობაში მონაწილეობდნენ დედაკაცები, ზოგჯერ – ფეხშიშველნი. ამინდის მართვის რიტუალები მეტწილად მაისში – ხვნა-თესვა-რგვისა და გამენების ჟამს სრულდებოდა (მ. გიორგაძე; გვ. 21-22-23). ერთი სიტყვით, ლაზარე-ლაზარობის ცერემონიალი წვიმის გამოწვევა-მოყვანისათვის სრულდებოდა. აქედან დამკვიდრდა ხატოვანი გამოთქმა „ლაზარესავით დასველდა“, ანუ თავიდან ფეხამდე გაიწუწა. იყო გამოთქმაც „ლაზარეზე დაულა“.

დაბოლოს, ჩვენს მიერ მიკვლეული ცნობა. 1995 წლის 10 თებერვალს ეთნოგრაფიული მასალების შესაკრებად იაშა ლორთქიფანიძემ ქედის რაიონის მთავარ ვეტექიმ ვახტანგ ბერიძესთან ერთად თავისი ავტომანქანით ქედის რაიონის სოფელ პირველ მაისში (სალორეთში) წამიყვანა. აქ აბდულ სამნიძემ „ლაზარისას“ და „დუასთან“ დაკავშირებით გვიამბო: გვალვა რომ იმძლავრებდა, სოფელი ზევით სერზე აღიოდა, თხემლიძირას შეკრებილებთან ერთად ყადი თუ ხოჯა „დუას“ კითხულობდა, სოფელი ლოცულობდა და ღმერთს წვიმას შესთხოვდა. იყო შემთხვევები, როცა სოფელში დაბრუნებამდე გზაში გაგვიწვიმდებოდა. პირველმაისელებმა დაგვიდასტურეს, რომ ის თხმელა ახლაც ხარობს, სერის ამ ადგილს კი ტბევს უწოდებენ, თუმცა იქ არაფერია იმის მაგვარი, სოფელში ისიც გვითხრეს, რომ გვალვისას ახალგაარდაცვლილის საფლავიდან იღებდნენ ქვას და წყალში აგდებდნენ, რათა ეწვიმა.

გეგელიძეებელ მურად კეკელიძის ცნობით, ასეთ დროს შეგროვებული ფულით ყიდულობდნენ ხარს, რომელიც შეკრებილ ხალხს ხოჯასთან ერთად წყაროსთან მიჰყავდა; ამ დროს ერთი ღმერთს წვიმას სთხოვდა, სხვები ერთხმად ამბობდნენ – ამინ! ასეთი წესით ხარი XX საუკუნის 30-იან წლებში დაუკლავთ (გაზ. „კოლმეურნე“, 1986, 8 ივლისი).

გონჯაობა. „გონჯაობა“ აგრეთვე წვიმის მოყვანასთან დაკავშირებული რიტუალია. თავად სიტყვა გონჯობა, პროფ. შოთა ნიჟარაძის განმარტებით, აჭარაში ცუდ თვისებას, სიცუდეს, სიავეს, სიბოროტეს ნიშნავს.

აჭარლები იტყვიან: „თუ გინდა გონჯად არ დარჩე, სხვისთვისაც არ უნდა შეინდომო გონჯობა“, „გონჯი ქალის შენახვასა; უყოლობა ჯობია“, „გონჯი სიზმარი ვნახე“ და სხვა.

ამ მაგიური რიტუალის მთავარმა პერსონაჟმა სპეციფიკური გარეგნობის, ანუ გონჯი, ღარიბული ჩაცმულობის გამო გონჯა-გონჯაობის სახელი მიიღო. მ. გიორგაძის ცნობით, განგებ გამურულ ქალს სოფლის ქალები ფეხშიშველნი მიჰყვებოდნენ სიმღერით:

გონჯა მოდგა კარებსაო,  
აბრიალებს თვალებსაო,

აღარ გვინდა გორიხით,  
გონჯას წყალი შემოახხით,  
დააყენებს ტალახსათ,  
ააყენებს ყანებსათ.

ამრიგად, გაწეიშებას, ტალახის „დაყენებასა“ და გვალვისაგან ხსნას თხოვდნენ ლაზარის, ელიასა და გონჯასაც, თუმცა იგი ღვთაება. ზიჯიორი არსება კი არ იყო, არამედ ჩვეულებრივი ადამიანი, თანაც „გონჯი“ ტანსაცმლით გაუშნობული.

სპეციალისტთა განმარტებით, გონჯაობა წვიმის მოხმობის მიზნით მოწყობილი საკულტო წესია, გამოგონჯილი კაცის ტარებითა და უეცარი დასვენებით გამოხატავს უძველეს სამიწათმოქმედო რიტუალის ნაწილს და როგორც დავინახეთ, მსგავსებაშია სხვა ამგვარ ცერემონიებთან. ჩვენ ვისარგებლეთ აგრეთვე, 1991 წელს გამოქვეყნებული ნ. აბაკელიას, ქ. ალავერდაშვილის, ნ. ღამბაშიძის ნაშრომით „ქართულ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი“. აქ წაიკითხავთ ბოსლობასა და ბზობაზე (58-60,85), ხენაყანის, თიბის (95-96) და ავღრის რიტუალებზე (96-97). ამ თემაზეა პროფ. ზურაბ თანდილაეას „ლაზარობა და ქვაკაცობა აჭარაში“, ალ. ოჩიაურის „ქართული მაგიური პოეზია“ და სხვა.

ტაროსთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებსა და რწმენა-წარმოდგენებს განეკუთვნებიან აგრეთვე, „ელიობა“, „კოხინჯრობა“, „ქამადობა“ და სხვა, რომლებიც დავიწყებას მიეცა და არ შემოგვენახა.

ელიობა. ძველი წელთაღრიცხვის IX საუკუნეში ცხოვრობდა წინასწარმეტყველი ელია, რომელზეც ბიბლიურ წიგნებშია მოთხრობილი. აკად. აკაკი გელოვანის მიხედვით, დაკავშირებული ჩანს ძველ წყალთა და მიწათმოქმედების ღმერთის ელიას სახელთან. ამასთან, მოგვაგონებს სპარსულ მითრასა და ბერძნულ ჰელიოსს. აღიარებულია ღრუბელთა, მუხისა და წვიმის გამგებელ ღვთაებად. თვით სახელი ელია ებრაულია და სათავეს იღებს ელიაზარიდან ანუ ილიადან. ნიშნავს – „ღმერთი სიმაგრე ჩემი“, „ღმერთის წყალობა“, „ღმერთია შემწე“, ხოლო ბერძნულთა გაგებით „ღმერთი მზიური“. ბერძნებს ელია ანუ ელიოზი, ილია, ტაროსის ანუ ამინდის ღვთაებად სწამდათ.

არის თქმულება „იესო ქრისტე, ელია წინასწარმეტყველი და წმინდა გიორგი“, ელია გლეხს ეუბნება: „მე ელია ვარ, პურის მოსაყალს გაძღვე, თქვენს ყანას წვიმას ეუგზავნი ხოლმე და ჭირნახულს მფარველობას ვუწევ“. სეტყვის, გვალვის აცილებასაც ევედრებოდნენ თურმე. რაფიელ ერისთავის ჩანაწერების მიხედვით, ელია ცაზე ცეცხლოვანი ეტლით მსრობლავ არსებად წარმოუდგენიათ ქართველებს, რომელიც ელვას იწვე-

ელა. ქობულეთში დღემდე შემორჩენილია მის სახელთან და ამინდის რიტუალებთან დაკავშირებული ხსოვნა. ელიოზობისას – მისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე აქ ამბობდნენ: ნისლი ან სოფელში წავა ან მთაშიო.

მარინე გიორგაძემ ყურადღება მიაქცია იმას, რომ ამინდის რიტუალურ ტექსტებში ელია და ლაზარე ხშირად ერთად იხსენიება. უნდა ვიგუფიხსნოთ, რომ ლაზარობა და ელიობა ამინდის რიტუალის ორ სხვადასხვა კალენდარულ მიჯნას გულისხმობდა, ლაზარობა – გაზაფხულის ციკლის დღეობას, ელიობა კი ზაფხულისას – 20 ივნისის, მაგრამ ტექსტები შეერია ერთმანეთს და ფაქტიურად, შეუძლებელია მათი რეპერტუარის გამიჯვნა ერთმანეთისაგანო (მ. გიორგაძე, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, 1993, გვ. 49).

ელია მართლაც ლაზარეს ორეული იყო, რის გამოც ლექსებიც საერთო აქვთ. საბერძნეთში, ბულგარეთში, რუსეთსა და სხვაგან, ელია ასევე ამინდის და მოსავლიანობის გამგებლად გვევლინება – განაგებდა წვიმას, ჭექა-ქუხილს, ელვასა და ქარს. ეს ხალხები ამ ღვთაებას ილიას უწოდებდნენ. რუსეთში ცნობილია დღესასწაული „ილინ დენ“. ერთნი ილიას დამოუკიდებელ სახელად მიიჩნევდნენ, ხოლო სხვები ქართული მითოლოგიის წვიმის მომყვან ღვთაება ილიას უკავშირებდნენ. ასე რომ, ამ და ბუნების სხვა მრისხანე, საშიში მოვლენების დაკავშირება დემონურ ძალებთან, ავ სულელებთან, მრავალ ქვეყანაში იყო გავრცელებული.

ღვთაება ელიაზე დიდად იყო დამოკიდებული არა მარტო მოსავლის ბედი, არამედ უბედური შემთხვევების თავის აცილება, აქედან გამომდინარე, პატივსაცემად მას ყოველ 20 ივლისს დღესასწაულს უმართავდნენ, რომლის სახელწოდება მისი სახელიდანაა აღებული. ელიობას ელვის დღეობადაც თვლიდნენ, რადგან ეშინოდათ ხეხილი, ყანები არ მოეღვოსო. ამ დღეს მუშაობა აკრძალული იყო, რათა ელია არ გაენაწყენებინათ და მისი რისხვა არ დაემსახურებინათ. ვინც ამ დღეს იმუშავებდა, ყანას ღვარი წალეკავდა, ასე სწამდათ საქართველოში, ხოლო როცა წვიმას უხვად გზავნიდა, ანუ ვერ ზომავდა, მისი ყურადღების მისაქცევად ზარებს რეკავდნენ, თოფს ისროდნენ, რაც ესმოდა ელიას და ყანებს სეტყვისაგან იცავდა, მაგრამ არცთუ იშვიათად ზედმეტი წვიმებითა და სეტყვა-ბუქით ადამიანებს თავს აბეზრებდა, უზიანებდა მოსავალს, რის გამოც ბრმად, სასტიკ ძალად მიიჩნევდნენ. ხალხური ლექსების მიხედვით „ელიამ დაიბარა ზენა ქარი, წამოიღეო ქარიშხალი, სულ მუშტის ტოლა ისროლა... ქალები აატირა... ამ ელიამ ამომყარა... ორიოდ კვირის სარჩო ვერ შევიტანეთ შინაო“.

პროფესორ იოსებ მეგრელიძის ცნობით, აჭარაში ელიას ასე მიმართავდნენ: თეთრი თიკან-ბატკანი შენტვის მოგვირთმევია, ოღონდ წვიმით უნდა

გაგვახარო. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, მოჭარბებული წვიმებისას ელიას დარსაც შესთხოვდნენ, ხოლო გვალვისას – წვიმას, ისე როგორც ლაზარეს: აღარ გვინდა გოროხი, ღმერთო, მოგვე ტალახიო, ანუ წყალი.

მეგრელიძე წერდა, რომ ლიახვის ხეობაში წვიმის მოსაყვანად ელიას მიმართავდნენ, სალოცავად დადიოდნენ. ჩამოივლიდნენ სოფელს, აგროვებდნენ ფულს, ჭირნახულს, დაანთებდნენ სანთელს, ლოცულობდნენ და ნამს ითხოვდნენ, ან კაცები უღელს გააწყობდნენ, 10-12 ქალი შეებმებოდა, ახნავე-ჩახნავედნენ მდინარის წყალს და ელიას შესთხოვდნენ:

ელიაო, ელიაო,  
რა'ხე მოგიწყენიაო, .  
თეთრი თიკან-ბატკანიაო,  
შენთვის მოგვირთიყვიაო,  
შენ მოიყვან წვიმასაო,  
შენთვის დაეკლავთ ციკანსაო.

(ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, გვ. 38).

გიორგი ჩურსინისა და თეიმურაზ მიბჩუანის ცნობით, აღიღვლებმა ქრისტიანული რელიგიის გაელენით ჭექა-ქუხილის დვთაება ელიას კულტით შეცვალეს, რომლის სახელი დამკვიდრდა ელეს ფორმით, ხოლო ყარაჩაიში არის მთა ელიბაშის სახელწოდებით.

ცნობილია, რომ მუსულმანმა ხალხებმა მეზობელი ქრისტიანებისაგან ბევრი რამ ისწავლეს და გადაიღეს, დვთაებებსაც მათებური ექვივალენტი მოუძებნეს, გადაიღეს. ერთ ასეთ ფაქტზე გვიამბობს პროფესორი შუშანა ფუტკარაძე. თურქეთში აჭარლებს უთქვამთ: ხიდრილები ვიცით, ე.ი. ელიაობა-ილიობის დღესასწაული. ნ მაისს ყველა წელიწად ასეა. ქათმებ და-ეკლით, ყოჩს, ფილაეს გავაკეთებო. მოვყრებით ერთად, დავკაიჯებთ ერთმანეთს. ვჭამთ, მუზიკას დოუკრით, საკორწიალოს ჩამოვაბამთ, ქალები და ბერები ვკორწიალობთ. დილაზე წვეალთ ყველაი, ვინც არ გიყვარს, იმას ჭინჭარ დუუდებენ სახლთან. ვინც უყვართ იმათ კი ვარდს. თხოვნას დაწერენ, ბათმანში ჩადებენ და გაატანებენ წყალს. ვინც ნახავს, მისი ყისმეთია. 7 მაისს ყველა წყალში გევიარდით. წინ შესულმა არ უნდა დავინახოს. ფეხები თუ გტკივა, მორჩები.

ღამეში ცეცხლს დაანთებენ. იმაზე უხტებიან, იჯუმუშებენ (ანუ იმხიარულებენ, იცელქებენ), ვარდზე ფულს დაკიდებენ, ბარაქა მოგვეცოსო (ჩვენებურების ქართული, გვ. 344-345).

შ. ფუტკარაძე წერს, რომ ხიდრილები არაბული მითოლოგიით წმინდა ილიას წინასწარმეტყველი, ანგელოზია, გაჭირვებულთა მხსნელი, რომლის

დღე ლეგენდის მიხედვით 6 მაისს ანუ გაზაფხულის პირველ დღეს აღინიშნებოდა, რისთვისაც 30 დასახელების საჭმელ-დასალევს ამზადებდნენ.

ძმებს ჰიზრი და ილიასს ერთმანეთი დაუკარგავთ, დაკავშირებულან 6 მაისს და ამიტომაც ამ დღეს ხვდებოდნენ მხოლოდ. ფაქტიურად ხვნათესვა და რგვა ამ თვეში მიმდინარეობდა, სწორედ 6-7 მაისიდან იწყებოდა. ამიტომაც იმ წმინდანების და ღვთაებებისადმი მიძღვნილი დღესასწაულები, რომლებიც ადამიანებს მფარველობდნენ, მათ ყანებს იცავდნენ, ამ დღეებს მიუსადაგეს.

იბადება კითხვა: ყოველივე ეს აჭარლების მიერ აქედან წაღებული სანარეკლი ხომ არაა, რომელშიც არეულია „ქაშატობა“, „ელიობა“ და „ლაზარობის“ ელემენტები. ამრიგად, ისინი თურქეთშიც ასრულებდნენ ამინდის მართვის – წვიმის მოყვანა-არმოყვანის, კოხის, გვალვისა და სხვათა თავიდან აცილების რიტუალებს.

ცნობილია ელიადან მომდინარე აჭარული ლექსი-საჩივარი „ელია თუ მელია“, რომელიც ჯ. ნოლაიდელმა აღწერა, ხოლო მოგვიანებით პოეტმა – ფოლკლორისტმა ნოდარ შამანაძემ. აჭარლები ყანაში, სხვა მძიმე სამუშაოს შესრულებისას მოწყობილ ნადობაზე, როცა კოლექტიური ძალისხმევა იყო საჭირო, ომახიანად წამოიძახებდნენ „ელესა, ელესაო“, რაც ხალხურ სიმღერებშიც დადასტურებულია. მძიმე რაიმე რომ აღვიღად აეწიათ, საქმე მალე მოეთავებინათ, ამჯერადაც დასახმარებლად ყოვლისშემძლე ელიას იხმობდნენ. ნ. შამანაძეს ეკუთვნის ლექსი „ელესი, ელესაო“.

ელესას პროფ. ზურაბ თანდილავა თევზაობიდან მომდინარე სიტყვად მიიჩნევდა, ლაზეთში წარმოშობილია და აქედან გავრცელდა სხვაგანო (ზ. თანდილავა, ლაზური ხალხური პოეზია, ბ. 1972. გვ. 106), დოცენტ ჯემალ ჩხეიძის მოსაზრებით, გადაჭრით ამის თქმა არ შეიძლება, სავარაუდოა. ელესა იგივე ღმერთი ელიაა, რომელსაც ვედრებით მიმართავდნენო (ჯ. ჩხეიძე, შრომის პოეზია ქართულ ფოლკლორში, 1973, გვ. 159).

1996 წელს ზ. თანდილავა კვლავ დაუბრუნდა ელესა-ჰელესას წარმომავლობის საკითხს. აჭარაში, ასევე ჭანურ-ლაზურში ფართოდ გავრცელდა ეს სიმღერა. აჭარლები მძიმე ფიზიკურ შრომაში – ყანაში, მძიმეს აწევასი ანუ კოლექტიური საქმიანობისას მიმართავდნენ, ქობულეთში სამ-ოთხ ხმაზეც მღეროდნენ. ლაზები კი ჰელესას ძირითადად მენავე-მეზღვაურთა და მეზღვაურთა შრომაში, ანუ ასევე მძიმე სამუშაოს ძალთა მობილიზებასა და ერთობლივ საქმიანობაში. ასე თვლიდნენ ჯ. ნოლაიდელი, ი. მეგრელიძე, მ. ჩიქოვანი.

მისივე ცნობით, ელესა-ჰელესა ცნობილია ბერძნულ, თურქულ, რუმინულ და მოლდავურ მუსიკალურ ფოლკლორში. საიდან, როგორ არაფერს

ამბობს და მაინც თვლის ჭანეთიდან გავრცელდაო. იმოწმებს ვლ. ჭელიძეს, რომელიც თვლის, რომ ჰელესა ქართულია (ლაზური), მაგრამ სახელწოდება უნდა მომდინარეობდეს ბერძნულ გამოთქმა „კვირიაელესონიდან“ ანუ უფალო შეგვიწყალო. ამის შემდეგ თანდილავა დასძენდა: შეიძლება მომდინარეობდეს ლასა-ლარსადან ანუ ჰე, ლასა, ჰე, ღმერთო ლასა (ზ. თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, 1996, გვ. 143-144).

საბერძნეთში არის ქ. ელესა, სადაც, 1984 წელს უზარმაზარი სპილოს ჩონჩხი აღმოაჩინეს, ამასაც ხომ ელესას ბერძნული წარმოშობისაკენ არ მივყავართ, ანუ ღვთაება ელიას კულტთან. ელია-ელიობას ძირძველობას, პოპულარობას აჭარაში მოწმობს აგრეთვე, რიგი თქმულებები, გადმოცემები და ლექსები, რომლებიც თბილისის სახ. უნივერსიტეტის ფოლკლორისტიკის კათედრის არქივში, ე. დავითაძის „სოფლის აღმაშენებელსა“ და სხვა წიგნებშია დაცული. ასევე მისი სახელიდან მომდინარეობს სახელგვარი ელიკო და ელიაძე, გეოგრაფიული სახელები: ელიაწმინდა, ელიას-მთა, ელიაური და ელიასციხე, რომელთა შესახებ ცალკე ვისაუბრებთ.

ანგარიშგასაწევია ისიც, რომ ჩენს მხარეში იცოდნენ „ელიაწითლობა“ და „ელიადელოლობა“. შესაძლებელია, დროთა განმავლობაში ვარიანტებად იქცნენ, დამოუკიდებელი სახე მიიღეს.

კოხინჯრობა. კოხი ნიშნავს სინოყიერეს მოკლებულ, გამოფიტულ მიწას, ადგილს. საკოხია ტოპონიმია მაჭახლის ხეობაში. „მართალია, კოხი ადგილები იყო, მაგრამ ორმოებში ტყიდან მოზიდული ხამი მიწა ჩაყარეს“, – წერს შოთა ნიჟარაძე (იხ. მისი, ქართული ენის აჭარული დიალექტი, ბ. 1971, გვ. 232). კოხი ჰქვია სოფელს ქობულეთის რაიონში, სათიბ-სადოვრებს ქედის რაიონის ზენდიდში, შუახევის რაიონის გაღმა ტომაშეთში, ბრილში, ხულოს რაიონის ადაძებში, ღორჯომის საკრებულოს გორგაძეებში, კერძოდ არის კოხნარი, კოხისერი, კოხორია, კოხნაპირა და სხვა. გაღმა ივეთშიცაა შემონახული ტოპონიმი კოხი.

აჭარაში იციან კოხკევი. ასე ჰქვია ნაძვის ხეებიდან აღებულ, დაუმუშავებელ მაგარ კეკს. კოხს უწოდებენ აგრეთვე, ადამიანის ცხვირში შემხმარ შესუნთქული მტვერისა და ლორწოს ნაერთს, ცხვირ-პირ მოთხუნულ ბავშვსაც. სოფ. აჭარისწყალზე ბავშვობისას, სხვაგანაც გამიგონია „შენ კოხიანო“, „წადი კოხი მოიცილე.“ ასე რომ, ამ შემთხვევაში გამხმარს, ბინძურს ნიშნავს, რაც გვაახლოებს გოხთან, რომლის მნიშვნელობა რიტუალ კოხინჯრობის თვალსაზრისით, უფრო გამოკვეთილია, იფიქრებ კოხი მომდინარეობს გოხიდან ან სინონიმებიანო.

მართლაც, აჭარაში გოხი ასევე მწირი, ხრიოკი ნაკვეთია. ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ზედა ჩხუტუნეთის უბან დავეითეთშია სათესი გოხიმერ-

ის სახელწოდებით, ხოლო „გოხი სამგლეა“ ძველი ანაგის მიდამოებში. ქართლში გოხი მოურწყავი, უბალახო მაღალი ადგილია. თუშებს აქვთ გამოთქმა „გოხგვალეები“. სხვაგან „მისალოცი გოხი“ – ადგილი მთაზე, სადაც ერთმანეთს ასვლას ულოცავენ. თიანეთში გოხა საკუთარ სახელად დასტურდება, სხვაგან მეტსახელია გოროხა, აქედან მივიღეთ გვარსახელი გოხიძე. ქობულეთის რაიონის სოფ. ზენითშია ტოპონიმი „გოხიძეების მინდორი“ (ი. ბექერიშვილი, ასი აჭარული გვარსახელი, იხ. გოხიძე).

აჭარაში გოხიდან ნაწარმოებია ფშენის სინონიმი – გოხეა, ქედის რაიონის სოფ. ხარაულაში ჩაწერილ ხალხურ შაირებში ნათქვამია: „სახლი კისერ გოროხ ვგოხავ, უთავოლოს ნუ მოროხავ“. თურქეთის ფარგლებში მოქცეულ ჩვენს მოსაზღვრე სოფ. ივეთშია აღნუსხული „მოგოხა გოროხები“, ე. ი. დაფშენა. „თრაქტორი რო მოხნავს, გოროხები ადგება, იმა მიადგება და ნელა გოხავს“ (ჩვენებურების ქართული). გვაქვს კიდევ გოროხი, რაც ჯავახურად გამხმარი მიწის გროვია. მთიულეთსა და გუდამაყარში იტყვიან: „განა გამაგრებულა, არამედ გაგოროხებულა“. აჭარაშიც გოროხი სიციხისაგან გუნდ-გუნდად ქცეული გვალულია, აგრეთვე დახენისას წარმოქმნილი ბელტი, რომელიც დაფშენას, წყალს საჭიროებს. ქართლში გოხიანი ჰქვია ადგილს, სადაც ბალახი არ ამოდის. ლაზარესადმი მიმართვაში ხომ ნათქვამია: „ალარ გვინდა გოროხი, ახლა მოგვე ტალახი“, ანუ წვიმა.

ამრიგად, კოხი გამხმარი, ხრიოკი ადგილი, მიწა, ნაკვეთია, რომელიც საჭიროებს წყალს, მორწყავს. ეტყობა ამის გამო ეწოდა ქობულეთის რაიონის სოფელს კოხი, თუმცა შესაძლებელია იმიტომ, რომ კოხინჯრობის რიტუალის შესრულება ხშირად აქ უხდებოდათ, ტრადიცია ჰქონდათ. რასაკვირველია, მშრალი, ხრიოკი, ყამირი ყანა თავისთავად საჭიროებდა წვიმას, – მორწყვას, გვალვისას კი ნარგავთა თუ ბალახის გახმობა-გადაწვის კატასტროფა იქმნებოდა. აი ამ „გოხგვალეების“ დროს მიმართავენ მოსავლის გაწვიმებით გადარჩენის ცერემონიალს. ამიტომაც სახელწოდება ამგვარი მიწის სახელიდან მიიღო, ე.ი. გასაწვიმებლად, წვიმის მოსაყვანად კოხინჯრობას მართავენ. ზოგჯერ ნორმალურად კი არ წვიმდა, არამედ სეტყვა, ქარიშხალ-ქარბუქი მოსდევდა კოხინჯრობის ვედრებას. ამის გამო ასეთ სიტუაციას ანუ ღვარცოფად მოვარდნილ წვიმასაც კოხი შეარქვა ხალხმა.

კოხინჯრობა – ძველი რელიგიური და შრომის საწესჩვეულებო დღეობა სრულდებოდა ამაღლების შემდეგ ორშაბათს (იმერეთი). აჭარაში წვიმის გამოწვევა-მოყვანისათვის ამ ცერემონიალს, ცხადია მთიან, მშრალ უბნებში მიმართავენ, რადგან ზღვისპირეთში ისედაც ხშირად წვიმდა, თუმცა გვალვების გამონაკლისი არც აქაა. მეტწილად იმართებოდა მაისში,



ე. ი. ხენა-თესვის, რგვისა და გაშენების თვეში. არჩევდნენ შვიდ მაისს, როცა შელოცვა-ვედრების გარდა, კოხის საწინააღმდეგოდ შეწირულ პირუტყვს კლავდნენ. ყანებში არ დადიოდნენ, მდინარე-ღელესთან მღეროდნენ ლაზარეს, იხდიდნენ საგანგებო დღეობას – კოხინჯრობას. შეიძლებოდა რვა-ცხრა მაისს და შემდეგაც, ე.ი. ამინდზე იყო დამოკიდებული. რიცხვ შვიდს ღვთაებრივად მიიჩნევდნენ აღმოსავლეთში, სამკურნალო და მაგიურ თვისებებსაც მიაწერდნენ (მ. გიორგაძე, გვ. 47). ცხადია, ქრისტიანულმა რელიგიამაც ღვთაებრივად აღიარა და კოხინჯრობის დღეობის გადახდა ამ დღეს დაუკავშირა, აგრეთვე ქრისტიანთა ჯვარპატიოსნობას ანუ იერუსალიმში ჯვრის გამოჩენის დღესასწაულს. შვიდი მაისი მცხეთის ჯვრის აღმართვის დღეცაა. ხალხის თქმით, „შვიდი მაისის წვიმარ, შვიდას თუმნად ღირდაო, საწყალს და არას მქონეს, აღარ გაუჭირდაო“.

ამდენად, შვიდ მაისს მოსული წვიმა უხვი მოსავლის მოყვანას უზრუნველყოფდა. კოხინჯრობას მეორე დანიშნულებაც კქონია. კოხის ანუ ნიაღვრის, სეტყვის მოსაგერიებლადაც ეფერებოდნენ, აქებდნენ, ასევე პირუტყვს სწირავდნენ, ღამეს უთევდნენ. მისი ისე ეშინოდათ, რომ ცოცხალი არსება ეგონათ. ასე რომ, კოხინჯრობაში გაერთიანებული იყო ნორმალური წვიმის მოყვანისა და ნიაღვარ-სეტყვა-ქარიშხლის თავიდან აცილების რიტუალები.

ქაშატობა. სრულდებოდა მხოლოდ წვიმების შესაწყვეტად. ქაშატობა ლაზარობას არ ნიშნავს, პირიქით საწინააღმდეგო რიტუალია. ლაზარობისას ითხოვენ გვაღვის, სიცხეების ან კიდევ წვიმების შეწყვეტას, ქაშატობისას – დიდი წვიმა რომ არ მოვიდეს და ნიაღვარი არ დადგეს, ჭირნახული არ წაღეკოს ანუ არ მოხდეს ჭყიყორი (ღვარვა), გვაღვის შემდეგ ამომშრალი მთის ფერდობები ხშირი წვიმებისას მალე ღებება, ირეცხება და ხრიოკდება. ამის აღსაკვეთად მოგონილია ქაშატობა, რომელიც „საქართველოს კუთხეებში არ იციან. ამ რიტუალს ასრულებენ აპრილის პირველ შაბათს. ქაშატობის დღეს თოხს, ცულს, სახნისს, ჯილღას მიწაზე არ გაატარებენ, დაჭედნილ ხარებსაც არ გაიყვანენ, რათა ნიაღვარმა ყანები არ წაღეკოს“ (ჯ. ნოღაიდელი, გვ. 130-131). თურქეთში, მაგ. ინეგოლში მცხოვრები აჭარლები ამგვარ ქაშატობას იცნობენ.

საინტერესოა მურმან ქამადაძის ცნობები ბუნებაზე დაკვირვებით ამინდის გამოცნობის ხალხური მეთოდის თაობაზე, რომელიც ჩვენი თხოვნით შეკრიბა თავის მოღვაძეში. ბაბუამისი აბასი და ბებია ხატიჯე ქამადაძეები იტყოდნენ: „მზიან ამინდში ობობა – ბოჭოჭვაევი რომ გამოძრება, ტაროსი, ანუ ამინდი შეიცვლება. ასე ხდება მაშინაც, როცა ცის კაბადონზე იწითლებს; მიწას ფუტი (კვამლი) ადის, თუ „ზედაი ქარი“ ქრის, გაავდრდება.

იგივეს იწინასწარმეტყველებენ, როცა ჭიანჭველები „დალოლავენ“ და ჭალ იკალიები ჭრიჭინებენ; „სიცხის ლულა“ რომ დადგება, ან ხეობაში ნისლის ჩამოდგომისას, წვიმის მოლოდინში იყვნენ, ხოლო თუ ზამთარში კარის შიგნითა რკინის საკეტის სახელურზე – ზირზაზე სიცივის გამო თითები ეკვროდათ, დასძენდნენ: „ზირზა მოსულა, გამოიდარებსო“. ასე იყო, აგრეთვე „ქვედაი ქარის“ ამოვარდნისას.

მამა-პაპათაგან შესემნილი დაკვირვებით, ასევე ზუსტად განსაზღვრავდნენ თოვლის მოსვლასა და ზეაგების საშიშროებას, თადარიგის დაჭერით კიდევ იცილებდნენ თავიდან ზარალსა თუ უბედურებას.

## ხის კულტი, სიცოცხლის ხე

საღმრთო ისტორიით, ღმერთმა დედამიწა ნ დედამეში გააჩინა: შექმნა ცა და სამყარო, მერე წყალი გამოჰყო მიწისაგან და აღმოაცენა მცენარეები, შექმნა მზე, მთვარე და ვარსკვლავები. მოაველინა თევზები და ფრინველები, ცხოველები, ბოლოს კი შექმნა ადამიანი. ედემში გაშენებული ბაღის შუაგულში გაახარა კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხე.

ადამიანთა პირველყოფილ საზოგადოებაში წარმოიშვა რელიგია, რომელიც დაკავშირებული იყო ბუნების წინაშე უვიცობა-უძლურებასთან. ადამიანი ხედავდა მრავალ მოვლენას, რომელთა წარმომშობ მიზეზთა ახსნა არ შეეძლო. ამიტომ დროთა განმავლობაში გაუჩნდა შიში ზებუნებრივი უხილავი ძალისა, რომელიც თითქოს განსაზღვრავდა ათას აუხსნელ მოვლენას. თანდათანობით ჩამოყალიბდა რელიგიის პირველყოფილი ფორმები: ანიმიზმი – სულების თაყვანისცემა, ტოტემიზმი – დრუიზმი ანუ ცხოველებისა და მცენარეების გაღმერთება, მაგია – ე.ი. ჯადოსნობა და ფეტიშიზმი, რაც უსულო საგნებისადმი ღვთაებრივი ძალის მიწერას ნიშნავს. ეს ფორმები დღევანდელ რელიგიებშიც გვხვდება.

ადამიანთა მიერ საკვების მოპოვების პირველწყაროდ, მის აფთიაქად მინდორი და ტყე იქცა. ამან წარმოშვა დრუიზმი და კულტი. ხეს, ტყეს ყველგან მოწიწებით ეპყრობოდნენ. ხე აძლევდა ადამიანს სამშენებლო მასალას, ნაყოფს, იცავდა ქარის, წვიმისა და მხეცებისაგან. ხე ცის განსახიერებაა, ცის კიბე.

სიცოცხლის ხე, მცენარეთა სიმბოლიკის კოლორიტული სახე, ცნობილია უძველესი დროიდან. შუმერების წარმოდგენით ამგვარი ხე მთაზეა, ქვეყნიერებას ფარავს, ღრმა ფესვები აქვს. სკანდინავიის ხალხებში ასეთი ხეა იფანი, შუმერებში – ფიჭვი, ინდოეთში – ლეღვის ხე, ასევე მუსლი-

მანებში, რასაც „ყურანში“ მისი სისტემატური მოხსენიებაც ადასტურებს. მუსლიმანებს ჰყვარებიათ კვიპაროსიც. ამიტომ იყო, რომ შემოერთებულ ქ. ართვინში პირველ რიგში რუსებს ეს მცენარე გაუშენებიათ. თურქულენოვანი ხალხების XV საუკუნის ცნობილ მატეანე „დედე ქორქუთში“ ფიგურირებს ხის კულტი, ხისადმი ლექსიცაა (არმაღანი, გვ. 441). თურქმენეთის XVI საუკუნის მოხატულ ჭურჭლეულზე აღბეჭდილია ხე, რომელსაც გველი ახვევია (ვ. ზალეტაევ, დრეენიე ი ნოვიე დოროგი ტურკმენი“, 8. 1979, გვ. 97.

ოქროს ხედ წაბლი ითვლებოდა, ვერცხლისად – ფიჭვი. უბიხები, აფხაზების მეზობლად რომ ცხოვრობდნენ, დიდი, საერთო ამბის გამოსაცხადებლად ხეებზე აღიოდნენ და იქედან აუწყებდნენ ხალხს. მათ მუხა, რცხილა, ბზა წმინდანებად მიაჩნდათ, ასეთი ადგილებიც წმინდა იყო.

ბერძნები თაყვანს სცემდნენ ზეთისხილს, აკაციას, პალმას, საქართველოში – მუხას, რცხილას, ბზას, იფანს, კედარს. უბიხები ალვის ხეზეც აღიოდნენ და აქედან ავრცელებდნენ მნიშვნელოვან ცნობებს, ხოლო მუხას, ბზას, რცხილას წმინდანებად მიიჩნევდნენ. აქ და აფხაზეთში იყო ე.წ. წმინდა ტყეები, სადაც ხეებზე აღებეჭდათ გველები, ფრინველები და შეწირული ცხოველები (ვ. პაჩულია, პადენიე ანაკოპიი, მ., 1986, გვ. 99, 119).

VI საუკუნის ბიზანტიელ პროკოფი კესარიელის ცნობით, კავკასიაში ხე-ტყეები ღმერთებად ირიცხებოდნენ. ფრანგი დიუბუა დემონპერე 1831 წელს წერდა: კავკასიის ტომნი მუდამ ეტანებოდნენ დრუიზმს, ანუ მცენარეთა და ტყის თაყვანისცემას. – ქრისტიანობის მიღებამდეც აფხაზებს არ შეუწყვეტიათ ადრე გაღმერთებული ფიჭვისა და საერთოდ ხის, ტყის, ჭალისა თუ კორომის თაყვანისცემა (ა. აფაქიძე, დიდი პიტ-იუნტი, 1975, გვ. 15).

აღამიანებმა დაადგინეს ხის სამკურნალო და სხვა თვისებები. თელიდნენ, რომ ხეზე მიყრდნობითაც ძალა ემატებოდათ. მუხა, სოჭი, ძელქვა ამშვიდებდა ახლოს მისულთ, შეყვარებულებიც ხშირად ხესთან მასლაათობდნენ. უფრო მეტი, ძველ ირლანდიაში, გალიასა და ბრიტანეთში დრუიდები ტყეს წმინდა ადგილად თვლიდნენ. დამოუკიდებელი ცხოვრების 20 წელს ტყეში ატარებდნენ. აქ უნდა გამოეწროთ თავი, გამოემუშავებინათ ხასიათი, ჩვევები, ასე რომ, არსებობას ხეებთან კავშირში აღიქვამდნენ, სჯეროდათ, თითოეულს, ისე როგორც ხეს, საკუთარი თვისებები, ღირსება და ნაკლი აქვს, ყოველ მათგანს ორეული ჰყავს რომელიმე ხის სახით. საახალწლო ნაძვის ხის კულტი და მასთან დაკავშირებული წეს-ჩვეულებათა არსებობაც, დრუიდებიდან მომდინარეობს.

ბასკების მთავარ ქ. გერნიკაში მდინარესთან აღმართულ წმინდა მუხის ქვეშ საუკუნეთა განმავლობაში იკრიბებოდნენ ბასკები და ყველა დიდ

საქმეზე სახალხო ბჭობას მართავდნენ. ესპანეთის ახალი მეფე აქ ფიცს დებდა, ვალდებული იყო ამ ხის ქვეშ ელიარებიანა ბასკთა თვითმმართველობა. თუ ამას არ იზამდა, უარს ამბობდნენ გადასახადებზე (შ. ძიძიგური, ბასკები და ქართველები, 1982, გვ. 109).

შუამდინარული მითოსური ხეების ანალოგიურია სკანდინავიური იგდრასილი – მარადმწვანე იფანი, რომლის ჩრდილი ასევე სამყაროს ეფინებოდა, ფესვებითა და მწვერვალთ სკნელს აღწევდა, მის ფესვებში მოკალათებული იყო გველი, ხოლო წვერო – კინძზე ოქროს მამალი ან არწივი (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 1979, გვ. 129).

პროფ. აკაკი გელოვანის მიხედვით, მცენარეთა სიმბოლიკის კოლორიტული სიცოცხლის ხე, შუმერთა წარმოდგენით, ასევე მთაზე დგას, ქვეყნიერებას ფარავს, გველისებური ფესვები ქვესკნელში ჩაუდგამს, თავზე ზღაპრული არწივი ბუდობს, ძირში გველი, შუაში – ქალწული ლილა. ფალაურში ანუ სპარსულში ხე მიწის შუაგულიდან წამოზრდილა, ბიბლიური ხეც ასე დიდი არაა, მაგრამ გველი მასაც ეგრაგნება, მისი ვაშლი ცოდნის წყაროა. შუმერებს ხისათვის ტაძარიც აუშენებიათ, ციური სიმადლის ხეს აღიარებდნენ პოლინეზიელებიც (ა. გელოვანი, მითოლოგიური ლექსიკონი, 1983, გვ. 455).

ხის კულტი, სიცოცხლის ხის მცნება-თაყვანისცემა ძლიერი იყო საქართველოში, ქართული თქმულების მიხედვით, მართალია ღვთაებები ზოცავდნენ ნადირს საჭმელად, მაგრამ შემდეგ მათ აცოცხლებდნენ. ამის ანარეკლია ქართული ლეგენდა „ხის ბეჭიან ნადირზე“ და ხევსურული „ხეჭეჭა“. ღვთაებათა ქორწილში მონადირე მოწმე ხდება ჯიქების დაკლა-შეჭმისა, მათ ძვლებს ახვევენ ტყავში და მათრახს დაკრავენ, ჯიქები გაცოცხლდებიან და ტყვეს მიაშურებენ. მონადირე მოახერხებს ჯიხვის ბეჭის მოპარვას. მეორე ღღეს იგი მოკლავს ჯიხვს, რომელსაც ხის ბეჭი აღმოაჩნდება ე.ი. ღმერთებმა ხის ბეჭის ჩადგმით გააცოცხლეს (თ. ოჩიაური, ხევსურეთის მითოლოგიიდან (ხის ბეჭი), მსე, 7, 1955, გვ. 58-59; ე. ვირსალაძე, ქართული სამონადირეო ეპოსი, გვ. 32-34). ანალოგიური თქმულება აფხაზეხსაც აქვთ. ღვთაების ნადიმში მონადირე თხის ძვალს იპარავს და მის ნაცვლად ჯოხს დებს ტყავში, მეორე ღღეს ტყვეში კლავს თხას, რომელშიც თავის ჯოხს პოულობს (იქვე).

ხევსურთა თქმულებით, კვერში იფანი ამოვიდა, მოჭრილი ისევ აღმოცენდა. კიდევ მოჭრეს. ახალამოსულზე უკვე გველი იყო. იფანი კოსმიური ხეა. გველი ამოდის ქვესკნელიდან, სადაც იფანს ფესვები აქვს გადგმული. ეს კი მცენარის დაუსრულებელი ზრდის პროცესია (ზ. კიკნაძე, გვ. 129-130).

ქართველებში მუხა მიწათმოქმედების ღვთაების სიმბოლო იყო. არგონავტების კოლხთა ჰეკატეს ბაღში იდგა ღვთაებრივი მუხა, რომელზეც

ოქროს საწმისი ეკიდა და გველეშაპი დარაჯობდა. ამიტომაც ძველად ქართველები სახლის პირველ ძელად წმინდა ხედ მინეულ მუხას ირჩევდნენ, ფუძე უკვდავი იქნებო. თვით მუხას უთქვამს: ჩემი ერთი ხეც რომ ერიოს, სახლი არასოდეს დაინგრევაო. მუხას შეუტყვია სოფელში სახლი დაინგრაო და წყენით უკითხავს – ჩემიანი ხომ არ ერიო. დალოცვაც გვაქვს „მუხასავით გამტანი და ვაზივით მზებრძელი იყავ“. აჭარაში შემონახულია თქმულება „ვაი, თუ მუხა წოწინაო“, რომლის მიხედვით, სტიქიამ მართალია, ძირი გამოუთხარა მუხას, მაგრამ იქ წყალში კალმახები გაჩნდნენ. ქართველი დღესაც ელოლიავება ვაზს, მისი მტევნებით აჭარლებმა ჯამეებიც მოხატეს, აჭარაში სახლის მშენებლობისას მთავარ კედლად წაბლს ირჩევდნენ, ასევე წმინდა ხეს, კედელი ურღვევი, მუდმივი იქნებო. წაბლს უთქვამს – ათ წელ-ინჯად ბუხარში მაშრობდნენ, მაგრამ ცოტა მაინც დამაკლდა გაშრობაო.

აჭარაში წმინდა ხედ ითვლებოდა აგრეთვე ნაძვი, ბზა, კვიპაროსი, 1904 წლის 19 ოქტომბერს პ. მირიანაშვილი „ივერიაში“ წერდა საახალწლოდ ნაძვის ხის მოჭრის მავნეობაზე, რაც ამ ბოლო დროს ჩვეულებად დამკვიდრდდა... ადრე კი ჩვენს მხარეში ნაძვს საახალწლოდ არ ანადგურებდნენ.

დიდმა მკვლევარმა ჯემალ ნოლაიდეშვილმა პირველმა აღწერა აჭარული რიტუალი რცხილას ანუ „ცხემნის ჭრა“. დაპობილს გარდიგარდმო აწყობდნენ, ნაწილს საქათმესა და ახორთანაც, რათა ქათმებსა და პირუტყვს გადაეელო. ტოტებს დებდნენ სახლში შესასვლელი კიბის, კარის ძირას. მათზე დაბიჯება და სახლში შესვლა სასარგებლო ყოფილა. ახალ წელს პირველად ცხემლის შემით დაანთებდნენ ბუხარს, ამას საღამოობით შეკრება-სიმღერები, ტკიბილულის, ხილის ჭამა მოსდევდა, მცენარეთა სახელწოდებებთან დაკავშირებული ტერმინების ნაწილი, საწესჩვეულებო წარმოშობისა (ჯ. ნოლაიდეშვილი, აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები, თბ., 1967, გვ. 52-53).

ეს რიტუალი მეცნიერის დასკვნით, წარმართული დროიდან მომდინარეობს, როცა რცხილა – ცხემნასაც თაყვანს სცემდნენ. ღია ნარჩენაშვილის ცნობით, იმერეთშიც რცხილას იყენებდნენ აბრეშუმის პარკის გამოსაყვანად. ცხემვანი, ცხემნა, ცხემლარი და ცხემლისი ქვია ქობულეთის, ქედის, ხელვაჩაურისა და შუახევის რაიონის სოფლებს, ხოლო ადგილებსა და უბნებს ჭახათში, წყავროკაში, ჩაისუბანში, ვაიოში, ზაქარაშვილებში, ჩხუტუნეთში, ჩიქუნეთში, ზემოხევეში, ცინარეთში, კაპრეშუმში, ჯუმშაურში, ძმაგულაში, ღურტაში, ძირკვაძეებში, ხულოს გარეუბნებში დუაძეებსა და გოგაძეებში.

აჭარაში თქმულებაც არის იმისა თუ რატომ არ ყრის ზოგი ხე შემოდგომაზე ფოთლებს. თურმე ლუყმან ექიმს უკვდავების წამალი უნდა მიეცა ადამიანისათვის, მაგრამ ეს არ სურდა ღმერთის მიერ გამოგზავნილ

ჯებრაილს (გაბრიელს), რის გამოც წამალი დაადერევიანა. შხეფი ზოგიერთ ხეებს შეესხა, რამაც ისინი მარადმწვანე გახადაო.

თ. სახოკიას ცნობით აჭარლები საახალწლოდ მივიდოდნენ იმ ხის ხესთან, რომელიც არ იხსამდა ნაყოფს და ეტყოდნენ: ახალ წელს მაინც მოისხი, თორემ მოგჭრიო.

მეტად მნიშვნელოვანი მასალა ფიქსირებულია აჭარული და თრიალეთური ბუხრების დეკორში, რომელიც მაღალმხატვრული ხელოვნების ნიმუშს წარმოადგენს. აქ გამოვლენილია უძველეს რელიგიებში პოპულარული კოსმოგონიური იდეები, ასტრალური სიმბოლოები და სიცოცხლის ხის მოტივი, რაც ფართოდ გავრცელებული ყოფილა კავკასიაში. ვ. ბარდაველიძემ ყოველივე დაამოწმა სვანურ მხატვრობაშიც. გიორგი ჩიტაიამ გამოიკვლია აჭარაში მოპოვებული შუასაუკუნეების ქვის კუბოს დეკორი, რომელზეც თავს იჩენს იგივე ხის მოტივი. ორნამენტში ხშირად მნათობთა გამოსახულება ანთროპომორფულია, ანუ ადამიანის მსგავსია. იგივე სურათები მეორდება აჭარულ ბუხარზეც, რაც კავკასიაში მოგზაურებმა პირველად ჩვენს მხარეში ნახეს და გაცეხული იყვნენ, მაგ. ალ. ფრენკელი. ბათუმის მუზეუმში დაცულია ადგილობრივი ოსტატების ნახელავი, ჯამეებისა და ბუხრების შემკულობის ამსახველი ჩანახატი მასალა, რომლის დეკორი ზუსტად იმეორებს ხსენებულ მხატვრულ მოტივებს და სიცოცხლის ხის სიუჟეტს. აღსანიშნავია, რომ ბუხრებზე ხშირია მაღალი ხის, ნაძვისა თუ კვიპაროსის გამოსახულება. ასეთ ხეს ორსავე მხარეზე აქვს ასტრალური (ვარსკვლავისებური) ნიშნები, რაც მას კოსმოგონიურ (ცის სხეულების წარმომობა-განვითარების შესწავლა) შინაარსს ანიჭებს. ასტრალურ სიმბოლოებს შორის უაღრესად გავრცელებულია ბორჯღალის გამოსახულება, რომელსაც აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების მკვლევარი პრასკოვია უვაროვა მზეს უწოდებდა (ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, 1986, გვ. 69-70).

მკვლევარმა ჯემალ ვარშალომიძემ ამომწურავად შეისწავლა მცენარეული სახეები აჭარულ ხალხურ ორნამენტში. მცენარეები უხვად წარმოდგენილია ხეზე, ქვაზე, ქსოვილებზე, ავეჯსა და სხვა საგნებზე, ცხოველებთან, ფრინველებთან, მნათობებთან ან გეომეტრიულ გამოსახულებებთან ერთად, ისინი ამოკვეთილიცაა და ზეთოვანი საღებავებითაც შესრულებულია, ხშირადაა: სიმინდი, ვაზი, ბროწეული, ვაშლი (ღორჯომი, ნიგაზეული, ქიბინიძეები, დღვანი, ჭახათი, თხილვანა, აგარა, ჯაბინიძეები, მახალაკელიძეები, ვარჯანაული, ჩიქუნეთი). ლომანაურში სკივრზეა აღბეჭდილი, რომელსაც ტოტებად ქცეულ ალვის ხიდან ამზადებდნენ. ამ ხეს არ წვავენ. გ. ჩიტაიას ღორჯომში ჯამეში უნახავს ამოკვეთილი სიცოცხლის ხის მოტივი. ამოკვეთილია აგრეთვე, დღვანში, ბარათაულში. ხელვაჩაურელ მ. ვარშა-

ლომიძის სახლის ინტერიერში ბუხართან ახლოს ხე გაშლილია ორთავე მხარეზე, მოჩანს ოჯახის მფარველი დედალ-მამალი გველები, არის „ხე-კაცის“ მოტივებიც. აჭარლები ხისადმი მოკრძალებით ხასიათდებოდნენ, მოჭრის შესახებ არაეის ეტყოდნენ, ცულს ქსოვილში ახვევდნენ. ტყეში, როცა შეარჩევდნენ, შემდეგ გამოაჩენდნენ ცულს, ხე ხედავს და კანკალს იწყებსო. უმიზეზოდ ცულს არასოდეს დაჰკრავდნენ, მესხიქედში ეკლესიასთან მზარდი ხეებისათვის კვერცხი და ქათამი ამ ბოლო დრომდე მიჰქონდათ. ერთმა ურთხელს ტოტი მიაჭრა, რასაც ცხვირიდან სისხლდენა მოჰყვა. სანამ იქვე ხე არ დარგო, არ შეწყვეტია (სამხ. დას. საქ-ს ყოფა და კულტურა 4, თბ. 1976; მისივე, ორნამენტი ხეზე, ბ., 1979, გვ. 59-71). ხეს ჭრიდნენ ძველ მთვარეზე, რათა უფრო გამძლე ყოფილიყო, ჭიას არ შეეჭამა.

სიტყვა ხე ჩვენში ჩეჩნეთ-ინგუშეთიდან შემოსული ჩანს. ჩეჩნურად ესაა ხოენ, ინგუშურად – ხი, რაც ასევე ხეს ნიშნავს (ზ. ჭუმბურიძე, როგორ გაჩნდა სიტყვა, გვ. 51), მისგან წარმოებულია მხეცი, მხედარი, ცხედარი, ალბათ გვარსახელებიც – მხეიძე, ჩხეიძე, მხეციძე, მაჭახლის, ანუ ტბეთის სულთა მატთანეში მოხსენიებული არიან მიქაელ მხეცისძე და მიქაელ მხეციძის ძე მჭედელი (გვ. 62, 138). პროფ. თინა ენუქიძის აზრით, მხეცისძე ფეოდალურ საგვარეულო მხეისძეთა სახელს ემსგავსება (ტბეთის სულთა მატთანე, გვ. 35). ხევესურული ლეგენდა „ხეჭეჭა“ გვაფიქრებინებს, რომ აჭარული საზამთრო მსხლის ჯიშის სახელწოდება „ხეჭეჭური“ ამ ტერიტორიის კავშირშია, მით უმეტეს თქმულება სხალთის ტაძრის მშენებლობას მსხლის ხეს უკავშირებს, ამიტომაც ამ ადგილს ასე ჰქვია.

ხის კულტი – თაყვანისცემა ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რწმენაა ძველი ცივილიზაციების შემქმნელი ხალხების წარმართულ რელიგიასა და მითოლოგიაში. ხის კულტში აისახა ანიმისტურ-რელიგიური და მითოსური წარმოდგენები, აგრეთვე პრიმიტიული შეხედულებები სამყაროზე, მის აღნაგობასა და განფენილობაზე.

მსოფლიო ხის სახე დასტურდება პრაქტიკულად ყველგან, ან სუფთა სახით – მსოფლიო ხე, ან ვარიანტებით: სიცოცხლის ხე, ნაყოფიერების ხე, ცენტრის ხე, ციური ხე, აღსავლის ხე, ხე ცნობადისა და სხვა (რ. ცანავა, ქართული ფოლკლორი, XIV, 1994, გვ. 98-99).

ხის კულტს გამოკვლევები მიუძღვენეს ინგლისელმა ჯონ ფრეზერმა და გიორგი ჩიტაიამ, რომელმაც 1941 წელს ენიშკის მოამბის №10 გამოაქვეყნა სტატია „სიცოცხლის ხის მოტივები ლაზურ ორნამენტში“.

ენანობთ, რომ ვერ მოვახერხეთ ე. კოხანოვის წიგნის „კულტ ფეტიში. რასტენი ი ჟივოტნიხ ვ დრევენი გრეციი“, რომელიც 1903 წელს გამოაქვეყნა სანკტ-პეტერბურგში), რაც გაამდიდრებდა ჩვენს წარმოდგენას ნათელს მოჰფენდა რიგ საკითხებს.

• • •

2000 წლის დამლევს საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-მ ქართველებს ასე მიმართა:

თითოეული ჩვენგანის წინაშე დგება კითხვა – რა გავაკეთოთ, რით აღვნიშნოთ XXI საუკუნის დადგომა? – კითხულობს პატრიარქი და გვთავაზობს ხეების დარგვას. ხეს დიდი ძალა აქვს, ამასთან იგი არის სიჯანსაღისა და სიცოცხლის სიმბოლო. ბიბლიაში არაერთხელ არის საუბარი ურთხმელის, კედრის, ნაძვის, ფიჭვის, მუხისა და სხვა მცენარეთა შესახებ, რომელთაც სხვა ღრმა დატვირთვა აქვთო.

შემდეგ მიმართვაში ნათქვამია: ხეები მგრძნობიარენი არიან. ისინი ჩვენი თვალისთვის ძნელად შესამჩნევ, მაგრამ რეალურად არსებულ სიყვარულს ამჟღავნებენ იმათ მიმართ, ვინც ზრუნავს, უელის, პატრონობს მათ. შევნიშნაეთ იმასაც, რომ საოცარ ძალას იძენენ ის ნერგები, რომელნიც დიდი გრძნობითა და სიყვარულით არიან დარგულნი.

დიდი სიხარულიცა და დიდი მწუხარებაც ადამიანს განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს. ამ გრძნობის გამოხატვის ერთ-ერთ სიმბოლოდ უნდა იქცეს ხეების დარგვა. ვფიქრობთ, ცალკე უნდა გამოიყოს ადგილი, სადაც ყველაზე ბედნიერი ადამიანები – ახლად დაქორწინებული წყვილები და ახლად დაბადებული ბავშვების მშობლები დარგავენ ხის ნერგებს, მათთვის ამ მეტად მნიშვნელოვანი და გამორჩეული დღის აღსანიშნავად.

ასევე ცალკე უნდა გამოიყოს ადგილები, სადაც შესაძლებელი იქნება ხეების დარგვა ჩვენს გარდაცვლილ ახლობელთა სახელზე. ეს ხეები სახელობითი უნდა იყოს და ჩვენგან იმქვეყნად წასულთა ერთგვარ სიმბოლოდ უნდა იქცნენ.

ვფიქრობთ, ასე შეიძლება გავაშენოთ უჩვეულო ტყეები, რადგანაც აქ გახარებული ხეები ლოცვით, სიყვარულითა და იმედით სავსე გულით იქნება დარგული და ამასთან იქნება სიმბოლო ჩვენი უფაქიზესი და უძვირფასესი გრძნობებისა.

ილია II-ის მიმართვას ქართველი ხალხისადმი, აჭარაშიც გამოეხმაურნენ, განსაკუთრებით – შუახვევისა და ქედის რაიონებში.

ახლა გავეცნოთ ზოგიერთი მცენარის თვისება-ხასიათებს.

ძველად მცენარეები ადამიანებისაგან უმაღლესი ძალების დამაკავშირებლად მიაჩნდათ. მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ ხეებს ადამიანების ცხოვრების მსგავსად ბიოენერგეტიკული ბუნება აქვთ, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია ინფორმაციული კავშირის დამყარება.



ზოგიერთი ხე საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს ადამიანის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობაზე, მაგალითად: იფანთან კონტაქტის შედეგად, ადამიანს გონება უნათდება, იგი ხელავს თავის დანიშნულებას ცხოვრებაში, ზოგჯერ იფნის ენერგეტიკული ძალა იმდენად დიდია, რომ შესაძლოა ადამიანი წინასწარმეტყველიც გახდეს. იფანი მხოლოდ გულწრფელს ეხმარება. სიცრუის მტდელობა შეურაცხყოფს ხეს და შეიძლება უბედურებაც მოუტანოს. ისიც გასათვალისწინებელია, რომ იფნის ხესთან უშუალო კონტაქტი შეცნობის უნარს განიჭებს, ამის საფასურად ადამიანს სულიერი სიმშვიდე ეკარგება და ფიზიკურ დაღლილობასაც გრძნობს.

ფიჭვი სიმშვიდის მომგვრელია, იგი გულმონწყალე ხეა, არაფერს მოითხოვს, გარდა გულწრფელობისა. ფიჭვნარში გასეირნება კი საკმარისია გაღიზიანებისა და სუელის მოსაცილებლად, ამიტომაც ასე განთქმული კურორტ ქობულეთის გარეუბანი ფიჭვნარი.

ნეკერჩხალი თავად იღებს ჩვენს ემოციურ აფეთქებას, იგი გვაძლევს ძალას, სიმშვიდისა და წონასწორობის უნარს. მოეხიეთ თქვენს ხეს, მისი ენერგია გაგწმენდთ და აგავსებთ სუფთა კოსმოსური ენერგიით.

საუკეთესო მფარველია ვერხვი, იგი შთანთქავს უარყოფით ენერგიას, ამცირებს აურის იისფერ სპექტრს, ამის გამო ვერხვი ძველად მაგიურ ხედ ითვლებოდა, რომელიც ბოროტ სულებს აძევებს. იმპევენიურ ცივ ენერგიას მიწაში აბრუნებს, ვერხვი მოგაგონებთ ენერგეტიკულ ვამპირს. ძალიან სასარგებლოა ატაროთ ვერხვის ხისაგან დამზადებული სამაჯური, ბეჭედი ან რაიმე სამკაული. ენერგოგამწმენდი თვისებები აქვს ღვიას. დამწვარი ღვიის კვამლი არასასურველ აურას გაიტანს ბინიდან. გარდაცვლილის დანატოვარ სამკაულებს ერთი ღამით მაინც მოათავსებენ ღვიის ნაყენში, რათა ეს კავშირი გაიწყვიტოს.

ალთე სამკურნალო მცენარეა, ამის გარდა, იცავს ოჯახს ეგრეთ წოდებული დაუპატიჟებელი სტუმრებისა და უბედური შემთხვევისაგან. კაქტუსი მძარცველებს არ უშვებს ბინაში, ოღონდ ოთხივე კუთხეში უნდა დადგათ, მაგრამ სუროს ხე ოჯახიდან აძევებს მამაკაცს, ვაჟიშვილებს ატოვებინებს მშობლიურ კერას, იწვევს ცოლქმრის უთანხმოებებსა და გაყრას.

ასპარაგუსი კი ჭორაობასა და გაუთავებელ ჩხუბს უწყობს ხელს, ამიტომაც მისი მოშენება დაწესებულებებსა და ოჯახებში არ არის სასურველი.

ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ მეხი არცთუ იშვიათად ხეებს ეცემა. მუხაზე მოდის 54, ჩინარზე – 42, ნაძვზე – 10, ფიჭვზე – 6, რცხილაზე – 8, აკაციაზე კი – ერთი, აქედან გამომდინარე, ჭექა-ქუხილის დროს ხეების ძირში შეფარება საშიშია, განსაკუთრებით, არ უნდა მივუახლოვდეთ განცალკევებულად მდგარ ხეებს, ბოძებსა და ანძებს.

ვაზი, ალვის ხე, იფანი, ნაძვი მითოსში სიცოცხლის ხის სიმბოლოა. აჭარულ თქმულებაშიც ღვთაებრივი გმირის მფარველი ნაძვი სიცოცხლის ხედ წარმოგვიდგება. მასში ხომ მზის წილმა დაიუნჯა სიცოცხლის უპირველესი წყარო – ცეცხლი და ნათელი აღმოცენდა, – წერს მკვლევარი ხათუნა თავდგირიძე.

ხე მითოსში მზის კიდევ ერთი განსახიერებაა, ზესკნელიდან კავშირი მას მითოსურმა სამყარომ დაუსახა. ხეზე მითოსური ნათელის მოფენას ერთი თქმულება ფარულად გვამცნობს: „ისეთი ოქროს ხე დგას, რომ ელავს“. ხის ოქროდ ელვარება მზის მითოსური ნათებაა, ხეზე გამოსახული ოქროები – მზის მითოსური სხივები. ვაზი მზის განცდას, მისი სითბოთი აღვსებას ტანის მიმობრით გამოხატავს. ხე კი მაღლა-მაღლა ცად მიიწევს, მზისკენ ილტვის დაუსრულებლად. ვაზს „ქვემდობლად ჩამოსული მზის სხივი ეახლება, ხე კი თავად იღვწის ზეცამდინ ასამაღლებლად.

ახლახან გაზეთები იუწყებოდნენ, რომ ხეებს ნერვები ჰქონიათ. 1989 წელს პროფესორი უილიარდ ასტონოუმი შეუდგა მცენარეებში ადამიანის უჯრედების ქსოვილის შეზრდას, ასე გამოიყვანა ზოგიერთი მცენარე ადამიანის თმით, ხოლო ყვავილები – ადამიანის სუნით. შემდეგ ე.წ. მოლ-აპარაკე ხეების კონსტრუირება შეძლო – გამოზარდა მომღერალი ალვის ხე, საკმარისია, ადამიანი მიუახლოვდეს ასეთ ხეს, წარმოთქვას გარკვეული სიტყვები და ხეც სიმღერით გაიმეორებს.

დაბოლოს იმაზე, თუ სიზმარში რომელი მცენარის ნახვა რას მოასწავებდა.

ასირია-შუამდინარეთში ალვის ხის ნახვა დაქორწინებას ნიშნავდა, წიწვოვანის – ბედნიერებას ოჯახში, კვიპაროსის – ბედნიერების დასასრულის მოახლოებას. მიიჩნეოდნენ, რომ ხის ნახვა სიზმარში იყო კეთილსასურველი, ხანგრძლივი სიცოცხლის მომასწავებელი, მაგრამ უცნობი ჯიშის ხის გამოცხადება იყო ნიშანი ქონების განიაგების, სიკვდილისაც, კედარის ნახვა მამის ან უფროსი შვილის სიკვდილის მაუწყებლად ითვლებოდა.

აღმოსავლეთის ხალხთა მიხედვით, ვენახის ნახვა ნიშნავს ზარალს, მუხის – სიხარულს, რამის შემატებას, კაკლისა ასევე კარგია, მშვიდობიანობაა, ტირიფისა – პატივი, ხეზე ჯდომა – დიდობაა, ნაყოფის დასიზმრებაც კარგია, დარგვა შვილის შეძენაა, მაგრამ ხმელი ხის ნახვა, წაქცევა, მოჭრა ფოთლების ჩამოცვენა და დაწვა – მწუხარება, უბედურების მომასწავებელია.

ხე-მცენარე ჩვენი მწვანე სამყაროა, დედა-ბუნებაა. მისი მოვლა-პატრონობა ყველასათვის საშვილიშვილო საქმეა.

## ხარის კულტი

უნდა ითქვას, რომ ქართველ მეცნიერთა შორის ჯემალ ნოლაიდელმა ფაქტობრივად პირველმა გაამახვილა ყურადღება ხარის კულტის თემაზე და საყურადღებო დასკვნები გამოიტანა.

ხარი ადამიანის გაჩენისთანავე მოექცა ცხოვრების ფერხულში, გახდა ძლიერების, ნაყოფიერების სიმბოლო. შუამდინარეთის გლიპტიკურ, ანუ ძვირფას ქვებზე ამოჭრილ-ამოკვეთილ ძეგლებზე უკვე ჩნდება სცენები ლომისა და ხარის ორთაბრძოლაზე, ხოლო მოგვიანებით – ირანულ ჭურჭლეულზე. ასურულ და აქემენიდურ ხელოვნებაში, ვერცხლის თასებზეც, ასევე მონუმენტურ ხელოვნებაში. ვლინდება, რომ გამარჯვებული ლომი რჩება, რასაც ასტროლოგიური მნიშვნელობა ჰქონდა და აღიქმებოდა გაზაფხულის ბუნიობის, ანუ გამოღვიძება-აყვავების სიმბოლოდ. თებერვლის დასაწყისიდან ასურეთისა და ირანის მეფეთა სასახლეებიდან ჩანდა, თუ როგორ ამარცხებდა ლომის თანავარსკვლავედი ხარისას. სწორედ ამ დღეებში იწყებოდა ახალი სამიწათმოქმედო წელი, ამიტომაც ზოროასტრული კალენდრის მიხედვით, ამ დღეს თვლიდნენ უმთავრესად და რელიგიურ დღესასწაულად, როდესაც ხდებოდა აგრეთვე, მეფეთა კორონაცია, ამასთან ეს პერიოდი პოლიტიკური და სამხედრო ძლიერების დემონსტრაციასაც წარმოადგენდა.

ცხოველთა ბრძოლის თემამ ძვ. წ. VIII-VII საუკუნეში საბერძნეთშიც მოიკიდა ფეხი, ამასთან უფრო მეტი დრამატიზმითა და კომპოზიციებით. აქედან საქართველოშიც შემოაღწია. ვანის კოლხი ქალის სამარხების ოქროს ღიადებზე ასევე ასახულია ლომის მიერ ხარის დაგლეჯის სცენა (ო. ლორთქიფანიძე, ძველი კოლხეთის კულტურა, თბ., 1972, გვ. 30-32).

ცნობილია, რომ ქართველური მოდგმის თაბალ-თუბალთა ტომს ძვ. წ. II ათასწლეულში ჰქონია „ხარების მთავარი გამრეკის“ წოდება-ტიტული, რაც სარწმუნო უნდა იყოს. აკი სწორედ აქ, წინა აზიაში, მსოფლიო ცივილიზაციის ამ უმნიშვნელოვანეს რეგიონში, რასაც ახლა ძალუმად აღიარებენ, ჩაისახა ხარის კულტი. ჯეიმს მელარტის მიერ მოწყობილი გათხრების შედეგად აღმოჩნდა, რომ ჩატალ-ჰუიუქის (სამხრეთ-დასავლეთი ანატოლია ანუ დღევანდელი თურქეთი) ტაძრებში გამოსახულ ცხოველებს შორის დომინირებს ხარი, თანაც წითელი ფერის. ერთგან მის რქებსშუა ადამიანიცაა გამოსახული. აქვეა ხარებშებმული ეტლით მიმავალი მეფეც. ხშირია, აგრეთვე რქებისა თუ თავის ორნამენტი. გასაოცარი ისაა, რომ

ანატოლიაში ხარი ჭეკა-ქუხილის ღვთაებად ითვლებოდა (ე. ანტონოვა, ოჩერკი კულტური დრევენის ზემლედელცევ პერედნი ი სრედნი აზიი, მ., 1984, გვ. 52-53, 85-91; ე. ანტონოვა, ობრიადი ი ვეროვანია პერვობიტნის ზემლედელცევ ვოსტოკა, მ., 1990, გვ. 199).

ე. ანტონოვა ახალ გამოკვლევებზე დაყრდნობით წერს, რომ მესოპოტამიის (შუამდინარეთი – შუმერეთი, ბაბილონი, ასირია და სხვა), ძველებში გამოსახული სახნავი იარაღები, ადამიანი ხარი, ხარი კაცის თავით, ფრთებიანი და ჩვეულებრივი (ანტონოვა, ობრიადი... გვ. 234). აქ არსებობდა ცის ღვთაება ხარი ანას სახელწოდებით, რომლის მეუღლე ფურის სახით წარმოდგინათ. ხარი ლომთან ერთად ძლიერების ეპითეტი იყო.

ღმერთს რომ დაედგინა, ადამიანის ცხოვრებასა და სამეურნეო საქმიანობაში ხარი უფრო გამოდგებოდა თუ ირემი, თქმულების თანახმად, მათ შორის შეჯიბრება გაუმართავთ, რასაც მოჰყვა ის, რომ ხარი ადამიანს ჩაბარდა, ირემი კი ტყეში გაუშვეს, რათა იქ ენაეარდა. შუმერები ხარს გმირის სახელით მიმართავდნენ. ისიც ცნობილია, რომ ძველებრაველი მღვდელი ცოდვების მოსანანიებლად ხარს სწირავდა, თავადი – თხას, ე.ი. ხარი აქაც წინა პლანზე იყო წამოწეული (ე. ანტონოვა, ოჩერკი ... გვ. 14, 29, 176, 213). მოგვიანებით ასე იყო საქართველოშიც.

სხვა ავტორების მიხედვით, შუმერები გაღმერთებულ მეფე ნარამსონს ღვთაებრივ ხარს ეძახდნენ. მატერიალური კულტურის აქაურ ძველებშიც ხშირად ფიგურირებს ხარი, თავთაეები, ხარის რქებში გამოსახული ბურთი, ალბათ დედამიწა, მრავლადაა ბეჭდვებზე. შემონახული ოქროთი ჩამოსხმული ხარის ქანდაკება, მას რელიეფზეც გამოსახავდნენ (დრეენი ვოსტოკ. ბუდაპეშტ. 1985, გვ. 10). ძვ. წ. 712-707 წლებში სარგონის სასახლის კარიბჭის გუშაგად ხარი ყოფილა. ეგვიპტეში ხარის კულტი მეფეებისა და ღმერთებისას უთანაბრდებოდა. შუმერები ხარს ღლეობებსაც უხდიდნენ. ასე იყო ბაბილონსა და ინდოეთშიც. ზენდურისა და ავესტის მიხედვით, ხარი ყველა ცოცხალი არსების მშობლად გვევლინება. ასე თვლიდნენ ინდოეთსა და სკანდინავიის ქვეყნებშიც. ხარის ქანდაკებები არსებობდა კასტელიასა და ესპანეთის სხვა ოლქებში.

ასევე ყოველსმძლედ ჩანს ხარის კულტი კუნძულ კრეტასა და საბერძნეთში. აქაც აღმერთებდნენ მას. ბერძნები ყურძნის მოსავლის აღებისას სწორედ ხარსა და კაცს სწირავდნენ, როგორც ნაყოფიერების სიმბოლოს.

ბერძნების ღვთაება ხარი ზევსი იყო, მემფისისა – ხარი აპისი, ეგვიპტელთა ოსირისიც ხშირად ხარის სახეს იღებდა, ხოლო ინდოელების ხარ-ღვთაებას ვიშნუ ერქვა.

თქმულების მიხედვით, პელიოსს ბერძნული კალენდრის შესაბამისი 350 დღის განსასახიერებლად ხარის 350-სულიანი შეიდი ჯოგი ჰყავდა. შიმშილის დასაოკებლად ოდისევსმა, ამხანაგებთან ერთად, რამდენიმე ხარი დააკვლევინა. ამით განრისხებულმა ღმერთებმა მათი გემი ნანგრევებად აქციეს, მხოლოდ ოდისევსი გადაურჩა დაღუპავს. ასე იმიტომ მოხდა, რომ მაშინ ხარების დაკვლა აკრძალული ყოფილა. ეს ცხოველი ძველთაგანვე ტოტემად იყო წარმოდგენილი. ანუ გაღმერთებული მთელს ხმელთაშუაზღვის აუზის ქვეყნებში (ბერძნები ხარს ბოუს, ბოსს, ბოს უწოდებდნენ. ხარის ძლიერების გამო ხომ არ უწოდეს ეს სახელი მდ. ჭოროხს, რომელმაც ერთხანს ბოას სახელით მოიხსენიებდნენ და დაუმორჩილებელ, მოუთოკავ, სწრაფ მდინარედ თვლიდნენ).

ესპანეთ-პორტუგალიაში ხარებთან ერთაბრძოლა – კორიდა დღემდე ეროვნულ დღესასწაულადაა მიჩნეული. ჩვენ ეს სისასტიკედ გვეჩვენება, კორიდას მომწყობსა და მაყურებლებს კი – ძლიერების, რწმენის, გატანის განსახიერებად.

ხეთების მიწაზე, ახლანდელ თურქეთის ბოლაზყოის გათხრებისას მოპოვებული მასალებით დასტურდება, რომ იქ ხარის ფიგურები ჰქონიათ ჩვენს ერამდე 2200 წელს. აქვე აღმოჩნდა აგრეთვე, თიხის ჭურჭლეული ხარების გამოსახულებით. ხურიტებსა და ხეთებშიც ხარი ჭექა-ქუხილის ღვთაებად იყო მიჩნეული, მოგვიანებით, როგორც წესი, ხარი ღმერთის თანამგზავრად აღიარეს, მაგრამ არა ღვთაებად (დჯ. მაკუინი, ხეტტი ი იხ სოვრემენიკი ვ მალაი აზიი, მ., 1983, გვ. 85, 127, 140).

ხარის კულტი, ისე როგორც შუმერებში, ბაბილონელებსა და ინდოელებში, ძველი დროიდან ძლიერია საქართველოშიც. გათხრებისას ქართლის სალოცავებში აღმოჩნდა ოთახი, მიძღვნილი ბულა-მწარმოებლის კულტისადმი, ხოლო მეორე – ხარი-მხვნელისადმი. ჩვენმა წინაპრებმა ხარი მთვარის ღვთაებადაც აქციეს, ნაყოფიერების სიმბოლოდ მიიჩნიეს. ხარის კულტის ხასიათის გასაგებად გარკვეულ მონაცემებს იძლევა აჭარისათვის ცნობილი დღესასწაული ბოსლობა. ხარი გამოსახულია კოლხურ ფულ თეთრზე, ბათუმის, ფიჭვნარის, ბობოყვათისა და სხვა არქეოლოგიურ გათხრებში მოპოვებულ ნივთებზე, სკულპტურის სახითაც (ნ. ხახუტიანი-ილი, ადრე რკინის ხანის სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზღვისპირა მოსახლეობის რელიგიური რწმენა-წარმოდგენები, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1991, გვ. 16-24).

ცხოველის წარმოსახვა ღვთაებად ქართული მითოლოგიისთვისაც არ იყო უცხო. სოფლის მეურნეობამ ტოტემი ხარი ღვთის შეილად აქცია, ღმერთი ადამიანებს ეკლესიების აშენებაში ხარების საშუალებითაც

ეხმარებოდა, მისგან ნაკურთხად ითვლებოდა. ქართველი ამბობს:

ხარო, ხარი ვინ დაგარქო,  
ხარო, სახე მშვენიერო,  
წყენ ნუგეშად მოეღვინილო,  
ქედნაკურთხო, ღონიერო.

ქართველებმა, სხვებმაც ირწმუნეს, რომ ხარი ადამიანის მიწაზე დამკვიდრების აუცილებელი პირობაა, რადგან მისი შენახვა ხარმა ითავა, მსახურად დაუდგა. თუ რა დიდი გავლენა ჰქონდა მას, კარგად ჩანს აჭარულ გადმოცემაში, რომელიც საქართველოში გავრცელებულ შეწირვას ეხება. „უწინ თურმე ზევით, მთაზე მიჰყავდათ საქონელი, მალლა გორაკზე. უნდა აეყვანათ, ააწიეს თუ არა, ხარი წაიქცა და დაწვა. თქვეს: ეს ჯანსაღი ხარია, ამას შეეძლო მთაზეც ასულიყო თავისუფლადო, მაგრამ აქ რო დაწვა, ამ ადგილს დავარქვათ საყურბანე (ანუ შესაწირავი ცერემონიალის ადგილი). დაერქვა და დარჩა (ბ. აბაშიძე, ქართული მითოლოგიის საკითხები, თბ., 1991, გვ. 169-195). მისივე აზრით, ხარის კულტი საქართველოში ირანიდან შემოვიდა (იქვე გვ. 176), რომ ძველ ირანელთა ღვთაება იყო ხარა – კოსმიური ცეცხლი, ნათება, გილგამეშის ეპოსშიც, დახმარებას ზეციურ ხარს თხოვენო. გოდერძი ირანულად ძლიერ ხარს, ძლიერი ხარის მეპატრონეს ნიშნავს. ასე ჰქვია ჩვენს უღელტეხილსაც.

აჭარელთა მეორე თქმულებით, გვალვამ ამოაშრო წყალი. გორიძირს შეწუხებული ჯოგის გადასარჩენად ხარი იქით-აქით რქებით ებგერა მიწას და წყარომაც ამოხეთქა. ღმერთის გულის მოსალობად, ეს ხარი იქვე დაკლეს, მას შესწირეს. სულ ასე მეორდებოდა ვედრებით: გამჩენელო გვაჩუქე ცის ნამი, გაგვიცოცხლე მიწაო (ზ. თანდილაეა, მაცნე, თბ. 1978, 2, გვ. 64).

ხულოს რაიონის სოფ. აგარის მკვიდრთა გადმოცემით, სამსხვერპლო ხარი დაკვლისას წამოხტა, კორდზე ავარდა და ბღაველით დაეცა. შეიბრაღეს და არ დაკლეს, სხვა შესწირეს, რომლის სისხლს ასევე ხეებს უსვამდნენ, რათა ყოველწლიურად უხვად მოესხათ.

აგარელები ხშირი წვიმებისა თუ გვალვისას ტაროსის ღვთაებისათვის ხარს კლავდნენ და ამით სასურველი ამინდის დადგომა სწამდათ. ხარს ყიდულობდნენ ერთობლივად, თანაბარი მონაწილეობით, საამისო ფულს არ ართმევდნენ მხოლოდ ქერივ-ობლებს, მაგრამ სანაწილოს, რომელიც სამსხვერპლო ხარის ყველა ნაწილისაგან შედგებოდა, აძლევდნენ. კლავდა პატიოსნებით აღიარებული და მორწმუნე, ესწრებოდა ბევრი. ხორცი მიჰ-

ქონდათ ჯოხზე წამოცმული. ჭამის დროს ელიას თხოვნენ: „ღმერთმა ყაბული ქნასო“, ე.ი. გვისმინოს, ნება მოგვცეს (ნ. მგელაძე, ერთი წარმართული რიტუალის შესახებ ღორჯომის ხეობაში, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, VIII, გვ. 5-7, თბ., 1984).

პროფ. ნუგზარ მგელაძე იმაზეც ამახვილებს ყურადღებას, რომ ხარის კულტი ჯერ შეერწყა მამა-ღმერთს, შემდეგ წმ. გიორგის კულტს, ამიტომ, რომ ხარის რქები ჩვეულებრივ მთვარის სიმბოლოს ნიშნად ითვლებოდაო, – იმოწმებს ა. იოსელიანსა და ივ. ჯავახიშვილს.

ამრიგად, ხარი წარმოდგენილია როგორც წყლის, სიუხვის შემქმნელი, დაცვა-მფარველობისა და მიწის ნაყოფიერების არსება, რაც წარმართობიდან ასე იყო (ზ. თანდილავა, ლეგენდა სოფელ ვერნებზე, მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, 2, გვ. 64). გვევლინება, აგრეთვე, როგორც სიცოცხლის წარმომქმნელი, გამნაყოფიერებელი. თედო სახოკიამ პირველმა აღწერა, რომ გოდერძის მიდამოებში ტბიდან ამოსული ბულა სწორედ ამას აკეთებდა (თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 212). თქმულებით ასე ხდებოდა ჭვანაშიც, რაც აკადემიკოსმა ვახტანგ შამილაძემ აღწერა და ისიც დასძინა, რომ ასეთ წყალში უშვილო ქალები ბანაობდნენ, რათა პირმშო გაჩენოდათ, ხოლო წყლიდან ამოსული ხარის ნადგომზე მშვენიერი ბალახი ხარობდა და დასვენების ადგილადაც ითვლებოდა. სხვათა შორის, მეზობელ შავშეთშიც დადასტურებულია თქმულება ამგვარ ხარ-მწარმოებლებზე. აკად. ვ. გორდლევესკის მიხედვით ე. წ. „სუ ჯამში“ – წყლის ხარი, თურქეთის სხვა მხარეშიც იყო ცნობილი. მეზობელ იმერხევეში ხენის წინ ხარებს რქებს უღებავდნენ.

ჯ. ნოლაიდელის ცნობით, აჭარლები ხენა-თესვის წინ ხარებს შუბლზე კვერცხის გულს გადაუსვამდნენ, რათა უხვი, მოყვითალო სიმინდი მიეღოთ. შეაბამდნენ წითელ ძაფსაც. ამასთან ტაბიკებს წითელი ვაშლისა და ტყემლის, აგრეთვე ასკილის ხიდან ამზადებდნენ, ძალას შეჰმატებდნენ, – იტყოდნენ. აჭარლების წარმოდგენითაც, წითელს მაგიური ძალა აქვს. ამის საილუსტრაციოდ ერთმა აჭარელმა მეზობელს ხენის დროს შვილი მიუგზავნა. ხარი დაკლული ექნება და ხორცი წამოიღე ოჯახისათვისო. შვილმა ხარი უღელში შებმული ნახა. – წითელი ტაბიკი ექნებოდა, თორემ ისეთი თვალი მაქვს, უთუოდ მოკლავედიო, – უთხრა შვილს.

სხალთის ტაძრის მშენებლებს ქვები ხარების საშუალებით მიუზიდავთ, 25 მარტს კი ხარის დღეს ხარებასთან ერთად აღნიშნავდნენ, საახალწლო სუფრასთანაც მიიყვანდნენ, დაღავდნენ, რქებზე სანთელს დაუნთებდნენ, იტყოდნენ:

წადი, ხარო, იმუშავე,  
ერთ კვირასა და ბარსედა,  
ვინც კვირა უქმეს შეგაბას,  
ხელი შეახმეს კლაუხედა.  
ხარო, დადგა მისი,  
ახლა ხორციით გაიქსი,  
წყალია თუ ბაღახი,  
გახუქდი და გალაღდი.

(მ. გიორგაძე, ქართული ხალხური კალენდარული საწესჩვეულებო პოეზია, თბ., 1993, გვ. 70-71).

ცნობილია, რომ ახალაშენებულ ქალაქში „ადამიანის დარჩენა ვერაინ ვერ ითავა მხარზედა, მაშინ ხარმა ქრისტეს მოახსენა: „მე დამიღვია თავზედა“, ამის გამო:

წამოვიდნენ ანგელოსები, აკოცეს ორსაე თეალსედა,  
ღვთის წამოსხმული სანთელი დააკრეს ორსაე რქაზედა,  
წადი, ხარო, და იხარე ცასა და ქვეყანაზედა,  
ექესი დღე კი იმუშავე, მეშვიდეს დაწექ მხარსედა.  
ვინც მეშვიდეს შერ შეგაბას, რისხეა მიაღვეს კარსედა!

(პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, 1, გვ. 248, 1964).

აჭარაშია ყურძნის ჯიში ხარისთვალა, სამკურნალო მცენარე ხარის-  
შუბლა, რომლისგანაც ბათუმის ქიმიურ-ფარმაცევტულ და სხვა საწარ-  
მოებში წამლებს ამზადებენ. ხარისფლიკაი კი სხვა ბალახს ჰქვია, ხოლო  
თვით ცხოველს ჩახალაის, შავარდენას, სანთელას, ასლანს (ლომს), ნიკ-  
ორას, აღმასხანს ეძახიან. ტოპონიმებია: ხარისთავი, ხართა ხევი, ხარი-  
გზა, ხარისწყალი, ხარისაკიდი და სხვა. განსაკუთრებით, მრავლადაა ხა-  
რისაწოლი. ხარაულა ქვია სოფელს ქედის რაიონში. აქვეა, გვარი ხარაძე,  
ხოლო ღორჯომსა და ახალშენში – ხარაბაძე.

ამრიგად, ხარის კულტი ჩვენში უშუალოდ დაკავშირებულია ამინდის მა-  
რთვის რიტუალებთან. მართლაც, რა საჭირო იყო წვიმა, თუ მიწის მუშას  
სახნავე-სათესად ხარი არ ეყოლებოდა. ამასთან იგი საკვებ პროდუქტსაც იძ-  
ლეოდა. ამიტომაც თ. სახოკიასი არ იყოს, აჭარაში ხარს, ცხენსა და საერ-  
თოდ პირუტყვს, სანიმუშოდ უვლიდნენ და ახლაც კარგი მესაქონლეები არიან.

1997 წელს მსოფლიოში აღინიშნა ხარის წელი, რამაც ამ თემაზე საუ-  
ბრის გაგრძელება მიკარნახა. ხარს პატივი უნდა მივაგოთ, ჩაერთოთ მო-  
საველის, შუამთობისა და სხვა ზემებში, დავუდგათ თუნდაც ბეტონის ძე-  
გლი. მით უმეტეს ძველთაგანვე ჩვენი წინაპრები ეთაყვანებოდნენ, წყლის  
გაჩენასა და სხვა სიკეთესაც მიაწერდნენ.



ახოელ ხემიდ ნაკაშიძის გადმოცემით, ქედის რაიონის სოფ. გეგელიძეებში წყალი არ ჰქონდათ. ბუღაძე „იბუღრაგა“ და ახლა რომ წყაროა, იქ წყალი გამოავლინა. გახარებულებმა ხარი ღმერთს შესწირეს. წყალი რომ არ გამქრალიყო, თურმე ყოველი წლის ივლისში სწირავდნენ, შერჩეულ ხარს დაკლავდნენ და სისხლს წყალში ურევდნენ. გვალვა თუ იქნებოდა, მაშინაც სწირავდნენ, ხორცს გაჭირვებულებს ურიგებდნენ (სამხ. დას. საქ-ს ზეპირსიტყვიერება, 10, გვ. 116-117, თბ., 1990).

ეს ამბავი უფრო ვრცლად აღწერა გეგელიძეებელმა მურად კეკელიძემ, მამამისის გადმოცემით, აქ ორ მესაქონლე ბუღებს საგანგებოდ უვლიდა და მათ ორთაბრძოლას არ მართავდნენ. საამისოდ ხარები სხვა სოფლებიდანაც მოჰყავდათ, გეგელიძეების ხარი ყოველთვის იმარჯვებდა. ერთხელ შერკინება კარგა ხანს გაგრძელდა, მოყვანილს რქა მოატყდა, ბლავილით გაიქცა და გადაიკარგა. გამარჯვებულმა კივანით იმ ადგილს ეძგერა რქებით, სადაც ახლა წყარო მოედინება, ჯერ ქვები გადააბრუნ-გადმოაბრუნა და გადააგორა, გამოჩნდა სისველე, მერე წყალიც წამოვიდა, მაგრამ მიწის სიღრმიდან მაინც ისმოდა ჩხრიალი. წერაქვებით, თოხებით გამოუთხრიათ იქაურობა და წყალიც მომატებულა. ეს ყველაფერი ღმერთს მიაწერეს და ხარი შესწირეს. ამ ადგილს წყაროსთვალი უწოდეს.

გვალვა თუ აუტანელი ხდებოდა, მოსავლის გადარჩენისათვის იყიდდნენ ხარს და ამ წყაროსთან ღმერთს სწირავდნენ, წვიმას შესთხოვდნენ. მეზობელ სოფლებიდანაც მონაწილეობდნენ. ისლამის დამკვიდრების ხანაში ამ ცერემონიალს მღვდლის ნაცვლად ხოჯა ედგა სათავეში. ასევე ლოცვებით მიმართავდა ღმერთსა და წყალს, წვიმას შესთხოვდა. მოსახლეობა, როგორც ადრე, ახლაც ერთხმად „ამინს“ ამბობდა. საამისოდ ხარი უკანასკნელად 30-იან წლებში დაუკლავთ (გაზ. „კოლმეურნე“, 1986, 8 ივლისი). ძველ საბერძნეთში კი ყურძნის მოსავლის აღების ზეიმზე, მსხვერპლად ვაცებსა და ხარებს ნაყოფიერების სიმბოლოებს სწირავდნენ.

ქობულეთის რაიონის ხინოს ხეობაში ჩაწერილი თქმულებით, იქ ხარი რქებზე დამაგრებული ხანჯლებით ებრძვის გველეშაპს და იმარჯვებს. შუახევის რაიონის სოფ. საბელაშვილების თავზე გომის ტბის ბუღა ამარცხებდა სოფლისას, ამიტომაც მას თოფი ესროლეს, მაგრამ ტბაში შესვლა შეასწრო. მსროლელი კი ბუღის უჩინარმა დამცველმა ავად გახადა, ხოლო ხინოს თქმულებით, გველეშაპის მიერ დაწყვეტილები გადაშენდნენ (ზ. თანდილავა, წყლის კულტი და ქართული ფოლკლორი, ბ. 1996, გვ. 85-89).

წარმოშობით იქაურმა, ბათუმის საბაჟოს პოლიციის უფროსის მოადგილემ დურსუნ მიქელაძემ 2000 წლის 23 თებერვალს მიაგმო: ხინოში ამ ადგილს ტბის ყელი ჰქვია. მისიანები განთქმული იყვნენ ჯიშინი ხარებით.

ერთხელ ხარი გასისხლიანებული მოვიდა, მერე გადაიკარგა. მოძებნეს და დარწმუნდნენ, ტბასთან ორთაბრძოლა ჰქონია, მაგრამ რასთან, არ იცოდნენ. ამის გამო რქები რკინით გაუმაგრეს, კარგად დააპურეს და თვალის დევნებით გაუშვეს. ტბასთან შემზარავად დაიბლაულა თუ არა, წყლიდან ამოვიდა ხარი და კიდევ შეებნენ ერთმანეთს. ტბის ხარის სისხლმა ტბა სულ გააწითლა. ხინოში ხარებისა და ცხენების შერკინება პოპულარული ყოფილა.

უარესი უბედურება მოჰყვა ვერნების ტბის ბულის დამარცხებას. სოფლის ბულის პატრონმა ვერ აიტანა თავისი პირუტყვის არაერთი დასისხლიანება და რქებზე რკინა მოარგო ისე, რომ გაემარჯვა, ასეც მოხდა, რის შემდეგ ტბის ბულა არ გამოჩენილა, მაგრამ ამას მოჰყვა იმ ბულის რისხვა, ამოვარდა ქარიშხალი, რამაც წალეკა მთელი სოფელი. ამიტომაც აქაურობას ვერნები შეარქვეს ანუ გავერანებულიო (იხ. ჩვენი წერილი ვერნების შესახებ).

ანალოგიურია ხულოს რაიონის არსიანის მთის ადგილ ბული ტბის ამბავი. ზაფხულობით აქედან ამოდიოდა ღონიერი, წითელი ფერის ბულა და ძროხებს ანაყოფიერებდა, მაგრამ ხარებს ხოცავდა. ერთ მეპატრონეს წაწვეტიებული რკინით მოუჭედია თავისი ხარის რქები და ბულასთან შესარკინებლად გაუშვია. ამჯერად ბულა დასისხლიანებული ტბაში შევარდა. ამის შემდეგ იგი არავის უნახავს (თ. სახოკია, მოგზაურობანი, 1950, გვ. 212). ამრიგად, ამ შემთხვევაში ისე, როგორც ხინოში, ხარი ხალხის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა. ხარის დადებითი როლი ასევე გამოკვეთილია თქმულებაში ჭვანის ხეობის ჭინჭაოს ტბისა და ძელიგორის საძოვრების შესახებ. აქ მოზინადრე ბულა არავის არაფერს უშავებდა, პირიქით, სარგებლობა მოჰქონდა, ამოვიდოდა ტბიდან თუ არა, წებობდა. სწორედ ამის გამო აქაურობა საძოვრად იქცა, კიდევ მეტი, როგორც ადგილს, ისე წყალს, სამკურნალო თვისებებიც მიეცა. აქ ქალები უშვილობას მკურნალობდნენ. ამაზე გაამახვილეს ყურადღება მკვლევრებმა: ვანტანგ შამილაძემ და ნოდარ მაკალათიამ. მათი აზრით, ტბებს მამაკაცური ბუნების მქონე გამანაყოფიერებელი ძალა მიეწერებოდა. ეს კი ვლინდებოდა წყლის, ტბის ბულის, ხარის, ცხენის, კამეჩის სახით, ამიტომ იყო, რომ უშვილო ქალები შუამთობის დღეებში ასეთ ტბებში ბანაობდნენ, ვ. შამილაძის თანახმად, საქმე გვაქვს ტბისა და ხარის კულტის ურთიერთშერწყმასთან, როდესაც ტბის კულტი, ხარის კულტის სახითაა პერსონიფიცირებული (ნ. მაკალათია, წყლის კულტთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხის შესწავლისათვის, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის. XVI-XVII, გვ. 301, თბ. 1972).

მსგავსი თქმულებები შემონახულია მეზობელ შავშეთში, მესხეთსა და კახეთში. ბოჭორმაში აჭარისაგან განსხვავებით, ხარი-კურატი წმინდა

გიორგის ეკუთვნოდა, ზოგჯერ ისიც დასისხლიანებული ბრუნდებოდა, გველემას ვერაფერს აკლებდა. აქაც რქებზე რკინა გაუკეთეს, რამაც უზრუნველყო გიორგის ხარის გამარჯვება. განრისხებულმა გველემამა ალაზნის გორა დაშალა. ტაბაწყურის ტბაში კი ცხენი და კამეჩიც ბუღობდა. შავშეთში ეტყობა აჭარის გავლენით გავრცელდა, აქაც არსიანის ქედი მოიხსენიება. თურქები ტბაში მობინადრეებს „სუ ჯამის“ უწოდებდნენ ანუ წყლის კამეჩს. საკმარისი იყო შეეწირათ პირუტყვი და უკან ბრუნდებოდნენ, ე.ი. აქ პარაზიტებად გვევლინებიან (ვ. გორდლეესკი, იზბრ. სოჩ. 3, გვ. 321, მ. 1962).

ჩენეთის მაგალითი ასეთია: დედა-შვილმა რეცხვით წყალი გააჭუჭყიანეს. ამის გამო განაწყენებული ტბა ხარად გადაიქცა და სხვაგან გადაიბარგა. აქ გუთანში შეაბეს, ხენისას წყალმა ამოხეთქა და ხარიც გადაეშვა მასში, რაც გეგელიძეების ამბავს მოგვაგონებს.

აჭარაშია ლექსი ყარა ანუ შავ ბულაზე. გამოთქმულია სინანული იმის გამო, რომ მეპატრონემ სათანადოდ ვერ მიხედა, თუმცა მას გადმოაზიღვინა სამშენებლო ქვები. ხალხს სჯეროდა, რომ ხარის განაწყენების გამო ღმერთი დასჯიდა. ცოდვად ითვლებოდა ხარის მოპარვაც. შემთხვევითი არაა ის, რომ საქართველოში რელიგიური დღესასწაულების უმრავლესობა ხარს უკავშირდება. ესენია: ხარება, ხარობა, ხარის დღეობა, უფლის ხარის დაბადების დღე, ხარების ლესკრობა და სხვა.

ქეთევან რუხაძე (ახალი ქართული გაზეთი, 1998, 4 ნომბერი) წერს: ეკლესია-მონასტრების ასაგებად ხარი მიუძღვებოდა ხალხს, ე.ი. ღვთიური გზის მაჩვენებელია, რადგან სწორედ ხარს, ღმერთის რჩეულს, მიჰყავს ხალხი ტაძრამდე, ღმერთის სახლამდე, ხომ არ შეიძლება, აქ ხარის ფუნქცია შევადაროთ ბიბლიურ მოსეს ფუნქციას, რომელსაც ებრაელი ხალხი მიჰყავდა აღთქმული ქვეყნისაკენ? ხარსაც ხომ იმ ადგილიდან მიჰყავს ხალხი, სადაც ეკლესია არ შენდებოდა, სადაც ხატი ვერ ჩერდებოდა, ე.ი. ის ადგილი ცოდვიანი, უწმინდური იყო და სწორედ ხარს უნდა მოეშორებინა საზოგადოება ამ სიავისათვის, მას უნდა წაეყვანა ხალხი სიკეთისაკენ, სიმართლისა და სიწმინდისაკენ.

ღია ნარჩემაშვილმა მოგვაწოდა ასეთი თქმულება: ვანის რაიონის სოფ. ამაღლებაში გლეხმა დაარღვია დადგენილი წესი – ხარების დღეს ხარები სამუშაოდ გამოიყვანა. ხენა-თესვის მოთავეების შემდეგ, გლეხი სახლში დაბრუნებისას ღიღინებდა: ხარება და ხარხარება, ჩემს ოჯახს გახარება. უცებ მიწა გასკდა და მეხრე ჩაიტანა. ამ ადგილას გაჩნდა ტბა, რომელსაც ხარების ტბა ჰქვია.

## ბოსლობა – წარმართული დღესასწაული

ქრისტიანობის გავრცელებამდე საქართველოში იყო ღვთაება ბოსელა-ბოსლა, მესაქონლეობისა და მოსავლიანობის მფარველი, ვენახის გამხარებელი, ხვავის მომმადლებელი.

ეს ღვთაება დაუკავშირეს ხარს, საერთოდ პირუტყვის სადგომს, რომელიც გომის, გომურის, ბაკისა და ფარეხის ფორმითაცაა ცნობილი. ამათგან განსხვავებით, სადგომი საცხოვრებელ სახლში შედიოდა ან მის გვერდით, ახლოს შენდებოდა და ცხადია, ერთ მიზანს ემსახურებოდა – პირუტყვის მოვლა-პატრონობასა და გამრავლებას. პირუტყვის ამ ახალ, ანუ დახურულ სადგომს ღვთაება ბოსელა-ბოსლას პატივისცემა-აღიარების ნიშნად, ბოსელი უწოდეს და დღესასწაული – ბოსლობაც შემოიღეს. ასე რომ, ბოსელას კულტმა მეცხოველეობისადმი მიძღვნილი საერთო დღესასწაული, რიტუალი, ტრადიცია, დღეობა მოგვცა.

ბოსლობა აღინიშნებოდა დიდი ზეიმით ყოველ იანვარ-თებერვალში. აკაკი გელოვანის მიხედვით, ბოსელში შედიოდნენ სანთლითა და დოქი ღვინოთი, ლობიონარევი ნამცხვრით. ძროხისა და ხარის წილ ნამცხვრებს ცალ-ცალკე ლოცავდნენ, შუბლზე თმას სანთლით უტრუსავდნენ და ღვინოს შესვამდნენ, თან ილოცებოდნენ. ფაქტიურად ეს იყო რელიგიური დღესასწაული მესაქონლეობის ღმერთის ბოსელას გულის მოსანადირებლად, პირუტყვის დაცვა-გამრავლებისათვის (მითოლოგიური ლექსიკონი, გვ. 105). ამავე აზრისაა ნ. ბრეგაძე.

რაჭული დიალექტის ლექსიკონის მიხედვით, რომელიც ალექსანდრე კომახიძემ შეადგინა, ბოსლობა დიდმარხვის დადგომამდე, შაბათს აღინიშნებოდა. საკვებით შედიოდნენ ბოსელში, ერთმანეთს ულოცავდნენ და თან ამბობდნენ: „დათვი ჭლე და შენ სუქანი“, ე.ი. ხარი, ფური, ხბო და სხვა. მერე საჭმელს შეექცეოდნენ, ერთი კი კვერცხის დასამალავად რჩებოდა. სახლში კარებს ჩარაზავდნენ და იტყოდნენ: – ხარებმა შემოთვალეს უღელი მოამზადეთო, ძროხამ – სახბოო. კარის გაღებისას ქატოს შეაყრიდნენ ერთმანეთს და იცინოდნენ.

სტატიის მიხედვით „აგარარულ-რელიგიური დღესასწაულების ისტორიიდან აჭარაში“, აკადემიკოსმა ვახტანგ შამილაძემ აღწერა ბოსლობის აჭარული ვარიანტი. ახალი წლის წინა დღის საღამოს ოჯახის უფროსი ქალი და კაცი კერიაში ახსნილი ჯაჭვით შეუძმნეველად შედიოდნენ ბოსელში და პირუტყვს სამჯერ უვლიდნენ, მერე კი განაყოფიერების სიმბოლურ რიტუალს ასრულებდნენ. ღორჯომელთა განმარტებით, აუცილებელი იყო ამა პროცესის განმეორება თვით ახალი წლის დამეს.

მეორე ვარიანტით მამაკაცს მარცვლეული უნდა მოეფინა პირუტყვის ირგვლივ. ასევე იცოდნენ ბაგაში ორჯერ ყველის გაგორება. შექქონდათ მოხარშული სიმინდიც, ღომი, ნაძვის ქერქი, რომელსაც ასევე მიმოაბნევდნენ. იცოდნენ აგრეთვე გართობა-თამაშობანი, მათ შორის მოკუჭალიება და ბუღობია, მაგრამ ფეხი არსად არ უნდა წამოეკრათ.

აჭარის გასაბჭოებამდე, ანუ 1921 წლის მარტამდე, როდესაც ჩვენთანაც საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა, ამ რიტუალის შესრულების გამო წინწყალაძეებელი ხასან ირემაძე და ღომან მახარაძე ჯამეში სალოცავად არ დაუშვეს. მეცნიერი თვლის, რომ ხსენებული ჩვეულებები ღვთაება ბოსელადან მომდინარეობს.

ვ. შამილადის აზრით, ბოსლობასთან დაკავშირებული აჭარის ეთნოგრაფიულ ყოფაში შემორჩენილი მონაცემები ანალოგიას პოულობს სხვა ქართველურ და კავკასიურ ტომებში ცნობილ მესაქონლურ-აგარარული ხასიათის დღესასწაულებთან. ამასთან, აჭარაში ბოსლობისათვის დამახასიათებელი ადგილობრივი თავისებურებანი კიდევ უფრო მეტ ნათელს ჰფენს და ავსებს აღნიშნული დღესასწაულის ზოგად ქართულ ხასიათსა და ბუნებას (აჭარის მოსახლეობის სამეურნეო ყოფის საკითხები, თბ., 1971, გვ. 29-37).

ვერა ბარდაველიძის ახსნით, ბოსლო-ბოსელის ღვთაებად თავდაპირველად ქართველ და კავკასიურ ტომებში მუშა ხარი ყოფილა აღიარებული. შემდეგ საქონლის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა.

დღესასწაულ „ბოსლობის“ სახელწოდება ტოპონიმებშიც აღინუსხა. ბოსლაა თერჯოლის რაიონის ჩხარში, ბოსელი-ბოსლები-ნაბოსლევი ღუშეთის, დმანისის, ტყიბულისა და სხვა რაიონებში. ქობულეთის რაიონშია სოფელი ზერაბოსელი. თვლიდნენ, რომ ქალმა ზერამ მოაწყო და ამის გამო ეწოდაო. ფაქტიურად ესაა ზედა ბოსელი. ადგილი ბოსელათია არძენაძეებში, ნაბოსლევი ქედის რაიონის სოფელ ოქტომბერში, მერისსა და ღუაძეებში, ნაბოსლევი სიღიბაურსა და კირნათის კობალთაში. ისე კი ჩვენს მხარეში პირუტყვის დახურულ სადგომს ახორი ჰქვია და იგივე შინაური საქონლის სახლია, როგორც ბოსელი. ამას ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი წერდა.

აკად. ალ. რობაქიძე იმის დამადასტურებლად, რომ აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არც ერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართული ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების პროცესში, სწორედ მესაქონლეობასთან დაკავშირებულ და ორთოდოქსალური ისლამის დოგმებისთვის ამკარად შეუწყნარებელ მაგიურ რიტუალ – ბოსლობას მიიჩნევს, რომელიც ამის გამო აჭარელთა ოჯახებში საიდუმლო ვითარებაში სრულდებოდა.

## ფრინველების კულტი

ერთ-ერთი თქმულების მიხედვით, ქალის გაჩენისას ღმერთმა მას ცხოვრებისა და ფრინველების ესა თუ ის თვისებები შთაუნერგა, კერძოდ, გელის სილამაზე, ფარშავანგის სიღინჯე, ბულბულის სასიამოვნო ხმა და სინაზე, მტრედის უწყინარობა.

მონღოლური ეგრეთ წოდებული 12-წლიანი კალენდრის მიხედვით, აღინიშნებოდა თაგვის, ხარის, ვეფხვის, კურდღლის, თევზის, გველის, ცხენის, ცხერის, მაიმუნის, ქათმის, ძაღლისა და ღორის წელიწადი.

ფრინველებს შორის ადამიანს პირველად ქათამი მოუშინაურებია, იგი ნაყოფიერია, იძლევა კვერცხს, ხორცს, ანადგურებს მწერებსა და სხვა მავნებლებს. ამასთან, ადვილად მოსაველეია.

მეცნიერმა ჯემალ ნოლაიდელმა პირველმა აღწერა „ქათმის ფერხვის აჭარული ვარიანტი. ამ პროცესს „კარგი ფეხისას“ ანღობდნენ, რათა ქათმები გამრავლებულიყვნენ და კვერცხიც ბლომად დაედოთ, ამასთან, ოჯახში ბედნიერება ყოფილიყო. მფერხავს დილით მისცემდნენ სიმინდითა თუ ქატი-ოთი საესე კოთხოს. უნდა მისულიყო საქათმესთან, გამოეშვა და შელოცვით გამოეკვება. ამბობდა: „ასი დედალი, ასი მამალი, ტყეში სურო, ზღვაში ქეიშა, ღმერთო ამდენი გვიმრავლეო!“ – სამჯერ გაიმეორებდა და საკვებს მიართმევდა, მერე ცარიელ კოთხოს თავზე ჩამოიმხობდა, ქოჩორა ვარიები გამოიზრდებიანო, მფერხავს იმ დღეს სხვაგან წასვლა არ შეეძლო, რათა ქათმებს შორის წასვლა არ დაჩემებოდათ. ადგომაც არ შეეძლო, სხვაგვარად კრუნს ბუჯერის (ბუღის) გამოცვლა დაებედებოდა (ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 1, გვ. 123-124, ბ., 1971).

მცირე აზიაში მზრუნველობით გარემოსილი იყო ყარყატი. მოგზაურ პეტრე ჩიხაჩევის მიხედვით, იგი ხელუხლებლად მიიჩნდათ, ყველგან შეეძლო დაბუღება. მეჩეთებზეც, სახლთან, სოფელში მისი მოფრენა და დარჩენა სიკეთეს, ბედნიერებას მოასწავებდა. ჯერ კიდევ არისტოტელემ შენიშნა, რომ ყარყატი ღვთისნიერი ფრინველია, გამოირჩევა შვილებისადმი ნაზი მოპყრობით, სამაგიეროდ ისინი სიბერეში მშობლებს კვებავენო. ფრინველებზე მზრუნველობას ქადაგებდა ჰეროდოტეც. ფსალმუნში ნათქვამია, რომ ყარყატს უყვარს ბუღის კეთება კვიპაროსზე, თუმცა ნება ყველგან აქვსო.

აჭარაში ყარყატის სახელწოდებიდან მომდინარე სოფელიცაა. ესაა ლაკლაკეთი, აი რატომ დაერქვა: ძველად აქ მოფრინდა ლეგლეგი, ანუ ლაკლაკი ყარყატი, წეროსაც რომ ვუწოდებთ. აპრილში მოფრენილს თუ ხო-

რბლის მარცვლები მოქონდა, ის წელი უხემოსავლიანი იქნებოდა, ხოლო სისხლიანი ქსოვილის ნაჭერის მოტანა, გვაღვას ნიშნავდა. მოფრინდებოდა შეუმჩნეველად, მეტწილად წისქვილთან ისადგურებდა. მოკვლა სასტიკად აკრძალული იყო. მეზობელ წაბლანაში შემთხვევით მოკლული თეთრ ქსოვილში გაუხვევიათ და ისე დაუსაფლავებიათ. ყარყატიისადმი პატივით მოპყრობა და ტაბუ – ლაკლაკეთში დღესაც ძალაშია. ასე აღიარებულია ყარყატი აზიის, ევროპისა და სხვა ქვეყნების ხალხებში. პროფესორი ზურაბ თანდილავა თვლიდა, რომ ესაა ღვთაებრივი თუ ტოტემური თაყვანისცემა – მობოდიშებისა და დატირების გარკვეული ინსცენირება.

სოფელ აჭარისწყალში ბავშვობისას არაერთხელ გამიგონია, არ მოიკვლება ჩიტი გულყვითელა, ღელე-ღელე რომ დახტის და უსტვენს, აგრეთვე კუდტანტრუქაიო. ალბათ, იმიტომ, რომ გველს არ მიეყიდა. ამის გამო გველმა კუდი შუაში დაუზიანა. ამიტომაც კუდტანტრუქას ახლა ორად გაშლილი კუდი აქვს.

ძველთაგანვე დიდ ცოდვად ითვლებოდა ეკლესიებთან, მეჩეთებთან თუ საცხოვრებელ სახლებთან დაბუღებული ფრინველების მოკვლა. ეს განიხილებოდა, როგორც უღვთო საქციელი. ელიანის ცნობით, ათენელებმა სიცოცხლეს გამოასალმეს კაცი, რომელმაც ესკულაპის ტაძარში დაბუღებული ბედურები დახოცა.

თურქმენეთის უბველესი ქალაქი-ოლქი მერვი გამოირჩეოდა ხობებითა და კაკბების სიმრავლით, რაც იქაურ ჭურჭლეულზეც აისახა. თურმე არავის არ ჰქონდა უფლება მათი მოკვლისა, თუ შემთხვევით გადაეყრებოდნენ და დაჭერას ხელით მოახერხებდნენ, შეიძლებოდა, მაგრამ ისარსა თუ თოფს არავინ ესროდა. სხვათა შორის, რადიკულიტის სამკურნალოდ ორჯერ კრასნოდარის მხარის ბელორეჩკის რაიონის ბალნეოლოგიურ აბაზანებზე ეიყავი, გაოგნებული დავრჩი იმით, რომ აქ უამრავი მწყერი იყო, რომლებსაც არავინ იჭერდა. არც კლავდნენ, არც ძაღლებით, ფარნებითა თუ თოფით დასდევდნენ. ჩვენ კი მშვენიერი მწყერების გადაფრენისას, ღამეებს ვათენებთ, დიდი თუ პატარა, გაჭირებული თუ შეძლებული ძაღლებით დავდეკთ, როგორც ფაშისტები დატყვევებულებს.

ჩვენ, ისე როგორც სხვები, მტრედს არ ვკლავთ, არ ვაწუხებთ... მახსენდება ყაზახეთის ჩიმკენტის ოლქის სოფ. ტურბატი. აქ მრავლადაა გარეული მტრედი. იქ რეაბილიტირების შემდეგ დარჩენილ მამაჩემთან ყოფნისას გარეულ მტრედი მოვკალი. ეს შენიშნა იქ მცხოვრებმა უზბეკმა მოხუცმა ტაშბულატოვმა და მორიდებით მითხრა: ამისთანა კაცის შვილს, ეს როგორ გეკადრებაო. მას შემდეგ მამაჩემისათვის თოფი არ გამომირთმევია, თუმცა იქ მტაცებელი ფრინველებიც დაფრინავდნენ.

თქმულებით, კეთილშობილმა მოხუცმა ნოემ წარლენისას წყვილ-წყვილი ცხოველები, ფრინველები და სხვები, კიღობანით აიტაცა ცაში, იმის გასაგებად, წარლენა დასრულდა თუ არა, ნოემ ყორანი და მტრედი გაუშვა, წყალდიდობის გამო მტრედი ვერსად დაჯდა და უმაღლვე უკან მოფრინდა. ხოლო იმის გასაგებად, თუ რატომ ტიროდა ბავშვი, იესომ ყორანი გაგზავნა, რომელმაც თვალები ამოკორტნა და იცრუა, არაფერია, მალე გაჩერდებო. ეკვვის გამო იესომ ახლა მტრედი აფრინა, რომელმაც სიმართლე თქვა. ტყუილისათვის ყორანს მუგუზალი ესროლა, რამაც საშუალოდ გააშავა იგი, — წერს პროფ. მ. ჩიქოვანი. მტრედი მეკავშირე-ფოსტალიონიც არის და მშვიდობის სიმბოლოც.

ფრინველთა სიმბოლიკა ასევე უძველესი დროიდან მომდინარეობს. მათაც ზებუნებრივ-მაგიურ ძალას მიაწერდნენ და წმინდანად მიიჩნევდნენ, კიდევ აღმერთებდნენ. ალექსანდრე მაკედონელს აბრეშუმის ქსოვილზე ჰქონდა ამოქარგული არწივი. ორთავიანი არწივი რუსეთის გერბზეა გამოსახული, ხოლო ფრთებგაშლილი — აჭარისაზე. ეგვიპტელები სფინქსს ადიდებდნენ, ფარაონები ძლიერებას მათი საშუალებით გამოხატავდნენ, ქრისტიანებმა ფენიქსი ქრისტეს სიმბოლოდ აქციეს.

ფრინველები აღბეჭდილია ფოლკლორში, ხელოვნებასა და ვეშაპ-ვეშაპოიდების მონოლითებზეც. მათზე ჩიტები და ასტრალური ნიშნები ცის სიმბოლოა, ფრინველები ოდითგანვე ქვედა და ზედა ქვეყნის დამაკავშირებლად მიაჩნდათ. ქვესკნელიდან ამირანი სწორედ ფარშევანგმა ამოიყვანა.

აღამიანებმა წერა ბატის ფრთებით შეძლეს. ბატი ისე, როგორც მტრედი, ძველ ეგვიპტელებს მოუშინაურებიათ, ციციარი ცენტრალურ და სამხრეთ აფრიკიდან ჯერ ფინიკიელებს, შემდეგ პორტუგალიელებს გაუვრცელებიათ. საცივისათვის მორგებული ინდაური კი ამერიკის ბინადარია და იქაურ მკვიდრთა — ინდიელთა სახელი ამიტომაც ჰქვია.

გვაქვს ფრინველებიდან მომდინარე გვარები: ჩიტაძე, შევარდნაძე, ტორონჯაძე ანუ მტრედაძე, ჩხიკვაძე, ჩხიკვიშვილი, კაკაბაძე, ქორიძე და სხვა.

ფრინველები ფიგურირებენ აჭარულ ზეპირსიტყვიერებაში, მაგ. ზღაპარ „გუგულში“ დედინაცვალმა გერები კუნაპეტ ღამეში ძროხის საძებნელად გაყარა. აკანკალებული ბავშვები წმ. გიორგიმ შეიცოდა და გუგულებად აქცია, მეორე ვარიანტით, გამრჯე გლეხი, მიწის დიდი მოსიყვარულე, ღმერთმა გუგულად აქცია, რათა ეფრინა და ყველასათვის ეუწყებინა ხენა-თესვის დაწყება.

სხვა თქმულებით, პატარა ჭინჭრაქა, რომელსაც აჭარაში გულყვითელას უწოდებენ, ხშირად გულაღმა იმიტომ ეკიდება ზეს და ფეხებს ცისკენ იმიტომ იშვერს, რომ თუ ცა ჩამოინგრევა, დავიჭერო, ან კიდევ, მეზობლის ტირილის შემდეგ, ჭიჭინობელა სამ თვეს ჭიჭინებდა, შერცხვენილი ჭინჭრაქა კი ღობე-ღობე იმალებოდა.



## გველი – ავი სულის განსახიერება თუ კეთილისა?

გადმოცემით, გველი ანგელოზი იყო და ასეთად ღმერთმა ცოდვების გამო აქცია, იესო თურმე ბავშვობაში მარიამ ღვთისმშობლის დახმარებით გველებს ფეხებით სრესდა. ეს სახე ბიბლიაში ფიგურირებს, როგორც სიბოროტის განსახიერება, რაც იმაში გამოიხატება, რომ მან პირველი ადამიანები შეაცდინა და ღმერთის მიერ აკრძალული ნაყოფის ჭამა შთააგონა.

ხალხის წარმოდგენით, გველი თავდაპირველად კეთილი არსება იყო, აესულად მოგვიანებით აქციეს. და მაინც, ადამიანთა მეხსიერებაში გველი დარჩა სიბრძნის, სიცოცხლის, ოჯახის მფარველისა და მკურნალობის სიმბოლოდ. გავისენოთ თუნდაც მედიცინის ემბლემა. არსებობს ხატოვანი გამოთქმა: „ბრძენი, ვითარცა გველი“.

ყოველივე ამას, საქართველოს, კერძოდ, აჭარის ზეპირსიტყვიერებასა და მცხოვრებთა ყოფაში შემორჩენილი ნიმუშები და წარმოდგენა-ჩვევებიც ადასტურებენ, რასაც ამ ნარკვევის მეორე თავში შემოგთავაზებთ.

მითოლოგიურ ზღაპრებში ბევრია შემთხვევა, როდესაც გველის კანზე ამოდის ხე – სიცოცხლის სიმბოლო. პოლინეზიურ მითოლოგიაში გველი ნაყოფიერების ხეს ეხვევა. თურქმენეთში მოპოვებულ ძველ, ძვირფას ჭურჭელზე გამოხატულია ხე, რომელსაც ასევე გველი ახვევია (ვ. ზალატაევ, დრენიე ი ნოვიე დოროგი ტურკმანი, მ. 1979, გვ. 97). ასეა სხვაგანაც. ამასთან გველები, გველუშაპები დარაჯობენ უკვდავების და, საერთოდ, ნაყოფის მომცემ ხეებს. შუამდინარული მითოსური ხეების ანალოგიურია სკანდინავიური მითოლოგიის მარადმწვანე იფანი. იგი ჩრდილს მთელ სამყაროს აფენდა, ხოლო ფესვებითა და კენწეროებით ორ სკენლს აღწევდა. მის ფესვებში მოკალათებული იყო გველი და ხეებზეც ამოდიოდა (ზ. კიკნაძე, შუამდინარული მითოლოგია, 1979, გვ. 129-130). ასე რომ, გველი და ფესვები, სამკუთხედი გველი – ხე, წყალი, წარღვნა, უფსკრული, სიცოცხლის ხე, შესატყვისი მცნებებია და დაკავშირებულია სიცოცხლესთან, შექმნასთან. ამიტომაც, რომ გველი კანს იცვლის, რაც მუდმივი განახლების, გაახალგაზრდავების მანიშნებელია. ხალხური გადმოცემით, გველის კანის დანახვა ბედნიერებას ნიშნავდა.

ლაკურში გველს და ჭიას ერთი და იგივე სახელით მოიხსენიებენ. ლაკების განმარტებით, გველი დიდი ჭიაა, ბევრ ხალხში იგი საერთოდ

სიბრძნის სიმბოლოდაა მიჩნეული. კავკასიის მთიელთა სიტყვიერებაში კი იგი მხოლოდ გარკვეულ სიბრძნეზე – კერძოდ, ყველა სულიერის ენის გაგების უნარზე მიგვანიშნებს. მაგალითად, პოლიგლოტზე ამბობენ – მან იმდენივე ენა იცის, რამდენიც გველმა.

ქართული ზღაპრების მიხედვით გველის, ადამიანისა და ფასკუნჯის შეხვედრა სწორედ ქვესკნელში ხდება. გველი ნაყოფიერების სიმბოლოდ იყო აღიარებული. კუნძულ კრეტაზე ნაპოვნია თიხის ე.წ. „გველებიანი ქალღმერთი“, რომელიც დაახლოებით 3700 წლისაა. ესაა მოცეკვავე ქალღმერთი გაშლილი ხელებითა და გველებით, რაც ნაყოფიერებას განასახიერებდა.

ანალოგიური სცენებია მცირე აზიაში (თურქეთი) ნაპოვნი კაბადოკიისა და ხეთების ლარნაკებსა და იეროგლიფებზე. ეგვიპტურ მითოლოგიაშიც გველი მტკიცედაა დაკავშირებული მიწასთან. ღეთაება აპისის ატრიბუტი ასევე გველია. იგი განასახიერებდა მიწიერებას, ცეცხლისა და სინათლის ძალას, სიბრძნეს, დღეგრძელობას, უშრეტ ენერგიას. ეგვიპტელებს, თურმე 4500 წლის წინათ უცდიათ გველისა და აფთრის მოშინაურება, რაც იმდროინდელ სურათებზეა აღბეჭდილი. გველი პატივგებული იყო სპარსეთშიც. მას ტოტემურ ხარს უთანაბრებდნენ. ინდური ბრაჰმა დაიბადა სარეცელზე, რომელსაც გარს ეხვევა შვიდი გველი. იგი კეთილ არსებადაა მიჩნეული ინდუისტურ, ბუდისტურ და ჯინისტურ ლეგენდებში. აქ აღიარებდნენ გველკაცს, ანუ გველღმერთ ნაგას, რომელსაც ტანის ქვედა ნაწილი გველისა ჰქონდა. ბერძენთა რწმენით, ხარი გველმა შვა და, პირიქით, აქაც ისე, როგორც ჩინეთში და სხვაგან, იგი გაღმერთებული ჰყავდათ.

გველის კულტის პოპულარიზაციაზე შუამდინარეთ-მცირეაზიასა და კავკასიაში მეტყველებს ისიც, რომ იგი გამოუსახაეთ ფარაონ რამზეს გეირგვინზე. ბეჭდებზეც. შუმერული ლეგენდით, ფარაონ ტუტანხამონის ნილაბზეც (დრეენიი ვოსტოკ, ბუდაპეშტ, 1985. გვ. 460). ახალი წელთაღრიცხვის II საუკუნის მონეტებზე გამოსახული გველები, მკვლევარ რეინეკის ინტერპრეტაციით მიწას განასახიერებდნენ. გველები აღბეჭდილია აგრეთვე, ვანის ოქროს დიადემაზე, სამთავისის, აზერბაიჯანისა და სხვა სამარხებში მოპოვებულ სატევრებზე, ბალთებსა და სხვა ნივთებზე (ნ. ურუშაძე, ჯ. რუხაძე).

1984 წლის ზაფხულში ინგლისელი მეცნიერი და მოგზაური ტიმ სევერინი გემ „არგოთი“ მოადგა კოლხეთს. მამინ მას ფიჭვნარის უძველეს ნამჭედურის ნამოსახლარში უჩვენეს იქვე აღმოჩენილი თიხის ნივთები, რომლებზეც გველი გამოესახათ. სევერინი დასძენს, რომ ძველ საქართველოში სწორედ გველი იყო ოჯახის მფარველი, ეს გასაგებს ხდის იმას.

თუ რატომ მაინცდამაინც გველეშაპს დაევალა ოქროს საწმისის, როგორც ქვეყნის ყველაზე დიდი საუნჯის დაცვა და მფარველობა (ო. ლორთქიფანიძე, არგონავტიკა და ... გვ. 111).

ძველი ქართული გადმოცემების თანახმად გველი, გველეშაპი იცავდნენ და ფლობდნენ არა მარტო წყალს, არამედ მიწის წიაღში მოქცეულ განძეულობასაც. უფრო საყურადღებო ისაა, რომ გველი სათნო სულია, ადამიანის შემწე და ბოროტებისაგან მფარველი. თუ ოჯახს, სახლს იგი არ მფარველობს, მაშინ ეშმაკი და დევი ბატონობს. ამიტომაც არის სახლის, მამულის, ფუძის დედალი და მამალი გველი – ანგელოზი. მათ დილა-საღამოს რძესაც უდგამდნენ. ხევსურეთში, რაჭაში გველს ოჯახის უფროსი მფარველობდა, თავს ევლებოდა, რათა არ წასულიყო. გველები კერაზეც წვებიან, საწოლთანაც მივლენ და აკვანთანაც, მაგრამ არ იკბინებიან. ფეხებში რომ შენიშნონ, ხელს მაინც არ ახლებენ. ავი თვალისა და განსაცდელისაგან იცავს ბავშვებს, ქალებს, მამაკაცებსაც. მკურნალი და წინათმგრძნობია. გველი ხიდან თუ უსტვენს, ამით აფრთხილებს, არაუინ გაეკაროს ოჯახს. უჩუმრად გამოდის გარეთ და მზეზე თბება, დაალებს პირს, ენით ქაქანებს და გვეედრება – არ მომკლავ. სწამდათ, რომ ფუძე-გველი თუ არ ჰყავდა სახლს, მას ხვაი და ბარაქა არ ექნებოდა, ავი სულები და ძალები ადვილად დაეპატრონებოდნენ და ოჯახს გადაშენება ელოდა. გველს უყვარს მყუდროება, კაკლის ან ბჟოლის (თუთის) ხეზე ასვლა და მწყერირვით ჭიკჭიკი, დასვენება, კაცის დანახვაზე არ ფრთხილება (ნ. რეხვიაშვილი, ძველი კოლხეთი, 1986, გვ. 48, 118-122, ნ. ურუშაძე, ცენტრალური ამიერკავკასიის გრაფიკული ხელოვნება ადრე რკინის ხანაში, 1982, გვ. 61 და სხვა).

ხევსურული თქმულებით, კევრში იფანი ამოვიდა, ცხადია მოჭრეს, კიდევ ამოვიდა, ისევ მოჭრეს, მესამედ მოჭრისას იფანს გველი ამოჰყვა.

როგორც ვთქვით, ასე იყო შუამდინარეთსა და სკანდინავიაშიც, რაც პროფესორ ზურაბ კიკნაძის მიხედვით, მცენარის ზრდის, სიცოცხლის დაუსრულებელი პროცესის მაჩვენებელია.

გველის კულტი ერთნაირი იყო კავკასიაში და ყველგან წმინდა ანგელოზად მიიჩნეოდნენ. უბიხები, აფხაზები წმინდა ტყის ხეებზე გამოსახავდნენ მათ. გ. ჩურსინს ლიხნში ჩაუწერია ზღაპარი „გველი ქველმოქმედი“. მხედარი ცეცხლიდან იხსნის გველს და არც სხვებს მოაკვლევინებს, აფხაზები თვლიდნენ, რომ სახლში მოსულ გველს ბედნიერება და სიმდიდრე მოაქვს, ამიტომაც არასოდეს კლავდნენ და უვნებლად იშორებდნენ, მაგრამ გზაზე თუ გადაეყრებოდა, ცდილობდნენ მის მოკვლას. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ თანდათან გველი უარყოფით არსებად,

ციხერ და ბოროტ ძალად წარმოსახეს – გველი გესიზმროს, ცუდ ამბავს, ენას შეიტიყობ, მაგრამ თუ მკვდარს ნახავ – მტრის დამარცხებას ელოდო, – ამბობენ ქართველები. ვინმეს მოუთმენელი საქციელის გამო, ასეთი შემახილიც მსმენია: „შენ გველის წიწილავ“ და სხვა. ერთ ქართულ ზღაპარში მწყემსს დასაკებნად ეპარება გველი, რომელსაც ადამიანის გამზრდელი არწივი ეწირება. ურარტულ თქმულებაში არწივი იმარჯვებს.

სამაჩაბლოს თირის მონასტრის სამრეკლოს კედელზე გამოსახულია გველისა და კაცის ბრძოლა, ხოლო ზემო ნიქოზის მთავარანგელოზის ეკლესიის კედელზე აღბეჭდილი ცხენზე მჯდომარე წმ. გიორგი კლავს გველს და არა ურჩხულს. ამასთან დაკავშირებით, პროფ. იოსებ მეგრელიძე თვლიდა, რომ ამ სცენაში XIV საუკუნიდან დაიწყეს ურჩხულ-დრაკონის გამოსახვა, მანამდე კი გველი იყო (იხ. მისი სიძველენი ლიახვის ხეობიდან, 1984, გვ. 210, 231). საქართველოს ხელოვნების მუზეუმში დაცულ, ქვემო ქართლში აღმოჩენილ სტელაზეც გველია, რომელსაც წმინდა გიორგი შუბით კლავს. ასე აისახა აზიასა და ჩრდილო შავიზღვისპირეთში (ი. პიჩიკიან, მალაია აზია – სევერნოე პროჩერნომორიე, მ. 1984, გვ. 56) პირღია გველის კვლა ე.წ. კილიკიის მედალიონებზე.

გაორება, ანუ წინააღმდეგობა გველის, როგორც კეთილისა თუ ბოროტი არსების დადგენაში, შეიმჩნევა აჭარაში მოპოვებულ საგნებზეც. ქედის რაიონის სოფელ კოკოტაურის მზის დისკოზე გველია ჩატანებული. ესაა მითოლოგიური სიუჟეტი – ორი მოწინააღმდეგე ძალის, ანუ სიკეთის – მზის და ავსული გველის სახით. ასეთივე საგნები აღმოჩენილია ზუნდაგაში, ბზუბზუში, ოქტომბერსა და სხვაგან. ისევე როგორც ხევსურეთში, რაჭასა და აფხაზეთში, აჭარლები პატივს მიაგებდნენ, შეიძლება ითქვას, ეამბორებოდნენ. აკი მხოლოდ აჭარაში დასტურდება „გველის დღეობა“, რაზეც საუბარი ქვემოთ გვექნება.

გველთან დაკავშირებით ჩვენს კუთხეში შექმნილი ლექსები, თქმულება-ზღაპრები, ყოფაში შემორჩენილი წარმოდგენა-შეხედულებანი, პირველად დიდმა მკვლევარმა ჯემალ ნოღაიდელმა შეკრიბა, გააანალიზა და კომენტარებიც დაურთო. როდესაც ადამიანებს სწამდათ ისეთი გველშაპების არსებობა, რომლებიც ადამიანური თვისებებით ხასიათდებოდნენ. ამ ძველ დროს ისიც ადასტურებს, რომ საუბარია შუბსა და ხმალზე და არა თოფსა თუ ღამბაჩაზე. ლექსი გვაუწყებს, რომ გველმა ცხრა დას შორის ყველაზე უკეთესი, უმცროსი აირჩია საცოლედ. შეწუხებული ქალი რიგრიგობით ატყობინებს მშობლებს, ძმას, ბიძას და შველა სთხოვს. ბიძია მიდის, რათა იხსნას იგი ისეთი ქმრისაგან, რომელიც „დღეი კაცად ეჩვენება, ღამე „გველშაპად“. მოგვიანებით ბოროტ სულად განსახიერებული გველი,

ხალხმა ღამეს, წყვილიად, როგორც ბოროტების ბუღეს დაუკავშირა, ამიტომაც ქობულეთში ამ ლექსს საღამოს იტყოდნენ (ჯ. ნოღაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 1, გვ. 107-108, ბ. 1971).

ზღაპარი „გველების ხელმწიფე“ მოგვითხრობს მეფის შვილზე, რომელმაც ბევრი ქვეყანა მოიარა, „სასიკტილო ალაგებიც“. ფათერაკების მაძიებელი იმ მიწისქვეშეთსაც ეწვია, სადაც გველების სწავლული ხელმწიფე შაჰმერანი ბატონობდა. მას თავი კაცისა ჰქონდა, ნამსხმანი გველისა. მან უფლისწულს უთხრა: ჩემი არსებობის შესახებ არავინ იცის, შესაძლებელია გაიგონ, რადგან ადამიანი მაინც მოღალატეა, ამიტომაც მოგვიანებით გაგიშვებ სამშობლოში, თანაც იმ პირობით, არავის უამბობ ჩემზე. მეფისწულს ერთხელ ბრძენმა მოაკითხა: მჭირდება ბეჭედი, რომელიც უსასრულო ზღვაში არსებულ კუნძულზე დამარხულ სულთანს უკეთია. მასთან მიღწევა გველების ხელმწიფის დახმარებით შეიძლება. მე ბოროტება არ მამოძრავებს, თუ შუამავლობას ითავებ, მაღლობელი ვიქნებიო. წავიდნენ და თან ქილებით რძე, ღვინო წაიღეს. ისინი დადგეს იქ, სადაც შაჰმერანი სეირნობდა, სანატრელი რძე დალია, მოტყუებულმა არ იცოდა მეორე ქილაში რა იყო და დალია თუ არა, დაიბნა. გონწართმეული უკეთ წაიღეს იმ ხემდე, რომლის ფოთლების ფეხქვეშ ამოსმა მათ მისვლას საფლავამდე უხიფათოს ხდიდა. გამოფხიზლებულმა შაჰმერანმა მეფისწულს უთხრა: მიღალატე, მაგრამ რადგან ჩემი პურ-მარილი ნაჭაში გაქვს და ვერ გიმეტებ, ბეჭდის წამოსაღებად ამ კაცს არ გაჰყვე, მას იქ დაღუპვა ელის და თუ მაინც წახვალ, ახლო არ მიეკარო. თურმე სულთანის ცხედარს ცეცხლისმფრქვეველი გველეშაპი დარაჯობდა. ბეჭდის მამბარს გველმა უკან გაბრუნება ურჩია. არ ისმინა გველის რჩევა და დაიღუპა კიდევ. მეფისწული გველების ხელმწიფემ უვნებელი გააბრუნა სახლში (ჯ. ნოღაიდელი, 2, გვ. 107-108, 1972). ამრიგად, გველების ხელმწიფე და თვით დარაჯი გველიც, მავნებლები არ არიან, პირიქით, ერთგულებით გამოირჩევიან და ბოროტებას ებრძვიან.

ახლა გავეცნოთ ზღაპარს „გველმა პერანგი გაიძრო“. სოფელში თხოვდება ქალიშვილი, რომლის ქმარიც მეორე დღეს კვდება. ერთი სოფლელი ქვრივის შერთვას იკისრებს. თუმცა მალე გაიგებს, რომ ქალს მუცელში გველი ჰყავს, რომელმაც კბენით მოკლა მისი პირველი ქმარი. ამის გამო კაცი დააპირებს ქალის გახლეჩას. შეშინებული ქალი ამონათხევს და გველიც ამოჰყვება, რომელსაც კლავს, ხოლო ქალს საცოლედ მეგობარს უტოვებს. არ იქნა, ამათ შვილი არ ეყოლათ და გამჩენს თხოვეს ღორი, ძაღლი ან გველი მაინც შეგვაწიეო. მშობიარობა გაჭირდა, ვინც დასახმარებლად მოვიდა, სუყველა დაიხოცა. ეს გაიგო ბოროტმა დედინაცვალმა

და გერი ბებიაქალად გაასალა. გერი დედის საფლავს მიადგა და ტირილი დაიწყო. დედამ ამოსძახა: რძე დაუდგი ქვაბით, ახალდაბადებული გველი მასში ჩასრილდება და გადარჩები კბენასო. გაიზარდა ახალდაბადებული გველი. რამდენი მასწავლებელიც მოუყვანეს, იმდენი კბენით მოკლა. ბოროტმა დედინაცვალმა ისევ გერი გააგზავნა, იფიქრა მოკედესო. ისევ მიაკითხა გოგონამ დედის საფლავს. დედამ ურჩია, ისეთი რკინის ოთახი გაეკეთებინა, რომლიდანაც გველი ვერ გაძვრებოდა. იმ ოთახში დაამწყვდით და რაც იცი ის ასწავლეო. ესეც აღსრულდა. გველი გაიზარდა და დაქორწინება ითხოვა, მაგრამ კვლავ კბენით კლავდა ყველას. იმ დედინაცვალმა ისევ გერი მოუყვანა. ისევ მიმართა საბრალო გოგონამ დედის საფლავს, დედამ ასე დაარიგა: ჩაიცვი ორმოცი ზღარბისაგან შეკერილი ტანსაცმელი და გაყევი ცოლად. ტანსაცმელი პირველად მას გაახდევინე, ჩუმად გაიტანე გარეთ, გაატარე ნამგალს შუა და დაწვი. ამის შემდეგ გველი მშვენიერ ჭაბუკად იქცევა. ეს სასწაულიც მოხდა. ჭაბუკმა ცოლს ურჩია: შეიდი წლის განმავლობაში სპილენძის ქალამნებს რომ გაცევთ, მაშინ მიპოვიო და გაუჩინარდა. ცოლმა სამწვერ გზასთან სასტუმრო, სასადილო ააგო და ხალხს უნგაროდ ემსახურებოდა, თანაც ყველა გამულელ-გამომულელს ეკითხებოდა თავის მეუღლეზე. მეშვიდე წელს ერთი უზარმაცესი ახალგაზრდა მოიყვანეს, რომელმაც იცოდა გოგონას მეუღლეზე, მაგრამ სიზარმაცის გამო ვერ ყვებოდა. ბოლოს რალაცნაირად ამოღერდა. მეუღლეებმა ერთმანეთი იპოვეს და გაიხარეს (ჯ. ნოღაიძელი, 3, გვ. 30-32, 1977).

1990 წელს სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერების №10 კრებულში პროფესორმა ზურაბ თანდილაევამ გამოაქვეყნა ახალი ფოლკლორული მასალები „ადამი და ევა“, „ნოვეს გემი“, „როგორ გაჩნდა ექიმობა“, რომლებიც ზენითელმა და ბარათაულელმა მთქმელებმა ხუსეინ ქათამაძემ და რამიზ მელაძემ ჩააწერინეს.

როგორც ცნობილია, ღმერთმა შექმნა თუ არა დედამიწა, ედემის ბაღის (შუამდინარეთი) ცენტრში აღმოაცენა კეთილისა და ბოროტის შესაცნობი ხე. აქ დასვა პირველი ადამიანები ადამი და ევა, განუმარტა, რომ შეეძლოთ ეჭამათ ყველა ნაყოფი, მაგრამ არა იმ ხისა, რადგან მოკვდებითო. ცხოველთა შორის ყველაზე ცბიერმა, გველმა ევა დაარწმუნა, არ მოკვდებითო, ევამ შეჭამა ნაყოფი და ქმარსაც აჭამა, რის გამოც ღმერთმა დასწყევლა ისინი, რადგან მოქმედებით, სიტყვით, თუ გააზრებით ღმერთის ნების დარღვევა რელიგიური ეთიკისათვის მიუღებელია, ცოდვა ზნეობრივ ბოროტებად აღიქმება. ამიტომაც ადამისა და ევას პირველი ცოდვა მათ შთამომავლობაზე მემკვიდრეობითი გახდა.

საღმრთო წერილის მიხედვით „და ამცნო უფალმან ღმერთმან ადამს და პრქუა: ყოვლისაგან ხისა სამოთხისა ჭამით შეჭამო, ხოლო ხისგან მისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტისა არა შეჭამო, რამეთუ სიკუდილითია მოსწყდეთ. ხოლო გველი იყო უგონიერეს უფროის ყოველთა მხეტა... და პრქუა გველმან დედაკაცსა: არა სიკუდილითა მოჰკუდეთ. რამეთუ უწყოდა ღმერთმან ვითარმედ: რომელსა დღესა სჭამოთ მისგანი, განებუნენ თქვენ თვალნი და იყვნეთ, ვითარცა ღმერთნი, მეცნიერ კეთილისა და ბოროტისა.

და იხილა დედაკაცმან, რამეთუ კეთილ არს ხე. ჭამად და სათნო თვალთათვის ნაყოფისაგან ჭამა და მისცა ქმარსაცა მისსა მის თანა და ჭამეს. და განებუნენ თვალნი ორთანივე და იგრძნეს, რამეთუ შიშუელ იყვნეს. და შეაერეს ფურცელ ლელესა და ქნეს თავთა თვისთა გარემოსარტყმელი“ (დაბადება, თბ. 1981, გვ. 51-52).

ამრიგად, გველმა ევასა და ადამის შეცდენით, კაცთა მოდგმა გააუბედურა, სინამდვილეში, როგორც „დაბადებაში“ ნათქვამი, თვალეები აუხილა.

აჭარულ ვარიანტში გველი მათ არა ვაშლის, არამედ ხორბლის ჭამას სთავაზობს. მეორე აჭარული თქმულებით, ნოეს კიდობანი კი არაა, არამედ გემბა, რაც უფრო მართებულია, ამასთან ნოე ღმერთს მოუვლენია დედამიწაზე, რათა დედალ-მამალი სულიერები გემით გადაერჩინა. თავგის გამოხრულიდან წყლის დენა ვერ შეაჩერეს. მაშინ გველმა განაცხადა თუ სარჩოდ ადამიანის სისხლს მომაწვდით, დაზიანებას მე აღკვეთთავო. მიწაზე დაბრუნებისას ფუტკარსა და მერცხალს სთხოვა ნოესთან მისვლა, რათა დანაპირები მიეღო. ნოემ კვირაში თითო ბაყაყი გამოუყო. - ფუტკარს გველისა შეეშინდა და თქვა, ვუთხრათ მას ადამიანის სისხლს ვერ მიიღებო. მერცხალმა უმალ აღიქვა ეს საშინელება და მოტყუებით ფუტკარს ენა ამოგლიჯა. ფუტკარმა ბზუილით ვერაფერი გააგებინა გველს, მერცხალმა კი არაფერი თქვა, რის გამოც გველი მას შესასჭმელად წაეტანა, მაგრამ ნაწილობრივ მხოლოდ კუდი გამოგლიჯა; შემოჯდა მერცხალი ხეზე და ჭიკჭიკი გააბა, გველმა ბარტყების შეჭმა დაუპირა, რის გამოც მერცხალი ადამიანს შეეხიზნა, მასთან აკეთებს ბუდეს და ჩეკავს ბარტყებს. აქედანაა წარმოქმნილი თქმულებები: „რატომ იკვებება გველი ბაყაყებით“, რომელშიც ფუტკარს ხოჭო ცვლის, აგრეთვე თქმულება „გველი, ფუტკარი, მერცხალი, ბაყაყი“. აქ ნათქვამია, რომ ადრე გველი ანგელოზი იყო, ღმერთმა გველად აქცია და მშვიერი დაძვრებოდა. ღმერთს ფუტკარი გამოუგზავნა, საჭმელი შემირჩიეო. ეს ფუტკარს დაევალა. ფუტკარმა ბავშვის ხორცი შეურჩია, მაგრამ ამის თქმა მერცხალმა არ დააცალა, ენა გამოგლიჯა და ღმერთს ურჩია ბაყაყი გამოეყო გველისათვის საჭმელად. გველი მერცხალს ეცა და კუდი დაუზიანა, ამიტომაცაა მერცხალი კულმაკრატელა (ქართული ფოლკლორი, 14, გვ. 70, თბ., 1984).

ამ თქმულება-ზღაპრების მიხედვით, გველი ადამიანის მტერია, მაგრამ აჭარული ზღაპარი „როგორ გაჩნდა ექიმობა“, ამის საწინააღმდეგო შინაარსისაა. ორი შემისმგვრელი თაფლით სავსე ჭურს იპოვის და ვერაფრით გაიყოფენ. ერთი მათგანი მეორეს მოტყუებით ჭურში ჩაეკეტავს. გარეთ გასულს გველები დაიჭერენ და თავიანთ ხელმწიფესთან წაიყვანებენ. შენი ქვეყნის ხელმწიფე ავადაა, მას ჩემი დამზადებული წამალი განკურნავს. მიუხედავად იმისა, რომ მტერი ხარ, მე მაინც გასწავლი წამალს. აქედან გასულს დაგიჭერენ და შენც იმათ აქ მოიყვან. სამ ნაწილად დამჭრიან და სამ ჭიქაში მომათავსებენ. უნდა მოახერხო შუა ჭიქის წვენი დალევა, რომ სიკვდილს გადარჩე. ამით ექიმი და ყველაფრის მცოდნე გახდები. მეთაფლემ მოახერხა იმ ჭიქის დალევა და ფრინველების, ბალახების, ცხოველებისა და სხვათა ენა ისწავლა. წამლებს რომ ამზადებდა, წიგნში შექქონდა. ასე დაიწერა კარაბადინი (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 10, გვ. 94-100).

ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ აჭარაში კაცთა აქიმობის გაჩენის მეორე ვარიანტიცაა დაფიქსირებული, რაც ასევე ავლენს ბუნებასთან შესაიდუმლოება-მინდიობას, ოდითგანვე რომ მოსდგამთ აჭარლებს. თანდილაე-ას ცნობით, გაჩენის დღიდან, თურმე გველებს ერთი უცნაური ჩვევა ჰქონიათ. რაიმე რომ ასტკივდებათ, კაცის სავალ გზას მონახავენ და გზაჯვარედინთან გაწვებიან. ერთხელ შემთხვევით გამვლელ კაცს ლოდი უსვრია კაცთამტერისთვის და მოუკლავს. ამ დროს მეორე გველი გამომძვრალა იქვე ახლომახლოდან, რომელიღაც ბალახის ღერი მოუძებნია, ჭრილობაზე წაუსვამს და გველი გაცოცხლებულა. შემდეგ ისევ წასულა, მეორე ბალახი მოუტანია და ჭრილობაც გამრთელებია... დაბნეულ კაცს პირველი ბალახის დანახვა ვერ მოუსწრია, მხოლოდ ის ბალახი დაიმახსოვრა, რომელიც ჭრილობას ჰკურნავდა. ამ კაცს შინ ავადმყოფი შვილი ჰყოლია, მოუწყვეტია ის ბალახი და შვილი განუკურნავს. აქიმობა აქედან გაჩენილად, ასკენიან მთხრობელნი... მაგრამ გასულა ხანი და იმ კაცს ავად გახდომია შვილი და მომკვდარა კიდევ, მისულა იმ გზაჯვარედინთან, ბევრი უძებნია პირველი ბალახი, მაგრამ ვერ მიუგნია, პირველი ბალახიც რომ დაემახსოვრებინა, მაშინ ხომ შეილსაც გააცოცხლებდა. მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ იმ კაცის სული თურმე დღესაც იმ გზაჯვარედინთან მოდის ღამლამობით და იმ ბალახს ეძებს, რომ თავისი შვილი გააცოცხლოს. ახლა ექიმები რომ კიბოს წამალს ეძებენ, ზუსტად ის ბალახიაო, გვარწმუნებენ მთიელები.

ქედის რაიონის სოფ. დანდალოში მოპოვებული თქმულებით, დიდ ტყეში ათასი თული (სხვადასხვა) ცხოველი ბინადრობდა. სულთან სულიემა-



ნმა შეკრიბა ყველა ისინი და განუცხადა, აქ ქალაქი უნდა გავაშენოო, გაძლევთ საშუალებას სამი თვის განმავლობაში გამონახოთ სხვა ადგილები და გადასახლდეთო.

მოვიდა ეს ვადა. სულთანი ტყეს ისევ ეწვია. როცა დარწმუნდა ნადირფრინველი დედაბუდიანად გაკალიბებულიყო (აბარგულიყო), ტყის გაჩეხვა ბრძანა. ცეცხლმა მოიკვა იქაურობა. გატიალბულ მიწაზე გასვლისას სულთანმა დიდი უხსენებლის ძვლები შეამჩნია, ძალიან ეწყინა, ცხენიდან ძირს ჩამოვიდა და ღმერთს ასე მიმართა: გამჩენო (აჭარლები ღმერთს ასე მიმართავენ), დიდი ცოდვა ჩავიდინე, ტყეს ხანძარი გავუჩინე და უხსენებელი დავწვი, გეხვეწები სული ისევ ჩაუდგი, საცოდავმა ვერ გაასწროო.

გამჩენმა ისმინა სულთნის ვედრება და უხსენებელი ისევ გააცოცხლა. – ყველა რომ გაერიდა აქაურობას, შენ რატომ ვერ გაასწარიო, შეეკითხა სულთანი. – პირველმა გავიგონე ქალაქის გაშენების ამბავი, მაგრამ ჩემი დაბადების ადგილი ვერ მივატოვე, სადღაც გადაკარგვას, აქ სიკვდილი ვარჩიე, უპასუხა უხსენებელმა. მაშინ სულთანმა შესძახა: ახ, ვათან, ახ, ვათან, ესე იგი სამშობლოვ, სამშობლოვ, რაც იმას ცხადყოფს, რომ გველი პატრიოტიც ყოფილა. ზღაპარ „მეფის სიძის“ მიხედვით გლეხი ათავისუფლებს გველს, რომელიც უხვად ასაჩუქრებს მას.

საგულისხმოა, რომ ჩვენს მხარეში გველის დღეობაც იციან, გველს სახლის, ოჯახის მფარველად მიიჩნევენ. ჯ. ნოლაიდელის მონაცემებით, ქრისტიანული საწინგვეულებო რიტუალი „ბზობა“ აჭარაში „გზობით“ უნდა იყოს შეცვლილი. გზობა იციან დიდი ხუთშაბათის მომდევნო წითელ პარასკევს, ძველი სტილით აპრილის პირველ ოთხშაბათს. და სწორედ ესაა გველის დღეობა. ამ დღეს სახლში შეშას არ მოიტანენ, გველები მოგზაურობენ და მათი შიშით ადამიანები ტყეში ვერ მიდიან. ვინც გზობადღეს სახლში შეშას მოიტანს, ხალხის რწმენით, იმ წელიწადს ის არ მოშორდებაო. მისივე აზრით, საერთო ქართული ბზობა და აჭარული გზობა წითელ პარასკევს უნდა უკავშირდებოდეს, როდესაც ქრისტე ჯვარს აცვეს. აჭარაში ისლამის ფეხმოკიდების შემდეგ, რასაკვირველია ბზობის სახელით რიტუალს ვერ შეასრულებდნენ, ამიტომაც გზობის სახელით შენიღბეს, ისე როგორც რიგი წარმართული რიტუალები ქრისტიანობამ სახეცვლილებით თუ უცვლელად შეითავისა (ჯ. ნოლაიდელი, I, გვ. 134).

ჩვენი აზრითაც, გზობას არ დაარქმევდნენ თუნდაც იმის გამო, რომ იმ დღეს გველები მოგზაურობენ. სოფ. აჭარისწყალში, სხვაგან, „გველის დღეობას“ – გზობას გარგნობის სახელით მოიხსენიებენ. „გარგანს“ ანუ ჯოხს, ხაშარს არათუ მოჭრიდნენ, არამედ ადრე მოჭრილსაც არ მოიტანდნენ სახლში, რადგან გველად იქცევიან და ეზო-კარს მოედებიანო. ამასთან ამ დღეს გველს არანაირად არ მოიხსენიებენ. გამონაკლისად

უხსენებელს ამბობენ. თუ ვინმეს წასცდება, იტყვიან, მტრები გვახსენებენო და თითზე იკბენენ. გარგანი სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონით „არს კვერთხის უსხოსი საბრჯენელად და დასაყრდენელი კაცთა უძღურთათვის, ანუ ყავარჯენი“.

აპრილის პირველ ოთხშაბათს გარგანისა და შეშის მოჭრას, ტყიდან გამოტანას აჭარაში ერიდებიან. სწამთ, თითქოს ვინც ამ წესს დაარღვევს, მის ეზოში გველი დაიბუდებსო, – წერდა პროფესორი შოთა ნიჟარაძე. საინტერესო მასალებს შეიცავს ჯემალ ვარშალომიძის გამოკვლევა ხის ორნამენტის ძირითად მოტივებზე აჭარაში. გველის ქანდაკება უკეთია ხულოს რაიონის კალოთის მკვიდრის ს. აბაშიძის დივან-საწოლს, აგრეთვე, თ. მამულაძის სახლისა და სხვათა მოაჯირებს. მათი დამოწმებით, სახლის დედალ-მამალი გველი ყველა ოჯახს ჰყავს, ისინი დოვლათის მფარველები არიან, ადამიანს არ ვნებენ, რძეს, შაქარწყალს უდგამენ (ჯ. ვარშალომიძე, ორნამენტი ხეზე, ბ., 1979. გვ. 75). ისინი შავი ფერისანი არიან, იშვიათად გამოჩნდებიან, თუ ერთს მოკლავ, მეორე საშიში ხდება, საქმე წინ არ წაგივა, ზიანი მოგივა. რძეს უდგამენ, სამაგიეროდ გველი ოქროს ტოლ საქმეს აკეთებდა. სიცოცხლის ხისა და ბინის გველების გამოსახულება ჯ. ვარშალომიძემ მშობლიურ ხელვაჩაურშიც დააფიქსირა. აქ ერთ ოჯახში, ბუხართან ახლოს გამოსახულია ხე, რომლის ტოტებზე გასული არიან დედალ-მამალი კერის, ოჯახის, ფუძის გველები (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურა, 8, თბ., 1980).

აჭარლები ეზოში მოყოლილ გველს „სახლის პატრონად“ თვლიდნენ და არ მოკლავდნენ, იგი ოჯახის მფარველია. მის მოკვლას ოჯახის უფროსის გარდაცვალება მოჰყვება, ოჯახი დაობლდებაო.

დაბოლოს, ჩვენი მოგონება გველებთან ურთიერთობა-შეხვედრებისა. სოფ. ხერთვისის ბოლოს, მდ. აჭარისწყალთან, ყოფილი სამხედრო საწყობების გვერდით, დაჩრდილული შიმშირის (ბერძნულია, ჩვენებურად ბზა) კოროპში. ლელვის ხეებიც ერია. დამწიფებულს ბავშვობაში მე, ასლან გორგოშაძე, ჯემალ ბერიძე და სხვები შევესიეთ. ნაყოფი უგემრიელესი იყო. ასე გამოვალვიძეთ ტოტზე დახვეული დიდი გველი. დაფეთებულნი ჭინჭრებსა და ლოდებში ჩავცვივდით. აჭარისწყალი რომ აღიდდება, ნაპირთან ტბორებს ტოვებს, რომლებშიც ბაყაყები და წყლის უშხამო გველები ბუდობდნენ. გვიტაცებდა მათი ხილვა პირში გაჩრილი ბაყაყებით. გვეშინოდა და ვხოცავდით. გველებს უყვართ ყორეები, გზებთან ხეებზე, მათ შორის ჟოლსა და ლელვზე დახვევა და გათბობა. ზოგჯერ ნაყოფის საჭმელად მისულებს, ასევე ვკლავდით, მაგალითად, აჭარისწყალ-ჭოროხის შესართავთან ცენტრალური გზის კლდეებთან, სადაც გზის გაფართოების შემდეგ, ეს ხეები განადგურდა. უფრო ხშირად გველებს ვკლავდით აჭარი-

სწელის ცენტრში, ზაქარაძეების ყანის ქვემოთ, გზის გასამაგრებელ კლდეზე. იგი ხვრელებიანია, გველები ჩამოეკიდებიან, თბებიან და ძინავთ, თავისთვის არიან. მე ვზოცავდი ხაშარით ზევიდან. ზოგიერთი დაღლეტილი და მკედარი ცვიოდა, სხვა ხვრელებში ბრუნდებოდა, არ ვიცი შიშის დაძლევის უნინი, გამარჯვება მიტაცებდა, სიკეთის კეთება თუ შეუგნებლობა მამოძრავებდა. ასე ჩავდიოდი დანაშაულს და მაინც, არასოდეს დაეუკებნივარ, თუმცა ერთხელ ხიდან გადმომხტარი მხარზე დამეცა, რათა მიწაზე მოხვედრილიყო, ეს ასე მოხდა: ლორთქიფანიძეებს ბაღჩის ბოლოში კაკლის ხეები ჰქონდათ, ზოგჯერ აქ ებანაობდით ეიფელის კონსტრუქციის რკინის ხიდთან. აქ გავლისას სტვენა შემომესმა, რომელიც რატომღაც ჩიტისა მეგონა. უცებ მარჯვენა ბეჭზე დარტყმა ვიგრძენი, დახედე მიწას და გველი შევნიშნე. სამწუხაროდ, ეგეც მოკვალი. რასაკვირველია, ჩემი დაგესვლა არ სურდა, მიწაზე უხიფათოდ ჩამოსასვლელად გამომიყენა, ეგებ უნდოდა გაეფრთხილებინე, არ ვართ ბოროტები, თავი დაგვანებო. ისე სოფელში ადამიანის მეგობრის – ძაღლისაგან დაკბენის შემთხვევები უფრო ხშირია, ვიდრე გველისა.

საერთოდ, ურწმუნო თომა ვიყავი. ეს კიდევ არაფერი, ადამ-წესებს, წარმოდგენებს, ცრურწმენებს არ ვიზიარებდი ან მათ საწინააღმდეგოს ვაკეთებდი, რაღაც ბუნტარის სული, მიდრეკილება მქონდა. იმ გარგნობის დღეს ჯოხი მართლაც მოვიტანე სახლში, არ ვიცი მას მოჰყვა, თუ სახლის გველი გეყავდა, ფაქტია, რომ აივნის ძველი იატაკის გაწმენდისას, ქვედა ფენის ფიცრების ახსნა და მიჭედება რომ დავიწყე, სწორედ მაშინ ჩამოვარდა მოწითალო გველი, რომელიც სიცოცხლეს გამოვასალმე, თუმცა არასოდეს არ გვსმენია ვინმეს მიერ მათი დანახვის ამბავი. არ მომიწონეს. ალბათ მართლაც გვმფარველობდნენ ავსულებისაგან. აკი ბოროტებას რა გამოლევს. 1944 წლის ოქტომბერში ოთხ და-ძმას საყვარელი მამა აგვაგლიჯეს და გადაასახლეს. ორფეხა გველის აეკაცობა ხომ უსაზღვროა.

გველის ბოლო მკვლევლობა 1985 წელს ჩავივინე. მაისი იყო. ბათუმის რევოლუციის მუზეუმის წინ ასფალტზე მოსრიალე გველის წიწილა შემომაკვდა. ამჯერად მართლაც არ მსურდა, მაგრამ იმის შეგნებამ მძლია, რომ აქ ბავშვები იყვნენ ხშირად და გაზრდილს არ დაეკბინა. მას შემდეგ არაერთხელ გაეჩერებულვარ იმ ადგილას და იღუმაღლემას მივცემივარ.

გველი ორსახოვან იანუსს არ მოგვაგონებს, იგი თავისთვის არსებობს, თუ არ შეაწუხებ, არ გაენებს, თუმცა მისდამი შიში ყრუანტელს გვეკვრის. ალბათ ამიტომაც, მოქნილია და ყველგან მოხვედრა შეუძლია, შედარებით შეუმჩნეველია, თავდასხმა არ ახასიათებს (წერილი დაბეჭდა ჟურნალმა „ლიტერატურული აჭარა“, 1999, №3, გვ. 115-123).

## ქალის გამოსული გვარისა და სადაპრობის გამოსატვის ფორმები აჭარაში

მხედველობაში გვაქვს -ფხე-ზე და -ურის გამოყენება გვარსახელებში. XI-XIII საუკუნეების მაჭახლის, ანუ ტბეთის სულთა მატთანეს მიხედვით, ჩვენი წინაპრების გვარებში ძირითადად ძე ჭარბობდა, შემდეგ მოდიოდა ეთ-ზე და შეილზე წარმოქმნილი, ხოლო იშვიათი ყოფილა -ულ, -ნა, -ია, -ტი, -ში-ზე, აგრეთვე -ფხე და -ურით დაბოლოებული, მათი წარმოქმნისა და ცვლილებების პროცესი ამ უნიკალური მატთანედან გამომდინარე, განხილული აქვთ მკვლევარებს მხეჟალა შანიძესა და თინა ენუქიძეს. მაჭახლის მატთანეში ფიქსირებულია „შერაფხე ცხორებას და მის შვილს გიორგის შეუნდვენ ღმერთმან,“ აგრეთვე „ხათუთა მაძეაფხე“ და ორმაგი დაბოლოებით გოგა, ლაზარე და ცისკარა ნიკოლაფხესშვილები, სამივე სხვადასხვა დროის მცხოვრებნი (ტბეთის სულთა მატთანე, გვ. 64-134, 136).

ამ მატთანეს გამომცემელი, გამოკვლევებისა და საძიებლების ავტორი თ. ენუქიძე დასძენს, რომ ფხე აწარმოებს მხოლოდ ქალის გვარებს, თუმცა როგორც ჩანს, გვაქვს იშვიათი შემთხვევა, როცა მამაკაცებიცაა წარმოდგენილი. -ფხე-ზე რომ ამა თუ იმ პიროვნების მხოლოდ ასულს გამოხატავდა და ძე თუ შვილს ცვლიდა, სხვა პერიოდის მასალებიც ადასტურებს. 1987 წელს აჭარის რადიომაუწყებლობის რედაქციაში მეწვია ენატკბილი, ჭადარაშემოსილი ხალხური მთქმელი დაგვიდან, წარმოშობით ხინოელი მურად ქათამაძე, რომლის შესახებ ადრე ჩვენც ვთქვი. ამჯერადაც საინტერესო ამბები და ხინოში შექმნილი ლექსები ჩამაწერინა. ძველად მომსკდარმა ზეავემა დარბაისელი მოხუცის ცხრა შვილი მეუღლეებთან ერთად უკვალოდ ჩამარხა. ამის გამო იმ ადგილს დღესაც წერაკვეთი ჰქვია (წერაქოთსაც ამბობენ). ამით თავზარდაცემული მამა-მამამთილი გოდებას მიეცა, რაც მეზობლებმა ლექსში ასახეს. ლექსში უბედური საყვარელი რძლების გვარებსაც ჩამოთვლის, რომლებსაც -ფხე დაერთვის: ელიფხე, მელიფხე, გოგიტიფხე, ქონდარიფხე, გოლიაფხე, რომანიფხე, ჭელიფხე, კარვალიფხე, ღორჯომელაფხე, რაც ელიაძეს, მელაძეს, გოგიტიძეს, ქონდარიძეს, გოლიაძეს, რომანაძეს, ჭელიძეს და ღორჯომელაძეს შეესიტყვება.

ჩვენი აზრით, მიხეილ ქამადაძის მიერ ხულოს რაიონში აღნუსხული ადგილის სახელწოდება მელიფხანა (მელაძე) მელიფხეს დამახინჯებული ფორმა უნდა იყოს. ზოგჯერ შეკვეცის შედეგად მელიხესაც ამბობდნენ,

რაც ასევე მელაძის ასულს, ქალს ნიშნავდა. ზოგჯერ ფხეს მხეველი, ანუ სახლში მოსამსახურე ქალის გვარსაც ურთავდნენ.

ეს -ფხე და -ხე ჭანეთშიც ყოფილა დამკვიდრებული, რასაც სარგის კაკაბაძეც ადასტურებს (გრუზინსკიე დოკუმენტი...) აქაც გათხოვილ ქალებს მამისეული გვარით იხსენიებდნენ. ჟორდანიების, ლოლუების, კაცარაეების ოჯახებიდან გამოსულეებზე იტყოდნენ: ჟორდანიფხე, ლოლუფხე, კაცირიფხე, იყო აგრეთვე კონტრიფხე, კოჩუფხე, ნაცხუფხე და სხვა. აჭარლებისაგან განსხვავებით, ჭანები ზოგჯერ ამ ბოლოსართს უმატებდნენ გავლენიან დიდებულთა ასულების გვარებს, მაგრამ შეკვეცილი - „ხეს“ ფორმით (ე. ნიკონოვ, გეოგრაფია ფამილიი, მ., 1988, გვ. 163). რასაკვირველია, ამ შემთხვევაში ამ განსხვავებით მიანიშნებდნენ არა ქალის გვარის წარმომავლობას, არამედ სოციალურ მდგომარეობას.

ბავლე ინგოროყვა თელიდა, ქალთა გვარების დაბოლოება -ფხე გავრცელებული იყო ლაზურში, ანუ ჭანურსა და აჭარულში. გამარტივებული ფორმა -ხე კი გვხვდება მეგრულსა და დასავლურ იმერულშიო: ჭილაია-ჭილახე, ჭილაიხე, კილახე და სხვა. იმასაც დასძენდა, რომ ექვთიმე თაყაიშვილმა შანიფხე ამოიკითხა პარხალის ტაძრის X საუკუნის წარწერებში. XI საუკუნის მოქვის ხელნაწერთა მინაწერებში მოხსენიებული ბობოყვაფხე შესაძლებელია ბობოფხედან იყოს წარმოებული. ემიგრაციაში მყოფ თაყაიშვილს -ფხეზე ცნობების მოწოდება უთხოვია იოსებ მეგრელიძისათვის. - თქვენმა ცნობამ -ფხეს შესახებ მასიამოვნა, კიდევ გამოვიყენო, მაგ. შანიფხე, ე.ი. შანიძის ასული, ქალი („მნათობი“, 1974, №10).

პროფ. შოთა ნიჟარაძის მიხედვით, სუფიქსი - ფხე სპორადულად გვხვდება ქობულეთის მკვიდრთა მეტყველებაში და ასეთი მაგალითები მოჰყავს: ინაიფხე - ინაიშვილის ასული, გელიფხე - გელაძის ქალი და სხვა. ცნობილია, რომ პ. ჭარაიამ სიტყვა ზაფხულში ელემენტი -ფხ გამოჰყო, რასაც მხარი დაუჭირა აკად. არნოლდ ჩიქობავამ. გ. კლიმოვა კი ჭანურსეანურ ძირად ჩათვალა და აფხაზურ-ჩრდილო-კავკასიურს დაუკავშირა, ხოლო თვით სიტყვა ზაფხული ქართულ, აფხაზურ-ადიღეურსა და ნახურდაღესტნურ ენათა ერთ-ერთ ყველაზე გავრცელებულ ლექსიკურ პარალელიზმად მიიჩნია, რაც დამაჯერებლადი ახსნა პროფ. ალ. ლლონტმა (ქართული ლექსიკოლოგიის საფუძვლები, 1988, გვ. 124-125). ამასთან ერთხმად აღიარეს, რომ -ფხ თბილს ნიშნავს, მაგრამ რა კავშირშია ქალის გვარის მაჩვენებელ ფორმა ფხესთან, არაფერს ამბობენ.

ჟურნალ „მაცნეს“ 1983 წლის №4-ში ოთარ ჭურდულია წერს: აჭარულს შემორჩა მდებრობითი სქესის მაწარმოებელი -ხე, -ფხე, -მხე ნაწილაკები. ნ. მარი და ს. ჯანაშია თელიდნენ, რომ ეს აფხაზური ენის

ზეგავლენით მოხდა. ი. მეგრელიძის მიხედვით კი -ხე გამარტივებული ფორმაა -ფხესი, რომელიც დამკვიდრებულა მეგრულში, ქვემოიმერულსა და ნაწილობრივ სვანურში. აქედან გამომდინარე, ყველა დანარჩენი -ხეს გრამატიკული ნიშნის ვარიაციული სახეობებია და კოლხური, ზანური წარმოშობისაა, რომლებსაც პარალელები აქვთ მონათესავე კავკასიურ ენებში, მაგრამ გამორიცხული არ არის მათი კავშირი შუამდინარეთის გარკვეულ ჟამთა ენობრივ სამყაროსთან (გვ. 134), ი. მეგრელიძე იმოწმებს ი. მეშჩანინოვს, რომელიც -ხე, -ფხე, -მხეს ურარტულ ენას უკავშირებს და თვლის - ხენე, ხინი - შვილს ნიშნავსო.

ამ ფონემას -ხ ფორმით მოიხსენიებს იაკობ ახუაშვილი, მრავლობითი თუ ტომის ძველისძველი მაწარმოებელიაო და ჩამოთვლის გვარებსა და ტომებს, კერძოდ, ბობოხიძე, კომახიძე, კუჭუხიძე, მარუხია, მუსხელიშვილი; ჯავახი, კოლხი, კახი, სომეხი, უბიხი, ქეხი, ლაშხი (ქართული გვარსახელები, 2, გვ. 109).

მკვლევარი ვლადიმერ მგელაძე თავის წიგნში „ზემო აჭარის სოფელი“, შენიშნავდა, რომ ოსმალთა ბატონობის მიუხედავად გვარეულობის, გვარის, ბუდობის, ძველი თუ ახალი მამობის სახელწოდებათა მაწარმოებელი ქართული ბოლოსართები -ური, -შვილი, -ები, -ძე, -ენთი, -ანთი, -სანი და -ეთეთი აჭარლებში არ მოიშალა. გათხოვილი ქალის სადაურობასა და მის მამისეულ გვარზე -ურ სუფიქსი მიუნიშნებდა. ტუნაძეებიდან გათხოვილ ქალზე ტუნაურს იტყოდნენ, მინთაძეებიდან - მინთაურს და სხვა.

ქალის ჩაცმულობის, სადაურობის, მის გათხოვებამდე საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მოხსენიება დღესაც მოშლილი არაა. ქედის რაიონში გაიგონებთ მერისულაი, ზენდიღურაი, ცხმორისულაი, აგარულაი და ა.შ. ასეა სხვა რაიონებშიც. არის ფორმა „ბებრეუთი“, რაზეც ნანული ნოღაიძელი წერს: დედულეთის აღმნიშვნელ სიტყვას ხულოს რაიონის მკვიდრთა მეტყველებაში ვხვდებით, ესაა ბებრეუთი - ბებრევეთი. ბებერა ადრე მოხუცებული ქალის, ბებიის აღსანიშნავად იხმარებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში მისგან წარმოიშვა ეს ფორმები, როგორც მოხუცებული ქალის, ბებიის საცხოვრისის, შვილიშვილისათვის - დედულეთის, რძლის, გათხოვილი ქალიშვილის მშობლიური კუთხის - სოფლის, სამშობლოს, ოჯახის აღმნიშვნელად. ურ-ი ძველ საქართველოში გვარის მაწარმოებელი იყო -ძე და -შვილის თანაბარიო.

თურქეთის ფარგლებში მოქცეულ იმერხევშიც დაფიქსირებულია ანალოგიური ფაქტი. აქ ახლაც გაიგონებთ გამოთქმას „კობალთურაი“ რაც ამ სოფლიდან გამოთხოვილ ქალს ნიშნავს (ნ. ცეცხლაძე, შავშეთ-იმერხევის ტოპონიმების წარმოების ზოგიერთი საკითხი, გაზ. „აღორძინება“, 1999, 12 თებერვალი).

როგორც -ფხე, ასევე -ურ-ი ძველი დროიდან მომდინარეობს. მაჭახლის სულთა მატიანეში მოხსენიებულია აბესლამური, ახალაური, გვიანური, თევთიური, მიქლაური, ქოქოლაური, ხინკელაური, ფოთელაური, ვერძაული, გაბრიული, ქვაბელური და სხვა გეარსახელები, რომლებიდანაც მიღებულია დღემდე არსებული გეარები აბესლამიძე, ახალაძე, გვიანიძე, თევთიძე, მიქელაძე, ქოქოლაძე, ხინკილაძე, ფოთელიძე, ვერძაძე, გაბრუშიძე, ქობულაძე. თინა ენუქიძის მიხედვით, ქალთა ეს გეარები ბოლოსართ -ურით, მამაკაცთა სახელებიდან უნდა იყოს წარმოქმნილი. ჩვენი აზრით, უფრო სოფლების ამგვარი სახელწოდებებიდან, რომლებიც დღემდეა შემონახული.

ამრიგად, აჭარლები და მათი მეზობელი ჭანები გათხოვილი ქალის მამისეულ გეარს ამოცნობისათვის ფხე-ს ურთავდნენ, ხოლო გათხოვილი ქალის სადაურობის დასადგენად ურ-ს. ახლაც ბათუმიდან მოყვანილ ქალზე იტყვიან: ბათუმურაი, ქობულეთიდან – ქობულეთურაი და ა.შ. ასე რომ, აჭარაში გათხოვილი ქალის სადაურობის ამოსაცნობად გამოიყენება -ურ სუფიქსი. ეს უფრო მიღებულია ხულოს რაიონში. სოფ. კალოთიდან რომელიმე სოფელში მისულ რძალზე იტყვიან კალოთურაი და საკუთარ სახელსაც ურთავენ ხოლმე. მაჭახლის მატიანეს მიხედვით, ეს -ური ქალის მშობლიურ სოფელს ან გეარს ერთვოდა.

## სად და როდის დაიწყო სისხლის აღებით შურისძიება

სისხლის აღება უძველესი, წარმართული დროიდან მომდინარეობს და შურისძიების უმკაცრესი სახე აქვს. იგი საკუთარი ხელით სიკვდილის დაოკებასთანაა დაკავშირებული. ასე ხდებოდა აუტანელი უკანონობისა და განუკითხაობისას. ითვლებოდა ადათ-წესების მოვალეობის მოხდის, სამ-აგიეროს გადახდის საშუალებად. განსაკუთრებით ფესვადგმული ყოფილა არაბეთში, აფრიკის ხალხებსა და მთიელებში. მოგვიანებით გავრცელდა კორსიკაში, სარდინიაში, საბერძნეთსა და სხვაგან. სხვათა შორის, ამ აქტს სამართალიც სცნობდა, გადადიოდა თაობიდან თაობაში და მონაცვლეობითი იყო. შურისძიება ითრევედა თაობებს, თესდა შიშსა და შფოთს, ადამიანთა მოდგმები, ტომები და ქალაქები მტრობდნენ ერთმანეთს, მით უმეტეს თუ მკვლელი გადაიკარგებოდა, მაშინ სრულიად უდანაშაულო ნათესაეები

ილუპებოდნენ, მათ შორის კავკასიაში. 1836 წელს გერმანელი მოგზაური ოსკარ სპენსერი თავის ნაშრომში „მოგზაურობა ჩერქეზეთის, აფხაზეთისა და სამეგრელოს სანაპიროს გასწვრივ“, წერდა: „კავკასიაშია საშინელი მანკი – სისხლის ალების უძველესი წესი, ვიდრე შურს არ იძიებენ მოკლული ნათესავის გამო, ვერ მოისვენებენ. ჩერქეზთა და საზოგადოდ კავკასიელთა კანონის მიხედვით, სისხლის ჩამობანა სისხლითვე ხდებოდა. ეს წესი მემკვიდრეობით გადადიოდა, მოკლულს მსხვერპლს სწირავდნენ, მისი ღრმა პატივისცემის ნიშნად“ (კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თბ., 1981, გვ. 116).

თითქოს უწყინარ შევიცარიაშიც სისხლის ალება გასულ საუკუნემდე არსებობდა. ასე იყო გერმანიაშიც, რაც ცნობილ ნიბელუნგების თქმულებაშიც აისახა. ებრაელებში სისხლის ალება საკულტო მოვალეობად ითვლებოდა, რადგან მოკლულის სული თითქოს შურისძიებას ითხოვდა. თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, „მესისხლეობა ანუ სისხლით შურისძიება სისხლისმღვრელობით სიმტერეა, გინა მტრობა ესე ვითარი, რომლის მიზეზ სისხლის დაღვრისა იყოს“.

მე-19 საუკუნის ფრანგი მოგზაურის ჟან მურიეს ცნობით, სისხლის ალება აჭარაში მაშინ შემონახული იყო, როგორც ბუნებრივი სამართალი (ჟან მურიე, ბათუმი და ჭოროხის აუზი, 1962).

1873 წელს აჭარაში ყოფნისას დიმიტრი ბაქრაძემ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილის ძლიერი გავლენის წყალობით, მთიან აჭარაში საგრძნობლად ნაკლები იყო სისხლის ალება (არქეოლოგიური მოგზაურობა, გვ. 61), ანუ სისხლის დაწოლა გვარებს შორის. „სისხლის ვალი“ მკვლელობის გამო აქ არც ისე ბოხოქრობდა როგორც ზღვისპირა აჭარაში.

ამ მანზე სენს, უკანონობა, თვით ადამიანთა სისასტიკე რომ განაპირობებდა, ამხელდა აკაკი წერეთლის უფროსი ძმა დავითიც. 1878 წელს აჭარა საქართველოს დაუბრუნდა. დავით წერეთელი მაშინ მაჭახლის ხეობის მილიციის უფროსად დაინიშნა. იმავე წლის 21 ნოემბერს გაზეთ „დროებაში“ ის წერდა: ამდენი ხანია აქ ვარ და ერთი კაცის კვლა არ მომხდარა. დამნაშავეს ვატუსალებთ და ბათუმში ვაგზავნით. ხალხმა ნახა, რომ მთავრობას ბეგებთანაც ჰქონია სამართალი. ფუხარას (ღარიბის) მოკვლისათვის ბეგები ფაქტიურად პასუხს არ აგებდნენ, ახლა კი რუსის მოხელე ბეგებსაც ისე იჭერს, როგორც ღარიბსო (გაზ. „კახაბერი“, 1998, აპრილი-მაისი).

აჭარის გათავისუფლებისთანავე გუბერნატორმა კ. კომაროვმა მოსახლეობას ასე მიმართა: „თქვენს სარწმუნოებას, ჩვეულებებს ვერავინ შეე-



ხება, მაგრამ სისხლის ალება უნდა მოიშალოს, კაცის მოკვლა დიდი ცოდვია და არავის ნება არა აქვს მტრობით კაცი მოკლას“.

მტკიცედ იყო გამჯდარი მცნება: სისხლი სისხლით შეიხოცება, სხვაგვარად არა, მოკლულს ისისხლებდა მამა, ძმა, შვილი, ბიძაშვილი, სხვა ახლო ნათესაები. დამნაშავეს კლავდნენ და შერიგება მხოლოდ შემდეგ ხდებოდა, ე.ი. ანგარიში გასწორებულად ითვლებოდა, ამას ერთი ერთზე ერქვა და უკვე შეიძლებოდა შერიგება, მშვიდობის დამყარება. მართალია, სისხლის ალება შურისმაძიებელთა მოვალეობა იყო, მაგრამ ითვალისწინებდნენ ყველანაირ მიზეზს, რაიმე ინტერესით მოიკლა თუ შემთხვევით. ასეთ დროს სისხლის ალება არ ხდებოდა. ასე იყო მაშინაც, როცა მოკლული დამნაშავედ ითვლებოდა, ანუ მან ეს დაიმსახურა და სამაგიეროს გადახდა სავალდებულოდ არ ითვლებოდა, მაგალითად, თუ მკვლელობა მოხდა ნამუსის დაცვის, ქალის ფიზიკური შეურაცხყოფის გამო, ასეთ ვითარებაში მკვლელს მთელი სოფელი მფარველობდა, სამაგიეროს არავითარ შემთხვევაში არ უხდიდნენ. მკვლელ ქალსაც და მის შვილს არ კლავდნენ 18 წლის შესრულებამდე. წამქეზებელს სოფლიდან აძეებდნენ, მორიგების შემთხვევაში მკვლელიც სხვაგან გადადიოდა საცხოვრებლად. მას ეკრძალებოდა მეორე მხარის დაცინვა, არ უნდა მისულიყო იქ, სადაც მოკლულის ჭირისუფალნი იყვნენ.

საერთოდ აჭარაში ძლიერი იყო ქალის კულტი. აქედან გამომდინარე, ე.წ. „ნამუსის კულტი“, რომელიც ვერავითარმა სოციალურმა უსამართლობამ ვერ შელახა. სისხლის ალებაც უმეტესწილად ქალის ღირსების დაცვისათვის ხდებოდა. ივანე კანევსკი, ჟან შარდენი, ჟან მურიე, პრასკოვია უვაროვა, თედო სახოკია და სხვები გაოცებას ვერ მალავდნენ ამის გამო.

მაგრამ თავად მოსახლეობა თავის რიგებში არანაირად არ ინდობდა გარყვნილ ქალებს და სასტიკად დევნიდა მათ. იოანეს სახარების თავში „მრუშობა დედაკაცის მიტევება იესოს მიერ“, ვკითხულობთ: იესოს უთხრეს „ეს ქალი მრუშობაზეა წასწრებული, მოსემ კი რჯულში მცნებად დაგვიდო ასეთების ჩაქოლვა“. აჭარაშიც ასე ხდებოდა. ასეთი იყო ჩვეულებრივი კანონი.

შერიგების პროცესი მეტად მკაცრი იყო. მკვლელი ყელზე ბაწარგამობმული მიჰყავდათ მოკლულის საფლავზე, სამჯერ შემოატარებდნენ, ან მოკლულის სახლამდე ჩოქვით უნდა მისულიყო და სახლისთვისაც შემოევილო. ამის შემდეგ ხდებოდა დარიგება ანუ შერიგება. იყო შემთხვევები, როდესაც ბაწარს, თოკს ძალით აბამდნენ და შემოვლისას დაიძახებდნენ: „ძალდი მოვიყვანეთო“. მოთავდებოდა თუ არა ეს ცერემონია, დაზარა-

ლებული თოკს მოუხსნიდა მკვლელს და სახლში შეიყვანდა. შერიგებას ახდენდა „წინაი ხალხი“. ესე იგი გამორჩეული უფროსები, ენაპირიანები. ქალის ამგვარ საქმეს კი მეზობელი სოფლებიდან მოწვეულები განიხილავდნენ და გადაწყვეტილებაც მათ გამოჰქონდათ. ჭირვეულობა-ორჭოფობისას კითხულობდნენ „ბედვა-წყევლას“, თუ აღიარებდა დანაშაულს, იტყოდა მე ვქენიო, მაშინ გასამართლების პროცესი დასრულებულად ითვლებოდა. ამ ცნობების მიმომხილველი ლ. ბოჭორიშვილი დასძენს, რომ ყველაფერი ეს ზოგადქართულ სინამდვილეს შეესატყვისებოდა (სამხრეთ-დასავლეთ საქ. ყოფა და კულტურა, 4, გვ. 150-153, თბ., 1978).

სისხლის აღების წესის არსებობას თურქეთში მცხოვრებ ლაზებს შორის ადასტურებს ინგლისელი დენის სესილ პოლზი, რომელმაც 1959-1962 წლებში აღწერა ლაზეთი.

მე-20 საუკუნის დასაწყისიდან აჭარაში კვლავ იმძლავრა მრავალმა უბედურებამ, აჭარელთა დევნამ. ეს განაპირობა პირველმა იმპერიალისტურმა ომმა, თურქების, ცარიზმის ოფიცრების, სხვათა თარეშმა, ალვირახსნილობამ, ქაოსმა, რის შედეგად იმატა უსამართლობამ, ადამიანთა შევიწროება-კვლამ. ამან სისხლის აღების ადათი ნაწილობრივ კვლავ ააღორძინა, რამაც დაღუპა არაერთი კეთილშობილი ადამიანი, მათ შორის ილიას ხელაძე, რომელსაც სახალხო მთქმელებმა ლექსები უძღვნეს, მათ შორის ღორჯომელმა ხასან ირემაძემ (მ. ხუბუა, ზემოაჭარულის ენობრივი მიმოხილვა, 1939, გვ. 36-37).

ბათუმში ოფიცრად მოსამსახურე დავით კლდიაშვილი ამ ამბავს ასე აღწერს: „ხილაძეების პატარა ძმამ დაქორწინება დააპირა. მომავალი ქვისლის ძმამ ყოველგვარი მიზეზის გარეშე ქალზე უარის თქმა მოსთხოვა მას. უსაფუძვლობის გამო ყმაწვილმა თავის სიყვარულზე უარი არ თქვა და კიდევ დაქორწინდა. ბედნიერად ცხოვრობდნენ ახალდაქორწინებულები, მაგრამ ავსულმა ილიას ხილაძის უმცროსი ძმა სიცოცხლეს გამოასალმა.

ხელისუფლებამ მკვლელს მცირეწლოვნობის გამო (16 წლისა იყო) მხოლოდ ორი წელი მიუსაჯა. ამას არავითარი დამამშვიდებელი გავლენა არ ჰქონია. მოსვენება ყოვლად შეუძლებელი იყო, სანამ მოკლული ძმის სისხლი არ აიღებოდა. ყველასათვის გასაგები გახდა, რომ უნდა აღებულიყო სისხლი – ხალხური რწმენით, მოკლულის სული, ჩიტად ქცეული, საფლავს არ მოშორდება, სანამ სისხლი აუღებელია. ძმის სულის მოსვენება, – ეს იყო ოჯახის დარდი და ყველაზე უფრო ეს დარდი არ ასვენებდა უფროს ძმას ილიასს, რომელსაც გადამეტებით უყვარდა ასე უმიზეზოდ მოკლული უმცროსი ძმა. მოუსვენრობამ უფრო იმატა, როცა ციხიდან გამოვიდა მკვლელი და თავისუფლად დადიოდა. ილიასმა მალე

კიდევ აიღო ძმის სისხლი. მისი ღრმა რწმენა, რომ ძმის სული მოიხვენებდა, დაკმაყოფილებული იყო, მაგრამ მთავრობის კანონით სისხლის აღება ედრებოდა უბრალო მკვლელობას და სისხლის ამღები სასტიკად ისჯებოდა. ილიასი იძულებული იყო ტყისთვის შეეფარებინა თავი მევლუდ დიასამიძესთან ერთად, მაგრამ ბოლოს ისიც დააპატიმრეს. გენერალმა ივანენკომ, სხვებმა, თვით დ. კლდიაშვილმა ყველაფერი იღონეს ილიასის გადასარჩენად, მაგრამ ამაოდ, სხვათა შორის მთავრობის წარმომადგენელმა კაპიტანმა ჯემალ ბეგ ხიმშიაშვილმაც ჩვენებისას ივანენკოს კითხვაზე „შეეძლო თუ არა ილიასას დაჯერებულიყო იმით, რომ კანონმა დასაჯა მისი ძმის მკვლეელი და სისხლი არ ეძია“, უპასუხა: ხალხის რწმენით, სისხლი უსათუოდ უნდა აღებულ იქნასო, სოფლის მოლამაც ამ კითხვაზე განაცხადა: სისხლი რომ არ აელო, არ შეიძლებოდა, მთავრობის კანონი თავისთავად არი... ეს კი სოფლის საქმეაო.

... „და მაინც, ილიას ხილაძე (ხელაძე) ქედაში ძალღივით ჩამოკიდეს,“ – წერს დ. კლდიაშვილი (დ. კლდიაშვილი, ჩემი ცხოვრების გზაზე, გვ. 33-34).

სისხლის ამღებთა შორის იყვნენ სულგრძელი, საზრიანი, რაინდული თვისებებით აღსავსენი. მკვლევარ აზიზ ახვლედიანის ცნობით, ის, ვისაც დაეძებდნენ მოსაკლავად, ღამით საკუთარ ოჯახში შეიპარა. გაოცებულმა ცოლმა უთხრა: რომ შეგნიშნონ, ხომ მოგკლავენო. ქმარმა უპასუხა: მე ისეთი ბენი (უგუნური) მტერი არ მყავს, რომ ღამით ცოლთან მოსული მომკლასო. ეს გაიგონა იმ ღროს იქ ამოფარებულმა მტერმა და მეორე დღესვე შეუთვალა – დაერიგდეთო. აქედან გამომდინარე, აჭარლები ამბობენ: „ღმერთმა მტერიც ჭკვიანი მოგცესო“.

1921 წლის 18 მარტს აჭარაში დამყარებულმა საბჭოთა ხელისუფლებამ პირველი დღეებიდანვე ფართო ახსნა-განმარტებითი საქმიანობა გაშალა ამ მანკის აღმოსაფხვრელად, რასაც წინ უძღოდა კანონიერების დამყარება. მიწისა და სხვა საკითხების მოგვარება, ადამიანთა ჩაბმა საზოგადოებრივ-სასარგებლო შრომაში. უკვე 1924 წლისთვის ჩვენს მხარეში იშვიათად თუ ვინმე შურს მკვლელობით იძიებდა, მაშინ როცა არც ისე დიდი ხნის წინათ, როგორც ეს აჭარის მთავრობის ანგარიშებშია დადასტურებული, ყოველწლიურად სისხლის აღებას 50 ჯანმგარი კაცი ეწირებოდა, რაც მძიმე დანაშაულობათა 40 პროცენტს შეადგენდა.

1923 წელს თვით მოსახლეობამ მოითხოვა მთავრობის ჩარევა ამ საქმეში. დააარსეს შემრიგებელი კომისიები, მისცეს ინსტრუქციები, შეარჩიეს გავლენიანი, სანდო ადამიანები და ურთიერთშორის მტრულად განწყობილი 810 ოჯახი შეარიგეს. მომდევნო წელს ამგვარ ნიადაგზე არც

ერთი მკვლელობა არ მომხდარა (აჭარისტანის ა.ს.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისარიატთა საბჭოს ანგარიშები, 1925, გვ. 6, 22). უნდა ითქვას, რომ ეს სახკომსაბჭოს თავმჯდომარის – თახსიმ ხიმშიაშვილის პირადმა წვლილმა განაპირობა.

1998 წლის დასაწყისში ბათუმში გამოიკა იურისტ მურმან ქათამაძის პატარა წიგნი „სისხლის ალების ჩვეულებასთან დაკავშირებული ზოგიერთი საკითხი აჭარაში“, მასში ავტორი სამართლებრივ ასპექტებს განიხილავს და აღნიშნავს, რომ – ეს საკითხი მომავალში საფუძვლიან კვლევა-ძიებას მოითხოვს.

შურისძიების საკითხზეა საუბარი თედო სახოკიას, ელიზბარ ზედგენიძის, კარლო კალაძისა და სხვათა „მოგზაურობაში“, განხილულია ჩვენს წიგნებში „ამას შენზე ამბობენ აჭარავ“ და „აჭარა ქართველ მწერალთა შთაგონების წყარო“.

უთუოდ საინტერესოა ნუგზარ ზოსიძის სტატია „სისხლის ალების წესი აჭარაში და მისი ასახვა ლიტერატურაში“, რომელიც მოთავსებულია ჟურნალ „ლიტერატურული აჭარის“ 2000 წლის №11-ში.

## იოსაფა ბარბარო და უმანაო ბათუმელი ძალი

კავკასიის ცენტრალური გზის, აქ გამავალი აღმოსავლეთის დერეფნის საკვანძო ბათუმ-აჭარის მონაკვეთს მოგზაურები, ისტორიკოსები, დიპლომატიური, რელიგიური და სხვა სამსახურის მოხელე-წარმომადგენლები არასოდეს ჰკლებია. მათი დოკუმენტური ცნობები ავსებენ და საინტერესოს ხდიან ჩვენს წარსულს, გვეხმარებიან რიგი საკითხების გარკვევა-დადგენაში.

მაგრამ ყველა მეცნიერებისა თუ კაცთმოყვარეობის შთაგონებით როდი ჩამოდიოდა. ამიტომაც თავს ნაკლებად იწუხებდნენ, წერდნენ ყურმოკრულს, ზერელედ, იმას, რაც მათ ინტერესებს ეხებოდა, უფრო მეტი, დამახინჯებასა და მოგონებასაც არ თაკილობდნენ.

ამ მხრივ გამორჩეულია იტალიელი იოსაფა ბარბარო, რომელიც 1474 წლის ზაფხულში ეწვია ბათუმს. მალე მას მოჰყვა თანამემამულე, ასევე ელჩი – დიპლომატი ამბროჯიო კონტარინი, ისინი გოდერძის უღელ-

ტეხილის გავლით ახალციხე-თბილისის გზით სპარსეთში ჩავიდნენ.

ამიტომ იყო, რომ ისტორიკოსი ალექსანდრე ჭყონია დასძენდა: „როგორც ბარბაროს, ისე კონტარინს ზოგიერთი შეცდომა მოსვლიათ საქართველოს აღწერილობაში და გარდა ამისა, ქართული ზნე-ჩვეულებების შესახებ მეტისმეტი სასტიკი მსჯელობა და ზოგჯერ უსაფუძვლოდაც წარმოუთქვამთ, მაგრამ მათ მასალებს მაინც ვებუკდავთ, ვითარცა საინტერესოს, რომლის ჯეროვანი დაფასება საისტორიო კრიტიკის საქმე იქნება“.

ჭყონიას ეს გულისტკივილი უსაფუძვლო როდი იყო. ბარბაროს მიხედვით – „სამეგრელო ესაზღვრება ყაიღალების ქვეყანას, რომლებიც კასპის მთის მახლობლად ცხოვრობენ“, რომ თითქოს სამეგრელოს მთავარ ბედიელს ბათუმის ციხეც ჰქონია, თუმცა თავადვე წერდა, რომ „რაოდენამდე ფაზისის მდინარეც უვლის გარშემო ამ ქვეყანას“, ანუ სამეგრელოს. ამასთან, გონიოს გორის სახელით მოიხსენიებდა, რაც შენიშნეს თეიმურაზ ბერაძემ, მამისთვალისშვილმა. გონიოს მაშინ საქართველოს მეფე ბაგრატი (1360-1393) განაგებდა. ივანე ჯავახიშვილის მიხედვით, გონიო და სარფს იქითა სანაპირო მაკრიალის სახელწოდებით საქართველოს ეკუთვნოდა, რასაც აკადემიკოსი თედორე უსპენსკიც წერდა (ივ. ჯავახიშვილი, ქეი, 3, გვ. 277; თ. უსპენსკი, ოჩერკი ტრაპეზუნდსკოი იმპერიი, ლენინგრადი, 1929, გვ. 167.) და სხვა.

ასეთ ფაქტს დააზუსტებ, გაარკვევ, მაგრამ „მეტისმეტი სასტიკი მსჯელობა და ზოგჯერ უსაფუძვლობა“ გადასული შეურაცხყოფაში, დიდად საწყენია. ცივილიზებული ევროპიდან მოსულს, თანაც ელჩს, ადგილობრივი ქალისა და სხვათა „თეთრი კბილებისა“ და გულუბრყვილობის გარდა მათი უმანკოება, მორიდება, სხვა თვისებებიც უნდა დაენახა. გაერკვია ის, თუ როგორ არღვევდა ტრადიციებს აღებ-მიცემობა, უღირს უცხოელებთან ურთიერთობა.

ბათუმში თურქების გემით გენუელ ვაჭარ ანცოლინე სკუარჩიფიაკოსთან ერთად მოსული ბარბარო ადგილობრივ ვაჭარს მიაღვა სახლში. ძალაში ეტყობა სპარსული ფული – ვერცხლის თეთარ-ტეტარი ანუ თეთრი და გამოსახულებიანი სიქა – სიქინი იყო. თეთარს თურქები აქჩა-ახჩას უწოდებდნენ, რაც ასევე თეთრს ნიშნავდა, ხოლო ბერძნები ასპრს.

ადგილობრივი ვაჭარი უმაღლეს საქმეზე გადასულა, ამგვარი ფული თუ გაქვთ ვივაჭროთო. ბარბაროს რამდენიმე ასპრი (თეთარი) დაუხარჯავს გამაგრებულ სასმელის შესაძენად, რომელსაც „მასტიკის“ სახელით

მოიხსენიებენ. იტალიაში კი ასე უწოდებდნენ იმ მცენარეს, რომელიც სურნელოვანი სუნის ფისს გამოჰყოფდა, ე.ი. სიტკბოს გარდა სურნელებითაც გამოირჩეოდა, რაც საყურადღებო ცნობაა, მეტყველებს, რომ ჩვენს წინაპართა კვებითი რაციონი უფერული, ღარიბი არ ყოფილა.

ალექსანდრე ჭყონიას მიხედვით, სკუარჩიფიაკოს ბათუმელი ვაჭრის კარებთან მყოფ ახალგაზრდა ქალისათვის უკითხავს „სორენა, პატრონი კონ?“ – ქალბატონო, ქმარი, პატრონი სახლშია? ქალს უთქვამს „აქჩი მატა“ – ახლავე მოვა, გეახლება. სკუარჩიფიაკო ქალთან მისულა, ლოყებზე ხელი მოუსვამს და ბარბაროსათვის უთქვამს: „შეხედე რა თეთრი კბილები აქვს“. შემდეგ უბეში ხელი ჩაუწყია, ქალი არ შემკრთალა და ადგილიდანაც არ დაძრულა. სახლში შესულს ამ ქალისათვის უთქვამს: რწყილები მაწუხებენ და მომაშორეო. ქალმა ალერსიანად, გულდამშვიდებითა და უმანკოებით რწყილებს ძებნა დაუწყო. თურმე, ვითომ იქვე ყოფილა მისი ქმარიც, რომელსაც აღშფოთება არ გამოუთქვამს, მხოლოდღა ის იკითხა, რისი შეძენა სურთ.

ქალის უმანკოებას მოუხიბლავს ბარბარო, თუმცა დასკვნა მაინც ტენდენციური გამოიტანა: გენუელი სკუარჩიფიაკო წაქეზებული ბათუმელთა ჩვეულებით ყველგან იმას ჩადიოდა, რაც ფიქრად მოუდიოდა, მისი მოქმედება არავის სწყინდა და არც არავინ არას ეუბნებოდა.

ცნობილია, რომ იმხანად ევროპელები დასავლეთ საქართველოს – მეგრელებს, საბედიანოს სახელით იცნობდნენ, ამიტომაც აქ მცხოვრებლები მეგრელებად მიაჩნდათ. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მაშინ მეგრელს არ შეეძლო დასახლებულიყო ბათუმში და ევაჭრა. ჩვენი აზრით, ეტყობა, ევროპელები ჭან თუ ლაზთან მოხვდნენ, რომელთა ენა მეგრულის იდენტურია.

ვაჭრის ერთი ოჯახის ქცევით მთელი ხალხის, მხარის შეფასება, რაიმე შემთხვევითის, თუნდაც უსიამოვნოს, ყველაზე გადატანა, მიტმასნება კეთილშობილი ადამიანისათვის, ცხადია, მიუღებელია. გენუელი კი, როგორც ითქვა, „ყველგან იმას სჩადიოდა, რაც ფიქრად მოუდიოდა“, ე.ი. ხელაღებული, უზრდელი ყოფილა, თუმცა ირანის ქალაქ ისფაჰანში 1475 წელს შეხვედრილ თანამემამულე ამბროზიო კონტარინისათვის უთქვამს: აჭარა ყველაზე მშვიდად გავიარეთ, აქ არ იყო ძარცვა-ყაჩაღობაო.

## ნორჩი ხარაულები ფოლკლორისტის ჩანაწერები

აჭარის რადიოს კორესპონდენტმა, აწ გარდაცვლილმა ვლადიმერ მამულაძემ XX საუკუნის 90-იან წლებში ხარაულელ მოსწავლეთა ჩანაწერები გვისახსოვრა, რომელთა საფუძველზე ეს ეთნოგრაფიული ხასიათის ნარკვევი ავაგეთ.

ხარაულელ მთქმელ მიხეილ განდელიძეს მოსწავლე იამზე ზაქარაძისათვის ასეთი ამბავი მიუწოდებია: თამარ მეფე ლაშქარს წინ გაძლოლია. მტრის შემოტევა მოიგერიეს, მაგრამ დადევნება სურსათ-სანოვაგის ნაკლებობის გამო სახიფათოდ მიიჩნიეს. თამარის ბრძანებით, მოუპოტაეთ შავფხალა ანუ აჭარული ფხალი, პინაი, ეკალა, ღორიკვაშილაი, სარწი, დილყა ანუ დიყი, სხვა საკვები ბალახები. კერძები მოუმზადებიათ და კიდევ დანაყრებულან. ამ თქმულებას „თამარ მეფე არჩი“ ქვია. არჩი სპარსული სიტყვაა და მზარეულს ნიშნავს.

ქვემო აჭარაში შემოჭრილი მტრის გასაღვენად თამარ მეფე ჯარით გოდერძიდან დაშვებულა. ღამის გათევა ხიჭაურში მდინარე აჭარისწყალთან მოუხდათ. შიკრიკმა ამბავი მოიტანა, რომ მტრები მათზე თავდასასხმელად მოემართებიან. დრო არ ითმენდა. საჩქაროდ მდინარის მოპირდაპირე კლდეზე სიმაგრე ააგეს და ხეობაც ჩაკეტეს. ამ თავდაცვით ნაგებობაში კავების დახმარებით თუ მოხვდებოდა კაცი, ამიტომაც ციხეს კვიანი უწოდეს, დღესაც ასე ჰქვიაო, – ნათქვამია გოჩა აბულაძის ჩანაწერში. (ამჟამად, გოჩა აჭარის რადიოს კორესპონდენტია).

ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, რომ უჩაბბიდან ხარაულაში გამოთხოვილი ასი წლის ფატი დავითაძის ნაამბობი ფაქტიურად თამარ მეფის დასაფლავების ახალ ვარიანტს წარმოადგენს. სულთანს თამარის ქალად, ანუ ცოლად შერთვა სურდა, მაგრამ ვერაფერს გახდა. ამასობაში მეფე გარდაიცვალა. სულთანი გლოვას მიეცა და ქართველთა მეფის დიდებულად დასაფლავება თავისას ისურვა. ბევრი ეძებეს, მაგრამ საფლავს ვერ მიაგნეს, თურმე 7 კუბო გაეკეთებინათ და ყველა დაემარხათ, რათა ვერ გაეგოთ რომელში ესვენა. ამასთან ფიცის თანახმად, იმ ორმა, რომლებმაც ყოველივე იცოდა, თავი მოიკლა (იხ. აგრეთვე ჩვენი წიგნის „ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, გვ. 62-63).

82 წლის ჯალაბაშვილებელ ყიმეთ ბერიძეს მისიანებისაგან სმენია, რომ დანდალოს ხიდთან ადგილ ნაომვართან აჭარლებმა თამარ მეფის დახმარებით მტერი აკაფეს. დაღუპულები ღირსეულად დაკრძალეს, ამ ადგილს ნაომარი უწოდეს და იქვე ქვის თაღოვანი ხიდი ააგეს, რომელიც დღემდეა შემონახული. აქაურები ამ ხიდს თამარ მეფის აგებულად თვლიან. 1950 წელს აქ გზის გაყვანისას ძმათა სასაფლაო აღმოაჩინეს.

ამ, ისე როგორც სხვა თქმულებაში, ფიქსირებულია აჭარული დარბაისლური გამოთქმები: „ბრძანეთ“, „ბრძანება თქვენით“ და სხვა, ბგერა ბ-ს შეცვლა ფ-თი (უჩამფა), ე-ს – ო-თი (იზოზე), ა-ს – ე-თი (წვეკარ), ვ-ს ამოგდება (მოკდენამდე), რაც დამახასიათებელია აჭარული კილოსათვის, აგრეთვე ქალი – ცოლის, ხოლო მოპოტვა – მოგლეჯის სინონიმად, თურქული ბაჯანალი – ქვისლი და სხვა. ასევე ადგილის სახელწოდება ნაყუდევი, რაც ქართულად საციხურს ნიშნავს, თურქებისმიერაა თარგმნილი. იხ. ყულევი).

როხსეთ ზაქარაძის მიხედვით, მათი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, თურქებმა ძალით გახადეს ჩვენი წინა ხალხი მუსლიმანები. თქვენ, ახლებმა იმ ჩვენს წინაპრებს უნდა გააყვეთ, ისე ღმერთი ყველასთვის ერთია.

ხარაულებელ ყოფილ მოსწავლეებს ხალხური პოეზიის ნიმუშებიც შეუკრებიან. აი ზოგიერთი მათგანი:

სახლი კისერ გაროხ-ვეგოხაჲ,  
უთაებოდოს ნუ დაროხაჲ,  
ფეხი წვეკარ ფისოხე,  
არ გევიარ შენ ოსოხე,  
ქაიდუ წამოი ყანაში,  
თხაც მოვწველოთ დედემში,  
გამოეხადოთ ნადები,  
გადმოგაკეკავ თელასა,  
ნაგაკნეტოეჲ ენასა,  
წითელი ფანხი, ცხემლი წიწვი,  
მოვლენამდე შენზე ვიწვი,  
გაეხდეთ ბაჯანადები.

ხარაულებებმა შემოგვინახეს აგრეთვე ორი თურქული თქმულება: „საიდან მოდის აჭარაში გათხოვილ ქალიშვილთან სადილის მიტანის ტრადიცია“ და სულთან-სულეიმანი ქალაქის მშენებელი“, რომელთა შესახებ წერილი ჩვენ გაზეთ „აღორძინების“ 1999 წლის 12 თებერვლის ნომერში გამოვაქვეყნეთ და აქ არ შევჩერდებით.



## ქობულეთში ჩაწერილი ლეგენდის ახალი, ადმოსავლური პერსია ლამაზმან ქალიშვილებზე

„ნ. ა-ძეს“, ჩვენი აზრით, ბათუმის პირველი საშუალო სკოლის მასწავლებელ მოსე ნათაძეს, რომელიც აჭარა-მესხეთზე საინტერესო წერილებსაც აქვეყნებდა, 1888 წელს ქობულეთში ჩაუწერია ლეგენდა კავკასიაში ლამაზმანი ჰურიების დასახლების თაობაზე. ეს ლეგენდა სათაურით „რა მიზეზია, რომ საქართველოში ბერია ლამაზმანები?“, ამ ფსევდონიმით დაუბეჭდავს გაზეთ „ივერიის“ 1894 წლის 19 იანვრის ნომერში.

ჰური არაბულად ულამაზეს ქალიშვილს ნიშნავს. ზოგჯერ გურიების სახელითაც მოიხსენიებენ. ცხადია, ესაა სხვა ენაზე გამოთქმის ვარიანტი. 1988 წელს მოსკოვში გამოქვეყნებულ საინტერესო წიგნში „ისლამ, სლოვარ ათეისტა“, ნათქვამია: გურიი, იგივე ჯანა-ჯუნაა ანუ არაბულად ბალი, სადაც მორწმუნეებისათვის შექმნილია ყოველგვარი სიამოვნება – სიკეთის პირობები. ასე რომ, ჯანა სამოთხის ერთ სახელწოდებათაგანია ისლამში, ე.ი. მაჰმადიანურ რელიგიაში.

ამ სამოთხეს უწოდებდნენ სიკეთის სამყაროს, ედემის ბაღებს, უსასრულობის, ანუ მუდმივი სიამოვნების ბაღს, მშვიდობის საენანესაც. „ყურანის“ განმარტებით, ჯანა-სამოთხე ბუნების წალკოტია სამკურნალო წყლებით, მშვენიერი მარადმწვანე ბაღებით, ტბებით, სადაც მოედინება რძის, ღვინის, თაფლის მდინარეები, გულს ახარებს პალმები, ბროწეულის ხეები და სხვა. იქ მობინადრეებს მშვენიერად აცვიათ, ჭამენ იმას, რაც მოესურვებათ, მიირთმევენ გასაოცარ სასმელებს. მეუღლეებად ჰყავთ ქალწულები – ჰურიები, იგივე გურიები, რომლებსაც მანამდე არავინ მიჰკარებია, ემსახურებიან უბერებელი ბიჭუნები, ან ჯანა – სამოთხის ანგელოზები იცავენ. სხვათა შორის, ამ ჯანადანაა ნაწარმოები მუსლიმანთა დაკრძალვის, სამოთხეში გაგზავნის ცერემონიალის სახელწოდება – ჯანა. იტყვიან: – ჯანაზე მივდივარ, ანუ გასვენებაში.

სხვა წყაროებით, ჰურიები – ხურიები არაბულად შავთვალეა, ფანტასტიკური ლამაზმანი ქალწულებია, რომელთა უპირველესი ვალი სამოთხეში მორწმუნეთათვის განცხრომის, უდარდელი ცხოვრება-ნებიერობის ყოველგვარი ატმოსფეროს შექმნა-უზრუნველყოფაა. მათ „სუფთა ცოლებს“ სახელითაც მოიხსენიებენ, ხელუხლებელნი და უმანკონი არიან. ხალხური გაგებით ჰური ფერიაა, სილამაზის, სიმშვენიერის განსახიერება. ქობულეთში ჩაწერილი ლეგენდა სწორედ ასეთ ჰურიებზე მოგვითხრობს. ინდოეთის მეფე შედათმა ედემის ბაღი გააშენებინა, ღმერთად მიმიჩნევნო.

ეს ბალი მართლაც სამოთხეს წარმოადგენდა. – რა სამოთხეა, როცა შიგ ანგელოზნი არ არიანო, – ჰკადრეს მეფეს. ამის გაგონებისთანავე დაეზაუნა ყველგან ქვეშევრდომნი, საცა ნახავთ ლამაზმანებს, მე მომგვარეთ, ჩემს სამოთხეში უნდა დავასახლოო.

წარგზავნილებმა შეკრიბეს მშვენიერი ქალწულები და ინდოეთისაკენ აიღეს გეზი. კავკასიაში მოსულებმა გაიგეს, რომ კადნიერებისათვის ღმერთმა მეფე უმოწყალოდ დასაჯა, გასივლა და სულიც განუტევა, ჰური-გურიებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და ამ ტურფა მხარეში, ანუ კავკასიაში დარჩენა ისურვეს. უნდა ითქვას, რომ 56 წლის შემდეგ, 1950 წელს ეს თქმულება დაიმოწმა თედო სახოკიამ, რათა სახელწოდება გურიის ეტიმოლოგია აეხსნა. სულხან-საბა ორბელიანის მიხედვით, „გურიანობა მიღვენებაა არევით“. გურიის მკვიდრთა თვისებას მართლაც შეადგენს გურიანობა და ნიშნავს დაუცხრომელთა სამყოფელსო, ე.ი. ამ ლეგენდას ამ სახელწოდებასთან არავითარი კავშირი არა აქვსო (თ. სახოკია, მოგზაურობანი, ბ., 1985, გვ. 23-24).

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ამ ლეგენდის უმნიშვნელოდ განსხვავებული ვარიანტი ასევე ქობულეთის რაიონში აღმოჩნდა. იგი 1974 წელს კვირიკეში 90 წლის მთქმელ მემედ მჟავანაძისაგან ასპირანტმა მიხეილ ფარტენაძემ ჩაიწერა, ხოლო მესამე ვარიანტი – პროფესორმა ზურაბ თანდილაყამ 1975 წელს დაგველ 70 წლის მემედ ქათამაძისაგან, რომელიც წარმოშობით შუახევის რაიონის ვარჯანაულიდან იყო.

„ნ. ა-ძეს“ ჩანაწერებით, კავკასიაში სამუდამოდ დასახლებული ჰურიები იმის მიზეზით, რომ საქართველოში ასე ბევრია ლამაზები“ (ზ. თანდილაყა, ლეგენდა ქართველთა სილამაზის შესახებ, სამხრეთ-დასავლეთ საქ. ზეპირსიტყვიერება, 3, გვ. 38-44; მისივე, ფოლკლორულ-დიალექტოლოგიური ექსპედიცია ქობულეთში, აჭარული დიალექტის დარგობრივი ლექსიკა, 1, თბ., 1976, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 10, გვ. 103, თბ., 1990).

მჟავანაძის ნააზრობით, ინდოეთის ხელმწიფის გარდაცვალების შემდეგ ის ლამაზმანები კოლხეთში გადმოსახლეს. ამიტომ, რომ საქართველოში ბევრია ლამაზები. მესამე, ანუ ქათამაძის ნათქვამით, ინდოეთის მეფეს ურჩევენ, კარგად მოწყობილი ქვეყანა სამოთხით დაამშვენოს. სამოთხე კი შამში – ეგვიპტეში იყო, რომელიც ღმერთმა ზეტაში წაიღო. კიდევ გააშენა, მაგრამ ერთი რამ მაინც აკლდა – ჰურიები. წადით ევროპაში და მომგვარეთ, რაც ლამაზებია, – განაცხადა მბრძანებელმა, მაგრამ იგი ღმერთს არ სცნობდა, თვითონ ღმერთობდა, არ სურდა გაეგო, რომ სამოთხე ღმერთს ეკუთვნის და არა სხვა ვინმეს. ამიტომ ღმერთმა სიკვდილით დასაჯა.

ამრიგად, აქ არაა ხაზგასმული ქართველთა ლამაზმანობის მომდინარეობა პურიებიდან. რასაკვირველია, ქართველი ქალები თავისთავად ოდი-თგანვე ლამაზები იყვნენ, რაზეც უცხოელები საგანგებოდ წერდნენ. დავსძენთ, რომ ქობულეთში „ნ. ა-ძის“ მიერ ჩაწერილი და 1894 წელს გამოქვეყნებული ლეგენდა პურიების შესახებ, 1904 წელს „ქართული სიტყვიერების ისტორიაში“ მიმოიხილა პროფ. ალ. ხახანაშვილმა, შემდეგ თედო სახოკიამ (მოგზაურობანი, იქვე), ხოლო 1964 წელს შევიდა ხალხური სიბრძნის მესამე ტომში.

ზ. თანდილაკას აზრით, უფრო ზუსტი იქნებოდა „ნ. ა-ძის“ ეხმარა პურიები და არა გურიები. პური-პურიები ქობულეთურსა და საერთოდ, აჭარულ დიალექტში გვხვდება ლამაზის, ლამაზი ქალის, ანგელოზის აღსანიშნავად: პური ქალები – ლამაზი ქალები, ანუ თავკიდურ „პ“-ს ნაცვლად, „გ“ თანხმოვანი არ შეინიშნება. ვფიქრობთ, „პ“-ს ნაცვლად „გ“ ხმარება ჩამწერის შეცდომაა, არც ისაა გამორიცხული, რომ ფორმა გურიები ნაცვლად პურიებისა, მთქმელმა მიმართა გურია-გურულების ანალოგიით და ლეგენდის შინაარსს დაუკავშირა. ჩვენი ეს ვარაუდი სხვა ჩანაწერებშიც, ლეგენდის სხვა ვარიანტებშიც დასტურდება“ (იქვე, გვ. 39).

ღიახ, მართლაც ასეა, ქათამაძის ნაამბობით, პურიები „კაკასიაში ხეტილის შემდეგ, თითქოს გურიაში მოვიდნენ, ამაზე უკეთეს ქვეყანას სად ვნახავთო, – თქვეს და აქვე დასახლდნენ. ახლა რომ გურია არის, მისი სახელი იმ პურიებიდან მოდის, გურია იგივე პურია არის“ (იქვე, გვ. 46).

მუჟავანაძეს ლეგენდა მამისაგან გაუგონია, მისთვის კი ერთ ნასწავლ თურქს მოუყოლია, ხოლო ქათამაძეს „თურქულ წიგნში“ წაუკითხავს. ამ და სხვა გარემოებათა გამო, თანდილაკა თვლიდა, რომ თქმულება მეზობელ ქვეყნებში უნდა შექმნილიყო. აკი, იქ ქართველი ასულები „საჯიშედ მიჰყავდათ“ (იქვე, გვ. 42), რაც მართებულია, მაგრამ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ პურიების კოლხეთში დასახლების ლეგენდა ძვ. წ. V საუკუნეზე ადრე უნდა შექმნილიყო. ჩვენი აზრით, უფრო სარწმუნოა არაბობის ხანა, როცა ისლამმილებულმა არაბებმა, VII საუკუნიდან მოყოლებული, საქართველოც დაიპყრეს და თითქმის სამ საუკუნეს იბატონეს. სწორედ მაშინ თვალნათლივ გაიცინეს ჩვენი სამშობლო. ჩვენი ამ მოსაზრების დადასტურებაა ამ თქმულების გერმანული ვარიანტი 40 ქალწულის შესახებ, რომელიც ფრ. ბოდენშტედტს მოჰყავს. მეცნიერმა და მწერალმა ბოდენშტედტმა აღმოსავლეთში, საქართველო-აზერბაიჯანის გავლით მე-19 საუკუნეში იმოგზაურა და ეს თქმულებაც მაშინ მოიპოვა, ე.ი. „ივერიაში“ გამოქვეყნებამდე ბევრად ადრე. განსხვავება ძირითადად მხოლოდ ისაა, რომ პურიების გამოძენა, მასთან მიყვანა არა ინდოეთის მეფემ, არამედ

თვით ალაჰმა ისურვა, ჰურიები კი გერმანიაში გამოუნახავთ. ბოდენ-შტდელტი, კერძოდ, წერდა: ალაჰმა თავის ნეტართა საამებლად სამოთხეში ახალი ჰურიების ჩასახლება მოიწადინა და თავის იმამს დაავალა ცაში მასთან 40 უტურფესი ასული მიეყვანა. გერმანიაში იმამმა ქალწულები „სიტყვითა და ჭრელი სამოსით მოხიბლა“ და გამოიყოლია. შავი ზღვის პირას გადაშლილ პატარა ქვეყანა გურიაში ჩამოიყვანა ისინი, მაგრამ აქ მტერი წამოეწია. ერთმა მათგანმა ქალწულის შეყვარება და ნამუსის ახდა მოახერხა. იმამმა გურიაში ვერავინ ნახა ისეთი, რომელიც „შერცხვნილ ქალს“ შეცვლიდა, წმინდა რიცხვ 40-ზე კი დაკლება არ შეიძლებოდა. ამის გამო იმამმა მკერდი მახვილით გაიპო, მშვენიერი ქალწულები კი გურიაში დარჩნენ, ადგილობრივ მამაკაცებს მისთხოვდნენ და მათთან ერთად დასაბამი მისცეს ახალ უმშვენიერეს მოდგმას (ფრ. ბოდენშტედტი, ათას ერთი დღე აღმოსავლეთში, თბ., 1965, გვ. 91-92).

ამრიგად, ნათელია, რომ თქმულება ჰურიებზე ისლამის ხანაშია შეთხზული. აკი მთქმელებს თურქულ, ანუ არაბულ წიგნებში წაუკითხავთ, ბოდენშტედტის ვარიანტით, გაუგებარია ქალწულების ცაში წაყვანა რატომ გურიიდან უნდა მომხდარიყო. ხომ არ ქმნის ეს იმის ეჭვს, რომ თავდაპირველი თქმულება ინდოეთთან იყო დაკავშირებული. თუ ასეა, მაშინ გზად მართლაც საქართველოში უნდა გაეეღოთ, მაგრამ რა შუაშია ქალწულების „ჰურიობა“, მუსლიმანებთან დაკავშირება? ასე, რომ, თქმულება არაბობის ანუ ისლამის ძლიერების ხანაში უნდა შექმნილიყო, შესაძლებელია ამ რელიგიის მსახურებმა გადააკეთეს და თავის სასარგებლოდ მოირგეს.

ამ პერიოდში ანუ ადრეულ შუა საუკუნეებში ქართველი ქალების სილამაზე უკვე საქვეყნოდ იყო ცნობილი. სელჯუკებისა და სხვათა დიდებულებს მეუღლეებად ქართველი ასულები ჰყავდათ. აკად. ვლ. გორდლევსკის ცნობით, შუა აზიიდან მცირე აზია – ბიზანტიაში შემოჭრილ სელჯუკთა სულთანს 1071 წელს ცოლად ჰყოლია ქართველი ქალი, რომლითაც მოჯადოებული ყოფილა ცნობილი პოეტი ჯალალედინ რუმი, მისთვის ბაიათებიც უძღვნია და თაიგულებიცო. სულთან აზიზის დედაც გურჯი იყო, ანუ ქართველი.

ისტორიკოსი შოპენი ჯერ კიდევ 1838 წელს რუსეთზე გამოქვეყნებულ თავის წიგნში წერდა: „ქართველი ქალები გამოირჩეოდნენ ფაქიზი და გამოყვანილი ნაკეთებით, ნაზი და მიმზიდველი გამოხედვით, თეთრი ქათქათა კანით. სილამაზემ მათ ყველა დროში დიდი სახელი დაუშკვიდრა. ქართველი ქალებით იყო დასახლებული აღმოსავლეთის ჰარამხანები და ისინი ჩერქეზი ლამაზმანების მხარდამხარ ამშვენებდნენ იქაურობას.“ ინგლისელი მეცნიერის დარვინის მსგავსად, შოპენმა იმასაც გაუსვა ხაზი,

რომ მუსლიმანი ხალხების რასა გაამშვენიერა ქართული და ჩერქეზული სისხლის შერევამ, რაც ასევე გორდლევსკიმ და სხვებმაც თქვეს.

აჭარით, თბილისით, იმერეთით მოხიბლული ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი 1672 წელს იუწყებოდა: ქართველების ტომი უმშვენიერესია აღმოსავლეთში და შეიძლება ეთქვა, მთელ ქვეყანაზე. აქ არ მინახავს არც ერთი ცუდი სახის ქალი თუ კაცი. ანგელოზებივით ლამაზებიც ბევრი შემხვდა. ქალების უმეტესი ნაწილი ბუნებას ისეთი სიკეკლუცით დაუსაჩუქრებია, რომ სხვა ასეთს ვერსად შეხედებით. შეუძლებელია თვალი მოჰკრა იქაურ ქალს და არ შეგიყვარდეთ, არ შეიძლება დახატო ქართველი ქალების სახესა და ტანადობაზე უმშვენიერესი სახე და ტანადობა. – მშვენიერნი, თვალტანადნი, წერწეტნი და კეკლუცნი, იშვიათად ნახავთ, რომ ქალი უშნოდ იყოს გასუქებული. აქაურებს (აჭარის მცხოვრებლებს) კანის ფერი კარგი აქვთ, მათ შორის ბევრი ძალიან ლამაზი სახის ქალი ენახე. ისინი ბევრად უკეთესად ცხოვრობენ, ვიდრე მეზობლები, თუმცა აქ უკვე თურქები ბატონობენ“ (ი. ბეკირიშვილი, აჭარა მეგობრების თვალთ, გვ. 13; მისივე, ამას შენზე ამბობენ, აჭარავ, გვ. 9).

ნიკოლოზ გულაქმა 1899 წელს ძველ საბერძნეთზე საუბრისას, დასძინა: „უხეში, ნახევრად ველური ბერძნები მშვენიერ კავკასიელ ქალებთან შეხვედრისას, ბუნებრივია, გაცოცხლებული უნდა ყოფილიყვნენ მათი ნახვითა და აღფრთოვანება-განცდით“ (კავკასიის ადგილობრივ ტომთა აღწერის მასალების კრებული, სმომპკ, ტიფ., 1899, გვ. 43). ეტყობა მხედველობაში ჰქონდა თქმულება არგონავტების კოლხიდაში მოსვლისა და მეფის ასულ მედეას მეუღლედ წაყვანა იასონის მიერ.

ქართველი ქალები რომ თავისთავად ლამაზები იყვნენ, რომ ისინი აქ ჰურიების ჩასახლების გამო არ არიან ასეთნი, ცხადყოფს, აგრეთვე თქმულება უნგრელი ჭაბუკის განკურნვის შესახებ კოლხიდელების მიერ. 1901 წელს ბათუმის გავლით კავკასიას ეწვია უნგრელ მეცნიერთა ექსპედიცია გამოჩენილ მხატვარ მიხაი ზიჩის ხელმძღვანელობით. ეს ღონისძიება მიემდინა უნგრელთა, ანუ მადიართა სახელმწიფოს ათასი წლისთავს და ერქვა „წინაპართა ნაკვალევზე“. ასე უწოდეს, რადგან მადიარები ახლანდელ ტერიტორიზე, ისე როგორც ბულგარელები, ჩრდილო კავკასიიდან გადაიბარგნენ. თვლიან, რომ ბულგარელთა და უნგრელთა ნაწილი აჭარათურქეთის გავლით მოხვედრილა ბალკანეთში.

ამის დასტურად გამოდგება ერთი ლამაზი ლეგენდა, რომლის თაობაზე ლ. მიქაძე წერდა: დუნაისთან მშვენიერი პრინცი, მადიარი განუკურნებელმა სენმა შეიპყრო, მკითხავებმა ურჩიეს, მუსიკის ნიჭით მომადლებული იმ ქალიშვილის ცოლად შერთვა გადაარჩენს, რომელიც კოლხიდაში ცხოვ-

რობსო. ჭაბუკი მოადგა აქაურობას, მაგრამ გოროზმა ზვირთებმა გზა გადაუჭრეს. კოლხი მეფის ასულები ნაპირ-ნაპირ გაჰყვნენ მას და სიმღერით ამხნევებდნენ. ამ გალობამ პრინცს ძალა გაუასკეცა და არათუ გადარჩა, არამედ კიდევ განიკურნა, 12 დის დანახვაზე ჭაბუკმა თავის განზრახვაზე უარი თქვა, ჩემი დები იქნებითო. ამის თაობაზე დავით ჯაველიძე დასძენს: – უნგრელთა წინაპრები – ჰუნები კავკასიაში IV საუკუნიდან ჩანან. შემდეგში ისინი თავს ესხმოდნენ სპარსეთსა და საბერძნეთს, არცთუ იშვიათად ამიერკავკასიის ხალხებთანაც ჰქონდათ ურთიერთობა. ჰუნების ნაწილი ჩრდილო კავკასიაში დასახლდა. სწორედ აქ, V-VII საუკუნეებში მოხდა მათი აღრევა უნგრელებთან. აზოვის ზღვის აღმოსავლეთით დამკვიდრებულმა ჰუნების ტომებმა კოლხეთის გავლით კონტაქტები დაამყარეს ბიზანტიასთან, ხოლო ახლანდელი დონისა და დნებრის მიდამოებში არსებობდა მადიარების სამეფო – ლივადია, რომელიც IX საუკუნეში მტრებმა მოსპეს და დარჩენილებს ირანისაკენ აიძულეს წასვლა. ჯაველიძის მოსაზრებით, ლეგენდა ქართველი მზეთუნახავების უნგრელ ჭაბუკთან შეხვედრის თაობაზე გაჩნდა კოლხებთან ჰუნებ-უნგრელების ხსენებული კონტაქტებისა და მათი ირანისაკენ ლტოლვის ზეგავლენით. ამიტომ იყო, რომ გასული საუკუნის დასაწყისში საქართველო-კავკასიაში დაძებნეს მადიარების კვალი და სცადეს ქართულ-უნგრული ლინგვისტური შეხვედრების დეტალიზაცია. კავკასიის ტოპონიმებში უნგრული სახელებიც დაუდასტურებიათ.

უნგრელებს რომ ძველთაგანვე ჰქონიათ კავშირი ჩვენს წინაპრებთან, ამას ადასტურებს უნგრელთა სამსახური ერეკლე მეფისა და სხვათა კარზე, ისტორიკოს მოგზაურთა სტუმრობები, რომელთა შორის მოთხრობილია ქართველოლოგ ლაიომ ტარდის ნაშრომში „უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში“.

საქართველო ძველთაგანვე დაწინაურებული იყო, ამას განაპირობებდა გეოგრაფიული მდებარეობა, ხშირი მიმოსვლა, ვაჭრობა და სხვა კავშირები ისეთ ცივილიზებულ სამყაროსთან, რომელსაც განეკუთვნებოდნენ შუამდინარეთი – მცირე აზია, ირანი, საბერძნეთი, ამან კი არაერთი ლეგენდა წარმოშვა, მათ შორის ჰურიებისა და უნგრელი ჭაბუკის განკურნვის შესახებ. არაა გამორიცხული მუსლიმანებმა სილამაზეში ქართველთა უპირატესობის დასაკანონებლად, ლეგენდა ჰურიების შესახებ სწორედ ამიტომ საქართველოს დაუკავშირეს. ისიც გვსურს ვთქვათ, რომ თრ. ბოდენ-შტედი აჭარაში არ ყოფილა, არც იცნობდა მას, იგი გავლით გურიის მეზობელ ფოთში იმყოფებოდა, ასე რომ, ჭაობიანი, გაუვალი ფოთის მოხსენიებას გურია ამჟობინა, რომელიც მისთვის ასევე უცნობი იყო,

იფიქრა ალბათ კარგიაო. სხვათა შორის ფოთსა თუ გურიას მშვენიერ კუთხედ, მით უმეტეს წალკოტად არც მოიხსენიებდა. ეს მხარე ასეთად არავის დაუხასიათებია, ხოლო აკადემიკოს ნიკო მარით, რომელიც გურიაში გაიზარდა: აჭარაში ცოტაა ტალახი, უხვად აფრქვევს თავის მაცოცხლებელ სხივებს მზე, სუფთა ჰაერი, ყველგანაა ანკარა წყალი, აქ ყველაფერი კეთილშობილია, ამ მხარეს ღმერთმა მოამადლა დიდებული ბუნება და სამოთხედ აქცია, აჭარა ბუნების მიერ შექმნილი სანატორიუმია (ი. ბექირიშვილი, აჭარის სტუმარი, 1978).

ასე რომ, ეს თქმულება აჭარაში არათუ მოპოვებულია, არამედ მას ეხება.

## აჭარის ფოლკლორის მოამბენი

პეტე უმიკაშვილი, ბუჩხანა შავიშვილი, ხუსეინ ბეჟანიძე, იასონ ნათაძე, დედე ნიჟახაძე, ოსმან ნელუაძე

1859 წელს ჩვენი მხარე ჯერ კიდევ თურქეთის ხელთ იყო. აი მაშინ, 15 ივნისს, ფოლკლორისტი, პუბლიცისტი პეტრე უმიკაშვილი შეხვედრია ახლანდელი ქედის რაიონის სოფ. მერისიდან კახეთში დასახლებულ თავდგირიძეს. სწორედ მისგან ჩაუწერია საგმირო ხასიათის საკმაოდ გახმაურებული სოლოღას, ჩახალასა და სხვა ლექსები, ისინი უმიკაშვილმა 1877 წლის ჟურნალ „ივერიის“ №8-ში გამოაქვეყნა. ვარიანტებთან ერთად ეს მასალა შეტანილია 1964 წელს პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის რედაქტორობით გამოცემულ „ხალხური სიტყვიერების“ ოთხტომეულში, აგრეთვე ბათუმურ კრებულებში.

სოლოღა საჩივლელად ხონთქარს მიადგა. უთხრეს: თუ ჩვენს განთქმულ არაბ ვაჟკაცს გეეჩიქნები, გმირად გაღიარებთო. დასთანხმდა, მაგრამ ის ცხენი ითხოვა, რომელსაც რძეს ალღეინებდნენ. ცხრა მეჯინებმ ძლივს მოიყვანა, თუმცა სოლოღა ზედ მოაფრინდა წამზედა და გაეიდა საომარზედა. არაბმა შუბი სამჯერ ესროლა, მაგრამ ერთიც არ იხალა ტანზედა, სოლოღას სროლის ჯერი დადგა. პირველივეთი გამოასალმა სიცოცხლეს და გამარჯვებულს ქისებიც დააბერტყეს.

ჩიქოვანს შენიშვნებში მოჰყავს ამ ლექსის ის ვარიანტი, რომელიც 1891 წელს ქობულეთში ისმაილ კაიკაციშვილისაგან აჭარის ზეპირსიტყვიერების პირველ მკვლევარ ასლან კაიკაციშვილისაგან ჩაუწერია და სხვებთან ერთად უმიკაშვილისათვის მიუწერია.

ამ ვარიანტში სოლოლა მოჯირითედაა მოხსენიებული, ცხენი ოქროს უნაგირიანია. „გაიქეც არაბო, გაგშინჯო კაცობაზედა,“ – ეუბნება მოწინააღმდეგეს, ერთის მეტს არ გესვრიო. ხონთქართან გამარჯვებული მიჰყავთ, მაინც შიშობს, „ვაი თუ თავ ააშორონ ტანზედა“. საზეიმო მიღების შემდეგ სოლოლას ასაჩუქრებენ.

ჩენი აზრით, კახეთში დასახლებულ მერისელს ლექსი აქა-იქ შეუსწორებია. ამას გვაფიქრებინებს კახური გამოთქმების ზეგავლენა, აჭარული დიალექტიკური და უცხოური სიტყვების ნაკლებობა. არადა უმიკაშვილის თქმით, ლექსი სოლოლაზე აჭარაში ყველგან სამღერლადაც აქვთ. ებეჭდავ ნამღვილის აჭარულის კილოთით.

ზაქარია ჭიჭინაძის მიხედვით, სოლოლა ახლანდელ ქედის რაიონის სოფელ ვაიოდან იყო, ახალციხის მხარესაა დამარხულიო, საიდანაც მეუღლე მყოლია, ვერაგულად იქ მოუკლავთ. ეს XVII საუკუნეში მომხდარა. თედო სახოკია აჭარის გვარებს შორის სოლოლაშვილსაც მოიხსენიებს. პროფესორ აზიზ ახვლედიანის მიხედვით, სახელწოდება წარმოებულია თურქული სამხედრო ჩინის სოლკოლალასაგან. ლექსების, თქმულებების სიმრავლითა და მრავალფეროვნებით გამორჩეულია აჭარა, ამიტომაც თვლიან, რომ ისინი ჯერ აქ შეიქმნა, საიდანაც მეზობელ მესხეთშიც გავრცელდა.

საგმირო-ისტორიული ხასიათისაა ჩახალას ლექსიც, რომელიც ახალ გამოცემაში ასევეა დასათაურებული, თავდგირიძის ვარიანტში კი „პაი გიდი ჩახალოლდი“ ჰქვია. ჩახალა ხალხის ტანჯვას ვერ შეეგუა და ოლქობა შემოიღო, ანუ შექმნა შეიარაღებული რაზმი ხალხის უფლებების დასაცავად. ფაშის ციხესაც უტია. შესარიგებლად ახალციხეს მიიწვიეს და კარგადაც მიიღეს, მაგრამ ვალესთან ჩასაფრებულებთან შეტაკებაში დაიღუპა.

1859 წლის თავდგირიძისეულ ვარიანტში ნათქვამია, რომ ჩახალა ბზუბზუელი იყო, რომელიც დღეს ქედის რაიონში შედის, ზ. ჭიჭინაძე ზვარეს მიუთითებდა, გვარად ბერიძეო, აზიზ ახვლედიანის ცნობით, ჩახალი თურქულად ჭროლა, წვრილთვალებიან კაცს ნიშნავს, მისი ნამღვილი გვარი ბერიძეაო. ნოდარ გათენაძის მიხედვითაც ასეა, წარმოშობით ზვარელია, რომლის შთამომავლები და ნათესავები ზესოფელში, ქედაში, ჭვანაში, ურესსა და ჩაქვში არიან (ა. ახვლედიანი, აჭარის საგმირო-საისტორიო სიტყვიერება, გვ. 170; ნ. გათენაძე, ჟურნ. „ჭოროხი“, 1997, №1). აკად. გორდლევის მონაცემებით კი ჩახა თურქულად ფირალს ნიშნავს, ანუ აჯანყებულს. ალბათ ამის გამო მეტსახელად ჩახა – ჩახალა შეარქვეს.

მერისელ თავდგირიძეს უმიკაშვილისათვის მიუწოდებია აგრეთვე „ფირალის ლექსი“. იგი პატარაა, ავტორი თავად ათქმევინებს: – შევიქენი ფირალი ანუ ტყეში გასული, დამეძებენ ხვანთქარი და ყირალი. ამის გამო



ნათესაე-მეგობრები სულ მტირალი არიან, - ე.ი. ღვენა-შევიწროებას განიცდიან.

ეს ლექსი 1891 წელს რეჯებ თხილაიშვილისაგან ჩაუწერია ასლან კაიკაციშვილს, ამდენად, ეს ლექსი ქობულეთშიც სცოდნიათ. არცაა გასაკვირი, რადგან შავიშვილები აქაც არიან. ავტორად კი სწორედ ამ გვარის ქედელი წარმომადგენელია აღიარებული. ამ და სხვა საკითხების გასარკვევად 1879 წლის 8 აგვისტოს პეტრე უმიკაშვილი აჭარას ეწვია. ქედაში აცნობეს, რომ ხალხური ლექსების ცნობილი მთქმელი ვაიოშია, ბურჰანა ბაირახტარ-შავიშვილიაო. მწერალი შეხვდა მას და გაიგო, რომ მერისში ცხოვრობდა, იმ სოფელში, საიდანაც თავდგირიძე იყო. მომხვედურებს ურჩობის გამო უნდა დაეპატიმრებინათ, ამიტომაც კახეთს შეაფარა თავი. თვით შავიშვილს მერისში საცხოვრებელი სახლი დაეწვა და ნათესაეებთან გადასულა ვაიოში. 79 წლისა გარდაიცვალა - 1893 წლის იანვარში.

. . .

პ. უმიკაშვილს შავიშვილისაგან ჩაუწერია „ბათომის ლექსი“, „გამჩენიდან უმუღი (იმედი) მაქ“, „უწინ დროში ბრძანებულა“, „ჩიჩხინაქი“ (ჩიტი) და სხვა, რომელსაც ერთვის შავიშვილისეული განმარტება „მარაილის მოკვეთაზე გამოთქმული“. ისინი სახალხო მგოსანს 1860 წელს შეუთხზავს. ღქნებში კი იყო გასაყიდად საქონელი, მათ შორის ფართალი ანუ ქსოვილი, მარა უფარობის გამო არავინ ყიდულობდაო.

უმიკაშვილის ამ ჩანაწერებით უსარგებლია ზ. ჭიჭინაძეს, რომლის თქმით, ბურჰანას ლექსები აჭარაში ბევრმა იცის. მათი ნაწილი შეუტანია თავის კრებულებში „ქართულ მაჰმადიანთა ცხოვრება“ და „მუსლიმანი ქართველობა“, ხოლო 1956 წელს ცნობილმა მკვლევარმა ხარიტონ ახვლედიანმა გამოაქვეყნა კომენტარებით. მოიხსენიებენ აგრეთვე შავიშვილის ლექსს „ზამთარი“.

ამრიგად, პეტრე უმიკაშვილი თანამემამულეებს შორის აჭარის ფოლკლორის, ანუ ზეპირსიტყვიერების ნიმუშების პირველი შემკრები-შემსწავლელია, ხოლო ბურჰანა შავიშვილი ჩვენი მხარის ცნობილი ხალხური მგოსანი, პოეტი, რომლის სხვა ლექსები გამოსავლინებელ-დასაძებნია. სხვადასხვა გარემოებათა გამო ზოგიერთი სხვას მიათვალეს, ნაწილიც გავრცელდა ისე, რომ ავტორი დაიწყებას მიეცა. თანასოფლელი თავდგირიძე და უმიკაშვილი რომ არა, ალბათ არც ის გვეცოდინებოდა, რაც ვთქვით, ე. ი. მისი ავტორობა საერთოდ დაიკარგებოდა.

პეტრე უმიკაშვილს ურთიერთობა სხვა აჭარულ მთქმელებთანაც ჰქონდა. მათგან აღსანიშნავია ცნობილი პატრიოტი და დიდად განსწავლული ბეგი ხუსეინ ბეჟანიძე, რომელიც მიჩნეულია ავტორად ლექსისა თამარ მეფისა და სხვათა შესახებ. 1879 წელს ბათუმში ჩამობრძანებულმა მწერალმა-ფოლკლორისტმა ხუსეინი მოინახულა და პირველად მისგან დააფიქსირა ეს ლექსი:

ათასი კაბა ემა მყვანდა, ყველანი ოქროს დილითა,  
კაჭმეყვი დედალ ხოხობსა, ვასმეყვი ბროლის ჭიქითა,  
ვინც რომ შეგება, შეგები აღალითა და ჯიქითა,  
აწი თქვენ იცით, მეფენო, ვინც დარჩით ამას იქითა!

ამ ლექსის ვარიანტი ასევე ბეჟანიძისაგან შემდგომ ჩაუწერიათ ზაქარია ჭიჭინაძეს, დავით წერეთელსა და სხვებს. ეს ლექსი პეტრე უმიკაშვილს 1883 წლის „იერიის“ №60-ში გამოუქვეყნებია ხუსეინ ბეჟანიძის ნეკროლოგთან დაკავშირებით. შეტანილია უმიკაშვილის „ხალხური პოეზიის“ ოთხტომეულის პირველ ტომში. ვლინდება, რომ ბეჟანიძეს ის 1878 წლის ოქტომბერში გაცნობია თბილისში, სადაც სხვა ერისკაც აჭარლებთან ერთად მიწვეული იყო ნადიმზე, როგორც განთავისუფლებული აჭარის დელეგაციის წევრი. ამიტომაც, რომ მკვლევარი ვარლამ მაცაბერიძე უმიკაშვილის ბათუმში ჩამოსვლამდე, ბეჟანიძეს მის „ძველ ნაცნობად“ მოიხსენიებს.

ხუსეინ ბეჟანიძეს ჩაუწერიანებია აგრეთვე ნაწყვეტი „როსტომი და ზურაბიდან“ და სხვა ლექსები. მოჰყავთ 11 სტრიქონი, რომელიც ასე მთავრდება:

ვაი, რა ქნა ბერმა როსტომ, შვილი მოკლა ზურაბ მისი,  
მკლაეი წანგლით გააკეთა, სედ აასხა ძეალი მისი.

ამ აჭარულ ვარიანტშია აგრეთვე ბეჟანიძისეული გამონათქვამი: როსტომის ფეხის ძეალი წყალზე ხიდად იღვა, ხალხი გადიოდ-გამოდიოდაო.

დასასრულ აღვნიშნავთ იმას, რომ პ. უმიკაშვილის არქივში ინახება ისმაილ კაიკაციშვილის ცნობები აჭარის წარსულის შესახებ, რომელიც ასევე შესასწავლ-გამოსამზერებელია. მწერალს კარგი ურთიერთობა ჰქონდა ცნობილ განმანათლებელ და ჟურნალისტ აბდულ მიქელაძესთანაც.

შემოინახა, უმიკაშვილის წერილი ნიკო ცხვედაძისადმი: „უმაღლეს სასწავლებლებში აჭარელი ყმაწვილები კიდევ უნდა გავგზავნოთ. ამას მელნით კი არა, ჩემი სისხლით ვწერ, დაფიქრდი და გული ამ საქმეს მოანდომეო!“ (დაიბეჭდა გაზეთ „აღორძინების“ 2001 წლის ნომერში).

1891 წლის 4 იანვარს პ. უმიკაშვილმა „ივერიაში“ გამოაქვეყნა ერთ-ერთ მათგანს წერილები აჭარლებისათვის დახმარების აუცილებლობაზე, ერთ-ერთ მათგანს სათაურად „გურჯები“ უწოდა.

1902 წლის სექტემბერში თბილისელ მსახიობებს ვალერიან გუნიას ხელმძღვანელობით ბათუმში დაუდგამთ უმიკაშვილის სცენა „ბენეფისის წინ“.

1996 წელს ჩვენს წიგნში „აჭარის ისტორია გვარსახელებში“ ეწერა, რომ ხალხური ლექსების მთხვეულ ოსმან წულუკიძეზე საუბარი გაზეთ „დროების“ 1882 წლის №70-73-ის პუბლიკაციებში. ზ. ჭიჭინაძის მიხედვით, მისი შემოქმედება პატრიოტიზმით გამოირჩეოდა, ქართულ ხალხურ ინსტრუმენტებზეც ამღერებდა, სახლიკაცების – სულია და რიზა ბეგების შთაგონება და მხარდაჭერაც ამოძრავებდა.

ეს წულუკიძეები ახლანდელი ხელვაჩაურის რაიონის აჭარისწყლის საკრებულოს ს. მაჭახლისპირიდან იყვნენ, რომელიც ჭოროხ-მაჭახლისწყლის შესართავთანაა. „დროების“ კორესპონდენტმა იასონ ნათაძემ შემოგვინახა ის, თუ ზეპირსიტყვიერების რა ნიმუშები შეკრიბა ოსმანმა, რა დაურთო საკუთარი. იასონი ერთხანს ბათუმსა და ართვინშიც მუშაობდა. აჭარლებს ურჩევდა არ წასულიყვნენ მუჰაჯირად თურქეთში, ამასთან აქვეყნებდა წერილებს ჩვენი მხარის შესახებ, ტაურეკის ცირკისა და სხვათა წარმოდგენებზე ბათუმში, პირველი ქართული სკოლისათვის აჭარლების მიერ მიწის გამოყოფის შესახებ და სხვა. გამორჩეულია „გაკვრითი შენიშვნები“, „ხმა მაჰმადიან საქართველოდან“, რომლებიც გაზეთ „დროების“ 1882 წლის ხსენებულ ნომრებში „გადახვეწილის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა.

იასონი ფოლკლორულ მასალებში ხალხის სიბრძნესა და მსოფლმხედველობას ჭვრეტდა. აქედან გამომდინარე, განუზრახავს აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალები ცალკე წიგნად გამოეცა, მანამდე კი გაზეთებში აქვეყნებდა. იგი წერდა: „ამ მასალების ნაწილს მაწვდის „ქართულის გვიანიანად მცოდნე ოსმან წულუკიძე. დამპირდა, კიდევ შეგიკრებო“.

წულუკიძის მიერ მიწოდებულ ლექსებს მიმოიხილავს მკვლევარი ვარლამ მაკაბერიძე, რომლის მიხედვით მნიშვნელოვანია რუსეთ-თურქეთის ომის თემაზე შექმნილი „გაგზავნეს საჩხუბართა ურუმელში სამი ფაშა“, „მოგვიყვანეს გადაგვწერეს, დაგვიყენეს ბინბაშები“, ზონთქარი და რუსი ჩხუბობს“, „წინ მიდიან კახელები, უკან მოსდევს გურულები“ და სხვა.

წულუკიძისეული „ზონთქარი და რუსი ჩხუბობს“, რომელიც დედე-ალა ნიჟარაძემ ჩააწერინა, განსხვავებული ვარიანტია:

ზონთქარი და რუსი ჩხუბობს, არის ერთმანეთის ეში,  
ბეგიებმა გვიდალატეს, გაგვიყვანეს კვირიკეში...

ასლან კაიკაციშვილის მიერ 1891 წელს ჩაწერილში კი ერთმანეთისა და ბეგიების ნაცვლად „ვორე“ და „ალი ფაშა“ მოხსენიებული.

ჩვენი დაკვირვებით, წულუკიძეს მიუწოდებია აგრეთვე პატარა თქმულება სათაურით „ოთინგოს აბანოები“, რომელიც „ივერიის“ 1883 წლის №196-ში გამოქვეყნდა. ბათუმის ოლქში, ბორჩხასთან ახლოს მშენიერ სასახლეში თამარ მეფე დაბინავებულია. აქ ბევრი მტრედი დაფრინავდა. მეფემ ერთი დაავადებული შენიშნა და შორს ტყეში გაშვება ბრძანა, რათა სხვები არ დაავადებულიყვნენ. ასეც მოიქცნენ. მესამე დღეს ის მტრედი სველი, განკურნებული მოფრინდა. მიხვდნენ, რომ სამკურნალო წყალში ბანაობამ განკურნა. თამარის ბრძანებით კიდეც მიაგნეს იმ ადგილს და აბანო ააგეს, სადაც დღესაც მკურნალობენ.

სოფელი ოთინგო ახლა გაღმა მაჭახელშია, დევისწყალის მარჯვენა სანაპიროზე, კარჩხალის ქედიდან გამოედინება და ჭოროხს ხერთვისის ქვემოთ ერთვის. მითითებულია ბათუმის ოლქისა და ხუთევერსიან რუკებზე.

„ამ ლექსის გამოთქმელი დედე ალა ვარ უზბაშიო“, – გვაუწყებს მინაწერი. მაცაბერიძის თქმით, შეიძლება ეს არის დედე-ალა ნიჟარაძე, რომელიც ომის მსვლელობისას, 1877 წელს სხვებთან ერთად რუსეთის მხედრონს მიემხრო. ამის გამო უნდა იყოს ლექსში ნათქვამი „ბეგიები გადამმეტერნენო“.

მაცაბერიძე არ ცდება. დედე ნიჟარაძე, გულო კაიკაციშვილი და სხვები მოაზროვნე, განვითარებული პიროვნებები იყვნენ. სწორედ მათი შვილები – რეჯები და ასლანი გახდნენ პირველი გიმნაზიელები და სტუდენტები აჭარიდან. რეჯებმა ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი დაამთავრა, იყო სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, მინისტრი, ხოლო მისი თანაკურსელი ასლან კაიკაციშვილი იქ მეოთხე კურსზე სწავლისას მოულოდნელად გარდაიცვალა, თუმცა მოასწრო აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალების პირველი მკვლევარი გამხდარიყო.

დედე ნიჟარაძეს სხვა ლექსებიც შეუთხზავს.

„მოგვიყვანეს, გადაგწერეს, დაგვიყენეს ბინბაშები,“ საუბარია ციხისძირის ბრძოლებზე (1877-1878), დევრიშ-ფაშა – თურქების სარდალზე. „მუხაჯირად“ ანუ მუჰაჯირად არწასვლაზე. მცხოვრებლები მოხსენიებული არიან „ქობლეთლების“ ფორმით.

მისივე „წინ მიდიან კახელები, უკან მოსდევს გურულები“, ასევე ამ ომს ეხება. ლექსში ასახულია თურქების დამარცხება, ბრძოლებაში ქართველი მილიციონერების მონაწილეობა. მათ შემადგენლობაში მყოფი კახელები და გურულები სწორედ ქობულეთისა და ციხისძირის მისადგომებთან იბრძოდნენ რუსებთან ერთად აჭარის განთავისუფლებისათვის.

დედეს კი მათთან ახლო ურთიერთობა ჰქონდა. ასევე კარგ დამოკიდებულებაში იყო ბევრ თავდგირიძეებთანაც. ამიტომ იყო, რომ ლექსებში

ისინი „ბეგების“ ფორმით მოიხსენია და არა საკუთარი სახელებით.

ასე რომ, ოსმან წულუკიძე და იასონ ნათაძე რომ არა, ის ფაქტი, რომ დედე-ალა ნიჟარაძე ხალხური მთქმელი, პოეტიკ ყოფილა, შესაძლოა დავ-ნიწყებას მისცემოდა, ან საერთოდ არ გეცოდნოდა.

იასონ ნათაძის ჩანაწერებიდან საყურადღებოა „დავით სოლომონ ბრძენი ერთგულია ხმელეთისა“, რომელსაც ერთვის შენიშვნა: „ესაა დიდი ლექსის ნაწყვეტი, ბერი ვეცადე, მეტი აღარ იციან აქა“. მართლაც მაცაბერიძის მიხედვით, ესაა საქართველოში ფართოდ გავრცელებული ლექსის „სოლომონ ბრძენი და კუნწულელის“ არასრული ვარიანტი. სოლომონი დედოფალთან ერთად ზღვისპირეთში ნავში ჩაჯდება, სადაც მებადურები თევზს მხართმევენ. ჭამის შემდეგ სოლომონი სათავეადასაელო ლექსს ჰყვება, რომლის ძირითადი ამბავი ისაა, რომ კუნწულელ ყმაწვილს კოკაში სვამენ, მაგრად დაჭედავენ და ზღვაში ჩაუშვებენ (გაეიხსენოთ „ვეფხისტყაოსანი“ და ქართული ზღაპრები), კოკა მეთევზეებს გამოაქვთ და ყმაწვილს შიდეე ჩაკუწავენ. პროფესორ მიხეილ ჩიქოვანის მიხედვით, 1982 წლის აჭარულ ვარიანტში კუნწულელი კი არა, კუნძულელია ფიქსირებული.

როგორც ვრწმუნდებით, სოლომონის ამბები ზღვისპირეთსა და ზღვას ეხება, რაც იმის მაუწყებელი უნდა იყოს, რომ ეს ლექსი აჭარაში შექმნილია.

საყოფაცხოვრებო ლექსებიდან აღსანიშნავია: „მალლიდან წარმომდგარი იყო თვალყუყუნა თეთრი ქალი“, „ჩემო მკვლელო, ჩემო მწველო“ და სხვა. უმიკაშვილის კრებულში პირველი შეტანილია „მალლიდამ წარმომდგარი იყოს“ სათაურით. აჭარაში ჩაწერილი ვარიანტის სახელწოდება, ტექსტის სიტყვებიც განსხვავებულია. „ჩემო მკვლელო ჩემო მწველო“, ეს ლექსიც პატარაა და ჩაწერილია ასევე 1882 წელს, ჩემო ახლო მეზობელო, როგორც ცეცხლი წამიკიდე, ისეე შენ უნდა გამინელოო. მოსაკვლევია ნათაძის მიერ წულუკიძისაგან ჩაწერილი ლექსი „ქართლის ქალებმა მოგწერაო“ და სხვა.

დაკვირვება, შეჯერებები და ანალიზი ცხადყოფს, რომ ჩვენს მიერ განხილული ზოგიერთი ნიმუში აჭარის ზეპირსიტყვიერებისა ზოგადქართულია. შესაძლოა, აჭარის დაპყრობამდე აქაც იყო გავრცელებული ან შემოიტანეს. აჭარლების ურთიერთობა გურიასთან, იმერეთთან, მესხეთთან, სხვა რეგიონებთან არასოდეს შეწყვეტილა. ამიტომაც, რომ ფიქსირდება ზოგადქართული ზღაპრების, ლექსების, თქმულებების, ანდაზა-გამოცანებისა და შიირების აჭარული ვარიანტები, გადაკეთებული ვერსიები, რომლებიც ენობრივად უფრო გამართულია, მათში ცოტაა, ან საერთოდ არაა უცხოური სიტყვები.

იმედი გვაქვს, აღმოჩნდება ახალი ცნობები, რომლებიც შეაესებენ აჭარის ზეპირსიტყვიერების მოამაგეების – დედე ნიჟარაძის, იასონ ნათაძისა და ოსმან წულუკიძის ღვაწლის ამსახველ ამ ნარკვევს.

## ასლან კაიკაციშვილი - აჭარის პირველი ფოლკლორისტი

ასლან კაიკაციშვილი ცნობილი ქობულეთელი პატრიოტისა და განმანათლებლის გულო-ალა კაიკაციშვილის ვაჟი იყო. 1878 წლის აგვისტოში როცა აჭარა დედასამშობლოს დაუბრუნდა, ასლანი მშობლებმა სოხუმელ ახლობელს მიაბარეს სასწავლებლად. მერე მეზობელ, ასევე ცნობილი პატრიოტისა და განმანათლებლის დედე-ალა ნიჟარაძის შვილთან, რეჯებთან, ერთად, პეტრე უმიკაშვილისა და ალექსანდრე ყაზბეგის რჩევით, თბილისის გიმნაზიაში მიიყვანეს, რომელიც 1895 წელს დაამთავრა. ამ დროს უმიკაშვილი ბათუმში მარგანეცის გატანის სამსახურში იყო. მან ქველმოქმედ ზაქარია ერისთავს სთხოვა მიეცა სტიპენდია ასლანისათვის ოდესის უნივერსიტეტში სწავლის გასაგრძელებლად. ამასთან, ასლანს გაატანა სარეკომენდაციო წერილი პროფესორ ვასილ პეტრიაშვილთან. ფოსტითაც გაუგზავნა, რომ იგი პირველია აჭარიდან, უმაღლესი განათლების მიღება რომ სურს, დარწმუნებული ვარ, მფარველობას გაუწევო.

ასეც მოხდა. გახარებულმა მამამ „ივერიის“ საშუალებით მადლობა გამოთქვა პეტრიაშვილისა და ერისთავის მიმართ. 1896 წლის 26 დეკემბერს პეტრე უმიკაშვილს მადლობა გადაუხადა ასლანის თანაკურსელმა, ოდესის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა რეჯებ ნიჟარაძემ.

სამწუხაროდ, მეოთხეკურსელი ასლანი 1897 წლის 28 დეკემბერს მოულოდნელად გარდაიცვალა. ამის თაობაზე რეჯები უმიკაშვილს აუწყებდა: ჩვენი უბედურება ენით არ ითქმის, ჭკუაზე ვერ მოვსულვართ. ასლანი მუცლის ტკივილით გახდა ავად, ორდღენახევარს არაფერი უჭამია, არც დაუძინია. ექიმებს იმედი ჰქონდათ გადარჩენისა, ამიტომაც ოპერაციაზე არ იჩქარეს... შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა ის კაცი, რომელსაც შეეძლო რამე ნაყოფი მოეტანა იმ ყრუ ხალხისათვის, საიდანაც ის იყო თავად. ის იყო ჩვენი ქობულეთის იმედი... დიდი მადლობის ღირსნი არიან ჩვენი პროფესორები პეტრიაშვილი და მელიქიშვილი, რომლებსაც არც ზრუნვა და არც მატერიალური შემწეობა არ დაუკლიათ საწყალი ასლანისათვის“.

განმარტებისათვის დავსძენთ, რომ 1905 წლის არეულობისას მოკლული ვასილ პეტრიაშვილის ცხედარი ბათუმში ჩამოასვენეს, რაც მწუ-

ხარებით გაიზიარეს. სამგლოვიარო ცერემონიალს გენერალ ასლან აბაშიძის ცხენოსნები მიაცილებდნენ, პეტრე მელიქიშვილი კი 1918 წელს თბილისის უნივერსიტეტის პირველ რექტორად დაინიშნა. იმასაც დაესძინო, რომ რეჟებ ნიჟარაძემ წარჩინებით დაამთავრა ოდესის უნივერსიტეტი, ერთხანს ბაქოში იმუშავა, შემდეგ მშობლიურ მხარეს შეაღია სიცოცხლე, ვიდრე 1937 წელს სტალინ-ბერიას ავანტიურის მსხვერპლი არ გახდა. ეკავა პასუხსაგები პოსტები, მათ შორის იუსტიციის მინისტრისა, მისი აქტიურობით შემუშავდა ავტონომიისა და კანონმდებლობის დებულება-კოდექსები.

პ. უმიკაშვილის წიგნებსა და მოგონებებში ასლან კაიკაციშვილი მოხსენიებული იყო, როგორც აჭარული ზეპირსიტყვიერების ნიმუშების ჩამწერი, მაგრამ ვინ იფიქრებდა, რომ იგი ფაქტიურად ჩვენი მხარის პირველი ფოლკლორისტი ყოფილა.

რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებაში მკვლევარმა ვარლამ მიქაბერიძემ მიაკვლია ხელნაწერ რეეულს წარწერით „ქართული ლექსები ქობულეთში შეკრებილი“, რომელიც 52 ფურცელს შეიცავს და სწორედ ასლან კაიკაციშვილის დაწერილია. მეტწილად მითითებულია 1891 წლის 14 ივნისი, როცა ასლანი თბილისის გიმნაზიაში სწავლისას არდადეგების გამო სახლში იმყოფებოდა. ყმაწვილი იმდენად მორიდებული ყოფილა, რომ თავისი გვარი არ მიუწერია. მოგვიანებით რეეულის მე-5 გვერდზე მკვლევარ ფილიპე გოგიჩაიშვილს მიუწერია: მგონია კაიკაციშვილის ჩაწერილია 1887-1891 წლებშიო.

მაცაბერიძის მიხედვით, ამჟამად საეჭვო არაფერია, „სრული საბუთი გვაქვს იმისა, რომ ა. კაიკაციშვილი მივიჩნიოთ რეეულის შემდგენლად“. საამისოდ იმომშებს ასეთ არგუმენტს: თურმე უმიკაშვილის თხოვნით „ბაქარიანის“ ხელნაწერი თბილისში სწავლისას ასლან კაიკაციშვილსა და რეეულებს ნიჟარაძეს გადაუწერიათ. ავტოგრაფების შედარებამ ცხადყო, რომ „ბაქარიანი“ 55-ე გვერდიდან და ჩვენს მიერ მოხსენიებული რეეული ქობულეთური ლექსებით, შესრულებულია ერთი და იმავე პირის, ასლან კაიკაციშვილის მიერო (ვ. მაცაბერიძე, აჭარის ზეპირსიტყვიერების მასალები პ. უმიკაშვილის არქივში, კრებულიდან „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება, 3, 1977, გვ. 53).

ბატონი ვარლამი ამას არ ჯერდება და მთელი გულისხმიერება-კეთილსინდისიერებით დასძენს: სავარაუდოა, რომ ა. კაიკაციშვილი აჭარის

ზეპირსიტყვიერების მასალების შეკრებასა და ჩაწერას პ. უმიკაშვილის მითითებით აწარმოებდა. შეიძლება ითქვას, რომ ასლანი ადგილობრივ მცხოვრებთაგან პირველია, რომელმაც ხელი მოჰკიდა ამ საქმეს... მისი მასალები, ჩაწერის მხრივ უფრო სანდოა, ტექსტებში დაცულია ყველა ის თავისებურება, რომლებიც ახასიათებს აჭარულ კილოს. ამასთანავე, დართული აქვს სიტყვათა განმარტებები, რომელიც ისევე სანდოა, როგორც თვით ტექსტი... „ფიქრობ, ასლანი კაიკაციშვილის ჩანაწერები მეტად ყურადღების ღირსია. საჭიროა მათი სრული სახით გამოქვეყნება და შესწავლა. ეს იქნება მნიშვნელოვანი შენაძენი აჭარის ზეპირსიტყვიერების ისტორიის გასათვალისწინებლად“ (იქვე, გვ. 60). რაოდენ სასიამოვნო და გასახარია, რომ რეჯებ ნიჟარაძის შეფასებით „ასლანი იყო ჩვენი ქობულეთის იმედი“ და ვარლამ მაცაბერიძის ასეთი აღიარების მოწმენი ვართ, საშუალება გვეძლევა დამსახურებული პატივი მივაგოთ ასლან კაიკაციშვილს, რომელიც გიმნაზიაში სწავლის პერიოდში მთელი ჩვენი მხარის სიამაყე – პირველი ფოლკლორისტი-მკვლევარი გახდა.

მისი შემოქმედება, რომელსაც გამოსაქვეყნებლად ვამზადებთ, ამის ნათელი დადასტურებაა (გამოქვეყნდა 2001 წლის 12 ივლისს გაზეთ „აჭარაში“).

ასლან კაიკაციშვილის მიერ შეკრებილი და შედგენილ-დამუშავებული მასალები ჟანრების მიხედვით მრავალფეროვანია, სჭარბობს საისტორიო და საყოფაცხოვრებო ხასიათის მასალა. აქვია სიმღერები, გამოცანები, ანდაზები და შელოცვები. ზოგიერთ შემთხვევაში მოცემულია ცნობები მთქმელებისა და ავტორების შესახებ. ვ. მაცაბერიძის ცნობით, ავტორ-მთქმელებად მოხსენიებულნი არიან აბდულ ხაჯიშვილი, სულია ცეხლაძე-ცეცხლაძე, ახმედ ბაჯელიძე, მემედ ქარცივაძე, მუსტაფა ჭალიკანაშვილი და მთქმელებად – ისმაილ კაიკაციშვილი, რეჯებ და მემედ თხილაიშვილები, სხვები. ზოგიერთის ვინაობა სათაურშივეა დაფიქსირებული. „ახმედ ბაჯელიძის ლექსი, როცა ღორი მოკლა ყანაში“.

„მემედ ქარცივაძის გამოთქმული ლექსი“, „სული ცეხლაძის თქმით ნაწერი“, „ისმაილ კაიკაციშვილის თქმით ნაწერი“, „რეჯებ თხილაიშვილის თქმით ნაწერი“ და სხვა.

საისტორიო სიტყვებიდან ყურადღებას იქცევს რუსეთ-თურქეთის ომების ციკლის ლექსები „ალი ფაშამ გვიღალატა“, ხაჯიშვილს (ხაჯიოღლი) რომ უქია“ და სხვა. საყურადღებოა, აგრეთვე სერია ფირალებზე „ალი-ალა სუბაში (ლორთქიფანიძე)“, „ახმედ ხარაზის ლექსი“, ასევე ყმა-



წვილების ანუ გენჯების აკაცობაზე და სხვა.

საყოფაცხოვრებო ლექსებიდან ყურადღებას იპყრობს „მე ვარ უთბელი გიორგი“, „ქოჩორაი დამეკარგა“, „დაგველების „გულადობა“, „ოსმან ბეგ შენი ჭირიმე“, „დედოფლის ჩივილი“ და სხვა. მათში ადგილობრივი, კონკრეტული ამბებია გამოხატული.

კაიკაციშვილის ჩანაწერების ნაწილი მის მიუთითებლად ფ. გოგიჩაიშვილს შეუტანია პ. უმიკაშვილის „ხალხურ სიტყვიერებაში“, რომელიც 1937 წელს გამოიცა, მაგრამ მაცაბერძინის ცნობით, გამოუქვეყნებელიც დარჩა. ჩვენ მიმოვიხილავთ იმ ნიმუშებს, რომლებიც 1964 წელს გამოქვეყნებულ უმიკაშვილის ხალხური სიტყვიერების ოთხტომეულშია შესული.

### „ალიფაშამ გვიღალატა“

ხვანთქარი და რუსი ნიხუბობს, იგი არის ყორვე ეში,  
ალიფაშამ გვიღალატა, წაგვიყვანა კვირიკეში.  
მან რომ ფულები აიღო ჩვენ დაგვტია რუსის ხელში,  
კაი ხომ არ დამართნია, ბაწრით ნაათრიეს გემში,  
მისი ყვირილი ისმოდა სუფსას გაღმა ბაილეთში.

ალი-ფაშა თავდგირიძე რუსეთის მხარეზე ვერ იქნებოდა, მაგრამ ფაქტიურად მოსახლეობა არ აუმხედრებია, საომარ ოპერაციებშიც არ მონაწილეობდა. გემში კი იმიტომ ჩასვეს, რომ ფულები მიითვისა. თურქებმა იგი გაიწვიეს, მაგრამ დიდმოხელეობა ტრაპიზონსა და სხვაგან არ მოჰკლებია.

„ხაჯიშვილს რომ უქია“ ყირიმის ომში რუსეთის დამარცხებაზე უნდა მოგვითხრობდეს. ამას გვაფიქრებინებს „სალასტოფის“ ანუ სევასტოპოლის მოხსენიება. თვით შინაარსი ასეთია: თურქები საბრალონი მეგონა, — ამბობს ავტორი, თურმე მამალი მგლები ყოფილან. რიონსაც შეაყოლეს ნაკები და გემები, ტყვია-წამალი ბევრია, კონტრაით ანუ კონტრშეტევიით უნდა დაგლიჯონ ხელმწიფის, ე.ი. რუსეთის ტახტიო. ლექსს, ჩაწერილს 1890 წელს ხუცუბანში „მე ვარ უთბელი გიორგი“ სათაურად „მე ღმერთმა ქმარი მიბოძა“ შეეურჩიეთ, რაც გარკვევით გამოხატავს დედაარსს. გიორგი ამბობს, რომ ცხემვანეთს ანუ ხინოსაკენ მიმავალს, ლამაზ გოგოს მიჯდუმლებენ, მიმზრობასა და მიმყოლს, აკი ჩემს გვარს არ გვყოლია ოდესმე უთავაზო ქალი. მრავალ შვილს აღზრდის და ზეცაში ისარსაც

აისერისო.

ადგილზე მისულს საცოლე ეკითხება: „აქამდე სა იყავ, მე ღმერთმა ქმარი მიბოძა, პირს დაიბანს და გამოვა ქარქაშოსანიო“. წმინდა გიორგისაც იშველიებს და კვლავ ეუბნება „ოქროს ჩარდალს დაგიდგამ, თეთრი ირმისა ღჯისასა“, ე.ი. არაფერს მოგაკლებ, ყველა წადილს შეგისრულებო.

ეს ლექსი ფ. გოგიჩაიშვილს გამოუქვეყნებია როგორც აჭარული სამიჯნურო პოეზიის ნიმუში. ვ. მაცაბერიძის აზრით, ესაა არასრული და საკმაოდ სახეშეცვლილი ვარიანტი ცნობილი ზოგადქართული ლექსისა, რომლის ერთ-ერთი ადრეული ვარიანტი მიწერილია ერეკლე მეფის 1771 წლის სიგელზე.

„ქოჩორაი დამეკარგას“ ავტორი ქალს შესწივის, რომ ადრე დაუხმობდა თუ არა, ქოჩორა ქათამი მივიდოდა და „კაკალს“ დაუყრიდა, გაძღებოდა და ალესტეთ (ამაყად), გაბედულად დადგებოდა. მარა ტურამ ქოჩორაი წაართვა, არ გააგონა მისი კარკალი (კაკანი), ქოჩორამ შემომითვალა ახლა მოდი და დამკალი, ხოლო მეზობელმა იზეთმა – „რათ იმწუხრე ნამეტარიო“.

„დაგველების გულადობა“ ირონიულადაა ნათქვამი. ახალ გამოცემაში „ფუხარას“ სახელწოდებითაა შეტანილი. ესეც სულია ცეცხლაძეს მიუწოდებია. ქვეყანა ისე „გარეზილდა“ ანუ თავსლაფი დაესხა, რომ დაგვაში ვორმა ძმამ შიშმანიძეებმა მათხოვარს, რომელსაც წინდებიც არ ეცვა და ძაღლიც არ ჰყეფდა, ხანჯლებით წყვიტეს, დაჩეხას ვითომ იყო ღორის გოჭიო, თუმცა ვორი გროშიც არ აღმოაჩნდა. ეგებ იყო სულიწმინდა. შიშმანიძეები გარედან კაცი მეგონა, თურმე იყვნენ შიგნით ხურდა, ე.ი. მეწვრილმანე ნაძირალები. ამიტომაც ავტორი ღმერთს შესთხოვს ადრე მოიკითხო. კიდევ წყველის „ღმერთმა ადრე გადასწყვიტოს ვინცა მოკლა მათხოვარია“.

ჩვენი აზრით, ასევე უფრო მორგებული, გამართლებული იქნება თუ მომდევნო ლექსს „ოსმან ბეგ შენი ჭირიმე“, ვუწოდოთ „უკაცობამ გამახელა“ დედაარსი სწორედ ესაა, ამასთან ამას თავად პერსონაჟი ამბობს.

ქერივი ქალი ბეგს უთვლის, რომ შავარდენს უგავს თვალები, წინ-წინ ანუ ჯერ მე გენაცვლები, მერე კი ხუცუბნის ქალები. ნელ-ნელა ბალჩაში მოი, არ დეგესიონ ძაღლები, ნელი-ნელაი ჩამეხვიე, არ დამაწყვიტო ძარღვებიო.

ბეგის კითხვაზე „ტანდაბალო ჩამბაქელავ, შენ რა მენმა გაგახელა? ქალი უპასუხებს: ჰმბა-ჭამლობა ბევრი მქონდა, უკაცობამ გამახელა“.

კაიკაციშვილის რვეულშია აგრეთვე ლექსები „გულყირმიზაი“ და „მემია“, ჩაწერილი რეჟებ თხილაიშვილის მიერ 1891 წელს. გულყირმიზა

ანუ წითელგულა, ალესტად – ყოჩაღად მდგარი, სანადიროდ წასულა და შველი მოუკლავს, რომელიც თურმე „თიკანს შვებოდა ზაეალი“ (საცოდავი), ე.ი. შობდა ავტორი ასეთ ქმედებას ახირზამანს – დაქცევა, მეორედ მოსვლას ადარებს და ღმერთს თხოვს გულყირმიზა მკედარი ანახოს. მეორეს შინაარსი ასეთია: მემიამ დედე-ალის ქვრივი ქალის ანუ ასულის ცოლად შერთვა ისურვა. საქმეში ხასან-ბეგიც ჩაერია. – ჭური, მამული ბევრი აქ, მინდორი, მთა და ბარიო. ხანუმს ძღვენიც უზიდეს, მაგრამ რატომღაც მორიგება არ შედგა, რის გამოც დედეს უთქვამს: „დაქვრივდა ჩენი ფადია“. აქ მოხსენიებული ხასან-ბეგი გვარად თავდგირიძეა, რომელიც XIX საუკუნის შუახანს ცხოვრობდა და პოეტობდა.

ასლან კაიკაციშვილის რვეულშია აგრეთვე სატრფიალო და სხვა ხასიათის პატარა ლექსები, ნაწყვეტები, გამოცანები:

მე ვარ და ჩემი ნაბადი, გამოეჩნებელი ღამისა,  
დაიწვეები, ჯაერი ჩამეკება სამი ღამაჲსი ქალისა,  
ერთია მეტად ღამაჲსი, მეორე ღერწამ ტანისა,  
მესამე ასეთი არის, დამეჩნებელი თვალისა.

• • •

ჩემო ციციანათელაო, დადიხარ ნელა-ნელაო,  
შენმა ნელმა სიარულმა დამწვა და დამანელაო.

• • •

ქვერს ცეცხლი ეკიდება, მუხას ებრიადებაო,  
მე ღამაჲსი გოგო მისდა, შენ რა გაპრიანებაო.

• • •

მთა'ზე ყანა დევიდევი. შით დაუთესე კვარკვი,  
ბაბამ ქალი არ მომგვარა, ვერ დუეძინებ მარტვი.

• • •

პიტნა-პიტნა პელენციაო, ყადის გოგო შემომხვდაო,  
ერთი უნდა მეკოცნაო, წამოხტა და გამეკცაო.

საყოფაცხოვრებო ხასიათის ლექსებიდან გამოვყოფთ:

სიკვდილი და ღარიბობა, ვორვე ერთად მიდიოდა,  
გაშინჯეს და გამოშინჯეს სიკვდილს ღარიბობამ აჯობა.

• • •

ისე მტერი შევიწუხდა, როგორც სიბერე ძნელია,  
ჭილაფმა გვერდი მატკინა, ხირბილე შემომელია.

• • •

ბერი კაცი ვარ, ნუ მოკლავ, ყველა დაგიწეებს გმობასა,  
თუ სადმე შემომეყრები, გეტყვი შეილსა და მობასა.

• • •

თოვს, თოვს ხოშკაკლავს, ხეად ბატონი ხბოს დაკლავს,  
მოხარშავს და არ იტყევა, მობრუნდება სხვას დაკლავს

(ვარიანტშია „ბიძაჩემი თხას დაკლავს“).

გამოცანებიდან მოგვეყავს:

ერთი სტუმარი მეწვია, მიდღემსი უსტუმრებელი,  
იმას საჭმელი მივართვი, სუფრა'სე დაუღებელი.

(ახალდაბადებული ბავშვი, ძუძუთი კვება)

• • •

დედალ-მამალი ხოხობი ერთმანეთს დადარებოდა,  
მათი ნასროლი კოღობიხი ხელმწიფეს ეკადრებოდა.  
(წისქვილი)

• • •

ერთი რამ უცხო ფრინველი განთიადისას ფრინაქდა,  
მოელის ტანიდამ მარგალიტებსა ფანტაქდა,  
მოქარეს სურდა აერეფა, აზილია და ვერ აკრიფა.  
(ნაში)

• • •

კიკი – კიკი, კიკი ვაშლი, 'ხედ ასხია წვიტი ვაშლი,  
არც იჭმება, არც ისმება, არცა 'ხედა გაისკლება.  
(ვარსკვლავები)

• • •

ერთი საბელი მაქვს, ვკეცა ვკეცა ვერ დავეკეცა (გზა)

• • •

მიბრძანდება ბეგიითა, წავთრეკა ძაღლივითა (ზამთარი)

• • •

ას კაცს ერთი ქუდი ახურავს (ზინი)

(ვას ვდუნაუდი, ვარსკვლავს ვერეფდი (თხილი)

• • •

ეგერ, ეგერ სერხედა წითელი ჯამი ამხია (სოკო)

თაქშიშველი, ყეხშიშველი, მიგახდენ და ეერ მიხდები (შველი)

• • •

დაედევ ტაფა, ნაედე დუმა, დადნა ტაფა, არა დუმა  
(ფეხი და კალამანი)

• • •

ნაედევი ფრნხილის ხისხო, ამოვიდე კოკის ხიმხხო. (გოგრა)

• • •

მოვა, მოვა კეალს არ ანენს. (ნავი)

ქვეიდამ მოდის მოხეური, სეელ ამოწევიტა სოფელი. (ღაშე, ძილი)

ასლან კაიკაციშვილის მიერ მოძიებულ-შეკრებილი ზეპირსიტყვიერების ეს მასალები იმასაც ნათელს ჰფენენ, რომ ჩვენი წინაპრები თურქეთის ბატონობის შავბნელ ხანაშიც არ ივიწყებდნენ პოეზიას, მხატვრულ სიტყვას, ამღიდრებდნენ ხალხურ სიბრძნეს, თავადაც ქმნიდნენ, შეძლებისდაგვარად ეხმაურებოდნენ ცხოვრების მოვლენებს (გამოქვეყნდა 2001 წლის 25 სექტემბერს გაზეთ „აჭარაში“).

თსპო III

ქართული  
მთარსწევი  
და აქარა

## „ჩვენ, თქვენთან ერთად!“ – იყო პასუხი ერისა

XX საუკუნის დასაწყისში მცირე აზიაში – თურქეთში ერთმანეთს შეეჯახა ინგლისის, გერმანიის, რუსეთის, საბერძნეთისა და სხვათა ექსპანსიონისტური ინტერესები, 1913 წლის დამდეგს ანკარას ბერლინიდან ოფიციალური მისია ეწვია, რომელსაც ფონ სანდერსი ედგა სათავეში. მომდევნო წლის 2 აგვისტოს დაიდო გერმანია-ოსმალეთის ხელშეკრულება. უკვე მაშინ ცხადი გახდა, რომ ე.წ. „ახალგაზრდა ოსმალებმა“, ანუ პან-თურქისტებმა ვიცე-გენერალისიმუსის ენვერ-ფაშის მეთაურობით, მიზნად დაისახეს არა მარტო აჭარის, არამედ კავკასიის, ვოლგისპირეთისა და შუა აზიის დაპყრობა (ო. გიგინეიშვილი, თურქიზმი და ოსმალეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 1963, გვ. 114-117).

მკვლევარი ა. ავეტიანი სამართლიანად შენიშნავს, რომ გერმანულ და ოსმალ დამპყრობლებს ე.წ. „განმათავისუფლებელი“ მოძრაობის მოწყობა საქართველოშიც სურდათ (იხ. მისი, გერმანსკი იმპერიალიზმ ნა ბლიენემ ვოსტოკე, მ., 1966, გვ. 124). ამიტომ იყო, რომ კავკასიის საზღვრებზე პანთურქისტებმა 3 კორპუსი და მთელი კავალერია, სულ 135 ათასი ჯარისკაცი ჩააყენეს. ამასთან, შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტი აამოქმედეს (იქვე, გვ. 134).

მიუხედავად ამისა, რუსეთის მთავრობამ თავისი ჯარი ამ რაიონიდან გაიყვანა, 1914 წლის ნოემბერში ოსმალოები ისე შემოიჭრნენ აჭარაში, რომ მათთვის წინააღმდეგობა არავის გაუწევია, ხოლო მანამდე, კერძოდ, 28 ოქტომბერს გერმანული კრეისერები – „გებენი“ და „ბრესლაუ“ ბათუმს მოადგნენ და ცეცხლი დაუშინეს. ეს რომ ასე მოხდებოდა, მეფის მთავრობამ იცოდა. თვით აჭარლები აფრთხილებდნენ – ოსმალები და მათი მოკავშირეები მოდიან, აჭარიდან, ისინი ჩვენ არ დაგვინდობენ და მხარესაც მიიტაცებენო.

„ჩეთელები (ჩეთნიკები) თავისუფლად შემოიჭრნენ აჭარაში, რადგან რუსის ჯარმა სხვადასხვა მოსაზრებით ადრე დაიხია უკან უბრძოლველად... ჩეთელებმა ძალადობა იხმარეს ღვთის ანაბარად მიტოვებულ ხალხზე, სადაც შესაძლებელი იყო, მოსახლეობა ყველგან ეხმარებოდა რუსეთის ჯარს, ადგილობრივ ადმინისტრაციას აფრთხილებდა: „ჩეთელები მოდიან, გაენადგურდებით, ნუ მიგვატოვებთ, დაგვიფარეთ“, – ეკითხულობთ იმდროინდელ საქველმოქმედო საზოგადოების დოკუმენტებში.



მართლაც ასე მოხდა. მტარვალბმა გადაწვეს სოფლები, მოსახლეობა ცივ ზამთარში ტყეში გაიხიზნა. „ჩეთნიკების შემოსევა აჭარაში ჭირზედ ჭირი და აუტანელი უბედურება იყო“, – წერდა დ. კახელი გაზეთ „საქართველოში“ (1915, 26 ივლისი).

მომხდურები მოსახლეობის აწიოკებას როდი დასჯერდნენ, რუსეთის წინააღმდეგ მათი ამხედრება მოანდომეს. „საზღერები საესეა ჩენი ასკერებით, ზღვიდან გერმანელები უტყვენ. ასე რომ, დაღგა „გიაურებთან“ და მერყევ მუსლიმანებთან ანგარიშის გასწორების მომენტი“, – გაჰყვიროდნენ ოსმალები. აჭარის პროგრესული მოღვაწენი – ხასან ლორთქიფანიძე, ხასან თხილაიშვილი, მემედ და ჰაიდარ-ბეგ აბაშიძეები, რეჯებ ნიჰარაძე, ხოჯა-ეფენდი დაუთ სირბილაძე-სირაბიძე, ყვემალ ქიქავა, სულეიმან-ბეგ ბეჟანიძე, სულეიმან დიასამიძე, ქემალ ნოლაიდელი, ხასან ანანიძე, რეჯებ მეხეშიძე, ყემბერ ხარაზი, რეჯებ შაშიკაშვილი, თემურ ხიმშიაშვილი და სხვები ფარდას ხდიდნენ ამ პროვოკაციულ ზრახვებს, მოსახლეობას ქართული ორიენტაციისაკენ მოუწოდებდნენ.

„ოსმალთა ჯარის სარდლობა აჭარლებს აიძულებდა ეომათ რუსეთის წინააღმდეგ, ხოლო ვინც უარს განაცხადებდა, მათ მიმართ სასტიკ რეპრესიებს ახორციელებდა. გარდა ამისა, მოსახლეობას ავალებდნენ, სურსათ-სანოვაგე ეძლია ოსმალთა ჯარებისათვის, ეს იყო სულთნის ჯარების შემოტევის დროს, შემდეგ კი, როცა რუსეთის ჯარებმა განდევნეს ოსმალები, აჭარას ახალი უბედურება ეწია. ბათუმის სამხედრო გუბერნატორმა ლიახოვმა (რეაქციული მოქმედების გამო 1920 წლის ზაფხულში ბათუმელმა რევოლუციონერებმა იგი სიცოცხლეს გამოასალმეს) აჭარლები მოლალატებად გამოაცხადა და ბევრი მათგანი შორეულ მხარეში გადაასახლა, თუმცა შემდეგ გამოირკვა, რომ აჭარლებს ლალატში არავითარი ბრალი არ ედოთ, მაგრამ სასჯელის მსხვერპლს ეს რაღას უშველიდა“, – წერდა ცნობილი მკვლევარი ხ. ახვლედიანი.

„აჭარა წინ აღუდგა დამპყრობლებს, მაგრამ ვერ გაუძლო მათ შემოსევას, ხოლო როდესაც მას რუსეთის ჯარი მიუახლოვდა, ოსმალებმა უკან დაიხიეს. ცხადია, ამას თან ახლდა ცეცხლის წვიმა, ზარბაზნების ჭექა-ქუხილი, სოფლების გადაბუგვა, მოსახლეობის აწიოკება. მოვიდნენ რუსი ოფიცრები და აჭარლები „მოლალატებად“ გამოაცხადეს. მძინეარებდა საველე-სამხედრო სასამართლო, რამაც ბევრს თურქეთში გადახვეწა აიძულა, – მიუთითებდა გაზეთი „თანამედროვე აზრი“ (1915, №100).

საყურადღებოა გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ გამონათქვამიც: „ჩენი ხალხი იძულებული იყო აყრილიყო, მიეტოვებინა თავისი სახლ-კარი, წამოეკიდა ზურგზე თავისი ბარგი და საშინელ ზამთარში ცოლ-შვილით უცხოეთში გადახვეწილიყო. ბევრს გზაში ამოხდა სული, ბევრი

გაწყდა სიცივისა და შიმშილისაგან. ბევრი ვერ დაუბრუნდა თავის სახლ-კარს, უცხო მხარეში გაიჭრა მათი სამარე. მშობლიურმა მიწა-წყალმა ვერ იხილა ისინი. ბევრია ასეთი საფლავი ჩვენი გაწამებული მოძმეებისა ოსმალეთში“ (1920, 20 თებერვალი).

აჭარის მოსახლეობის უმწეო მდგომარეობამ ფეხზე დააყენა საქართველო. „მთელი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას, რომ თუ ის ქართველი მუსლიმანების ტანჯვასა და წამებას თავს არ დაანებებს, ქართველი ერი აჯანყდება“, – იუწყებოდა იგივე გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ (1920, 17 თებერვალი).

პირველმა მსოფლიო ომმა დაანთო უდიდესი ხანძარი განადგურებისა და 1914 წელს მან საქართველოს კარს დაუკაკუნა. ოსმალთა ჯარმა წინ წამოიწია. დაირხა ხმა, იმპერიის მმართველობას სურს აჭარლები გადასახლოს რუსეთის შორეულ მხარეშიო. როგორც ერთი კაცი, ფეხზე დადგა მთელი ერი, განსაკუთრებით აქტიური და ამ მოძრაობის მეთაური იყო მარიამ ორბელიანი – ერეკლეს ასულის თეკლეს შვილიშვილი. იწერებოდა მიმართვები, მემორანდუმები. ქალებს არც ჩვენი ინტელიგენციის მეორე მხარე ჩამორჩენია: კიტა აბაშიძე, გიგო რცხილაძე, ნიკო თავდგირიძე, ექვთიმე თაყაიშვილი და მრავალი სხვა.

თბილისში ჩამოვიდნენ ხულოელი, ქობულეთელი და სხვა სოფლების მოხუცები, იყვნენ წერა-კითხვის გამაერცელებელ საზოგადოებაში, ქართულ გიმნაზიაში. როგორ? არ გვეყო? ამდენ ხანს მოწყვეტილი ვიყავით დიდ სამშობლოს და კიდევ დავცილდეთ? დავიხოცებით, ფეხს არ მოვიცვლით!

„ჩვენც თქვენთან ერთად!“ – იყო პასუხი მთელი ერისა.

„ოსმალთა არმიამ უკან დაიხია, გადასახლების ხმებიც მიწყდა“, – ნათქვამია აკად. ნიკო კეცხოველის მისალმებაში, რომელიც გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ 1971 წლის 16 ივლისს გამოაქვეყნა.

ქართველები აჭარის მკვიდრთ არა მარტო უმწეო მდგომარეობის გამო ექომაგებოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ მათ ღალატს სწამებდნენ. აჭარლებს არ გამოუჩინიათ არავითარი სარწმუნოებრივი მტრობა, არც არავითარი შეთქმულება ან რაიმე მასობრივი უკმაყოფილება მთავრობის წინააღმდეგ. საზოგადოებისაგან ადრე განდგომილი თითო-ოროლა პირის მოქმედებისათვის კი მთელი ხალხის შერისხვა ან დიდი სახელმწიფოებრივი უგუნურებაა, ან კიდევ პოლიტიკური პროვოკაცია“, – ჩაწერილია საქველმოქმედო საზოგადოების 1916 წლის ანგარიშში (გვ. 11-12). აქვე წერია, რომ ოსმალების შემოსევა იყო აჭარლების უბედურება და არა ღალატი, რომელიც „არცერთმა ოფიციალურად დანიშნულმა კომისიამ არ დაადასტურა“.

მოკყავდა რა ეს დოკუმენტი, ხ. ახვლედიანი ამბობდა: „აღნიშნულიდან ნათლად ჩანს, რომ მეფის ჯარებმა აჭარლები მიატოვეს, მთავრობამ ვერ გამოიყენა აჭარელთა ანტიოსმალური განწყობილება, არ ჩამოაყალიბა მათგან სახალხო ლაშქარი. მას შემდეგ კი, რაც რევულარულმა ჯარებმა აჭარის სოფლები დატოვეს, მოსახლეობა ორმხრივი ცილისწამებისა და შეურაცხყოფის საგნად იქცა, ოსმალთა მტაცებლები მათ არბევდნენ, ცეცხლს უკიდებდნენ, ხოლო მეფის შოვინისტი და უსულგულო მოხელეები აჭარლებს მოღალატეებს ეძახდნენ. გაუგებარია, რატომ უნდა მოკიდებოდნენ ოსმალები აჭარლებს ასე მკაცრად, თუ მათ რუსებს უღალატეს და ოსმალებს მიემხრნენ? მეფის მოხელეებს ამაზე არ უფიქრიათ“ (ხ. ახვლედიანი, სახალხო გამათავისუფლებელი ბრძოლის ისტორიიდან სამხრეთ საქართველოში, ბ., 1956, გვ. 225.).

ბათუმის ოლქის გუბერნატორი რომანოვსკი 1915 წლის აგვისტოში „ღალატის“ გარკვევის მიზნით ხულოს ეწვია. ადგილზე მდგომარეობის გაცნობის შემდეგ მან თქვა: „აქ იმდენი არაფერი მომხდარა მცხოვრებლების მხრივ, როგორც ეს მთავრობას ამცნეს, არამედ კერძო პირების ჩადენილი და წამხდარი საქმე მოახვიეს თავზედ მთელ ხალხს და ამით მათ ჩირქი მოსცხეს“ (გაზ. „საქართველო“, 1915, 21 აგვისტო). შემდეგ დასძინდა, რომ ბრალდებათა დიდი ნაწილი აგებულია ცრუ, დაუსაბუთებელ ჩვენებებზე (აჭარის სახ. არქივი, ფ. 1, ს. 741, ფ. 11-12).

ამასვე ადასტურებდა იმხანად აჭარლების წამებით გულმოკლული გიორგი კაჭახიძე. ბერძენი და სომეხი ვაჭრები თურქების შემოსევის დროს დაზარალდნენ და აჭარლებს განუცხადეს, – ზარალი აღგვიდგინეთ, თორემ მთავრობაში გიჩივლებთ. ასე გახდნენ ისინი „მსხვერპლნი ვაჭრების დაბეზლებისა“ (გაზ. „საქართველო“, 1915, 30 დეკემბერი), ზოგიც წამოეგო აგენტების, თურქოფილი ხოჯა-მოლების ანკესს, რაც მიზეზად გაიხადეს და შეაკოწიწეს – ღალატიათ.

მკვლევარ ვ. ტარტარაშვილს მოკყავს გაზეთ „სამშობლოში“ „კლდეს“ ფსევდონიმით გამოქვეყნებული საინტერესო წერილი, რომელშიც ნათქვამია: „მთავრობას არაერთგვაროვანი საფუძველი არ ჰქონდა აჭარლები მოღალატეებად გამოეცხადებინა. რად დაისაჯა აჭარა, რომ მათ ღალატი დასწამეს? ღალატი იმ ერისა, რომელსაც პოლიტიკური მისია ვერ შეუქმნია, ცოტა არ იყოს, პირზე ღიმილს მოკვეთის ადამიანს, მაგრამ ბედის ირონია იმაში უფრო გამოიხატება, რომ დღიდან მაკმადიანობის გამოცხადებისა, ეს უბედური მხარე წინვაგლეჯის სარბიელად გახდა. აჭარლების მოღალატეებად გამოცხადება მოკლებულია როგორც იურიდიულ, ასევე მორალურ საფუძველს. ოსმალებმა მოასწრეს აჭარაში გაბატონება.

რა შეეძლო ამ პატარა მხარეს? შებრძოლებოდა? მაგრამ გაწვრთნილ ჯარს მხოლოდ ჯართან უნდა ჰქონდეს საქმე და არა მცხოვრებლებთან. აჭარლებიც დამორჩილდნენ. ბუნებაც, კანონიც ამგვარ დამორჩილებას მოითხოვდა. აკი სულ ჩაეძახოდით, რომ ისინი მაჰმადიანები არიან, დანაშაულობა მათ თავს მოვახეიეთ და სასტიკად დავსაჯეთ“.

ამასთან დაკავშირებით ვ. ტარტარაშვილი წერს: „პირველი მსოფლიო ომი, რომელიც ორ წელსა და 3 თვეს გრძელდებოდა კავკასიაში, ყველაზე მძიმე აჭარისათვის აღმოჩნდა. პირველად სწორედ მისი ოკუპაცია მოახდინეს. ოსმალო ინტერვენტებმა აჭარლები თავიანთ ქვეშევრდომებად გამოაცხადეს და ერთეულებს აიძულეს იარაღის აღმართვა რუსეთის წინააღმდეგ. ამის გამო რუსეთის მეფის მთავრობამ აჭარლები მოღალატეებად გამოაცხადა. მან ისევ საეკლესიო პოლიტიკით იხელმძღვანელა და აჭარლებს განუცხადა: „მუსლიმანები რომ ხართ, ამიტომაც თქვენს ერთმორწმუნე თურქებს უჭერდით მხარსო“. რა თქმა უნდა, ეს იყო პროვოკაცია“ (ვ. ტარტარაშვილი, რელიგიის ისტორიისა და ათეიზმის საკითხები საქართველოში, თბ., 1980, გვ. 38; გაზ. „სამშობლო“, 1915, 4 მარტი).

ყოველივე ეს რუსი ხალხის მოწინავე შვილებმაც ამხილეს. 1915 წლის თებერვალში აჭარას სამხედრო კორესპონდენტის მისიით მწერალი ა. ტოლსტოი ეწვია. იგი აქ შეხვდა კავკასიის არმიის სარდალს, შემდეგ ცნობილ თეთრგვარდიელ იუდენიჩს და ინტერვიუ აიღო მისგან.

– ჩვენ აქ, ამიერკავკასიაში, იძულებული ვართ ანგარიში გავუწიოთ ეროვნულ თავისებურებებს. ჩამოაყალიბეს ქართული პოლკი, ჩააცვეს ჯარისკაცებს ეროვნული კოსტიუმი და უფლება მისცეს იმღერონ ქართული სიმღერები. აბა სხვა რა უნდათ! – ქედმაღლურად, დამცინავი კილოთი განუცხადებია იუდენიჩს.

გენერალი შეეცადა „დაემტკიცებინა“, თითქოს საფრონტო ზოლის (გადიოდა აჭარის სამხრეთით) მოსახლეობა, განსაკუთრებით ქურთები არასაიმედონი იყვნენ. შემდეგ გავიგე, – წერდა ა. ტოლსტოი, რომ რუსეთის სარდლობამ იუდენიჩის მეშვეობით ეჭვმიტანილად სცნო ე.წ. „ინოროდცები“ და მოითხოვა მათი ასახლება, ასობით კაცი კი დაახვერტინაო.

ჩვენს მხარეში მოგზაურობის შემდეგ იუდენიჩი იძულებული იყო ეღიარებინა, – სოფლებში ფუტკრის სკები მიწაზე ეყარა, დაემტვრიათ ფორთოხლის ბაღები, არსად შევხვედრივართ არც ადამიანსა და არც ცხოველსო.

რა მიზანს ისახავდა სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ადგილობრივი მოსახლეობის, მათ შორის აჭარლების აყრა-გასახლება? ამ კითხვაზე ჯერ კიდევ მაშინ ამომწურავი პასუხი გაუცია ა. ტოლსტოის: „თვალწარმტაცი

მიწის ნაკვეთებს აჭარისწყლისა და ფორთოხლის ბაღების გაყოლებით, ზღვისპირს კონფისკაცია უყვეს და შექმნეს ამ უმნიშვნელოვანესი კუთხეების ყიდვა-გაყიდვის საზოგადოება, გენერალი იუდენიჩი უმსხვილესი მიწათმფლობელი და მესაკუთრე გახდა“ (ი. ბეკირიშვილი, რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ, ბ., 1973, გვ. 54).

იუდენიჩსა და მისთანებს ამხელს აგრეთვე, მისი თქმით, გენერალის მწერალი ვ. კოჩეტოვი. მას შეეძლო „ჩამოეხრჩო შეუიარაღებელი სომხები მთებში, აგრეთვე მშვიდობიანი ბათუმელები“ (უგოლ პადენია, მ., 1970, გვ. 13).

აჭარის მშრომელი მოსახლეობის ერთგულებაში რუსეთისადმი ჩვენს მიერ უკვე ხსენებულმა ბათუმის გუბერნატორმა რომანოვსკიმ მაშინ ოფიციალურად მიუთითა. მოსალოდნელ ომთან დაკავშირებით მთავრობამ მას დაავალა დაეწერა მოხსენებითი ბარათი აჭარლების განწყობილებაზე. მათი სიმპათია რუსეთის მხარეზეა, – გაბედულად უპასუხა მან.

ჟურნალმა „ნოვოე ვრემია“ 1915 წლის 25 აპრილს გამოაქვეყნა ომის მონაწილე ოფიცრის, მხატვარ ა. პრეჟევალსკის მშვენიერი სურათის „რუსეთის ერთგულ აჭარელ ბეგს თავის შვილებთან ერთად ურმებით ჭოროხის ერთ შტოზე გადაჰყავს რუსი ჯარისკაცები ოსმალეთის პოზიციების ფლანგებზე გასაგზავნად“ რეპროდუქცია. სურათზე აღბეჭდილია ოთხი ურემი, რომლებშიც კამეჩებია შებმული, ტყისკენ მიიჩქარიან. ჩვენი აზრით, ეს ბეგი გონიოელი ჯაფარიძე უნდა იყოს. როგორც ხედავთ, რეაქციულმა ორგანომაც არ გაიზიარა ვერსია აჭარლების ღალატის შესახებ და ა. პრეჟევალსკის სურათის გამოქვეყნებითა და გარკვეული წარწერით უარყო ჭოროხი. ეს საყურადღებო ფაქტია.

აჭარლებს გულმხურვალედ გამოეკომბა ცნობილი მოღვაწე გრიგოლ ვეშაპელი. ბრალდებებს იგი თვით რუსული წყაროებით აქარწყლებდა. მოჰყავს ჟურნალ „რუსკიი ვედომოსტის“ 1915 წლის 1 აპრილის ნომრებში გამოქვეყნებული სამხედრო მიმომხილველის „ს. მ-სკის“ სიტყვები, რომ აჭარისა და შაქმეთის მოსახლეობამ მხარი არ დაუჭირა თურქებს, თუმცა ამას მოელოდნენ (გ. ვეშაპელი, ტურეცკაია გრუზია, მ., 1916, გვ. 20). ბრალდებებს აჭარლების მიმართ ასევე უსაფუძვლოდ თვლიდა პროფ. ილია პულოკი (ოჩერკი ისტორიი ბატუმსკოი კომუნისტიჩესკოი ორგანიზაციი, ბ., 1970, გვ. 235).

მეტად საყურადღებოა პროფესორ ო. გიგინეიშვილის გამომხატურება. იგი წერს: „ოსმალეთის ემისრების, ბეგებისა და სამღვდლოების აგიტაციამ, ძალადობამ და მუქარამ ნაყოფი ვერ გამოიღო. ბათუმის ოლქის მცხოვრებთა მხრიდან რაიმე მტრული გამოსვლები რუსეთის აღმინისტ-

რაციის, მოხელეების ან ჯარების მიმართ არ მომხდარა. პირიქით, ადმინისტრაციის თითქმის ყველა თანამდებობის პირი მოწმობდა, რომ მოსახლურ რაიონის მოსახლეობა, რომელსაც ოსმალების შემოტევის ეშინოდა, ქვეყნის შიდა რაიონებში გადასახლებას ითხოვდა, მობილიზაციის დროს ყველა თავის ვალდებულებას ზუსტად ასრულებდა და ჯარის მიერ ბათუმის ოლქის დატოვების მომენტამდე იცავდა სატელეგრაფო საზღვებს“ (საქართველოს ორცსა, ფ. 57-ს, ს. 1 ფ. 5). რუსეთის ადმინისტრაციის თანამდებობის პირები ადასტურებენ: „თურქეთის ჯარების შემოტევის დროს იყო შემთხვევა, რომ ადგილობრივმა მოსახლეობამ თურქების ტყვეობიდან გაათავისუფლა რუსი სტრაჟნიკი კასიანოვი, მოსახლეობა ჩვენს ჯარებს დათოვლილი უღელტეხილების გაწმენდაში ეხმარებოდა და უფასოდ აწვდიდა საკვებ პროდუქტებს სამხედრო ნაწილებს, რომლებმაც ზემო აჭარის მოსახლეობის დახმარებით მშვიდობით დაიხიეს უკან“ (ორცსა ფონდი, 57-ს, ს. 1, ფ. 5).

ამრიგად. ქართველი მუსლიმანები არათუ არ უჭერდნენ მხარს ბეგებს, მუსლიმანურ სამღვდელეობასა და ოსმალეთის ემისრებს, არამედ, პირიქით, აქტიურად მოქმედებდნენ ოსმალების წინააღმდეგ და მთელი ძალღონით ეხმარებოდნენ რუსეთის ჯარებს.

მაგრამ ო. გიგინეიშვილი ამას არ ჯერდება და შენიშვნაში განმარტავს: „ენვერის მკვეხარა განცხადებათა საფუძველზე ზოგიერთმა შაერაზმელმა და მეფის მთავრობამ შექმნეს საქმე „აჭარელთა ღალატის“ შესახებ. ახლა ჩვენ არ გავიხსენებდით ამ პროვოკაციულ საქმეს, მას რომ ერთგვარი კვალი არ დაეტოვებინა ჩვენი უკანასკნელი პერიოდის ლიტერატურაში, ასე მაგალითად, გენერალ-ლეიტენანტმა ნ. კორსუნმა შენიშვნების გარეშე მიიღო ენვერის ზემოხსენებული განცხადებანი და „აჭარელთა ღალატის“ პროვოკაციული საქმე შეიტანა წიგნში „პირველი მსოფლიო ომი კავკასიის ფრონტზე“, თურმე „თურქეთის ჯარის შეტევას მთიან აჭარაში (ლაპარაკია მაიორ შტანკეს რაზმის მოქმედებაზე – ო.გ.) თან სდევდა ბათუმის ოლქის სამხრეთ ნაწილში მცხოვრები მუსლიმანური მოსახლეობის აჯანყება რუსეთის წინააღმდეგ“. სინამდვილეში, როგორც ამას საარქივო დოკუმენტები მოწმობენ, მოსახლეობა რუსეთის წინააღმდეგ არ აჯანყებულა. ბეგებს, მუსლიმანურ სამღვდელეობას და ოსმალეთის ემისრებს მოსახლეობასთან ვერ გავაიგივებთ. ყოველივე ეს პირად წერილშიც დაგვიდასტურა.

რუსეთის ჯარების მიმართ ლოიალურად იყო განწყობილი აგრეთვე ტრაპიზონის ვილაეთის მოსახლეობაც, რომლის დიდ უმრავლესობას ჭანლაზები შეადგენდნენ. ყოველგვარი ცნობა იმის შესახებ, რომ თითქოს ლაზისტანის მოსახლეობა 1916-1917 წლებში აჯანყებას ამზადებდა

რუსეთის ჯარების წინააღმდეგ, რომელმაც იმ დროისათვის ეს მხარე დაიკავა, თანახმად საარქივო საბუთებისა, სინამდვილეს არ შეეფერებოდა და გამომდინარეობდა პროვოკატორული ელემენტებიდან.

მდიდარი ისტორიული წყაროების საფუძველზე ო. გიგინეიშვილი იმასაც მიუთითებს, რომ „ლაზისტანშიც არათურქი მოსახლეობა, გარდა თურქების ნაწილისა, ოსმალებისადმი მტრულად იყო განწყობილი“. თვით თურქი მოსახლეობაც „არაერთარ ენთუზიაზმს არ იჩენდა“ (ო. გიგინეიშვილი, გვ. 121-122). ამ თემით პროფ. ა. სურგულაძეც დაინტერესდა. ანალიზებს რა ისტორიულ მასალებს, იგი მიუთითებს: „ჩაიფუშა გერმანიისა და თურქეთის იმედი – შეექმნათ კავკასიის ხალხებში რაიმე დასაყრდენი, რისთვისაც გერმანელთა და თურქთა ემისრები ომის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე მუშაობდნენ. ენვერი დარწმუნებული იყო, რომ მისი ემისრების გამოჩენა კავკასიის მუსლიმანურ მოსახლეობაში საკმარისი იყო რუსეთის წინააღმდეგ მათი ამხედრებისათვის. სარიყამიშის ოპერაციის წინ, ამ მიზნით მან აჭარაში თავისი ერთგული პირები გააპარა, აჭარის მოსახლეობა არ აჰყვა ოსმალო აგენტების დაპირებას, იგი ბოლომდე ერთგული დარჩა რუსეთისა და მის არმიას ყოველმხრივ ხელს უწყობდა შეტევის წარმოებაში, თურქეთის მიერ დროებით ოკუპირებული ადგილებიდან აჭარელი მოსახლეობა ჩრდილოეთისაკენ (გურია-იმერეთში) გარბოდა, ან თურქ ჯარისკაცებს ორგანიზებულ წინააღმდეგობას უწევდა“ (საქ. ისტორიის ნარკვევები, ნ.გვ. 358-359).

აჭარის მშრომელი მოსახლეობის ერთგულება ვლინდება იმითაც, რომ მუსლიმანური რელიგიის მსახური ხულოელი ხაფიზ ეფენდი რეჯებ მეხეშიძე, როგორც არასაიმედო, გაჩხრიკეს და მაცხოვრის ხატი უპოვეს. ამან კიდევ უფრო გააცოფა ისინი და მისი საჯაროდ დახვერტა დააპირეს, მაგრამ შეილება მოახერხეს პატრიოტი მამის ტყეში გადამალვა, – იტყობინებოდა გ. კაჭახიძე, მისივე ცნობით, ხულოში გენერალი ნიროდიც მიუვლინებიათ (გაზ. „საქართველო“, 1915, 21 ივნისი).

– ჩეთნიკებს (ოსმალებს – ი. ბ.) მთავრობა არ დახვდა და აბა ჩვენ გლეხები რაღას გავხდებითო, – უთქვამთ აჭარლებს გენერლისათვის.

ამდენად, ერთხელ კიდევ ცხადი ხდება, რომ რუსეთის ოფიცრებმა დანაშაული ჩაიდინეს და თავის დაზღვევის მიზნით, ყოველივე აჭარლებს გადააბრალეს. მართლაც მშიერ-ტიტველი, შეუიარაღებელი, ამასთან არა-ორგანიზებული მოსახლეობა განა გაუმკლავდებოდა ჭარბ და რეგულარულ ჯარს? რა თქმა უნდა არა, ხოლო ე.წ. თამაშით უფრო მეტ უბედურებას მოუტანდნენ მთელ მხარეს (გაზ. „საქართველო“, 1915 წელი, 30 დეკემბერი). ცხადია, რუსების მოსელამდე აჭარლები ჩეთნიკებს ვერ

გაუმკლავდებოდნენ. ისინი აჭარას მიწასთან გაასწორებდნენ, ამოწყვეტდნენ ყველას. ასე რომ, წინდახედულება უგუნური ნაბიჯის გადადგომაში ამო არ იყო, საერთოდ, სასაზღვრო ზოლის მოსახლეობა აქტიურობს იმ შემთხვევაში, როდესაც პოლიტიკური თუ საომარი ვითარება გარკვეული და მყარია, მთავრობისაგან პრივილეგიებს ღებულობს, აჭარლებს მეფის მოხელეები კი მშობლიურ ბათუმშიც არ უშვებდნენ. უფლებააყრილ კაცს განა ყველაფერი მოეთხოვება?

6. ნიკოლაძე 1978 წელს აჭარის შემოერთების გამო გაზეთ „ობზორში“ წერდა: „როცა რომელიმე ხალხი ისეთ სახელმწიფოს უერთდება, რომლის შემადგენლობაში არ შედიოდა, მისი დამშვიდების უმნიშვნელოვანესი საშუალება და მისი დამაგრების უმთავრესი იარაღი ისაა, რომ ახალი წყობა, ახალი მდგომარეობა წინანდელზე ბევრად ხელსაყრელი მოეჩვენოს: როცა ხალხი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდება, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომ სახელმწიფო კანონიერებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფს, რომ მოქალაქეთა ცხოვრება დატულია კანონის დარღვევისა და თვითნებობისაგან, რომ არავენ შეურაცხყოფს მის სარწმუნოებას, რომ მას შესაძლებლობა ექმნება გონივრულად განვითარდეს – ცხადია, იგი არა მარტო შეეგუება ახალ წესწყობილებას, არამედ დააფასებს კიდევ... როგორ მტრულადაც არ უნდა იყოს თავიდან განწყობილი დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა. ამ საშუალების გამოყენების შემდეგ მისი განწყობილება ჯერ სიმშვიდეში გადაიზრდება, შემდეგ კი – სიყვარულში, ამისათვის საჭიროა ადმინისტრაციულ მოღვაწეთა და პერსონალის შერჩევა. იმედი გვქონდეს, რომ ტაქტსა და შორსმჭვრეტელობას პირველი ადგილი დაეთმობაო, მაგრამ ცარიზმის დროს აჭარაში ამგვარი პოლიტიკა არ გატარებულა, ნიკოლაძის რჩევა-სურვილები ქალაქებზე დარჩა (ნ. ნიკოლაძე, თხზ. 6, გვ. 217).

როგორც ვთქვით, ჩვენი თანამემამულეები ბევრს აკეთებდნენ აჭარლებისადმი მორალური მხარდაჭერისა და მატერიალური დახმარების გასაწევად, მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ აღმოჩნდა. 1915 წლის 19 მარტს გაზეთმა „სამშობლომ“ ჰაიდარ აბაშიძის წერილი „კვლავ მოწოდება, კვლავ საყვედური“ გამოაქვეყნა, რამაც დიდი გამოხმაურება ჰპოვა. 1915-1916 წლების ქართულ ჟურნალ-გაზეთები: „თეატრი და ცხოვრება“, „საქართველო“, „თანამედროვე აზრით“, „სახალხო ფურცელი“ სავსეა ჩვენი მხარისადმი სიყვარულით აღსავსე წერილებით, მოგონებებითა და სურვილებით, აშკარა პროტესტით იმათ მიმართ, ვინც აჭარლებს უსამართლოდ ცილს წამებდა.

საქველმოქმედო საზოგადოებამ ბრალდებული აჭარლების გამართლების მიზნით, სპეციალური იურიდიული კომისია შექმნა. მ. ფალავა, ი. მაჭავარი-



ანი, ა. მუატი, ანჯაფარიძე, სახნოესკი, იოსელიანი და სხვები სასამართლოებში უსასყიდლოდ იცავდნენ უდანაშაულო აჭარლებს.

საქართველოს ქალაქებსა და სამაზრო ცენტრებში შეიქმნა საქველმოქმედო საზოგადოებები და განყოფილებები, სარეგისტრაციო პუნქტები. ამ მხრივ აქტიურობდნენ მიხეილ მაჩაბელი, პართენ გოთუა, ვასილ ყიფიანი, ივანე გომართელი, გერონტი ქიქოძე, ექვთიმე თაყაიშვილი და ბერი სხვა. იმართებოდა კონცერტები, დადგმები და შემოსავალი აჭარაში იგზავნებოდა. იმატა შემოწირულობებმაც. ეს იმანაც განაპირობა, რომ პოეტები და საზოგადო მოღვაწეები მხურვალედ გამოეხმაურნენ პ. აბაშიძის მოწოდებას. პოეტი განდევილი (დომინიკა ერისთავი) ამასთან დაკავშირებით წერდა: გადაიკითხეთ თუ არა პ. აბაშიძის წერილი? გაეცანით? მჯერა, თქვენაც ცრემლებს ვერ შეიკავეთ და ყურს მიაპყრობთ იმ საშინელ კენესას, იმ უმაგალითო უბედურებას, რომელიც ჩვენ თანამემამულეებს არგუნა ბედმა. ნუ დაევიწყებთ, რომ ამ ჩვენის გულიდან მოგლეჯილ კუთხეს იქაურმა ქალებმა შეუნახეს ფაქიზად ის ენა, რომლითაც „ინო ღმერთს აღიდებდა“. აჭარელმა ქალებმა უმღერეს მშობლიური ნანა თავიანთ შვილებს და შეასისხლხორცეს მათ ის დიდი და იშვიათი ღირსება, რომელიც წმინდა ქართული რაინდული სულის თვისებაა.

შემდეგ დასძინდა, რომ ქალებმა უნდა ეშობოთ ჩვენი მყოფადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს. თუ გვწამს ეს დიადი მცნება, მაშინ გულგრილად არ უნდა შევყურებდეთ თანამემამულეთა დიდ გასაჭირს. მათ უნდა ვამცნოთ, რომ ქართველ ქალთა ნაზი გრძნობა არ გამქრალა. იგი ერთნაირი სიყვარულითაა აღვსილი საქართველოს ყველა კუთხის ქალების მიმართო. არასოდეს უნდა დაგვაეციყდეს, რომ ერთი დედ-მამის შვილები ვართ, ერთი ცის ქვეშ დაბადებული და აღზრდილი, რომ არ არის ორი საქართველო, იგი ერთია მთელს ქვეყანაზე. ამდენი ხანია იწერება, მაგრამ აქამდე ვერც ერთი მტკიცე ორგანიზაცია ვერ შედგა, რომელიც ცოტათი მაინც შეუმსუბუქებდა მწარე ხვედრს ჩვენს მოძმეებს. შე ვფიქრობ, ამას არც ადგილობრივი მთავრობა დაგვიშლის, პირიქით, ხელსაც შეგვიწყობს გაჭირვებულთა დახმარების საქმეში, მაშინ ნულარ შევყურებთ უტყვე მოწმეთ ამ კენესას, ძახილს შვილისას, დავეხმაროთ აჭარლებს რითაც შეგვიძლია და სიკვილს გადავარჩინოთ ისინი“. იქვე პოეტი ქალი აცხადებდა, რომ აჭარლების დასახმარებლად გაიღო ხუთი მანეთი. დაე, ეს იყოს პირველი კენჭი ქართველი ქალებისაგან თანამემამულეთა დანგრეული კერის აღსადგენად (ი. ბეჭერიშვილი, ნარკვევები აჭარის წარსულიდან, ბ., 1982, გვ. 46). მაშინ განდევილმა აღმანახ-ფურცელში „მპური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს“ გამოაქვეყნა აგრეთვე ლექსი „აჭარელს“. პოეტი ასე მიმართავს მას: შენ

ჩვენი ერის ნაფლეთი ხარ, გვარტომით შავთელ-რუსთველისა და თამარისა, ქართველი ენის დამცველი, ამიტომაც გულს გიშლის ტურფა საქართველოო.

მომძე აჭარლებისადმი დახმარების გასაძლიერებლად განსაკუთრებით აქტიურ პროპაგანდას ეწეოდა გაზეთი „თანამედროვე აზრი“. იგი აქვეყნებდა შემომწირველთა გვარებსა და წერილებს. მიღებულ თანხასა და საგნებს შეუფერხებლად აგზავნიდა ბათუმში. 1915 წელს გაზეთი „თანამედროვე აზრის“ №21-ში დაიბეჭდა ანა მაისურაძის წერილი. – ირგვლივ სიკვდილი და ტანჯვაა გამეფებული, საჭიროა დიდი სიფხიზლისა და უნარის გამოჩენა, რომ სრულიად არ გაენადგურდეთ, – წერდა იგი – მაგრამ აჭარაში „ჩვენი დები და დედები უარეს ტანჯვას განიცდიან, უმჯობესია ნაკლები ვიზრუნოთ მოდებზე და მეტი დახმარება გავუწიოთ მათ, პირადად მე შემომაქვს ერთი მანეთიო“.

ამავე გაზეთის №37 მკითხველს აცნობდა ჩოხატაურელების განცხადებას, რომ ჩვენი მოვალეობაა გაჭირვებაში მყოფ აჭარლებს დახმარების ხელი გავუწოდოთო. ამისათვის მათ 32 მანეთი გაუღიათ. შემგროვებელთა შორის იყვნენ ჩოხატაურელი ქალებიც. 13 მანეთზე მეტი გამოუგზავნიათ აცანელებს.

გაზეთმა „თანამედროვე აზრმა“ შემოგვინახა სხვა პატრიოტ თანამემულეთა გვარებიც. სოფელ პატარძელში სცენის ნორჩმა მოყვარულებმა – სონა, ქეთინო, ელენე, გაიანე, საშა, ევგენია და ერასტი ბილანიშვილებმა, ნუნუ იანქოშვილმა და თამრო ახალაურმა გამართეს წარმოდგენა და შემოსავალი – რვა მანეთი „უდედმამოდ და უსახლკაროდ დარჩენილ პატარა აჭარლებს მიართვეს“, აჭარლების დასახმარებლად სალაროში ხუთი მანეთი შეუტანიათ და-ძმა ია და დათიკო გიორგაძეებს.

„– დიდი ხანია ვხედავთ უდანაშაულო აჭარლების ცრემლთა ფრქვევას, ამიტომაც ჩვენ, დაბა აბაშის ქალების ერთი ჯგუფი ცარიელი სიტყვების ნაცვლად ფულად დახმარებას ვუწევთ მათ“, – ნათქვამია გაზეთის სხვა ნომერში და იქვეა მათი გვარები, სახელდობრ: სალომე ნარსია, პელაგია და მარია ბზიაეები, ვალენტინა მასხულია, ნათია და შუშანიკა ნადარეიშვილები, ილია ინასარიძე, მარიამ გაჩეჩილაძე, ნასტია, კოწია, ოლია, ჩოჩია, ნინა ქობულიები, ნატაშა და ვალერია სიმონიები, ნადია ესაკია, მარიამ ქორქია, ლუბა კაჭარავა და თათუშა ჩაგუნავა (ი.ბეჭირიშვილი, ა. დიასამიძე, ქართველი ქალები და აჭარა, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1974, 7 მარტი).

ექვსი მანეთი და 35 კაპიკი შეუგროვებიათ ირკუტსკის გუბერნიის ტულუნაში გადასახლებულ პოლიტიკურ პატიმრებს პელაგიას და აფთომ წულაძეებს, შალიკო კალანდარიშვილს, მათე ბანძელაძეს, გიორგი შილაკაძეს, პაროდი ჩაკვეტაძეს, ოლიფანტე ბარამიძესა და სოლომონ ალანას.

გაზეთი „სამშობლო“ 1915 წელს იტყობინებოდა, რომ თავად ნიჟარაძის დახმარებით ქუთაისელმა ქალებმა წამოიწყეს საინტერესო ღონისძიება „ერთი ფინჯანი ჩაის“ სახელწოდებით, რომლის მთელი შემოსავალი აჭარლებისათვის გაუგზავნიათ.

საქართველოს საქველმოქმედო საზოგადოების ინიციატივით თბილისის დიდ თეატრში გაიმართა წარმოდგენა, რომლის მთელი შემოსავალი ბათუმში გაიგზავნა. ამასთან გამოიცა ერთდროული გაზეთი „ძმური სიტყვა“. გაზეთში აღწერილია ჩვენი კუთხის ძველი და ახალი ამბები. ამ გაზეთის შემოსავალმა 1500 მანეთს გადააჭარბა.

აჭარლებს დაეხმარნენ აგრეთვე აჭარაში მცხოვრები თანამემამულეები, მათ შორის ხულოს სკოლის მასწავლებელი იოსებ მელიქიშვილი და მისი მეუღლე სარა. ისინი 1915 წლის აპრილიდან შემოდგომამდე დადიოდნენ სოფელ-სოფელ და არიგებდნენ შემოწირულობებს, ამხნეებდნენ დარბეულთ.

როგორც აღვნიშნეთ, სიცივის, შიმშილისა და შიშინანობის გამო აჭარაში იმატა ქალთა დასწევულებამ. მათ განსაკურნავად საქართველოსა და აზერბაიჯანის საქველმოქმედო საზოგადოებებმა აქ მოაგვლინეს პაველე საყვარელიძე და პეტრე ქავთარაძე, რომლებმაც შემოიარეს ჩვენი კუთხე და მოსახლეობას მედიკამენტები დაურიგეს. 1915 წელს ქედაში ავადმყოფებს მკურნალობდა ექიმი ბ. ხვედელიძე. „ყინვაში უეცარი გახიზვნისა და რბევის გამო გახშირებულია დედათა ავადმყოფობა. ისინი მამაკაცებს არ გვეკარებიან, საჭიროა საჩქაროდ ექთანი და ბებიქალი გამოგზავნოთ“, – წერდა იგი თბილისში.

ცნობილია, რომ თურქეთის შემოსევისას აჭარლების ნაწილმა მეზობელ გურიას, ქუთაისს, ახალციხესა და თბილისს შეაფარა თავი. ქედის რაიონის სოფელ ძენწმანში გათხოვილი ყოროლისთაველი ფატი გიორგაძეც, რეჯებ დიასამიძის ქერივი, მცირეწლოვანი შვილებით თბილისში აღმოჩნდა. აპოლონ წულაძე გვაუწყებს, რომ თურქებმა მას ძროხა დაუკლეს და სახლ-კარი გადაუწვეს. „გურჯ ხანუმსა“ და მის შვილებს ჯერ თბილისელი ქალები და მწერალი ნინო ნაკაშიძე დაეხმარნენ, შემდეგ კი თავადმა დიმიტრი ჩოლოყაშვილმა და მისმა მეუღლემ ელენე თარხან-მოურავმა ითავეს მათი აღზრდა. ფატის ვაჟი ჯელალ დიასამიძე ახლა გორში ცხოვრობს და მადლიერების გრძნობით იგონებს დედობილ ელენეს (იბექი-რიშვილი, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1970, 15 აგვისტო).

გაჩანაგებული აჭარის დასახმარებლად ძალ-ღონეს არ იშურებდნენ ქართველი საზოგადო მოღვაწეები, მათ შორის ქალებიც, კერძოდ, ჩვენი კუთხის დიდი გულშემატკივრის მწერალ გიორგი წერეთლის მეუღლე, საბავშვო ჟურნალ „ჯეჯილის“ რედაქტორი ანანტასია თუმანიშვილი-წე-

რეთელი, საყმაწვილო ჟურნალ „ნაკადულის“ რედაქტორი ნინო ნაკაშიძე, აგრეთვე ნინო ყიფიანი, ეკატერინე გაბაშვილი და სხვები. ნიკო კეცხოველი შენიშნავს, რომ ამ პატრიოტულ საქმეში განსაკუთრებით აქტიურობდა მარიამ ორბელიანი – მეფე ერეკლეს ასულის თეკლეს შვილიშვილი.

ქართველი ქალები მგზნებარე სიტყვებით გამოდიოდნენ აჭარისადმი მიძღვნილ საღამოებსა და შეხვედრებზე, ამზადებდნენ ავტორთა წერილებსა და თვითონაც ბევრს წერდნენ ჩვენს კუთხეზე.

მოსახლეობის ყველა ფენას რომ მონაწილეობა მიეღო ამ პატრიოტულ წამოწყებაში, ჟურნ. „თეატრმა და ცხოვრებამაც“ (რედაქტორი ი. იმედაშვილი) შეახსენა მკითხველებს პ. აბაშიძის წერილის შინაარსი და განაცხადა: ... „აჭარლებს... თვალნათლივ უნდა დაუშვტიცოთ, რომ ჩვენ ერთი ვიყავით ძველად ლხინში, ერთი უნდა ვიყოთ ახლა ჭირში და მომავალშიც. ნუთუ აქ დაყოვნება გემართებს... აჭარელთა ბედ-იღბალი ჩვენი ქვეყნის ღიდი და მწვავე საკითხთაგანია“ („თეატრი და ცხოვრება“, 1915, №12).

„თეატრმა და ცხოვრებამ“ 1915 წელსვე გამოაქვეყნა იასე რაჭველის წერილი „აჭარის დღევანდელი მდგომარეობის გამო“, რომელშიც ნათქვამია: „ჩვენ დღეს გავიძახით – აჭარა განსაცდელშიაო, თითქოს ვზრუნავთ, ვეხმარებით კიდევ, მაგრამ არა გვგონია, რომ ეს ჩვენი შემწეობა საკმარისი იყოს“ (იქვე, 1915, №37).

ამ მოწოდებებს ახალი გამოსმაურება მოჰყვა. შემოწირულობანი მოდიოდა არა მარტო საქართველოდან, არამედ ბაქოსა და ოდესაში მცხოვრები, ციმბირსა და ფრონტზე მყოფი ქართველი მუშების, სტუდენტების, ჯარისკაცებისა და პატიმრებისგანაც, დახმარება ითავეს, აგრეთვე ბათუმელმა რუსმა, ბერძენმა, სომეხმა, გერმანელმა და ებრაელმა მუშებმა. მარტო მაჭახლის ხეობის სოფლებში, რომელთა ნაწილი ახლა თურქეთის საზღვრებშია, 11 ათასი ფუთი სიმინდი, დიდძალი მარილი, საპონი, ნავთი და სხვა საქონელი შეუტანიათ.

ორიოდე სიტყვა მორალურ მხარდაჭერაზეც. განდევნილი ჩვენს მხარეს „ერთი გულის“ ნაწილს, ტკბილი ქართულის „დამცველს“ უწოდებდა. დარია ახვლედიანი თავის ლექსში ამბობდა, რომ ავბედობამ დააშორა ერთმანეთს დები, დაუბნელდათ დღე მზიანი, მაგრამ დადგა დრო დაკარგული დების დანახვისა, რათა „ერთად ვთესოთ და მოვიმკათ“.

ლექსი ასე მთავრდება:

მა'მ, ვცნოთ დანო, რომ ერთი ვართ,  
ერთი მამის შეიღთაშვიდნი,  
საქართველოს შეიღები ვართ  
ერთ ძებქსე გამო'სრდიდნი.

ეურნალ „თეატრსა და ცხოვრებაში“ გამოქვეყნებულ ლექსში „ჩაქჩი“  
(ილია ფერაძე – ი.ბ.) ნათქვამია:

შაჰმან დრომან დაგვაშორა  
ქართველებსა მათი ძმები,  
ერთი ტკბილი დედის შვილნი  
ერთ აკვანში გასრდილები.

დარბეული, ჭორებით გასვრილი აჭარა დაიცივეს აგრეთვე ლოგინად ჩავარდნილმა ვაჟა-ფშაველამ, სოფრომ მგალობლიშვილმა, ალექსანდრე ყიფიანმა და სხვებმა. მძიმედ ავადმყოფ ვაჟას 1915 წელს უთქვამს: „დიდი სიამოვნებით ვეგებები მუსლიმან ძმებისათვის ჩვენი საზოგადოების ყურადღების გამახვილებას. ავადმყოფის სარეცელზე სხეულით დაუძლურებულს სულს მილხენს იმედი, რომ ქრისტიან და მუსლიმან ქართველებს ეროვნული დულაბი კვლავ შეაერთებს. პირადად დამივლია აჭარა... დიდებულია იგი ქვეყანა...“

აჭარის დიდი მეგობარი აპ. წულაძე კი წერდა: „არ დამვიწყებია, აჭარლებო, თქვენი გულუხვობა, ამაზე უარესიც გინახავთ, მაგრამ გაქრობა, თქვენი მოსპობა მაინც ვერ შესძლეს, მტრის გულის მოსაკლავად ისევ აყვავდებით, მაშინ მტერს თვალი დაუდგება და მოყვარე გაიხარებს. მოთმინება, შრომა და სწავლა, ძმებო, ყველა მტერს დაამარცხებს“ (აპ. წულაძე, ძმური სიტყვა... თბ., 1915, გვ. 3-5).

ს. ფირცხალავაც მოუწოდებდა ქართველებს ძმურად ამოღგომოდნენ მხარში აჭარლებს. „ჩვენი ხსნა, ჩვენი ერთობა, ჩვენი ბედნიერება და გამარჯვება – ჩვენი კავშირია, განა საქართველოს შეუძლია დაივიწყოს ეს ღვაწლი, რომელიც მესხეთის შვილებს საქართველოს წინაშე მიუძღვით“.

პოეტ ვ. რუხაძის ლექსი „სამი მსხვერპლი“, რომელიც აპ. წულაძეს მოჰყავს, გვამცნობს აჭარელი ქალების ვედრებას:

ნუ დაგეხოცაეთ, შეგვიბრალეთ!  
დამნაშავე არ ეართ, არა!

მაგრამ მტარვალმა აღარ ისმინა და:

ნეტა ყველა დავემარხეთ,  
ოღონდ ის კი არ გვენახა,  
ნამუხ ახდილ – კვლ დაჭრიდნი  
სამნივ ერთად ეწვევნენ კვლად,  
მკერდს უმკობდათ ხისხლის დილნი  
გაქვლებულნი ვისარტყელად!

თანამემამულეთა დახმარება-მხარდაჭერამ აჭარლებს შეუმსუბუქა მწარე ხვედრი, სახლ-კარს დაუბრუნა ისინი და იმედი შთაუნერგა. ამასთან დაკავშირებით ფედოსი ჯაფარიძე გაზეთ „სახალხო ფურცელში“ წერდა: არ მოიპოვება საქართველოში კუთხე, სადაც აჭარლებზე არ ლაპარაკობდნენ, მათთვის შემოწირულობას არ აგროვებდნენ. გაჭირვებამ ჩვენ უფრო დაგვაახლოვა, ყველას სიხარულით გვევსება გული, რადგან აჭარლები თავიანთ სახლ-კარს უბრუნდებიან. გაივლის წამების დღენი, ცხოვრება ჩვეულებრივ კალაოტში ჩადგება და ქართველი ერი დაბრუნებულ შვილებთან ერთად მხნედ დაიწყებს მუშაობას თავის ბედის სამჭედურზე ბედნიერი მომავლისათვის.

ეს უანგარო ღვაწლი სათანადოდ შეაფასა გამოჩენილმა სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწემ ხასან ლორთქიფანიძემ, რომელიც მაშინ სათავეში ედგა აჭარელ ლტოლვილებს ქუთაისში, მთავრობაში აგვარებდა მათ საკითხებს. „იმედი თითქოს არსაიდან იყო, ამოგვეწურა იგი და ამ დროს მთელი საქართველო აღსდგა ჩვენს დასაცავად. ამან აჭარლები საქართველოსაკენ მოაბრუნა“. – წერდა ხ. ლორთქიფანიძე (იხ. ჩვენი „ხალხისათვის დაფერფლილი სიცოცხლე“).

თანამემამულეთა ღვაწლი გაზეთ „საქართველოს“ საშუალებით გულწრფელად გამოხატა რეჟებ მეხეშიძემ: „ჩვენმა უბედურებამ აატირა ჩვენი დედასაქართველო, განადგურებას გადაგვარჩინეს, დაგვაპურეს“ (გაზ. „საქართველო“, 1915, 8 სექტემბერი). 1915 წლის 8 სექტემბერს ამ გაზეთმა გამოაქვეყნა ახმედ აბულაძის, აბდულ მიქელაძისა და ქარუნოლლის წერილი, ისინიც აჭარლების სახელით მადლობას უხდნიან თანამემამულეებს უანგარო დახმარება-მხარდაჭერისათვის. გაზეთის ამავე ნომერში გ. კაჭახიძე წერდა, რომ დარბეულ ხულოელებს 17 მანეთი მისცა ჯარის უფროსმა პ. გუბსკიმ.

ამ საკითხით, ბოლო დროს დაინტერესებულთა შორის, გამორჩეულია პროფ. დემურ გურეშიძე. მისი თქმით ხელისუფლების ოფიციალური წარმომადგენლებიც კი იძულებული იყვნენ ელიარებიანთ, რომ აჭარლების წინააღმდეგ წამოწყებული კამპანია სახელმწიფოებრივი უგუნურება და პოლიტიკური პროვოკაცია იყო. გენერალთა ერთი ჯგუფი მოხსენებით ბარათში აღიარებდა, რომ ნაძირალები ყოველმხრივ ცდილობდნენ წაექვზებინათ რუსეთის ჯარები ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ. ეს ძალზე ძვირად დაუჯდათ აჭარლებსა და მათ მეზობლებს, სერიოზული საფრთხისაგან დაცვის საქმეში დიდია ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოებისა და მისი ქუთაისის, აგრეთვე ბათუმის განყოფილებათა დამსახურებაო.

ეს საზოგადოება კავკასიის ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით 1906 წელს შეიქმნა, ძირითად მიზანს შეადგენდა ქართველთა მატერიალუ-

რი მდგომარეობის გაუმჯობესება, რისთვისაც მოსახლეობაში აერცელებდნენ მიწათმოქმედებისა და ვაჭრობა-მრეწველობაში გამოსადეგ ცოდნას, შეძლების მიხედვით ასაქმებდნენ, ეხმარებოდნენ უბედურებაში ჩავარდნილებს, ავადმყოფებს, აწყობდნენ დროებით თავშესაფრებს.

ყოველივე ამან შედარებით ფართო მასშტაბები 1914 წლიდან მიიღო, როდესაც საზოგადოების კრების მთავარი გამგეობის ახალი შემადგენლობა აირჩიეს, მათ შორის იყვნენ ივანე გომართელი, პართენ გოთუა, გერონტი ქიქოძე, პავლე საყვარელიძე, გრიგოლ რცხილაძე და სხვები, რომლებიც საამისო საქმეების გამო არაერთხელ ჩამოსულან აჭარაში, დაუწერიათ, პროტესტიც გამოუთქვამთ. სამწუხაროდ, 1919 წელს ეს საქველმოქმედო საზოგადოება რატომღაც გაუქმდა.

1915 წლის აპრილში დაარსდა ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოების ბათუმის სარაიონო ანუ აჭარის განყოფილება, მის თავმჯდომარედ აირჩიეს ვლადიმერ კრინიციკი, მოადგილედ იურისტი რეჯებ ნიჟარაძე, წევრებად – ისაკ ლორთქიფანიძე, იუსუფ ვარშალომიძე, გიორგი ელიავა, მდივანი, მელია, ანჯაფარიძე, გოგოლაძე და სხვები. მათ უშუალო კავშირი ჰქონდათ ქუთაისის განყოფილებასთან და თბილისთან. ომის შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის 1916 წელს აჭარაში გამოიგზავნა 11 ვაგონი, ანუ 11 ათას ფუტამდე სიმინდი. ხელისუფლებამ საამისოდ ხულოსა და ქედაში შექმნა საუბნო სასურსათო კომისიები. შემოიტანეს ასევე საპონი, მარილი, ნავთი, ტანსაცმელი, თეთრეული და სხვა საქონელი. ნაყოფიერად საქმიანობდა საქეიმო კომისია ი. ელიაშვილის, გ. მუხაძის, შ. მიქელაძის, უ. კაკილაშვილის, ა. ახვლედიანის, გ. კაჭახიძის შემადგენლობით. 1916 წლის ივლის-სექტემბერში 870 ავადმყოფს გაუწიეს სამედიცინო დახმარება. ეს ამხნევებდა აჭარლებს და ჭან-ლაზებს, უკეთესი იმედით მსჭვალავდა მათ.

იმპერიალისტურმა ომმა დიდი მატერიალური ზარალის გარდა, აჭარლები ლტოლვილებად აქცია. გურეშიძის მიხედვით, აჭარიდან ლტოლვილთა საერთო რაოდენობამ 25 ათასს მიაღწია (ჟურნ. „ჭოროხი“, №6, 1988, გვ. 65), ისინი ძირითადად ქუთაისელებმა შეიფარეს.

საქველმოქმედო საზოგადოებამ 1916 წელს მოახერხა 12 დაცარიელებული სოფლის იჯარით გადაცემა იქ დარჩენილებისა და მეზობლებისათვის, რათა ლტოლვილების დაბრუნებისთანავე ნაკვეთები მათ დაბრუნებოდათ. ქუთაისის გიმნაზიელებს იმხანად აჭარლებისათვის 192 მანეთი შეუგროვებიათ. ლეჩხუმის დაბა ლაილაშში, მარიამ გელოვანის ხელმძღვანელობით გამართულ წარმოდგენა-სალამოზე – 100 მანეთი. ასევე დახმარების ხელი გამოუწვდიათ ოზურგეთელებს, ქართველ დაჭრილ მებრძოლებს. ნინო ნაკაშიძის შუამდგომლობით საზოგადოება დახმარებია თბილისში ობლად დარჩენილ 16 წლის ლუთბიე დიასამიძესა და სხვებს.

სოხუმის განყოფილებას ნიკო თავდგირიძის ხელმძღვანელობით ასამდე აჭარელი და ლაზი დაუსაქმებია. თითქმის ამდენივეს დახმარებია ტყვედ წაყვანილთა ძებნა-გამოკვლევაში. თანამემამულე ქართველები ასევე ეხმარებოდნენ ჭან-ლაზებს, რომელთა ნაწილი ოსმალებმა ტყვედ წაიყვანეს. ასეთების ოჯახებს 500 მანეთი გამოეყოთ, ხოლო ტრაპიზონში ამდენივე მანეთი თავშესაფრის გასახსნელად გაიგზავნა. 1915 წლის 18 მაისამდე ბათუმის ოლქში ოფიციალურად ომისაგან დაზარალებულად ირიცხებოდა და დახმარებას ღებულობდა 26576 კაცი, რაც 1917 წლის მაისისათვის 3807-ით შემცირდა. 1915-16 წლებში ქუთაისის განყოფილების საქმიანობას სამართლიანად მაღალი შეფასება მისცა დემურ გურეშიძემ. ყურადღების ცენტრში იდგა აგრეთვე სამართალში მიცემულ აჭარელთა დაცვის პროცესის ორგანიზაცია, განყოფილებამ საზოგადოების მთავარ გამგეობასთან ერთად შეადგინა ვრცელი მოხსენება ამ საკითხზე, რომელიც წარედგინა მთავრობას და გადაეცა ურნალ-გაზეთებს, რათა საზოგადოება გაცნობოდა მას. საზოგადოებამ იმთავითვე უარყო ე.წ. ღალატის ბრალდება, რაც ქართველთა სერიოზული გამარჯვება იყო.

იურიდიული მხარის გასაძლიერებლად ქუთაისში შეიქმნა ადვოკატთა მუდმივი ბიურო. კომისიებში შედიოდნენ აგრეთვე, თბილისისა და ბათუმის ცნობილი იურისტები. აჭარელთა დაცვას განსაკუთრებით დიდი ღვაწლი დასდეს თბილისელებმა: ი. მაჭავარიანმა, შ. მესხიშვილმა, პ. გედევანიშვილმა, ი. ბარათაშვილმა, ი. კარუხაშვილმა, ბ. ანდრეევმა, ნ. ქარცივაძემ, ს. ჯაფარიძემ, ი. გუნცაძემ და ბ. ტატიშვილმა, ქუთაისიდან მ. ფაღავამ, პ. საყვარელიძემ, ი. გეგეჭკორმა, გ. გიორგაძემ, გ. ლალიძემ და ი. ფირცხალაიშვილმა. ბათომიდან – გ. ანჯაფარიძემ, ა. მუატმა, ფუქსმა, სახნოვსკიმ და სხვებმა.

აჭარელთა პროცესებს დიდი პოლიტიკური და ეროვნული მნიშვნელობა ჰქონდა. „არ არის აჭარაში არც ერთი კუთხე, არც ერთი კუნჭული, რომ ლოცვა-კურთხევით არ იხსენიებდნენ ქართველებს მათი მზრუნველობისათვის. ამ დიდმა ჭირმა აგეიხილა თვალი და დაგვიმტკიცა, რომ ქართველები ნამდვილად ჩვენი ძმები ყოფილან, უბედურებაში მოგვხედეს და დაგვიფარეს“, – ნათქვამია საქველმოქმედო საზოგადოების 1915 წლის ანგარიშში, ხოლო გაზეთი „საქართველო“ აღნიშნავდა: „მაფი ჩვენსა და ქართველ მაჰმადიანებს შორის უკვე გაბმულია, რასაც დიდი ეროვნული მნიშვნელობა აქვს“.

მიმოვიხილათ აგრეთვე ბათუმელ მკვლევარ ოთარ გოგოლიშვილის მიერ გამოვლენილ ახალ მასალებს. რუსეთის მხარეზე იყო ქობულეთის, მაჭახლისა და სხვა სოფლების მოსახლეობა. შეუქმნიათ ე.წ. მფრინავი რაზმები. კირნათელ მურად წითელაძეს თავად დაუპატიმრებია თურქი აგენტი. ასეთ რაზმში ჩაწერილა აჭყვისთაველი ხუშუტ რომანაძე და სხვები. რუსებს ეხმარებოდნენ აგრეთვე ზემო აჭარის მცხოვრებლები.



აჭარლების ნაწილის ე.წ. ლალატში დასმენამ და ამის გამო მათმა დეენამ ფეხზე დააყენა ქართველი ხალხი. შემოიტანეს 200 ფუთი სიმინდი, დაარიგეს 8 ათასი მანეთი, 1915 წელს ბათუმში გახსნეს ბავშვთა თავშესაფარი სახლი. პაიდარ აბაშიძე გახეთ „სამუსლიმანო საქართველოს“ 1920 წლის №364 წერდა: მოლალატე გეიწოდეს, გადაგეწვეს, გადასახლება მოგეიწვევს, ამის გამო აღსდგა მთელი საქართველო. თუ ეს გაგიბეღია, ჩვენ აუჯანყდებით და შესაფერის პასუხს გავცემთო. ადეოკატებმა (შ. მესხი-შვილი, მ. ფალავა, ი. მაჭავარიანი, გ. ანჯაფარიძე, ს. ჭანტურიშვილი) ყველაფერი გააკეთეს, რათა გადაერჩინათ 108 პატიმარი, მხოლოდ 9 ბრალდებული იქნა გასამართლებული.

ეს შესაძლებელი გახდა იმანაც, რომ 1915 წლის 15 ოქტომბერს ბათუმში გრანდიოზული მიტინგი გაიმართა, რომელზეც ეუბ დიასამიძემ, ხასან ტაკიძემ, სულეიმან ნაკაშიძემ და სხვებმა ამხილეს რეაქციონერთა ზრახვები. რეზონანსი კპოვა რევაზ გაბაშვილის, სტეფანე ქემხაძისა და სხვათა თავდადება. ამისთანა პატრიოტებმა იხსნეს აჭარა იმ საშინელი დამცირებისაგანო (ო. გოგოლიშვილი, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება ბათუმის ოლქში 1910-1918 წლებში, ბ., 1999, გვ. 35-65-68, 76-78, 80-87; რ. გაბაშვილი, რაც მახსოვს, თბ., 1932). მოჰყავს იმის დამადასტურებელი საარქივო წყაროებიც, რომ თურქებს ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ ართენილი და სხვა სომხებიც აქეზებდნენ (გვ. 74-75).

ყურადღებას იქცევს პროფესორ მალხაზ სიორიძის 2002 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში“ მოყვანილი ცნობები ჩვენს მიერ განხილულ საკითხთან დაკავშირებით. გერმანია-ოსმალეთის სარდლობამ გადაწყვიტა ხელოვნურად გამოეწვია მეფის რუსეთის მთავრობის რეპრესიები სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში და ამით მათში შეექმნათ სააჯანყებო განწყობილება, ამას მოჰყვა 1915 წლის 4 მარტის შეთითხნილი დეკრეტი, რის გამოც რუსეთის სახ. სათათბიროს დეპუტატმა ა. ჩხენკელმა მოიარა აჭარა, შეისწავლა ვითარება და კიდევ გაილაშქრა ამ ავანტიურისტული ცილისწამების წინააღმდეგ. ამ პოზიციაზე იდგნენ, აგრეთვე გენერალი გიორგი ყაზბეგი, რომელმაც ადრე მშვენიერი წიგნი უძღვნა ჩვენს მხარეს, მ. სუმბათაშვილი, ნ. ჩხეიძე, გ. ჟურული, მ. მაჩაბელი და ჯორჯაძე, გ. დიასამიძე, ცინცაძე და სხვები.

თვით ბათუმის გუბერნატორ რომანოვსკისაც გამოუთქვამს აღშფოთება. „ხალხი (აჭარლები – ი.ბ.) არც ადრე თანაუგრძნობდა ოსმალებს, რუსებმა მივატოვეთ აჭარა, ხალხს არაფერი ჰქონდა დასაცავით“. ამ გამონათქვამებმა, პროტესტმა განაპირობა ის, რომ 1915 წელს ბევრი გაამართლეს.

1915 წელს რუსი ეგზარქოსისათვის თემურ-ბეგ ხიმშიაშვილს უთქვამს: „თქვენო მეუფე! თქვენ გამოგზავნილი ხართ იმ ღვთისაგან, რომელ-

ის სიაში ირიცხებიან ყველანი განურჩევლად სარწმუნოებისა, აჭარლები მაჰმადიანები ვართ, მაგრამ ჩვენი ღვიძლი ძმები არიან ქრისტიანი ქართველები, რომლებიც შეადგენენ თქვენს საწმყოს. გთხოვთ გვიშუამდგომლოთ მთავრობასთან, რომ ღმობიერად მოეპყრას ჩვენს მხარეს და არ დასაჯოს უბრალო ხალხი“.

თემურ-ბეგის ამ ქმედებას გამოხმაურება მოჰყოლია და ზეგავლენაც მოუხდენია, სამწუხაროა, რომ ი. სტეკლოვი არ გაეცნო ამ მასალებს და აჭარლებს ღალატი დასწამა, მათი შეიარაღებული რაზმები ესხმოდნენ რუსეთის ჯარსო (ა. სტეკლოვ, რევოლუციონნაია დეატელნოსტ ბოლშევისტსკის ორგანიზაციი ნა კავკაზსკომ ფრონტე 1914-1917 გოდახ, თბ., 1970, გვ. 9), რომელიც გამომცემლობა „საბჭოთა საქართველომ“ გამოაქვეყნა. ნუთუ რედაქტორმა გ. დევდარიანმა, სხვებმა არაფერი არ იცოდნენ, არაფერი სმენიათ (ჩვენი მიმოწერა ბატონ რევაზ ჯაფარიძესთან ამ საკითხზე, კრიტიკასა და გამოქვეყნების მცდელობაზე იხილეთ „ი. ბეჟირიშვილი, აჭარა ქართველი მწერლების შთაგონების წყარო“, ბ., 1999, გვ. 232-233). მაგრამ ერნსტ კლინისა არ იყოს, „ძალზე ადვილია ეჭვის შეტანა, უარყოფა, ისტორიული სიძარტლის დამახინჯება, ორჭოფობა, სხვისი აზრების დამახინჯება. ეს მით უფრო მიუტყევებელია, თუ საკუთარს არაფერს ჰმატებ ნათქვამს, არ შეგაქვს სიცხადე, თავად ერკვევი დასმულ საკითხში“-ო, რაც 1854 წელს თქვა.

აჭარელთა ე.წ. ღალატის თაობაზე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის პროფესორს, საზოგადო მოღვაწეს ბ-ნ ოთარ გიგინეიშვილს მივმართე. აი რას გვწერს: „ლეგენდა „აჭარელთა ღალატის“ შესახებ, რაც თავის ღროზე გარკვეული პოლიტიკურ-პროვოკაციული მიზნით რეაქციულმა წრეებმა შეთხზეს, საბოლოოდ მხოლოდ წყალს ასხამდა პანთურქისტების წისქვილს და მიმართული იყო არა მარტო საქართველოს, არამედ რუსეთის ეროვნული ინტერესების წინააღმდეგაც. ჩვენდა სამწუხაროდ, ეს პროვოკაციული ვერსია ზოგიერთმა ისტორიკოსმა დღევანდლამდე შემოინახა და ავრცელებს მას. ამ მხრივ თქვენ სრულიად მართალი ბრძანდებით.

სტატია კარგია და მოტანილი მასალა საინტერესო. ეს ყველაფერი ნებას მაძლევს ვიფიქრო, რომ იგი სარგებლობას მიუტანს მკითხველს“.

ღროის ეს მცირე მონაკვეთი ნათლად ცხადჰყოფს იმ უანგარო დახმარებას, რასაც ქართველი ერი, მისი სასიქადულო შეილები უწევდნენ აჭარას. ეს უანგარო დახმარება ძალას მატებდა მის მოსახლეობას, უღვივებდა მამაშვილურ გრძნობებს, აღანთებდა გადამთიელების წინააღმდეგ ბრძოლის ჟინით, უნერგავდა მომავლის, უკეთესი მერმისის რწმენას.

... და დაღვა უკეთესი მერმისიც.

## გამოჩენილი თანამემამულენი აჭარის შესახებ პარლამ თოფურია

2002 წლის იანვარში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა გამოჩენილი ენათმეცნიერის, ქართული ფილოლოგიის პატრიარქის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთი დამაარსებლის აჭარული დიალექტისა და ჩვენი წარსულის სწორუპოვარი მიმომხილველის აკადემიკოს ვარლამ თოფურიას დაბადების ასი წლისთავისადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია.

იუბილარის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე ისაუბრეს საქართველოს გამოჩენილმა მეცნიერებმა. აღინიშნა ის ღვაწლიც, რომელიც აკადემიკოსმა ჩვენს მხარეს დასდო. 1961 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობამ საკმაოდ დიდი, საინტერესო და საჭირო ნაშრომის „ქართული დიალექტოლოგიის“ პირველი ტომი გამოსცა, დიალექტთა განხილვით, ტექსტებითა და ლექსიკონით, რომლის ავტორები არიან ივანე გიგინეიშვილი, ვარლამ თოფურია და ივანე ქავთარაძე.

აჭარულ დიალექტს ამ ნაშრომში 389-412 გვერდები ეთმობა. შესავალი წერილი ეკუთვნის ვარლამ თოფურიას.

აჭარული ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია. იგი აჭარლების მეტყველებაა. აჭარლები ოდითგანვე კომპაქტურად მკვიდრობენ საქართველოს განუყრელ ნაწილში, აჭარაში. აჭარული კილო გავრცელებულია აგრეთვე, ჩოხატაურის რაიონის ორ სოფელში, სადაც აჭარლები სახლობენ და აჭარის იმ ნაწილში, რომელიც სამხრეთ საქართველოს სხვა მხარეებთან ერთად, თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

შემდეგ ნათქვამია, რომ აჭარულ კილოს ყოფენ ორ კილოკავად: ქვემო და ზემო აჭარულად, პირველი მოიცავს ზღვისპირა რაიონებს, ხოლო მეორე, ძირითადად ხულო-შუახევისას. აჭარულის კილოკავებად კლასიფიკაციისათვის მასალები საკმარისი არ არის, ამდენად, საჭიროა ახლო მომავალში ამ საინტერესო დიალექტის სოფელ-სოფელ შესწავლა, - თვლიდა მეცნიერი.

ვარლამ თოფურია სამართლიანად შენიშნავდა, რომ აჭარულს თვალსაჩინო თანხვედრები აქვს მეზობელ კილოებთან. თავისი თავისებურებებით იგი იმდენად ჰგავს იმერხევეულს, ანუ შავშურ-კლარჯულს, რომ შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს ორივე ერთ დიალექტურ ერთეულს წარმოადგენს.

ისტორიულად, სავარაუდოა, ასედაც იყო, მაგრამ ამჟამინდელი მონაცემებით, აჭარული სრულიად დამოუკიდებელ კილოს წარმოადგენს და ასედაც არის აღიარებული. ფონეტიკური და გრამატიკული პროცესებით ბევრი რამ საერთო აქვს აგრეთვე, ზემო აჭარულს მომიჯნავე მესხურთან და ჯავახურთან, ქვემო აჭარულს – გურულთან. აქვე დასძენდა, რომ აუცილებელია აჭარულ-იმერხვეულ-მესხურ-ჯავახურის ურთიერთმიმართების შესწავლა ისტორიულ ასპექტში, მით უფრო, როცა მათი მჭიდრო კავშირი ცნობილია. აკადემიკოსი ყურადღებას ამახვილებდა იმ გარდაუვალ გარემოებებზე, რომლებზეც დიდ გავლენას ახდენდა ახალი ყოფა. ქრება ძველი, უცხოური, იცვლება თვით წარმოთქმის იერიც, მათ ადგილს იკავებს ქართული, აქედან გამომდინარე, მეცნიერი აჭარული კილოს ყოველმხრივ შესწავლას მეტად საშურს საქმედ მიიჩნევდა. უნდა გამოიცეს აჭარული კილოს შესახებ მონოგრაფია, სადაც აღნუსხული და კვალიფიცირებული იქნება ყველა კილოკავის თავისებურება და აჭარულის ადგილი სხვა კილოთა შორის, მათი წარმოქმნის პირობები. ამასთან, თვლიდა, რომ შესადგენი და გამოსაცემია დიალექტური ლექსიკონი.

მეორე წერილში მეცნიერმა კვლავ გაიმეორა, რომ „აჭარული კილო ქართული ენის ერთ-ერთი უძველესი და უაღრესად მნიშვნელოვანი კილოთაგანია... მასში უხეად დაცულია რუსთაველისდროინდელი ლექსიკა“. უნდა ითქვას, რომ ვარლამ თოფურიას რჩევა-წინადადებანი ყურად იღეს პროფესორებმა ჯემალ ნოღაიდელმა, შოთა ნიჟარაძემ, ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის სპეციალისტებმა, რომლებმაც ხსენებულ საკითხებზე არაერთი საინტერესო ნაშრომი გამოსცეს.

ვარლამ თოფურიამ მოკლედ, მაგრამ გარკვევით მიმოიხილა აჭარის შორეული და ახლო წარსული. ფაქტობრივად, ესაა ექსკურსი მხარის წარსულში, რომელიც ქართველი ერის ისტორიის ნაწილია და იგი, ისტორიული წყაროების ცნობებით, დაახლოებით ასე წარმოგვიდგება: აჭარა, როგორც საქართველოს ოდინდელი პროვინცია, ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდა სახელმწიფოს მშენებლობაში, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. იგი ჯერ კიდევ ჩვენს ერამდე VIII საუკუნეში კოლხეთში შედიოდა, შემდეგ – ეგრისის სამეფოში. დაახლოებით II საუკუნეში ჩვენს ერამდე იბერიის სამეფო გაფართოვდა და მისი მფლობელობა ჭოროხის აუზზეც გავრცელდა. ამდენად, იმხანად აჭარა აღმოსავლეთ საქართველოს სამეფოში მოექცა, იმ დროს კი ზემო ქართლი ანუ მესხეთიც იბერიის ფარგლებში შედიოდა.

VIII საუკუნეში სამხრეთ საქართველოში შეიქმნა ტაო-კლარჯეთის ძლიერი სამთავრო და აჭარაც მისი ნაწილი გახდა. X-XII საუკუნეებში საქართველო გაერთიანდა და, ცხადია, აჭარაც მისი ერთ-ერთი საერისთავოთაგანი იყო. XIII საუკუნის შუახანებიდან იგი სამცხე-საათაბაგოს სამთავროში შედის და მესხეთის მთავრები განაგებენ. XIV საუკუნიდან დაიწყო დამპყრობელთა გამუდმებული შემოსევები, თანდათანობით მიიტაცეს სამხრეთ საქართველოს მოშენებული და აყვავებული მხარეები და მათ შორის – აჭარაც.

სამას წელიწადს იბატონეს აჭარაში დამპყრობლებმა და ყოველგვარი საშუალება გამოიყენეს იმისათვის, რათა მოსახლეობას დაეკარგა მთავარი ქართველობა. ხანგრძლივი ბრძოლის, ხალხის ყლუტისა და დაბეჩავების, სულიერი და მატერიალური კულტურის მოსპობის გზით, მიზანს ნაწილობრივ მიაღწიეს – აჭარლები ძალით გაამაჰმადიანეს. ჩამორჩენილ ადათ-წესებს შეაჩვიეს, ეროვნული გრძნობა მიუძინეს, მაგრამ გატეხით მაინც ვერ გატეხეს. გმირი აჭარლები, – წერდა ვარლამ თოფურია, – მრავალგზის აჯანყდნენ, თავგამოდებით იცავენ თავის მიწა-წყალს, თავისუფლებას და მშობლიურ ენას. მართალია, მოძალადე მტერი ვერ განდევნეს, მაგრამ ქედი მაინც არ მოუხარეს, დედაენა მტკიცედ დაიცვეს, რაც აჭარულ დედათა განუზომელი დამსახურებააო.

1878 წელს აჭარა დედამამშობლოს დაუბრუნდა, მაგრამ ახალშემოერთებულნი მეტად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. თედო სახოკიამ შემადრწუნებელი სურათი დაგვიხატა აჭარელთა იმ მძიმე ეკონომიკური და კულტურული მდგომარეობისა, რომელიც შეიქმნა ოსმალთა ბატონობის შედეგად. ამან განაპირობა მოსახლეობის რიცხვის შემცირება. ტაძრები, ციხე-კოშკები ნანგრევებად იქცა, მათ ადგილას ხის ჯამეები აიგო, მწიგნობრობა გაქრა და მშობლიური ენა შეიბღალა. „ჭირშიც მომღზენ აჭარელთ სიმღერა დააეიწყდათ და დამახინჯებული ლექსილა შემორჩათ. ქართველთა დახმარება მეფის ხელისუფლების პირობებში მხოლოდ ნაწილობრივ მოხერხდა“, – სინანულით შენიშნავდა ვარლამ თოფურია და დასძინდა: დღეს აჭარა საქართველოს სხვა ნაწილებთან ერთად იღვწის ჩვენი სამშობლოს, ერთიანი საქართველოს აღმავლობისთვის.

აი, ასეთ პატივს მიაგებდა ჩვენი მხარის წარსულს. ჩვენს კილოს, დიალექტს ვარლამ თოფურია, ასე გვაფასებდა და ხარობდა ჩვენი წარმატებებით (გამოქვეყნდა გაზეთ „აჭარაში“ 2002 წლის 30 იანვარს).

## ნიკო ნიკოლაძე

1872 წლის მარტში ნიკო ნიკოლაძე ევროპაში ბათუმის გავლით გაემგზავრა. ეს მომენტი ცნობილმა მოაზროვნემ, განმანათლებელმა, ქართული პუბლიცისტიკის ერთ-ერთმა მედროშემ აჭარის გასაცნობად გამოიყენა და უკვე მომდევნო წელს „კანდელის“ ფსევდონიმით გამოაქვეყნა ნარკვევი სათაურით „სხვათა შორის ნაგრძნობი და გაგონილი“.

ამ პუბლიკაციაში ჩვენთვის საინტერესოა ქვეთავი „ბათუმის“ სახელწოდებით. ჩვენი მხარე იყოფოდა ბათუმის, ჭოროხის, გონიოს, მაჭახლის, ზემო და ქვემო აჭარის კაზებად ანუ რაიონებად. აჭარასთან გაერთიანებული იყო აგრეთვე ლაზისტანის რაიონები – ხოფა, არხავე, ხემშინი და ათინა. მოსახლეობა სულ შეადგენდა 80 ათასამდე სულს. აქედან 72 ათასზე მეტი ქართველი იყო. 5765 ჩამოსახლებული ჩერქეზი და სხვა. ყველგან მისდევდნენ მესიმიანდობას, ხითხურობას, მეთევზეობას, აწარმოებდნენ აბრეშუმს, შალს, ტილოს, აგურ-კრამიტსა და კირს. მოქმედებდა 1413 წისქვილი, 1800 დუქანი, 5 ტყავის დასამუშავებელი და რამდენიმე ხე-ტყის ქარხანა. გაქონდათ 4-5 ათასი ბათმანი სიმინდი, 2 ათასი ბათმანი ბრინჯი, 3 ათასი ოყა თაფლის სანთელი, 10 ათასი ოყა თვით თაფლი, 12 ათასი ოყა თევზის ქონი, ხე-ტყე და სხვა ნაწარმი.

ნ. ნიკოლაძემ ერთ-ერთმა პირველმა სრულყოფილად დაახასიათა აჭარლები: „თუმცა ღარიბები არიან, მათზე ჩამორჩენილთა ტომისანი ბატონობდნენ, მაგრამ „აჭარლებს ცოცხალი ძალითა და სიმართლით სავსე, ტალით მაგარი, ლომური გვაში (სხეული) აქეთ, განიერი და სავსე თვალებით, მშვენიერი შუბლით, მარჯვედ მოთლილი ყბით, ფართო მხარბეჭით, წერწეტა წელით, გაპარული მუცლით და მარჯვე წვივებით. ერთი სიტყვით, კაცი გრძნობს, რომ ეს ბრძოლაში გამოქნილი და გამარჯვებისათვის გამოჭრილი ხალხია. და ამ ლომკაცებს თავი დაუხრიათ ვის წინ?“ – კითხულობს მწერალი (თხზ. ტ. 3, გვ. 75, თბ., 1963).

ბათუმის დუქანში კვერნის ტყავის გამყიდველ აჭარელს სწორედ ამ საკითხზე ჩამოუგდო საუბარი. როგორ იტანთ მათ ბატონობასო, – აქ, ზღვისპირეთში ასეა, თუ არა მთაში რავა გაგვეკარებთან. აქ არიან დიდგულაი და დედაგაქუცულები, – უთქვამს ნიკოლაძისათვის და დაუმატებია: განდგომა ბეგებმაც იციან, მარა ოსმალო ჩხუბს უქს, ჯარს შეუსევს, მის თავს ფასად გასცემს და ფასი თუ კაი იქნება, აბდალი ვინმე მიუტანს მის თავს ფაშას. უწინ თავადი მაგარი იყო, საკუთარი ჯარი ჰყავდა, ხალხი

უჯერებდა.... მაგრამ აჭარლები მინც მშობლიურ ენაზე საუბრობენ, ამაყად უჭირავთ თავი, ზოგიერთი ვაჭრობაშიც ჩაბმულია.

1872 წელს ბათუმში ორი ციხე ყოფილა, ერთი დაშლის პირას მისული, სახლები მეტწილად ფიცრული, წყალი დაქონდათ შადრევნიდან, იღგნენ ხომალდები, ადმინისტრაციული ჩინოვნიკები ინიშნებოდნენ მოსახლეობის დაუკითხავად. სწავლების თურქული სისტემა მოსახლეობას არ იზიდავდა. კანონები საღვთო წიგნების „ყურანისა“ და „მულთეკას“ მიხედვით წარიმართებოდა და წყდებოდა.

ეს მშვენიერი მხარე თავისი შესაძლებლობებით აყვავებული უნდა იყოს, – წერდა ნ. ნიკოლაძე, – სუფევს კი საღარიბე. ბათუმში ანტისანიტარიას, მოსახლეობაზე არავინ ზრუნავს. მწერალს სჯეროდა, რომ მშობლიური ენის ცოდნა აჭარლებს წინააღმდეგობას უასკეცებდა, უმაგრებდა ეროვნულ მეობას, აძლევდა ძალას მომხედურების წინააღმდეგ.

გავეცნოთ ნიკოლაძის შემდგომ ურთიერთობას ჩვენს მხარესთან. 1877 წელს ქართველობა მოელოდა, რომ რუსეთი ომს გამოუცხადებდა თურქეთს და აჭარა სხვა მხარეებთან ერთად დედასამშობლოს დაუბრუნდებოდა. ასეც მოხდა. ამის გამო 1877 წლის 3 აპრილს გაზეთ „დროებაში“ ნიკოლაძემ მოიშველია თავად გორჩაკოვის გამონათქვამი, რომ რუსეთმა შეისმინა თურქების მიერ დაჩაგრული ხალხების გოდება და იშიშვლა ხმალი. მათ განთავისუფლებას შესწირა ასეული მილიონი მანეთი და ასეული ათასობით ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ ინგლისელები, გერმანელები და სხვები ყოველმხრივ შეეცადნენ, რათა აჭარა თურქეთს დარჩენოდა, ამიტომაც ბერლინში კონგრესი გამართეს, მაგრამ არ გაუვიდათ, ამჯერად რუსეთის დიპლომატიამ იმარჯვა და 1878 წლის აგვისტოში აჭარა საქართველოს დაუბრუნდა.

როგორ მოვექცეთ აჭარას? – იკითხა მაშინ ნიკო ნიკოლაძემ. „როცა რომელიმე ხალხი ისეთ სახელმწიფოს უერთდება, რომლის შემადგენლობაშიც არ შედიოდა, მისი დამშვიდების უმნიშვნელოვანესი საშუალება და მისი დამაგრების უმთავრესი იარაღი ისაა, რომ ახალი წყობა და ახალი მდგომარეობა წინანდელზე ბევრად ხელსაყრელი მოეჩვენოს. როცა ხალხი საკუთარი გამოცდილებით დარწმუნდება, რომ მისი ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდა, რომ სახელმწიფო კანონიერებასა და სიმშვიდეს უზრუნველყოფს, რომ ყოველი მოქალაქის ცხოვრება დაცულია კანონის დარღვევისა და თვითნებობისაგან, რომ არავინ არ ფიქრობს შეურაცხყოს მისი სარწმუნოება, დააძალოს მას უცხო ჩევეები და აზრი, რომ მას შესაძლებლობა ექნება გონებრივად განვითარდეს რამდენიც სურს, – ცხადია, იგი არა მარტო შეეგუება ახალ წესწყობილებას, არამედ დააფასებს კიდევ... როგორ მტრულადაც არ უნდა იყოს თავიდან განწყობილი დაპყრობილი ქვეყნის მოსახლეობა, ამ საშუალებების გამოყენების შემდეგ

მისი განწყობილება ჯერ სიმშვიდეში გადაიზრდება, შემდეგ – კი სიყვარულში“ (თხზ. ტ. 6, გვ. 217).

აქვე ნიკოლაძეს მოჰყავს პოეტების – ჰაინესა და ბერნსის გამონათქვამები, თუ როგორ დაიპყრეს ფრანგებმა გერმანულ ენაზე მოლაპარაკებელი ელზასი, მაგრამ მათი აღიარების, დაფასების, ზრუნვის შედეგად ელზასელები საფრანგეთის ყველაზე დიდი პატრიოტები გახდნენ. ამრიგად, ნ. ნიკოლაძე უპირატესობას, ჰუმანურობას, გონივრულ მოპყრობას, კეთილსინდისიერებას, დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას აძლევდა. აქედან გამომდინარე, თვლიდა, რომ საჭიროა აჭარაში შერჩევა მთელი პერსონალისა, ყოველგვარი უვიცობისა და უტაქტობის აღკვეთა, ანგარიშის გაწევა... იმედი გვქონდეს, რომ ფაქტსა და შორსმჭვრეტელობას აჭარაში პირველი ადგილი დაეთმობაო. სამწუხაროდ, ეს სურვილები ქაღალდზე დარჩა.

ნიკო ნიკოლაძემ ასევე გვერდი ვერ აუარა ბათუმისა და აქ ასაგები ნავსადგურის მნიშვნელობას. პროფესორ ელადიმერ დონადისა არ იყოს, ჩვენი ქალაქის სავაჭრო-ეკონომიკური მნიშვნელობა, მისი ნათელი აწმყო და მომავალიც მართლაც საგანგებოდ მიმოიხილა „ობზორსა“ და სხვა გაზეთებში, ბათუმი მიიჩნია საუკეთესო ნავსადგურად შავ ზღვაზე. სჯეროდა, რომ მოხდებოდა მისი ძირეული რეკონსტრუქცია, რკინიგზის შემოყვანითა და ნავსადგურის აგებით ბათუმი მომავლის ნავსადგურად იქცეოდა (სამხ. დას. საქ. ყოფა და კულტურა, IX, გვ. 95 თბ., 1981). მაგრამ მალე აზრი იცვალა, სრულიად საწინააღმდეგოს ქადაგება იწყო, რაზეც დონაძე და სხვები არაფერს ამბობენ. „ჩვენ თავიდანვე უარვყავით ამ პორტის (ბათუმის) განსაკუთრებული მნიშვნელობა... აქ 12 გემი ძლივს დაეტევა, ინგლისიც თვლიდა, რომ ბათუმი უმნიშვნელო ნავსადგურია... განა საჭიროა იმის დამტკიცება, რომ ასეთი ნავსადგური საკმარისი არ არის ისეთი მხარისათვის, რომლის ვაჭრობასაც ორჯერ და სამჯერ მეტი გემი ესაჭიროება, ამასთან არც რკინიგზაა, ამდენად ბათუმს არავითარი უპირატესობა არ აქვს ფოთთან შედარებითო (თხზ. VI, გვ. 194-195, 230).

მაგრამ რამ გააორა ესოდენ ცნობილი მოღვაწე, რატომ აითვალწუნა ბათუმი, რამ დაავიწყა თავისივე ნათქვამი: აჭარლები ღარიბები არიან, არავენ ზრუნავს მათზეო. ნუთუ არ ესმოდა ის, რომ თუ არ გამოიყენებდი მხარეს, არ ააშენებდი აქ რაიმეს, არ დაასაქმებდი მცხოვრებლებს, კიდევ უფრო ღარიბი და უძლური იქნებოდნენ.

მიზეზი მარტივი იყო: თუ ბათუმში აიგება ნავსადგური, გადაიქცევა იგი თავისუფალ ქალაქად, შემოვა რკინიგზა, მაშინ ფოთისათვის არავენ მოიცილის, მისი როლი უმნიშვნელო იქნებოდა, ნიკოლაძე კი ამ დროისათვის ფოთის ქალაქისათვის იყო. ამიტომაც გაილაშქრა ჩვენს ქალაქში პორტო-



ფრანკოს შემოღების წინააღმდეგ, რომ იგი ბათუმს აქცევს ინგლისელთა პროდუქციის საწყობ ბაზად, ეს ჩაკლავს სამამულო მრეწველობას, იძულებს კონტრაბანდა და სხვა, რაშიც ერთი მხრივ, მართალი იყო. ამიტომაც უკვე 1886 წელს რუსეთმა პორტოფრანკო გააუქმა.

სიმართლემ, რეალობამ თავისი მინც გაიტანა. ბათუმში არათუ რკინიგზა შემოიყვანეს, არამედ ნავსადგურიც ააგეს, რომელიც დღესაც მოქმედებს. ამას მოჰყვა ტერმინალის, ნავთსადენის მშენებლობა, გახშირდა გემების მიმოსვლა, გასაქანი მიეცა კეთილმოწყობას – სამოქალაქო მშენებლობას.

ნავთობპროდუქტების გარდა, აქედან გაქონდათ და შემოქონდათ ე.წ. მშრალი და სხვა სახის ტვირთები, მათ შორის ჭიათურის შავი ქვა, ანუ მარგანეცი, პროდუქტები. მალე ნიკო ნიკოლაძის მცდელობით მარგანეცის გატანის მონოპოლიური უფლება ფოთს მიეცა, ანუ ბათუმიდან მისი ექსპორტი შეწყდა (ლიტ. მატეანე, VII-VIII, გვ. 36. თბ. 1982).

მსგავსი პოლიტიკა დღესაც მოქმედებს, რითაც იგნორირებენ იმ ისტორიულ, პატრიოტულ-თანამემამულურ გრძნობას და ჭეშმარიტებას, რომლებიც თვით ნიკოლაძემ მშვენიერად ჩამოაყალიბა და ანდერძად დაგვიტოვა: „აჭარაში ტაქტსა და შორსმჭვრეტელობას პირველი ადგილი დაეთმობა“.

მაშ რა საჭიროა ასეთი შეგონება, თუ საწინააღმდეგოს გვაკეთებთ, არ გამოვავლენთ ძალისხმევას ბათუმის პოტენციური შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენებისათვის?

ამბობენ: ნიკოლაძე კმაყოფილი დარჩა ბათუმის მონახულებით 1918 წელს. მაშინ იგი თურქეთთან საზავო კონფერენციის მონაწილე იყო და ჟორდანი-ჩხენკელთან ერთად ახლანდელ გოგებაშვილის ქუჩაზე მდებარე სასტუმრო „ორიენტალში“ დაბინავებულა (შემდეგში ამ სასტუმროს „აჭარა“ ეწოდა, მოგვიანებით მასში სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი განლაგდა, ახლა შინაგან საქმეთა სამინისტროა). მომდევნო წელს, როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი, მოლაპარაკებას აწარმოებდა ბათუმში მყოფ ინგლისელებთან (დოკ. ვნებ. პოლიტიკი ზაკაკაზია ი გრუზიი, თბ., 1919).

ნავსადგურის ნახვამ, ქალაქსა და მის შემოგარენებში გასეირნებამ ეროვნული სიამაყით აავსო იგი. ერთგვარად თვალი აუხილა მას. აკი რაც გაკეთდა, სწორედ ნავსადგურის აგებამ, ტვირთბრუნვის გადიდებამ განაპირობა.

მკვლევარ რამაზ სურმანიძის მიერ მოპოვებული ცნობით, 1883 წელს სანკტ-პეტერბურგში ყოფნისას აჭარის გამგებელ შერიფ-ბეგ ხიმშიაშვილს წერილით მიუმართავს ნიკოლაძისათვის, რომლის შინაარსი ჯერჯერობით დაუდგენელია.

ასეთ პოზიციას ადგა ნიკო ნიკოლაძე ბათუმის ნავსადგურის პერსპექტივის საკითხში (დაიბეჭდა გაზეთ „ბათუმში“ 2002 წლის 5 ნოემბერს).

## ზურაბ ავალიშვილი

ზურაბ ავალიშვილი, 1918-1921 წლებში საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მრჩეველი, ცნობილი იურისტი და ისტორიკოსი იყო. 1921 წელს წავიდა ემიგრაციაში და იქ გარდაიცვალა 1944 წელს. თავისი მნიშვნელოვანი ნაშრომი „საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში“. ანუ მოგონებანი და ნარკვევები, რუსულ ენაზე 1924 წელს პარიზში გამოაქვეყნა.

ავტორი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საქართველო ჯერ სრულიადაც ვერ აკმაყოფილებდა წარმომადგენლობითი დემოკრატიის მოთხოვნებს. საკმაოდ მტკიცე სახელმწიფოებრივი ძალაუფლების განხორციელებას თანახმად პარტიული დოქტრინისაკენ უზომო გადახრა, სახელმწიფოებრივი ხელოვნების დაუწერელი, ინტუიციით მისახვედრი, მაგრამ აუცილებელი წესების მეტისმეტი დარღვევები... ამგვარი ხასიათი უფრო ღრმავდებოდა... საქართველოს მთავრობა, გზის დასასრულს, ისეთ ვიწრო ლავგარდანზე აღმოჩნდა, რომ მისი ძირს გადაძახება ერთი წკიპურტით გახდა შესაძლებელი.

... როდესაც საქართველო საბჭოთა რუსეთთან შეტაკებამდე მიიყვანეს, რუსეთის არცთუ დიდი ძალებისათვის. თითქმის, არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ. ყველაფერი გაკეთდა საიმისოდ, რომ შეტევაზე წამოსულ წითელ არმიას „შეიარაღებული ხალხი“ კი არ დახვედროდა, არამედ პარტიული ბელადების ჯგუფი, სახელმწიფო ხელისუფლების ექსპლუატაციის მონაწილე ფართო თანასაზოგადოება და მათთან ერთად ერთგული მიურიდების მცირე რაზმი. მთელი ეს ასაბია სულ იოლად გადაისროლეს შავ ზღვაში“ (გვ. 7-9).

ზურაბ ავალიშვილი დემოკრატიული საქართველოს ხელმძღვანელთა პოლიტიკის გამოაშკარავება-კრიტიკას არ სჯერდება და განაგრძობს: „სამი წლის (1918-1921) განმავლობაში საქართველო ისეთ მდგომარეობაში ჩააყენეს, რომ იგი სრულიად იზოლირებული და მოსკოვ-ანგორის (თურქეთის) მუდმივი დარტყმის მუქარის ქვეშ აღმოჩნდა. ფაქტიურად, უპატრონოდ გამოიყურებოდა ბათუმის კონფერენციის დროსაც, რომელიც 1918 წლის 11 მაისს გაიმართა თურქების მონაწილეობითა და მათ მიერ საქართველოს რიგი ოლქების წაგლეჯით დასრულდა.

– ამიერკავკასიის არსებობის საკითხი ბათუმში გადაწყდება, – უთხრეს ზ. ავალიშვილს და იქ წასვლა შესთავაზეს.

დელეგაცია გაჩერდა ბათუმის სასტუმრო „იმპერიალში“ (შემდეგ „აჭარისტანი“ ეწოდა, ახლანდელი აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობა), საზღვაო საბაჟოს გვერდით. ბათუმში მუდამ სათბურის შეგრძნებაა. ნალექები ზრდის ბამბუკს, ჩაისა და ყველა ყბადალებულ სუბტროპიკულ მცენარეს. ბულვარი, რა თქმა უნდა, კოხტაა, ქუჩებს არა უშავს, სასიამოვნოა; მგონი, ერთადერთი კუთხე, რომელიც არ ჰგავს სხვებს, ეს ე.წ. ბერძნული ქუჩაა. ყველგან ვარსკვლავიანი ნახევარმთვარეა წითელ ფონზე. ფრესკებმაც იმრავლა. ნავსადგურში აფუსფუსდა იალქნიანი ნაგებობით მოსული ანატოლიელი ზღვისპირელი ხალხი, ოდინდელ დელეგანტიელთა ბრბოც იქვეა, მაგრამ დარჩებიან კი?“ – კითხულობს დიპლომატი და მოსაზრებას გამოთქვამს, რომ ყველაფერი ეს დროებითია.

1921 წლის 21 მაისის ჩანაწერი გვაუწყებს, რომ ზ. ავალიშვილმა საქართველოს მთავრობის მეთაურ ნოე ჟორდანიასა და საქართველოს დელეგაციის წევრ ნიკო ნიკოლაძესთან ერთად რუკაზე დაათვალიერა ის რაიონები, რომლებიც თურქებისათვის უნდა დაეთმოთ, შემდეგ ავტომობილით, ჟორდანიასთან და ჩხენკელთან ერთად, ჭოროხის ხეობაში გაემგზავრა. აჭარისწყლის შესართავამდე ასულან.

„ჯგუფ-ჯგუფად მომავალი საპალნიანი ჯორები და მათი გამყოლები არც კი გამოცვლილან ჩვენი ნეტარი მამის – გრიგოლ ხანძთელის დროიდან, რომელიც აქ ახლოს, კლარჯეთში – ამ ქართულ თეზაურში, სხვა ბერებთან ერთად ლოცულობდა ცოდვათა ჩვენდა მისატყვებლად ათასი წლის წინათ.

ეს რუსეთ-თურქეთის შეტაკებებით მიმოფანტული ლტოლვილები ბრუნდებოდნენ შინ“, – ეკითხულობთ ნარკვევში.

22 მაისს მას ბათუმშივე დაუწერია საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების სავარაუდო პროექტი, რაც მოუწონეს აკაკი ჩხენკელმა, ნიკო ნიკოლაძემ და ნოე ჟორდანიამ.

ავალიშვილმა მამინ ჩვენს ქალაქში შეადგინა, აგრეთვე რამდენიმე საგულისხმო დეპეშა, რომლებიც ჩხენკელისა და სხვათა ხელმოწერით გაიგზავნა. 25 მაისს თბილისიდან აცნობეს, რომ 26 მაისს გამოცხადდებოდა საქართველოს დამოუკიდებლობა, რაზეც ჩხენკელთან და ნიკოლაძესთან ერთად იმსჯელეს. ავალიშვილმა მოამზადა კიდევ რამდენიმე აქტის პროექტი, ასევე წერილი გერმანიის წარმომადგენელ ფონ ლოსოვის და სხვათა სახელზე და დასასვენებლად ზღვაზე გავიდა. წყალი ღურჯი იყო.

გარშემო იგრძნობოდა მთის ტყეების სიმწვანე, რომელიც აქა-იქ ცისფერ ნისლს დაეფარა. დელფინი მალიმალ გამოჩნდებოდა ხოლმე, აქ სეირნობდნენ სტამბოლელი მოხელეები. იქაური და გერმანელი ოფიცრები, რომელთა სახეებს აქაურობის მიმართ სრული გულგრილობა ეტყობოდათ. იყვნენ მათი ჩასუქებული ქალები, ქართველი ოფიცრები, რომლებიც ტყვეებს არ ჰგავდნენ. უკრავდა უხამსი მუსიკა, ზემოთ კი, გადაიგუგუნა აეროპლანმაო.

თავის წიგნში ზ. ავალიშვილი აღწერს იმ მოლაპარაკებებს, რომლებიც ბათუმში მისი მონაწილეობით ამიერკავკასია-საქართველოს, თურქეთისა და გერმანიის დელეგაციებს შორის წარიმართა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავთან, ბათუმის დაკარგვასთან და რიგ შეთანხმებებთან დაკავშირებით, იმავე, 1918 წელს, დიპლომატი ამ და სხვა საკითხების მოსაგვარებლად სტამბოლს ეწვია, სადაც შეხვდა მამუდ ფაშას, წარმოშობით ქობულეთელ თავდგირიძეს. რომელმაც თოფხანის მოედნის ზემოთ, ერთ-ერთ აღმართზე მდებარე, ნახევრადევროპულად მორთულ სახლში ძალიან თბილი შეხვედრა გაუმართა.

ფაშა ადრეც ყოფილა მინისტრი და ახლაც უნდა შესულიყო მთავრობაში. მზად იყო გაეკეთებინა საქართველოსათვის ყველაფერი, რაც არ ეწინააღმდეგებოდა თურქეთის ინტერესებს. არაერთხელ უცდია დაერწმუნებინა თურქები ბათუმსა და საქართველოს შორის კავშირის შენარჩუნების აუცილებლობაში. მამუდ ფაშა თავდგირიძე დაპირდა მოლაპარაკებოდა ახალ ვეზირს, რათა დაუყოვნებლივ გადაწყვეტილიყო ყველა სადავო საკითხი საქართველოსა და თურქეთს შორის. მას დადებითად ახასიათებენ სხვებიც.

ავალიშვილი ქებით მოიხსენიებს კიდევ ერთ თანამემამულეს, ახმედ ბეგ ბეჟანიძეს, რომელიც 1918 წლის 26 მაისს ფოთში ახალგამოცხადებული დამოუკიდებელი საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ჩხენკელის ამაღალში იყო. გერმანულ გემზე მოსალაპარაკებლად ჩხენკელს სწორედ ახმედ ბეჟანიძე აპყოლია. „მეტად შთამბეჭდავი გარეგნობის ოფიცერი ქართველი მუსლიმანი და სხვები. სცენა, ნამდვილად ღირსი... კინემატოგრაფის საკვირაო ქრონიკისა“ – ნათქვამია წიგნში (გვ. 85).

ახმედ ბეჟანიძის საქმიანობის შემდგომი გამომზეურება ნათელს მოჰყენს მის მამულიშვილურ მოღვაწეობას (წერილი გამოქვეყნდა გაზეთ „ბათუმში“ 2000 წლის 12 აგვისტოს).

## ალექსი რობაქიძე

აკადემიკოსი, ცნობილი მეცნიერი-ეთნოგრაფი ალექსი რობაქიძე დაიბადა 1907 წელს. იყო საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, 1961 წელს მისი ინიციატივით შეიქმნა კავკასიის ინსტიტუტის ეთნოგრაფიული განყოფილება, მხარი დაუჭირა ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის გახსნას 1958 წელს და გარდაცვალებამდე უცვლელად, საზოგადოებრივ საქმიანობებზე სათავეში ედგა მის ეთნოგრაფიულ განყოფილებას, რედაქტორობდა კრებულებს, იკვლევდა ცალკეულ საკითხებს.

ამ ინსტიტუტის 1969 წლამდე საქმიანობის ანგარიშში მეცნიერმა ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ აჭარის სოფლის სტრუქტურის ერთ-ერთ დამახასიათებელ თავისებურებას აქაური სახლი და კარ-მიდამო წარმოადგენს მკვეთრად გამოვლენილი ვერტიკალური ზონალობითა და ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების მრავალფეროვნებით, კერძოდ: ჯარგვალური, შედგმულ-ჯარგვალური, ცალპირა და ბოლოს – აჭარული ორსართულიანი სახლი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების მაგალითია. იგი ამჟღავნებს იმერული და ლაზური (ჭანური) ოდისაკენ გარდამავალ საფეხურს. ყურადღებას იპყრობს აჭარული საცხოვრებელი სახლის გაბარიტი და საცხოვრებელი ფართის ათვისების წესი, რაც უპასუხებდა მრავალრიცხოვანი ოჯახის ინტერესებს, ასე რომ, აჭარული სამოსახლო მაღალგანვითარებული საოჯახო და საზოგადოებრივი ყოფის მაჩვენებელია. იგი დამადასტურებელია იმისა, რომ აჭარულმა სახლმა განვითარების ხანგრძლივი გზა გაიარა და სრულყოფილი სახით უპასუხებდა სოციალურ-ეკონომიკური თვალსაზრისით დაწინაურებული სახლების ფორმას.

1982 წელს რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომში „აჭარის ეთნოგრაფიის ნარკვევები“, ა. რობაქიძე ამ საკითხს სხვა ჭრილში განიხილავდა და დასძინდა: აჭარის დასახლების ტრადიციული ფორმები საქართველოს სხვა მთიან რეგიონებთან შედარებით განსხვავდება მრავალპროფილურობითა და ეკონომიკური ცხოვრების ინტენსიურობით, თუმცა ოსმალებმა მოწყვიტეს იგი დედამამშობლოს, მაგრამ ორგანული კავშირის არდაკარგვით აჭარლებმა შემოინახეს ეროვნული თვითშეგნება, ტრადიციები, ყოფა, ენა.

მეცნიერმა ყურადღება გაამახვილა იმ გარემოებაზე, რომ ქართულ-კავკასიურ ეთნოგრაფიას ასევე ავსებს და ამდიდრებს აჭარული ალპური

მესაქონლეობა, ტერასული მიწათმოქმედება და ხელოსნობა. აქაა შინა-ალპური, ყიშლა-საბოსლო და საკარავო მესაქონლეობა, ტერასული მიწათმოქმედება მაღალგანვითარებული, მრავალფეროვანი და ეფექტურია, ესაა უმაღლესი სახე მიწის შემაგრებისა ძელპალოებით ოროკი – და რეს გამოყენებით. აქაური კაჟიანი თოფები და დამბაჩები ცნობილი იყო საქართველოს ფარგლებს გარეთაც „მაჭახელას“ სახელწოდებით. დაწინაურებული იყვნენ აგრეთვე ხით და ქეთხურობაში, ნაოსნობასა და სხვა დარგში.

1967 წელს ალექსი რობაქიძემ გამოაქვეყნა გეგმა-კითხვარი თემაზე „დასახლება და საცხოვრებელი ნაგებობანი აჭარაში“, რაც საჭირო იყო ეთნოგრაფიული ატლასისათვის. აისახა სამოსახლო ადგილების შერჩევის, სამშენებლო მასალების დამზადება-დამარაგების, მშენებლობის ორგანიზაციისა და დაცვითი ნაგებობების საკითხები.

იმის დასასაბუთებლად, რომ ხელსაყრელი კლიმატური პირობები, სავაჭრო კომუნიკაციები, სტრატეგიული მდებარეობა, ხელოსნობა და ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობდა მეურნეობის ინტენსიფიკაციას, ძველადვე მრავალპროფილიანი მეურნეობის მძლავრ ფეხმოკიდებას, მოიშველია აჭარაში არსებული უძველესი ტოპონიმები, დაკავშირებული ამ დარგთან, სასოფლო-სამეურნეო კულტურების სახელწოდებებთან, კერძოდ: ნაქერე-ალი, ნაქერალი, ქერული, ნაღმვარი, ნაგომარი, ნაფეტვარი, ნაფეტვარა, ჩამურიღლე, ნაჩამურევი, ნაჩამურალი (მომდინარეობენ ფეტვის, საცეხველის მეორე სახელ ჩამურიდან), აგრეთვე ნაასლარი, ნაცერცვალი, ნაჭვავარი, ნაპურვალი, ნაპურვალა და ნაბრინჯვალი. ასევე ფიქსირდება ნადიკვარი, ასე ეწოდებოდა ენდემურ ანუ ადგილობრივი უძველესი ჯიშის ხორბალს. არის აგრეთვე ადგილთა სახელები ბოსტანი, ბოსტანათი და სხვა, ჭურიდან, მარანიდან, ზეარიდან მომდინარე ადგილთა გეოგრაფიული სახელები, ასევე ნაქართლი, რომელიც მეტწილად ჰქვია ისეთ ადგილებს, სადაც საწნახელი თუ სხვა მატერიალური კულტურის ძეგლია შემონახული, ე.ი. მიგვანიშნებს ამ ძეგლების ეთნიკურ კუთვნილებაზე, ქართლისდროინდელ ადგილებზე, – თვლის აკადემიკოსი ალექსი რობაქიძე. აკი აჭარა უძველესი დროიდან ქართლის ორგანული ნაწილი იყო, თუმცა საქართველოს ეს ერთ-ერთი ძირითადი ისტორიულ-გეოგრაფიული ოლქი ისტორიული კოლხეთის ნაწილსაც წარმოადგენდაო.

1974 წელს კრებულის – „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს კულტურისა და ყოფის“ №2-ში გამოაქვეყნდა ა. რობაქიძის „მასალები პატრონომიული ორგანიზაციისათვის აჭარაში“. ოსმალების ბატონობამ დადი დაასვა ქალის საზოგადოებრივ მდგომარეობას აჭარაში. მიუხედავად ამისა,

აჭარული ოჯახის შინაგან წყობას ქართული სახე მაინც არ დაუკარგავს, ამას განაპირობებდა ძირძველი ქართული ოჯახისთვის დამახასიათებელი ტრადიციების შემონახვა. ავტორ-მეცნიერმა მაღალი შეფასება მისცა ცნობილი მკვლევარის ჯემალ ნოლაიდელის მოღვაწეობას ეთნოგრაფიასა და ფოლკლორში, თვით ბათუმის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელთა საქმიანობას ამ დარგში, არქეოლოგიაში, მატერიალური კულტურისა და სხვა ძეგლების კვლევაში. ვლადიმერ მგელაძის ნაშრომის „ზემოაჭარული სოფელი ძველად“ რეცენზიასთან დაკავშირებით, დასძინა, რომ ავტორი განსაკუთრებული სიზუსტითა და მეცნიერული სიღრმით, გულდინჯად მოკიდებია მის შექმნას, არ შემოფარგლულა ლოკალური მასალებით, სერიოზულად არ მოჰკიდებია ტოპოგრაფიას, სტრუქტურასა და მორფოლოგიას, გეარსა და ოჯახს.

ყურადღება გაამახვილა აგრეთვე უძველეს ცულებზე, რომლებიც ნაყოფიერების ძლიერ თილისმას წარმოადგენდა და ამიტომ ხშირად მონაწილეობდა საქორწილო რიტუალებში. ამ შემთხვევაში ცულზე თევზის გამოსახვა იღებდა გააზრებულ მნიშვნელობას და მთლიანად განსხვავდებოდა ნაყოფიერების იდეისაგან, რაც თევზს ახასიათებდა. აჭარაში აღმოჩენილ ცულებზე ამას გარდა გამოსახულია გველი, შინაური ცხოველები, რაც კავშირშია ნაყოფიერების კულტთან.

აკადემიკოსმა ალექსი რობაქიძემ 1973 წელს დამაჯერებლად დაასკვნა: „აჭარაში არ არის კულტურისა და ყოფის არც ერთი სფერო, რომელიც არ გვაძლევდეს დამაჯერებელ საბუთს საქართველოს ამ კუთხის აქტიური და უწყვეტი მონაწილეობისა ქართველი ხალხის მატერიალური თუ სულიერი კულტურის განვითარების პროცესში.

აქტიური – იმით, რომ აჭარელთა ყოფის უკლებლივ ყველა სფეროში, შექმნილია კულტურის მაღალგანვითარებული ლოკალური ფორმები, რომელთაც ქართველი ხალხის შემოქმედებაში უთუოდ საპატიო ადგილი უჭირავთ. ასეთია აჭარული საცხოვრებელი კომპლექსი, რომელიც ქართული ხუროთმოძღვრების ერთ-ერთ თვალსაჩინო ნიმუშს წარმოადგენს. ასეთია ტერასული მიწათმოქმედება, რომელიც ტექნიკის განვითარების დონით, მრავალფეროვნებითა და ეკონომიკური ეფექტურობით, საქართველოს არც ერთ სხვა რაიონს ტოლს არ დაუდებს. ასეთია ალპური მესაქონლეობა, რომელიც აჭარის ისტორიულ-გეოგრაფიული პირობების შესაბამისად თავისი ფორმების დახვეწილობით პრაქტიკულად ყველაზე ოპტიმალური აღმოჩნდა. აჭარაში ძველად არსებულ ალპურ მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას თავისი ადგილი უჭირავს საერთოდ ალპური მეურნეობის სისტემაში მსოფლიო მასშტაბით. დაბოლოს, ასეთია ხელო-

სნობა, რომლის ცალკეულმა დარგებმა, მაგალითად ხითხურობამ საქართველოს ფარგლებს გარეთაც გაითქვა სახელი.

უწყვეტი – იმიტომ, რომ ქართველი ხალხის ძნელბედობის უმძიმეს პერიოდშიც კი, მაშინაც კი, როდესაც მძლავრი ქართული ფეოდალური მონარქია მოიშალა და აჭარა თურქეთის სახელმწიფოს ფარგლებში მოექცა, მას არ გაუწყვეტია შინაგანი კონტაქტი საქართველოსთან და აქტიური თუ პასიური ბრძოლის მეშვეობით სათუთად იცავდა გადაგვარებისაგან კულტურისა და ყოფის ძველქართულ ტრადიციებს. ამის მაგალითია თუნდაც ტანსაცმელი – ნაციონალური კულტურის ერთ-ერთი თვალსაჩინო გამოხატულება, რომელმაც აჭარაში, მიუხედავად აშკარად არაქართული ტერმინების მომძლავრებისა, მტკიცედ შემოინახა ქართული ეროვნული სახე. ამის მაგალითია მესაქონლეობასთან დაკავშირებული და ორთოდოქსალური ისლამის დოგმებისათვის აშკარად შეუწყნარებელი მაგიური რიტუალი – ბოსლობა, რომელიც ამის გამო აჭარელთა ოჯახებში საიდუმლო ვითარებაში სრულდებოდა; კიდევ უფრო ღირშესანიშნავია აჭარული ორნამენტის მსგავსება ზოგადქართულთან – ხეზე იქნება იგი, ლითონზე თუ ქვაზე, გეომეტრიული იქნება იგი თუ ასტრალური, მაგრამ ვაზისა და ჯვრის გამოსახულების მონაწილეობა აჭარულ ორნამენტებში თურქების ბატონობის პერიოდში, მათი ასახვა არა მარტო საცხოვრებელ, არამედ აგრეთვე მაკამადიანურ, საკულტო ნაკეთობებზე – ჯამეებზე, განსაკუთრებით მნიშვნელობის ფაქტია, რომელიც ცალკე ახსნას მოითხოვს. ვაზისაგან ნაკეთები ჯვარი მთელი ქართული ქრისტიანობის – ქართველობის სიმბოლოდ იყო მიჩნეული და მის წინააღმდეგ ჩამორჩენილი თურქების აქტიური ბრძოლის პირობებში მისი შემონახვა, უნდა ვიფიქროთ, ქართველობისათვის აჭარელთა ბრძოლის ერთ-ერთი შედეგი უნდა ყოფილიყო.

ამ ბრძოლის პროცესში აჭარამ შემოინახა ქართველი ხალხის კულტურისა და ყოფის მრავალი ძირძველი ელემენტი, რომელთა კვალი საქართველოს სხვა რაიონებში თითქმის სრულიად არ დარჩა და რომლებიც, მართალია, თავისი ფორმით არქაული იყო, მაგრამ თავისი ფუნქციით ზემოთ ხსენებულ ბრძოლაში ეროვნული სახის თვითმყოფადობის დაცვას ემსახურებოდა და ამჯერად უთუოდ დადებით როლს ასრულებდა“ (სამხრეთ-დასავლეთ საქ. მოსახლეობის კულტურისა და ყოფის საკითხები, 1, გვ. 3-5, თბ., 1973).

1981 წელს „სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ყოფა და კულტურის“ №9-ში გამოქვეყნებული ჩვენი წერილი „ჯ. პალგრევი აჭარის შესახებ“ ა. რობაქიძემ ბიო-ბიბლიოგრაფიული ხასიათის ნაშრომად მიიჩნია, რომელიც „ინტერესით იკითხება“.



## ბრიგოლ ვეშაპელი

1924 წლის ნოემბერში, პარიზში გ. ვეშაპელმა დაიწყო გაზეთ „ახალი საქართველოს“ გამოცემა და კვლავ მიმართა აჭარის თემას.

ჯერ კიდევ 1916 წელს მოსკოვში გამოაქვეყნა საინტერესო ნაშრომი რუსეთ-თურქეთის იმდროინდელ მოვლენებზე, რომლებშიც იცავს საქართველოს, კერძოდ, აჭარის ინტერესებს, ავლენს ამ მხარის მკვიდრთა პატრიოტიზმს (იხ. მისი, „ტურეცკაია გრუზია“).

შემდეგ გრ. ვეშაპელი იყო გაზეთ „საქართველოს“ რედაქტორი, ამიერკავკასიის სეიმისა და საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი. მისი ინიციატივითა და მონაწილეობით შეიქმნა საქართველოს ეროვნული საბჭო, იგი აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის პარლამენტისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში.

გრ. ვეშაპელი 1921 წლის მარტში საქართველოს მთავრობას ემიგრაციაში მამინე არ გაყვა – ერთხანს ბათუმში დარჩა. 1928 წელს თბილისში გამოქვეყნებულ თავისსავე წიგნში „ახალი საქართველო“, ნათქვამია, რომ იგი „1924 წლამდე აწარმოებდა დიდ ანტიბოლშევიკურ მუშაობას, როგორც ყოფილ მენშევიკურ მთავრობასთან ერთად, ისე კერძოდ“. მოუკლავთ პარიზში.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ისე როგორც ემიგრანტი მოღვაწე, ისტორიკოსი ვიქტორ ნოზაძე, გრ. ვეშაპელიც ობიექტურად ავლენს საკვანძო პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებს, გმობს ხელისუფლების სათავეში მყოფ თანამემულეთა პოლიტიკას აჭარის მიმართ. ხაზს უსვამს საბჭოთა რუსეთის როლს ჩვენი მხარის შენარჩუნებაში. პარიზში გამომავეალ თავის გაზეთ „ახალ საქართველოს“ ფურცლებზე აღწერს აგრეთვე 1925 წელს მომხდარ გამოსვლებსა და ინციდენტებს სამცხე-ჯავახეთში, აჭარაში, სამეგრელოსა და აფხაზეთში, რაც ცხადყოფს, რომ ისტორია მეორდება.

დავიწყოთ თანმიმდევრობით: საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელებს დიდი იმედი ჰქონდათ იმისა, რომ ბერძნების აგრესიის მოგერიების შემდეგ, თურქეთი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. გრ. ვეშაპელი ამასთან დაკავშირებით წერდა: „თურქეთი არ აპირებდა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრებას ბერძნებთან გამარჯვების შემდეგაც. ანგორას (თურქეთი – ი. ბ.) არაფრად ეჭაშნიკებოდა მენშევიკური საგარეო პოლიტიკით საქართველოს რესტავრაცია, რადგან იგი შეიძლება გამოეყ-

ენებინა ინგლისს, როგორც ბაზა ოსმალეთის ზურგში საეგზეკუციო ექსპედიციების მოსაწყობად“. ერთადერთი მომენტი, როცა ოსმალეთი შეიძლება ჩარეულიყო კავკასიის საქმეებში, ეს მაშინ იქნებოდა შესაძლებელი, თუ რუსეთში კრიზისი მოხდებოდა და წითელი ჯარი თავისით მიატოვებდა კავკასიის ფრონტებს, მაგრამ ვინ მოიგებდა ამით? ამ კითხვაზე გრ. ვეშაპელის პასუხი ცალსახაა: „მოვლენ აქ მაკამდიანთა პროტექციის ლოზუნგით და კავკასიაში ჰეგემონიას მისცემენ მათ, რათა პანთურქისტული მიზნები განახორციელონ თურქესტანამდე“, ანუ ყოფილ საბჭოთა შუა აზიამდე.

ისე, როგორც გერმანია, ამერიკა და სხვები, არც ინგლისელები მალაუნდნენ ექსპანსიონისტურ ზრახვებს. კავკასიაში ფეხის მოკიდება სურდათ, რათა აზერბაიჯანის ნათობი გაეტანათ და აქედან ინდოეთისაკენ რკინიგზა გაეყვანათ, გაეღენა ჰქონოდათ თურქეთსა და შუა აზიის ქვეყნებზეც. ამიტომაც იყო, რომ ე.წ. ახალციხე-ყარსის დამოუკიდებელი მთავრობის გაძლიერებას უწყობდნენ ხელს, მაგრამ საბჭოთა არმიის გამარჯვებამ და რუსეთის გაძლიერებამ ინგლისელებს 1920 წლის ივლისში ბათუმი დაატოვებინა, სადაც 1918 წლის დამლევეს დაბანაკდნენ.

მოხდა ის, რომ „როგორც კი ინგლისელები წავიდნენ ბათუმიდან, ჟორდანიამ უკვე გეგმავს აფრინა ლონდონში, დაბრუნდით, თქვენი ჭირიმი და ბათუმის პორტიც მიირთვით, როგორც საზღვაო ბაზა“.

გრ. ვეშაპელი, ვ. ნოზაძისამებრ, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ განაპირობა აჭარის გადარჩენა, მისი დატოვება დედასამშობლოს ფარგლებში. „რაც შეეხება ბათუმს, სწორედ საბჭოთა რუსეთის დახმარებით იყო, რომ იგი საქართველოს გასაბჭოების დროს ოსმალეთს არ შერჩა. განა ნ. ჟორდანიას ტელეგრამების (მათი მოწმე მე თვითონ გახლდით) წყალობა არ იყო, რომ ანგორის ჯარმა აჭარა-ბათუმის ოკუპაცია მოახდინა? ჟორდანიას იმის იმედი ჰქონდა, რომ ოსმალ და რუსები ერთმანეთს დაეტაკებოდნენ ბათუმის გამო და ამით მენშევიკური მთავრობა სულს მოითქვამდა. ჟორდანიას ელჩს ანგორაში ს. მდივანს კი პირდაპირ ეგონა, რომ ოსმალეთს ომი რუსეთის წინააღმდეგ უკვე დააწყებინა. ჟორდანიამ და მდივანმა მხოლოდ პარიზში ჩამოსვლისას გაიგეს, თუ ვისი ორიენტაციის იყო ქემალ ფაშა“ ანუ თურქეთის მეთაური“.

გრ. ვეშაპელს თუ ვირწმუნებთ, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვში რუსეთ-თურქეთს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით, ინგლისელებთან მოსალოდნელი ომის შემთხვევაში, საბჭოთა მხარე თურქეთს ნებას მისცემდა ესარგებლა ბათუმის ნავსადგურით ან არ დასხმოდა თურქეთს აღმოსავლეთით, იქიდან თავისი ჯარის დასავლეთ ნაწილში გა-

დასროლის მომენტში. იმასაც დასძენდა, რომ 1921 წლის მოსკოვთან ხელშეკრულების რატიფიკაციით, რაც ქ. ყარსში, ოქტომბერში მოხდა, ოსმალებმა სუვერენიტეტი ბათუმზე საქართველოს „დაუთმეს აჭარისათვის ავტონომიის დაწესებითა და ტრანზიტის უფლებით.“ რასაკვირველია, გრ. ვეშაპელი ამჯერადაც მართალია. ფაქტობრივად, ეს იყო ანგარიშის გაწევა ზოგიერთ მომენტში, მეგობრული ექსტი და არავითარი დათმობა.

შემდეგ მოჰყავს სტოქსის 1923 წლის 9 აპრილის ცნობა, რომლითაც აღასტურებდა, რომ ევროპელები არ აპირებენ მხარი დაუჭირონ ქართველებს აჯანყებაში არათუ მატერიალურად, არამედ მორალურადაც. ვგებ ეს იყო მიზეზი იმისა, რომ გრ. ვეშაპელი მიუხედავად თხოვნისა, საქართველოში არ გამოემგზავრა აჯანყების მოსამზადებლად, რაც 1924 წლის აგვისტოში მოხდა. ძალიან სურდათ აჯანყება ინტერნაციონალურ-კავკასიური გაეხდათ, რის გამოც პირველ რიგში ბათუმ-თბილისის ალება დაისახეს მიზნად, მაგრამ ამაოდ.

ჩვენთვის ასევე განსაკუთრებით საყურადღებოა 1936 წლის 5 იანვარს პარიზში გამოქვეყნებული სტატია საქართველოს ცალკეულ მხარეებში მომხდარი გამოსვლა-ინციდენტების შესახებ. ეს საკითხები განუხილავთ საქართველოს კომპარტიის მეორე ყრილობაზე, რომელიც წინა წლის დამლევს გაიმართა. მოხსენებით გამოსულა მ. კახიანი. ახალციხის მაზრაში სომხებს განუცხადებიათ, რომ მათ ყურადღებას არ აქცევენ. „ერთგვარი მიდრეკილება იყო ავტონომიის გამოსაცხადებლად და სომხეთზე შეერთებისა“. საქართველოს ხელისუფლებამ იქ „შემოვლით სათანადო სიწყნარე შეიტანა“.

აჭარაში მოხდა ის, რომ ცენტრალური აღმასკომის მესამე სესიის პირველ სხდომაზე ქედაში მიიღეს რეზოლუცია, „პირდაპირ მიმართული საქართველოსთან აჭარის შეკავშირების წინააღმდეგ“. ამ ამბების გამო ბათუმში ცაკის საგანგებო სესია მოიწვიეს, რომლის მუშაობაში მონაწილეობდნენ ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, შ. ელიავა. ახსნა-განმარტებითი მუშაობის შედეგად მიიღეს მოწოდება აჭარის საქართველოსთან განუყოფლობისა და შეცდომების გამოსწორების თაობაზე, დახმარების გასაძლიერებლად. ამ მოვლენებს სტამბოლის გაზეთი „სონსაათი“ საგანგებოდ გამოხმაურებია.

ენახოთ, როგორი ვითარება სუფევდა მაშინ აფხაზეთსა და სამეგრელოში. აფხაზებს ამიერკავკასიის ფედერაციაში პირდაპირ შესვლა მოუთხოვიათ, ე.ი. საქართველოსაგან დამოუკიდებლად, რაღაც ამის მსგავსი კონსტიტუციაშიც ჩაუწერიათ. „გაცილებით უფრო უცნაური იყო სამეგრელოს ავტონომისტების გამოსვლა მ. დადიანის მეთაურობით. მათ მოუთხოვიათ „მარგალისტანის რესპუბლიკის“ შექმნა და უშუალო კავშირი

რუსეთთან. ამის გამო მ.კალინინისათვის (საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდენტის თავმჯდომარე – ი. ბ.) მიუმართავთ საჩივრით, რომლითაც „საქართველოს იმპერიალიზმსა და უკლონისტობაში დებდნენ ბრალს“. ამას მთელი დისკუსია გამოუწვევია იმდროინდელ ქართულ პრესაში.

ყრილობაზე მ. კახიანს ამ ამბებთან დაკავშირებით განუცხადებია: ეს შედეგია იმისა, რომ განაპირა ოლქებში საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები ვერ არიან ყოველთვის საბჭოთა პრინციპების სიმალლეზე და მათი ადმინისტრაციული შეცდომები ხდება მიზეზი ადგილობრივი ელემენტების პოლიტიკური პოზიციისა, რაშიც გრ. ვეშაპელი პროპაგანდასა და თავის გამართლებას ხედავდა (წერილი გამოვაცქევენთ გაზეთში „აჭარა P.S.“ 1999 წლის 7-14 მაისს).

## პაპლე ინგოროყვა

1918 წლის მარტ-აპრილში ტრაპიზონის საზავო კონფერენციისათვის პაპლე ინგოროყვას საგანგებოდ დააწერინეს ორი საგულისხმო გამოკვლევა: „საქართველოს ტერიტორიის საზღვრების შესახებ“ და „კავკასიის ქვეყნების ტერიტორიული გამიჯვნის გამო“, რომლითაც თავად გამოვიდა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების 1918 წლის 7 თებერვლის სხდომაზე. ორივე ნაშრომი გამოქვეყნდა 1918 წელს, ხოლო მეორედ – 1990 წელს.

ავტორი მიმოიხილავს მესხეთის პროვინციას, კერძოდ ახალციხე-ახალქალაქისა და ბათომ-არტაანის მხარეებს. – მესხეთი ძირეული ქართული ქვეყანაა, რომელიც საქართველოს მთელი ისტორიის მანძილზე ქართული კულტურის ავანგარდს წარმოადგენდა. ოსმალებმა მოსწყვიტეს იგი საქართველოს, ნაწილი დაბრუნებული იქნა 1829 და ნაწილი – 1878 წელს. ამის შემდეგ ხელახლა შეადგენდნენ საქართველოს განუყოფელ ნაწილს თანახმად 1783 წლის საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებისა, რომლითაც რუსეთი დებდა პირობას გაეთავისუფლებინა მიტაცებული საქართველოს სამხრეთ-დასავლეთი პროვინციები. ასე რომ, პარიზის 1856 წლის ტრაქტატი განმეორებით ადასტურებდა – ოსმალეთს ამ მხარეზე (ბათუმ-არტაანი) არავითარი უფლება არა აქვსო.

ხაზს უსვამდა კიდევ იმ გარემოებას, რომ ბათუმისა და არტაანისათვის 1918 წლის ბრესტის საზავო ხელშეკრულება ახალ უფლებრივ მდგომარეობას ქმნიდა. ჯერ ერთი, ტრაქტატის ის მუხლი, რომელიც ეხება

ბათუმსა და არტაანს, არ შეიძლება ჩაითვალოს სავალდებულოდ, რადგან რუსეთმა ფაქტიურად დატოვა საქართველო, გაიყვანა თავისი ჯარები მისი საზღვრებიდან, რითაც დაკარგა ყოველგვარი უფლება. ამასთან თვით ბრესტის ტრაქტატის პუნქტი სრულიად არათუ სცნობს ბათუმსა და არტაანს ოსმალეთის კუთვნილებად, არამედ ამ მხარეებს ეროვნულ-პოლიტიკური თვითგამორკვევის უფლებას ანიჭებს; ოსმალეთის მიერ ჯარების შემოყვანას ამ მხარეში არ შეიძლება სხვანაირი განმარტება მიეცეს, თუ არა დარღვევა ბრესტის ხელშეკრულებისაო.

ამრიგად, პავლე ინგოროყვამ პირველმა გაამახვილა ყურადღება ამ ორ მნიშვნელოვან გარემოებაზე – რუსეთი კისრულობს საქართველოს მიწების განთავისუფლებას; აჭარისა და მეზობელი პროვინციების მოსახლეობის მიერ კანონიერი პლებისციტის ანუ გამოკითხვის ნიადაგზე სახელმწიფოებრივ მოწყობას, რაც დღესაც რატომღაც ხაზგაუსმელია.

ბათუმის მხარეში ყველაზე კარგად არის დაცული ქართული ენა, – წერდა შემდეგ მეცნიერი, – მხარე განიყოფა ბათუმისა და ართვინის ოლქებად. პირველის მთელი მოსახლეობა ლაპარაკობს „უწმინდეს ქართულ ენაზე“. არტაანის მხარეში შედის არტაანი ფოცხოვით, ოლთისი ტაოსკარით და თვით არტაანი; 1916 წლის მონაცემებით, ბათუმში ითვლებოდა 39 ათასი სული, ოლქში – 121 ათასი, ხოლო ტერიტორია 3779 კვადრატულ კილომეტრს მოიცავდა. შესაბამისად ართვინის ოლქში ცხოვრობდა 70 ათასამდე კაცი, ფართობი კი 3339 კვადრატულ კილომეტრს აღწევდა.

საქართველოს ძველ საზღვრებს ინგოროყვა ეხება მეორე სტატიაშიც, კერძოდ, ეს საზღვრები მოიცავდა მესხეთის ქედს, საქართველოს ყელს – გურჯი ბოლაზის შტოს, ლაზისტანის ანუ ჭანეთის ქედს და აქედან ჩამოსულ კვერნაკს, რომელიც შავ ზღვას რკინის პალოს კარებთან, რიზეს სამხრეთით აღდებოდა. აქ გადიოდა საზღვარი ძველი საქართველოსი.

მეცნიერი კავკასიის საქმეების მოწესრიგებაში აშკარად ხედავდა ბათუმის დიდ როლს – „ბათომთან იჭედება პირველი რგოლი“, – ვკითხულობთ წიგნში.

რევაზ გაბაშვილის ცნობით, პავლე ინგოროყვასთან ერთად იგი ბათუმიდან ნავით ჩასულა ტრაპიზონში მოლაპარაკებაზე დასასწრებად, მაგრამ გერმანულ ჯაგუნოსან „კაროლ კარლით“ უკან მოაბრუნეს. საქართველოს დელეგაციის წევრს – გვაზავას განუცხადებია: „ეხლავე დაბრუნდით უკან... რისთვის მოდიოდით აქ? თავად გართულებული გვაქვს საქმე, თქვენ უფრო გაგვიფუჭებთ... აქ ჩვენთვისაც ვერა ეშოულობთ საქმელს და ბინას, თქვენ როგორ მოგაწყობთ? და თუ ეხლავე არ დაბრუნდებით – დაგაჭერ-

ინებთ“, გერმანელებიც არ წამოგვეშველნენ და კუდამოძუებულები გემს გამოვეყვით უკანო.

ის, რომ სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის ძლიერების, ხელოვნება-კულტურის აკვანი, აყვავებული მხარე იყო, პ. ინგოროყვამ ამომწურავად ცხადყო ისტორიულ-ფილოლოგიური კვლევის მონუმენტურ ძეგლში „გიორგი მერჩულეში“, სადაც მრავალჯერაა მოხსენიებული აჭარა და ბათუმი, მიმოხილულია მეზობელი ოლქები: ჭანეთი, ლაზეთი, შავშეთი, მესხეთი, ტაო-კლარჯეთი. ნათქვამია, რომ არტანუჯი აიგო აშოტ I-ის დროს და IX საუკუნემდე იყო იბერიის დედაქალაქი, რომელიც ჩვენს მხარესაც მოიცავდა. ხაზგასმულია ის, რომ „ტბეთის სულთა მატთანეს“ მეცნიერი „სულთა მატთანე მიჭიხიანის ანუ მაჭახლის ხევის სახელწოდებით მოიხსენიებდა და მართალიც იყო. სხვათა შორის, ისიც უწერია, რომ ეს მატთანე „გვაქვს დამზადებული გამო-საცემად“ (პ. ინგოროყვა, თხზ: 4, გვ. 564, თბ., 1978). მათი განხილვისას არ უნდა უგულებელვყოთ დ. მუსხელიშვილის მოსაზრება, რომ ინგოროყვას აქვს პრეტენზია საბოლოოდ გადაჭრილად ჩათვალოს მრავალი ისტორიული გეოგრაფიის საკითხი. მისი არაერთი ძირითადი დებულება ხშირად მხოლოდ განცხადების სახითაა წარმოდგენილი ყოველგვარი არგუმენტაციის გარეშე და მკითხველს მხოლოდ ისლა რჩება, რომ ბრმად ირწმუნოს წაკითხული (საქ. ისტ. ძეგლები, 5, გვ. 56).

აჭარა პ. ინგოროყვას სპეციალურად არ შეუსწავლია, რადგან მის იქითა მხარეებს იკვლევდა. მთავარი მიზანი სწორედ ეს იყო, მაგრამ ურთიერთკავშირებისათვის გვერდი არ აუკლია. მაგალითად, სიტყვიერი დაბოლოება -ფხე, აგრეთვე -თი, რომელიც -ძესა და -ურს ცვლიდა, აგრეთვე მისი ჭანური მოგვიანო ვარიანტი -ტი, აქაურად მიიჩნია და მაჭახლის მატთანე დაიმოწმა. ამ ფორმითაა ნაწარმოები სახელგვარები: ბაგრატი, სუმბატი, აშოტი ლიპარიტი, რატი, ღლონტი, ჟღენტი, ხუბუტი, ჩხეტი-ჩხეტიძე, გოგიტი, შოშიტი, ბერიტი, ბახუტი, ხახუტი, ბეჟიტი, მაჟუტი-მაჭუტაძე და სხვა. ამიტომ იყო, რომ დასძენდა: „ტი-თ დაბოლოებული გვარები ახლა უმთავრესად გურიაშია, მაგრამ არ არიან ადგილობრივნი, არამედ სხვა კუთხიდან არიან შემოხიზნულნი, გურიაში როგორც ცნობილია, მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი გადმოსულა მესხეთიდან და ჭანეთიდან თურქების შემოსევების შემდეგო.

1960 წელს მკვლევარი ხარიტონ ახვლედიანის ძალისხმევით პირველად გამოიცა ცნობილი საზოგადო მოღვაწის ჰაიდარ აბაშიძის პუბლიცისტური წერილების კრებული. წიგნი იმთავითვე იშვიათობად იქცა, მოთხოვნა კი კვლავ დიდი იყო.

ამის გამო 1962 წლის 27 მაისს პაეღე ინგოროყვამ მაშინდელ პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანს ა. თხილაიშვილს წერილობით მიმართა:

*„დიდად პატიევემულო ამხანაგო ალექსანდრე დურსუნიის ძეე!*

მიიღეთ ჩემი გულითადი საღამი. ერთ საქმეზე მინდა მიეაქციო თქვენი ყურადღება... ჩვენი დიდად დამსახურებული მცხოვანი საზოგადო მოღვაწის პაიდარ აბაშიძის წერილების კრებული... მყირედი გირაყით დაიბეჭდა, ნაწილი თბილისში სულ ერთ კეირაში გაერეულდა.

ამ რამდენიმე ხნის წინ მწერალთა წრეში საუბარი იყო იმის შესახებ, რომ სასურეელია პაიდარის წიგნი ხელახლა გამოიყეს. ეს საყითხი იმასთან დაკეეშირებით წამოიჭრა, რომ პაიდარის წიგნი მოუახოვიათ საინგილოში და გირაყის მთლიანად გაერეულების გამო საინგილოს მოიხოვნა ვერ დააკმაყოფილეს.

ამის გამო გადმოგეემით პირადად ჩემს და მწერლების ერთი ჯგუყის თხოვნას, რათა პაიდარის წიგნი გამოიყეს აჭარის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ. სასურეელია იმ მასალებთან ერთად, რომლებიც თაყის დროზე არესაში გამოქეეყნდა აჭარის შესახებ პაიდარის წერილების გამო.

*„ულრმესი პატიეისეემით პაეღე ინგოროყვა“.*

ბატონმა ალექსანდრე თხილაიშვილმა წიგნის შეესებული სახით გამოცემა ხარიტონ ახვლედიანს დააკისრა, ამასთან, არა ბათუმში, არამედ თბილისში, 1963 წელს ეს გამოცემა შედგა. პ. აბაშიძის წერილების ეს კრებული ნამდვილად სამაგიღოა.

ინგოროყვას ეს წერილი ცნობიღმა მკვლევარმა არჩილ ტოტოჩავამ შემოგეინახა.

დიდი მეცნიერის ჩვენს მხარესთან ურთიერთობის ამსახველი მასალები კვლავ დასაძებნია.

## პასტანგ ბერიკე

1969 წელს აჭარის წარსულის შესახებ ისტორიული მასალების შესაგროვებლად კვლავ მოსკოვს ვეწვიე. ამჯერადაც არაერთი ნაკლებად ცნობილი, და საერთოდ უცნობი, საყურადღებო წყაროები მოვიპოვე ციხისძირის შტურმის ზუსტ თარიღთან და ბრძოლების მიმდინარეობასთან დაკავშირებით, ანტონ ჩეხოვის ბათუმთან კავშირის, განსაკუთრებით კი არქეოლოგ პრასკოვია უვაროვას მიერ სხალთისა და აჭარის ეკლესიების გამოკვლევასთან დაკავშირებით.

უვაროვას ცნობები, იშვიათი ფოტოსურათები არათუ აჭარაში, არამედ, საერთოდ, ქართული ისტორიოგრაფიისათვის უცნობი იყო. ამდენად, მათი შესწავლა, სხვათა მასალების კვალობაზე გაანალიზება ადვილი არ იყო, დროსაც მოითხოვდა.

დახმარებისათვის მივმართე საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელოვნების ინსტიტუტის დირექტორს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძეს. ეს იყო 1971 წელი. მაშინ მხოლოდ ის ვიცოდი, რომ ბატონი ვახტანგის ნაშრომებში ჩვენი მხარე ეპიზოდურად თუ მოიხსენიებოდა. სხვათა შორის, იგი პირველი იყო, რომელმაც ქართულ ხელნაწერებში მოხსენიებული „ღვარა“ ქობულეთის რაიონის სოფელ გვარას მიაკუთვნა – აქ XVI საუკუნეში გადაუწერიათ მინიატიურებით შემკული სამაგიდო წიგნი, „თეთრონის დავითნი“-ო.

1971 წლის 4 აპრილს მაცნობა: „დიდად პატივცემულო მეგობარო, ძალიან საჭირო და სასარგებლო საქმეა, რომ ჩვენი ეროვნული სიძველეების შესახებ წერილებს აქვეყნებთ, რა თქმა უნდა, ასევე საჭიროა სხალთის მშენიერი ძეგლიც რომ გავაცნოთ საზოგადოებას. უმთავრესი შენიშვნები კონკრეტული ხასიათისაა და აგრეთვე შესწორებებიც ტექსტშივე შევიტანე ფანქრით.

... კარგია როცა ძეგლს სანდო დათარიღებული წარწერა აქვს, ან როცა სხვა რაიმე პირდაპირი წერილობითი საბუთი არსებობს მის დასათარიღებლად. როცა ასეთი მასალა არ მოგვეპოვება, ჩვენ უნდა დავეყრდნოთ თვით ძეგლის, როგორც ხელოვნების ნაწარმოების ანალიზს...

თუ ასე შევხედავთ სხალთის ტაძარს, სხვა საშუალება კი არა გვაქვს – მას X ან XI საუკუნეების ძეგლად მართლაც ვერ მივიჩნევთ, მისი არქიტექტურული ფორმები, პროპორციები, ჩუქურთმა – ყველაფერი ეს მას აკავშირებს სწორედ XIII საუკუნესთან და უფრო ამ საუკუნის შუა წლებთან. ამ მხრივ, მე ვეთანხმები რ. მეფისაშვილს, რომლის წერილიც (ისე,



როგორც უვაროვას ნაშრომიც) მე ახლა კვლავ გადავიკითხე თქვენი ნარკვევის გაცნობასთან დაკავშირებით...

თქვენ წერთ, – იმ დროს აჭარაში შენების თავი არ ექნებოდათო (ე.ი. მოგვიანებით, როცა აბუსერიძეები გარეშე და შინაური მტრების შემოტევების შედეგად დასუსტდნენ – ი. ბ.). სავსებით სწორია, რომ ძველის შესწავლისა და დათარიღებისას აუცილებლად უნდა გაეწიოს ანგარიში მაშინდელ ისტორიულ ვითარებას. სწორედ მაშინ, როდესაც საქართველოს სხვა კუთხეებში მონღოლთა მძლავრობის გამო მშენებლობა შენეულა, სამცხე-საათაბაგოსა და აჭარაშიც არ შეეძლოთ შენება იმ ხანად“.

ბატონმა ვახტანგ ბერიძემ მირჩია უვაროვას ცნობები სავსებით უკრიტიკოდ არ გამომეყენებინა და ნარკვევის დაბეჭდვაში სხალთის ტაძრის თაობაზე არ მეჩქარა, სტუმრად მიმიწვია და მისამართთან ერთად ინსტიტუტისა და ბინის ტელეფონის ნომრებიც მაცნობა.

ნარკვევი „სხალთის ტაძარი – ჩვენი სიამაყე“ მეცნიერის შენიშვნა-რჩევებისა და შესწორების გათვალისწინებით 1974 წელს ჟურნალ „ჭოროხის“ ნომბერ-დეკემბრის ნომერში დავბეჭდეთ, რადგან XIII საუკუნის აჭარის ერისთავთერისთავი, მწერალი და ისტორიკოსი აბუსერიძე ტბელი სხალთის შესახებ არაფერს იუწყებოდა, ტაძრის აგების თარიღად – XII საუკუნე, მშენებლებად კი მისი მშობლები მივიჩინეთ და ჟურნალი გავეუზღვენე.

1975 წლის 19 იანვარს ამის გამო წერილობით მადლობა გამომიგზავნა, ახალი წლის დადგომა მომილოცა და გულით ბედნიერება, წარმატებები მისურვა მოღვაწეობაში.

ვ. ბერიძე ასევე დამეხმარა ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ 1971 წლის №11-ში ნარკვევის – „აგარის ეკლესიის საუნჯის“ გამოქვეყნებაში – დაუერთე მშვენიერად ორნამენტირებული კანკელი, ღეთისმშობლისა და წმინდა გიორგის ხატების ფოტოები, რომლებიც აკადემიკოსმა შალვა ამირანაშვილმა XI საუკუნით დაათარიღა. სხვათა შორის, ეს ნარკვევი პირველად ჟურნალ „ჭოროხის“ 1969 წლის №50-ში დაიბეჭდა.

1972 წელს მკითხველმა მიიღო ჩვენი პირველი წიგნი „რუსი და სხვა მოძმე ხალხების მწერლები აჭარის შესახებ“, რომელიც ბატონ ვახტანგს მივართვი:

„უკვე წაიკითხე ნამდვილი ინტერესით და კარგი შთაბეჭდილება დამრჩა. სასარგებლო წიგნია, სიყვარულით შედგენილი. ვისურვებთ შემდეგმაც წარმატებით მუშაობას, კვლავ კეთილი პატივით გრძნობების გალექებას მკითხველებში.“

პატივისცემით ვახტანგ ბერიძე  
თბილისი, 1973, 29, IX“.

1976 წელს ბათუმში გაიმართა ქართული კინოფილმების რესპუბლიკური ფესტივალი, რომლის ყიურის თავმჯდომარე ვ. ბერიძე იყო.

მიმოწერა არც შემდეგ შემიწყვეტია, არც მას მოუკლია კონსულტაციები და სიტბო ჩემთვის. ამან საშუალება მომცა მის მიერ მითითებულ მასალებსაც გავცნობოდი. ტექსტი უკეთ დამეხვეწა – გამემართა და 1982 წელს გამოცემულ ჩვენს ნაშრომში „ნარკვევები აჭარის წარსულიდან“ შემეტანა ილუსტრირებული გამოკვლევა „პრასკოვია უვაროვა აჭარის მატერიალური კულტურის ძეგლების შესახებ“, აგარა-სხალთა (გვ. 52-83). ამასთან, მთავარი ცნობები ჩაერთე 1990 და 1991 წლებში ბათუმსა და თბილისში გამოქვეყნებულ ჩვენს ნაშრომში „ქრისტიანობა აჭარაში“.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ძეგლების შესახებ ასე სრულად დღემდე არ დაწერილა. ეს აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის დამსახურებაა, რომელიც აჭარის დეპუტატი არასოდეს ყოფილა, არც დასასვენებლად ჩამოდიოდა. მაგრამ უდიდეს სიტბოს და სიყვარულს გამოხატა ჩვენი მხარის მიმართ.

ეს სიტბო იმანაც განაპირობა, რომ მისი მამა პროფ. ვუკოლ ბერიძე წლების მანძილზე ბათუმის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრას ედგა სათავეში. ამან საშუალება მისცა ჩვენი მხარის კარგად გაცნობისა.

## იოსებ მეგრელიძე

1967 წელს, თბილისში. აწ განსვენებული პროფესორ იოსებ მეგრელიძის რედაქციითა და წინასიტყვაობით გამოქვეყნდა ცნობილი მეცნიერთნოგრაფიისა და დიალექტოლოგის ჯემალ ნოლაიდელის ნაშრომი „აჭარული ზეპირსიტყვიერებისა და ეთნოგრაფიის მასალები“.

ამ წიგნს რომ გავეცანი. ბატონ იოსებს წერილი გავუგზავნე, რომელშიც ნაშრომის გაცნობით მიღებული სიამოვნება იყო აღნიშნული. მალე ასეთი პასუხი მივიღე: „ამხანაგო სეხნია იოსებ! თქვენი კარგად ყოფნა, გილოცავთ დიდი ოქტომბრის 50 წლისთავს. გადმომცეს ბარათი. ყურადღებისათვის დიდ მადლობას მოგახსენებთ. წიგნი კარგად შეაფასეს პარიზშიც. თქვენი აზრი მანდ რომ რადიოთი გადასცეთ და გაზეთში დაბეჭდოთ, ეს უფრო არსებითია. ვიმედოვნებ, ნომერს გამომიგზავნით. კვლავ ყოველივე კარგს გისურვებთ. იოსებ მეგრელიძე“.

1971 წელს გამომცემლობა „საბჭოთა აჭარა“ შეუდგა ჯემალ ნოლაიდელის „ნარკვევებისა და ჩანაწერების“ ოთხტომეულის ბეჭდვას, რო-

მელიც გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა და დამატებითი ცნობები დაურთო ბატონმა იოსებმა. ოთხტომეულის მეორე წიგნი 1973 წლის დასაწყისში ვიხილეთ. აქაა მოგონებები ივ. ჯავახიშვილზე, რომელიც წიგნის სტრუქტურასთან ორგანულ კავშირშია. ძირითადი ნაწილია დიალექტოლოგიური გამოკვლევები, მათ შორის აჭარული კილოს თავისებურებანი, დისიმილაცია, მორფოლოგიური მხარე, აჭარული დიალექტის მიმართება მესხურთან. ერთეის აგრეთვე „აჭარელთა მეტყველების ნიმუშები“, „აჭარელთა ბუნებრივი მეტყველება“ და სხვა.

ეს არის დიდი შენაძენი მკვლევარისათვის. ამიტომ იყო, რომ ი. მეგრელიძეს ვაცნობე: იმ დიდი მეგობრული, უანგარო შრომისათვის, რომელიც თქვენ გასწიეთ ჯ. ნოლაიდელის მეცნიერული ნამოღვაწარის პუბლიკაციისათვის, ამ საკითხებით დაინტერესებულ პირთა გულითად პატივისცემასა და მადლობას იმსახურებთ-მეთქი.

მან ასე მიპასუხა:

„ჩემო სესნია, დიდი მადლობა წერილისა და გაბზეთ „სოვეტსკაია აღჟარიას“ 22 მარტის ნომრისათვის. თქვენი გულისხმიერი გამოსმაურება ჯ. ნოლაიდელის ნაშრომების გამოცემაზე ნიშნაეს, რომ თქვენ კარგად გეძიით ის სიძნელეები, რომლებიც ასეთი გამოცემის მომზადებას ახლავს და შემდეგ ბეჭდვის ნებართვას.

ხელმძღვანელობა ჩაერიე გამოცემის საქმეში. — 1969 წლიდან მხოლოდ მეორე წიგნი გამოიცა და მესამე 1973 წლის გვერდშიც კი არ მის!

თქვენ მოგეწონათ, რომ შენიშვნებიც აჭარის სიყვარულით არის დაწერილი, 15 თაბახის მაგიერ დაიბეჭდა 12,5, დანარჩენი ჩემი შეიკეცია! რატომ?...

ვისურებთ ყოველივე კარგს და კიდევ ერთხელ გმადლობთ“.

*პატივისცემით იოსებ მეგრელიძე. თბილისი. 30. III. 73.*

მეცნიერის შემფოთება უსაფუძვლო არ იყო. ნოლაიდელის გამოკვლევების მესამე ნაწილი მხოლოდ 1977 წელს გამოიცა (შემცირებული ვარიანტი). მეოთხე კი 1981 წელს. ამით ი. მეგრელიძემ მართლაც დიდი ამაგი დაგვდო. წიგნში ფართოდ აისახა ჩვენი მხარის შორეული და ახლო წარსულის საკვანძო საკითხები. 1971 წლის 14 ივლისს გაზეთ „წიგნის სამყაროში“ იგი სამართლიანად შენიშნავდა, რომ აკადემიკოს ნიკო მარს ეკუთვნის თვალსაზრისი: „მდინარე ჭოროხის აუზში და არა რიონზე, მოსახლეობდა, როგორც ჩანს, ტომი, რომელმაც შექმნა ძველი კოლხიდა“.

საქართველოს ისტორიის რეატომეულის პირველ ტომში ამ ფაქტზე არაფერია ნათქვამი, ისევე, როგორც ნ. მარის მიერ ისტორიული სამხრეთი საქართველოს — ტაო-კლარჯეთის არქეოლოგიურ და ჭანეთის ენობრივ-ეთნოგრაფიულ შესწავლასა და სხვა საკითხებზე.

ი. მეგრელიძეს ეკუთვნის გამოკვლევები: „ლაზარობა აჭარაში“, „მეხლიანობა აჭარაში“, „კარის მეზობლები“, წერილები აჭარელთა ჩასახლებაზე გურიაში, კერძოდ ჩხაკოურაში, ზოტსა და ქვაბლაში, აჭარული ლექსიკის გურულისადმი მიმართებაში და სხვ. ივანე ჯავახიშვილის გამოთქმასთან – „ლაზარეს გააკეთებენ“ – დაკავშირებით იგი წერდა: მეცნიერს არა აქვს განმარტებული, თუ რას ნიშნავს „ლაზარეს გააკეთებენ“. ჩანს, მას სათანადო მასალა არ ჰქონდა. ამის ახსნის საშუალებას კი აჭარული მასალა იძლევა: „სოფლის გოგო-ბიჭები დედოფალს აკეთებენ და ცეკვა-თამაშებით სოფელს დაუვლიან და თან „ლაზარიას“ მღერიან. ამრიგად, ლაზარობა, რომ არა მხოლოდ ქართლ-კახეთში, არამედ დასავლეთ საქართველოშიც სცოდნიათ, ამისი უტყუარი მოწმე დღევანდელი აჭარაა. რაკი ლაზარობის კვალი აჭარაშიც აღმოჩნდა, ცხადი ხდება, რომ იგი საერთო ქართული რიტუალი ყოფილაო (ყურნ. „ჭოროხი“, 1970, №4). აჭარაში შემორჩენილ ლაზარობის ამსახველ სხვა მასალებს ი. მეგრელიძე მიმოიხილავს 1984 წელს გამოცემულ თავის წიგნში „სიძველენი ლიხვის ხეობაში“. მისი განმარტებით, ოჯახში დარჩენილთაგან, იაილაზე, შუამთობის დღესასწაულზე წამსვლელს მენხლიანი ეწოდება, ხოლო კოლექტიურ გამგზავრებას მენხლიანობა, რომლის ვარიანტი იყო მენხლიანობა, რაც დასტურდება ქედის და, განსაკუთრებით, ხულოს რაიონებში.

ი. მეგრელიძე ამ სიტყვას უკავშირებდა ტერმინ მეხარე-მეხრეს არა მხოლოდ ხარის, არამედ მწყემს-მენახირეს გაგებით. იმასაც დასძენდა, რომ ცნობილია ქართული ტერმინი მემხნენი, რომელიც გვერდით მდგომთ, თანამომღერლებს აღნიშნავს. არაა გამორიცხული, რომ „მენხლიანი“ მიმღეობა – „მხლებელ“ ფორმისაგან იყოს ნაწარმოები, რაც დასადგენიაო“. მისი აზრით, მენხლიანობა ძველ მომთაბარე მესაქონლეთა დღესასწაულის გადმონაშთია („ჭოროხი“, 1971, 1, გვ. 82-93).

აჭარა-გურიის მცხოვრებთა ურთიერთობაზე, ჩხაკოურა-ბოტიქვაბლის აჭარელთა მეტყველებაზე, ჩვენი მხარისათვის დამახასიათებელ რიგ სიტყვა-ტერმინებზე საუბარია გამოკვლევაში „კარის მეზობლები“, რომელიც ჟურნალმა „ლიტერატურულმა აჭარამ“ (1969 წ. №3) გამოაქვეყნა. მანვე დაადგინა, რომ „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებული ტერმინები – საყე (ბოძი, სარი), პაშტა (ბეერი, მომრავლებული) და სხვა დაცულია აჭარულ დიალექტში.

ქველი ჩხატარაშვილის ერთი, მეტი რომ არ ვთქვათ, აბსურდული აზრის შესახებ: 1988 წლის 13 აპრილს გაზეთ „წიგნის სამყაროში“ გამოქვეყნდა მისი თვალსაზრისი, რომ, რადგან, ძველად ქართველები მაჰმადიანებს თათარს ეძახდნენ, ჩვეულებრივი იყო გამოთქმები: „ქუთაისელი თათარი“, „ქობულეთელი თათარი“.. მან ვერ გაიგო ის, რომ ქუთაისელი

თათარი ნიშნავდა არა მარტო მაჰმადიანს, არამედ იქაურ არაქართველს, ვთქვათ თურქს, აზერბაიჯანელს, ქობულეთელი თათარი კი – აჭარელს.

ამიტომ იყო, რომ ი. მეგრელიძე ამავე გაზეთში 1988 წლის 25 მაისს წერდა: „რეცენზენტი ერთიმეორის გამომრიცხველ შეფასებებს გამოთქვამს. ასეთი კრიტიკა ტენდენციურია“.

ბატონი იოსები ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ აჭარული კილო განსაკუთრებით საინტერესოა ლექსიკურად, მასში ძველი ქართული ენის არაერთი ისეთი სიტყვაა შემონახული, რომლებიც ახალ სალიტერატურო ქართულში აღარ იხმარება. „ვეფხისტყაოსანში“ გამოყენებული სიტყვა „პაშტა“ – ბევრი, მომრავლო, ჩოხატაურის რაიონის სოფ. ზოტშიც გამოვლინდა. ეს სოფელი ასი წლის წინათ ხულოსა და შუახევის რაიონებიდან ჩასახლებულმა აჭარლებმა გააშენეს. აკად. ნიკო მარის მიერ აჭარული კილოს მახლობელ იმერხეულში ამ სიტყვის აღმოჩენამ საბოლოოდ გაარკვია, რომ ეს ძველი ტერმინი ჩვენი მხარის კუთვნილებაა. ტარიელის ხატაეთს წასვლის ამბავში ნათქვამია: „დავაგდეთ ზღვარი ინდოთა, მეულო პაშტაი ხანია“ ე.ი. ბევრი ხანია, მარს მოჰყავს გამონათქვამები: „პაშტა – ბევრი ხანია, როგორც ამიხსნა სურევეანელმა მოლა ეუბმა. იგივე მოვისმინე იმერხეულში მოსიძის სახლში. ასეთივე მნიშვნელობით გავიგონე ეს სიტყვა თეთრაქედში, „პაშტაი დათეები იყო, ბევრი დათეები იყვნენ“ (ნ. მარის მოგზაურობა შავშეთსა და კლარჯეთში. თბ., 1996, გვ. 119).

ჩვენი აზრით, პაშტა ქედის რაიონის ტოპონიმ კვაშტასთან უნდა იყოს დაკავშირებული, ეტყობა ქვაბეერს ნიშნავს და მიღებულია შეკვეცითა და ასოს შეცვლით.

აჭარულში, „ისე როგორც გურულში, არაბული ლადარი – ღვეღფი, ნაკვერცხლებიანი ნაცარი, ლადარას ფორმით გამოითქმის. მისგან ნაწარმოებია ზმნა გამოლადრვა – გამოჭრა. იტყვიან – ყელი, მუცელი გამოლადრა ანუ გამოფუშა-გამოფატრა. რუსთაველი ამბობს:

მაგისმეტი ვინ რა მიყოს.

თუ არ მიჩქლას მუხილად, ღარად.

აჭარულ კილოში შემონახულია საბჯენის, ბოძის, სარის, ბაჯგის გამოხატველი სიტყვა საყე. „ვეფხისტყაოსანში“ მოხსენიებულია „გიშრისა საყენი“, რომელიც უუკოლ ბერიძის აზრით, მეტაფორაა, შედარებადაა გამოყენებული და წვერ-ულვაშს, წარბებს ნიშნავს. ამასთან დაკავშირებით უნდა გავიხსენოთ აჭარის მიკროტოპონიმები: მთა საყენდრია კოლოტაურში, საყენეთი – წყაროთაში, საყანთელელე – ახალდაბაში, საყენი – გუნდაურში, საყონიათი – მერისში, საყულაფურდი – ტუნაძეებში, საყნიძირი და სხვა.

რუსთაველის უკვდავ ნაწარმოებში ცისიერიდან ფონეტიკური ცვლილებებით მიღებული ციციელის – მეხის სემანტიკური პარალელი ნაცარიც დასტურდება, ჩვეულებრივი ნაცრისა და მეხის, მეტეორის სეტყვის სახითაც: „ისხმედეს თავსა მტვერსა და ნაცარსა“ და

ამით დაესხნეს რისხეასა  
სუკით მოსულსა, ნაცარსა.

შემდეგ ი. მეგრელიძე ყურადღებას ამახვილებს სიტყვა მზისთვალზე, რომელიც აჭარულში უფრო გამოკვეთილია, მაშინ როცა გურიასა და კახეთში პასიურ მარაგში თუ ჩნდება, მაგ: მზისთვალი არ ჩანსო. აჭარულში მზისთვალი ხშირად გამოიყენება, მათ შორის ზისთვალის ფორმითაც. უფრო სრულია მკვლევარ ჯემალ ნოლაიძელის მიერ ჩაწერილი მზისთვალი და ბზისთვალი. მზისთვალი მყარად ზის აჭარულ ლექსში ლაზარობაზე. ნიკო მართი, ძველქართულში ბზისთვალი სწორედ მზისთვალის მნიშვნელობითაა ცნობილი.

ჩვენს მხარეში ყმაწვილის მნიშვნელობით ახლაც ხმარობენ სიტყვა მარტვილს, სამეგრელოში ასე ქალაქს რომ ჰქვია. წამებულზე კი ძველად იტყოდნენ მარტვირი.

სპარსული წარმოშობის ტერმინიდან – აბაზანა, აჭარლებმა აწარმოეს ავაზანა – ნავისებური წყლის ჭურჭელი, საწნახელის მსგავსი, პირუტყვის დასარწყლულებლად. სულხან-საბა ორბელიანი წყლის საგუბარის სახელითაც მოიხსენიებდა. ავაზანა ზემო აჭარაში იციან. მორს ამოკვეთენ, ანუ გულს ამოიღებენ, ქვებზე შედგამენ, წყალი მუდმივად ჩაედინება, ფეხსაცმლის გასაწმენდადაც კი იყენებენ. მიკროტოპონიმი ავაზანი არის ქედის რაიონის სოფ. კანტაურში, შუახევის რაიონის სოფ. ცხემლისში, ხულოს რაიონის სოფ. დიოკნისში, ტაბახმელაში; ავაზები – ქედის რაიონში სოფ. ჯალაბაშვილებში, ხულოში – დიოკნისში, ტაბახმელაში. ავაზნები – ქედაში, სოფ. ჯალაბაშვილებში, ხულოს კალოთაში; ავაზნიყანა – ბულაურში, აგრეთვე ავაზნიპირი, ავაზანათი, ავაზანქვა, ავაზანჯოლო, ავაზნიტები და სხვა. ჩვენს მხარეს ახასიათებს აგრეთვე ნაწარმოები კომპოზიტები: გოგოშვილი ანუ ქალიშვილი, ხოლო ვაჟიშვილზე იტყვიან – ბიჭიშვილს. აი, ბერილი კი დათვის ბუნაგია, ბარწა – ბერწადან მომდინარეა ბერწიშვილი, ერთი წლის ხბოს რომ ნიშნავს. აჭარულ ფოლკლორში ნათქვამია:

ქალამანი შევიკერე,  
ხარის თავრილია,

თავრიელს თავის ტყავს, ასევე საქალამნეს უწოდებენ.

კეყერა ფხლის, კომბოსტოს თავზე, ანუ აჭარულად – ხვიტზე იტყვიან დუდფხალი, რომლის პირველი კომპონენტი მეგრელიძის მიხედვით, ჭანურ-მეგრულია. სხვათა შორის, ჩვენც გაგვიგონია გამოთქმა „თავის დუდი“, „თავის დუდზე დამხედე“, რომელშიც დუდი ასევე თავის შუაგულს უნდა ნიშნავდეს. ცნობილ შერიფ ხიმშიაშვილის დედას, სახელოვან ბეჟანიძეთა ასულს დუდი ხანუმი ერქვა, ე.ი. თავის, მთავარის, დიდის გაგებით.

ქედის რაიონის სოფ. ძენწმანში ბავშვობაში არაერთხელ გამიგონია: „დააკურჭლოთ კაკალი ლობიო“ ანუ გავაცალოთ კანი, გამხმარი წენგო. ამ პროცესში ჩვენც ემონაწილეობდით.

ი. მეგრელიძის მიხედვით, აჭარლები კაკალს კარჭალსაც უწოდებდნენ თურმე. აი ამ სიტყვიდანაა წარმოებული ტერმინი დაკურჭვლა. ჩვენში ასევე შემორჩენილია სიტყვა როფი – გაროფვა, ხოლო წერილი თევზის აჭარულ სახელწოდება ჭარფალიდან გურიაში მიღებულია დაჭარფალება, მაგალითად გოჭების.

დასასრულ, ი. მეგრელიძე დასძენდა: „ჩვენ შეგნებულად და განგებ დავასახელებთ აჭარული ლექსიკის ისეთი მაგალითები, რომლებიც „ვეფხისტყაოსანში“ პოულობენ პარალელებს. ასე რომ, გავყვეთ და ძველი ქართული კლასიკური მწერლობის სხვა ძეგლებიდანაც მსგავსი მაგალითები ამოვკრიფოთ, კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდება ის დებულება, რომ აჭარული ლექსიკურად საინტერესო კილოა“ (ჯ. ნოლაიდელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 2, გვ. 237, ბ. 1972, იხ. ი. მეგრელიძის წერილი).

P.S. ჯ. ნოლაიდელი და ი. მეგრელიძე ერთად სწავლობდნენ, მეგობრობდნენ, 1933 წელს იოსები ლენინგრადიდან სთხოვდა მიეწოდებინა ზოგიერთი ცნობა და მასალა კრებულისათვის „ნაროდი სსსრ“. ცალკე გამოაკვეყნა „თქმულება ვეფხისტყაოსნის“ აჭარულ ვარიანტზე, მასალები მიაწოდა 1936 წელსაც. 1964 წელს ი. მეგრელიძე ჯ. ნოლაიდელს სწერდა: „ჯემალ, თქვენ დიდი ამაგი დასდეთ აჭარას, მთელ საქართველოს, არასოდეს განდიდებისათვის არ შეგიწუხებიათ თავი და სხვები, საკუთარ დანაზოგს ახმარდით ჩვენს მეცნიერებასო“.

## სანდრო ახმეტელი

გამოჩენილი რეჟისორი, საქართველოს სახალხო არტისტი, სანდრო ახმეტელი ნოვატორი შემოქმედი, ქვეყნის პატრიოტი, ახალგაზრდების მეგობარი და დამცველი იყო. დასაძინა, რომ შემოქმედებითი წვა და ძიება ადრე მოუსწრაფეს – 1937 წელს, როგორც ხალხის მტერი, სიცოცხლეს გამოასალმეს.

1932 წლის ივლისში ბათუმში საგასტროლოდ ჩამოვიდა თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრი სანდრო ახმეტელის ხელმძღვანელობით. ზოგიერთების აზრით, მაშინ აჭარის ხელმძღვანელობამ ბატონ სანდროს სთხოვა ამ თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში შეექმნა აჭარის სექცია, რათა აჭარის წარმომადგენელთაგან ბათუმის თეატრისათვის მსახიობები მოემზადებინა.

საქართველოს სახალხო არტისტი მურად ხინიკაძე თავის მოგონებებში „თვალი მიძებნის შენ თავს“ წერდა: „ახმეტელს დაუყენებია საკითხი აჭარის პარტიულ და საბჭოთა ორგანოების წინაშე: კადრებს ვუმზადებ შუა აზიის რესპუბლიკებს, დაღესტანს და ადგილებზე თეატრებს ვუხსნი, ბათუმშიც შევარჩევ ახალგაზრდებს, მოვამზადებ და 3-4 წელიწადში მუდმივი თეატრი გექნებათ, ოღონდ ბინითა და სტიპენდიით თქვენ უზრუნველყავით ყმაწვილები, ჩვენ კი უფასოდ მოვამზადებთ“.

ამასთან დაკავშირებით, განცხადება გაზეთშიც გამოქვეყნდა. პირველ სექტემბერს შერჩეულნი თბილისში ახმეტელს თბილად მიუღია. ყველა მიზანსცენას, მოძრაობას თვითონ უჩვენებდა. „აჭარის სექციის“ წევრებს – მურად ხინიკაძეს, იუსუფ კობალაძეს, ისკენდერ კაიკაციშვილს და სხვებს უკითხავდა ლექციებს, მამასავით ზრუნავდა მათზე. ბინის საკითხის მოგვარებაშიც დახმარებია. მურადი ამ ჯგუფის წარმომადგენლად დანიშნა, სპექტაკლებშიც ჩააბა.

1933 წელს აჭარის სექციის სტუდენტები მოსკოვ-ლენინგრადში საგასტროლოდ გაიყოლია. ამით გახარებულმა მურადმა ქეიფი გამართა და კიდევ გამოთვრა. ამის გამო ახმეტელმა „მურატს (ასე ეძახდა) კისერი მოუგრიხა და სკამზე დააგდო“, – რა ქენი, მიჰყიდე სული ეშმაკსო, – უთხრა. ლენინგრადში რუსთაველთა გასტროლებზე ყოფნისას, ერმიტაჟსა და პეტერგორფში ექსკურსიებზე დავეყვით და – თვითონ სანდრო გვიხსნიდა ყველაფერსო, – იგონებდა ხინიკაძე.



ახმეტელის რეაბილიტაციის შემდეგ, მურად ხინიკაძემ, პირველმა, 1958 წელს ჟურნალ „ლიტერატურულ აჭარაში“ გამოაქვეყნა წერილი მასზე. ამასთან დაკავშირებით დიდი შემოქმედის ქვრივი თამარ წულუკიძე ატყობინებდა: „წერილი ძალიან კარგია, გულწრფელი სიყვარულითაა დაწერილი. ხომ გახსოვთ, მურად, რა განსაკუთრებული მშობლიური სინაზით გეპყრობოდათ, როცა რაიმე სათხოვარი გქონდათ, ან სხვა რამ, ამხანაგები თქვენ გგზავნიდნენ მასთან დელეგატად“. მეორე წერილით თხოვდა მიეწოდებინა მისთვის მასალები, მათ შორის მოგონება ახმეტელზე იმასთან დაკავშირებით, რომ თეატრალურ ინსტიტუტში ამზადებდნენ სესიას მის მეთოდზე, რეჟისორულ მუშაობასა და დანერგილ სიახლეებზე, რაც მ. ხინიკაძემ სიამოვნებით შეასრულა. ყურადღება არც შემდეგ შეუნელებია. 1971 წელს ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ №4-ში მ. ხინიკაძე სამართლიანად დასძენდა, რომ 1937 წლიდან არ არის ახმეტელი, ბევრი რამ შეიცვალა, გაირკვა, მაგრამ დღემდე მაინც ბოლომდე გაუხსნელი დარჩა იმ საიდუმლოების არსი, რომლითაც აღტაცებას გვრიდა იგი მაყურებელს.

სხვა წერილებში ხინიკაძე განიხილავს დიდი მასწავლებლის შემოქმედებითი საქმიანობის ფორმებსა და მეთოდებს, მის სიყვარულსა და მომთხოვნელობას ადამიანებისადმი. ერთხელ, ბათუმში მაყურებელთა ნაწილი თეატრში ზუსტად დათქმულ საათზე მოსულა, კარები დახურული დახვდათ, ვერც თხოვნამ გაჭრა. – მე ჩემი წესი მაქვს, გამონაკლისი არ არსებობსო, განაცხადა ახმეტელმა, სხვა სპექტაკლებზე დარბაზი უკვე დაწყებამდე სავსე იყო.

ხინიკაძის დახასიათებით, სანდრო ახმეტელი ტრაგიკული პიროვნება იყო. მისი აზრები, მისწრაფებები, მოწოდება წინ უსწრებდა მაშინდელი საზოგადოების ყოფას, ხალხი არ გააპტიებს თუ მას არ ჰგეგხარ, ახმეტელი ვერ დაიმგვანეს და დაუწყეს ბრძოლა. პეტერბურგში კახეთის წითელი პარტიზანების ხარჯზე სწავლობდა. 1921 წელს ყალბი, მოგონილი ბრალდებებით სიკვდილი მიუსაჯეს, მაგრამ ორჯონიკიძის ჩარევით გაამართლეს. ქართული საბჭოთა თეატრის შექმნის მიზნით, ჩამოაყალიბა ამხანაგობა, რომელმაც დარაზმა ახალგაზრდობა, შექმნა ნამდვილი თეატრი ახალი მისწრაფებებით. 1935 წელს, მიუხედავად საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებისა, თეატრში არ დააბრუნა ხორავა და ვასაძე. ეს ერთგვარი საბაბი გახდა და ახმეტელი თეატრის დირექტორობიდან და სამხატვრო ხელმძღვანელობიდან მოიხსნა. ამან ყველას გაუხსნა ხელფეხი და წამოვიდა ბრალდებების ნიაღვარი, გამკითხავი არავინ იყო, ახმეტელის დაპატიმრების შემდეგ კი მის მოწინააღმდეგეთა ზეიმი დადგა, ყველა დაბრალება საღდებოდა. ამ მოძრაობაში,

აღმდეგეთა ზემო დიდგა, ყველა დაბრალება საღებოდა. ამ მოძრაობაში, სამწუხაროდ, ჩაერთნენ ცნობილი მსახიობები, რეჟისორები, მხატვრები, კომპოზიტორები, მწერლები... მათი სახელები შემორჩნენ ქართული კულტურის ისტორიას, მაგრამ გულნამცეცობასა და ინტრიგებს აყოლილები, მარადმოუხდელ ვალში დარჩნენ დიდი სანდრო ახმეტელის ნათელი სულის წინაშე.

დავუბრუნდეთ ისევ მ. ხინიკაძის მოგონებებს: „უნდა აღინიშნოს, რომ აჭარის ჯგუფი დიდი სიყვარულით, პატივისცემითა და ყურადღებით იყო მოსილი რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივის მიერ. სტუდიის პედაგოგები განსაკუთრებულ ზრუნვასა და სიყვარულს იჩენდნენ ჩვენს მიმართ. მათი სიტბო და აღერსი დაუვიწყარია ჩვენთვის. ჩვენი აღმზრდელი პედაგოგები – სანდრო ახმეტელი, აკაკი ვასაძე, ია ქანთარია, ელგუჯა ლორთქიფანიძე, ვანო ლალიძე და სხვები საკუთარი შვილებივით გვზრდიდნენ და ზრუნავდნენ ჩვენზე.

„აჭარის სექციის“ მსმენელები – ნუცა ფხაკაძე, გრიშა კობახიძე, იუსუფ კობალაძე, ისკენდერ კაიკაციშვილი და სხვები სისტემატურად მონაწილეობდნენ რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის სპექტაკლებში. მასობრივი სცენების გარდა, ისინი ცალკეულ როლებსაც თამაშობდნენ.

დასასრულ, მიმოვიხილოთ თეატრმცოდნე გრიგოლ ბუხნიკაშვილის ცნობები. 1932 წელს, ბათუმში რუსთაველის თეატრის გასტროლების დროს, აჭარის ხელმძღვანელობამ ისარგებლა შემთხვევით და შეუთანხმდა ახმეტელს, რომ რუსთაველის თეატრთან არსებულ დრამატულ სტუდიაში შეექმნათ აჭარის სექცია და მომზადებულიყო მსახიობთა ჯგუფი ბათუმის თეატრისათვის. გასტროლების მსვლელობისას გამოცხადდა მიღება სტუდიაში, შემოვიდა 64 განცხადება, შეარჩიეს 20-ზე მეტი. თბილისში სწავლისას ისინი რუსთაველის თეატრის თანამშრომლებადაც ითვლებოდნენ და მონაწილეობდნენ თეატრის საუკეთესო წარმოდგენებში: „ანზორი“, „რღვევა“, „თეთნულდი“, „განგაში“ და სხვა. ოთხი წელი დაჰყვეს აჭარის წარგზავნილებმა სტუდიაში, სრული კურსი დაამთავრეს და მოამზადეს სადიპლომო სპექტაკლი „სასტუმროს დიასახლისი“, გაზეთებმა „ახალგაზრდა კომუნისტმა“, „ლიტერატურულმა საქართველომ“ და „საბჭოთა აჭარისტანმა“ მაღალი შეფასება მისცეს მათ საქმიანობას, მოიხსენიეს ფხაკაძე, კობალაძე, კაიკაციშვილი, ლლონტი, ცივაძე.

შემდეგ ჩვენმა წარგზავნილებმა მონაწილეობა მიიღეს გიორგი მღივნ-

ის პიესა „ბრმას“ დადგმაში. ამას მოჰყვა სტუდიელთა ოფიციალური გამოშვება, სტუდია წარმატებით დაამთავრა 21-მა ახალგაზრდამ: ლილი აფხაზავამ, ნუნუ თეთრაძემ, ნინო ფხაკაძემ, ხასან ბაბუჩაიშვილმა, ილია ბაკურიძემ, ხასან ბეჟანიძემ, ასლან ბოლქვაძემ, იოსებ ებრალიძემ, სულეიმან თურმანიძემ, ასლან თხილაიშვილმა, იუსუფ კობალაძემ, ისკენდერ კაიკაციშვილმა, სულეიმან კახიძემ, ხასან მეგრელიძემ, ალექსანდრე სარჯველაძემ, ზორბეგ ლლონტმა, ესედ ცივაძემ, მურად ხინიკაძემ, ომარ ხალვაშმა, მ. წიკნაძემ და ქ. ლომაძემ.

სამამულო ომში მონაწილეობდნენ ა. თხილაიშვილი, ს. თურმანიძე, რომლებიც სახლებში დაბრუნდნენ. სულეიმან კახიძე დაიღუპა. აჭარის დამსახურებული არტისტი ა. კაიკაციშვილი გარდაიცვალა 1962 წელს, ასევე ადრე წაყიდნენ ესედ ცივაძე და ხასან ბეჟანიძე.

1937 წლის 18 მარტს ამ კოლექტივის ძალისხმევით საზეიმოდ გაიხსნა აჭარის ახალი თეატრი. ეს სწორედ სანდრო ახმეტელის დაუღალავმა მეცადინეობამ განაპირობა, სწორედ მან და რუსთაველის თეატრმა მოგვიზადა შესანიშნავი მხატვრული კოლექტივი, რომელიც მტკიცე საფუძვლად დაედო თეატრალური ხელოვნების განვითარებას აჭარაში.

## სმრბო ზაქარიასძე

რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო აკადემიური თეატრის დირექტორი და სამხატვრო ხელმძღვანელი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, ორგზის სახელმწიფო და ლენინური პრემიების ლაურეატი სერგო ზაქარიასძე ჩვენი მხარის ხშირი სტუმარი და მეგობარი იმიტომაც იყო, რომ მან ორჯერ კენჭი იყარა საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად ხელვაჩაურის №499 საარჩევნო ოლქში.

ბატონმა სერგომ უბადლო ოსტატობით გამოძერწა მონუმენტური სახეები სცენაზე: თინიბეგი („ზვაეი“), ბესიკი („ერეკლე მეფე“), აკოსტა („ურიელ აკოსტა“), არბენინი („მასკარადი“), ნიკო („ნიკო ფიროსმანაშვილი“), ოდიპოსი („ოდიპოს მეფე“), კრეონტი („ანტიგონე“), აგაბო („სანამ ურემი გადაბრუნდება“), ხოლო ეკრანზე – სიმონა („ადარიკო“), თორღვაი („ელისო“), მოხუცი მეზღვაური („ზღვის ბილიკი“), გენერალი ბაგრატიონი

(„კუტუზოვი“), ფოსტალიონი („დღე პირველი, დღე უკანასკნელი“), შადიმანი („გიორგი სააკაძე“), გოგია უიშვილი („პალიასტომის ტბა“), ალმასხანი („მეხვედრა წარსულთან“), მინაგო („მაღლე გაზაფხული მოვა“) და სხვა.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ განსახიერებული გიორგი მახარაშვილის როლი კინოსურათში „ჯარისკაცის მამა“, რისთვისაც 1965 წელს მოსკოვის საერთაშორისო კინოფესტივალზე სპეციალური პრიზი მიიღო, ხოლო მომდევნო წელს ლენინური პრემია.

1966 წელს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნები დაინიშნა. ეროვნებათა საბჭოში ხელვაჩაურის №499 საარჩევნო ოლქში დეპუტატობის კანდიდატად ბატონი სერგო დაასახელეს. 26 მაისს გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ გამოაქვეყნა „კომუნისტებისა და უპარტიოთა ურღვევი ბლოკის“ კანდიდატების ფოტოსურათები და ავტობიოგრაფიები; მათ შორის სერგო ზაქარიადისა, რომელიც არის გამოჩენილი აქტიორი და კინომსახიობი, 1958 წლიდან საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი; დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, საპატიო ნიშნის ორდენებითა და მედლებით, ორგზის მოიპოვა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის წოდება, ხოლო 1966 წელს ფილმში „ჯარისკაცის მამა“ განსახიერებული მახარაშვილის როლისათვის მიეკუთვნა ლენინური პრემია“. ზაქარიადის კანდიდატურა რეგისტრაციაში გაატარა ამ ოლქის საოლქო საარჩევნო კომისიამ და ხელვაჩაურელმა მშრომელებმა ერთხმად აირჩიეს იგი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატად. უნდა ითქვას, რომ შემოქმედებითი ძიებით გამოწვეული მოუცლევლობის მიუხედავად, ხალხის მსახურმა ხელი შეუწყო რაიონის მრავალი რიგი საკითხის მოგვარებას, მათ შორის ჭოროხის ნაპირსამაგრი სამუშაოების წარმართვისათვის სახსრების გამოყოფას.

1969 წლის 6 ივლისს რუსთაველები სერგო ზაქარიადის ხელმძღვანელობით ბათუმში გასტროლების გასამართავად ჩამოვიდნენ. წარმოადგინეს ცაგარელის „ხანუმა“, ქიაჩელის „გვადი ბიგვა“, ელიოზიშვილის „ბებერი მეზურნეები“, დუმბაძის „მზიანი ღამე“ და იოსელიანის „სანამ ურემი გადაბრუნდება“. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ 1969 წლის 5 ივლისის ნომრის მთელი მესამე გვერდი რუბრიკით „მოგესალმებათ აჭარა“, სტუმრების გასტროლებს დაეთმო. აქ მოთავსებული იყო საქართველოს სახალხო არტისტის იუსუფ კობალაძის წერილი „დიდი ხელოვანი“, საქართველოს დამსახურებული არტისტის ხასან მეგრელიძის, მეცნიერების დამსა-

ხურებული მოღვაწის ხარიტონ ახვლედიანის მისაღმებანი, ეროსი მანჯ-გალაძის, გიორგი გეგეჭკორის, რამაზ ჩხიკვაძის, ბუხუტი ზაქარიაძის, კარლო საკანდელიძის, კახი კაციაძის, ეკატერინე ვაჩნაძისა და მედეა ჩახავას გამონათქვამები და ფოტოსურათები, ცხრილი იმისა, თუ როდის რა სპექტაკლს ნახავენ მაყურებლები. სხვათა შორის, ადგილობრივი გაზეთები მომდევნო ნომრებში ამუქებდნენ რუსთაველის თეატრის ბათუმში მიმდინარეობას.

გაზეთმა „საბჭოთა აჭარამ“ 1969 წლის 5 ივლისს გამოაქვეყნა აგრეთვე სერგო ზაქარიაძის ინტერვიუ, რომელშიც მომავლის ამოცანებზეც ისაუბრა, ხოლო კითხვაზე „რას გვეტყვი ბათუმზე?“ – უპასუხა: „ორი-ოდე სიტყვით ბათუმზე არაფერი ითქმება. ამ ქალაქზე ან ლექსი უნდა დაწერო, ან მუსიკა, ან უნდა დახატო იგი, ან ეცადო მისებრ ლამაზი და წმინდა რამ შექმნა.

ჩვენც ვეცდებით ჩვენი სათქმელი სცენიდან გითხრათ“.

1970 წელს სერგო ზაქარიაძე ამავე ოლქში კვლავ წამოაყენეს დეპუტატობის კანდიდატად. ამასთან დაკავშირებით დაბა ხელუჩაურში, თხილნარში, გონიოში, ახალსოფელსა და მაჭახლის ხეობის სოფლებში, კირნათსა და სარფის სასაზღვრო საგუშაგოზე გულთბილი შეხვედრები გაუმართეს. მახოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ლევან მჭედლიშვილმა ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა. დიდმა ხელოვანმა, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს ეროვნებათა საბჭოს დეპუტატობის კანდიდატმა ამომრჩეულებს აცნობა, რომ თეატრი, რომელსაც იგი უდგას სათავეში, საგასტროლოდ პირველად მიემგზავრება გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთში, რომ მთელ ძალასა და ენერგიას კვლავ მოახმარს ხალხისა და ხელოვნების სამსახურს. თხილნარელებთან შეხვედრისას, სადაც ზაქარაძეებიც ცხოვრობენ, თქვა: ჩემი წინაპრები იმერეთში აჭარიდან გადასულანო (ი. ბეკირიშვილი, ასი აჭარული გვარსახელი).

ეს არჩევნები გაიმართა 1970 წლის 14 ივნისს. ს. ზაქარიაძე ერთხმად, მეორეჯერ, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. დიდ ხელოვანს, მოღვაწეს, ნარკვევი უძღვნა საქართველოს სახალხო არტისტმა მურად ხინიკაძემ, რომელიც გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნდა.

დიდი შემოქმედი თავისი დაბადების 60 წლისთავს ვერ მოესწრო, რომლისთვისაც ბათუმში საგანგებოდ ემზადებოდნენ – იგი 1971 წლის აპრილში მოულოდნელად გარდაიცვალა.

მისი კოლეგები – რუსთაველები ჩვენს მხარეს საგასტროლოდ 1982 წლის აგვისტოში კელავ ეწვივნენ და ჩვენთან ერთად დიდი ხელოვანი გულისტკივილით გაიხსენეს.

აჭარის რადიოს „ოქროს ფონდში“ ინახება მაგნიტოფირზე ჩაწერილი ს. ზაქარიაძის სიტყვები, წარმოთქმული 1966 წლის 26 ივნისს და 1970 წლის 15 ივნისს სოფელ ერგესა და დაბა ხელვაჩაურში ამომრჩეველებთან შეხვედრაზე (წერილი გამოქვეყნდა 2002 წლის 19 ნოემბერს გაზეთ „ბათუმში“).

## ვერიკო ანჯაფარიძე

ამ გვარის წარმომადგენლები ჩვენს ქალაქში XIX საუკუნის დასაწყისში დასახლებულან. 1918 წელს გიზო ანჯაფარიძე ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე იყო.

გამოჩენილმა მსახიობმა ვერიკო ანჯაფარიძემ, როგორც ხელოვანმა, შეიძლება ითქვას, რომ ბათუმში აიღვა ფეხი. 1921 წელს ანუ აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველ თვეებში რუსთაველის სახელობის თბილისის სახელმწიფო თეატრის მსახიობთა ჯგუფმა ჩვენს ქალაქში კონცერტი გამართა. ჯგუფში შედიოდნენ მიხეილ ჭიაურელი, 21 წლის ვერიკო ანჯაფარიძე, ზურაბ გომელაური და სხვები.

1925 წელს ახალგაზრდა მსახიობი ბათუმის სახელმწიფო თეატრში შეუდგა სასცენო მოღვაწეობას და რამდენიმე წელი აქ დაჰყო. თეატრალური სეზონი გაუხსნიათ მიხეილ ჯავახიშვილის „კვაჭი კვაჭანტირაძის“ ინსცენირებით. წარმატება ხვდა აგრეთვე ბორის ლავრენევის სპექტაკლ „რღვევაში“. გაზეთი „ფუხარა“ 1928 წლის 15 იანვარს ამასთან დაკავშირებით წერდა, თავი მოგვაწონა ვერიკო ანჯაფარიძემ, კირილე მაჭარაძემ და შალვა ბეჟუაშვილმაც. ვერიკო ასევე მონაწილეობდა შალვა დადიანის პიესაში „გუშინდელნი“.

ამ როლებს მოჰყვა მთელი რიგი წამყვანი, დასამახსოვრებელი, შთამბეჭდავი როლები როგორც თეატრში, ისე კინოში. ქალბატონმა ვერიკომ შექმნა სახეები მხატვრულ ფილმებში „საბა“, „კომუნარის ჩიბუხი“ (1929), „26 კომისარი“ (1932), „არსენა“ (1937), „ქაჯანა“ (1941), „გიორგი სააკაძე“ (1942-1943), „ქეთო და კოტე“ (1948), „ბერლინის დაცემა“, „ბე-

დნიერი შეხვედრა“ (1949), „ალბანეთის დიდი მეომარი სკანდენბერგი“ (1956), „ოთარაანთ ქერივი“ (1957), „მამლუქი“ (1958), „შეწყვეტილი სიმღერა (1960), „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“, 1965), „შეხვედრა წარსულთან“, (1966), „დიდოსტატის მარჯვენა“ (1969), „გოია“ (1971) და სხვა.

დიდი ხელოვანი ვ. ანჯაფარიძე თბილისელ არტისტებთან ერთად მრავალჯერ სწვევია ბათუმს საგასტროლოდ, რომელიმე ხელოვანის იუბილეში მონაწილეობისათვის. ამასთან, ხშირად ისვენებდა ჩვენს ზღვისპირეთში, განსაკუთრებით ქობულეთი უყვარდა.

ასე იყო 1979 წელსაც. სწორედ ამ კურორტის სანატორიუმ „საქართველოში“ მაშინ, სექტემბერში, რადიოთი გაიგო, რომ საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტს ვერიკო ანჯაფარიძეს საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით, სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიენიჭა, ანუ ყველაზე დიდი ჯილდო. ამასთან დაკავშირებით, გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ წარმომადგენელმა ვლადიმერ მითაიშვილმა მრავალათასიანი მკითხველის სახელით მხურვალედ მიულოცა ქალბატონ ვერიკოს ესოდენ მაღალი შეფასება, ახალი შემოქმედებითი წარმატებები, ჯანმრთელობა უსურვა.

– „ამ დღეებში, – თქვა მსახიობმა, – უამრავი დეპეშა მივიღე, მილოცავენ ნაცნობები და უცნობები, სხვადასხვა პროფესიის ადამიანები, მაღლობის მეტი რა მეთქმის, დიდად მახარებს, რომ ჩემი ცხოვრების ეს ბედნიერი დღე, აჭარის მიწა-წყალზე ჩემს ყოფნას დაემთხვა. ეს მზიური, მართლაც რომ ზღაპრული მხარე, მე განსაკუთრებული სიყვარულით მიყვარს, ბათუმთან დაკავშირებულია ჩემი ცხოვრებისა და შემოქმედების ბევრი დაუვიწყარი წუთი. მარტო ის ფაქტი რად ღირს, რომ ჩემთვის ესოდენ ძვირფასი კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრი ადრე ქუთაის-ბათუმის თეატრად იწოდებოდა და სწორედ აქ ბათუმში აიდგა ფეხი „ყვარყვარე თუთაბერმა“.

იმასაც გეტყვით, რომ ჩემი ბოლო როლიც – ფატი გურიელი, თქვენი თანაქალაქელის ჩხაიძის პიესა „შთამომავლობაში“ შევასრულე“

დასასრულ გამოჩენილმა ხელოვანმა ასეთი ჩანაწერი დაგვიტოვა: „გაზეთ „საბჭოთა აჭარის“ მკითხველებს, აჭარის ყველა მშრომელს უსაზღვრო მაღლობას ვუძღვნი გულითადი მილოცვებისა და კეთილი სურვილებისათვის. გისურვებთ დიდ წარმატებებს. თქვენი ვერიკო ანჯაფარიძე („საბჭოთა აჭარა“, 1979, 25 სექტემბერი).

28 სექტემბერს კი გაზეთმა მკითხველებს შესთავაზა სანატორიუმ „საქართველოში“ მყოფი ქალბატონ ვერიკოს ფოტოსურათი, გადაღებული დიდ მხატვარ ლადო გუდიაშვილთან ერთად, რომელიც იმავე სანატორიუმში ისვენებდა, იმათ შორის, რომლებიც მაშინ გამოჩენილ მსახიობს, ქართული სცენის დიდოსტატს ეწვივნენ ქობულეთში, იყო ბათუმელი დრამატურგი ალექსანდრე ჩხაიძე. იქვე ისვენებდა ვერიკო და, კინომოღვაწე მერი ანჯაფარიძე, ცნობილი კინორეჟისორის გიორგი დანელიას დედა. მაშინ დიდმა ხელოვანმა გაიხსენა როლი ჩხაიძის პიესიდან, რომლის შემდეგ სცენაზე არ გამოსულა. ამის გამო, მასში დიდი სინანული შეენიშნეო, – წერდა ალექსანდრე ჩხაიძე. ეს ინტერვიუ აჭარის რადიოს „ოქროს ფონდში“ ინახება, აქვეა მისი საახალწლო მილოცვა აჭარის მშრომელებისადმი.

ჟურნალმა „ჭოროხმა“ 1980 წლის №1 გამოაქვეყნა ვ. ანჯაფარიძის საახალწლო მილოცვა, „უსაზღვრო მადლობა, თქვენ გულითადობისა და სიკეთისათვის. გისურვებთ დიდ წარმატებებს,“ – ნათქვამია წერილში.

ქართველი ხალხის საამაყო არტისტი ვერიკო ანჯაფარიძე 1987 წლის იანვარში გარდაიცვალა. მთელს საქართველოსთან ერთად იგი ჩვენმა კუთხემაც დაიტირა (დაიბეჭდა გაზეთ „ბათუმში“, 2002, 17 სექტემბერი).



თსზო IV

ეს არ უნდა  
განმეორდეს

## ნენემ გვასწავლა ენა ქართული!

გულში ქართული სისხლი ვიღვლეათ,  
სულშიც ქართული შუბ გავქეთ ჩაფინტულო,  
ნენემ ქართული ნანა გიმღერათ,  
ნენემ გასწავლათ ენა ქართული.

ეს გახლავთ ნაწყვეტი იოსებ ნონეშვილის ლექსისა, რომელიც დაიწერა 1955 წელს თურქეთში ჩვენებურებით დასახლებულ სოფ. მაჭახელას მონახულებისას.

მწერალმა ვახტანგ ახვლედიანმა თავის ერთ ნოველას „დიდი ნენეს სადღეგრძელო“ უწოდა, ხოლო მეორეს „ფიფქია“, იგი ასე იწყება: „საექიმო პუნქტში მოვიდა დიდი ნენე ზექიე“. ნენეზე საინტერესო ამბავი მომითხრო დამსახურებულმა ექიმმა შაქრო მსახურაძემ. გამოჩენილმა ქირურგმა ეგნატე ფიფიამ, როცა გაიგო მისი პაციენტი აჭარელი ქალი იყო, ასე მიმართა: ნენე, რა გაწუხებთ – საძრავები ნენე, – იყო პასუხი. ექიმებმა ამის გაგონებაზე ერთმანეთს გადახედეს, ვერ გაიგეს, თუ რას ნიშნავდა საძრავები. ამის გამო ეგნატემ დასძინა: – გაიგონებ, აჭარლებმა ქართული არ იციანო, ნენე ხომ იგივე დედაა, ხოლო საძრავები – სახსრები.

რა დასამალია, რომ არც ისე დიდი ხნის წინათ, აჭარაში დედის ნაცვლად უფრო ნენეს ამბობდნენ, ბებიას კი დიდნენეს უწოდებდნენ. პროფ. შ. ნიჟარაძე განმარტავდა, აჭარლები დედას, ბებიას მიმართავდნენ სიტყვით: ნენი, ნენე და კნინობითი – მოფერებითი ფორმა ნენულაით, ე. ი. დედა, დედილო, ბებია, ბებიკო. მოჰყავდა მაგალითებიც: „ნენე რა ლამაზია“, ნენი, ქორწილში წასვლას ხომ არ დამიშლი? რას იტყვი ამაზე ნენულავ და სხვა.

შუახვევის რაიონის სოფ. ქიძინიძეებში შემონახულია ერთი გალექსილი ამბავი, ქალიშვილმა ცუდი სიზმარი ნახა და დედას შესჩივლა:

ნენი, ქოთან დუღდა, გადმოდუღდა,  
ნეტაი, ის რა არიო,  
ნენი, კაღოს დიდი ჯარი იღვა,  
ნეტაი, ის რა არიო.

უწინ აჭარაში ყველგან დედის პარალელურად მართლაც „ნენეს“ ამბობდნენ, ხოლო დედისა თუ მამის დედას „დიდნენეს“ უწოდებდნენ, ე. ი. დიდდედას (ბებიას). ასე მესმოდა მშობლიურ სოფ. აჭარისწყალში,

ნათესაებთან – ძენწმანში, ურეხში, კოლოტაურსა და სალიბაურში. დედის დედა, გორგილაძის ასული რომ მოვიდოდა, იტყოდნენ „დიდნენი მობრძანდა საჩუქრებით“, ახლა უფრო დედას, ბებიას ვამბობთ, მაგრამ სიყვარულით ზოგჯერ ნენეთი, ნენით და დიდნენეთი მოვიხსენიებთ.

ქობულეთელი ასლან ბაჟუნაიშვილი ოსმალთა ჯარში არწასვლის გამო ტყვეში გადაიძალა და მშობლებს აცნობა: „ქალი გარეთ გაიყვანეთ“ ე. ი. ცოლი გადამიძალეთო, „ნენეს კი სალამი მიმიერთეთ, ნიზამში ვერ წავალ, ვერ ავატირებ ნენესა“. ხალხურ მეტყველებაში გაიგონებთ: „ნენეც დამაქორწინე“, „ნენემ ასე დაგვლოცა“. თურქეთის ინეგოლის რაიონში მცხოვრები ჩაქველი და მაჭახლელი მუჰაჯირების შთამომავლები ასევე ნენეს და დიდნენეს ამბობენ. ტერმინი ნენეთი – ბებიის მხარის სანათესაოს ნიშნავს. ნენეს ზოგჯერ აქაც ნენულაის ფორმით ხმარობენ.

ეს დალოცვილი სიტყვები, ქართული ენის კილოკავი, მხოლოდ აჭარისათვის დამახასიათებელი კუთხური სიტყვები კი არაა, არამედ ძველქართული. იგი შემოსული, ნასესხებია შუამდინარეთის, ანუ მესოპოტამიის ცივილიზებული ხალხის – შუმერების ენიდან. შუმერებში იყო ქალღმერთი ნანა – ინანა. შემდეგ ნანა ბერძენ ფრიგიელთა ფერიას ეწოდა, აგრეთვე – სკანდინავიელთა შუქის ღვთაებას.

ქართულში იგი დამკვირდა ნანა და ნენეს ფორმით. სვანები დღესაც დედას ნანას უწოდებენ, აფხაზები – ბებიას ნანდუს, ასეა უდურ ენაშიც. ნანამ ფეხი მოიკიდა მცირე აზიის ძველ ქვეყნებში – კაბადოკიასა და პონტოშიც, რომლის მთავარი ცენტრი ტრაპიზონი იყო და ერთხანს აჭარასაც მოიცავდა. დღეს ჭოროხის მიმდებარე მთაგრეხილის პონტოს სახელწოდებით მოიხსენიებენ: პროფ. გ. გოზალიშვილისა არ იყოს, პონტურ-კაბადოკიურ ნანასა და ქართულ ნენე-ნენას ორგანული კავშირი უდავოა (მითრიდატე პონტოელი, გვ. 185).

ნანა წინააზიურ ღვთაებათა შორის უმაღლესი, ადამიანთა მოღვმის გამაგრძელებელი და ნაყოფიერების ღვთაება იყო, რაზეც მიუთითებენ აკაკი სვანიძე, ნოდარ ჯანაშია, გივი ჟორდანი და ზურაბ კიკნაძე. მკვლევარ გრიგოლ ლაფანციანის ცნობით, სომხურადაც ნანა დედას ნიშნავს, ბერძნებმა კი საკუთარ სახელად დაამკვიდრეს. ასეა საქართველოშიც, სადაც დედისა და ბებიის გამომხატველ ტერმინადაც იქცა. „იბერიის მეფე მირიანს ცოლად ჰყოლია ქალი ნანას სახელით“ (ქართლის ცხოვრება, გვ. 47). თვლიან, რომ ნანა ქართულში შემოსულია მატრიარქატის ეპოქაში, როდესაც ოჯახის უფროსად არა მამაკაცი, არამედ ქალი ითვლებოდა. ასე რომ, ნანა, ნენე, აგრეთვე სიმღერები „ნანა“ „იანანა“ უაღრესად მშობლიურია არა მარტო აჭარის, გურიისა და სვანეთის, არამედ მთლიანად მთელი საქართველოსათვის.

რაოდენ დასანანია, რომ 1997 წლის 26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესთან დაკავშირებით, თბილისში გამართულ სახალხო ზეიმზე, ეს ნანა – ნენე განქიქებად აქციეს, რის გამოც ამ „ანგლოზის“ უხამს სცენარისტ-დირიჟორებს, მათ შორის თბილისის სახელმწიფო კულტურის ინსტიტუტის რექტორ თემურ ჟღენტს საკადრისი მიუზლა თამაზ ტყემალაძემ, რომლის ღია წერილი „ნენე ქართული სიტყვაა და დედას ნიშნავს“, გამოქვეყნდა 1997 წლის 9 ივნისის „დილის გაზეთში“; – უხამსობა არამც და არამც არ ეკადრება აჭარასა და იქაურ ქართველობას, უწინარესად არ ეკადრება საქართველოს... პირდაპირ და გადაჭრით რომ ვთქვათ, ეს იყო უნიჭობის, უგემოვნობის, პროვინციალიზმის, უტაქტობის პარაკლისი, პროვინციული იუმორით შენიღბული აშკარა უზნეობა, ღვარძლისა და გესლის ნთხევა, ათასობით წესიერი ქართველი მოქალაქის, უბრალოდ ნორმალური ადამიანის პირადი შეურაცხყოფა გახლდათ...

26 მაისს ამ ზეიმზე დიქტორმა გამოაცხადა, რომ ბათუმში ახლახან დამთავრდა კინოფესტივალი „ნენე-97“, რომლის პრიზებით, ნენეს, ანუ დედის გამოსახულებით, ვიღაც უკეთურები დაჯილდოვდნენ, ანუ ბანდიტ-ნაძირალები, ხოლო გამარჯვებული ფილმების რეჟისორებად გამოაცხადეს სულეიმანი, დურსუნი, ჰუსეინი და ხალვაში.

თ. ტყემალაძე შემდეგ ეკითხება ჟღენტს: „თუნდაც ხუმრობა-იუმორით, მაგრამ პრიზს ქართველი დედის, დედათქვენის გამოსახულებით მისცემთ ვინმე უღირსს, ვიგინდარას? რა თქმა უნდა, არა. აბა რა დაგიშავათ ნენემ? მოწიწების. დიდი პატივისცემის ნაცვლად დასაცინ საგნად რად აქციეთ...“

ნენემ სახლის და ცრემლის ათასწლეულები გაუბზარავად, საქართველოს ხატება შეურყეველად გამოატარა, მჭადის ცომზე ჯვარს სახავდა და ამით სიმბოლურად აგრძელებდა კავშირს დიდ წინაპრებთან, წარსულთან, სრულიად საქართველოსთან. სათუთად ინახავდა და შთამომავლობას საკუთარი სურვილით გადასცემდა ჩვენს უპირველეს და შეუნაცვლებელ განძს – დედა ენას. ასე იყო ნენე და ასეთივეა დღესაც თურქეთის საზღვრებში მოქცეული ისტორიული საქართველოს მიწაზე. იქაური ქართველები, როცა მშობლიურ ენაზე გვესაუბრებიან, ხაზგასმით ამბობენ: ეს ენა ჩემმა ნენემ მასწავლაო. ტრაპიზონთან ახლოს მდებარე ერთ დაბაში, შემთხვევით გაცნობილი 60 წლის გურჯი დიდხანს გვემუდარებოდა, აქვე ვცხოვრობ, შინ მეწიეთ და თქვენი ქართულით ბებერი ნენეი გამიხარეთო. სხვათა შორის, გვეონია, რომ რუსთაველიც ნენეს ეძახდა თავის სულკურთხეულ დედას... ბოდიში ძმებო, ბოდიში თქვენ და თქვენს ძვირფას ნენეს და თქვენც ბოდიში ჩემო ბათუმელო და ქობულეთელო მეგობრებო, ჩემო ფრიდონ, ზაზა, მამია, ასლან, ალი, შოთა, ნუგზარ, ჯემალ, გურამ... თქვენ, ვისთვისაც წმინდათა წმინდა გრძნობას აღძრავს სიტყვა ნენე“.

ღიას, ნენე ძირძველი ქართული სიტყვაა და არცაა გასაკვირი, რომ იგი ძირძველმა აჭარამ შემოინახა.

ვარჯანისთან, ნაჯვარისთან,  
დაჯვარული ქეები წვანან,  
ქეებში წყმად დაქითიანებს  
წყმი დიდი წენეს ნანა.  
დგრდებს გულში ვიბექსნიდი.  
აჭარული ვიყავ განა!

ესაა ნაწყვეტი ზურაბ გორგილაძის ლექსიდან „ოპოი, ნანა“, მასვე ეკუთვნის ლექსი სახელწოდებით „ნენემ ღიმილიშნა ქალი“, ხოლო ლევან ანანიძე დასძენს:

ტებილ საუბრით ჭადს აკრავდა  
გახურებულ კეცსე წენე;  
– შეიღო, ვიწრო აღმართები  
აეკალთე და შეეხივენე.

ხალხურ-აჭარულ ლექსში მშვენიერადაა ნათქვამი:

ნენეი მიდგა თაროსა,  
დიემსგავსა თეარესა.

გიზო ჭელიძის ნარკვევში „მართლაც რა ენაზე მეტყველებდა მეფე აიეტი“, ხაზგასმულია: „მარტო ის რად ღირს, რომ ფონეტიკურად და სემანტიკურად ერთნაირი ჟღერადობისაა ეტრუსკულში დაცული სიტყვა დედა და მისი ქართველური განფენილობა: დიდა, დი, დე, ან კიდევ ეტრუსკულბასკური და ქართული ვარიანტები ამ სიტყვისა: მეგრული ნანა, აჭარული ნენე და გურული ნენა, ე.ი. არ უნდა იყოს სადაო, რომ აიეტს და მის წინაპრებს ჰქონიათ საკუთარი კოლხურ-ქართული ენა („ლიტ. აჭარა“, 2000, №5, გვ. 19).

უნდა დავასრულოთ აკადემიკოს ვარლამ თოფურიას გამონათქვამით, რომ აჭარლების გაუტეხლობამ და მათმა დაუოკებელმა სწრაფვამ დედასამშობლოსადმი, განაპირობა მშობლიური ენის შენარჩუნება, ამაში კი წინა პლანზე სწორედ აჭარელი ქალი, ნენე წამოსწია.

ასე რომ, როგორც ძველად, დღესაც აჭარლები ნენეს ამბობენ, თანაც დიდი მოკრძალებით.

## იყო თუ არა პლევენის გმირი ოსმან-ფაშა, გვარად თავდგირიძე?

ამთავითვე ვიტყვით, რომ არა, ოსმან-ფაშა თავდგირიძე კი, როგორც ისტორიული პიროვნება, მართლაც იყო, თანაც ორი – ქობულეთელი და მახუნცეთელი, ბათუმის მუთესარიფი (გუბერნატორი), ამასთან, ერთ და იმავე პერიოდში მოღვაწეობდნენ. პლევენის თურქთა სარდალი ოსმან-ფაშა თავდგირიძე არც ყოფილა, აჭარაში არ დაბადებულა და ფეხიც არ დაუდგამს აქ, იგი წარმოშობით ჭანია და მისი ნამდვილი გვარი არცაა ცნობილი.

ახლა თანმიმდევრულად მივყევთ მოვლენებს: 1995 წელს გამოვეცით წიგნი „ამას შენზე ამბობენ. აჭარავ!“, მასში შევიტანეთ საკმაოდ მოზრდილი სტატია „თურქეთში მოღვაწე ქართველები“ (გვ. 107-134). იასე რაჭველი, მუხუზლას, ნ. ბოსტაშვილისა და სხვათა დოკუმენტური მასალების საფუძველზე ვთქვით, რომ თურქეთში დაწინაურებულ თანამემამულეთა შორის გამოირჩეოდნენ აჭარელი თავდგირიძეები. ი. რაჭველის მიხედვით, რომელიც ამ ქვეყანაში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, გასული საუკუნის დამლევეს ქობულეთელი ახმედ თავდგირიძე გვერდში ედგა პროგრესულად განწყობილ ახალგაზრდა თურქ მოღვაწეთა მიერ სულთნის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ ამხედრებულ მურად ბეის. ორგანიზაციის წევრებს კონსტიტუციური უფლებების აღდგენა-დამკვიდრება სურდათ. ახმედ თავდგირიძის დახმარებით იწყეს გაზეთების, მათ შორის „მიზანის“ („სასწორი“) გამოცემა. მოგვიანებით სულთანმა ახმედ თავდგირიძეც შეირიგა, გამოიწვია პარიზიდან და ბელგრადში გაგზავნა სამხედრო ატაშედ. 1908 წელს ახმედ თავდგირიძე ტრაპიზონის დეპუტატად აურჩევიათ.

ნ. ბოსტაშვილი გვაწვდის ცნობებს საკმაოდ გავლენიან გენერალ ბენრი-ფაშა თავდგირიძეზე, მედინის (სირია) და ალეპოს გუბერნატორების მამუდ-ფაშა და ალი-ფაშა თავდგირიძეებზე. ალი-ფაშა თავდგირიძე ქობულეთელი იყო. დანარჩენი ორი ალბათ იმ მახუნცეთელ თავდგირიძეთა შთამომავლები არიან, რომლებიც XVIII საუკუნის დასაწყისში განაგებდნენ გონიოს სანჯაყს. თავდგირიძეებს ტრაპიზონშიც ჰქონდათ მამულები და პასუხსაგები პოსტებიც ეკავათ. არსად, არც ერთ ამ ცნობაში გაკვრივითაც კი არაა მოხსენიებული პლევენის გმირი ოსმან-ფაშა და არსადაც არ წერია, რომ იგი თავდგირიძეა და წარმოშობით – საქართველოდან. ასევე არავის მიუკუთვნებია იგი ხსენებულ თავდგირიძეთა მოდგმისათვის. ამიტომაც მესიამოვნა, როცა 1995 წლის 12-19 ივლისს გაზეთმა „აღორძინებამ“ აბელ სურგულაძის სტატია „ოსმან ფაშა თავდგირიძე“ გამოაქვეყნა. ახლა ისიც გავიგე, რომ ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის კათედრის გრიფით ეს სტატია ცალკე

ბროშურადაც გამოხსულა სახელწოდებით „ლაზი ოსმან ფაშა თავდგირიძე“ (რედაქტორი კახაბერ სურგულაძე). ვიფიქრე, გვარ-სახელ თავდგირიძეებზე თხრობისას ვისარგებლებ-მეთქი, მაგრამ წაეიკითხე და იმედი გამიცრუვდა.

ა. სურგულაძე წერს: „ოსმან ფაშა თავდგირიძის ბიოგრაფიიდან დღესაც კი ბევრი რამ დაუდგენელია და უცნობი... დაიბადა თოქათში... გაუგებარია დაბადების ადგილად თოქათის მითითება, თურქული მასალებიდან არ ჩანს რას ეყრდნობიან ამ ცნობის ავტორები, მაგრამ თუ ეს მაინც სწორია, მაშინ საფიქრებელია, რომ მას დედა წარმოშობით იქაური გავლენიანი ოჯახიდან ჰყავდა“ (ა. სურგულაძე, ლაზი ოსმან ფაშა თავდგირიძე, გვ. 9).

ეგებ სხვა არგუმენტი, ცნობა მაინც იყოს ამისა? არავითარი! თუ არ ჩავთვლით ქ. ჩხატარაშვილის ბიოგრაფიულ ცნობას (ქართული ენციკლოპედიის მეოთხე ტომიდან 1877-1878 წლებში ბათუმის მუთესარიფ (მოსამართლე, გამგებელი) ოსმან ფაშა თავდგირიძეზე, რომელსაც ჩვენი ავტორი პლევენის სარდალში აიგივებს.

იმის გამო, რომ ერთსა და იმავე დროს ერთი და იგივე პიროვნება არ შეიძლებაოდა ყოფილიყო ბათუმის მუთესარიფიცა და პლევენის გარნიზონის უფროსიც, ა. სურგულაძე იძულებულია აღიაროს, „ეს არ დასტურდებაო“, მაგრამ მკვლევარი მაინც ასე ფიქრობს. „ახმედ ფაშა თავდგირიძე ბათუმის მუთესარიფის თანამდებობაზე გაცილებით ადრე იყო და მხოლოდ შემდეგ, როდესაც ოსმალეთსა და რუსეთს შორის ომიც გარდაუვალი გამხდარა, ოსმან თავდგირიძე, როგორც ძლიერი ორგანიზატორი და უნარიანი ხელმძღვანელი, ბათუმიდან ბულგარეთს გადაიყვანეს“ (გვ. 13) ავტორისავე აზრით, ამას თურმე ისიც უნდა ადასტურებდეს, რომ „80-იან წლებში ოსმან თავდგირიძის სახლ-კარი ქედაში არსებითად დაქცეული იყო... ჩვენს ხელთ არსებული მასალა არ მიგვანიშნებს მის რაიმე კავშირზე მშობლიურ კერასთანო (გვ. 21).

პლევენის გმირი 1900 წელს გარდაიცვალა, დაუკრძალავთ სტამბოლში სულთან მეჰმედ II მეჩეთის ეზოში, სადაც „დიდებული აკლდამაც აუგეს“.

როგორც ვთქვით, ოსმან-ფაშა თავდგირიძე ორი იყო – ქობულეთელი და მახუნცეთელი. სერგეი მესხი ქობულეთელ ოსმან-ფაშას, ალი-ფაშა თავდგირიძის უმცროს ძმას, ქობულეთში შეხვედრია 1878 წელს. „ორგულობა, რუსეთისადმი მიმხრობა დასწამეს“, რის გამო მილიციის უფროსის თანამდებობიდან დაუთხოვიათ, დაუპატიმრებიათ თავის ძმასთან ერთად და ტრაპიზონს გაუგზავნიათ. (ს. მესხი, თხზ. 3, გვ. 42, თბ., 1964), ასე რომ, ბათუმის მუთესარიფი იგი არ ყოფილა.

ახლა ვნახოთ, პლევენის გმირი მახუნცეთელი ოსმან-ფაშა თავდგირიძე ხომ არ არის, ან არსებობდა საერთოდ კი მეორე ასეთი პიროვნება? თანაც იმ პერიოდში? 1878 წლის 31 იანვარს მწერალი გიორგი წერეთელი გაზეთ „დროებაში“ წერდა: „სანამ ჩვენი ჯარები (რუსეთისა – ი.ბ.) ბათუმში

შევიდოდნენ. სამი დღის წინათ (1878 წლის 22 აგვისტოს – ი.ბ.) მე იქ ბათუმის მუთესარიფს (გუბერნატორს) ოსმან-ფაშას (თავდგირიძე) – ქობულეთელს კი არა, აჭარელ თავდგირიძეს გავეცანი. ერთ დღეს მე და ჩემი კარგი ნაცნობი ხასან ალა, ოსმან ფაშასთან შევედი, ის დარბაისლურად, ფესმოკვეთით იჯდა თავის კონახში (კაბინეტში), მუხლზე ქალაღდი ედვა და ზედ კალამით ხელს აწერდა. წინ ედვა ერთი ბათუმელი კაცი, უბრალო, ჩვენებური გლეხისთანა საწყალი, ოსმან ფაშამ რომ ხელი მოაწერა ქალაღდზე, იმ აჭარელს ხელში მისცა და უთხრა ზრდილობიანად, შენ ამ ქალაღდით მეჯლისში წადიო, იქ ვიდაც მუქბირი (მწერალი) დაუსახელა, იმას უთხარი ჩემ მაგიერ, რომ ეს საქმე ახლავე გაგიკეთოსო, იმანაც სალამი მისცა და გაშორდა. მერე მეორე მოვიდა, მერე – მესამე, სულ უბრალო სოფლელი გაჭირვებული კაცები, ყველას ფაშა ხელს უწერდა და თან შინაურ ამბებსაც ჰკითხავდა ხოლმე“ (გიორგი წერეთელი, პუბლიცისტიკა, თბ. 1973, გვ. 225-226. შეკრიბეს, თარგმნეს და გამოსაცემად მოამზადეს შ. მეგრელიძემ და შ. ხანთაძემ).

ამრიგად, მუთესარიფი ოსმან ფაშა თავდგირიძე მახუნცეთელია და არა ქობულეთელი, 1878 წელს ნამდვილად ბათუმის მუთესარიფი იყო, რაშიც ქ. ჩხატარაშვილი მართალია.

აბა ვინაა პლევენის გმირი ოსმან ფაშა? მისი ვინაობის დადასტურებაში ისევ გ. წერეთელი გვევლინება. 1879 წლის 10 იანვარს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ მის წერილში „პლევენის პოლიტიკური აზრი“ ვკითხულობთ: „შესანიშნავი საქმე მოხდა, იმათ (თურქების – ი.ბ.) საუკეთესო მხედართმთავარს ოსმან ფაშას, რომელმაც მთელ ევროპაში თავი ისახელა, ფრანციზულიც კარგად არ სცოდნია. ეს ოსმან ფაშა გვართ ლაზი ყოფილა, ერთი ღარიბი მოლის შვილი, ტოკატის ქალაქიდან, რომელიც მდებარეობს იზილირმაკის ამ ძველებურ ალაციონის მდინარეზე, ძველებურ კესარია კაპადოკიის ქალაქის მახლობლად (ტრაპიზონის საფაშალიყოა). ეს გამოჩენილი ჭანი გაზრდილია მხოლოდ უმაღლეს სამხედრო ოსმალოს სკოლაში, სტამბოლს, არაბულს და ოსმალურს ენაზე. დღეს იმის მოგერიებითი ბრძოლის რიგი მთელს ევროპის მხედრობას წინ უძევს მაგალითად (იქვე, გვ. 217).

ამდენად, მცდარია ა. სურგულაძის მცდელობა პლევენის გმირი – ოსმან ფაშა ჭანი, აჭარელ ოსმან ფაშა თავდგირიძედ წარმოგვიდგინოს, ისტორიიდან გააქროს დიდსარდალი ჭანი, რომელსაც ბედუკულმართობამ სხვაგან და სხვის თავისუფლებისათვის მებრძოლი ხალხის წინააღმდეგ არგუნა ბრძოლა და არა საქართველოს დასაცავად (გამოქვეყნებულია ჟურნალში „ჭოროხი“, 1997, №4, გვ. 141-144).

1998 წლის 4 დეკემბერს „ახალმა ქართულმა გაზეთმა“ მიმოიხილა 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებული წერილი თურქეთში მო-



ღვაწე მუსლიმანი ქართველი მხედართმთავრების შესახებ. მოხსენიებულია პლევენის გმირი ოსმან ფაშაც, მაგრამ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ იგი აჭარიდან იყო და გვარად თავდგირიძეა (ამიტომაც, რომ მის სურათს, დართულს ხსენებულ წერილზე, აწერია მხოლოდ ის, რომ ესაა, ოსმან ფაშა“) სტატიაში ნათქვამია: „1878 წელს იგი ბათუმის გარნიზონის უფროსი იყო, სანამ 25 აგვისტოს ბათუმში მშვიდობიანად შევიდოდა რუს-ქართველთა სამხედრო ნაწილი“.

რასაკვირველია, ავტორი ა. ცისკარიძე შეცდომაში იმან შეიყვანა, რომ მაშინ ბათუმის მუთესერიფი ასევე ოსმან ფაშა იყო, რომელიც პლევენის გმირში გააიგივეს ისე, რომ გვარი არ იკითხეს. ჭანი ოსმან ფაშა, ცხადია აჭარაში არასოდეს არ ყოფილა, ბათუმის გარნიზონის უფროსად კი სწორედ იმ ხანებში თურქი ღვერიშ ფაშა იყო.

## ერთი ყურმოკრული ცნობის დაკანონების მცდელობის გამო

1444 წელს ბათუმს ბურგუნდიელი მეკობრე-კორსაკები დაესხნენ. ამის თაობაზე მკვლევარმა თამაზ ბერაძემ 1993 წლის 12 აგვისტოს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოსა“ და კრებულ „მაცნეს“ №2 მიმოხილვები გამოაქვეყნა. მათი ერთგვარი გამოძახილია ჟურნალ „ჭოროხში“ გამოქვეყნებული კ. სურგულაძის წერილი. ავტორი თავს არიდებს საკითხის სიღრმისეულ კვლევას. მან მხოლოდ რამდენიმე მისთვის საინტერესო დეტალზე გაამახვილა ყურადღება, რითაც ერთგვარად დააბნია მკითხველი. იგი წერს: „ძალზე საინტერესოა მეორე ცნობაც, რომელშიც მოხსენიებულია ადგილობრივი მთავარი პატანო გურიელი... აღსანიშნავია, რომ გურიელის ქვეყანას ტუაზის მემატიანე უწოდებს „მეგრელიას“. ვფიქრობთ, ამ ცნობაში ასახულია ისტორიული ფაქტი (ხაზი – ი. ბ.), კერძოდ ის, რომ XV საუკუნის შუა წლებამდე სამეგრელოს სამთავროს სამხრეთის საზღვარი მდ. ჭოროხს აღწევდა“ (ჟურნ. „ჭოროხი“, 1985, №1, გვ. 75).

გონიერი მკვლევარი ვიდრე რაიმე ცნობას, ამბავს დასასაბუთებლად გამოიყენებდეს, ავსებს ახალი მასალებით, აანალიზებს მათ, აჯერებს სხვა ფაქტებსა და მოვლენებს, იხედება იმ დროში, რომელსაც ეხება, როგორც იტყვიან, ისტორიის ქურქში ეხვევა. და თუ სხვაგვარად იყენებენ, სასაცილო მდგომარეობაში ვარდებიან, სიყალბის მკეთებლები ხდებიან.

ბურგუნდიელთა ბათუმზე თავდასხმის ცნობებში გარდა ყურმოკრულობისა, საეჭვო ხომ თითქმის ყველა ფრაზაშია. თავად განსაჯეთ: დაუშვით ბათუმში ტყვედ ჩავარდნილი მეკობრეთა კაპიტანი ტუაზი ევროპელთა

ჩარევის შედეგად გამოიხსნეს „იმ ქვეყანაში, რომელსაც მეგრელია ეწოდება“, როგორც ეს თ. ბერაძესთან იკითხება, მაგრამ ეს როდი ნიშნავს იმას, რომ ბათუმი ყოფილი სამეგრელოა, აკი ამას არც წერს. ვითომ ბათუმში ჩადენილი დანაშაულისათვის პიროვნებას ფოთში, გურიაში, სხვაგან არ აპატიმრებენ? ან პირიქით არ ხდება? ვთქვათ, კ. სურგულაძეს ეს აზრი არ მოუვიდა, მაგრამ ნუთუ არც იმან დააფიქრა, რომ ვაერენის ცნობით, რომელსაც თ. ბერაძე იმორწმებს, ტუაზი დაუტყვევებიათ კოლხიდაში, მდ. ფაზისთან, ფოთის ახლოს. თ. ბერაძის თქმით კი ვაერენის ცნობები „ბევრად ობიექტურია“.

კ. სურგულაძე ვერ იმართლებს თავს იმით, რომ ასეთი რამ მას არ სმენია, არ წაუკითხავს, რადგან „მაცნეს“ ხსენებულ ნომერში გამოქვეყნებულ თ. ბერაძის ამ წერილს, სხვა სტატიასაც იმორწმებს, როგორც წყაროს. ვითომ რომც არ სცოდნოდა, განა ეს ხსნის მისგან პასუხისმგებლობას საკითხისადმი ზერელე, ტენდენციურად მიდგომაში?

ამრიგად, ზოგ საკითხს განგებ აუარა გვერდი, იგნორირება ამჯობინა, რათა მკითხველს არ გასჩენოდა ლოგიკური კითხვა: თუ ტუაზი ბათუმს დაესხა და ტყვედ აქ ჩავარდა, მაშინ რატომ აღმოჩნდა ფოთში, როგორ გააღწია უცხოელმა, ქართულის არმცოდნემ იქ, თანაც იმ ჭაობებში რა ესაქმებოდა? და კიდევ მეკობრეები ნამდვილად ბათუმთან გადმოსხდნენ, მას დაესხნენ თავს? მით უმეტეს ბურგუნდიელებს, რომლებიც თურქეთის წინააღმდეგ მოვიდნენ საბრძოლველად, ვაჭრების გაქურდვის მიზნით, გაუცურავთ „ადგილისაკენ, რომელსაც ეწოდება ბათუმი... იმავე საღამოს აქ მოვიდა „ადგილობრივი მთავარი“ სახელად პატანო გურიელი“ („მაცნე“, 1983, №2, გვ. 38). ეჭვის აღმძვრელი ისიცაა, რომ ტუაზი ერთი კატარლით დაეცა ქალაქს, დაუშვათ ბათუმს. ნუთუ ასე დაუცველნი, უსუსურნი იყვნენ ჩვენი წინაპრები? სრულებითაც არა. თურმე მეკობრეებს „ჩასაფრებული (ქართველები) დაესხნენ, მასთან (ტუაზთან – ი.ბ.) მყოფი მრავალი მებრძოლი დახოცეს და ის კი ტყვედ ჩაიგდეს. ისინი ვინც გადარჩა, დაბრუნდნენ კატარლაზე („ჭოროხი“, გვ. 74).

კ. სურგულაძე ასევე გვერდს უვლის იმ ფაქტს, რომ გურიელი აქ 600-კაციანი რაზმით მოსულა, ტუაზი კი 200 მებრძოლით გამოვიდა (გაზ. „ლიტერატურული საქართველო“, 1983, 12 აგვისტო). ამრიგად, ერთ მეტრზე სამი ქართველი მოდიოდა. ფაქტიურად კი უფრო მეტი, რადგან ეს 600 მებრძოლი გურიელმა მოიყვანა, მაგრამ ადგილზეც ხომ უნდა ჰყოლოდათ სამშობლოს დამცველები, ვითომ ისინი არ მონაწილეობდნენ ამ აგრესიის ასალაგმავ ბრძოლაში? ეტყობა არა, რადგან ეს ბრძოლა ბათუმში კი არ მომხდარა, გაიმართა დაუსახლებელ ადგილას, ფოთთან ახლოს, გურიის სანაპიროზე, სადაც სწორედ პატანო გურიელი უნდა მისულიყო და კიდევ მივიდა. ის რომ ბათუმელი ყოფილიყო, რეზიდენცია აქ ჰქონოდა, მაშინ ამბის მომყოლნი ამ მთავარზე იმას კი არ იტყოდნენ „მოვიდა“,

არამედ „დაგვხვდა“. დამარცხებული ბურგუნდიელები, რასაკვირველია, წაიტრაბახებდნენ – ქალაქს დავესხით, მტერი ძლიერი იყო. აკი თავად კ. სურგულაძე ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მეკობრეთა ამბის მომყოლები გაზვიადებით გამოირჩეოდნენ.

დაბოლოს, თუ სამეგრელოს სამხრეთი საზღვარი ჭოროხს აღწევდა, მაშინ აქაურობა, „გურიელის ქვეყანა“ რატომ უნდა ყოფილიყო? ვითომ იმიტომ, რომ ბურგუნდიელები ბათუმს დაესხნენ და აქ გურიელი მოვიდა? ჩვენ ამ კითხვებს არა მხოლოდ ვსვამთ, ან ვინმეს ამოსახსნელად კი არ ვუტოვებთ, არამედ წყაროების მოშველიებით ვპასუხობთ. კ. სურგულაძეც ხომ ამის მომხრეა. „ვეროპულ ენებზე არსებულ წერილობით ძეგლებში ბათუმის შესახებ არის სხვადასხვა ანალოგიური ხასიათის ცნობები, რომელთა გამომზეურება, შესწავლა და მეცნიერულ მიმოქცევაში შეტანა ფრიად საშური საქმეა“ (ყურნ. „ჭოროხი“, გვ. 75).

ასე რომ, შეუძლებელი იყო არ გვესარგებლა ამ რჩევით და არ გამოგვემზეურებინა ჩვენს პირად არქივში კარგა ხნის წინათ მოქცეული ეს და სხვა ისტორიული მასალა.

დავიწყოთ ე.წ. „ანალოგიური ცნობებით“, ეგებ, ისინი მართლაც უტყუარია და არა ასევე ყურმოკრული, ყოვლად უსაფუძვლო. 1474 წ. ბათუმში მყოფ ვენეციელ დესპან ი.ბარბაროს მართლაც უწერია: „სამეგრელოს მთავარ ბედიელს შავი ზღვისპირას ორი ციხე ჰქონდა, ბათუმი და სებასტოპოლი (სოხუმი). („მოამბე“, 1894, №11, გვ. 47), მაგრამ იმასაც იუწყებოდა, რომ „რამდენამდე ფაზისის მდინარე უელის გარშემო ამ ქვეყანას“, ე.ი. სამეგრელოს სამხრეთი საზღვარი მდ. რიონზე გადისო, ასე იყო და არის. ამასთან გონიოს ნაცვლად გორს წერდა და სხვა. ასეთს ვითომ დაეჯერება?

ამ გარემოებებს ყურადღება მიაქციეს მკვლევარებმა. თ. ბერაძე წერს: „ი. ბარბაროს ჩანაწერები საკმაოდ არაზუსტი ჩანს. სამეგრელოს რელიეფზე იმის თქმა, რომ ის კლდოვანია, არ შეიძლება. ფრთხილად უნდა მივუღვეთ ბარბაროს ცნობას, რომ ბათუმი სამეგრელოში შედის, რაც უფრო საეჭვო ხდება, თუ გავითვალისწინებთ შემდეგ ადგილს მის ნაწარმოებში: „რაოდენამდე ფაზისის მდინარე უელის გარშემო ამ ქვეყანას (სამეგრელოს) და შვერთვის ზღვას“. ეს აშკარა წინააღმდეგობაა. თუ რიონი დადიანთა სამფლობელოს საზღვარს წარმოადგენს, მაშინ ბუნებრივია ბათუმი მის საზღვრებში ვერ შევიდოდა“ (თ. ბერაძე, ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფია, საქ. ისტ. გეოგრაფიის კრებული, თბ. 1967, 3, გვ. 176).

მაშინ ი. ბარბაროს ჩვენს ქალაქში ა. კონტარინიც ხლებია. მისი ცნობა აშკარად საწინააღმდეგოა. „ფაზისი ქალაქია მეგრელებისა, მათ მთავარს ბედიელი ეწოდება. ბედიელის სამთავრო მცირეა, სამ ღღეში საზღვრიდან საზღვრამდე მიხვალ“ („მოამბე“, 1894, №11, გვ. 45). ზუგდილიდან ჭორო-

ხამდე სამ დღეში მაშინ. რასაკვირველია, ვერ მივიდოდნენ, თუმცა ისიც საკმარისია, რომ გარკვევით წერს, – „სამთავრო მცირეა“. მართალია, ა. კონტარინის იმასაც დასძინს, რომ „ვატი (ბათუმი – ი.ბ.) ციხე, მცირე ქალაქია და ეკუთვნის სამეგრელოს მთავარს, რომელსაც „სახელად ჰქვია გორბოლა... მას ეკუთვნის კიდევ კალთხეა“ ანუ ქაჯთა ციხე, ციხისძირი. მაგრამ აქ ხომ თავისთავად ნათელია, რომ მის თუ სხვის შეცდომასთან, უზუსტობასთან გვაქვს საქმე. ი. ბარბარო, თავად ა. კონტარინიც მიუთითებენ, რომ სამეგრელოს მთავარს ბედელი ჰქვია. გორბოლა ვითომ მეტსახელია? ცხადია არა. სხვათა კომენტარებზე რომ არაფერი ვთქვათ, თავად ა. კონტარინი ადასტურებს, რომ გორბოლა ახალციხის მბრძანებელი, ყვარყვარე ათაბაგია, ჯაყელი. კონტარინიმ 1475 წ. მეორეჯერ გაიარა აჭარა, რათა სპარსეთს ჩასულიყო. „გავიარეთ ახალციხის მთავრის ყვარყვარეს საბრძანებელი და ბათუმის მხარე“, ასეა თარგმნილი მისი ნათქვამი. თურმე ეს არაზუსტი თარგმანია, რასაც თ. ბერაძე გვიდასტურებს. უნდა იყოს „გავიარეთ ახალციხისა და ვატის (ბათუმის) მთავრის გორბოლას სამფლობელო“, რაც ზუსტი გადმოცემაა იტალიელის ცნობებისა და გამონათქვამებისა.

32 წლის შემდეგ, 1867 წ. იგივე საკითხი გააშუქა ოდესელმა პროფ. თედორე ბრუნმა, 1880 წ. კი დასძინა: „ძველი ქალაქი ბატა – ესაა ბათუმი, რომელიც მოინახულეს ბარბარომ და კონტარინიმ. – ამ ქალაქიდან გორბოლა, ე.ი. ათაბაგი ყვარყვარე 1459 წ. სწერდა ბურგუნდიის პერცოგს თავის წადილზე – ებრძოლა თურქების წინააღმდეგ. ბატი ნამდვილად ის ქალაქი ვატი, ვარტი თუ ბატია, რომელიც ეკუთვნოდა გორბოლას თუ გორგოლას. ახალციხის მფლობელს (თ. ბრუნი, ჩერნომორიე, 2, გვ. 251, ოდესა, 1880; ზაპისკი ნოვოროსიისკოგო უნივერსიტეტა, 1, 46, შენ. 9, ოდესა, 1867)..

თ. ბერაძე ამ საკითხს სერიოზულად უდგება, სურს ამოიცნოს რატომაც ასე და ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ზოგიერთი ევროპელი სამეგრელოს არა მარტო ამ მხარეს უწოდებდა, არამედ მთელ დასავლეთ საქართველოსაც. ალბათ აქაც ამგვარ შემთხვევასთან გვაქვს საქმე (იქვე). გ. ზარდალაშვილი 1672 წ. ევროპაში შედგენილ საქართველოს რუკასთან დაკავშირებით ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ რუკის ავტორი სამეგრელო-ოდიშს აიგივებს კოლხეთთან. დასავლეთ საქართველოსთან ფართო გაგებით (ჟურნ. „დროშა“. 1973, 9, გვ. 10). „აღმოსავლეთის ყველა ხალხი კოლხიდას უწოდებდა ოდიშს, ე.ი. სამეგრელოს, ხოლო კოლხებს მეგრელებსო“, წერდა 1672 წ. დეკემბერს აჭარაში მყოფი ფრანგი მოგზაური – დიპლომატი ჟან შარდენი (იხ. მისი, მოგზაურობა, თბ. 1975, გვ. 109). ჟან ტავერნიე საქართველოში საერთოდ არ ყოფილა. 1898 წლის ივლისს ჟურნალ „მოამბეში“ გამოქვეყნებულ მის დღიურებს ასეთი კომენტარი აქვს დართული: „სამეგრელოს ტავერნიე უწოდებს მთელ დასავლეთ საქართველოს. XVII საუკუნის იტალიელი მოგზაურები კი კოლხეთს უფრო სამეგრელოდ მოიხსენიებენ, მაგ. ლამბერტი. ტავერნიეს კოლხეთის მაგიერ სამეგრელო გაუხდია დასავლეთ საქართველოს საერთო სახელად. იმასაც წერს,

რომ სამეგრელო სამი პროვინციისაგან – იმერეთი, თვით სამეგრელო და გურიისაგან შედგებოდა (ე. ტავერნიე, დიდი სენიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, თბ. 1974, გვ. 202-203, 232, შენ.).

თვით ამ წიგნის მთარგმნელის, შესავლებისა და კომენტარების ავტორის კ. გურიელის მიხედვით, ტავერნიე ტერმინით „სამეგრელო“ აღნიშნავს მთელ დასავლეთ საქართველოს. ამ მხრივ იგი გამონაკლისი როდია. სამეგრელო ასეთივე გაგებით ხშირად იხმარებოდა სხვა ავტორების მიერაც. მაგ. ნიკო მარს იმერეთი და სამეგრელო ანალოგიურ ტერმინებად მიაჩნდა. სამეგრელოს დასავლეთ საქართველოსთან, კოლხეთთან აიგივებდნენ XVI საუკუნის ავტორები ავგერ ბუსბეკი, სალმან შვაიგერი და დიორდ პენიში. ისინი წერდნენ: „სამეგრელო ანუ კოლხეთის ხალხი“, „იტალიელები კოლხეთის ხალხებს დღეს მეგრელებს უწოდებენ“, „კოლხები მეგრელებია“, კოლხეთის ზღვის სანაპიროს სამეგრელო ჰქვია“ და სხვა (იქვე. გვ. 232-233, კომ. 221; ლ. ტარდი, უნგრეთ-საქართველოს ურთიერთობა XVI საუკუნეში, თბ. 1980. გვ. 104, 112).

სამეგრელოს დასავლეთ საქართველოსთან აიგივებდა ვახუშტი ბატონი-შვილიც. ხოლო ისტორიკოსი ი. ჰამერი თურქული წყაროების საფუძველზე წერდა: „თეიმურაზ წავიდა იმერეთს ანუ სამეგრელოში“. ა. ლამბერტი კიდევ განმარტავდა: „კოლხეთის სახელით იგულისხმება ის ქვეყანა, რომელიც მდებარეობს კოდორსა და ფაზისს შუა და, რომელსაც დღეს სამეგრელოს უწოდებენ. რიონი ჰყოფს სამეგრელოს გურიისაგან (იხ. მისი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1964, გვ. 43).

დასტურდება ისიც, რომ ასე ხდებოდა ჭან-ლაზების მეგრელებში გაიგივების გამოც. მაკარიოსმა და მისმა შვილმა პავლემ 1665 წ. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროდან რუსეთისაკენ მგზავრობისას ჩაიწერეს, რომ „მარჯენივაა ტრაპიზონი და მიკარას ყურე, საიდანაც საქართველოში შეიძლება გაღწევა“ (პუტემესტვიე ანტიოხიისკოვო პატრიარხსა მაკარია 3 როსსიუ ვ პოლოვინე XVII ვეკა პო ოპისანიუ ეგო სინომ არხიმადრიტომ პავლომ აღექსკიმ, მ. 1896, 2, გვ. 42); რასაკვირველია, მიკარა სარფს გაღმა მდებარე მაკრიალია (ბერძ. გრძელი ნაპირი) ანუ ჭანეთი, მოგვიანებით ლაზეთად ქცეული, მაგრამ ფრჩხილებში ასე კი არაა, არამედ „სამეგრელო“ აქვთ მინიშნებული, რადგან ფიქრობდნენ ჭანეთ-ლაზეთი იგივე კოლხეთია, დასავლეთი საქართველო, ამდენად, ახლანდელი სამეგრელო.

ისიც უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ დასავლეთ საქართველოს ძველად ეგრე-ეგრისი ეწოდა. აკად. ს. ჯანაშიასა და სხვათა მიხედვითაც, ეს იყო ადმინისტრაციული სახელწოდება და არა სატომო, რადგან მასში გაერთიანდა დასავლეთ საქართველოს ყველა მცხოვრები, ცხადია, უპირველესად ჭან-ლაზები. ამიტომაც მათ ასევე საერთო სახელად ეგრელი-ეგრისელი ეწოდათ; შემდეგ მას დაერთო ადგილის მაწარმოებელი სუფიქსი -მ და მივიღეთ მ-ეგრ-ელი, რომელიც ჩვენი აზრით, უნდა მომდინარეობდეს ნადირობის ღვთაება ერგი-ეგრი-იგრისის სახელიდან. რო-

მელიც განსაკუთრებით პოპულარული ყოფილა აფხაზებში და რომლის კვალი მათში ახლაც შეიმჩნევა (ლ. აკაბა, შ. ინალ-იფა, თ. სახოკია, კ. გამსახურდია, შ. ნუცუბიძე). საგულისხმოა, რომ ერთ დროს ბერძნებს დღევანდელ ავღანეთამდე იონელების სახელით მოიხსენიებდნენ, რადგან პირველი ბერძნები სწორედ საბერძნეთის ამ პროვინციიდან აიყარნენ და აღმოსავლეთისაკენ დაიძრნენ. ამის გამო საბერძნეთის სხვა მხრიდან გადასახლებული მათი თანამემამულენი ამ სახელით მოინათლნენ. ისტორიულ მეცნიერებაში ტერმინი „იონური კულტურაც“ დამკვიდრდა, ანალოგიურად მოხდა მეგრელების მიმართაც.

ახლა ვნახოთ, შეეძლო თუ არა სამეგრელოს ჭოროხამდე ტერიტორიის მითვისება, თუნდაც გურიის ჩათვლით. ა. კონტარინის ცნობით, „მეგრელებს პური ცოტა მოჰყავთ, ღვინოც მოსდით, მაგრამ დაბალი ხარისხისა... დედაკაცები უფრო საწყლად საზრდობენ... ამ ხალხის ცხოვრება კიდევ უფრო უბედური იქნებოდა, რომ ტრაპიზონიდან არ მოჰქონდეთ ღვინო და დამარილებული თევზი, ხოლო მარილი კაფიდან (ყირიმი). მკვიდრნი, რომ გამრჯელნი იყვნენ, მათ მდინარეში რამდენიც უნდათ, იმდენ თევზს დაიჭერენ“ („მოამბე“, 1894, №11, გვ. 50).

სამეგრელოს ეკონომიკურ დაქვეითებას და დაცემას ცხადყოფენ აგრეთვე (ლ. ტარდი, ა. ლამბერტი, ჯ. მილანელი, ყ შარდენი, ყ. ტავერნიე და სხვები. დასახ. ნაშრომი, გვ. 37, 38, 86, 89, 104; ა. ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ. 1938, გვ. 42, 68, 158, 161-162. ჯ. მილანელი, წერილები საქართველოზე. თბ., 1964, გვ. 28, 34, 36, 44, 46, 50, 55, 81, 83, 85, 88, 92, 95, 100, 119, 125; მ. ანტიოქიელი, არმალანი, თბ. 1982, გვ. 93, 95, 99, 102, 105, 118; ყ. შარდენი, მოგზაურობა საქართველოში, თბ. 1975, გვ. 25-28, 37, 116, 119, 124-125; ყ. ტავერნიე, დასახ. ნაშრომი; გვ. 9, 11, 200, 203-204 და სხვა). მათ გამონათქვამებს ვაჯამებთ აკად. ივ. ჯავახიშვილის დასკვნით: „საბედიანოში, განსაკუთრებით აფხაზეთ-სამეგრელოში ხალხი კულტურულად დაქვეითებული ყოფილა. სასოფლო მეურნეობაცა და მრეწველობა-აღებშიცემობაც იმდენად დაცემულა, რომ ხალხი გაღარიბებული და გონებრივად ჩამორჩენილი ყოფილა. ცოდნაც ჰქვლია, ხოლო მუშაობის უნარი და შრომის ნაყოფიერება იმდენად მოდუნებული ჰქონია, რომ ბუნებით უხვად დაჯილდოვებულსა და კურთხეულს კუთხეში მკვიდრთ არამც თუ უცხოეთში ცოტა რაიმეს გატანა შეეძლოთ, თავიანთ თავის გამოკვება და რჩენაც – კი უძნელდებოდათ თურმე“ (ივ. ჯავახიშვილი, ქეი, 4, გვ. 105, თბ. 1967).

ყვარყვარე ათაბაგ (ათაბაგობა თამარ მეფემ შემოიღო და მეფის შემდეგ ყველაზე დიდი თანამდებობა იყო. ათაბაგი მეფის მამადაც ითვლებოდა. ათა თურქულად მამას ნიშნავს) ჯაყელზე, რომლის სამფლობელოშიც აჭარა შედიოდა, ივ. ჯავახიშვილი დასძენდა: ყვარყვარეს თავისი თავი იმდენად დამოუკიდებლად მიაჩნდა, რომ ევროპაში თავის საკუთარ დესპანს გზავნიდა და გიორგი მეფისაგან დამოუკიდებელი დიპლომატიური ურთიერ-

თობა ჰქონდა. მას ჯარიც საკუთარი ჰყავდა. ცნობილი იყო უცხოეთში და ძლიერი მთავრის სახელი ჰქონდა მოპოვებული. გიორგი მეფე მას მოკავშირედ იხსენიებს“ (იხ. მისი, ქეი, 4, გვ. 58, თბ. 1967).

ეს ის ყვარყვარეა, რომელმაც 20000 მესხ-აჭარელთა და სხვათა ჯარი შექმნა და ეეროპელებს 1459 წ. თურქების წინააღმდეგ. ბათუმიდან გალაშქრება შესთავაზა (იხ. ჩენი, გერმანელი მოგზაური ი. შილტბერგი 1420-1426 წლების ბათუმის შესახებ). რასაკვირველია, მისი ეს გამარჯვება და გაძლიერება არც სამეგრელოს, არც გურიისა და არც იმერეთის ხელისუფალთ ხელს არ აძლევდა, რის გამოც არ მიეშველნენ, მაგრამ გურიელი თუ დადიანი რატომ ეტყოდნენ უარს თხოვნაზე მისულოყვნენ ბათუმში და ვინმეს დახვედროდნენ, რაიმე უმნიშვნელო გაეკეთებინათ, დახმარებოდნენ ადგილობრივ დიდებულს საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, თავად ყვარყვარეს რეზიდენცია ხომ ახალციხეში იყო. რა თქმა უნდა, ასეთ ყვარყვარეს ვერაფერს დააკლებდნენ, პირიქით, თუნდაც მოჩვენებით მოესიყვარულებოდნენ.

და მაინც, ყვარყვარემდე, ანუ „XIII საუკუნის დამლევსა და XIV საუკუნის დასაწყისში ბათუმი ოდიშის თავადების სამფლობელოს შემადგენლობაში შედის“ (დ. შენგელაია, ტიურკოლოგიჩესკიე ოჩერკი, მ. 1982, გვ. 179), რაც მონღოლთა მიერ დაპყრობილი საქართველოს დუმნებად ანუ გუბერნიებად დაყოფამ განაპირობა. „მერვე დუმანი ეგრისისა და გურია-აჭარისაგან“ შედგებოდა, რომელიც ცოტნე დადიანს ჰქონდა მიცემული. (ივ. ჯავახიშვილი, ქეი. 3, გვ. 337, თბ. 1966). მონღოლები საქართველოში გამოჩნდნენ 1220 და 1236 წლებში. 1231-1232 წლებში ძლიერ დაუმარცხებიათ ქართველები. ჯალალედინმა მოაოხრა ქვეყანა. 1255 წლიდან ახალი აუტანელი გადასახადები შემოიღეს, რასაც 1259 წლის აჯანყება მოჰყვა. აქტიურობდა სარგის ჯაყელი. 1266 წ. მონღოლებმა სამცხე ხასად გამოაცხადეს (დ. კაციტაძე, საქართველო XIV-XV საუკუნეთა მიჯნაზე, თბ. 1975 გვ. 57; შ. ბადრიძე, საქართველო და ჯვაროსნები, თბ. 1973, გვ. 35).

ამრიგად, საქართველოს დუმნებად დაყოფამ გურიაც სამეგრელოს დაუქვემდებარა, თუმცა ეტყობა ეს მანამდეც მომხდარა. მხედველობაში გვაქვს ის, რომ სვანეთის ერისთავმა ვარდანიძემ „მეფე ბაგრატი (გამეფდა 1350 წ.) თბილისს გაიგულა თუ არა, ქუთაისს დაეცა, აიღო, გაძარცვა და დაწვა. ამის მიუხედავად მეფემ ავგული ერისთავი შეიწყალა, მაგრამ სვანეთს არ გაუშვა და საერისთაოდ გურია მისცა“ (დ. სანიკიძე, უქარქაშო ხმლები, 3, გვ. 197), მანამდე კი გურიას დადიანები ფლობდნენ. მონღოლებმაც სწორედ ამის გამო ეს მხარე სამეგრელოს მიათვალეს. აი, ამან წარმოშვა ტიტული სამადავლე დადიან-გურიელი. თ. ბერაძე ამასთან დაკავშირებით დასძენს: „დადიანებისა და გურიელების მიერ ერთმანეთის ტიტულის მითვისება საკმაოდ გავრცელებული ამბავი ყოფილა. სამადავლე დადიანის შემთხვევაშიც, ამგვარ მოვლენასთან გვაქვს საქმე. იგი არ არის გურიელი. სავსებით სწორია ე. თაყაიშვილი: „ტიტული დადიან-გურიელი,

მანდატურთუხუცესი და სხვა ერისთავთ ერისთავი, ეს ე.ი. შამადავლე დადიანი, მას ტრადიციით მიუთვინებია... ის არც გურიელი ყოფილა და არც სვანთა ერისთავი“ (ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური ექსპედიცია ლეჩხუმ-სვანეთში, პარიზი, 1910, გვ. 393).

ივ. ჯავახიშვილის ცნობითაც, საბელიანოს სათავეში ბედიანი იღვა, რომელიც ქართულ ძეგლებში დადიან-გურიელად იწოდება იმის გამო, რომ ამ ხანებში გურიაც მას ეკუთვნოდა, ბედიანი, იგივე დადიან-გურიელია (იხ. მისი, ქეი 3, გვ. 446, თბ. 1966), ხოლო ბერი ეგნატაშვილის იმ გამოწვევამის გამო, რომელიც ო. სოსელიამ დაიმოწმა, დასძენდა: „ბაგრატიონ დროს გურია ბედიანს ეკუთვნოდა და ჯერ კიდევ გასარკვევია, წარმოდგენდა თუ არა კონსტანტინეს მეფობის ფაშს უკვე განცალკევებულ პოლიტიკურ ერთეულს, ოუ ეგნატაშვილი ბერის მეთაურობით შედგენილი „ქართლის ცხოვრების“ გაგრძელების ცნობა მცდარია“ (ივ. ჯავახიშვილი, ქეი 4, გვ. 150, თბ. 1967).

შამადავლე დადიან-გურიელები მოხსენიებულია იმერეთის მეფე ბაგრატ II და სხვათა 1470-1474 წლების სიგელებში (ს. კაკაბაძე, გრუზინსკიე დოკუმენტი ინსტიტუტა ნაროდოვ აზიი, მ. 1967, გვ. 175, 349).

ო. სოსელიას გამოკვლევათა თანახმად, XIII საუკუნის 40-იან წლებამდე გურიელის ხელისუფლება არ არსებობდა. საფიქრებელია, რომ ამ საუკუნის 30-იან წლებამდე გურია ოდიშის ერისთავის საგამგებლოში შედიოდა და მას 30-40 წლებში გამოეყო (იხ. მისი, საქართველოს პოლიტ. დაშლილობის ისტორიიდან, მსკი, 30, გვ. 116-117, თბ. 1954), გ. მერცხაბერიც გურიის მიერ დამოუკიდებლობის მოპოვებას ამ პერიოდისათვის მიიჩნევდა შესაძლებლად, ხოლო ალ. გამყრელიძით, ტრაპიზონის იმპერიის არსებობის მანძილზე (დაეცა 1461 წ.) გურია არ ჩანს ცალკე, გარკვეულ სამთავროდ, მან ეს უფრო გვიან მიიღო“ (მსკი, 33, გვ. 82, თბ; 1960).

ასე რომ, მცირე ხნით, თუნდაც მექანიკური, ქალაქზე შეერთება აჭარისა დადიანების დუმნასთან, არ ნიშნავს, რომ სამეგრელოს სამხრეთი საზღვარი ჭოროხამდე აღწევდა. არდაგანისა და სხვა პროვინციები უფრო მეტხანს შედიოდნენ ადმინისტრაციულად ბათუმის ოლქში, სამეგრელოსაგან განსხვავებით აქ, ბათუმში წყდებოდა მათი პრობლემები, მაგრამ მაინც ვერ ვიტყვი, რომ ბათუმი-აჭარის საზღვარი, თუნდაც ართვინამდე აღწევდა. ამასთან, სხვა დროს ბათუმის ოლქი შედიოდა ქუთაისის გუბერნიაში, მაგრამ არავის უთქვამს და არ დაუწერია, რომ ქუთაის-იმერეთი ამ პერიოდში ბათუმამდე, ხულომდე აღწევდა.

მკვლევარ კრეტიენს ძალიან უყვარდა თავის გამოჩენა, ამიტომაც გაყალბებასაც არ თაკილობდა. ამის გამო ხატოვანი გამოთქმა დაუმკვიდრეს: როცა რითმი დასჭირდება, ევერესტსაც კი ლიმონს გამოაბამსო (დაიბეჭდა ჟურნალში „ჭოროხი“, 1997, №4, გვ. 141-144).



## ვის საქირდებოდა ასეთი პიესა?

ვ. კანდელაკმა ბოლშევიკების, ბათუმში საბჭოთა ხელისუფლების დამამყარებელი ქართველების გაშავება ისურვა და 1971 წელს თბილისში გამოსცა პიესა „დრო – ოცდაოთხი საათი“, აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღის შესახებ. მაგრამ რა შუაში არიან აჭარლები, მათ ხომ რევოლუცია არ მოუწყვიათ, არც ბოლშევიკი ხელმძღვანელები ყოფილან. ბათუმში თავმოყრილი ქართველი ბოლშევიკების გასაკილავად და საძაგებლად რიფათას მეტი ვერაფერი მოიგონა, თუ ამით აჭარლებისადმი სიძულვილი შენიღბა, გაამართლა?

პიესაში ერთადერთი აჭარელია, თითქოსდა საზოგადოებაში გამოსული, მაგრამ მაინც უეციცი, რეგენი. მის საქირდავად სახელიც აგდებული მოუგონია.

მოქმედება იწყება ქაქუთში, ხიშტიან-თოფიანი ფეხშიშველა რიფათას ღობეზე გადმოხტომით. ტანსაცმელს იხდის, ჯარისკაცისას იცვამს, პატრონაჟს იკეთებს და თავის გასამხნეებლად „ნარგიზას“ წამოიძახებს. თანასოფლელი ქალიშვილი ვერ იცნობს მას და იყვირებს – ასკერი, ე.ი. თურქიო. მათ შორის ასეთი დიალოგი იმართება: – თუ მოკვდი, ჩემს მაგიერ ეს ბლუზა-შარვალი დაიტირე. – რატომ კვდები, ვის ებრძვი? – ქვეყანას, – უპასუხებს, – ამიტომაც ბათუმში მივიღივარ, სადაც ასკერის ტანსაცმლით უკეთ შევიპარებიო. თითქოს, იქ ასკერები იმარჯვებდნენ და ამდენად, ხიფათს არ შეეყრებოდა.

მეზობლები რიფათას ეუბნებიან: – ვინ თქვა შენი გადარჩენილი ქვეყანა, ამ ტანსაცმელში მენშევიკები დაგაპატიმრებენ. – მაგრამ მაინც მიღის, რათა საქართველო იხსნას, რომელიც თურმე „ბათუმში იღუპება“ (გვ. 8).

მეორე სურათში ბათუმის ციხეში გამომწყვდეული კომუნისტებთან – გოგელაისთან, სერგოსთან (ქეთარაძე) კალანდაძესთან და სხვებთან ჯაშუშად აღიარებულ რიფათას შეაგდებენ, რის გამოც ყვირის: – ვეუბნები, ქართული ვარ, მეუბნება – ჯაშუში ხარო. რაფერ ჯო?! ვეუბნები, ქართულია ჩემი დედაენა. მე არ მენდობა, ასკერის ბლუზა-შარვალს უჯერებს – ახლა ჯარისკაცები სახლში მირბიან, შენ აქ რა გინდაო, – ეკითხებიან და ისევ გაიძახის: – „საქართველო ბათუმში იღუპება და ჩამოვვდი“. შემდეგ დასძენს, „ხალხს მართალი უთქვამს – მენშევიკებს ერთი გენერალი მაზნიაშვილი ჰყავთო ჭკვიანი“. ამის გაგონებაზე ეუბნებიან: – ის უპარტიოა. – რიფათა – პასუხობს: „რაჲა, ჯო, პარტიაში ჭკვიანი კაცი არ შედის?!“ (გვ. 17).

რიფათა ყვება: ამბობენ, ბოლშევიკები რქიანები არიანო. ხოჯამ მითხრა, ვინც რქიანი შეგხვდება, ყველა ბოლშევიკია. გაღმა ქაქუთში (ე.ი. გურიასში, საიდანაც რიფათას დედა იყო გამოთხოვილი აჭარის ქაქუთში),

მღვდელი მასწავლიდა, გამოღმა – ხოჯა. დედა ქრისტიანი მყავს, მამა მუსლიმანი. მღვდელი იძახდა, ბოლშევიკებს ორი რქა ადგიაო, ხოჯამ – ერთიო. მე ხოჯას დაუუჯერე.

ნატანებში გენერალ მაზნიაშვილის ადიუტანტად და მზვერავად ნამყოფ რიფათას (გვ. 6-7,37), რომელსაც პარტიზაც აქვს წარმოდგენა, სჯერა, რომ არიან რქიანი ადამიანები. როგორ ვირწმუნოთ, რომ რიფათას გენერალთან, რომელიც ბოლშევიკებსაც ებრძოდა, ისინი არ ენახოს? ნუთუ ბათუმის კომიტეტის დეალებით გურიაში მიმავალ გზაზე, ქაქუთში ბოლშევიკი არასოდეს ყოფილა? ქაქუთელებს რომ ქვეყნის რევოლუციის აღში დაწვა ამცნო, ვითომ იგივე ბოლშევიკი არ იყო?

ბოლშევიკებს, რევოლუციას, რიფათა და სხვა ვინმე კი არ ამასხარავებს, არამედ მას ამოფარებული ავტორი. სწორედ იგი აბამს მათ რქებს, კულტის მსახურების ენითაც აქილიკებს. სამწუხარო ისაა, რომ ეს მისი ნება კი არ იყო, არამედ განაწყენებულის ბოღმა.

ქრისტიანისა და მუსლიმანის ოჯახში, მღვდლისა და ხოჯის მიერ აღზრდილი, მენშევიკების ჭკვიანი გენერლის, მაზნიაშვილის ადიუტანტ-მზვერავი, პარტიზაც წარმოდგენის მქონე რიფათა, რატომღაც კითხულობს: „რა არის რევოლუცია, ჯო?“ კალანდაძე უხსნის, რომ ესაა გადატრიალება. – „რაის გადატრიალება, რაფერ გადატრიალებაო, ჯო?“ – კვლავ კითხულობს რიფათა. – ტაბურეტი გადაატრიალე და მას ჰქვია რევოლუციაო (გვ. 19).

– ნენე, ამ გადატრიალებულ ტაბურეტზე დასაჯდომი სადაა, ჯო? – მას უპასუხებენ: – რევოლუციას დასაჯდომად არ სცალია, წინ მიდის, ჭენებ-ჭენებით.

– სანამდე ირბენს, ჯო?

– სანამ მთელ მსოფლიოს არ შემოივლის.

– მერე სად ჯდება?

– ტაბურეტს რომ გადაატრიალებ, ზედ მჯდომი ქვეშ მოირაგვება, მერე გადმოატრიალე და შენ დაჯექიო.

– ვინც ფეხზე დარჩება, იმას რას უპირებენ?

სერგო ეტყვის, რევოლუცია მშენებლობააო, რაც რიფათას კმაყოფილებას იწვევს და კალანდაძეს ეუბნება: – შენი რევოლუცია რად ვარგა, ძველ ტაბურეტს ატრიალებ, ხან წაღმა და ხან უკულმაო. ამაზე კალანდაძე ამბობს: „ამ ბიჭს გაეტყუაჲ!“

დაუჯერებელია, რომ 1921 წელს ქაქუთის მცხოვრებ რიფათა გოგითიძეს, ყოფილ ადიუტანტს, ქრისტიანი დედის შვილს, რევოლუციონერებით განთქმულ გურიაში აღზრდილს, რევოლუციაზე არაფერი სმენოდეს. ნუთუ, 1902-1903 წლების ბათუმის, გურიის და ბოლოს, 1917 წლის თებერვალ-ოქტომბრის რევოლუციურ ამბებზე რაიმე არ გაუგონია. მერედა, ასეთს რევოლუცია განა ტაბურეტის გადაბრუნებით უნდა აუხსნა?

რომ ვთქვათ, რევოლუცია ესაა „ძალაუფლება და მიწა ხალხს“, „ძირს ომი“, „თავისუფლება ყველას“, რიფათა ამთავითვე მიხედებოდა. საკმარისი იყო ასეთი განმარტებაც: რევოლუციაა მშრომელთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესება-განათლების, კულტურის გაერცელება, მშენებლობის გაშლა, მაგრამ ეს მაყურებელზე სასაცილო ეფექტს არ მოახდენდა. ამით რევოლუციას, რიფათას ვერ გააქილიკებდა. რა სარეკლამოა რიფათას ნათქვამი: „რევოლუციაზე საფიქრებლად ამაზე კაი ადგილს (ციხე) სად ნახავს, თოხნის თუ რამეს აკეთებს, დაჯექი და იფიქრე“. ვითომ მართლაც ასე უსაქმურნი იყვნენ ბოლშევიკები? ნებისმიერ ოჯახში, კოლექტივში, პარტიაში, ქვეყანაში არიან კარგები და ნაძირალები. ამრიგად, ასეთები უნდა აძაგო და არა ყველა.

სერგოს გამოუცხადებენ, რომ მენშევიკებთან მოსალაპარაკებლად უნდა წავიდეს. რიფათას მათი არ სჯერა და ბლავის, სხვები კედელზე კაკუნს ასტეხენ. რიფათა მდგომარეობიდან გოგელიას გამოჰყავს: ტირილი ღალატია, უნდა იმღერო და ატირებული ამღერებს ლექსს ხარის ტყეში გაეარდნაზე, პირველად ქაქუთში ღობეზე გადმოსვლისას რომ წაამღერებინა (გვ. 24). იმასაც შეაგნებინებენ, რომ იგი ბოლშევიკებს შორისაა, თავადაც ბოლშევიკია, მაგრამ მაინც ამასხარავებენ, რათა გოგელიამ წასძახოს: „შეკაცო, აბდალი ხომ არა ხარ? (იქვე).

მეოთხე სურათში ვლინდება „ვეფხისტყაოსნის“ მცოდნე რიფათას კიდევ ერთი სიბეცე – თურმე არ იცის, რომ ბოლშევიკი და კომუნისტი ერთი და იგივეა. კალანდაძე განუმარტავს: – „რუსეთში ბოლშევიკებს გვეძახიან, მსოფლიო მასშტაბით კომუნისტებს“. რიფათა ოხუნჯობს: – „მსოფლიოს, ჯო, ბაბაის ხაპივით ნუ ატრიალებ“. უადგილო გვეჩვენება რიფათას აღიარება „კომუნისტური მანიფესტი არ ვიცი რააო“. რიფათა თუ სოფლელი ბიჭია, მღვდლისა და ხოჯის აღზრდილი, გაუნათლებელი და შეუგნებელი, მაშინ რატომ უნდა სცოდნოდა მანიფესტი?

ზედამხედველი პატიმრებს უცხადებს, რომ ისინი თავისუფალი არიან. რიფათა კვლავ ეჩრება, ვითომდა საზრიანობას იჩემებს „ჯო, ციხეც ჩენია, ველარ გაიგე?“ ასე გვიბრძვივებს რ. გოგიტიძეს.

იქვე იმართება სჯა-ბაასი ოსმალების ბათუმიდან გასადევნად. კალანდაძე ამბობს: „ჯერ მსოფლიო რევოლუცია და მერე ბათუმი“. სერგო განმარტავს – ბათუმის განთავისუფლებამდე მსოფლიო რევოლუცია გადაიდოს, ვითომ ამით ავტორი ბოლშევიკებს საერთო დიდი იდეებით აიარალებს, მაგრამ ანგარიშს არ უწევს იმას, რომ მსოფლიო რევოლუციის ბედი ბათუმში ვერ გადაწყდებოდა. თანაც ქალაქიდან მშიერ-ტიტველი რამდენიმე ასეული თურქის განდევნით, რომელთა აღსასრული მოსკოვში 1921 წლის 16 მარტს თურქეთიდან მოწერილმა ხელშეკრულებამ და ახალციხე-ქუთაისიდან ბათუმისაკენ მომავალმა ძლევამოსილმა წითელმა არმიამ განაპირობა.

იმის ჯერიც დგება, თუ ვინ ჩაუყენონ ჯარს სათავეში, რიფათა ურჩევს მაზნიაშვილს, ოჩხამურში ერთად რომ იბრძოდნენ. ამის გაგონებაზე სერგო რიფათას თანაშემწედ გაიხდის. რიფათა სერგოს გაანდობს, რომ გენერალი ქალაქშია, საჯავახოს ხიდი მან ააფეთქა, ბოლშევიკებს გზა გადაუჭრა და თავისი ჯავშნოსნით აქეთ წამოვიდაო. სერგო რიფათას ავალებს გენერალი რევეკომში მოიყვანოს.

ამ დროს რეკავს ტელეფონი, რაც ანციფრებს რიფათას (მაზნიაშვილთან ვერ ნახა?), მაგრამ ყურმილს მაინც იღებს, თუმცა ჩახედავს. „ტილიფონის“ დარეკვაზე მეორეჯერ შეერთება, მაგრამ ამჯერად თამამად აიღებს. შემოსულ მილიციონერს ეკითხება, „აგი რა გიკიდიო ხის ბუდეში?“ ე.ი. მაუზერი არ სცოდნია, ნუთუ მაზნიაშვილთან და მის ოფიცრებთან არ დაუნახავს?

სერგო გენერალს მიმართავს, როგორც რევეკომის თავმჯდომარე. მაზნიაშვილი კითხულობს, რაა რევეკომიო. მაზნიაშვილი ბოლშევიკებს იმიტომ ებრძოდა, რომ საქართველოში რევეკომი არ ყოფილიყო, ამიტომაც ასეთი კითხვა ავტორის უნიჭობაზე თუ მეტყველებს. მაზნიაშვილს სთავაზობენ ბოლშევიკთა ჯარის სარდლობას, უარისას დაგხვრეტენ, როგორც რევოლუციის მტერს. სერგო გენერლის კითხვაზე „რისთვის მოიგო ბრძოლა“, ამბობს: ბებიაჩემისთვის (?). მენშევიკთა ოფიცერი ქარუმიძე კითხულობს ოსმალებთან ბრძოლის მოგების შემდეგ, მაზნიაშვილს დახვრეტენ თუ არა. ბოლშევიკები მარწუხებიდან ისევ „ჭკუისმასწავლებელ“ რიფათას გამოყავს: გამარჯვებულს ვინ დახვრიტავსო.

იწყება ბრძოლა მტრის წინააღმდეგ. გოგელიას ნიშნავენ პოლიტკომისრად, რადგან „უამისობა კომუნისტებს ხელს არ აძლევს“. რიფათა სერგოს ეკითხება, – დალუპულებს სად დაასაფლავებენ? – ქალაქის შუაგულშიო.

ავტორის მიხედვით, მსოფლიოს პოლიტიკოსები ბათუმს მოაწყდნენ დიდ საქმეთა მოსაგვარებლად. ნამდვილად კი აქ მცირერიცხოვან ოსმალთა გარდა არავინ იყო. ისიც ცნობილია, რომ მენშევიკების გვარდიელთა ნაწილი ბოლშევიკთა აგიტაციის შედეგად, პატრიოტული თვალსაზრისით გადმოვიდა ჩვენს მხარეზე. ავტორის მიხედვით, 500 გვარდიელის მოსასყიდად (სადღაა ნამუსი), ძვირფასეულობა შეაგროვეს, რადგან მათთან ომი „ფაფის ჭამა არაა“. სისხლისმღვრელი ბრძოლა 15 საათს გაგრძელდა, თუმცა რამდენიმე ათეული კაცი თუ მოიკლა. მოგონილია რომ მტერი ზღვიდან დახმარებას მოელოდა, დესანტის გადმოსხმა თუნდაც იმიტომ არ შეეძლოთ, რომ როგორც ვთქვით, 1921 წლის 16 მარტს მოსკოვის ხელშეკრულებით, მთელი აჭარა უკვე საბჭოეთის იყო, ამდენად, დესანტის გადმოსხმა აშკარა აგრესიას ნიშნავდა, რაზეც ოსმალებსა თუ სხვებს არც უფიქრიათ.

„ქართული არმია ოპერაციებს“ წინასწარი გეგმით ასრულებდა. ტექნიკის გადარჩენის მიზნით, თურქებს თხოვეს ფოსტა-ტელეგრაფი დაეთმოთ.

კიო, მაგრამ ზავის შემთხვევაში „ერთი დღის სამყოფი ჰური მოგვეცითო, თორემ 3 დღე არაფერი გვიჭამია“ (გვ. 90), კი, მაგრამ ქართული არმია „წინასწარ შედგენილი ოპერაციებით“, ბოლშევიკების სარდლობით 15 საათს სისხლის „უკანასკნელ წვეთამდე“ მშვიერ-ტიტველ მტერს ებრძოდა, კიდევ მეტი, მსოფლიო რევოლუციის ბედს წყვეტდა?

მტრებს შორის მაზნიაშვილსაც აცხადებენ და უნდათ დახვრიტონ, აღშფოთებული რიფათა ამის გამო ატეხილ ჭიდილში ჩაებმება, ამასობაში ვილაცას მაუზერი გაუვარდება. „მიშველეთ! აუ, მომკლეს, ნარგიზა!“ – წამოილულულეებს და დაეცემა. სერგოს რიფათა მკედარი ჰგონია და განკარგულებას იძლევა „სამშობლოსათვის თავდადებული გმირი“ (?) ქალაქის ცენტრში დაასაფლაონ. ზარბაზნები ააგუგუნონ, რადგან მისი სული ძალა იფრენს!

სამწუხაროა, რომ რევოლუციურ ბრძოლებში ნაწრობი სერგო, სხვა ბოლშევიკები ვერ მიხვდნენ, რომ რიფათა „ტყვიამ არ განგმირა, სისხლისაგან კი არ დაიცალა“, არამედ გასროლის ხმამ გრძნობა დააკარგვინა, შოკში ჩააგდო (ესეც მზეერავი-ადიუტანტი, გმირი რევოლუციონერი).

მაზნიაშვილი, რომელმაც რიფათა სამი წლის წინანდელ ტანსაცმელში გამოიცინო და დაადასტურა, რომ „კარგად იბრძოდა“ (გვ. 46-47), აცხადებს: რიფათა ცოცხალია. სერგოს ეს გადატანითი მნიშვნელობით ესმის და დასძენს: თაობებში იცოცხლებს მისი სახელი. მაზნიაშვილი განმარტავს: ბედნიერ ვარსკვლავზე გაჩენილი ასე იოლად არ მოკვდება, განაკაწრიც არა აქვს, მხოლოდ დაძაბულად წევს, რაიმე სასიამოვნო, გასაგები ენით უთხარითო და ქალი ჩააგონებს: – ნარგიზა ვარ, ნარგიზა! შენი წასვლის მერე თვალღია ვწევარ, არ ვტირი, მარა შენს ნენას რომ დაეინახავ, კურცხალი მისით განდება თვალზე. შენი ტოლები ამბობენ, რიფათა ჩამოვა დიდი და ლამაზიო, – რასაც რიფათას გაცოცხლება მოჰყვება.

ქალაქის ცენტრში დალუქულთა დამარხვისას რიფათა სინანულს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათ შორის არაა, იმ გვარდიელის ბრალია, მაუზერით რომ არ მომკლავო. ვითომ, ეს ჰეროიკაა, ან ახალი თაობის რევოლუციური სულისკვეთებით აღზრდას სჭირდება?

20 მარტის (უნდა 19 მარტის) 8 საათისათვის თავგანწირული და სისხლისმღვრელი ბრძოლა გამარჯვებით დამთავრდა. მაზნიაშვილს რიფათა ფეხებში უვარდება, გახარებული ისევ მღერის „ტყეში ხარი შემეივარდა, – გამო, გამო, გიშერაო“.

ამრიგად, ასე აგდებულად, უსუსურ-შეუგნებლად, სასაცილოდ ბრიყვად წარმოგვიდგენს მას, ასე დაგვიცინის, გვამასხარავენს. ერთი სიტყვით, რევოლუციამ, ბოლშევიკებმა, საბჭოთა ხელისუფლებამ, რიფათას მხოლოდ ისღა ასწავლა, თუ რას ნიშნავს „პროსტიტუტკა“. – ბოზი, ჯო, ბოზია, უხსნის იგი კალანდაძეს, – „ვეფხისტყაოსანში“ წერია როსკიპი, ბოზიო. ხედავთ, რუსთაველის ქმნილებაზეც სმენია.

აჭარლების გაკილვა-გაბითურებისათვის ვ. კანდელაკი 105-გვერდიან მცირე ფორმატის პიესაში 60-ჯერ ხმარობს „ჯოს“. გვ.70-ზე შეიღჯერ, ხოლო გვ. 99-ზე – რეაჯერ. ამასთან, უნდა „ჭო“, ე.ი. ბიჭო და ა.შ. ეს ვაიპიესა 1969 წელს გ. ქავთარაძემ დადგა, 1976 წელს – დ. ხინიკაძემ. ვფიქრობთ, რომ ეს პიესა დიდხანს შერჩება ბათუმის თეატრს, – თქვა გ.ბუხნიკაშვილმა. ალბათ იმიტომ, თურმე მენშევიკებმა იხსნეს მაშინ ბათუმი, რაც ფალსიფიკაციაა.

მიუხედავად ამისა, პიესა პრემირებული იყო ლენინის დაბადების 100 და საბჭოთა საქართველოს 50 წლისთავის აღსანიშნავ რესპუბლიკურ კონკურსზე. სამწუხაროა, რომ მხოლოდ ისღა შენიშნეს, პიესა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას ასახავს, ხოლო ვითარება, მოვლენები, ადგილობრივი თემა, თვით რევოლუციისა და ბოლშევიკების წარმოჩენის საკითხი, მეორეხარისხოვნად მიიჩნიეს, არ გააანალიზეს და ძირეულად გადასამუშავებელ პიესას, წიგნს ვიზა მისცეს. თუმცა, საქართველოს მწერალთა კავშირში განხილვისას, ხაზგასმით აღინიშნა: „მისი სცენური განხორციელება დიდ სიფრთხილეს მოითხოვს“ (შ. ქურიძე, ერთი სპექტაკლის შესახებ, გაზ. „საბჭოთა აჭარა“, 1979, 30 მაისი). შემდეგ შოთა ქურიძე წერდა: „ეს გაფრთხილება (თუ შეიძლება ასე ითქვას) უნებლიეთ მოგვაგონდა, როცა ენახეთ ბათუმის თეატრის სპექტაკლი, რომელმაც აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია... შეიძლება გვითხრან, რომ სპექტაკლის არსებითი ნაკლოვანებები პიესიდან მომდინარეობს... ზოგიერთი ღირსების მიუხედავად, მოკყვა სპექტაკლს მარცხი... სპექტაკლი „დრო – ოცდაოთხი საათი“, ჩვენი აზრით, არსებით გადახალისებას მოითხოვს“.

მაშინ სათქმელი ჩვენც ეთქვით. პიესის დადგმა შეწყდა. როდესაც შეეცადნენ საზოგადოების შემზადებას, ამ პიესის მიხედვით კინოფილმის გადაღებას, ისევ ავიმალღეთ ხმა. სხვებმაც თქვეს და ეს ცოდეა მოეხსნა ორსახოვან იანუსს, მაგრამ 1985 წელს კანდელაკის მემორიალური დაფა გააკეთეს და ყოფილ მეთევზეთა ქუჩას მისი სახელიც მიაკუთვნეს.

1921 წლის 17-18 მარტის ამბებში, რომელსაც ვ. კანდელაკი აღწერს, არც ერთი აჭარელი არ მონაწილეობდა. ოღნავ მოგვიანებით არჩეულ რეჟიომში, მართალია, ორი აჭარელი – მემედ ბეგ აბაშიძე და რეჯებ ნიჟარაძე შეიყვანეს, მაგრამ ისინი ზომ ცნობილი პატრიოტები იყვნენ, თუმცა, სერგო ქავთარაძემ სულ მალე რეჟიომიდან გააწვევინა, კიდეც დევნა, რათა მშობლიური მხარის ინტრესები არ დაეცვათ.

ამრიგად, დოკუმენტურ, რეალურ ამბებში გამოყვანილი რიფათა გოგითიძე გამოგონილი პიროვნებაა, თუმცა, არაა გამორიცხული მასში ხსენებულ პატრიოტებს გულისხმობდეს. ასეთ ღვაწლმოსილებს მაშინ და შემდეგაც, არ აფასებდნენ, უარყოფდნენ, ქედმაღლურად ეპყრობოდნენ. ამიტომაც, რომ მათზე ამ ბოლო დრომდე იშვიათად, ან არაფერი იწერებოდა. (ბათუმი, 1971-1985, 1993, 26 აპრილი, 1998, 22 დეკემბერი).

## ბათუმში და აჭარა კავსტოვსკის წერილებში

ჩვენს ქალაქში არაერთმა ცნობილმა პიროვნებამ დაიწყო თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა და შემოქმედებითად დაეაჟაკადა. მათ შორის მხარის მრავალფეროვანი. რაც მთავარია, კეთილშობილური აღწერა-წარმოდგენით ყველაზე თვალსაჩინოა გამოჩენილი რუსი მწერალი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე პაუსტოვსკი.

პირველი წლები მძიმე იყო ახალგაზრდა საბჭოთა ქვეყნისათვის. გაჭირვებას უცხოელთა ბლოკადა უფრო აუტანელს ხდიდა. ამან ოდესელი ყმაწვილი ბათუმში მოახვედრა, — ეგებ იქ რუსული გაზეთი დაარსდეს და წერას მიეძალო, — ფიქრობდა იგი.

კ. პაუსტოვსკი ჩვენს ქალაქში 1922 წლის თებერვალში ჩამოსულა. პირველ ხანებში ბარცხანაში ცხოვრობდა. 21 აგვისტოდან ბათუმში გაზეთ „მაიაკის“ გამოცემას შესდგომიან. ეს იყო პირველი საზღვაო გაზეთი ქვეყანაში ოდესის „მორიაკის“ შემდეგ. მთავარ რედაქტორად ნავსადგურის უფროსი, ესტონელი ვ. ნირკი ითვლებოდა. გაზეთს ბეჭდავდნენ მანქანა ბოსტონკაზე, „ბორდინჰაუსში“ — თავიანთ გემებს ჩამორჩენილ მეზღვაურთა შენობაში. აქ ათეუდა ღამეს მომავალი მწერალი. ეს ორსართულიანი შენობა ზედ ზღვის პირას აეგოთ ისე, რომ ღელვისას ტალღები ფანჯრებს ასკდებოდა. ესაა ახლანდელი ნავსადგურის კაპიტნის სამსახურის ნაგებობა.

ამ გაზეთში აქვეყნებდნენ რუსეთის დეპეშათა სააგენტოს მასალებს, საზღვაო ამბებს, ნარკვევებსა და მოთხრობებსაც კი, ბევრს წერდნენ ხალხთა მეგობრობისა და ურთიერთობის შესახებ. მნიშვნელოვანი ადგილი, რასაკვირველია, ადგილობრივ საკითხებს ეთმობოდა.

თანამშრომლებს შორის იყვნენ მომავალი მწერლები ისეკ ბაბელი, ულიანსკი, რუვიმ ფრაერმანი, ყოფილი მოჭიდავე დოვეგლო, პოეტი ქალი ფლორა და სხვები. შემოდგომა-ზამთარში ნავსადგურში ტვირთბრუნვა მკვეთრად მცირდებოდა, ამიტომაც კვირაში „მაიაკის“ ოთხი ნომრის ნაცვლად ერთი გამოდიოდა. აი, ამ დროს კონსტანტინე პაუსტოვსკი საოლქო გაზეთ „ტრუდოვოი ბათუმში“ თანამშრომლობდა, რომელსაც მოჩულსკი რედაქტორობდა. იგი სხვადასხვა ჟანრის მასალებს ფსევდონიმებით აქვეყნებდა, მას ეკუთვნის წერილები და ნარკვევები: „შეგნებული მოქალაქე“, „ვისია ეს განკარგულება“, „გასასვლელი ოთახი“, „დამპალი ნავმისადგომები“, „წითელი ინჟინერი“, „ზღვა და რევოლუცია“, „სამი ამხანაგი“ და სხვა. კ. პაუსტოვსკის მიერ მოგვიანებით გამოქვეყნდა ავტობიოგრაფიული ხასიათის მოგონება „ნახტომი სამხრეთისაკენ“. ჩვენი ქალაქის მაშინდელ ყოფასა და ვითარებაზე, აჭარლების გაუგონარ უუფლებობაზეა მოთხრობილი თავებში — „ბათუმის ხმა და სენი“, „სანაპიროს თავშესაფარი“, „უთვალავი შუშხუნა“, „ახალი წლის ღამე“, „მეკურტანი“ და სხვები, აგრეთვე რომ-

ანებში — „მღელვარე ღრუბლები“, „რომანტიკოსები“. ხოლო, „სამი მოთხრობა“ — ალი მახარაძესა და ფადიკო ვანაძეს ეძღვნება. ალი აგრონომ ხანატურიანის თანამემწე იყო, ხოლო ფადიკო ბათუმის საქსოვი ფაბრიკის დირექტორი. ისინი შეფობის გაწვევის მიზნით ერთად გაემგზავრნენ ხულოს რაიონის სოფელ ღორჯომში, რათა რძის გადასამუშავებელი მანქანები დაენერგათ. აქ ალიმ საძოვარ საჯოგიაში დიდაჭარელებს შეასწავლა სეპარატორზე მუშაობა და თხილვანელებსაც დაჰპირდა მათ შეტანას. ფოთთან ახლოს ნუტრიის მეურნეობაში ბრაკონიერებმა ალი ვერ მოისყიდეს. — ახალმა ხელისუფლებამ ადამიანი გამხალა, წერა-კითხვა შემასწავლა, სამუშაო მომცა და აბა რატომ არ უნდა ვუერთგულო? — უთქვამს მას.

ფადიკო ქობულეთიდან იყო. ახალმა ყოფამ, კეთილშობილებამ, ხალხისადმი ერთგულმა სამსახურმა ასევე წარმოაჩინა მისი ძმები, ისინი ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში დააწინაურეს. ფადიკოს არაერთი ქალიშვილი ჩაუბამს შრომაში. მწერალი თავში — „მეკურტნე“ განსაკუთრებით თბილად წერს მუშებზე, კერძოდ, ნავსადგურის მტვირთავებზე, რომლებსაც გაუგონრად ავიწროებდნენ და უგულვებელყოფდნენ.

ამ ნაწარმოებებში, აგრეთვე სხვა გაზეთებში გამოქვეყნებულ „ბათუმურ წერილებში“, „ზამთარი ბათუმში“ და სხვაგან მოთხრობილია, რომ ბათუმში შემოდინდნენ ფირმების „სოსიფროსის“, „ჯონ ვიტოლი და ვაჟიშვილების“, „პაკეს“, „ლოიდ ტრიეტონისა“ და სხვათა გემები, რომლებსაც ინგლისის, საფრანგეთისა და სხვა ქვეყნების საქონელი შემოჰქონდათ, ხოლო საბჭოთა ხომალდებს — „ლეე ტოლსტოის“. „სამ ამხანაგს“ და სხვებს — აფხაზური თამბაქო, ატამი და ტუაფსედან კონტრაბანდისტული არაყი, ფორთოხალი კი ტრაპიზონელ თურქებსა და ჭან-ლაზებს. ნავსადგური თავისუფალი იყო და ყველა მას აწყდებოდა, რამაც უმუშევრობა წარმოშვა, მომრავლდნენ ნაძირალები.

კ. პაუსტოვსკი მთელი ნაირფეროვნებით ასახავს ჩვენს ქალაქს. ყურთასმენა მიჰქონდა ზურნის ჭყვიტინს, ბაზრებში ცხოველების ბლავილს, გამყიდველთა შეძახილებს, წყლის გაუთავებელ შხაპუნს მილსადენში, ნამდვილმა ბათუმურმა წვიმამ თუ ერთი თავი იჩინა, გადალებას აღარ იღირსებსო, — წერს იგი.

არაჩვეულებრივად ეგზოტიკური, ზედგამოჭრილი აღმოსავლური ტიპის ქალაქი გაჟღენთილი იყო ყავის, მანდარინისა და ნავთის სუნით. გაუფასურებულ ქართულ ბონებზე მოთხოვნა საგრძნობლად დაეცა, საბჭოთა მანეთიც ნაკლები იყო. მეტწილად თურქული ლირებით ვაჭრობდნენ. ყალბი ლირა ბევრი იყო, რის გამოც გამცემი ფულზე თავის გვარსაც აწერდა, რათა საჭიროებისას ამოეცნოთ. ერთი ლირა დღეში სამ კაცს კვებავდა, რუხადის ღვინის ბოთლებს ძროხა ეხატა. 1918 წელს ინგლისის კოლონიური ჯარის მიერ შემოტანილი ყვითელი ციებ-ცხელება ჯერაც არ გამქრალიყო.

მწერალი ამხელს ბაოუმში აჯანყებულ რუს მეზღვაურთა ხელმძღვანელის — შმიდტის დამხვერეტ ქალაქის კომენდანტ სტავრაკს, საბჭოთა



ორგანოებში მაინც შეაღწია. ფულის გამოძალვის მიზნით, მან ასეთ ავანტიურას მიმართა: ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით ოფიციალურად განაცხადა – გვიან ღამემდე შეგიძლიათ ქუჩებში იაროთ და იმხიარულოთ. ასეთ მახეში გაბმულები რამდენიმე ჯგუფად დაჰყო და ციხეში შეარეკინა. მათ შორის იყვნენ პაუსტოვსკი, იტალიელი დესპანი, პოეტი ფლორა, მოჭიდავე დოვგელო და სხვები. ათავისუფლებდა მხოლოდ იმათ, ვინც ქრთამს გაიღებდა. ბოლოს რუსეთის დესპანის – დუნცის ჩარევით, ყველა გაათავისუფლეს, კომენდანტი კი დააპატიმრეს. ასევე ამხილეს ბათუმში მოკალათებული სხვა თაღლითები.

პაუსტოვსკის ბათუმური შთაბეჭდილებანი და აქაურობისადმი სიყვარული ბოლომდე გაჰყვა. „ფეიქრობდი, ნეტავი რომელი ქალაქია-მეთქი: ანკონა თუ ჩივიტავეკია, ბორლო თუ როტერდამი“.

ახლა „მეკურტნეს“ შესახებ. როგორც ვთქვით, ესაა დოკუმენტური ნაწარმოების „ნახტომი სამხრეთისაკენ“ ნაწილი, აჭარლებზე დაწერილი მართალი და გულწრფელი სტრიქონები.

პაუსტოვსკი წერდა: „ნავსადგურში პურის ფულის საშოვნელად მუშები ერთმანეთს აწყდებოდნენ, სამუშაო სანახევროდაც არ ჰყოფნიდათ, ამიტომ უფრო საწყობებთან იწვნენ და ეძინათ. დაღლილები და მშვივრები ძილშია პოულობდნენ ხსნას.“

ხელები მუხის ფესვებივით დაგრეხილი ჰქონდათ.. უცხო სტუმარს თუ მოპირავდნენ თვალს, ხელად ცალკე მაგიდას დაუდგამდნენ და ხმასაც დაუწყებდნენ ხოლმე... ცოტას ჭამდნენ... ოღონდ სამუშაო ეშოვათ და ტვირთის სიმძიმე არაფრად არ მიაჩნდათ.

ისინი უმეტესად აჭარელი გლეხები იყვნენ... საქონელი ვერ აიტანდა იმდენს, რასაც ის მუშები იტანდნენ. თანაც ძალზე მშვიდი ხასიათი ჰქონდათ. იმნაირი უწყინარი, უბოროტო და ხათრიანი ხალხი არც შემხვედრია ცხოვრებაში.

ყველანი ატყუებდნენ, თავში ურტყამდნენ საწყლებს... ფულს არასოდეს არ ითვლიდნენ, ზედაც არ უყურებდნენ. გამოართმევდნენ და განიერი შარვლის ჯიბეებში ჩაიდებდნენ. გულუბრყვილონი იყვნენ, ადამიანის ნლობა იცოდნენ, მაგრამ თუ ვინმე მოატყუებდა, დაკარგულ ფულს კი არა ჩიოდნენ, უნამუსობას ვერ იტანდნენ და წუხდნენ – მატყუარა კაცს რატომ ფეხქვეშ მიწა არ უსკდებაო“ (კ. პაუსტოვსკი, ოქროს ვარდი, თბ. 1969, გვ. 362-363).

„ნახტომი სამხრეთისაკენ“ ჟურნალ „ოქტიანის“ 1960 წლის მე-10 ნომერში გამოქვეყნდა. თავის დროზე ამ ნაწარმოებს ბევრი უარყოფითად შეხვდა. მათ შორის მწერალი ა. შერვაშიძეც, რომელმაც ტენდენციურად აღიქვა მწერლის პოზიცია მკვიდრი მოსახლეობის მიმართ. მან გაზეთ „საბჭოთა აჭარაში“ გამოქვეყნებულ რეცენზიას „ავადმყოფური ფანტაზიის ნაყოფი“ უწოდა. წერილი მთავრდება: „ვექომაგებით ჩვენს მხარეს და მწერალს მიუუთითებთ მის დაუდევრობას, შეცდომებსა და სამწუხარო ნაკლოვანებებზე.“

დარწმუნებული ვართ, რომ ყველასაგან პატივცემული მწერალი კ. პაუსტოვსკი ყურად იღებს ჩვენს შენიშვნებსა და წიგნის გამოცემისას სათანადოდ გაითვალისწინებს“. ე.ი. „ერთმანეთში არ უნდა აერია მაცხოვრებლები“ ანუ არ უნდა დაეწერა, რომ მეკურტნე-მტვირთავები მხოლოდ აჭარლები იყვნენ.

გამოჩენილი მწერლის ნაწარმოები „ნახტომი სამხრეთისაკენ“ ცალკე წიგნად ქართულად 1964 წელს გამოიცა, ხოლო 1969 წელს შეიტანეს თბილისშივე გამოქვეყნებული მწერლის თხზულებათა კრებულში „ოქროს ვარდი“. რასაკვირველია, ყოველგვარი შესწორებისა და შენიშვნების გარეშე.

აჭარელთა უმწეობამ, მძიმე სვედრმა, უუფლებობამ დააფიქრა პაუსტოვსკი. „მაგათ სილატაკესა და უუფლებობას ბოლო არ მოეღება, თუ არ გაერთიანდნენ და არ შეკავშირდნენ“, – თქვა და საქართველოს მეზღვაურთა კავშირის თავმჯდომარეს, კეთილ და გამოცდილ მეზღვაურს, გაზეთ „მაიაკის“ პასუხისმგებელ მდივანს, ესტონელ ვ. ნირკს დახმარება სთხოვა. მოიწვიეს კრება, ნირკმა დაიცვა აჭარელი მუშები, რამაც იმედი და სიხარული გაუჩინა მათ. ყველაზე დაფასებული, ხანშიშესული ნირკთან მივიდა და გულში ჩაიკრა, ამხანაგებს რალაც ანიშნა, შემოსძახა და ცეკვაში ჩაება. ეს იყო „დაქანცული მუშების ცეკვა“. – ეკითხულობთ ნაწარმოებში.

ასე შეიქმნა ნავსადგურის მუშების კავშირი, რომელიც მოკლე დროში ტრანსპორტის მუშაკთა კავშირად გადაიქცა. ამით გახარებული ნირკი აღნიშნავს: „ჩვენს პირობებში სწორედ ეგ ხალხი (აჭარლები) უნდა იყოს და იქნება კიდევ პროლეტარული რევოლუციის დასაყრდენი“.

ღიახ, საბჭოთა ხელისუფლების პირველი წლებიდან ბათუმის ნავსადგურში აჭარლებმა იმრავლეს. ეს კი უფრო განაპირობა უცხო სახელმწიფოთა ბოიკოტმა და ნავსადგურზე თავისუფალი სტატუსის მოცილებამ. ამან მნიშვნელოვნად შეამცირა სამუშაოთა მოცულობა, რის გამოც მუშათა რაოდენობა II ათასიდან 900-მდე შემცირდა. ისინი გურიაში, იმერეთსა და სხვაგან დაბრუნდნენ. პერიოდული, დროებითი სამუშაოების შესასრულებლად კი სწორედ ბათუმის ახლომახლო მცხოვრებლები მიიწვიეს, რომელთა შენახვა იაფი იყო და მოხერხებულიც.

კ. პაუსტოვსკი ამბობდა: „არ მინდა ისე მივატოვო ბათუმი, რომ ორიოდე სიტყვა მაინც არ მიეუზღა იქაური ცხოვრების შინაარსიან ხანას. ვიდრე მივატოვებდე, არ შემიძლია ერთხელ კიდევ არ გადავაელო თვალი ამ ჩვეულებრივ და ულამაზეს ქალაქს... განშორების ჟამს ბათუმში ყველაფერი ძვირფასი და ლამაზი იყო, – თვით წვიმა და ბორბლიანი ხომალდის შავი ბოლიც კი“.

მწერალს ისე ჩარჩა მეხსიერებაში ჩვენი მხარე, რომ გამოქვეყნებულ ავტობიოგრაფიაში დიდი სითბოთი მოიხსენია.

ბათუმის ერთ-ერთ ქუჩას ჩვენი დიდი გულშემატკივრისა და მეგობრის კ. პაუსტოვსკის სახელი უნდა ეწოდოს (გამოქვეყნებულია გაზეთი „აჭარა P.S.“ 2001 წლის 20-27 აპრილის ნომერში).

## რატომ იბრძოდა ს. ქავთარაძემ აჭარლებს?

ჩვენ არცთუ ისე ცოტა მოძულე და მოძალე გვყავდა. სამწუხაროდ, თანამემამულეებს შორისაც. ასეთნი ამოფარებულნი დიდ თანამდებობებს. დღენიდაღ სახელს გვიტეხდნენ, გვაკვიწროებდნენ, გვდეკნიდნენ. ცოცხალი გვწამებდნენ, „დანოსებით“ ამარაგებდნენ თბილისსა და მოსკოვს. ჩვენს იგნორირება-პროვოცირებაშიც დიდოსტატობდნენ, რათა აღამიანურად არ გვეცხოვრა და გვეშრომა, არ გამოგვეჩინა საკუთარი თავი და მშობლიური მხარე, არ გამოვსულიყავით მოღვაწეობის ასპარეზზე, ვყოფილიყავით დაბეჩავებულ-ენაჩაგდებულნი, ნასუფრალის კმაყოფილი.

ამნაირ პოლიტიკაში გამორჩეულია სერგო ქავთარაძე. მან იმ რევოლუციონერთა გზა გაიარა, რომლებიც ავანტიურა-ტერორიზმით გახდნენ „ხალხის შვილები“ და ბოლშევიკებს, საბჭოთა ხელისუფლებას მიეტმანნენ, რათა უფროსები ყოფილიყვნენ, მაუხერები დაეკიდათ და საბჭოთა ხელისუფლების „მტრები“ დაეხცათ.

საქართველოში ამ ხელისუფლების დამყარებისა და ბოლშევიკების გაბატონებისათვის ქავთარაძე იარაღით იბრძოდა, ამიტომაც ეროვნულმა მთავრობამ ციხეში ჩასვა. 1921 წლის 17 მარტს ბათუმიდან ამ მთავრობის წასვლამ, ქართველ ჯარისკაცთა ნაწილის ბრძოლის სურვილმა, უფრო კი იმან, რომ მოსკოვში 16 მარტს დადებული რუსეთ-თურქეთის ხელშეკრულების საფუძველზე აჭარას ავტონომია ეძლეოდა და საქართველოს უბრუნდებოდა, აგრეთვე გოდერძიდან წითელი არმიის დივიზიის დაშვებამ, განაპირობა ს. ქავთარაძის ბათუმის ციხიდან განთავისუფლება.

განდიდებისათვის ქავთარაძემ გენერალ გიორგი მაზნიაშვილის დამსახურება მიიწერა. თურმე ქავთარაძემ დახვეტის მუქარით აიძულა იგი – გაეწია ჯარის სარდლობა (მოგონება, ჟურნ. „მნათობი“, 1957), მაგრამ მაზნიაშვილისა და სხვა ოფიცრების მოგონება, მოვლენათა ანალიზი და წყაროები, ააშკარავებენ ამ სიცრუეს.

ისტორიკოსთა ნაწილი სცოდავს, როცა აჭარის განთავისუფლებასა და აქ საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში ქავთარაძის წარმოსაჩენად, ახდენდა მოსკოვის აჭარის ავტონომიისთან დაკავშირებული ცნობილი ხელშეკრულების იგნორირებას, დ. ჟღობას კავალერისტთა დივიზიისა და ნ. კუიბიშევის ჯავშანმატარებლების შემოსვლას ბათუმში, რამაც გადამწყვეტი (ხაზი ჩვენია) როლი შეასრულა აჭარის გადარჩენაში. თურქეთი კარგად მიხვდა, რომ მის ინტერესებს დაუპირისპირდა დიდი რუსეთი,

როპელიც ძლევამოსილად მიიწევდა წინ, გაიფართოვა საზღვრები და გავლენაც. თანაც რუსეთის მიერ ე.წ. თურქეთის ყოფილი ტერიტორიების მითვისების მიუხედავად, მუსტაფა ქემალ ათათურქის მთავრობამ ვერ გაბედა რუსეთის წინააღმდეგ გალაშქრება. პირიქით, რუსეთი მასვე სჭირდებოდა ევროპელი ინტერვენტების თავისი ქვეყნიდან გასადევნად, რაც აღსრულდა კიდეც (იხ. ჩენი წერილი გრ. ვეშაპელის შესახებ, გაზ. „აჭარა P.S.“, 1999, 7-14 მაისი). ამიტომ იყო, რომ აჭარის საზღვარზე მოყენებული საკუთარი ჯარი თურქებმა უკან გააბრუნეს, იმთავითვე დაცალეს ბათუმიც. კიდეც მეტი, ცნეს აჭარაში ახალი წყობილების ანუ საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რომელმაც ითავა აჭარის მკვიდრთა კანონიერი მოთხოვნის დაკმაყოფილება – ფართო ავტონომიის მიკუთვნება. თურქეთმა აჭარა სწორედ ამის გამო დათმო. ეს ფაქტი რეალობაა და მას ვერ გავექცევით. ამრიგად, ნუ წარმოვიდგენთ თითქოს ქავთარაძისთანა ქართველმა ბოლშევიკებმა იხსნეს აჭარა საბჭოთა წყობილებაც დაგვიმყარეს და ავტონომიაც გვიბოძეს, იმედროულად პირიქით, ჩვენს ავტონომიას აშკარად აღუდგნენ წინ ქართველ ბოლშევიკთა ნაწილი, განსაკუთრებით – ნაციონალ-უკლონიკები. მათი წარმომადგენელი ბათუმში სწორედ ქავთარაძე იყო. მიზეზ-მიზანი ყოვლად გაუმართლებელი, უსაფუძვლო და შოვინისტური ჰქონდათ: ადგილობრივ მკვიდრთა არწარმოჩენა, სახელმწიფო და საზოგადოებრივ საქმიანობას მოწყვეტა, გადამწყვეტი ხმის უფლების წართმევა, იგნორირება და კომპრომეტირება. ეს კი სრულად მაშინ შეიძლებოდა, თუ მას წააგლეჯდნენ ბათუმს შემოგარენით და ე.წ. „განსაკუთრებული სამხედრო რაიონის“ საბაბით თბილისს ჩააბარებდნენ („ბრძოლა აჭარის ავტონომიისათვის. ავტონომიის ისტორიული მისია“ ჩენივე კრებულიდან „ამას შენზე ამბობენ აჭარავ“, ბ., 1995 და სხვა).

ამ აკანტიურისტული პროგრამის განსახორციელებლად მზადებას ს. ქავთარაძე პირველი დღეებიდანვე შეუდგა. რევკომში არცერთი აჭარელი არ აარჩევინა, თბილისის ჩარევით კოპტაციის წესით შეყვანილი მოღვაწეები მემედ აბაშიძე და რეჯებ ნიჟარაძეც გააძევა. ასევე იგნორირებულ-შევიწროებულნი იყვნენ სხვა პროგრესული პიროვნებები, მათ შორის პირველ რიგში ხასან ლორთქიფანიძე და ჰაიდარ აბაშიძე.

1921 წლის 6 ივნისს ს. ქავთარაძემ მ. აბაშიძე აჭარის მეჯლისის ანუ მთავრობის თავმჯდომარეობიდანაც გადააყენებინა, რადგან თურმე „ვერ გაამართლა ხალხის ნდობა“, ხელი შეუშალა ავტონომიის სტატუსის შესამუშავებლად თბილისში გასამგზავრებელი კომისიის ხელმძღვანელად მის არჩევას, უფრო მეტი, როგორც „არასასურველი პიროვნება“, თანაც ბეგი, აჭარიდან გაასახლებინა.

მიზეზი თითქოს ჰქონდა. მ. აბაშიძე, მართალია, არაფერში ინდობდა თურქებს, მაგრამ გაზეთ „სამუსლიმანო საქართველოში“ ის ასევე აუგად იხსენიებდა ბოლშევიკებსა და საბჭოთა ხელისუფლებას, ამასთან მისი ძმა ასლანი, ეროვნული ხელისუფლების გენერალი, ბორჩხა-ართვინში, ანუ საქართველო-თურქეთის საზღვართან აფარებდა თავს და შეიარაღებული რაზმით აქ შემოჭრას აპირებდა. მოგვიანებით ასეც მოხდა (იხილეთ ჩვენი „ახალი ცნობების შუქზე“, გაზ. „აჭარა“, 1991, 12 ოქტომბერი).

მტრობის ნამდვილი მიზეზი კი ის ყო, რომ მ.აბაშიძე დაჟინებით მოითხოვდა აჭარისათვის ავტონომიის მიკუთვნებას, ამასთან სათავეში ედგა მხარეში ეროვნულ მოძრაობას, იგი სამართლიანად უსვამდა ხაზს ისტორიულ, ეთნოგრაფიულ თავისებურებებს, XX ს. დასაწყისში აქ შექმნილ გარემოებას, აჭარელთა სწრაფვას დედასამშობლოსაკენ. ამრიგად, მ. აბაშიძე აჭარის ხსნას მისთვის ავტონომიის მიკუთვნებაში ხედავდა, რაც ცხოვრებამ მთელი სიგრძე-სიგანით დაადასტურა. კონფერენტაციის თავიდან აცილების, მშვიდობიანობისა და ქართული ორიენტაციის განმტკიცებისათვის მ. აბაშიძე აშკარად არც ისლამს გმობდა. ეს იმით იყო ნაკარნახევი, რომ მოსახლეობა არ აეფორიაქებინა, ამ მხრივაც ნამდვილად მამულიშვილურ პოზიციაზე იდგა.

მეჯლისის, ასევე თბილისში გასამგზავრებელი კომისიის თავმჯდომარედ აირჩიეს აჭარის ადვოკატთა კოლეგიის ყოფილი თავმჯდომარე, სახალხო მეურნეობის საბჭოს განყოფილების გამგე, უადრესად პრინციპული და ერუდირებული ხასან ლორთქიფანიძე, შემდგომში ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, რომლის მემორიალური დაფა გაკრულია პუშკინის ქუჩის №76-ში მდებარე სახლზე. ამრიგად, „თავისი კაცი“ ს. ქავთარაძემ ამ პოსტზე ვერ „დასვა“. ავტონომიის სტატუსის შემუშავება აქტიურად დაიწყო.

ახლა ასეთ ავანტიურას მიმართეს – მხოლოდ კულტურული ავტონომია, ანუ ჩვეულებრივი ადმინისტრაციული ოლქი თუ რაიონი, შეღავათებით განსხვავებული და ისიც მთაში, რათა „თბილისისადმი დაქვემდებარებულ ბათუმსა და მის შემოგარენებში“ ამ მიწის აბორიგენები საექსკურსიოდ ჩამოეშვათ. ს. ქავთარაძე ხელმძღვანელობდა სტალინის ლოზუნგით – „чтoбы ашкарцы, не хoзяиничали в Батуми“ – მაგრამ საკუთარ „ინიციატივაზეც“ არ ამბობდა უარს.

აქედან გამომდინარე, ქავთარაძემ წინასწარ დაგესლა აჭარის მკვიდრთა ბევრი გულშემატკივარი და აჭარის ავტონომიის მომხრეები, „ამხილა“ აჭარლების „შავბნელი“ მისწრაფებანი და ამით ქართველ ერს „მხსნელად“ წარუდგინა თავი.

შედეგმა არ დააყოვნა. მიწვეულ კომისიას ხასან ლორთქიფანიძის, ბეჭირ აბუსერიძის, მემედ კონცელიძისა და ხუსეინ ბეჟანიძის შემადგენლობით, არავინ დახვდა, ორ დღეს არ გაეკარნენ. ბათუმის გაზეთ „უწყებებში“ კი ს. ქავთარაძემ გამოაქვეყნებინა შეთითხნილი წერილი – „თბილისში აჭარელი ბეგების პროვოკაცია“, სადაც იუწყებოდა თითქოს ეს „ბეგები“ კიდევ დააპატიმრეს და თავდებით თუ გამოუშვებნენ. ამ მონაჩმასხს ს. ლორთქიფანიძის დავალებით ასე უპასუხა: „საგანგებო კომისია მოგვანებთ ამ პროვოკაციის გამაერცვლებლებს და დაგხარჯავთ, როგორც შეგეფერებათ“ (შეხვედრის სტენოგრაფიული ანგარიშის ასლი ინახება ასლან კონცელიძის ოჯახში).

აჭარიდან წარგზავნილთა სულგრძელობამ, წინდახედულობამ, სიმართლემ, გონიერულმა მსჯელობა-აზროვნებამ, მოსკოვის ხელშეკრულებისა და სხვა საბუთების მოშველიებამ, ასევე სიმტკიცემ, შეუპოვრობამ და თავგანწირვამ, მოლაპარაკების მონაწილეთა დადებითი განწყობა დაიმსახურა, რის შედეგად ს. ქავთარაძის „ხალხმა“ ვერა და ვერ გაიტანა ე.წ. „კულტურულ-ნაციონალური“ ავტონომია. ხასან ლორთქიფანიძემ პირდაპირ განაცხადა: ისეთი ავტონომია, რომელიც კოლონიზატორებმა ავსტრალიის „ტუზემცემს“ (აბორიგენებს) არგუნეს, ანუ კონსტიტუციური უფლებების გარეშე არ გეჭირდება და არც მივიღებო.

ავტონომიის დედაქალაქად აჭარიდან წარგზავნილებმა ბათუმი მოითხოვეს. მათ კარგად იცოდნენ, რომ ბოლშევიკები ამგვარ სითამამეს არ აპატიებდნენ. მართლაც ს. ლორთქიფანიძე, როგორც სხვები, ჯერ ყოველმხრივ დევნეს, ხოლო 1937 წელს 49 წლისას წამებით ამოხადეს სული.

არ დაიძალბა ისიც, რომ საქართველოს კომპარტიის ცეკამ ყოველად გაუმართლებელი დადგენილება მაინც მიიღო, რომლის თანახმად ბათუმი არ შევიდა აჭარის ავტონომიის შემადგენლობაში. მხარის წარგზავნილებმა მტკიცე პროტესტი გამოთქვეს. ს. ლორთქიფანიძემ განაცხადა: ჩვენი მიზანია საქართველოსთან ყოფნა, მისი დახმარებით, ხელმძღვანელობით წინსვლა და სახელმწიფო ენად ქართულის აღიარება, მაგრამ ასევე არ დაუშვებთ აჭარის ტერიტორიული მთლიანობის ხელყოფას. მ. კონცელიძემ და ს. ბეჟანიძემ დაუმატეს, რომ არ შეიძლება „მსუქანი ადგილები“ წაიღოთ და „მჭლე“ დაგვიტოვოთ, ხოლო ახალციხის მაზრა ისედაც ითხოვეს აჭარასთან გაერთიანებას. როგორც ხულო და ქობულეთი, ისე ბათუმი აჭარაა, გართულება-რეციდივები, ექსცესები, კონფორტაცია თავიდან უნდა ავიცილოთ და არა გავაღრმავოთო.

ბ. აბუსერიძის კითხვაზე ბათუმი არის თუ არა აჭარა? – კიო, – იყო ფ. მახარაძის პასუხი. – მაშინ როგორ გამოვეყოთ იგი მისგან, გამოდის არც

ავტონომია მიგვიღია. ხალხი ვერ შეეგუება იმას, რომ დედას ართმევენ შვილს და დედინაცვალს აძლევენ.

წარგზავნილებმა ყურადღება გაამახვილეს აგრეთვე 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულებაზე და იმ რეციდივებზე, რომლებიც აჭარის ინტერესების აშკარა შებღალავს მოკყეებოდა. აქედან გამომდინარე, თქვეს: ჩვენგან ნუ მოითხოვთ იმას, რაც აჭარის მეჯლისის გადასაწყვეტია, ჩამოღით ბათუმში და ხალხს თავად აუხსენით ყოველივე, ჩვენ კი იძულებული ვართ დავტოვოთ თბილისიო (იხ. ჩვენი ხსენებული ნაშრომი ავტონომიის შესახებ).

დელეგაცია 17 ივნისს ბათუმში დაბრუნდა. მეორე დღეს მეჯლისის გაფართოებულ სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონეს მისი საქმიანობა თბილისში და მქუხარე ტაშითაც დააჯილდოვეს, გადაწყდა თბილისს ხელახლა სწევოდნენ მხოლოდ მაშინ, როცა აჭარელთა კანონიერ უფლებებს არ ხელყოფდნენ, ავტონომიის სტატუსთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტას შევიწროვების გარეშე, კანონიერად მიუდგებოდნენ და აჭარის დედაქალაქად ბათუმს აღიარებდნენ.

ამ მღელვარებამ მოსკოვს მიაღწია, გამობზაურება თურქეთშიც მოჰყვა, ლენინის მითითებით თბილისში ჩამოვიდა სტალინი, რომელმაც 4 იულისს მიღებაზე მიიწვია ხ. ლორთქიფანიძე, მოუსმინა მას და მიიღო მისი წინადადებანი, ამის შედეგად საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ცენტრად ბათუმის აღიარებით.

ხასან ლორთქიფანიძემ, მემედ კონცელიძემ, ბეჟირ აბუსერიძემ, ხუსეინ ბეჟანიძემ და სხვებმა ასე ააცილეს საქართველოს საერთაშორისო სკანდალი, აშკარა სისხლისღერა, რომლის მთავარი მოთავე ს. ქავთარაძე იყო. თუმცა ქართველი ერის საზიანო საქმე მაინც გაკეთდა: ახალციხის მაზრა აჭარის ფარგლებში რომ მოექციათ, იქაურ მოსახლეობაში. — მესხებში შენარჩუნდებოდა ქართველობა, აღიკვეთებოდა მათი გადასახლება შუა აზიაში.

რაოდენ დასანანი და აღმაშფოთებელია ის, რომ გ. შარაშიძე აჭარლების მოძულე ს. ქავთარაძეს აჭარის გადამრჩენად, მის დიდებულ მეგობრად წარმოგვიდგენდა. დიახ, გადამრჩენად, დიდ მზრუნველად, ასე დაგვიხატა იგი ჯერ ჟურნალ „ჭოროხში“, 1992 წლის 4 აგვისტოს კი — გაზეთ „აჭარაში“. ეგებ ჩვენი ავტონომიის წინააღმდეგ მისი აღვირახსნილი, „ძალის პოზიციიდან გალაშქრება მიიჩნია მის დამსახურებად? თუ იმას ამართლებს, რომ აჭარლებს ბათუმს აგლეჯდა და მთაში მიერეკებოდა? აბა სხვა არაფერი გაუკეთებია. ნუთუ ისღა აქვს მხედველობაში, რომ საბჭოთა ხელისუფლება „დაგვიმყარა?“.

შარაშიძის მტკიცებით, „განსაკუთრებით დიდია ს. ქავთარაძის როლი აჭარის ეკონომიკური და კულტურული აღორძინების საქმეში“. თურმე „გაეცნო მეჯლისის ხელმძღვანელებს, რომლებთანაც ხშირი (ხაზი ჩენია – ი. ბ.) შეხვედრები ჰქონდა“. შარაშიძეს თავად მოუსმენია ქავთარაძის ასეთი „შეგონება“: „შეუძლებელია დავივიწყოთ იმ მოწინავე აჭარლების დიდი ღვაწლი, რომლებიც ქადაგებდნენ: მუსულმანური სარწმუნოების თავზე მოხვევამ არ უნდა დაგვაიწყოს ჩვენი ეროვნული ღირსება, რომ ჩვენ ქართველები ვართ (გავიხსენოთ ზ. გამსახურდია)... ყველას უნდა ჩავუნერგოთ ეროვნული თვითშეგნება“ (ხაზი – ი. ბ.).

წერილი მთავრდება შარაშიძის განცხადებით: „ვამაყობ, რომ ს. ქავთარაძესთან, ამ დიდებულ ადამიანთან მქონდა დაუვიწყარი შეხვედრები, რომელსაც უთქვამს: „ძლიერ მიყვარს ბათუმი“ (ალბათ ამიტომაც გვართმევდა). მაგრამ აჭარლების ღირსება-ნამუსზე, თავდადებაზე, კეთილშობილებასა და გამტანობაზე, რაშიც მათ საქართველოს ვერც ერთი მხარის ბინადარი ვერ შეეცილება – არც ერთი სიტყვა.

რა ეკონომიკურ-კულტურულ აღორძინებაზეა ლაპარაკი, როდესაც ქავთარაძემ ჩვენთან რამდენიმე თვე დაჰყო, ანტიავარიული საქმეების გამო თავად თბილისელმა თანამემამულეებმა აჭარიდან წააბრძანეს. რეეკომის თავმჯდომარედ ხასან ლორთქიფანიძე დანიშნეს. ქავთარაძის პერიოდში არაფერი გაკეთებულა, არც ერთი აჭარელი არ დაუწინაურებიათ, პირიქით ავიწროებდნენ, დევნიდნენ, ეპყრობოდნენ როგორც „დაბალი წრის“ ადამიანებს, მაშინ ისინი ისეთივე უუფლებონი იყვნენ, როგორც ინგლისისა და სხვა კოლონიების აბორიგენები. ამისათვის კონსტანტინე პაუსტოვსკის ბრალდებებიც საკმარისია.

აბა, რატომ ხვდებოდა მეჯლისის ხელმძღვანელებს, მით უფრო ხშირად, როგორც ამას შარაშიძე გვიმტკიცებს. ნუთუ იმისათვის, რომ გაეგო რას ნიშნავს სიტყვა „მეჯლისი?“ როგორ დავიჯეროთ, რომ „ამ დიდებულმა ადამიანმა“, რევოლუციონერმა არ იცოდა არაფერი აზერბაიჯანში, ირანსა და თურქეთში არსებულ მეჯლისზე? ასე დაიმცირა თავი და ამის საკითხავად ბატონ მ. აბაშიძესთან მივიდა?

ქავთარაძეს ბ-ნ მემედ აბაშიძისათვის თურმე უთქვამს: „ჩემთვის ცნობილია, თქვენსა და მენშევიკურ მთავრობას შორის როგორი ბრძოლა წარმოებდა. იმ ხაზს, რომელსაც თქვენ იცავთ, საბჭოთა მთავრობა მხარს უჭერს“, რაც ფალსიფიკაციაა. მ. აბაშიძე მენშევიკებს არ ებრძოდა, არც იმ ხაზს იცავდა, საბჭოთა მთავრობას რომ მოსწონდა.

შარაშიძის მიხედვით სერგოს მისთვის მეჯლისის შეკრების ნება დაუ-



რთავს, შესაფერის შენობაზე გამოყოფის დასტურიც განუცხადებია. ვითომ ასე იყო? 1921 წლის 21 დეკემბერს მ. აბაშიძე თავად წერდა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს „რად დასჭირდით გუბელს თუ მის ამხანაგებს ჩვენი ასეთი გამასხარავება და შეურაცყოფა“.

ისიც ცნობილია, რომ პატრიოტული გაზეთი „სამუსლიმანო საქართველო“ მ. აბაშიძეს სწორედ ქვეთარაძემ დაუხურა, უფრო გვიან, 30-იან წლებში, ციხეში ნახვისას კიდევ დაჰპირდა გამოძიების სწორად წარმართვას, თუმცა გააკეთა საპირისპირო – მისი გადასახლება ბრძანა, მერე კი სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა (ისევე, როგორც ხასან ლორთქიფანიძესა და სხვებს)

ასეთი „ფურცლებით“ საესეა ს. ქვეთარაძის ცხოვრების ისტორია. სამწუხაროდ, მისთანანი ჯერ კიდევ „ჩვენთანა“, ბევრ მათგანს ჯერაც ჩვენს „მხსნელად“, „გამანათლებლად“, „მამულიშვილად“ წარმოგვიდგენენ, რასაც წერტილი უნდა დაესვას.

დემოკრატიისა და თავისუფლების პრინციპების აღიარება ერის ჭეშმარიტი შვილების ღვაწლის დაფასებასთან ერთად იმათ საქმეთა ჩვენებასაც გულისხმობს, ვინც ამდენი სიავე მოუტანა საკუთარ ხალხს, ქვეყანას.

## ღვთის სამართალი, ანუ შანთით გასამართლება და აღამიანებით ვაჭრობა

დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომი „არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში“ მრავალ საინტერესო ცნობას შეიცავს ამ მხარეებზე. ერთი ასეთი საინტერესო ცნობა დამნაშავეთა ცოცხლივ დაწვას, ანუ ე.წ. ღვთის სამართალს შეეხება – „ორთაბროლის, მდულარითა და გახურებული რკინით გასამართლებას“, რომელიც გურიასა და მთელ საქართველოში ცნობილი იყო „შანთის“ სახელით.

სასჯელის ამ ფორმისათვის დასაბამი მიუცია არიელებს და მოქმედებდა საქართველოშიც, XVIII საუკუნის დამდეგს კი ვახტანგ VI ძეგლისდებამიც შევიდა. გურიაში გავრცელებულ სახეობას ბაქრაძე აღწერს შემოქმედელი გ. დუმბაძის ნაამბობის საფუძველზე. იგი მღვდელი იყო და გასული საუკუნის დასაწყისში ქობულეთელთა მოწვევით სხვა მღვდლებთან ერთად დადიოდა მათთან „ქრისტიანული საეკლესიო წესების აღსასრულებლად“.

ღუმბაძეს შეუგროვებია ისტორიული ცნობები „ტყვით ვაჭრობაზე გურიაში“, ამ დანაშაულში მხილებულთა ცოცხლივ დაწვაზე ხსენებული „შანთით“, ანუ ღვთის სამართალზე. „შანთი და მდულარე“, მისი თქმით, საყოველთაოდ გავრცელებული საშუალება იყო, მაგრამ მხოლოდ სერიოზული დანაშაულის – მკვლელობის, ტყვის გაყიდვისა და სხვათა გამოსამჟღავნებლად. ბრალდებულის ნება იყო შანთს აირჩევდა თუ მდულარეს, მოძღვარი ზეთს უკურთხებდა, ესწრებოდა მის შვიდღიან ლოცვას და აღსარებასაც ათქმევინებდა, თუ აღსარებისას დანაშაულში გამოტყდებოდა, დასჯიდნენ და ამით გასამართლება მთავრდებოდა. პირიქით შემთხვევაში ნიშნავდნენ გამოცდას, რომელსაც უფროსები ესწრებოდნენ. შანთი ერთ ოყას, ანუ სამ გირვანქას იწონიდა, სიგრძით 7 გოჯი იყო, სიგანით კაცის ხელისგულის სიფართე, სამჯერ ახურებდნენ თურმე ვაზის (და არა სხვა) ნაკვერჩხალზე. დადებდნენ მიწაში ჩასობილ ორ ლატახზე, ბრალდებულს ხელზე ჩამოაცვამდნენ ქალაღის ფურცელს, რომელზეც ეწერა „ღმერთო მამაო, ღმერთო ძეო, ღმერთო სულო წმინდაო, თუ მართალი ვიყო რკინის ცეცხლიდან უვნებელი გამომიყვანე, თუ არა და დაიწვას ხელი ჩემი“.

ბრალდებული იღებდა შანთს, სამჯერ გადაახტებოდა და დადებდა, შემდეგ მას აცმევდნენ გურიელის ბეჭედდასმულ სუდარას და მიჰყავდათ ციხედარბაზში, სადაც განსაზღვრული დროით ამყოფებდნენ საზოგადოების ხარჯზე. მერე უსინჯავდნენ ხელს და თუ დამწვარი აღმოჩნდებოდა, დამნაშავედ თელიდნენ და მართლმსაჯულებას გადასცემდნენ. თუ არა, უდანაშაულოდ აცხადებდნენ და თოფით, ტანსაცმლით ან სხვა რაიმეთი ასაჩუქრებდნენ. არავის საეჭვოდ არ მიაჩნდა ამგვარი გამოცდის უტყუარობა, თითქოს ყოველთვის მჟღავნებოდა დამნაშავე და მართლდებოდა უდანაშაულო. ამის მოწმე მღვდელი ღუმბაძე არაერთხელ ყოფილა.

ამ მონათხრობის დასასაბუთებლად, დ. ბაქრაძე შეეცადა დოკუმენტების მიკვლევას და ერთი მათგანი კიდევ მოჰყავს. ესაა ქობულეთელ აბდურამან ქათამაძის ვარაუდი, რომელსაც ჰქონია ნახვრეტი ხელზე ჩამოსაცმელად და შანთის კვალიც აჩნდა. ამ ფურცელზე გადმოცემული ფორმულა, რომელიც რამდენადმე ჰგავს ვახტანგ მეფის სჯულდების მე-7 მუხლში გადმოცემულ ფორმულას, შეიცავს მთელ საბრალდებო აქტს ბრალდებულის დანაშაულის შესახებ. 1811 წელს ვინმე გიორგი თაყაიშვილი ბრალს დებს ხსენებულ ქათამაძეს, რომელიც თავს დამნაშავედ არ ცნობდა, რის გამოც შანთის სასამართლოსათვის ასე მიუმართავს: „მამაო: ღმერთო ძეო: ღმერთო სულო წმინდაო: ღმერთო: გეაჯები მე, საწყალობელი აბდურამან ქათამაძე: მე რომ გიორგი თაყაიშვილი მეწამებია,

იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი: შენი სიტყვით და საქმით „თათრებმა“ მოთხარავეო, თუ იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი ჩემი სიტყვით და საქმით მოთხრილიყოს ან თავში ან ბოლოში, გამამტყუნე და რაც მტყუნანს უნდოდეს, ის მიქენი: თუ ჩემი სიტყვით და საქმით არ მოთხრილიყოს იორდანე ლომჯარია და მისი ცოლ-შვილი: გამამართლე და ამ რკინის ცეცხლიდან უვნებლად გამომიყვანე და სხვის ცოდვას ამაში ნუ მკითხავ. შენი სწორ-მიუფერებელი სამართალი გამოაცხადე ჩემს ცოდვ-ილს თავზე... უფალო: ამინ“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა... ბ., 1987, გვ. 143-144). ბაქრაძემ ეს საბუთი 1874 წელს იხილა, ალბათ ამიტომაც ვერ მოახერხა დაედგინა, რა ბედი ეწია ქათამაძეს, მაგრამ მის მიერ მოყვანილი ფაქტები ნათელს ფენენ იმ არეულ-დარეულ დროს, როდესაც ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა და გატაცება ფაქტობრივად ერთეული შემთხვევა როდი იყო, სხვაგვარად „შანთის“ სამართალი გურიაში არ იქნებოდა. ნათელი ხდება ისიც, რომ ქათამაძე უდანაშაულო ყოფილა.

დ. ბაქრაძის მიხედვით, ვინმე ონისიმას საჩივარი შეუტანია ბეჟანას მამაზე იმასთან დაკავშირებით, რომ მამამისს „თათარი“ დაუჭერია და მისთვის მიუბარებია, რომელსაც არ უბრუნებს. ამასთან ბეჟანას ბიძა „თათრის“ ტყვეობიდან მამაჩემმა (ონისიმას მამამ) გამოიხსნა 500 ყურუშად და ამ ფულსაც არ გვიხდისო. „ჩემი ძმანები“ „თათრიდან“ მოვიდენ ქრისტიანობისათვისო“. მე ბეჟანას გავენდე და შევიზიარე, მაგრამ ჩემი ძმები „თათრებთან“ ერთად რომ გამოჩნდნენ და, რომ უნდა დაგვეჭირა, ბეჟანამ თოფი ესროლა და ჩემი ძმა „თათრებთან“ ერთად გაიქცა“ (იქვე, გვ. 291). სასამართლოს დაუდგენია: თუ ბეჟანა 14 კაცის ჩვენებით ვერ უარყოფს ონისიმას სარჩელს, მაშინ მიბარებული „თათრისა“ და გამოხსნისათვის მისი ღირებულება გადაუხადოს, ხოლო რაც შეეხება იმას, რომ ბეჟანმა ხელი შეუშალა ონისიმას „ქრისტიანობაზე მოექცია თათრები“, ეს საქმე გურიელმა და ჯუმათელმა მოიკითხონ, ონისიმამ კიდეც ბეჟანას მოთხოვოს ზარალის ანაზღაურება. ბეჟანამაც უჩივლა ონისიმას. როცა აბდულაღა „აკეთს მოშალა“, მოსარჩლის მამამ მოპასუხის მამასთან ერთად „სამი თათარი იშოვა“, რომლებიც ათას მარჩილად ღირდნენ და რომელიც მან მიითვისა. უჩივლა თურმე იმის გამოც, რომ ონისიმამ „ჩვენს მხარეზე იტყუებდა თათრებს“. ასეთ ოპერაციებში ონისიმამ ბეჟანაც წაიყვანა, და, როგორც მის საჩივარშია ნათქვამი“, ერთი „თათარი“ კიდეც დაიჭირა“, მაგრამ ონისიმამ ფული არ გადაუხადა, ე.ი. ის „თათარი“ მიითვისა. დ. ბაქრაძის წიგნში დაცულია თავართქილაძის საჩივარიც, რომლის მიხედვით, მოსარჩლისაგან 800 მარჩილად უყიღია ერთი „თათარი ბიჭი“,

აგრეთვე ი. ჩანტლაძისა, რომელიც უჩიოდა რამიშვილს იმის გამო, რომ მისმა შვილმა გაბრიელმა მამის ხელშეწყობით, ჩანტლაძის „გოგო სათათრეთში“ წაიყვანა“ (გვ. 292).

დაბოლოს, ერთი ფაქტი იმაზეც, თუ როგორ ირევდნენ აჭარლებს გურიელები თავიანთ ბინძურ საქმეებში. ვახტანგ გურიელი ნაძირალობით მოსვენებას არ აძლევდა თავისივე ძმა მამიას. ძალით ართმევდა გლეხებს, მათ ცოლებს, აზნაურებს, მოსამსახურეებს, ცხენებს, შეყარა „საჯავახულო თემი“ და მამიას ცოლი და სახლი აიკლო, მამულიც წაართვა. გადაიბირა ჩემი კაცი ბრეჟიანი და აჭარაში გაგზავნა, რომ ავაზაკები შეაგროვოს და თავს დაესხას. ბრეჟიანმა მოასწრო აჭარელთა ბრბოს შეკრება და ჩემზე წამოვიდა. მაგრამ ღმერთმა იხსნა ჩემი ოჯახი“, – წერდა მამია გურიელი (გვ. 273). უნდა ითქვას, რომ ადამიანთა ყიდვა-გაყიდვა მართო კავკასიური, აღმოსავლური მოვლენა არ იყო. ჯერ კიდევ 1790 წლამდე, ინგლისში ქალების ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივ მოვლენად ითვლებოდა. ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთებში კეთდებოდა განცხადებები: „იჩქარეთ! თქვენ გეძლევათ წარმოუდგენელი შანსები!“ ქმრებს ქალები კისერზე თოკობმულები მიჰყავდათ საქონლის ბაზარზე. იქ ცხვრების, ძროხებისა და ცხენების გვერდით ქალებიც უხვად იყვნენ. მათი ფასი პირუტყვების ფასის მსგავსად საბაზრო პირობებით დგინდებოდა. ქმარი ქალის თითოეულ საუნჯეს აქებდა და ადიდებდა. რათა მაქსიმალურ ფასად გაყიდულიყო. ამგვარი ვაჭრობით სარგებლობდა თვით სახელმწიფოც. მის მიერ დაწესებულ გადასახადს ვერავენ გაუბრბოდა. რადგან უსაბუთო ვაჭრობას არავითარი იურიდიული ძალა არ გააჩნდა. ყველა ბაზრობას თავისი ჯიხური ჰქონდა, სადაც სახელმწიფოს თავისი მოხელე ჰყავდა დაყენებული. სწორედ აქედან ხორციელდებოდა შესყიდვის მოწმობის იურიდიული გაცემა.

ტყვეთა ყიდვა-გაყიდვა, ადამიანთა გატაცება რომ დამახასიათებელი მოვლენა იყო გურიის, სამეგრელოსა და სხვა მხარეებისათვის, დადასტურებულია ჯ. მილანელის, ა. ლამბერტის, ე. ტავერნიეს, არქიმანდრიტ მაკარიოსის, ე. შარდენისა და სხვათა დღიურებში. ჩვენ მხოლოდ ზოგიერთი მათგანისა და თანამემამულეთა იმ გამონათქვამებს მოვიყვანთ, რომლებიც უშუალოდ გურიას ეხება, რათა უკეთ გავერკვეთ უსაშინლეს სენს – ადამიანებით ვაჭრობას, მათ მოთავე-ჩამდენებსა და კერებს.

დავიწყოთ ცნობილ ნოე ჟორდანიას მოგონებით: „გურია ოსმალეთის საზღვარზე ჩოლოქთან მდებარეობდა. იყო მუდამ შიში შემოსევა-განადგურებისა. ამიტომ დიდად კმაყოფილი ვიყავით რუსეთით, რომელიც იდგა საზღვარზე და გვიცავდა. უკმაყოფილო იყვნენ მხოლოდ თავადი გურუ-

ლები, რომელთა მმართველობა შეასუსტა რუსეთმა (ნ. ჟორდანია, ჩემი წარსულიდან, თბ., 1990, გვ. 14). მათ ძველი დროის დაბრუნება სურდათ, ხალხს კი არა, რადგან იტანჯებოდა ახირებული ჩეულებით, ახალგაზრდა ქალ-ვაჟთა ჩოლოქს იქით გატაცებით და იქ გაყიდვით. განსაკუთრებით იყიდებოდა გოგო და ფასიც კარგი ჰქონდა. მე ვიდექი ერთ ოჯახში (ოზურგეთში), რომლის მეთაური ცხოვრობდა „ტყვეს გაყიდვით“. მე მისი არ მეშინოდა, რადგან იყო ჩემი ნათესავი და თან ხანში შესული, – დასძენს ნ. ჟორდანია, – სწორედ ჩემს დროს, ომის აფეთქების წინ (რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომი) რამდენიმე მაგალითი მოხდა ტყვეს გადაცემისა და გაყიდვისა ჩოლოქს გაღმა. ვიყავი მუდამ შიშში, არ გამიტაცონ-მეთქი. ეს შიში შემინელდა ომის აფეთქების შემდეგ, როცა ოზურგეთი გაივსო რუსის ჯარებით და საზღვარზე გაჩაღდა ომი. ანტონ ქარცივაძე, გურული მილიციის რაზმის მეთაურიც ყოფდა“ (გვ. 14-15). ამის დასადასტურებლად მოჰყავს ამბავი იმისა, რაც წყველ ქარცივაძეს ართვინში მოუვიდა: იქ მოხვდა იმ ოჯახის სუფრაზე, რომელსაც მის მიერ გაყიდული გურული ქალი ემსახურებოდა. ამის გამო აზროვნება დაუკარგავს (იქვე).

თეიმურაზ მეფის 1639 წლის ცნობით, გურიისა და სამეგრელოს მთავრები ყოველ წელიწადს ოსმალეთში 20 ათასიდან 25 ათასამდე ახალგაზრდას ჰყიდდნენ. ამას ერთვოდა ადამიანთა გატაცება გაყიდვის მიზნით, რაშიც ზოგჯერ საზღვართან მცხოვრებთა ნაწილიც ებმებოდა.

იაკობ საბაშვილი – ბაროზი მეტად გამწყრალი სწორედ გურიის თავადებზე ყოფილა, რომლებიც თავიანთ ყმებს სტამბოლის ბაზარზე ყიდდნენ. 1740 წელს მას „ერთი გურული მებატონისაგან ექვსჯერ უყიდნია ქალ-ვაჟი“. 1798 წელს ოსმალებს გარდა, ინგლისელებსაც უყიდიათ გოგობიჭვები (ზ. ჭიჭინაძე, საქართველოს შესახებ ევროპელ მოძღვართა და მოგზაურთა ცნობები, 1899, გვ. 111). ზ. ავალიშვილს კაიროში შეხვდა გურიიდან გაყიდული ჭყონია“. ესე გაესყიდათ მოპარვით მეზობელთა სახლისა მისითა“ (მოგზაურობა თბილისიდან იერუსალიმში, გვ. 140). გურულ ლომინაძეს მეზობელი კუტუბიძე 9 მანეთად გაუყიდა (ჯ. ნოღაიძელი, ნარკვევები და ჩანაწერები, 3. გვ. 126). გოგონა 100 მარჩილად ფასობდა, ბიჭი – 200-300 გროშად.

პროფ. შ. ჩხეტია დასძენდა: „ადამიანებს ყიდდნენ თვით გურულები, რასაც თურქებსა და ქობულეთელებს აბრალებდნენ, ასე იქცეოდა თვით გურიის მილიციის უფროსი იასე გურიელი. ეს დაამტკიცა რუსეთის კონსულმა თურქეთისდროინდელ ბათუმში ჯიუდიჩიმ, 1863 წელს მან გამოისყიდა ბიჭუნა, რომელიც იასემ მიჰყიდა თავის თურქ მსახურს

თულუჯოდლის, რომელსაც თურქეთში დაეძებდნენ, როგორც მკვლელს, ქურდსა და ადამიანებით მოვაჭრეს... რუსეთის მოთხოვნით თურქები უკან აბრუნებდნენ გურულების მიერვე გაყიდულ გურულებს. მაგრამ 67 საქმე გურიელებმა ბლომდე მანც არ მიიყვანეს. 1859 წელს სურებთან გაიტაცეს ზ. ბარამიძე, მაგრამ ამაზეც ხელისუფლებას არ აცნობეს, რადგან მასაც უკან დააბრუნებინებდნენ (დოკუმენტი პო ისტორიი გრუზიი, ტ. 1, ნაწ. 1, გვ. 620-622).

1680 წელს ჯავახეთის ფაშობა უშოვია გურიელების მიერ გაყიდულ ფირალიშვილს. პროფ. ივ. სურგულაძე ყველაზე მძიმე მოსაგონრად გურიის სოფ. ჭანიეთისათვის მიიჩნევს ოსმალეთში გლეხების გაყიდვას მათი ბატონების მიერ. რუსეთის ჩარევის შემდეგ არაერთი დააბრუნეს უკან („მნათობი“, 1979, №7, გვ. 183-184). სახალხო არტიისტი ს. დოლიძის ბაბუა აკეთელმა თავადმა ქობულეთში ნათესავ თავდგირიძეს მიჰყიდა (მოგონებანი, თბ., 1984, გვ. 9).

ზ. ჭჭინაძის ცნობით, იმერეთ-გურიიდან ჩამოყვანილთა გაყიდვა ბათუმში ოფიციალურად 1860 წელს აიკრძალა, რამაც დააღონა ი. გურიელი. ს. ჭვანანი (შუახვეის რ-ნი) ოჯახით დასახლებულმა ავაზაკმა გვათუამ 1790 წელს ერთ ჩამოყვანაზე 18 გოგო-ბიჭი მიჰყიდა ოსმალებს (ქართველების გამაჰმადიანება, თბ., 1907, გვ. 109). ჭვანელი ვანო ქათამაძის გადმოცემით, XIX საუკუნის დამდეგს გურულმა ყაჩაღებმა სამი გოგონა მიუყვანეს მის ნათესავ ქალს და უბრძანეს თურქების მოსვლამდე მიეხედა, არადა ამოგხოცავთო. მაგრამ ქალმა ბავშვები გურიაში მანც ჩაიყვანა. გოგონები გათხოვდნენ და თავიანთ მხსნელს მადლობის სათქმელად და საჩუქრებით 1939 წელს (ეწვივნენ სამხრეთ-დასავლეთ საქ. ზეპირსიტყვიერება, 10, 1990, გვ. 123-124).

მ. რეხვიაშვილის წიგნში, „დასავლეთი საქართველო XVII საუკუნეში“, გამოყოფალია თავი „ტყვეთა სყიდვა დასავლეთ საქართველოში“, ავტორი ამ მოვლენას იმ ეპოქის უმთავრეს მანკად მიიჩნევს – მამა ყილდა შვილს, ძმა – ძმას, ქმარი – ცოლს. ჰყიდდნენ ადგილზე, რისთვისაც მეტწილად ვაჭრები ჩამოდიოდნენ. ეს ჩვეულებრივი მოვლენა იყო. გურულები ტყვეებს იტაცებდნენ აგრეთვე მეზობელი ხალხებისაგან, აქცევდნენ მათ მონებად და ჰყიდდნენ თურქებზე. (გვ. 124-125), ტ. გაბაშვილის ცნობით, 1716 წელს გაღმა ხოფაში შეეკრიბათ ქუთაისსა და სხვაგან შესყიდული ადამიანები.

პროფ. ი. მეგრელიძე იგონებდა: 1926 წელს ჭაჭიეთელმა ზ. ლომთათიძემ მიაპბო: „ჩვენი კაცი (ე.ი. გურული – ი. ბ.) და აჭარაში მოსული თათარი (ე.ი. თურქი – ი. ბ.). შეკვეთილში ვუკვეთავდით“ და თურქებს მიყავდათ შესყიდული ტყვეები, ამიტომაც ეწოდა იქაურობას შეკვეთილიო.

არის გადმოცემა, რომ ვინმე რომ გურულ გოგელის ტყვეები ს. მუხაეს-ტატეში გადმოჰყავდა და ყიღდა თურქებზე მუხის ხესთან, რის გამოც აქაურობას მუხაესტატე ეწოდა.

1833 წლის 20 სექტემბერს გურიის ეპარქიის არქიმანდრიტი არსენი ბარონ როზენს თხოვდა, რომ „რადგან სჯულისაგან განმდგარ გურულ ავაზაკებს ტყვეები ქობულეთში ჩაჰყავთ და თურქებზე ჰყიდიან, შეზღუდოს გურულთა ურთიერთობა ქობულეთთან და მკაცრი ზომები მიიღონ ტყვეების მყიდველთა წინააღმდეგ“. ამრიგად, რელიგიის კეთილსინდისიერი ჩინოსნებიც აღშფოთებული იყვნენ. ასეთებმაც იცოდნენ, რომ ქობულეთში თავად მიჰყავდათ ადამიანები გასაყიდად და არა აჭარლები იტაცებდნენ მათ, რომ ბარონმა „შეზღუდოს გურულთა ურთიერთობა ქობულეთთან და მკაცრი ზომები მიიღოს ტყვეების მყიდველთა წინააღმდეგ“, მაგრამ არა ქობულეთლებთან ანუ აჭარლებთან. ისიც ვლინდება, რომ ავაზაკები ქობულეთში კი არ ბუდობდნენ, არამედ გურულთა და სხვათა მოწვევით აქ თურქები მოდიოდნენ, რის უფლებაც ჰქონდათ, აკი აჭარა მათი კოლონია იყო („მაცნე“, 1982, №3).

ყმების გაყიდვაზე, მამა-შვილებისა და ნათესავების მიერ ერთმანეთის არდანდობაზე, ასევე ახალდაბადებულ ბავშვთა ცოცხლად დამარხვაზე მოთხრობილია მიხეილ თამარაშვილის წიგნში „ისტორია კათალიკოსისა“... (გვ.175-178).

საქ. ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის, არქიტექტორ მიხეილ შავიშვილის მოგონებაში კი ვკითხულობთ: გურულს, რომელსაც მეუღლედ დადიანი ჰყავდა, ხის კოთხოები გავსებული ჰქონდა ოქროთი და ვერცხლის ფულით... ქართველი დედების მკერდიდან მოგლეჯილი, რჩეული მცირეწლოვანი გოგო-ბიჭების სტამბოლსა და ქაიროში გაყიდვით... ახალი წლის დამდეგს შევიდოდა ოთახში, გადაუსვამდა კოთხოებს ხელს და იტყოდა: უფალო, მიმრავლე ოქრო-ვერცხლი, ე.ი. კიდევ არ იყო გამძღარი სტამბოლსა და ქაიროს ბაზრებზე ტყვე ბავშვების ვაჭრობიდან მიღებული ფულით“ (ინახება ბათუმელ ზია შავიშვილთან).

ცნობილი პატრიოტი ახმედ კაიკაციშვილი 1879 წლის გაზეთ „დროების“ №191-ში წერდა: „რამდენჯერ თქვეს, რომ პატივცემულ გაზეთში მოუხსენებიათ ცუდ-უბრალოდ ოზურგეთიდან საწყალი ქობულეთლების ლანძღვა: „მგლებს მგლობა დაუდეს და ტურამ ქვეყანა დააქციაო“. ყოველ გაჭირვების გარდა, გურიაში რაც ცუდი საქმე მოხდება, საწყალ ქობულეთლებს აბრალებენ, რომ ესენი ყველა თათრები (ხაზი – ი. ბ.) იყვნენო“. „დროების“ №159-ში დაბეჭდილი იყო ოზურგეთის მახლობლად დოლიძეზე დაცემის ამბავი. „მას ნამოყვრები მტერი დაეცა და კიდევაც დღეს დაჭერილი არიან. ამავე ოზურგეთის უეზღში მონასტერზე დაეცნენ გურიის

ეპისკოპოსს, წაართვეს ფარები (ფული - ი. ბ.) და ნივთებიც. ესეც დააბრალეს ჩვენს ქობულეთლებს. მაგრამ მქმნელი აღმოჩნდნენ მათშივე მცხოვრები აზნაური ჭყონიები. ივლისის 20-ს ორი საწყალი ქობულეთელი გოგიტიძე და ძიძიგური მოდიოდნენ იარმარკიდან. ოზურგეთთან ოთხმა გურულმა წაართვა მათ ცხენიცა და ნივთებიც. 26 აგვისტოს ოზურგეთიდან მომავალ ელიაძესა და ქათამაძეს დაუხედნენ გურულები, წაართვეს ორი ცხენი და ნავაჭრი. ქურდები დაჭერილი არიან. ამნაირი ცუდი საქმე რომ მოხდება გურიაში, მაშინვე ოზურგეთის ნაჩაღნიკი ჩვენს უჩასტკის ნაჩაღნიკს ს. ლორთქიფანიძეს ტელეგრაფით აცნობებს, რომ გურიაში მოხდა ქურდობა და ამას თათრები (აჭარლები - ი. ბ.) იზამდნენო. მაგრამ გამოძიება ადასტურებდა, რომ ისევე გურიაში აღმოჩნდნენ ცუდი კაცები. მადლობა ღმერთს, რომ ნაჩაღნიკად გრ. გურიელი გვყავს. აგი რომ არ გვყავდეს, ჩვენ, ქობულეთლებს, გურულების გამო ცხოვრება არ შეგვიძლია, თვალს ამოგვეკორტინდნენ. ერთ დროს თუ ქობულეთელი „თათრეთში“ გადასახლდა, ეს ყველა გურულების მიზეზით იქნება. ისიც უნდა მოგახსენოთ, რომ 12 ათასი გურული ორ სახელმწიფოში დაქცეულ ქობულეთლებს 12 კაპიკით არ შეგვეწია. გურულებს მგონი ისიც არ შეუტყვიათ, რომ ჩვენ შორის საზღვარი აღარაა და ძველი ძმობა გაგვიანდდა... ჩვენმა უჩასტკის ნაჩაღნიკმა ქობულეთლებს იარაღის ზიდვა, უბილეთოდ (უსაბუთოდ - ი. ბ.) სხვადასხვა სოფლებში სიარული აუკრძალა და 7 წელიწადს ზედაი, ყველა ფიციქვემ გაარუნია, რომ არც თავად ქმნან ცუდკაცობა და არც ვინმე ავკაცი შეინახონ“.

აპ. წულაძეც გვიდასტურებდა, რომ გურიაში ვინმე რაიმეს დააშავებდა თუ არა, აჭარაში მორბოდა, რათა სამაგიერო იქედან გადაეხადა (ძმური სიტყვა ქართველ მუსლიმანებს, თბ., 1915, გვ. 32). გიორგი ჭალადიდელის მოთხრობაში დამნაშავედ შერაცხული ციბაძე მოსამართლეს ეუბნება: „დამნაშავე რომ ვყოფილიყავი, აქ რად მოვიდოდი“; - აჭარაში ამოვეკრავდი თავს! (მ. ჭალადიდელი, თხზ., 1947, გვ. 99).

უცხოელების ცნობებსაც გავეცნოთ. ფრ. ბრიულონი ხაზს უსვამდა იმ გარემოებას, რომ საქართველოში ტყვეებით ვაჭრობა ძალზე მნიშვნელოვანი იყო და ყოველ წელიწადს, ათასობით ქალ-ვაჟი გაჰყავდათ გასაყიდად. ეგვიპტეში კავკასიელი 110-120 დუკატი ღირდა, ბერძენი - 90, ალბანელი და სლავი - 70-80. ასევე ძვირი იყო ქალი.

1700 წელს საქართველოში მყოფი ნ. ტურნეფორის ცნობით, ადამიანი საქართველოდან ყოველ ეპოქაში გაჰყავდათ გასაყიდად. ზონარა შენიშნავდა: ხელმწიფის ბრძანებით ლამაზი ბიჭუნებიც მიჰყავდათ. მათ ასაჭურისებდნენ და ყიდდნენ. წინააღმდეგობის გაწევა ხშირად სიცოცხლის ფასად უჯდებოდათ. ამიტომაც მოსახლეობა იძულებულია გოგონები 7-8



წლის ასაკში გაათხოვონ (მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, თბ., 1988, გვ. 57).

ა. ლამბერტი: ტყვეთა გაყიდვაში მეგრელთა ბარბაროსობა იქამდე მიდის, რომ ნათესაობაც არ სწამთ, ცოლებსაც ჰყიდიან... „ქობულეთში მუდამ ტყვეებით ვაჭრობენ. ამას ხელს უწყობს ის, რომ გონიო, რიზე, ტრაპიზონიდან ხშირად მოდიან თურქები (ხაზი - ი. ბ.), რომლებიც ტყვეებში უხდიან ბევრ ფულს, ტანსაცმელს, აქ მოჰყავთ ქართველები, კახელებიც და აფხაზებიც. ამ საქმეში ისე არიან დახელოვნებულები, რომ ადვილად იპარავენ მამაკაცებსაც, ქალებსა და პატარებსაც და ქობულეთში მირბიან“ (სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938, გვ. 71).

ჯ. მილანელი: ხონთქრის სიახლოვე და ერთგვარი დამოკიდებულება მასთან, ზოგიერთი ქართველი მთავრის, თავადისა და დიდაკაცისათვის სასარგებლო იყო. გამდიდრების მიზნით მრავლად ყიდდნენ ბავშვებს და ქალ-ვაჟებს, შვილებსაც... თურქთა გემები გადიან სამეგრელოში, იმერეთსა და ქართლში შესყიდული ყმაწვილებით... სამეგრელოსა და გურიაში ყაჩაღების შიშით ვძრწოდით, აქ ისინი აუარებელია, ვერ ვენდობით ვერაე-ის, ყველა საეჭვოა“ (სამეგრელოს აღწერა, თბ., 1964, გვ. 28, 50, 125).

ანტიოქიის პატრიარქი მაკარიოსი: „სამეგრელო, გურია, იმერეთი და საქართველო სულ ერთმანეთს ებრძვიან, არბევენ გლეხებს, რათა ყმად აქციონ და გაყიდონ... ერთმანეთის გაყიდვისას არავითარი წინააღმდეგობა არ ელოდებათ. ბევრი ქართველისათვის თანამემამულე ქრისტიანებით ვაჭრობა იგივეა, რაც ჩვენს ჩირიაში სხვადასხვა ნიეთ-საქონლის გაყიდვა. ამ შავნელი საქმით გლეხები და ქალები, რელიგიის მსახურნიც არიან დაკავებული. ყიდიან მონებს, ტყვეებს, მეზობლებს, მსახურებს, ნათესავებს, თავიანთ შვილებსა და მშობლებსაც, რათა გემრიელად ჭამონ, აბრეშუმით შეიმოსონ, უდარდელნი იყვნენ. ამის გამოა, რომ ქალები ახალდაბადებულ გოგო-ბიჭებს ახრჩობდნენ (ამას გ. თამარაშვილიც იუწყებოდა). ვერ ნახავდით ობოლ ბავშვებს, რადგან ყველას ყიდდნენ, მათ შორის ენგურისპირას, ფოთში, აქ და სხვაგან თურქები თავისუფლად შემოდრიოდნენ და ყიდულობდნენ ადამიანებს, ისინი თვით ქართველებს მოჰყავდათ. ადამიანთა გაყიდვაში ზნედაცემულობითა და ავაზაკობით გამორჩეულები იყვნენ რელიგიის მსახურნიც. მოქვის ეპისკოპოსმა ერთ წელიწადში 60 კაცი გაყიდა, მათ შორის 23 ქობულეთის მხარიდან. ერთ მღვდელს ცოლ-შვილი გაუყიდა“.

ჟ. შარდენიც გაცხადებული იყო, რომ დადიანებისა და გურიელების დროს ერთმანეთის დატყვევება ჩვეულებრივ მოვლენად იყო ქცეული... თურქეთის განაწყენება არ სურდათ, რადგან მათთან ტყვეებით ვაჭრობდნენ, რასაც გლეხებიც მისდევდნენ. ყოველწლიურად მარტო სამეგრელოდან 12.000 იყიდებოდა (მოგზაურობანი, თბ., 1975, გვ. 26028).

ჟ. ტავერნიე: დაუცხრომელ ომებთან და კინკლაობასთან ერთად ქართველების მიერ თანამემამულეთა მასობრივი გაყიდვა ხელს აძლევდა ოსმალებს (დიდი სინიორის სამეფო კარის ახალი აღწერა, თბ., 1978, გვ. 203-204).

ფრ. ბოდენშტედტმა 1845 წელს ჩაიწერა: „რიონსა და ჩოლოქს შორის მდებარე გურიის მბრძანებლები გადამთიელებს ხალხის ყვლეფაში ეხმარებოდნენ“.

ხაზი უნდა გაეკვას იმ გარემოებასაც, რომ სადაც შეიძლებოდა, აჭარლები ებრძოდნენ თანამემამულეთა დამტყვევებლებსა და დამარბევლებსაც. ისტორიკოსები ცხადყოფენ, რომ ახალციხეში იკრიბებოდა მოუსვენარი ხალხი, უფრო კი დაღესტნიდან ჩამოსული ლეკობა და ხან ქართლს აწიოკებდნენ, ხან გურია-იმერეთს. ფაშები ხელს აფარებდნენ ამ ავაზაკებს. ბევრი ურჩი და აბეზარი კაცი ქართლ-კახეთიდანაც გადადიოდა ახალციხეში და იქ აფარებდა თავს (ალ. ფრონტელი (ყიფშიძე), დიდებული მესხეთი, 1991, გვ. 128), მაგრამ არა აჭარაში, რასაც მკვლევარები და დოკუმენტებიც ცხადყოფენ. ს. ბრონევსკისა და თ. პაპუაშვილის ცნობებით, ლეკები ახალციხის ფაშის სამსახურში იმ პირობით შედიოდნენ, რომ მათ მისცემდნენ ნებას ეთარემათ ქართლში, იმერეთსა და სამეგრელოში, ისინი ფაშისაგან უარს არ ღებულობდნენ და აქ ტყვეებსაც ყიდდნენ. ამით ლეკებმა განამტკიცეს კავშირი თურქებთან, დააწესეს რეგულარული მიმოსვლა აჭარასა და ახალციხეს შორის. (ს. ბრონევსკი, ნოვეიშიე გეოგრაფიჩესკიე ი ისტორიჩესკიე იზვესტია ო კავკაზე, 1, მ., 1823; გვ. 312-313; თ. პაპუაშვილი, ჭარ-ბელაქანი, 1972, გვ. 33).

ეკატერინემ რესკრიპტით დაავალა რუსეთის ელჩს თურქეთში სულთნისაგან გადაჭრით მოეთხოვა ახალციხის ფაშის დასჯა, რადგან აქ თავმოყრილი ლეკები და ოსმალები აწიოკებდნენ საქართველოს სასაზღვრო ოლქებს. რესკრიპტში ნათქვამია: ახალციხის ფაშა სულეიმანის (ჯაყელის) ბრალია, რომ ოსმალები ლეკებთან ერთად თავს ესხმიან საქართველოსო, სულთანი იძულებული გახდა ფაშისათვის გაეგზავნა ფირმანი, რომელიც მოუწოდებდა მას – ხელი აიღოს ერეკლეს შეწუხებაზე, არც ლეკები შეუსიოს და საზღვარზე მშვიდობიანობა უზრუნველყოს (ნ. ბერძენიშვილი, საქ. ისტორიის საკითხები, 4, გვ. 176, 199).

მაგრამ ყოველივე ეს დროებითი იყო. იგივე ფაშა თავის ქვეყანაში ლეკებს უყრიდა თავს და საქართველოში შესაჭრელად ემზადებოდა, მას უნდოდა საქართველოს ერთად ამლოდნენ აზერბაიჯანელი, დაღესტნელი, ჭარ-ბელაქნელი ხანები და მთელი თურქეთი, ხოლო ამ კოალიციის მეთაური თვითონ ყოფილიყო. ამიტომაც თურქებმა მას სერასკირობა უბოძეს, – წერს შოთა ლომაძე (შ. ლომაძე, სამცხე-ჯავახეთი, 1975, გვ. 95, 221).

დოკუმენტები იმასაც ცხადყოფენ, რომ აჭარის მმართველები ებრძოდნენ ლეკებს, კეთილმეზობლური დამოკიდებულება ჰქონდათ ძალით მოწყვეტილ თანამემამულეებთან. გენერალი ნესვეტაევი, მაგალითად, 1808 წელს რუსეთის სარდლობას ატყობინებდა, რომ სელიმ ფაშა ხიმშიაშვილმა თავისი ოლქიდან განდევნა ლეკები. ორი წლის შემდეგ კი გენერალი გუდოვიჩი წერდა: აჭარლები და გურულები კარგად არიან განწყობილნი ერთმანეთის მიმართ და სწორედ ამის გამო ტრაპიზონის სერასკირი ვერ ბედავს შეჭრას გურიაშიო. ს. ხიმშიაშვილმა მფარველობა გაუწია იმერეთის მეფე სოლომონ II-ს, კარგი ურთიერთობა ჰქონდა ერეკლე II-სთან, რომელიც ყოველმხრივ ცდილობდა, რათა ახალციხის ფაშად ხიმშიაშვილი ყოფილიყო (შ. ლომაძე, გვ. 95, 221). 1815 წელს სელიმს თურქებმა თავი მოჰკვეთეს. პატრიოტის შვილები გურულებმა შეიკვდლეს.

ასე რომ, აჭარა ლეკების თავშესაფარს არასოდეს წარმოადგენდა და უნა მურიეს თუ დააწერინეს, ეს მისი წიგნის გამომცემელსა და შესავალი წერილის ავტორს, მითუმეტეს აჭარაში მოღვაწე ი. სიხარულიძეს უნდა უარეყო.

ის, რაც ითქვა, უნდა შევაჯამოთ კ. გრიგოლიას სიტყვებით, „ფულით დაბრძალებული ქართველი თავადები, აზნაურები თუ მაღალი სამღვდელო პირნი შეუბრალებლად ჰყიდდნენ საკუთარ ყმებს თურქეთში გასაგზავნად... ყანაში მუშაობისას ან ტყეში თუ მინდვრად ყოფნის დროს „ყაჩაღები“ მოულოდნელად დააცხრებოდნენ საბრალო მსხვერპლს. გაიტაცებდნენ გლეხკაცს, ქალსა და ბავშვებს, შეუკრავდნენ ხელ-ფეხს, მცირე ხნით გადაძალავდნენ სადმე ტყეში ან მთაში და გაუყენებდნენ გზას შავი ზღვის ნავსადგურებისაკენ. აქ კი ბლომად დაძრწოდნენ ტყვეების საყიდლად თურქეთიდან ჩამოსული ვაჭრები. ტყვე სწრაფად იყიდებოდა.. ტყვეებით ვაჭრობა მთელ საქართველოს მოედო (რას მოგვითხრობს ქართლის ცხოვრება, 1971, გვ. 194).

ამ ცნობებზე ჩვენ არ გავამახვილებდით ყურადღებას, თუ არა ტენდენციური, ცილისმწამებლური და ამ სამარცხვინო საქმის აჭარლებზე გადაბრალების მცდელობა ტენდენციურად განწყობილთა მიერ. ცნობილია, რომ თურქეთის წინააღმდეგ ომის დაწყების წინ რუსეთი საბაბს ეძებდა, რათა აგრესორად არ გამოსულიყო. სწორედ ამ დროს იყენებდა მასალებს მათ მიერ ქართველთა შევიწროების თაობაზე. თითქოს აჭარიდანაც ესხმოდნენ გურიას, საგანგებოდაც კი ახდენდნენ ინციდენტებს საზღვარზე, მაგრამ გაზვიადებული და მოგონილი რომ იყო, თავისთავად ნათელია. ასეთი მასალებით კარიერა ბევრმა გაიკეთა ბათუმში. მისი „შემოქმედება“ ბევრად მაღალ საფეხურზე ასწია დავით ბერძენიშვილმა. 1989 წლის 26 მაისს თბილისის უნივერსი-

ტეტის გაზეთში მოჩამა: „მაჰმადიანი ქართველების დაშორებას ქართველობისაგან აღრმავებდა ქრისტიან ბავშვთა ყიდვა-გაყიდვასა და მიტაცებაში მათი მონაწილეობა. მღევარი გურიიდან აჭარის სოფლებს აწიოკებდა, რაც კონტრგანწყობას იწვევდა“. ასეთი ცილისმწამებლური განცხადებები საერთო ქართულ საქმეებს ნამდვილად არაფერს რგებს.

სულთანმა მუხამედმა 1453 წელს კონსტანტინოპოლი აიღო თუ არა, სასტიკად აკრძალა ტყეეებად მუსლიმანთა შესყიდვა და გაყიდვა. იგივეს შეეცადა სოლომონ მეფეც, მაგრამ სამეგრელოს, იმერეთისა და გურიის მთავრებმა უღალატეს, რადგან ამით კარგ შემოსავალს კარგავდნენ.

ნათლად იკვეთება ისიც, რომ ღვთის სამართალს, ანუ შანთით გასამართლებას აჭარაში არ მიმართავდნენ, რასაც ისიც განაპირობებდა, რომ აქ ადამიანებით ვაჭრობის ფაქტები არ გვხვდება.

რაოდენ სამწუხაროა, რომ ადამიანებით ვაჭრობა ქართული დღევანდელი მუსლიმანთა უცხო არც ახლავს. ამ საშინელებამ ჩვენთან ყველა მანკიერი ფორმით კვლავ მოიკიდა ფეხი, დღეს ბავშვებს მათი ტრანსპლანტაციის, ანუ ორგანოების ამოკვეთის მიზნითაც ჰყიდნიან. ამის წინააღმდეგ საბრძოლველად საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალური ქვეგანყოფილება ჩამოაყალიბეს.

## ბერიკა 1929 წლის ხულოს ე.წ. ჩადრის აპანტიურის მოთავე

74 წლის წინათ ხულო-შუახევის რაიონებში მოხდა სტიქიური, ე.წ. „ჩადრის გამოსვლები“, რომელიც რამდენიმე დღეში დასრულდა, თუმცა პოლიტიკური მოთხოვნები, მართალია, აქ დაინტერესებულთა ვიწრო წრეს, მაგრამ, მაინც წამოუყენებია.

ჩვენი მიზანია, ახლა მაინც ვთქვათ სიმართლე, ყველას და ყველაფერს მისი მიუხედავად, რათა არ ვიყოთ ტენდენციურები, გავარკვიოთ იყო თუ არა ხულო-შუახევის გამოსვლები მოწყობილ-პროვოცირებული, დაამთხვიეს იგი თუ არა სამეგრელოს ამბებს და რა მიზნებს ისახავდა. ამით კი დასკვნებიც გავაკეთოთ და შედეგიც გავითვალისწინოთ. აწი მაინც არ გადავდგათ მრუდე, თუნდაც წინდაუხედავი ნაბიჯები, არ უგულებელვყოთ შექმნილი თავისებურებანი, ვითარება და სიტუაცია, ვიყოთ ფხიზლები, გვექნდეს უნარი ალღოს წინასწარი აღებისა ქარბუქის გაჩენამდე, მისი მოგვარება-აღკვეთისა.

1929 წლის 7 მარტს ჭვანის, ლორჯომის, რიყეთის, შემდეგ სხალთისა და ოლადაურის თემების მცხოვრებთა მღელვარება შეიარაღებულ გამოსვლებში გადაიზარდა. ეს განპირობებული იყო მშვიერ-ტიტველი მოსახლეობის ეკონომიკური შევიწროებით, რასაც ჩადრის მასობრივი ახდის ძალდატანებითა მოთხოვნამ და სკოლა-მედრესეების დაკეტვამაც მძლავრი იმპულსი მისცა. მოსახლეობის ინტერესების ვითომდა დამცველის ხელით მოიკლა რამდენიმე უდანაშაულო რუსი მესაზღვრე, ხოლო ბერძნის ზარბაზანწამოკიდებული დამსჯელი მაუზერისტების შიშით შეპყრობილი რამდენიმე ასეული მთიელი იძულებული იყო თურქეთისათვის შეეფარებინათ თავი.

ოფიციალური ცნობების მიხედვით, გამოსვლებს პირველ სტადიაში ჰქონდა სტიქიური ხასიათი, რაც ძირითადად გამოიწვია გლეხთა უკმაყოფილებამ ჩადრის ძალდატანებით ახდისა და მედრესეების დახურვის გამო. ეს კი ხდებოდა „უხეში ადმინისტრაციული დაწოლით“. ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ გლეხთა უკმაყოფილება წარმოქმნა ეკონომიკურმა პირობებმა, რადგან კონტრაბანდის შეწყვეტამ „ბევრ აჭარელს“ შემოსავლის, არსებობის წყარო წაართვა. ამასთან ერთიანი სასოფლო-სამეურნეო გადასახადების, პირუტყვის, სახანძრო დაზღვევისა და სხვათა შემოღებამ, ტყით სარგებლობისა და სხვა შეზღუდვებმა მოსახლეობა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ცენტრალური სარევიზიო კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე, წარმოშობით ბათუმელ მ. კახიანის მოხსენების საფუძველზე მიღებულ დადგენილებაში იხილეთ მითითებულია, რომ იმდროისათვის ბანდიტურ ელემენტებს „ჩამოცილდა აჭარის გლეხობის მნიშვნელოვანი ნაწილი“, რომ ამ გამოსვლებს ფაქტობრივად არ მოელოდნენ, რის გამოც პარტიული და საბჭოთა ორგანოები „ზასტალი ვ რასპლოხ“. ეს ცხადყოფს ადგილობრივი და ცენტრალური პარტიულ-საბჭოთა ორგანოების მოწყვეტას აჭარის გლეხობის განწყობილებისაგან. იმასაც, რომ მიუხედავად გამაფრთხილებელი სიგნალებისა, არ იქნა მიღებული ზომები „ძლიერი საბჭოთა სულისკვეთების“ შესაქმნელად. პარტორგანოების შეცდომები გამოიხატა იმაშიც, რომ ჩადრის ახდისა და მედრესეების (სასულიერო სკოლების) დაკეტვის თაობაზე დირექტივების განხორციელების დაწყებამდე არ გაურკვევიათ, იყო თუ არა გლეხობა ამისათვის მზად, შეეგუებოდა მას თუ არა. უფრო მეტიც, არ ხდებოდა დირექტივების შესრულების შემოწმება, არ აჯამებდნენ შედეგებს. ერთი სიტყვით, იერიშზე იყვნენ გადასული (კვ გრუზიი ვ რეზოლუციას ი რეშენიას სიეზლოვ, კონფერენციი ი პლენუმოვ ცკ, I, გვ. 327-328, თბ., 1976).

აქვე ნათქვამია, რომ გამოსვლების მოთავეთა შორის იყვნენ ბანდიტური ელემენტები, რომლებიც ბეგებისა და კულაკების მხარდაჭერით შეეცადნენ ვლახთა ნაწილის უკმაყოფილების თავისი მიზნებისათვის გამოყენებას ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული ბრძოლის გზით, ამიტომაც გამოსვლებმა მეორე სტადიაში კონტრრევოლუციური შეიარაღებული ხასიათი მიიღო, რაც ჩანს ლოზუნგებში: თავისუფალი არჩევნები, საბჭოები უკომუნისტებოდ, საბჭოთა სკოლების დახურვა, შარიათის (რელიგიური სასამართლოს) შემოღება. საქართველოდან გამოყოფა და მიმართვა უცხოელი კონსულებისადმი, მეჯლისისა და საკუთარი სამხედრო ძალების შექმნა სარდლობის თურქულ ენაზე განხორციელებით“ (იქვე).

ახლა ვნახოთ ამ და სხვა მასალების საფუძველზე როგორ წარმოვიდგინოთ ე.წ. „ჩადრის საქმეს“ საბჭოთა ხელისუფლების ბოლოდროინდელი მკვლევარები. მათგან პროგრესულობითა და ობიექტურობით გამორჩეულია გ. როგავას გამოკვლევა „ათეისტური პროპაგანდის ისტორიიდან აჭარაში“, რომელიც შეტანილია 1988 წელს თბილისში გამოქვეყნებულ კრებულში „რელიგიისა და ათეიზმის ისტორიიდან საქართველოში“. გ. როგავა ხაზგასმით დასძენს, რომ საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით აჭარა ეკონომიკურად და კულტურულადაც ჩამორჩენილი იყო, რაც ოსმალებისა და სხვათა თარეშმა განაპირობა. აქ არ იყო სკოლები, კულტურის სხვა ობიექტები. მხოლოდ საბჭოთა წყობილების დამყარების შემდეგ გახდა შესაძლებელი მნიშვნელოვანი ეკონომიკური და კულტურული გარდაქმნების განხორციელება. იმდროისათვის მარტო განათლების საქმეს ხმარდებოდა ბიუჯეტის 33 პროცენტი. 1923 წლიდან მოყოლებული გაიხსნა პედაგოგიური, აგრონომიული და ინდუსტრიული ტექნიკუმები, მუშფაკი, პარტსკოლა, 1924 წელს კი 43 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა. გაიშალა ანტირელიგიური მუშაობა. აჭარის სახკომსაბჭოს გადაწყვეტილებით სკოლებში გაუქმდა სჯულის სწავლება. 1928 წლისათვის უკვე 8000 ბავშვი სწავლობდა, მათ შორის 2500 გოგონა. წერა-კითხვას ეწაფებოდნენ ხანდაზმულებიც. სოფლად უფასოდ იგზავნებოდა გაზეთ „ფუხარას“ 700-800 ეგზემპლარი, საქმიანობდა 83 მუშსოფლკორი, გაიყვანეს გზები, ააგეს ხიდები, ჯანდაცვის კერები, ხე-ტყის, საქსოვი და სხვა საწარმოები.

მაგრამ, როგორც გ. როგავა დასძენს, ისლამისა და სხვა კადმონაშთების გავლენა მაინც დიდი იყო. მდგომარეობას ართულებდა ეროვნულ-სარწმუნოებრივი მრავალფეროვნება. ამიტომაც ჩადრის ახლისა და სხვა კადმონაშთების წინააღმდეგ წარმართული გონივრული ღონისძიებანი გადიდო და მხოლოდ 1928 წელს დაიწყო, მაგრამ ძალდატანების გარეშე. იმავე ხულოში 6 დღეში 500-ზე მეტმა ქალმა ცეცხლს მისცა ჩადრი,

მიჰბაძეს სხვებმა ქობულეთში, ბათუმსა და მის შემოგარენში, თუმცა მამაკაცთა ნაწილი წინ აღდგომია ქალთა განთავისუფლება-ემანსიპაციას, ანუ საზოგადოებრივ სარბიელზე გამოყვანას, კარჩაკეტილობისა და ადამიანური უფლებების შეზღუდვების აღკვეთას.

ამ და სხვა მოვლენა-ფაქტების ანალიზის შემდეგ, გ. როგავას მაინც მიაჩნია, რომ 1928 წლის ნოემბერში აჭარის პარტკონფერენციამ მიიღო ნაადრევი, ამდენად, მცდარი გადაწყვეტილება მედრესე-მექთებების დახურვისა და სხვა მსგავსი ღონისძიებების შესახებ. ამასთან, დაუდგენიათ საყოველთაო-საეალდებულო სწავლების შემოღება. შეტევა უცდიათ სხვა მხრივაც, რაც ეროვნული და პარტიულ-საბჭოთა პოლიტიკიდანაც გამომდინარე, სწორი იყო. დიდი საქმე კეთდებოდა: ქალებს უნდა ჩამოეცილებინათ წყეული ჩადრი, ბავშვებს უნდა ესწავლათ მშობლიურ ენაზე, მიეღოთ განათლება-კულტურა, დროის შესაბამისი შეგნება და მსოფლმხედველობა. მაგრამ საამისო ბაზის უქონლობის, შესაბამისი პირობების შექმნის გარეშე, ეს ნაბიჯი ნამდვილად ნაჩქარევი იყო, მით უმეტეს, რომ იგი ხდებოდა ადმინისტრირების წესით, იერიშით, ეს მაშინ, როდესაც ადრე მიეიწყებულ, ჩამორჩენილ აჭარის სოფლებში რელიგიურ ფანატიზმს მტკიცედ ჰქონდა გამდგარი ფესვები. არ გაითვალისწინეს ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ სუსტი იყო უღარიბესი და საშუალო გლეხობის აქტივი, არ იყო შექმნილი ის ბირთვი, რომელიც საყრდენად გამოდგებოდა ანტირელიგიური კამპანიის დროს. კამპანიას არ ახლდა დამაჯერებელი ახსნა-განმარტებითი მუშაობა, თუმცა აქა-იქ, მაგრამ დამნაშავე ელემენტებს მაინც გავლენა ჰქონდათ, რაც საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ გაეერცელებინათ პროვოკაციული ხმები და მოემზადებინათ ნიადაგი საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლისათვის, რაც „მოხდა რამდენიმე თემში, მაგრამ გამოსვლა სისხლის ღვრის გარეშე, სწრაფად იქნა ლიკვიდირებული“ (იქვე, გვ. 20-22).

უნახოთ, რას გვაუწყებს თვალსაჩინო პარტიული, საბჭოთა და საზოგადო მოღვაწე დავით მაძულაძე: „კამპანიის ყველაზე დიდ ნაკლად ის უნდა ჩაითვალოს, რომ ნაცვლად ნებაყოფლობითი პრინციპისა, გამოყენებული იყო უხეში ადმინისტრირების მეთოდი, მაგალითად, სოფელში გამართულ ქალთა კრებას ყველა ქალი უნდა დასწრებოდა და ჩადრი აეხადა. ბევრს უხაროდა კიდევ, მაგრამ გარკვეულ ნაწილს სათაკილოდ, სირცხვილად მიაჩნდა. „შეჩვეული ჭირიც კარგიაო“ – ამბობს ანდაზა. ჭირის სიკეთე ვის გაუგონია, მაგრამ არიან ადამიანები, რომლებიც შეჩვეულ ჭირსაც ძნელად იშორებენ. საჭირო იყო მათი დარწმუნება და არა უხეში ადმინისტრირება.

თუ ავადმყოფობის ან სხვა რაიმე საპატიო მიზეზით ქალი არ გამოცხადდებოდა კრებაზე, მის ქმარს ან მამას იბარებდნენ და დაკითხვას უმართავდნენ: – ხომ არ ფიქრობთ ამ ღონისძიებას ხელი შეუშალოთ? იცოდეთ, ციმბირი აქეთ დაგრჩებათო და ა.შ. ზოგიერთ სოფელში ცალკეული პირები დააპატიმრეს კიდევ. რაიკომის მდივანი კალანდაძე აცხადებდა: იცოდეთ, ვინც ჩადრის ახდის კამპანიას ხელს შეუშლის, გრივალი გადაივლის მათ თავზე. ისინი აქაურობას ვეღარ ნახავენ...

მოსახლეობის უმრავლესობა ავანტიურისტებს არ აპყვავდა, ხოლო ის მცირე ნაწილი, რომელიც წამოიგო პროვოკატორთა ანკეის, ჯარის პატარა ნაწილის გამოჩენის შემდეგ, იძულებული გახდა იარაღი დაეყარა. ჯარის ნაწილებთან ერთად რაიონში ჩამოვიდა ლ. ბერია (მაშინ ის ამიერკავკასიისა და საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოს ედგა სათავეში). იყო სხალთაშიც... იქვე დაახვერტინა ი. მახარაძე, თუმცა არც გამოსვლებში მიუღია მონაწილეობა და არც დანაშაული ჩაუდენია, უბრალოდ, სურდა მხოლოდ აზრის გამოთქმა (დ. მამულაძე, რწმენით განვლილი გზა, ბ. 1997, გვ. 21-22).

ბატონი დავითი მიკერძობების გარეშე ავლენს ბერიასა და მისი საქმეების სულისჩამდგმელთა ბოროტებებს. ამბობენ, რომ ბერიას სინანული გამოუთქვამს იმის გამო, რომ 1937 წელი 4 წლით დააგვიანებს. სტალინმაც ისმინა და 1937 წელს პარტიას თავადვე მოუწოდა ხალხის მტრების მხილების, გამოვლინებისა და განადგურებისაკენ. ბერია და სხვებიც შეუდგნენ შურისძიებას ისეთ ადამიანებზე, რომლებიც მათ არ მოსწონდათ. ბერიამ სტალინს გაუგზავნა თხოვნა დასახვერტი კონტინგენტის ლიმიტის 1500 კაცით გაზრდის თაობაზე და რეზოლუციით თანხმობაც მიიღო. 1937 წელს აჭარაში დახვერტილთა საქმეებზე პირველი ბერია აწერდა ხელს... აჭარაში კადრების არასწორად შერჩევა-განაწილება, ადგილობრივი კადრების უგულებელყოფა გრძელდებოდა ბერიას საქართველოს კპ ცკ-ის მდივნად ყოფნისა და მოსკოვიდან საქართველოზე მის მიერ გაწეულ მანევ და საზიანო „შეფობის“ მთელ პერიოდში (იქვე, 32-33, 35-73).

ამ თემამ ასახვა კპოვა ბატონ ოსიკო გვარიშვილის საინტერესო ნაშრომში „ავადმოსაგონარი 1937 წელი“, რომელიც 2001 წელს გამოიცა ბათუმში. აქ 107-113-ე და 134 გვერდებზე მოთხრობილია პროვოკაციულ და ავანტიურისტულ დანაშაულზე, ხულოს ამბებზე, კერძოდ, ნათქვამია: „ბერიამ აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის დეპორტაციის პროექტიც წარუდგინა თურმე სტალინს. ეტყობა ახსოვდა ლავრენტის აჭარლებისაგან წყენა. 1929 წელს ბოლშევიკების მიერ აჭარაში ხელალებით ჩადრის



ახდისა და მოსახლეობის მიმართ გატარებული დისკრიმინაციის შედეგად. ზემო აჭარის მოსახლეობა წინ აღუდგა საბჭოთა ხელისუფლებას, „დასაწყნარებლად“ ლ. ბერია ჩამოვიდა. თვით მონახულა სოფ. ჭვანაში დაბანაკებული გამდგართა მეთაური ალისულთან ბოლქვაძე. როგორც წესი, მეთაურთან იარაღით შესვლა აკრძალული იყო, მცველმა ეჭვი მიიტანა და ბერიას ჩეკმის ყელში მეორე რევოლვერი აღმოუჩინა, ვერ შეიკავა ახალგაზრდა კაცმა თავი... ახსოვდა ეს ბერიას და დადგა ანგარიშსწორების დროც – 1937 წელი. მუსრი გაავლო აჭარის ინტელიგენციას, ხალხს, უბრალო მოსახლეობას. მთელი სამი თვის განმავლობაში ახლანდელი სასტუმრო „მესხეთის“ ადგილას მდგარი ციხე და რუსთაველის ქუჩაზე ახლანდელი საცხოვრებელი სახლი, სადაც „ჩეკას“ რეზიდენცია იყო, ვეღარ იტევედა სახელდახელოდ ქუჩაში „აკრეფილ“ ხალხს“ (ო. გვარიშვილი, ავადმოსაგონარი 1937 წელი, გვ. 110)... აჭარის მოსახლეობას აკრძალული ჰქონდა ესარგებლა ტყით, საძოვრებით, იძულებით დაზღვევას ექვემდებარებოდა უძრავ-მოდრავი ქონება, დიდი იყო ბეგარა და სხვა. ესეც არ იკმარეს და შეზღუდეს მათი რელიგიური მრწამსი. მოთმინებადაკარგული ზემო აჭარის მოსახლეობა 1929 წელს გამოვიდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ.

დათმობაზე წასულმა საქართველოს ცენტრალურმა კომიტეტმა 1929 წლის 8 აპრილს იმსჯელა ამ საკითხზე... დადგენილებაში ცენტრის მიერ აჭარლების გეგმაზომიერად, წინასწარი განზრახვით დისკრიმინაცია მთელი „კომუნისტური თვითკრიტიკით“ არის აღიარებული. აბა თავად განსაჯეთ: აღინიშნოს აჭარისტანის სახელმწიფო და სხვა რგოლებში შემორჩენილი უნდობლობის არსებობა აჭარის ადგილობრივი მოსახლეობის – აჭარლების მიმართ ქართული თვითმპყრობელური ტენდენციებისა.

ამ მიზნით, საჭიროა ჩატარდეს სახელმწიფო და სხვა აპარატის წმენდა ნაციონალისტური ელემენტებისაგან (პირველ რიგში, აქართულისა“). იმასაც დასძენს, რომ ბერიას აჭარის მოსახლეობის დეპორტაცია სწორედ „უნდობლობის ფაქტორის“ შექმნა-დაკანონებით სურდაო. სისხლისმსმელი, „ხალხის მტრების“ საქმეებზე ასეთ რეზოლუციებს ადებდა: „კრეპკო იზლუპიტ, დობეიტეს პრიზნანია“.

სწორად წერს ბატონი ნური ვერძაძე: „საბჭოთა წყობის პირობებში უნდობლობის ფაქტორმა უფრო წინ წამოიწია, ერთგვარად დაკანონდა თანამდებობის კუთხურობის მიხედვით დაყოფა. დიახ, გაჭრილად უნდა ითქვას, რომ აჭარელი კაცისადმი „უნდობლობის“ გაქონილი თითიდან გამომწოვილი, შეთხზული არგუმენტები, ამასთან ერის საზიანოდ დადგმული სხვადასხვა „საქეჟაკლები“, აქ იღებდა „საყრდენს“ (ნ. ვერძაძე, ქვეყნის გადარჩენის ნიჭი, ბ., 1994, გვ. 24).

პირადად ჩვენ 1995 წელს დავეძინეთ: „დანაშაული მოხდა 1929 წელსაც, რაც ჩადრის საქმის გამო ბერიაშვიტმა შეამზადა და ე.წ. ტროცკისტების მიერ ატეხილი სკანდალი თუ არა. 1937 წლის მაგვარი ამბები განხორციელდებოდა... სტალინის ჩვენი მამები, დედები, დები და ძმები, მართალია, 1948 წელს ზოგიერთების გამოქომაგების შედეგად გადაურჩნენ, მაგრამ ყველა თუ არა, ბევრი ბერიას მოღვაწეობით 1949 და 1951 წლებში უსაფუძვლოდ, უღმობლად მაინც ააგლიჯეს მამა-პაპათა მიწას და შუა აზიისა და ციმბირის რეზერვაციებში შერეკეს. ვინც გადაურჩა ტანჯვა-წამებას, უკან დაბრუნდნენ 1953 წელს, როცა ეს „თანამემამულეები“ აღარ იყვნენ“ (ი. ბეჭირიშვილი, ამას შენზე ამბობენ აჭარავ, ბ., 1995, გვ. 283-284. იხ. აგრეთვე ჩვენი „მაჭახლიდან კრემლამდე“, გაზ. „მაჭახლის ექო“, 1998, 15 ნოემბერი).

უნდა ითქვას, რომ აჭარლებს საერთოდ არ ახასიათებს ე. წ. „ბუნტარობა“, შფოთი, ისინი კანონის, წყობილების მორჩილნი არიან. დ. წერეთლის ცნობით, 1878 წელს მაჭახლის ხეობაში დანაშაულებათა აღკვეთა შესაძლებელი იმან გახდა, რომ ახალმა რუსულმა წყობამ გავლენიანი დამნაშავენიც არ დაინდო. მოსახლეობამ ეს გაიგო. ანალოგიური იყო 1923 წლის ფაქტი, როდესაც აჭარის შინსახკომმა გურიაში შეფარებულ ბანდიტთა 160 მეთაური დააპატიმრა. ამის რეზონანსი იმდენად ძლიერი იყო, რომ კრიმინოგენურმა ელემენტებმა ქურდობაზე უარი თქვეს. გონივრული პოლიტიკით, სისხლის აღების ადათის გამო გადამტერებული 851 ოჯახიც შეარიგეს და სხვა.

საკითხის უკეთ გაგება-გაშუქებისათვის, სხვა ამბებიც გავიხსენოთ. 1905 წელს, მოუსავლიანობის გამო, აჭარაში შიმშილობამ იჩინა თავი. ბათუმელმა პროლეტარებმა თხოვნა დახმარების თაობაზე ვერ მოაგვარეს. მაშინ სოფლის მოსახლეობამ ბათუმში მიტინგი გამართა, რომლის 701-მა მონაწილემ ხელი მოაწერა ხელისუფლებისადმი თხოვნას შავი სამუშაოთი (თანაც ნაკლები ანაზღაურებით) დაკმაყოფილების თაობაზე, მაგრამ არაფერი იღონა. ასე გაწირეს, კონტრაბანდისტობა და თურქეთში გადახვეწა არგუნეს. ამას ერთვოდა, აგრეთვე, გადასახადების მომატება ნავთის შესყიდვისას, ტყით სარგებლობაზე, ადგილობრივი მოხელეების შენახვაზე და ა.შ. შედეგმაც არ დააყოვნა – ქედაში წალდითა და ნაჯახებით, საჩიტე თოფებით შეიარაღებულმა 5000-ზე მეტმა გლეხმა მთავრობას მოთხოვნები წაუყენა, ფეხით გათელა მეფის სურათი, ოლქის უფროსმა ჩერნოვმა ჯარი უკან დააბრუნა, მაგრამ სხვა 100 მონაწილე დააპატიმრა, 30 გადასახლეს.

გაჭირვება 1929 წლამდეც იყო, მაგრამ აჭარის სახკომსაბჭოს ხელმძღვანელები (თახსიმ ხიმშიაშვილი) და სხვები გონივრულ პოლიტიკა-

ას ატარებდნენ. ხალხში იყვნენ, უსმენდნენ, გზების გაყვანის სამუშაოებშიც მონაწილეობდნენ, ხსნიდნენ ობოლ ბავშვთა და გლეხთა სახლებს. ყმაწვილებს აგზავნიდნენ სასწავლებლად, 1923 წელს სამხედრო სასწავლებლებში გაგზავნილებიდან ხუსეინ ბეჟანიძე, დურსუნ შავიშვილი, ასლან ბაჯელიძე და სხვები, სახელოვანი სამხედრო პირები გახდნენ, ფაშისტების შემუსვრაში მიიღეს აქტიური მონაწილეობა.

იმ პერიოდში აჭარის სახკომსაბჭოს მიერ გატარებული პოლიტიკის სისწორეს ადასტურებს ცნობილი დიპლომატი ნ. რაიჩი. მან 1975 წელს მოსკოვში გამოქვეყნებულ სქელტანიან წიგნში „მოლოდოსტ ვეკა, ვინა ბეზ ფრონტა“, მთელი თავი უძღვნა ამ საკითხების ობიექტურ ასახვას. ნ. რაიჩი თავისთავად ამართლებს აჭარის მთავრობის პოლიტიკას კონტრაბანდის შეზღუდვა-კონტროლის თაობაზე. არ მიიჩნევს მის გაუქმებას სავალდებულოდ, რადგან რუსეთ-თურქეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულების თანახმად, სახელმწიფო საზღვარი ფაქტობრივად ჩაკეტილი არ იყო, აჭარლები, რომლებიც თურქეთის ფარგლებში მოქცეულ ნაწილშიც ცხოვრობდნენ, გადადიოდნენ ერთმანეთთან და დეფიციტური, თანაც იაფი საქონელი მოქონდათ, ამით მოგებული იყო საქართველოს სხვა მხარეების მოსახლეობაც.

ასე რომ, გლეხობის ეკონომიკური პირობების თუნდაც ერთგვარად გაუმჯობესებამდე, რასაკვირველია, შეიძლებოდა კონტრაბანდის არ-გაუქმება, შეზღუდული სახით კონტროლში მოქცევა.

საერთოდ ვერ გაგვიგია, რა უნდა გადაეხადა მაშინ მთიელს, იგი ხომ სრულიად უქონელი იყო, ქალამების მეტი არაფერი ებადა. ზამთარ-ზაფხულს, დილიდან საღამომდე, კაცი, ქალი და ბავშვი თავდაუზოგავად თუ არ შეეჭვიდებოდა ხრიოკ, გამოფიტულ მიწასა და მიუდგომელ რელიეფს, მკაცრ ბუნებას, სარჩო საერთოდ არ ექნებოდათ, მხოლოდ გამოკვებაზე ფიქრობდნენ, სწავლა და კომფორტის რაიმე ნაწილობრივი სახეობაც არ სურდათ, ამისათვის არ ეცალათ, ამიტომაც ვერ გაბედეს შვილების, თანაც შორს სკოლებში გაგზავნა. ჰოდა, ასეთ პირობებში მიწის დარიგების გაჭიანურება, დანაშაულის ამკარა ტოლფასი იყო.

უნდა გავამახვილოთ ყურადღება იმაზეც, რომ მშრომელთა სამართლიანი სიგნალები უყურადღებოდ რჩებოდა. 1928 წელსაც უცნობებით განუკითხაობის ფაქტებზე, ზოგიერთი „შინაური“ აგენტისა თუ ალაბეგის აღვირა ხსნილობაზე, იმათ ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაზე, რომლებიც მანამდე ამა თუ იმ ცოდვების გამო, სახლიდან გარეთ ვერ გამოდიოდნენ და სხვა. აბა რა გამართლება უნდა მოეძებნოს იმას, რომ 1928 წელს ოლადაურისა და მეზობელი სოფლების მცხოვრებთა ნაწილს, ყოფილ

სედაიმილეთელთა წაქეზებით, შევიწროებების გამო თურქეთში გადასახლება, ანუ მუჰაჯირობა მოუთხოვიათ. სედაიმილეთელთა ანტიქართული დაჯგუფება 1918 წელს ინგლისელებმა შექმნეს. ვერ გაგვიგია, 1921 წელს განადგურებულები 1929 წლამდე როგორ შემორჩნენ, ან რას აკეთებდნენ უშიშროების სამსახურის მუშაკები?

წარმოშობით დღევანელმა, მთიან აჭარაში ახალი ხელისუფლების დამყარების აქტიურმა მონაწილემ, აჭარის მინისტრთა საბჭოს ყოფილმა ვეტერანმა მუშაკმა ავთანდილ ფუტკარაძემ გვიამბო: მღელვარება მართლაც იყო, მაგრამ მარეთის ხეობაში მესახლვრეებს არავინ დასცემია, თუმცა დასჯის შიშით შეპყრობილი 200 თუ მეტი კაცი შავშეთის დიობანში გადაიხვეწა. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით ისინი უვნებლად დააბრუნეს. მაშინ მესმოდა წამომწყებთა გვარები – კორტოხში ბოლქვაძე იყო, უჩამბაში – ბერიძე, ჭვანაში – ჭალაღიძე, შუახევი – დავითაძე, ხოჯა ფუტკარაძე. ბერია ჯარის ნაწილით დაადგა თავს ყინჩაურელებს და თავისი ხელით დახვრიტა მოთავე. ერთიც მაწყვალთაში შელაპარაკების გამო მოკლეს, თურქეთს შევეუერთდეთო, მოგონილია. ამგვარი არავის მოუთხოვიაო.

ბერია სხალთელებს თავად დაადგა თავს და გასამართლებაც იწყო, მაგრამ ე.წ. ტროცკისტებმა, კერძოდ, ნიკოლოზ ბუხარინმა, საერთაშორისო სკანდალი ატეხა. ამას მოჰყვა ობიექტური კომისიების მოვლინება, მათ შორის პარტიის ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტიდან პასუხისმგებელი მუშაკის ს. ყადროვი, რომელიც სამეგრელოს ამბების შემოწმების შემდეგ ეწვია აჭარას.

პროფ. ს. საითიძის მიხედვით, 1929 წლის ამბები არის შედეგი იმ შეცდომებისა და დამახინჯებებისა, რომლებიც დაუშვა აჭაროლქკომმა, რაც კონტრპროპაგანდისთვის გამოიყენეს ბუხარინელებმაო (ს. საითიძე, სამსონ მამულია, თბ., 1969, გვ. 90-91). მას კომუნისტების ხანაში, რასაკვირველია, მხოლოდ ასე შეეძლო დაეწერა.

ასე და ამრიგად, მთიელები დახვრეტისაგან, ციხეებში შეყრა-ასახლებისა და სამომავლო რეპრესიებისაგან ნ. ბუხარინმა იხსნა. ამ ამბებით შემოფოთებულმა სტალინმა საქართველოს კომპარტიის ხელმძღვანელობას უმაღლე უღებეშა: „როგორც ჩანს, თქვენ შეცდომა დაუშვით, ჩადრის ახდის დროს ძალადობა გამოგიჩენიათ ან ყოველ შემთხვევაში მოსახლეობა ძლიერ შეგივიწროებიათ. ასეთი პოლიტიკა არ არის პარტიის პოლიტიკა, იგი მცდარია“ (გ. როგავა, გვ. 22).

სტალინი იძულებული იყო ებრძანა, აგრეთვე, არ გამოეყენებინათ არავითარი ძალდატანება გამოსვლების მონაწილეთა მიმართ. ამასთან, მოსახლეობისათვის განემარტათ, რომ მომავალში ჩადრისა და რელიგიის

გამო არავითარი ძალდატანება არ იქნებოდა დაშეებული. ე.წ. ტროცკისტთა მიერ ატეხილი სკანდალის შიშით, რეპრესიები მართლაც არ განხორციელებულა. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ახალ დადგენილებაში „აჭარაში მომხდარი ამბების გამო“ ჩაიწერა, რომ აჭარის ხელმძღვანელობა მასებისაგან მოწყვეტილი აღმოჩნდა. მან ალლო ვერ აულო გლეხების განწყობას. ადმინისტრაციული ზეგავლენა მოახდინა და შეცდომაში შეიყვანა საქართველოს ცენტრალური კომიტეტი, თვით ცკ-მა დააშავა იმით, რომ ღრმად არ ჩასწვდა, არ შეამოწმა დირექტივების შესრულების მიმდინარეობა, რის გამოც პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა გადახალისებული იქნა.

20-პუნქტიან ღონისძიებათა გეგმაში ჩაიწერა: 1. 1929-1930 წლებში გადასახადები შემცირდეს არანაკლებ 50 პროცენტით. ამის გარდა. საშუალო ფენას შეუმცირდეს, შეძლებულებს გაეზარდოს. 2. ამავე წლებში არ განხორციელდეს პირუტყვისა და სახანძრო დაზღვევა. 3 გლეხობას შეექმნას ტყითა და საძოვრებით სარგებლობის პირობები მაქსიმალური შეღავათების ფარგლებში. 4. გლეხური მეურნეობების უკიდურესი მოუმარაგებლობისა და გლეხთა სიღარიბის გამო, ამიერკავკასიისა და საკავშირო მთავრობის წინაშე აღიძრას საკითხი მათზე დასახმარებლად და ამ დარგის აღმავლობისათვის სახსრების გამოსაყოფად. 5. საქართველოს სახალხო მეურნეობის კომისარიატს წინადადება მიეცეს დეტალურად შეიმუშავოს და ცენტრის წინაშე აღძრას საკითხი სპეცსახსრების გამოსაყოფად ქობულეთისა და ბათუმის (ხელვაჩაურის) რაიონებში ჭაობების დაშრობისათვის, ჭოროხის ნაპირების გასამაგრებლად, ტყის მასივებში გზების შესაყვანად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების გადასამუშავებელი საწარმოების ასაგებად და მთიელთა ნაწილის ბარში დასასახლებლად. 6. პირველი რიგის ამოცანად ცნობილი იქნა აჭარლების ფართო და სისტემატური მიზიდვა მრეწველობაში (ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, აჭარმრეწველობა, ხე-ტყის, ჩაისა და სხვა დარგები), მუშათა კადრების მომზადება, აგრეთვე სოფლის მოსახლეობის ჩაბმა მმართველობის ორგანოებსა და პროფკავშირებში. სამუშაოზე მოწყობისას, მათი უფლებები გაუთანაბრდეს პროფორგანიზაციების წევრებისას. 7. მიღებული იქნას ზომები მაზრების სიმინდით, მანუფაქტურული ნაწარმითა და პირველი მოთხოვნილების საგნებით შეუფერხებელი მომარაგებისათვის. კოოპერაციულმა ორგანოებმა ყურადღება მიაქციონ თავიანთი წერტების მდგომარეობას, მიიღონ ზომები ამ სისტემის საქმიანობის ადგილებზე გასაუმჯობესებლად. 8. გატარდეს მიწის რეფორმა იქ, სადაც არ მომხდარა. მიწები ჩამოერთვას ალებს, განსაკუთრებით გამდიდრებულ

კულაკებს და გადაეცეს ღარიბებს. ამასთან, ჩაითვალოს ყოვლად-  
მიუღებლად საშუალო ფენის გლეხებზე მიწის ნაკვეთებისა და აგარაკების  
ჩამორთმევა საკურორტო და სხვა საჭიროებისათვის საქართველოს  
შესაბამისი ორგანოების ნებართვის გარეშე. ყოველ შემთხვევაში ცალ-  
ცალკე განხილვის შემდეგ. 9. ყოფითი რელიგიური გადმონაშთების წინა-  
აღმდეგ ბრძოლაში, აბსოლუტურად დაუშვებლად მიჩნეული იქნას ადმინ-  
ისტრაციული დაწოლის მეთოდების რაიმე ფორმის გამოყენება. მხედვე-  
ლობაში იქონიონ მოსახლეობის ნაწილის ფანატიზმი, ჩადრის ახდის პროპ-  
აგანდა საჭიროდ და აუცილებლად მიჩნეული იქნას ყოვლად ფრთხილ  
ფორმებში და არა გამიშვლებული ლოზუნგებით (ძირს ჩადრი და სხვა).  
ამასთან პირველ რიგში ჩადრი მოიხადონ კომუნისტებისა და კომკავ-  
შირლების მეუღლეებმა. 10. საქართველოს კომპარტიის ცკ-ის ქალთა  
შორის მუშაობის განყოფილებას დაევალოს ახალი ვითარებისა და  
მოთხოვნების შესაბამისად, შეიმუშაოს პრაქტიკული წინადადებანი  
აჭარელი ქალების საბჭოთა მშენებლობაში ჩასაბმელად, განსაკუთრებული  
ყურადღება დაუთმონ კულტურულ-საგანმანათლებლო და ეკონომიკურ  
მხარეს (ქალთა კლუბები, ჭრა-კერვის სკოლები, არტელები და ა.შ.).  
საამისოდ გაითვალისწინონ სპეცსახსრების გამოყოფა. 11. იმ ადგილებში,  
სადაც გლეხთა ნაწილი ითხოვს შვილების მედრესეებში სწავლებას, წინა-  
აღმდეგობა არ გაეწიოს. 12. გადაიხედოს ღეკრეტი სკოლებში ღარიბთა  
შვილების საყოველთაო-საკვალდებულო პირველდაწყებითი სწავლების  
შემოდების თაობაზე. შეიქმნას მათზე დახმარების განსაკუთრებული  
ფონდი, დაწესდეს ფესხაცემელების ღარიგება, მოგვარდეს ტრანსპორტით  
გადაყვანა და სხვა. 13. აუცილებლად ჩაითვალოს ბათუმელთა შეფობის  
გაგრძელება-გაუმჯობესება. ცალკეულ პროფკავშირთა მიერ კონკრეტული  
დახმარების აღმოჩენა თემებისადმი. 14. პარტიულ-საბჭოთა პოსტებზე  
აჭარლების დაწინაურების მიზნით, გადაუდებელ აუცილებლობად იქნას  
მიჩნეული ენერგიული, პერსპექტიული, ჭკვიანი ახალგაზრდების გაგზავნა  
ცენტრალურ პარტსკოლებში, კომუნისტურ აკადემიასა და სხვა სასწავ-  
ლებლებში. ამ საქმეზე თვალყურის დევნება დაეკისროს საქართველოს კპ  
ცკ-ის სპეცსამსახურს. აქედანვე მოხდეს პარტიული, საბჭოთა და  
კომკავშირული აქტივის გადამზადება. 15. პრაქტიკული ჩვევების გამო-  
მუშავებისა და საქმიანობის სრულყოფა დახელოვნებისათვის, აუცილებლად  
ჩაითვალოს აჭარის წარგზავნილთა გადამზადება საქართველოსა და  
ამიერკავკასიის ცენტრალურ ორგანოებში. 16. მთავარ პოლიტსამმართ-  
ველოს დაევალოს გადახედოს კონტრაბანდაში მონაწილეობის გამო  
გადასახლებულთა სიას და აღძრას საკითხი ზოგიერთი მათგანის მიმართ

ამნისტიის შესახებ. ამიერიდან გადასახლება მიჩნეული იქნას, როგორც უკიდურესი ზომა. ამასთან ამ ზომას მიმართონ მხოლოდ კულაკებისა და მდიდრების მიმართ, მაგრამ არა მასობრივი წესით. 17. აჭარის სახელმწიფო და სხვა რგოლების აპარატში, ადგილობრივი მოსახლეობისადმი შემორჩენილი უნდობლობის, დიდმპყრობელური ქართული ტენდენციის არსებობის გამო, აუცილებელ ამოცანად მიჩნეული იქნას ბრძოლის გაძლიერება ამგვარ დამახინჯებათა წინააღმდეგ. სწორი ეროვნული პოლიტიკის პრაქტიკაში გატარებით, აუცილებელია სახელმწიფო და სხვა აპარატის გაწმენდა ნაციონალისტური ელემენტებისაგან (პირველ რიგში ქართული). დაევალოს აჭაროლქკომს (პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტს), როგორც ბათუმის, ისე მაზრების პარტიულ და საბჭოთა მასებში ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა გაშალოს ეროვნული პოლიტიკის ახალ მოთხოვნათა შესაბამისად. 18. ადგილებზე პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების მიზნით, ახლო მომავალში აუცილებლად მოხდეს საბჭოების ახალი არჩევნები, წმენდა და განახლება საბჭოთა კოოპერაციული და სხვა ორგანოებისა, რათა გექონდეს გლეხობის მთავარ მასასთან დაკავშირებული ორგანოები, რომლებიც უზრუნველყოფენ სოფლად მუშაობის პარტიული ხაზის სწორ გატარებას, კერძოდ, უპარტიო გლეხთა მასობრივ და ადგილობრივი ინტელიგენციის ლოიალურად განწყობილი ელემენტების ჩაბმას საბჭოთა დაწესებულებებში 19. მუშაობის გაძლიერებისათვის ოლქკომთან შეიქმნას სოფლად მუშაობის განყოფილება და დასაქმდეს აჭარის სოფლის კარგი მცოდნეები. 20. გაიგზავნოს აჭარაში სამთავრობო კომისია ხულოს ამბებთან დაკავშირებული იმ ყოველგვარი დაუდევრობის, უმსგავსოების, განუკითხაობის გამოსარკვევად და დამნაშავეთა პასუხისგებაში მისაცემად“ (კ გრუზიი ... გვ. 328-331).

ამდენად, ეს დოკუმენტი მიღებიდან 74-ე წლისთავზე პირველად ქვეყნდება ქართულ ენაზე.

დასკენის დროც დადგა. ენახოთ, რა „უმაგრებდა“ პოზიციებს ბერიას, რა უბიძგებდა, რისთვის სჭირდებოდა ასეთი ავანტიურა, ვინ აძლევდა ვიზას „ჩადრის საქმის“ ინსცენირება-პროვოცირებაში, გადააბეს თუ არა იგი სამეგრელოს გამოსვლებს?

დავიწყოთ ს. ყადროვის მოხსენებითი ბარათის ერთი ნაწილით, რომელიც ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის ხელმძღვანელ მ. ორახელაშვილსა და პარტიის საკავშირო ცენტრალურ კომიტეტს მიაწოდა: „... არ ექცეოდა საკმარისი ყურადღება ღარიბი აჭარლების მდგომარეობის გაუმჯობესებას. როგორ შეიძლება გვერდი აუარო ისეთ ფაქტს, როცა ბათუმის მუშებს შორის აჭარლების ჩამოთვლა თითებზე შეიძლება... ნუთუ პარტიის

XII ყრილობამ ხაზი არ გაუსვა იმ გარემოებას, რომ რესპუბლიკების ეკონომიკურ და კულტურულ აღორძინებას, მკვიდრი მოსახლეობის პროლეტარიატის ჩამოყალიბებას უნდა შეეუქმნათ მძლავრი ბაზა, პირობები. აჭარაში კი გლეხების გაპროლეტარება ბევრად ადვილად შეიძლებოდა, ვიდრე სადმე სხვაგან. აი სად უნდა ვეძიოთ სუსტი მუშაობის მიზეზები...

კადრების მოძიადებას არ ექცეოდა ყურადღება. ამა თუ იმ ღონისძიებების გატარებისას და სახსრების განაწილებისას, ძალიან მცირე ყურადღებას უთმობდნენ აჭარას... მე მგონია, რომ ქართველმა ამხანაგებმა „ნამნოგო პერეგნული, პერებორშილი პალკუ“ ეროვნულ საკითხებში“ (ნ. ლაკობას პირად არქივში დაცული ეს დოკუმენტი ინახება მისი ცოლის ძმის, ბათუმელ მ. ჯიხაშვილის ოჯახში).

დასანანი ისაა, რომ აჭარლების გაპროლეტარებისათვის ფაქტობრივად თავიდანვე არაფერი კეთდებოდა. საამისოდ არაფერი იღონეს თანამემამულე რევოლუციონერ-ბოლშევიკებმა. ცნობილ სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეს, იურისტ ხასან ლორთქიფანიძეს სწორედ ეს უკლაედა გულს. სერგო ორჯონიკიძეს იგი მოახსენებდა: „აჭარლებს შორის არ იყვნენ რევოლუციური კადრები, რადგან მათ არ ამზადებდნენ“...

უნდა ვაღიაროთ, რომ ბათუმის მუშათა ორგანიზაციებმა აჭარის გასაბჭოებამდე ვერ შეძლეს რევოლუციური მუშაობის გაშლა აჭარლებს შორის. აჭარლები ყოველთვის ცოტახანს იყვნენ საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში. ისინი ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ იმით, რომ მეფის ხელისუფლების დამხობის შემდეგაც არ ჰქონდათ არავითარი წონა და მნიშვნელობა (ყოფილი ბათუმის რევოლუციის მუზეუმის არქივი, ს. 473, ფ. 2) ესეც იყო საბაბი იმისა, რომ 49 წლის გაუტეხელი ხ. ლორთქიფანიძე 1937 წელს შეშასავით დაამტერიეს. ეს მაშინ, როცა საქართველოს დამუშენებელი კრების თავმჯდომარემ, ჩვენი კუთხის დიდმა ქომავმა პეტრე გელეიშვილმა 1920 წლის ოქტომბერში აჭარის ინსპექტირების შემდეგ, სასტიკად დაგმო საქართველოს მთავრობის ანტიეროვნული პოლიტიკა ჩვენს მხარეში და ხაზი იმასაც გაუსვა, რომ ათამდე აჭარელს საქართველოს ხელმძღვანელობაშიც შეეძლო ნაყოფიერად ემუშავა, ისინი კი ადგილზეც არაფერს წარმოადგენდნენ, იგნორირებული იყვნენ. პ. გელეიშვილს მხედველობაში მემედ აბაშიძე, ხასან ლორთქიფანიძე და სხვები ჰყავდა.

ჩვენ გვიძიძის ს. ორჯონიკიძისა და სტალინის გამონათქვამების ციტირება, მაგრამ სხვა გზა არ არის, სხვაგვარად „ჩადრთან“ დაკავშირებულ თუ სხვა ამბებს მთელი სისრულით ვერ გავიგებთ.

1925 წელს საქართველოს კპ IV ყრილობაზე ს. ორჯონიკიძემ განაცხადა: „აჭარაში იმართებოდა მიტინგები, რომლებზეც ამბობდნენ, რომ



ქართველები შოვინისტები არიან. ვინაა ამაში დამნაშავე? ამაში დამნაშავეა ჩვენი ბათუმელი ამხანაგები. დამნაშავეთა არასწორი ეროვნული პოლიტიკა... როგორ მოხდა, რომ ბათუმის პარტორგანიზაცია აღმოჩნდა მოწყვეტილი აჭარელ ხალხზე, ეს მოხდა იმიტომ, რომ ჩვენი ამხანაგები... არ თვლიდნენ აჭარლებს თანასწორუფლებიანად, ეპყრობოდნენ დამცირებით (ნისხოდიტლენო), სურდათ მათზე უფროსობა (კომანდოვატ), თვლიდნენ, რომ ჩამორჩენილები, ბნელები არიან, არაფერი არ იციან და მათგან არაფრის მოთხოვნა არ შეიძლება“ (ავტობიოგრაფიული კრებული). 1922 წლის ოქტომბერში კი ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის პლენუმზე ს. ორჯონიკიძემ განაცხადა: „ვერხუშკა ცკ კ (ბ) გრუზიი იავლიაეტსია შოვინისტჩესკოი გნილიუ“, რომელიც ამთავითვე უნდა მოვიცილოთ (ს. ხარმანდარიანი, გვ. 351), რაც ლენინის მოთხოვნებიდან გამომდინარეობდა. პროფ. გ. გალოიანის ცნობით, სწორედ მაშინ სტალინმა უდებეშა ს. ორჯონიკიძეს: „უნდა ავიღოთ გადამწყვეტი მიმართულება, საქართველოს ცკ-დან განვდევნოთ ნაციონალიზმის ყოველგვარი და ყველანაირი გადმონაშთი. ლენინი უკიდურესად უკმაყოფილოა ქართველი ნაციონალისტებისა“.

უნდა ითქვას, რომ თურმე სტალინი უფრო შემტვევი, უკომპრომისო ყოფილა, მაგრამ მოჩვენებითი. კულისებში იგი საწინააღმდეგო და უკიდურესად ავანტიურისტულ ღირექტივებს კარნახობდა: „თავდაცვითი ნაციონალიზმი ხშირად იქცევა შემტვევით ნაციონალიზმად, რომელიც მიმართულია ამ რესპუბლიკების სუსტ ეროვნებათა წინააღმდეგ. ქართული შოვინიზმი საქართველოში მიმართულია... ოსების, აჭარლებისა და აფხაზების წინააღმდეგ... იგი წარმოადგენს უდიდეს ბოროტებას... საქართველოს მოსახლეობის 30 პროცენტი არაქართველია, მათ შორის არიან სომხები, აფხაზები, აჭარლები (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.), ოსები და თათრები. სათავეში დგანან ქართველები. ქართველი კომუნისტების ნაწილში დაიბადა და ვითარდება იდეა – არ გაეწიოს ანგარიში ამ მცირე ერებს. (ხაზგასმა ჩვენია – ავტ.). ისინი შედარებით უკულტურონი, ნაკლებად განვითარებული არიან და ამდენად, სავალდებულო არაა ანგარიში გაეწიოს. ესაა შოვინიზმი, შოვინიზმი მავნე და საშიში, რადგან საქართველოს რესპუბლიკას კინკლაობის არენად გადაქცევას უქადის და კიდევ აქცია“.

ეს თქვა სტალინმა 1923 წელს პარტიის XII ყრილობაზე, არ ეგონა, რომ იქვე მყოფი საქართველოს მეთაური ბუღუ მდივანი მას ამხელდა, ფარდას ჩამოგლეჯდა. „ჩვენ გვეუბნებიან, რომ შოვინისტები ვართ, იმიტომ, რომ ვიქმნით პრივილეგიებს ჩვენთვის. ამავე დროს ვავიწროვებთ აფხაზებს, ოსებსა და აჭარლებს... მე უნდა შევახსენო ამხ. სტალინს,

როდესაც თქვენ იქ (თბილისში) იყავით, მე კი რეკომის თავმჯდომარე ვახლდით, მეუბნებოდით ძალიან ფრთხილად ცყოფილიყავით ამ ხალხის (აჭარლების) მიმართ. აი მიზეზი, რის გამოც ამა თუ იმ საკითხის გადაწყვეტა გვერდით იხრება. როცა ეს კეთდება ამხ. სტალინის განკარგულებით, მე ვალდებული ვარ ვთქვა: გისმენთ ამხ. სტალინ. მე მომეცით მითითება გამეკეთებინა ისე, რომ აჭარლებს არ ეხელმძღვანელათ (ნე ზოზიანიჩალი) ბათუმში. სწორედ აქედან დაიწყო მათი უკმაყოფილება (XII სიეზდ რკპ (ბ), სტენ. ანგარიში, მ. 1968, გვ. 499). მკითხველისათვის ცნობილია, რომ ბ. მღვივანი მოგვიანებით დახვრიტეს.

ამას უთუოდ უნდა დაეურთოთ, ისიც, რომ ეროვნული საკითხის „ფუძემდებელი“, „ხალხთა მზრუნველი მამა“ ბოლომდე ასეთი დარჩა, აზრი არ შეიცვალა. 1938 წლის იანვარში გაიმართა სსრკ უმაღლესი საბჭოს პირველი სესია. სამანდატო კომისიის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ ამ საბჭოში წარმოდგენილი არიან მცირე ერები (ხაზი ჩვენი) ყარაჩაელები, ბალყარელები, ინგუშები, ქურთები. ირანელები და აჭარლები (სსრკ უმაღლესი საბჭოს I სესია, სტ. ანგარიში, თბ., 1938, გვ. 72). იქვე მყოფმა სტალინმა არათუ იყვირა, არამედ შესწორებაც არ შეიტანა. უფრო მეტი, უარესი მოიმოქმედა. თურმე იმასაც ქადაგებდა, რომ აჭარაში ცხოვრობდნენ აჭარლები, ჩაქველები და ქობულეთლები. დასანანი, რომ მაჭახლელები, ღორჯომელები, ხიხაძირელები, ხინოელები და სხვები გამორჩა. და ამას აკეთებდა თავისივე ღირექტივების, დებულებების საწინააღმდეგოდ. აკი თავად ამტკიცებდა, რომ უკრაინაში დიდი შეცდომის, დანაშაულის ჩადენა ისეთ გამოძახილს ვერ პოვებს აღმოსავლეთში, როგორც პატარა აჭარაში პატარა მომხდარი ფაქტით.

ამრიგად, სტალინის „დამსახურება“ ის, რომ 1939 წლამდე აჭარლებს საბუთებში ეროვნებად „აჭარელი“ ეწერათ.

სხვა გამონათქვამები ნამდვილად არაა საჭირო, ყველაფერი კომენტარების გარეშეც ნათელია, პირდაპირ უპასუხებს ჩვენს მიერ და სხვათა კითხვებსაც. ქვეტექსტები ჭეშმარიტად არ გვეჭირდება.

„ჩაღრის საქმის“ აგორება-მასშტაბურობის მიზნით, „სამეგრელოს გამოსვლები მას დაამთხვიეს. ინტერესი, ძალები აქით გადმოისროლეს, „ყოფნა-არყოფნის“ თემად აჭარა აქციეს. ამას ხომ საშიშ საზღვართან „არაქართველი“, მუსლიმანი აჭარლების „აჯანყება“ განაპირობებდა. აკი ჩვენს მიერ მოყვანილი იმ 20-პუნქტიანი დადგენილების ნაწილიც რომ შეეთავაზებინათ მთიელებისათვის, შეკრებებიც არ გაიმართებოდა. მაგრამ ბერიას რით გამოეჩინა თავი სტალინის წინაშე? საამისო ასპარეზად

აფხაზეთი და აჭარა გაიხადა და „ზრუნვა“ არ მოგვეკლო, მაგრამ არათუ აჭარის, არამედ მისი ავტონომიის მოსპობასაც ვერ ეღივსა.

P.S. დამატების სახით, მოვიყვანო ერთ ადგილს ემიგრანტი ისტორიკოსის გრიგოლ ვეშაპელის წიგნიდან „ახალი საქართველო“: – „გაცილებით უფრო უცნობი იყო სამეგრელოს ავტონომისტების გამოსვლა მ. დადიანის მეთაურობით. მოითხოვეს „მარგალისტანის რესპუბლიკის“ შექმნა და უშუალო კავშირი რუსეთთან, ამის გამო მ. კალინინისათვის (საბჭოთა კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის თავმჯდომარე – ი. ბ.) მიუმართათ საჩივრით, რომლითაც საქართველოს იმპერიალიზმსა და უკლონისტობაში სდებდნენ ბრალს“. ამ გამოსვლამას დისკუსია გამოუწვევია იმდროინდელ პრესაში (ი. ბეკერიძევილი, აჭარა პარიზის გაზეთ „ახალი საქართველოს“ ფურცლებზე, გაზ. „აჭარა P.S.“; 1999, 7-14 მაისი).

ღიას, „მარგალისტანის“ და არა სამეგრელოს რესპუბლიკის, თანაც არა ავტონომიურის, არამედ მოკავშირე რესპუბლიკების დონისა ისურვეს. სხვაგვარად მთელ დასავლეთ საქართველოს აჭარის ჩათვლითაც, ვერ „გააერთიანებდნენ“.

ამგვარი ვოიაჟი სამეგრელოში 1925 წელსაც იყო.

საქართველოს ამ „პატრიოტი“ ჩეკისტების საქმიანობას ხსენებულ პერიოდში, ცხადყოფს მომდევნო წლების ფაქტებიც, რომლებიც აშკარად ავლენენ უნდობლობას აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ, სრულ აღვირაზსნილობას. საამისოდ მოგვყავს ამონარიდი პროფესორ ოთარ თურმანიძის გამოკვლევიდან „შავბნელი 40-იანი და 50-იანი წლები აჭარის მაგალითზე“, რომელიც გამოქვეყნდა გაზეთ საქართველოს რესპუბლიკის“ 2003 წლის №184, 186 და 187, აგრეთვე გაზეთ „აჭარის“ ამავე წლის №142, 143 და 144-ში.

საქართველოს სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მასალებში განსაკუთრებით ფიგურირებს ტერმინი „სამშობლოს მოღალატე ქართველი აჭარლები“. თურმე ისინი აწვდიდნენ სახელმწიფო საიდუმლო ცნობებს თურქეთიდან შემოგზავნილ აგენტებს. აგრეთვე, არ აწვდიდნენ საჭირო მასალებს საქართველოს უშიშროების ორგანოებს, როდესაც ამ მიზნით თურქეთში აგზავნიდნენ, ანდა ინფორმაცია საერთოდ არ ჩამოპქონდათ ე.წ. „მოღალატე ქართველ აჭარლებს“. ანალოგიურ ბრალდებას უყენებდნენ

ცარიზმის მოხელეები და გასაბჭოების შემდეგ საქართველოს სახელმწიფო უშიშროების მუშაკები საბჭოთა ხელისუფლების ყველა ეტაპზე. არადა, სამშობლოს წინაშე ღალატი აჭარლებს არასოდეს ჩაუდენიათ. ისინი იყვნენ და არიან დედასამშობლო საქართველოს ერთგული შვილები.

საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა დაამუშავეს საკითხი ე. წ. „მავნებლების“ რესპუბლიკიდან გასახლების შესახებ. ეს მასალები მათ წარუდგინეს საქართველოს კპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს კ. ჩარკვიანს. იგი მხარს უჭერდა უშიშროების სამინისტროს წინადადებას და, ალბათ, სერიოზულად არც კი დაფიქრებულა ამ უდანამაულო ადასიანების ბედზე. მაგრამ საკითხი უნდა გადაეწყვიტა სსრ კავშირის უმაღლეს პოლიტიკურ ხელმძღვანელობას. ამიტომ კ. ჩარკვიანმა 1951 წლის 12 ნოემბერს წერილი გაგზავნა ი. სტალინის სახელზე, რომელშიც ცდილობდა დაესაბუთებინა ამ „მავნებელი ელემენტების“ საქართველოდან გასახლების აუცილებლობა, რადგან თურმე ისინი ქმნიდნენ საშიშროებას ქვეყნისათვის. კ. ჩარკვიანი მოითხოვდა საქართველოდან 6.300 კაცის გასახლებას.

სამწუხაროდ, კ. ჩარკვიანის წერილში ი. სტალინისადმი აჭარლები დახასიათებულია პოლიტიკურად არასაიმედო ხალხად, ანტისაბჭოელებად და სხვა. წერილში კონკრეტულად ნათქვამია: „აჭარაში ცხოვრობს ემიგრანტებისა და სამშობლოს მოღალატეების მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი არიან კომპრომეტირებულები ანტისაბჭოთა საქმიანობაში წარსულში (საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ შეიარაღებული გამოსვლები), კონტრაბანდაში (არალეგარულად გადადიან თურქეთში და გადმოდიან), მონაწილეობენ ანტისაბჭოთა პანისლამისტურ ორგანიზაციაში („სედაი მილლეთი“ – ხალხის ხმა), იმალებიან თურქეთში და კავშირი აქვთ ბათუმში თურქეთის კონსულთან“. ცხადია, ეს ყველაფერი სიცრუეა.

ი.ბ. სტალინი დაარწმუნეს, რომ ამ კატეგორიის მოსახლეობის ცხოვრება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებში საშიში იყო ქვეყნის უსაფრთხოებისათვის. კ. ჩარკვიანის აღნიშნული წერილის შემდეგ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ 1951 წლის 29 ნოემბერს მიიღო სპეციალური დადგენილება საქართველოს საზღვრისპირა რაიონებიდან „მავნებლური ელემენტების“ გასახლების შესახებ. ამ დადგენილების მიღების შემდეგ საქართველოს უშიშროების სამინისტროს მუშაკებმა „ახალი მავნებლები“ გამოაეღინეს, რის შედეგად გასახლებულთა კონტინგენტი 8615 სულამდე (2189 ოჯახი) გაიზარდა. ამავე დროს დაამუშავეს მათი გასახლების ინსტრუქცია, რაც ბევრად არ განსხვავდება ფაშისტების ანალოგიური დოკუმენტებისაგან.“

## ქონების კონფისკაცია ბათუმში 1930 წელს

პირველ ცნობას კერძო სავაჭრო ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების ჩამორთმევის თაობაზე აჭარის ცენტრალურ არქივში 1974 წელს წავაწყდი, როდესაც აჭარის სახკომსაბჭოს პირველი თავმჯდომარის სულეიმან დიასამიძის სახელთან დაკავშირებულ 1922 წლის დასაწყისის მასალებს ვიკვლევდი. რაიმე მნიშვნელოვანი საბუთი ვერ მოვიპოვე – ს. დიასამიძემ ხომ სულ რამდენიმე თვე იმუშავა. იყო მხოლოდ საჩივრები ჩამორთმეული სახლების დაბრუნების შესახებ, მათ შორის ორთაბათუმელი ფაღავებისა.

გაზეთ „პროლეტარული ბრძოლის“ (გაზ. „აჭარის“ წინამორბედი) 1922 წლის 127 ნომერში ამოვიკითხე, რომ ბეგებს – ზაბით, ჯემალ, ასლან, ჯეფერ და შევქეთ ხიმშიაშვილებს ჩამოერთვათ საცხოვრებელი სახლები. გავეცანი ოჯახებში არსებულ საბუთებსაც და გავაგრძელე ამ საკითხის კვლევა, ასე რომ, ამ დროიდან მოყოლებული, ხელისუფალნი ოფიციალურად თუ იძულებით, ახალი ობიექტების აგების, სხვისი ქონების თავისიანებზე მიკუთვნების მიზნით, ახდენდნენ ე.წ. მუნიციპალიზაციას, ანუ სახელმწიფოზე მიკუთვნებას. ართმევდნენ მაქინატორებს, მოსახლეობის ექსპლოატაციის შედეგად გამდიდრებულ პირებს. დამნაშავეებს, რაც კანონიერი ქმედება იყო. მაგრამ რეპრესირებულთა შორის იყვნენ ბეგები, შეძლებულად მცხოვრებნი, რომლებიც წინაპრებისაგან მემკვიდრეობით მიიღეს ნაგებობანი, მიწის ნაკვეთები, ქველმოქმედი მამულიშვილები, პატრიოტობით გამორჩეულნი, ახალი ხელისუფლების დამკვიდრებისათვის რომ იბრძოდნენ.

ამ მხრივ აღსანიშნავია მთელი რიგი წლები, მათ შორის 1922, განსაკუთრებით 1930 და უფრო კი ბერია-სტალინის მიერ შეკოწიწებული 1937, როდესაც ქონების ჩამორთმევას დახვერტები, დაპატიმრებები და გადასახლებები მოჰყვა.

1922 წლის აპრილის №4 დეკრეტი მუნიციპალიზაციის შესახებ ანუ კერძო ქონების საქალაქო საბჭოს კომუნალურ ფონდში გადაცემის თაობაზე, აჭარის სახკომსაბჭოს მიაღებინეს. ეს დოკუმენტი გაზეთ „ვედომოსტის“ (გაზეთ „ადჟარიას“ წინამორბედი) 1922 წლის №76 შემოგვინახა. შემორჩენილი სია დიდი არაა, ეტყობა – ნაწილია, რადგან თარიღი თუ ტექსტის დამთავრების მაუწყებელი სხვა ნიშანი არა აქვს. ამასთან სია ანბანის მიხედვით არაა გაწყობილი, შესაძლოა სახკომსაბჭომ მკაცრ ზომებს არ მიმართა.

გამონაკლისი არც აჭარლები იყვნენ, თუმცა არც ერთ მათგანს არ ეკუთვნოდა რაიმე საწარმო, მომსახურების, სხვა სფეროს მნიშვნელოვანი ობიექტი. ზოგიერთ ალა-ბეგს, ახალ გამოჩენილ ვაჭარს თუ ჰქონდა რაიმე დანატოვები და დაგროვილი.

1922 წელს სეფერ, ნური და ოსმან-ბეგ ბეჟანიძეებისათვის ქუთაისის №29-ში ჩამოურთმევით საცხოვრებელი სახლები და აბანო „ეეროპა“. ისინი ფლობდნენ მამულებს თამარის დასახლებასა და ჩაქვში. სერგეი მესხი, დიმიტრი ბაქრაძე, ალექსანდრე ფრენკელი, გიორგი წერეთელი და სხვები, მათ ქებით მოიხსენიებდნენ.

ცნობილ ქველმოქმედს, ხელვაჩაურელ იუსუფ ვარშალომიძეს ჩამოართვეს საცხოვრებელი სახლები შეპელევისა (ვაჟა ფშაველას) და ბალის (კლდიაშვილის) ქუჩების №7-10-ში, ოსმან ნაკაშიძეს – სვიატოპოლსკ-მირსკისა (მელაშვილის) და მიხეილის (9 აპრილის) ქუჩების №10-ში, დურსუნ ზადე გამოასახლეს დონდუკოვ-კორსაკოვის (გამსახურდიას) და სკობელევის 22-დან. ამ სპარსულ – ზადეს, იგივე ძეს, შვილს მაშინ ზოგიერთი აჭარელი თავის გვარს დამატების სახით, მეტსახელად ურთავდა, მაგრამ სხვა ეროვნების წარმომადგენლებისათვის გვარს წარმოადგენდა. ზოგი აჭარელი ოღლის ფორმითაა მოხსენიებული. მაგალითად, ხალილ კალანჯოლი, რომლის საცხოვრებელი სახლი და აბანო „ვენეციაც“ სახელმწიფოს ჩაბარდა. ამბობენ, რომ კალანჯოლებად ადრე მაჭახლელი კალანდაძეები იწერებოდნენ, რომელთა რამდენიმე წარმომადგენელი სამამულო ომში დაიღუპა.

შეიძლება ითქვას, რომ დამანგრეველი იყო 1930 წლის ე.წ. დამატებითი მუნიციპალიზაცია, რომელიც აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის – ცაკის სპეცდადგენილებით მოხდა. სია ანბანის მიხედვით დავალაგეთ და საჭიროებისამებრ, კომენტარებიც დავურთეთ, რათა აღგვეკვეთა უზუსტობანი და გაუგებრობები, გვემხილა ზოგიერთი ტენდეციურობა და ა.შ.

ჰაიდარ აბაშიძეს, რომელიც დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში განისვენებს, ნათესავთან – მამულთან ერთად ჩამოართვეს სახლი და მალაზიები, წითელი (ესენინისა) და სამეგრელოს შესახვევის №2,5 და 9-ში. მემედ, იუსუფ, გულხეთ, ახმედ, რიზა, ჰაჯერ, მინირე და ზია აბაშიძეების სავაჭრო ობიექტებს კი კონფისკაცია უყვეს სამეგრელოს ნომერ ხუთში.

1930 წლის რეპრესირებულთა შორის მოხსენიებული არიან ისმაილ ეფენდი, ფატმა ხანუმ, რიზა, ასია, ხასან და სხვა ლორთქიფანიძეები, მათ საცხოვრებელი სახლები, სავაჭროები, სათავსოები ჩამოართვეს ქუთაისის

ქუჩის №22, 33 და 47, შადრევნის (ჯორჯიაშილის), მეორე სანაპიროს (ელიავას) შესახვევის №1 და №70, ლიბკნეხტის, მეჩეთის, აჭარის (ხულოს) ქუჩების რიგ ნომრებში, ლორთქიფანიძეებს საამისო ძველი საბუთებიც აქვთ, მეგრამ საკუთარ ქონებას ვერანაირად ვერ იბრუნებენ.

აქ მოხსენიებული ხასან ლორთქიფანიძე აჭარის წითელი მეჯლისის, რეკომის თავმჯდომარე, სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ცნობილი იურისტი იყო. აჭარის ავტონომიის სტატუსისა და კონსტიტუციის შემშუშავებელია.

ბალაძეები ძველადაც ცხოვრობდნენ ბათუმში. იაყოფ, საღის და ხასან ბალაძეებს 1-2 სანაპიროს (ელიავას) შესახვევის №48-55 სახლები ეკუთვნოდათ, ნაოფლართ შეიძინეს, მაგრამ მათაც წაართვეს. ფადიმე ბაკურიძეს, თბილისის (ბარათაშილის) ქუჩის №67-ში საეაჭრო ობიექტები ეკუთვნოდა. არც იგი დაინდეს. სეფერ, ოსმან და ნური-ბეგ ბეჟანიძეებს 1922 წელს ჩატარებული კონფისკაცია არ აკმარეს და 1930 წელს ქუთაისის №29-ში მთელი სახლი წაართვეს.

ადრე არც კი მსმენოდა, რომ ჩემი მეგვარეები – ბექირიშვილები, ასე მრავლად იყვნენ ბათუმში და შეძლებულნიც. ხუსეინ, ოსმან და ისმაილ ბექირიშვილებს, შმიდტის (გოგებაშილის) 1 და 2 სანაპიროს, მეჩეთის (ჩკალოვის) შესახვევის 1, 29, 38, 56 და 65 ნომრებში საეაჭრო ობიექტები და სახლები ჩამოართვეს. ხუსეინ ბექირიშვილს შმიდტისა და პირველი სანაპიროს №7 და №24 საეაჭროები; ოსმან ბექირიშვილს 1 და 2 სანაპიროს №63-ში კი სახლი. ხოლო ოსმან და ისმაილ ბექირიშვილებს, მეტსახელად შავს, შმიდტის, ბაზრის (ერას) შესახვევისა და სანაპიროს №1, 29 და 38 სახლი და საეაჭროები. ოსმან ბექირიშვილს 1890 წლიდან წყლის წისქვილიც ჰქონია.

1930 წლის რეპრესირებულთა შორის არიან სხვა გვარების წარმომადგენლებიც. ხასან ბერიძეს შმიდტისა და პირველ სანაპიროს №31 და 40-ში მდებარე სახლებში სხეები ჩაასახლეს. ასევე სხვები ჩაასახლეს მემედ და ოსმან გვარიშვილების კუთვნილ 1-2 სანაპიროს №46-53 სახლებში. ძმებს მემედ, ხუსეინ, რიზა და ხურშიტ გოგიბერიძეებს ზინოვიევის (ფარნავაზ მეფის) №7 საეაჭრო და სახლი უკანონოდ ჩაუთვალეს. ასევე წაართვეს, აქვე, №31 მაღაზია ოსმან გურგენიძეს.

ეუბ დევაძე ხის ნახშირით ვაჭრობდა. მან თბილისის №55-ში საცხოვრებელი სახლი-საეაჭრო თავისი შრომით ააგო, მაგრამ აქ ცხოვრება არ დააცალეს. მასვე მიაყოლეს ეუბ დიასამიძე, რომელსაც სახლები ბუდიონისა (კომახიძის) და ლიბკნეხტის (მაზნიაშილის) №11-სა და 64-ში ჰქონდა, ხოლო დაუთ დიასამიძეს – მიხაილოვის №5 საეაჭროები.

ძველ ბათუმში სიმრავლით და წარმომადგენლობით გამოირჩეოდნენ ვარშანიძეები. ამან განაპირობა ის, რომ მათში სჭარბობდნენ ინტელიგენტები, საზოგადო მოღვაწეები. ძმებს – ალი, ახმედ, ხუსეინ და ოსმან ვარშანიძეებს ჩამოერთვათ საცხოვრებელი სახლები და მალაზიები 1 და 2 სანაპიროს, ბაზრის №33-43-ში, შირინ ვარშანიძეს – შმიდტისა და პირველი სანაპიროს №48-ში, ხოლო უსახელოდ მოხსენიებულ ვარშანიძეს შმიდტის №50-ში, ალი-ალა ვარშანიძეს – პირველ სანაპიროს 17-ში. მასვე ეკუთვნოდა სახლები შმიდტისა და 1-2 სანაპიროს №52, 59 და 66-ში, სულეიმან ვარშანიძეს კი პირველი სანაპიროს №51-ში არსებული სავაჭრო.

საცხოვრებელი სახლები 1930 წლის დამატებითი მუნიციპალიზაციის საფუძველზე ჩამოერთვათ, აგრეთვე, ოსმან ვერძაძეს, უსახელოდ მოხსენიებულ ვერძაძეს.

ჩამორთმეულთა შორის არიან შაქირ ირემაძე, ძმები ოსმან, რეჯებ და ხასან კახიძეები. მათ ეკუთვნოდათ შმიდტისა და პირველი სანაპიროს: მესამე ინტერნაციონალის ქუჩებზე აგებული თუ შეძენილი საცხოვრებელი სახლები სავაჭროებით და ასევე ცალკე სავაჭროები. ალი ჯეფერიძე კუპრაძესა და ჰაჯი მამუდის ძე კუპრაძეს ასეთი ობიექტები ჰქონდათ სტალინის, ლიბკნეხტისა და ქუთაისის ქუჩებზე, ილიას ალა კომახიძეს – ბაქოს ქუჩაზე, ხოლო იახია ახმედის ძე კობალაძეს შმიდტისა და სანაპიროს შესახვევში. სიაში ფიგურირებდნენ აგრეთვე ისმაილ, რიზა, ხასან და ფატმა ლორთქიფანიძეები, ისინიც ბათუმის ძველ ნავსადგურისპირა უბანში ცხოვრობდნენ.

მემედ მჭედლიშვილ-დემირჩოღლის მეზღვაურთა შესახვევის №82 სახლი ეკუთვნოდა. მასვე ჰქონია ასევე სანაპიროს 28-ში, მითვისებულ-მიტაცებული კი არა, არამედ საკუთარი ნაოფლარით შეძენილი. და მაინც, ორივე ჩამოართვეს. კუპრაძეებისა და მჭედლიშვილების შთამომავლები და ნათესავეები ახლა კაპანდობსა და მახოში ცხოვრობენ. ისინი აიძულეს სოფლებისათვის შეეფარებინათ თავი, ხოლო ქალაქში ჩამორთმეულ მათ სახლებში სხვები შეასახლეს.

იგივე ბედი ეწიათ სანაპიროს, შადრევნის, თბილისის, ორჯონიკიძის, სამეგრელოსა და სხვა ქუჩებისა თუ შესახვევების მკვიდრთ – სულეიმან მხეიძეს, ემინ-ალა მახარაძეს, წარმოშობით ორთაბათუმელ სელმა ხანუმ მარშანიას, ალი მელიქიშვილსა და სხვებს.

30-იანი წლების ბათუმში, კერძოდ, ლუქსემბურგის, ბაზრის, კოოპერაციისა და სხვა ქუჩებში საცხოვრებელი სახლები კანონიერად ჰქონდათ დურსუნ ნაკაშიძეს, ფარტენაძე-იდრისოღლის, ახმედ, მემედ, ისმაილ და ასლან ფალაჯანდიშვილებს. ემინ-ალა და ხასან ქათამაძეებს, რესულ ქაჯაიას.



ხუსეინ შერიფაძე წარმოშობით მაჭახლიდან იყო. ვაჭრობდნენ, ამზადებდნენ კარ-ფანჯრებს, შეშას. ყველაფერს ოფიციალურად, კანონის ფარგლებში აკეთებდნენ. ასე დააგროვეს ფული და ბათუმშიც დაიმკვიდრეს ადგილი. სახლი, საეაჭროები შეიძინეს ლიბენხეტის, აჭარის, პორტის, სანაპიროს ქუჩებზე. სხვების მსგავსად, შერიფაძეებსაც სურდათ, მათი შვილები ბაგა-ბაღებში აღზრდილიყვნენ, მიეღოთ უმაღლესი განათლება, ყოფილიყვნენ კულტურულად დაწინაურებულნი. მაგრამ 1930 წელს ე.წ. დამატებითი მუნიციპალიზაციის საბაბით მათაც ააცალეს ყველა ეს ობიექტი. სამართალი არ გაუვიდათ, აგრეთვე, ღურსუნ შაქარიშვილს, სულეიმან ბეგ, თოფან, მეჯიდ და ზექერია შერვაშიძეებს, ორთაბათუმელ იუსუფ ჩახვაძეს, რასიმ, რიფეთ და ასლან ცინცილაძეებს, ოსმან წულუკიძეს, რიზა ჭიჭინაძეს, ჰაჯი ჭელიძეს, ხასან და ახმედ ხარაბაძეებს, ქედრე ხიმშიაშვილს, რომლებიც თბილისის, სანაპიროს, კოოპერაციის, ორჯონიკიძის, ქუთაისისა და შიდაღმრთის ქუჩებში ცხოვრობდნენ.

ჯაფარიძეები ძველი ბათუმელები არიან. ამ გვარის წარმომადგენლების – რეფიყ, ემინე ხანუმ და ისკენდერ ჯაფარიძეების სახლები ასევე კომუნალურ ფონდს გადასცეს. მართალია, მიღებულია კანონი უსაფუძვლოდ წართმეული ქონების დაბრუნების თაობაზე, მაგრამ ეს არ ხერხდება, რადგან გამოსახლებულებს ბინით სახელმწიფო არ აკმაყოფილებს. არის სხვა მიზეზებიც.

სიაში მოხსენიებული არიან, აგრეთვე: ჯიჯავაძე – ჩაუდაროლი, ჯავიდ ბათუმელი. ხაჯიშვილი, შარაშიძე, ტოგონიძე, სელიმიძე, სხვები მხოლოდ სახელითა და წოდებით – ალა, ეფენდი, ხაჯი, ზოგიც ოღლის ფორმით, რომელთა ნაწილს ერთვის თავდაპირველი ქართული გვარი.

ეს რეპრესია-ჩამორთმევები განხორციელდა აჭარის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1930 წლის ივლისის დადგენილების – „ბათუმში დარაბების, საწყობებისა და მსხვილ სახლთმფლობელობის დამატებითი მუნიციპალიზაციის შესახებ“ – საფუძველზე. გამოქვეყნდა იგი ამავე წლის 18 ივლისის გაზეთ „საბჭოთა აჭარისტანში“, რომლის ნომერია 162. გაზეთი დაცულია მხოლოდ აჭარის სახელმწიფო მუზეუმში. დადგენილება მოიცავს 239 რიგითობის ნომერს, ზოგიერთში ერთი პიროვნებაა შეტანილი, სხვებში – რამდენიმე და უფრო მეტიც. ზოგჯერ ჩამოთვლილია ოჯახის წევრები, მაგრამ არაა დაცული რიგითობა ანბანური წესის მიხედვით, თარგმნილია რუსულიდან, რის გამოც დაშვებულია უზუსტობები. დადგენილებას ერთვის იმ საბუთების ნომრები, უფრო სწორად ინდექსები, რომელთა მიხედვით მოხდა მუნიციპალიზაცია. ამ ე.წ. საფუძვლების ამოსაცნობად აჭარის სახელმწიფო არქივს მივაკითხე, მაგრამ არათუ ინდექსები, არამედ დადგენილებაც კი საერთოდ არ აღმოჩნდა.

ჩვენი აზრით, შემონახული ეს სია სრული არ უნდა იყოს, რადგან დამთავრების დამადასტურებელი რაიმე ნიშანი არა აქვს, ხსენებული გაზეთის მომდევნო ნომრებიც არ მოიპოვება.

რასაკვირველია, 1930 წელს სახლები და სავაჭროები ბათუმში მცხოვრებ საქართველოს სხვა კუთხის წარმომადგენლებსა და არაქართველებსაც ჩამოართვეს, მაგრამ ბევრად ნაკლებს, ამასთან, პროგრესულ პიროვნებებს, იმ მოღვაწეებსაც, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ეროვნული საქმიანობით. ქველმოქმედებით, საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობით. მხედველობაში გვყავს აბაშიძეები, ბეჟანიძეები, ლორთქიფანიძეები, ხიმშიაშვილები, გურგენიძეები, შაშიკაშვილები, ვარშალომიძეები და სხვა.

როგორც ვთქვით, 1922 წლიდან მოყოლებული ე.წ. მუნიციპალიზაცია ოფიციალურად თუ არაოფიციალურად თითქმის ყოველ წელიწადს ხდებოდა. უფლებათა დაცვა შეუძლებელი იყო. შემდეგ საცხოვრებელი სახლების ჩამორთმევას იმით აღწევდნენ, რომ ოჯახის უფროსს აპატიმრებდნენ, ხერეტდნენ, ცოლ-შვილს კი ბედის ანაბრად ტოვებდნენ. აჭარისა-ღმართელი მოფინაძეები, მართალია, არ დაუპატიმრებიათ, მაგრამ დევნა-შევიწროება არ მოაკლეს, 9 მარტის ქუჩაზე კუთვნილი ქონება ჩამოართვეს. ამ ბოლო დროს წვალებითა და ფულის ხარჯვით მცირეოდენი ნაწილი დაიბრუნეს მხოლოდ. სასამართლოებში ამგვარი უამრავი საქმეა აღძრული.

აჭარის მკვიდრი მოსახლეობის განთესვა-განდევნას მშობლიური ბათუმიდან, რასაკვირველია, არავითარი გამართლება არა აქვს. მით უმეტეს, ისინი არ იყვნენ ფაბრიკანტ-მემამულეები, პოლიციელები, ოფიცრები, მაქინატორები. მაგრამ რა ექნათ – ასეთი იყო ნება მთავრობისა და უწინარესად – სტალინისა. ამის დასტურია ჩვენს მიერ მოყვანილი რკპ (ბ) XII ყრილობის სტენოგრაფიული ანგარიში.

აი, ასე – მშობლიურ ბათუმში ფეხის მოკიდების, ადგილობრივი პროლეტარიატის შექმნის ნაცვლად, ადგილობრივ მოსახლეობას სახლების, ბინების, სავაჭროების ჩამორთმევა-წართმევით, რეპრესიებისა და სხვა ინკვიზიციური გზებით ავიწროებდნენ და სდევნიდნენ. ამან დალი დაასვა კადრების საკითხს, მეცნიერებისა და სხვა დარგების სპეციალისტთა მომზადებას, ჭორიც წარმოიშვა: აჭარლები ადრე ბათუმში არ ცხოვრობდნენო.

ისე ყველაფერი, რაზეც 1930 წლის ე.წ. მუნიციპალიზაციასთან დაკავშირებით ვთქვით, 50-იანი წლებიდან შეწყდა. დღეს ბათუმი კეთილმეზობლური, მშვიდობიანი ურთიერთობების ქალაქია.

## სარჩევი

ავტორისაგან .....	3
<b>მთავრი I – მხარობრივი სარჩევები</b>	
აჭარის აბაშიძეთა პირველი სიგელი 500 წლისა .....	6
აჭარაში გამავალი აბრეშუმის გზები .....	8
ახალი ცნობები აფსარ-გონიოსა და აქ წმინდა მათეს მოღვაწეობის შესახებ .....	19
ვინ იყო იოანე ლაზი?.....	26
როდის შემოესივნენ თურქები პირველად საქართველოს? .....	30
აბუსერისძეები ახალი მასალების შუქზე .....	33
მონღოლები აჭარაში .....	44
აჭარა და XV საუკუნის ანტიოსმალური კოალიცია .....	47
კაზაკები გონიოში და ევლია ჩელების სხვა ცნობები .....	50
დარეკან ქობულეთელი, სოლომონ II და ერეკლე მეფე .....	56
იოანე მოწყობილი – ხინოწმინდის უკანასკნელი ეპისკოპოსი .....	61
ხიმშიაშვილები აჭარის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში, ანუ მარქსი და ერგელსი აბდი-ფაშა ხიმშიაშვილის შესახებ .....	64
აჭარის პირველი ბეკდვითი ორგანო .....	72
აჭარის პირველი საზღვაო გაზეთი .....	76
კაპრიზები თუ ისტორიული რეალობა? .....	80
<b>მთავრი II – ეთნოგრაფია და ფოლკლორი</b>	
ამინდის მართვის ქართული რიტუალების აჭარული ვარიანტები .....	96
ხის კულტი, სიცოცხლის ხე .....	116
ხარის კულტი .....	125
ბოსლობა – წარმართული დღესასწაული .....	134
ფრინველების კულტი .....	136
გველი – ავი სულის განსახიერება თუ კეთილისა? .....	139
ქალის მამისეული გვარისა და სადაურობის გამოხატვის ფორმები აჭარაში .....	150
სად და როდის დაიწყო სისხლის ალებით შურისძიება .....	153

იოსაფა ბარბარო და უმანკო ბათუმელი ქალი .....	158
ნორჩი ხარაუღელი ფოლკლორისტის ჩანაწერები .....	161
ქობულეთში ჩაწერილი ლეგენდის ახალი, აღმოსავლური ვერსია ლამაზმან ქალიშვილებზე .....	163
აჭარის ფოლკლორის მოამბეენი .....	169
ასლან კაიკაციშვილი – აჭარის პირველი ფოლკლორისტი .....	176
<b>მთავარი III – (პროზაული მწიგნობარი) და აპარა</b>	
ჩვენ, თქვენთან ერთად!“ – იყო პასუხი ერისა .....	186
გამოჩენილი თანამემამულენი აჭარის შესახებ ვარლამ თოფურია .....	205
ნიკო ნიკოლაძე .....	208
ზურაბ ავალიშვილი .....	212
ალექსი რობაქიძე .....	215
გრიგოლ ვეშაპელი .....	219
პავლე ინგოროყვა .....	222
ვახტანგ ბერიძე .....	226
იოსებ მეგრელიძე .....	228
სანდრო ახმეტელი .....	234
სერგო ზაქარიძე .....	237
ვერიკო ანჯაფარიძე .....	240
<b>მთავარი IV – ეს არ უნდა განვიმორღვს</b>	
ნენემ გვასწავლა ენა ქართული! .....	244
იყო თუ არა პლევენის გმირი ოსმან-ფაშა, გვარად თავდგირიძე?.....	248
ერთი ყურმოკრული ცნობის დაკანონების მცდელობის გამო .....	251
ვის სჭირდებოდა ასეთი პიესა? .....	259
ბათუმი და აჭარა პაუსტოვსკის წერილებში .....	265
რატომ ებრძოდა ს. ქავთარაძე აჭარლებს? .....	269
ღვთის სამართალი, ანუ შანთით გასამართლება და ადამიანებით ვაჭრობა .....	275
ბერია 1929 წლის ხულოს ე.წ. ჩადრის ავანტიურის მოთავე .....	286
ქონების კონფისკაცია ბათუმში 1930 წელს .....	303

ბავშვთ. რეაქტორი	ლალი კონდილია
ეპიდემიოლოგიური ცენტრის	
ეპიდემიოლოგიური რეაქტორი	ბუნაძე სანია
მხარგრული რეაქტორი	ბურაძე გუგაბია
ტექნიკური რეაქტორი	როზაშვილ ლეონიდა
ურთის კორექტორი	ნანული წილქსანი
კორექტორი	ლელა კვიციანი
ოპერატორი და	
დამაკაბალქნიელი	რუსუქანი მუხრელი

ხელმოწერილია დასახეულად 1.09.2003  
ქალაქის ზომა 60X84 1/16  
საარქიტექტო-საგამომცემლო თაბახი 17,2  
ფიზიკური თაბახი 19,5  
შექვ.№33  
ტირაჟი 300

ფასი სახელშეკრულებო

ს.ს. „გამომცემლობა აჭარა“, ბათუმი, გოგებაშვილის, 24.

---

ს.ს. „გამომცემლობა აჭარის“ პოლიგრაფიული ცენტრი, კოსტავას, 5